

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

14 ივნისი, 2013, გორი, საქართველო

სამეცნიერო კონფერენციის მასალები



GORI STATE TEACHING UNIVERSITY

Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature

**INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE
DEDICATED TO LAKOB GOGEBASHVILI**

June 14, 2013, Gori, Georgia

ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2013 წლის 14 ივნისს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი (კომიტეტის თავმჯდომარე);
- გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ქეთევან ბარბაქაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამული კომიტეტი:

- ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (კომიტეტის თავმჯდომარე);
- გიორგი გოგოლაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ავთანდილ არაბული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- ვაჟა შენგელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ვლადიმერ მინაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მანანა მიქაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მამია ფაღავა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- როინ ჭიკაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თეიმურაზ დოიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- ლევან ბრეგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- იოსებ ჭუმბურიძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
- სოსო სიგუა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, დოქტორი
- გიორგი გოგოლაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი

- ავთანდილ არაბული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- ვაჟა შენგელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
- თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ვლადიმერ მინაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მანანა მიქაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მამია ფაღავა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- როინ ჭიკაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თეიმურაზ დოიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- ლევან ბრეგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- იოსებ ჭუმბურიძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
- სოსო სიგუა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The presented collection covers the articles of the International Scientific Conference after Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature on June 14, 2013 at Gori State Teaching University.

ORGANIZATION COMMITTEE:

- Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University (Head of Committee)
- Giorgi Khorbaladze, Gori State Teaching University
- Aleksandre Mgebrishvili, Gori State Teaching University
- Vianor Akhalaia, Gori State Teaching University
- Ketevan Barbakadze, Gori State Teaching University
- Ana Imnadze, Gori State Teaching University
- Zurab Chkhikvadze, Gori State Teaching University
- Levan Midodashvili, Gori State Teaching University

PROGRAME COMMITTEE:

- Vianor Akhalaia, Gori State Teaching University
- Giorgi Gogolashvili, Gori State Teaching University
- Avtandil Arabuli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- Vazha Shengelia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- Tamar Gogoladze, Gori State Teaching University
- Avtandil Nikoleishvili, Akaki Tsereteli State University
- Vladimer Minashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
- Manana Mikadze, Akaki Tsereteli State University
- Mamia Paghava, Batumi Shota Rustaveli State University
- Roin Chikadze, Iakob Gogebashvili Telavi State University
- Teimuraz Doiashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
- Levan Bregadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
- Ioseb Chumburidze, David Aghmashenebeli University of Georgia
- Soso Sigua, Gori State Teaching University
- Ketevan Chkuaseli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

EDITORIAL BOARD:

- Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University
- Giorgi Khorbaladze, Gori State Teaching University
- Aleksandre Mgebrishvili, Gori State Teaching University
- Vianor Akhalaia, Gori State Teaching University
- Giorgi Gogolashvili, Gori State Teaching University
- Avtandil Arabuli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- Vazha Shengelia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
- Tamar Gogoladze, Gori State Teaching University
- Avtandil Nikoleishvili, Akaki Tsereteli State University
- Vladimer Minashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
- Manana Mikadze, Akaki Tsereteli State University

- Mamia Paghava, Batumi Shota Rustaveli State University
- Roin Chikadze, Iakob Gogebashvili Telavi State University
- Teimuraz Doiashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
- Levan Bregadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
- Ioseb Chumburidze, David Aghmashenebeli University of Georgia
- Soso Sigua, Gori State Teaching University
- Ketevan Chkuaseli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო, პატივცემულო საზოგადოებავ!
მადლობას მოგახსენებთ მოზრძანებისა და კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

ჩვენი დღევანდელი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დიდ პედაგოგსა და მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილის ეძღვნება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა აღნიშნული კონფერენციის ჩატარება აქ, გორში, დიდი იაკობის მშობლიურ კუთხეში.

განუზომელია ღვაწლი იაკობ გოგებაშვილისა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე. იგი სამართლიანად ითვლება ქართული კლასიკური პედაგოგიკისა და საყმაწვილო ლიტერატურის ფუძემდებლად. გასაოცარი სისადავითაა გაჟღენთილი მთელი მისი შემოქმედება. იაკობის „დედაენა“ ის სამაგიდო წიგნია, რომელსაც მადლიერმა შთამომავლობამ თბილისში ძეგლი დაუდგა. იაკობ გოგებაშვილის დედაენა და მისი საწყისი - „აი ია“ - სამუდამოდ დამკვიდრდა თითოეული ჩვენთაგანის ცნობიერებაში.

შესანიშნავად გამოხატა დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა იაკობის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი: „მმაო იაკობ... აქ კი ილაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის ის არც ქართველად იხსენიება. კურთხეულ იყოს სამარადისოდ ის წმინდა გზა და მასთან ერთად სახსენებელი შენი...“

ჩვენი კონფერენციის მიზანიც ესაა – მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ დიდი მამულიშვილის მიერ გაკვალული გზის გაგრძელების მნიშვნელოვან საქმეში.

გისურვებთ წარმატებებს.

პატივისცემით,

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
პროფესორი *გიორგი სოსიაშვილი*

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო!

სწორედ დღევანდელ რიცხვში 1 თიბათვეს ძველი სტილით და 14 ივნისს ახლით 100-ზე მეტი წლის წინათ 1912 წელს გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი.

დღეს აქ გორში შევიკრიბეთ იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ სათანადო პატივი მივაგოთ ამ ბუმბერაზ ქართველს, რომლის შემოქმედებამ და მთავარმა ნაშრომმა „დედაენამ“ დროის გამოცდას დამაჯერებლად გაუძლო და მას ქართველმა ხალხმა მადლიერების ნიშნად ძეგლი დაუდგა.

იაკობის ღვაწლის შესახებ აკაკი წერეთელზე უკეთ ვინ იტყოდა. აკი თქვა კიდევ: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველი ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“.

იცოდნენ ერთმანეთის ფასი. გოგი გოგოლაშვილს დავესესხები.

ილიას სამ მცნებას: მამული, ენა, სარწმუნოება, იაკობმა ეროვნული სკოლა დაამატა. მისი აზრით, ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი „ეროვნული ძალა“ ამოძრავებს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება. ძნელია არ დაეთანხმო ამ შეგონებას დღესაც, რადგან დღეს სჭირდება ქართველობას გააცნობიეროს არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული ბურჯისა.

ვფიქრობთ ეს ღონისძიება, კონფერენცია ტრადიციული გავხადოთ. ყოველი წლის 14 ივნისს აქ გორში, ბარათაშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდება იაკობის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია. წინასწარ გეპატიჟებით და ახლა მადლობას გიხდით მობრძანებისათვის.

წარმატებებს გისურვებთ.

ვიანორ ახალაია

გორი სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

„ნალვაწი განმად დაშთების“

ბატონებო და ქალბატონებო, ძვირფასო საზოგადოება!

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მოგესალმებით „იაკობის დღის“ დამფუძნებლებსა და ამ ეროვნული ზეიმის მონაწილეებს. მოგესალმებათ იაკობ გოგებაშვილის სახელით დამშვენებული უნივერსიტეტი, რომლის სახელდების ნათლიები გახლდნენ საქვეყნოდ ცნობილი პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე და მეცნიერ-პედაგოგი გიორგი თავზიშვილი. „მინდა იცოდეთ, რომ თქვენი ინსტიტუტი მე და გიორგი თავზიშვილმა მოვნათლეთ იაკობ გოგებაშვილის სახელზე“ - იტყობინებოდა გიორგი ლეონიძე ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავზე. მაშინდელ პედაგოგიურ ინსტიტუტს იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა 1940 წლის 28 ოქტომბერს, ამ დიდი პედაგოგის დაბადების 100 წლისთავზე.

იაკობ გოგებაშვილის სახელი დღესაც ნათლის სვეტად ადგას თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს. გასული წლის 25 ოქტომბერს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის“ დაწესებისა და „დედაენის სახლის“ დაფუძნების შესახებ.

„უნივერსიტეტის დღე“ ყოველწლიურად აღინიშნება იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს - 27 ოქტომბერს. ასე რომ, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველ სასწავლო წელს იწყებს იაკობ გოგებაშვილით. სხვა რაღა უნდა იყოს უფრო დიდი სტიმული სწავლის დაწყებისა! ფაქტობრივად ეს გახლავთ გოგებაშვილისეული „მიპატიჟება სასწავლებელში“.

„დედაენის სახლის“ დაფუძნებით კი საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო და საგანმანათლებლო-მეთოდური მუშაობის მძლავრ კერას, სადაც შეისწავლება, დამუშავდება და დაინერგება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების მსოფლმხედველობრივი და დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და გოგებაშვილისეული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების უმთავრესი პოსტულატები.

დღეს კი, 14 ივნისს, ქართლის მეთაურ ქალაქ გორში და იაკობ გოგებაშვილის სამკვიდრო ვარიანში შევიკრიბეთ იაკობინელები - დიდი იაკობის ღვაწლის დამფასებლები, რათა ქვეყანას ვამცნოთ ეროვნულ - ისტორიული გადაწყვეტილება - „დედა ენას“ - ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შექმნის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ამ საშვილიშვილო ეროვნული საქმის დასაგვირგვინებლად მრავალწლიანი უშურველი გარჯა დასჭირდათ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებას - ჭეშმარიტ იაკობინელებს: გიორგი გოგოლაშვილს, იოსებ ჭუმბურიძეს, მარიამ ცაცანაშვილს, მამა კონსტანტინეს და მათ თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს. სწორედაც რომ ბრძოლა დასჭირათ, თანაც უთანასწორო. ამის თაობაზე იოსებ ჭუმბურიძე იტყვის: „პარადოქსია, რომ ამისათვის ბრძოლა გვჭირდება. ბრძოლა გვჭირდება იმის დასაცავად, ვისზედაც ილიას სიცოცხლეშივე ამბობდა აკაკი: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში.“ ამას უკვე გიორგი გოგოლაშვილი იტყვის - იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის შემფასებელი და დამფასებელი, „ბურჯი ეროვნებისაზე“ თავადაც ბურჯად შემდგარი, დიდი იაკობის მემკვიდრეობის დამცველი.

და მაინც, საზრუნავი და საშრომელი კიდევ წინ არის გოგებაშვილის სახელის უკვდავსაყოფად. სიამაყით გვავსებს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდში დაისვა საკითხი იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზირების თაობაზე, რითაც კიდევ უფრო იზრდება თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა ამ მარადიული მოძღვარის წინაშე.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ სამშობლოს და მშობლიურ ენას. მისივე ნათქვამი რომ მასვე მივუსადაგოთ, ვიტყვით: იაკობ გოგებაშვილი გახლავთ ის მარადიული მოძღვარი, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება... ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით და ვინც მზად არის, ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.

ჩვენც ვიშრომოთ და ვიღვაწოთ ისე, რომ წინ წარგვიძღვეს ილია ჭავჭავაძის **სამი ღვთაებრივი საუნჯე - მამული, ენა, სარწმუნოება** და ამ სამეზბის გოგებაშვილისეული მეოთხე ბურჯი - **ეროვნული სკოლა**.

თვითონ იაკობ გოგებაშვილს უძნელეს საქმედ მიაჩნდა „საბავშო წიგნის“ შედგენა და ამბობდა, „კიდევ უფრო სამნელო იყო ჩვენთვის, როცა კაცმა თითქმის არაფრიდგან უნდა დაბადოს წიგნი!“-ო. ნიშანდობლივია, რომ იაკობს სიტყვა „დაბადება“ შემთხვევით არ უხმარია; **დაბადება** ხომ მშობელ **დედასთან** ასოცირდება!

და გოგებაშვილმაც დაბადა ეს წიგნი - „**დედა ენა**“.

და, აჰა! - აღსრულდა! ჩვენს ხელთაა **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული „დედა ენა“**.

თანამემამულენო,

გიხაროდენ! - იაკობ გოგებაშვილმა ძეგლი დაუდგა „**დედა ენას**“.

გიხაროდენ! - „**დედა ენა**“ **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია**.

გიხაროდენ! - დაწესდა „**იაკობის დღე**“.

გიხაროდენ! - დაფუძნდა „**დედა ენის**“ სახლი.

გიხაროდენ! - გოგებაშვილი დიდებით შემოსა ქართველმა ხალხმა.

გიხაროდენ! - „**ნაღვაწი განმად დაშთების**“.

როინ ჭიკაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შინაარსი

- ავთანდილ არაბული – იაკობ გოგებაშვილი ქართული სალიტერატურო ენის ნორმატიული მოწესრიგების შესახებ - 14
- ვიანორ ახალაია – ოთარ ჩხეიძის პროზის ზოგი ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი - 19
- მარიანა ბალასანიანი – «Русское слово» Якова Семёновича Гогебашвили - 23
- ქეთევან ბარბაქაძე – იაკობ გოგებაშვილი ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის შესახებ - 25
- ცირა ბაქრაძე – მოსწავლეთა მოტივაცია, როგორც სასწავლო აქტივობა - 28
- ლევან ბრეგაძე – სიყვარული და უკვდავება (გრიგოლ ორბელიანთან გალაკტიონ ტაბიძის ერთი ინტერტექსტუალური შეხვედრის გამო) - 31
- თეა ბურჭულაძე – წევრ-კავშირის რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევებისათვის მედიაში - 33
- გიორგი გოგოლაშვილი – „დედაენა“ - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - 36
- თამარ გოგოლაძე – იაკობ გოგებაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ - 41
- თეიმურაზ დოიაშვილი – მოტივალ-მოცინარი სულხან-საბა - 44
- თინათინ დოლიძე – ზნეობრივი აღზრდის პრობლემები უმაღლეს სკოლაში - 50
- ფიქრია ვარდოსანიძე – კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხები საქართველოში - 57
- ანა იმნაძე – ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ბოლო დღეები ქართული ბელეტრისტიკის მაგალითზე - ისტორიული ფაქტი და ლიტერატურული ფიქცია - 61
- მარიამ კობერიძე – ქართლის მცხოვრებთა ყოფისა და შრომა-საქმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებებში - 65
- თამარ ლომთაძე – კანონი სახელმწიფო ენის შესახებ - ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების გარანტი - 68
- ელგუჯა მაკარაძე – ტექსტის ცნება ფოლკლორში - 70
- გიორგი მახარაშვილი – ქართველ მუჰაჯირთა ანდაზები - 72
- ნუგზარ მგელაძე – ქართველ მუჰაჯირთა ეთნონიმიკა თურქეთში და ეთნონიმიკასთან დაკავშირებული ცნობიერება - 74
- ანა მესხი – ინგლისური და ქართული ენების დროთა სისტემების შეპირისპირებითი ტიპოლოგიისთვის (აწმყოს დრო) - 79
- მურად მთვარელიძე – იაკობ გოგებაშვილი და ქართული აფორისტული ნააზრევნი - 88
- ნოდარ მირაზანაშვილი – ესთეტიკური აღზრდის ადგილი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის სისტემაში - 94
- მანანა მიქაძე – იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და XIX საუკუნის ქუთაისი - 99
- მანანა მიჩიტაშვილი – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა - საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სწავლების მაგალითზე - 102
- ალექსანდრე მღებრიშვილი – პერსონაჟთა ხატვის პოეტიკა მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეების“ მიხედვით - 108
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ქართველ მწერალთა ბრძოლა ორენოვნების ფსევდომეცნიერული თეორიის წინააღმდეგ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში - 113

- ნიკოლოზ ოთინაშვილი – ტოპონიმურ-ლინგვისტური ტერმინები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მიხედვით - 118
- სოსო სიგუა – სიმონ ჩიქოვანი: აზრი და კონსტრუქცია - 121
- თამარ სიდამონიძე – ენიგმური გალაკტიონის ესთეტიკაში - 125
- ბექა ტოლიაშვილი – აგრესიის გამოვლენის მიზეზები სკოლამდელი ასაკის ბავშვებში - 129
- ნათელა ფარტენაძე – თანამედროვე მედიის ენის საკითხები - 131
- მამია ფაღავა – მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოვარი შედგენილობის საკითხი - 136
- ზაქარია ქიტიაშვილი – პედაგოგიკური აზრის ისტორია და ქართული ლიტერატურა საქართველოში - 141
- ირმა ქურდაძე – იაკობ გოგებაშვილი - ისტორია და თანამედროვეობა - 145
- შოთა ქურდაძე – ევროპული და მსოფლიო ხალხების ცოდნის შემოქმედებითი გაცნობისა და განვითარების საკითხები ქართულ მწერლობაში - 146
- ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა – ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში - 149
- თინა შიომშვილი – კლარჯული შრომის ლექს-სიმღერები - 152
- ჰარუნ ჩიმქე – ბრძანებითი კილოს გამოხატვის თავისებურებანი ქართულსა და თურქულში - 156
- დავით ჩოჩიშვილი – ისტორიის სწავლების ზოგიერთი საკითხი ბილინგვურ სკოლებში - 161
- მალხაზ ჩოხარაძე, მანანა თავდგირიძე – ომის თემა სოცრეალიზმის ეპოქაში და რეგიონული მწერლობის პატრიოტული ტენდენცია - 166
- მარინე ცერცვაძე – როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ - 170
- ნანა ცეცხლაძე – ზოგი რთული ზმნის, იდიომის და კომპოზიტის ურთიერთმიმართებისათვის - 174
- გიორგი ცოცანიძე – ქართული სახალხო მეტყველების ნაირსახეობათა ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრისათვის - 179
- ნელი ჭამბურაძე – იაკობ გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ - 182
- როინ ჭიკაძე – საგრამატიკო თვალსაწიერი იაკობ გოგებაშვილისა - 185
- ქეთევან ჭკუასელი – პედაგოგიკის მეცნიერება და განათლების რეფორმა საქართველოში - საკითხის დასმისთვის - 187
- იოსებ ჭუმბურიძე – დედაენა და „დედაენები“ - 190
- ნინო ჭუმბურიძე – ზმნისწინი, როგორც ზმნის სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი - 193
- მზია ხახუტაიშვილი – „დედაბრულის“ გრაფიკული თავისებურებანი - 195
- მარინე ხიხაძე, ირმა ხუნდაძე – იაკობ გოგებაშვილი - დედაენის პრობლემა გუშინ და დღეს - 200
- გიორგი ხორბალაძე – გოდერძი ჩოხელის შემოქმედების პოეტური ენის ზოგიერთი ასპექტი - 202
- ელენე ხოჯევანიშვილი – სახელები დავით ბატონიშვილის გრამატიკაში (პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის მიხედვით) - 206

CONTENTS

- Avtandil Arabuli** – *IAKOB GOGEBASHVILI ABOUT NORMATIVE REGULATION OF GEORGIAN LITERARY LANGUAGE* - 14
- Vianor Akhalaia** – *SOME LANGUAGE STYLISTIC CHARACTERISTICS OF OTAR CHKHEIDZE'S PROSE* - 19
- Mariana Balasanyan** – *"RUSSIAN WORD" BY IAKOB GOGEBASHVILI* - 23
- Ketevan Barbakadze** – *IAKOB GOGEBASHVILI ABOUT POPULARIZATION OF FOLK SONGS* - 25
- Tsira Bakradze** – *PUPILS' MOTIVATION, AS THE LEARNING ACTIVITY* - 28
- Levan Bregadze** – *LOVE AND IMMORTALITY (OWING TO GALAKTION TABIDZE'S INTERTEXTUAL CONCURRENCE WITH GRIGOL ORBELIANI)* - 31
- Tea Burchuladze** – *CASES OF NUMBER NON COMBINATION OF MEMBER-CONJUNCTION IN MEDIA* - 33
- Giorgi Gogolashvili** – *"DEDA ENA" (MOTHER LANGUAGE) - INTANGIBLE CULTURAL HERITAGE MONUMENT* - 36
- Tamar Gogoladze** – *IAKOB GOGEBASHVILI ABOUT THE UNITED STATES OF AMERICA* - 41
- Teimuraz Doiashvili** – *CRYING AND LAUGHING SULKHAN-SABA* - 44
- Tinatin Dolidze** – *MORAL EDUCATION PROBLEMS IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS* - 50
- Pikria Vardosanidze** – *THE EMPLOYMENT OF GRADUATES IN GEORGIA* - 57
- Ana Imnadze** – *LAST DAYS OF GEORGIAN PRESIDENT ZVIAD GAMSAKHURDIA LIFE ON EXAMPLE OF GEORGIAN FICTION - HISTORICAL FACT AND LITERARY FICTION* - 61
- Mariam Koberidze** – *THE KARTLI INHABITANTS' VOCABULARY DENOTING THEIR EVERYDAY LIFE AND WORK IN THE ETHNOGRAPHIC WORKS OF IAKOB GOGEBASHVILI* - 65
- Tamar Lomtadze** – *THE LAW ON STATE LANGUAGE – GUARANTEE OF PROPER FUNCTIONING OF GEORGIAN LANGUAGE* - 68
- Elguja Makaradze** – *NOTION OF TEXT IN FOLKLORE* - 70
- Giorgi Makharashvili** – *PROVERBS OF GEORGIAN MUHAJIR* - 72
- Nugzar Mgeladze** – *ETHNONYMS OF GEORGIAN MUHAJIRS IN TURKEY AND CONSCIOUSNESS RELATED TO ETHNONYMS* - 74
- Anna Meskhi** – *TOWARDS CONTRASTIVE STUDY OF ENGLISH AND GEORGIAN TENSE SYSTEMS (PRESENT TENSE)* - 79
- Murad Mtvarelidze** – *IAKOB GOGEBASHVILI AND GEORGIA APHORISTIC SAYINGS* - 88
- Nodar Mirazanashvili** – *THE PLACE OF ESTHETIC UPBRINGING IN EDUCATIONAL SYSTEM TO HARMONIOUSLY DEVELOP PERSON* - 94
- Manana Mikadze** – *"DEDA ENA" BY IAKOB GOGEBASHVILI AND XIX CENTURY KUTAISI* - 99
- Manana Michitashvili** – *PROBLEM BASED LEARNING – ON THE EXAMPLE OF SOCIAL SCIENCES* - 102
- Aleksandre Mgebrishvili** – *POETICS OF DRAWING LITERARY CHARACTERS ACCORDING TO "THE OLD ZURNA PLAYERS" BY MERAB ELIOZISHVILI* - 108
- Avtandil Nikoleishvili** – *BATTLE OF GEORGIAN WRITERS AGAINST THE BILINGUAL PSEUDO-SCIENCE THEORY IN 60s AND 70s OF 20th CENTURY* - 113
- Nikoloz Otinashvili** – *TOPONYMIC-LINGUISTIC TERMS AFTER IAKOB GOGEBASHVILI'S WORKS* - 118

- Soso Sigua** – *SIMON CHIKOVANI: AN IDEA AND CONSTRUCTION* - 121
- Tamar Sidamonidze** – *ENIGMA IN GALAKTION'S AESTHETICS* - 125
- Beka Toliashvili** – *REASONS OF EXPRESSING AGGRESSION BY THE CHILDREN UNDER SCHOOL AGE* - 129
- Natela Partenadze** – *ISSUES OF CONTEMPORARY MEDIA LANGUAGE* - 131
- Mamia Paghava** – *MUHAJIR'S SPEECH AND ISSUE OF AJARIAN DIALECT COMPOSITION* - 136
- Zakaria Kitiashvili** – *HISTORY OF PEDAGOGICAL THOUGHT AND THE GEORGIAN LITERATURE IN GEORGIA* - 141
- Irma Kurdadze** – *IAKOB GOGEBASHVILI – HISTORY AND MODERNITY* - 145
- Shota Kurdadze** – *INTRODUCTION-ANALYSIS QUESTIONS OF GEORGIAN-EUROPEAN AND WORLD KNOWLEDGE IN THE GEORGIAN WRITING* - 146
- Vazha Shengelia, Tsira Janjghava** – *VOCABULARY DENOTES FLORA IN MEGRELIAN* - 149
- Tina Shioshvili** – *THE KLARGIAN WORKING SONGS AND VERSES* - 152
- Harun Chimke** – *PECULIARITIES IN EXPRESSION OF IMPERATIVE MOODS IN GEORGIAN AND TURKISH* - 156
- Davit Chochishvili** – *SOME ISSUES OF TEACHING OF HISTORY IN BILINGUAL SCHOOLS* - 161
- Malkhaz Chokharadze, Manana Tavdgiridze** – *WAR THEME IN THE EPOCH OF SOCIALIST REALISM AND PATRIOTIC TENDENCY OF REGIONAL LITERATURE* - 166
- Marine Tsertsvadze** – *BIOGRAPHICAL NOVEL BY ROSTOM CHKHEIDZE "PILLAR OF NATIONALITY"* - 170
- Nana Tsetskhladze** – *TOWARDS UNDERSTANDING OF INTERRELATION BETWEEN SOME COMPOUND VERBS, IDIOMS AND COMPOSITES* - 174
- Giorgi Tsotsanidze** – *FOR DEFINING THE VARIETY OF LINGUISTIC STATUS OF THE GEORGIAN PUBLIC SPEECH* - 179
- Neli Champuridze** – *"KING IRAKLI AND THE INGILO WOMAN" BY JACOB GOGEBASHVILI* - 182
- Roin Chikadze** – *IAKOB GOGEBASHVILI'S GRAMMATIC POINT OF VIEW* - 185
- Ketevan Chkuaseli** – *THE ISSUE OF PEDAGOGY AND EDUCATION REFORM IN GEORGIA* - 187
- Ioseb Chumburidze** – *"DEDA ENA" ("MOTHER LANGUAGE") AND MULTIPLE "DEDA ENA"* - 190
- Nino Chumburidze** – *PRE-VERBS AND THE LEXICAL MEANING OF A VERBS IN GEORGIAN* - 193
- Mzia Khakhutaishvili** – *GRAPHIC FEATURES OF "OLD WOMAN HANDWRITING" MANUSCRIPT* - 195
- Marine Khikhadze, Irma Khundadze** – *IAKOB GOGEBASHVILI –THE PROBLEM OF NATIVE LANGUAGE YESTERDAY AND TODAY* - 200
- Giorgi Khorbaladze** – *SOME ASPECTS OF POETICAL LANGUAGE OF GODERDZI CHOKHELI'S CREATIVE WORKS* - 202
- Elene Khojevanishvili** – *NOMINATIVES IN "BRIEF GRAMMAR" BY DAVIT BATONISHVILI (after the manuscript Preserved at Paris National Library)* - 206

იაკობ გოგებაშვილი ქართული სალიტერატურო ენის ნორმატიული მოწესრიგების შესახებ

იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი მთავარი მშენებელია ახალი ქართული სალიტერატურო ენის იმ სასახლისა, რომლის შექმნაც, ქვეყნის კულტურული განვითარების ახალი პირობების შესაბამისად, ილია ჭავჭავაძემ დაისახა მიზნად. ეს პერიოდი სრულიად სამართლიანად არის შეფასებული როგორც მნიშვნელოვანი მოსაზრუნი ქართული სამწიგნობრო ენის განვითარების ისტორიაში.

დიდი დიდაქტიკოსის მდიდარი მემკვიდრეობიდან აშკარად ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილი კარგად იცნობდა იმ ფილოლოგიურსა და, კერძოდ, ენათმეცნიერულ პროცესებს, რაც იმდროინდელ ევროპასა და რუსეთში მიმდინარეობდა, ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი საგრამატიკო კვლევები ჩვენში და საკუთარი დამოკიდებულებაც ჰქონდა შემუშავებული ენის გრამატიკული აგებულების ძირითადი საკითხების შესახებ... მაგრამ აუცილებელია ისიც გავითვალისწინოთ, რომ, მიუხედავად აქტიური საგრამატიკო დუდილისა ჩვენს ფილოლოგიურ წრეებში, ჯერ კიდევ შორს იყო მეცნიერული გრამატიკის დონემდე, შესაბამისად, ჯერაც არ არსებობდა არცერთი ორთოგრაფიული ნორმა და ცალკეული მოსაზრების ფარდობითი უპირატესობა არსებითად შესაბამის წიგნიერების დონესა და ენობრივ ინტუიციას იყო დაფუძნებული...

როდესაც ამ უკანასკნელ აქცენტს ვაკეთებთ, ვგულისხმობთ იმას, რომ დღევანდელი მკითხველისათვის ზოგჯერ ძნელი წარმოსადგენია ისეთი ვითარება, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს აკაკი შანშიძის გრამატიკული მოძღვრება და, მით უფრო, ქართული ენათმეცნიერული სკოლის თეორიული მონაპოვრები, რომლებიც აუცილებელ საფუძველს ქმნის სალიტერატურო ენის აკადემიური რეგულირებისათვის. მით უფრო ფასეულია მწყობრი შეხედულებები იმ პიროვნებებისა, რომელნიც არსებითად პირველად და უპირატესად დამოუკიდებლად ქმნიდნენ ახალი მწიგნობრობის ფუნდამენტს...

მით უფრო დასაფასებელია ის თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობა დიდი პედაგოგისა, რომელიც არსებითად ერთ-ერთი მთავარი აღმოჩნდა იმ თეორიულ საფუძვლებს შორის, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა იმდროინდელი ქართული სამწიგნობრო ენის განვითარების მიმართულება.

იაკობ გოგებაშვილი ღრმად სწვდებოდა ქართული ენის ბუნებას, მის თავისებურებებს, აღიარებდა მის თავისთავადობას, სიმდიდრესა და სიმშვენიერეს. მას შესისხლხორცებული ჰქონდა ქართული ენის ბუნებრივი (ცენტრალურ-ქართლური) მდგომარეობა და ყოველთვის ცდილობდა, ყური მიეგდო ჯანსაღი ენობრივი პროცესებისათვის, დაენერგა საერთო-სახალხო ენის ფორმები, მართებული მეტყველების სტილი...

ცალკეული გამონათქვამებიდან აშკარად ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილს ქართული ენის ბუნება, მისი სისტემური თავისთავადობა ღრმად ჰქონდა შეცნობილი; მაგალითისამებრ:

"ვისაც კი მეტ-ნაკლებობით შესწავლილი აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი სიმდიდრე, აზრსა და გრძნობაზე ზედგამოჭრილობა და მკაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულების ენათა დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და დაამყარა თავის ორგანულს ნაწილებს შორის სრული ჰარმონია ძველადგანვე, მეთორმეტე საუკუნეში. ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენისმეტყველთა - რაში მდგომარეობს ღირსება ენისა, და ისინი დაგისახელებენ სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკული სქესების არ ქონვას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევასა, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებლის დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზე, მრავალფეროვნებას და მოქნილობას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას. რომელმა განვითარებულმა ქართველმა არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათა წყალობით ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს შემეცნებას, მდგომარეობას, მოქმედებას და ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებითი ზეგამოჭრილ ფორმითა, საადვილო გამოხატულებითა"... (თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 205).

თავისი დროის ზოგადლინგვისტურ მოძღვრებათა აშკარა ნაკვალევი ჩანს ი. გოგებაშვილის იმ შეხედულებებში, რომლებშიც საყურადღებო აზრებია გამოთქმული ენის ზრდისა და განვითარების საკითხებზე:

"ენის მეცნიერებას დიდი ხანია გამოკვლეული აქვს, რომ ყოველი ენა თავდაპირველად ძლიერ ღარიბია და ლექსიკონით და ფორმებით. ერთსა და იმავე სიტყვით იგი აღნიშნავს რამდენსამე საგანსა, შემეცნებასა, რის გამო ორ-აზროვნობა, სამ-აზროვნობა და მრავალ-აზროვნობა სიტყვებისა ახდენს აზრების არე-დარევასა და ხუთავს გონების განვითარებასა"...

"ენა, სალი ხესავითა, ფურჩქენის ახალი სიტყვებსა და ფრაზებსა, ვითარდება, მდიდრდება და ბოლოს იმ სიმაღლემდე ადის, რომ ყოველთვის შემეცნებისათვის ჰქმნის საკუთარს შესაბამის სიტყვასა"...

"ენები არა მარტო ძველს დროში იზრდებოდნენ, არამედ იზრდებიან ეხლაც. ეს ზრდა იმისაკენ არის მიმართული, ორ-აზროვნობის ნაშთები მოსპოს, ახალს სიტყვიერს ტანისამოსში გამოაწყოს აზრები, რომლებიც წინათ ისესხებდნენ ხოლმე სხვა აზრებისაგან სიტყვებსა და ერთ-აზროვნობა გაამეფონ ენაში, რაც ირიცხება ძირითად ღირსებად. ქართული ენაც განიცდიდა არამც თუ ძველად, არამედ მახლობელ საუკუნოებში ამავე პროცესსა და ამ პროცესმა იგი გაათავისუფლა ბევრის ძველებურის ორ-აზროვნებისაგან".

სწორედ ამ ხედვას ეფუძნება ი. გოგებაშვილის მოსაზრება კონკრეტული ხალხის ენობრივი პოზიციის შესახებ განვითარებულ ენებთან მიმართებით.

ვინაიდან თერგდალეულთა თაობის სამოღვაწეო მოწოდების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო-აღმზრდელობითია, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ ისინი თეორიულ საკითხებზე მსჯელობისას არცთუ იშვიათად მიმართავენ ხოლმე ხატოვანებას და „ემპირიულ თვალსაჩინოებას“. მაგალითად, საგულისხმოა შედარება, რომელსაც იაკობი ჩვენი ეროვნული ენის თავისთავადი ბუნების ასახსნელად მოიხმობს:

"ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლედვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხას და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას და, სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენ ახალ-ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს ღრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს"...

იაკობ გოგებაშვილის წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი თვალს ადევნებდა იმ ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას - ევროპული ენების შედარებით კვლევას და, ამავე დროს, იცნობდა მოსაზრებებს ქართული ენის ადგილის შესახებ მსოფლიო ენათა შორის:

"ქართული ენა... შეადგენს ფრიად თავისებურ ლინგვისტურ მოვლენას და არავითარი კავშირი და მსგავსება არ აქვს ძველ კლასიკურ ენებთან".. "ქართული ენა ისეთ განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰგავს ევროპულ ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულ თავისებურ ენად და არ მისცენ ადგილი არც თურანულ და არც ინდოევროპულ ენათა შორის" (იქვე, გვ. 218).

რაც შეეხება სალიტერატურო ქართული ენის განვითარების საკითხებთან დაკავშირებულ შეხედულებებს, საგულისხმოა იაკობის ზოგადი მოსაზრებანი ენის ე. წ. დემოკრატიზაციის მიმართულებით:

"ქართული ენა მზარდია და ენის ცვლილებაში მისდევს თავის ბუნებრივ ალღოს" - წერდა იგი წერილში "პასუხი ბატონ სილოვანს" ("ივერია", N175, 1894)... "ჩვენ, ლიტერატორნი, არ უნდა ვბაძავდეთ ძველის ბრმა თავყანისმცემლებს და არ უნდა ვაღიაროთ დამახინჯებად ყოველი ცვლილება, რომელსაც ხალხი, სავსე უტყუარი ალღოთი და დამცველი მისი გენიისა, მოახდენს თავის დედაენაში. ყოველი ამისთანა ცვლილების ღირსეულად დაფასებისათვის ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ არა მარტო ძველი საგრამატიკო ფაქტებით, არამედ უფრო ქართული ენის უმაღლესი პრინციპებით და კანონებით და იმ იდეალებით, რომელნიც წინ მიუძღვიათ ყოველი ენის ზრდას სიარულის გზაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ხშირად ჩავთვლით პროგრესულ ცვლილებას ქართულ ენაში მახინჯ მოვლენად" (იქვე).

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის სტრუქტურული ბუნების ღრმა ცოდნას ამჟღავნებს და თავისი დროის ქართული გრამატიკული აზრის დონეზე დგას. ამას ნათლად ადასტურებს მისი პოლემიკური ხასიათის წერილები ქართული გრამატიკის საკითხებზე, რომლებიც გამოქვეყნდა "ივერიის" 1886 წლის სხვადასხვა ნომერში „საგრამატიკო ბაასის" სახით; ასევე: "ორ-აზროვანი კილო ჩვენს პრესაში (საგრამატიკო შენიშვნა", გამოქვეყნებული 1894 წელს და სხვ.).

წერილები ქართული ენის გრამატიკის შესახებ იაკობ გოგებაშვილმა დაწერა მიხეილ ნასიძის სპეციალურ წერილში - "ორი საგრამატიკო საგანი" ("ივერია", N17, 1886) - აღმრული საკითხების გამო.

ქართული ენის იმდროინდელი გრამატიკული აღწერები იყო ფილოლოგიური ხასიათისა და მ. ნასიმეც ქართული ენის გრამატიკას ადგენდა ზოგადი, სხვა ენათა გრამატიკებში უკვე დადგენილი წესების მიხედვით და არა - ქართული ენის თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე. ამისგან განსხვავებით, ი. გოგებაშვილი გადამწყვეტად მიიჩნევს ენობრივი ემპირიის ზედმიწევნით გათვალისწინებას და საგრამატიკო ცოდნის რეალურ მონაცემებზე დამყარებას: "უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა, ერთი სიტყვით, ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის... გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედო პრაქტიკულს ცოდნასა. მაგრამ გრამატიკამ რომ ეს სამსახური გაგვიწიოს, იგი უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისას" (ი. გოგებაშვილი, რჩ. პედაგოგ. და პუბლიც. ნაწერები, ტ. I, 1910, გვ. 160).

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გრამატიკის საკითხებზე მუშაობდნენ ცნობილი სწავლულები: დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი, თ. ჟორდანი, ა. ქუთათელაძე და სხვ. როგორც ჩანს, ი. გოგებაშვილს ამ დროისათვის (მ. ნასიმესთან პოლემიკისას) უკვე დაწერილი ჰქონდა გრამატიკის სახელმძღვანელოს ("მოკლე გრამატიკა ქართული ენისა") ნაწილი, მაგრამ აღარ განაგრძო მუშაობა, რადგან ამ საქმეში ავტორიტეტებად სხვებს მიიჩნევდა. 1886 წელს გამოქვეყნებული სტატიები უტყუარი დასტურია იმისა, რომ ი. გოგებაშვილი ცალკეული ენობრივი საკითხების დასმისა და გადაწყვეტისას არ ჩამოუვარდებოდა თავისი დროის გრამატიკოსებს. იაკობის მიერ გამოთქმულ გრამატიკულ მოსაზრებებს იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგიერთ მათგანს შემდეგშიაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და მეთოდოლოგიური ღირებულება; ასეთებია:

- შვიდი ბრუნვის დაკანონება ქართულში,
- ბრუნვათა რიგის შეცვლა,
- ვითარებითი ბრუნვის ნიშნად დ-ს აღიარება (თ-ს ნაცვლად),
- მოქმედებითი ბრუნვის დაცვა ქართულში,
- "-ით" მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი,
- "ურთ" - მოქმედებითი ბრუნვაზე დართული თანდებული,
- წოდებითი ბრუნვის დაცვა ქართულში და მის ნიშნად ო-ს (ვ-ს) მიჩნევა (წინააღმდეგ დ. ყიფიანის თვალსაზრისისა),
- ზმნის ცალკეული ფორმების სწორი კვალიფიკაცია და სხვ.

ამ წერილებში საკმაოდ მწყობრი გრამატიკული აზროვნება ჩანს; მაგალითად, როცა ი. გოგებაშვილი განიხილავს ცვლილებით (ვითარებით) ბრუნვას, როგორც ორგანულ ფორმას ქართული სახელისას და ამავე კონტექსტში მსჯელობს სახელისა და ზმნიზედის განმასხვავებელ ნიშნებზე, ფართოდ იყენებს მორფოლოგიურ ანალიზს, ფორმათა შეპირისპირებას, მიმართავს ფორმის განვითარების ისტორიას, ანალიზებს ვითარებითი ბრუნვის სინტაქსურ ფუნქციას, რითაც ნათელს ჰფენს ამ გრამატიკული ერთეულის რაობას და დამაჯერებლად ასაბუთებს მის ფუნქციურ საჭიროებას ქართულში.

1894 წელს დაწერილი გრამატიკული წერილები, ასევე, პოლემიკური ხასიათისაა: ი. გოგებაშვილი ქართული ენის საკითხებზე ეკამათება ა. წერეთელს, ს. ხუნდაძეს, დუტუ მეგრელს, მ. ჯანაშვილს, კ. დოდაშვილს, გ. წერეთელს, "კვალის" რედაქციას... ამ ციკლის პირველი წერილი "პაწია სამაგიერო" ი. გოგებაშვილს დაუწერია ა. წერეთლის "ჭრელი ფიქრების" გამო, რომელიც შეიცავს ი. გოგებაშვილის იგავ-არაკის "ბულბული და გუგულის" კრიტიკას. თავის წერილში ა. წერეთელი უწუნებს ი. გოგებაშვილს „გაღიარებ“ ფორმას და მოითხოვს, ის შეიცვალოს "აღგარებ" ფორმით. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ორივე კანონიერია: "აღგარებ" ძველი ფორმაა, "გაღიარებ" ახალ ქართულში გავრცელებული და უფრო ადვილად წარმოსათქმელია. დავა ამ საკითხზე დიდხანს გაგრძელდა არა მხოლოდ ა. წერეთელთან, არამედ კ. დოდაშვილთან, ს. ხუნდაძესთან და სხვ., მაგრამ იაკობ გოგებაშვილმა არ დათმო თავისი პოზიცია, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ქართველთა საკმაო ნაწილი და ზოგიერთი მწერალიც (ა. ფურცელაზე, ნ. ლომოური...) "გაღიარებ" ფორმას იყენებდა...

საინტერესოა ამგვარ პოლემიკაში ჩაბმის მოტივის იაკობისეული ახსნა:

ჩვენს "პაწია სამაგიერო"-ს ბატონმა აკაკიმ პასუხი გასცა "კვალის" ოც-და-მეათე ნომერში სათაურით "არ ცოდნა არ ცოდვაო", სწორედ მოგახსენოთ, სხვა ვინმე რომ გამომპასუხებოდა ამ სახით, ყურადღებას არ ვათხოვებდი, მაგრამ აკაკი და უყურადღებობა! ეს ხომ მიუტევებელი, მამაკვდავი ცოდვა და უკადრისობა იქნებოდა. ესეც რომ არ იყოს, აკაკი ისეთს არაფერს დასწერს, რომ მოხერხებული შემთხვევა არ მოგცეს შენის აზრის გასაზიარებლად, გამოსამზერებლად. ისე გაკრავს კვესსა, რომ თავისს ტალსაც ნაპერწკლებს გააყრევინებს და შენც მადაზედ მოგიყვანს, შენს ტალსაც ბანი მიაცემინო და ნაპერწკლების კონცერტი გააჩაღო.

მაგრამ უმთავრეს ყურადღებას მაინც წამოყენებული მოსაზრებების დასაბუთების ტექნიკა და მეთოდი იქცევს:

იაკობი წამოსწევს ენობრივად მისაღები ფორმის შეფასების გარკვეულ წესებს; იგი წერს: „სიძმართლის აღმოსაჩენად შევადართო ფორმები: ახალი - **მადიარე** და ძველი -**აღმდარე**, **მადიაროს** - **აღმდაროს**, **ვადიარე** - **აღვიარე**. თქვენც დამეთანხმებით, რომ მეორე ფორმა უფრო ძნელი გამოსათქმელია და ამას გარდა ორაზროვანია, რადგანაც იმასაც ნიშნავს, რომ ახლო **ამიარე**, **ამიაროს**, მთა **ავიაროვო** და სხვანი, პირველს ფორმას კი ერთად-ერთი აზრი აქვს. თუ ესრედ წოდებულს სტილის ფილოსოფიას მივმართავთ, ისიც ამ ახლის ფორმის მოსარჩლე გამოდგება. ზმნაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა პირის მაჩვენებელს ასოს ანუ მარცვალს აქვს; თუ იგი სიტყვის თავშია მოქცეული, ეს ნამდვილი ღირსებაა ენისა, რადგანაც პირველსავე წამს შეიტყობთ, რომელ პირის ზმნასთანა გაქვთ საქმე და აზრს სწრაფად იგებთ. ამის გარდა საგრამატიკო ანალიზი მოსწავლეთათვის ძლიერ ადვილდება, როცა პირის მაჩვენებელი ასო თავში ზის და არ არის მოქცეული შუაში. ასე რომ, პედაგოგიური მოსაზრებაც ჩვენ მიერ ნახმარ ფორმას ამართლებს...”

იაკობ გოგებაშვილი პირუთვნელად აღნიშნავს, რომ ბატონი აკაკი სასტიკად უარყოფს ამ ახალს ფორმას და მხოლოდ ძველი ფორმა მიაჩნია კანონიერად. რა საბუთით? ერთადერთი საბუთი მოჰყავს: საღმრთო წერილში ასეა ნახმარიო. ჩვენ კი ვიცით ეს საბუთი, ყველანი მრწამსში ბავშვობიდანვე ვკითხულობთ: "აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა". მაგრამ საღმრთო წერილის ენაზედ მეათე საუკუნიდან აღარა სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ. ხომ მთლად დამარხვა მოგვინდება ახლანდელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში? (შდრ.: "ნუ შემეყვანებ ჩვენ განსაცდელსა...")...

ემპირიული მასალის კვალიფიციური მეცნიერული ანალიზის ნიმუშს წარმოგვიდგენს ერთი ფრაგმენტი იაკობის პოლემიკისა აკაკი წერეთელთან: **აღ-გ-იარ-ებ**. პირველს ნაწილს დავარქვით პრეფიქსი, მეორეს პირის მაჩვენებელი, მესამეს ძირი სიტყვისა, მეოთხეს დაბოლოება დროისა. აკაკი ბრძანებს: "**აღ**" რის პრეფიქსია, როდესაც იგი წარმოსდგება სიტყვიდან "**აღმა**"...

პოლემიკური პათოსი იაკობისა შეუპოვარია, მიუხედავად პოეტის დიდი ავტორიტეტისა: უფრო დიდი და აშკარა შეცდომა მოუვიდა აკაკის, როდესაც მან სიტყვის ძირად აღიარა არა "**იარ**", არამედ "**რებ**". რასა ჰქვია სიტყვის ძირი? იმ ნაწილს სიტყვისას, რომელიც არ იცვლება, რა რიგი ფორმაც უნდა მისცეთ სიტყვას. განა მარცვალი "**ებ**" უცვლელია საცილო სიტყვაში? სრულიადაც არა. იგი ბევრს ფორმაში სრულიად იკარგება, რის გამოც დღესავით ცხადი ხდება, რომ იგი მხოლოდ ლიტონი დაბოლოებაა ზმნის დროისა და სხვა არაფერი. მაგალითად ავიღოთ ფორმები: აღვიარე, აღიარე, აღიარო, აღიაროს. რა იქმნა ამ ფორმებში მარცვალი **ებ**, თუ იგი სიტყვის ძირს ეკუთვნის?

შემდეგ პოლემიკა სხვა საკითხზე გადადის - უკვე სინტაქტიკას შეეხება, კერძოდ, ზმნა-შემასმენლის ადგილს, და აქაც ვლინდება ავტორის ღრმა აზროვნება და კვალიფიციური დამოკიდებულება (რამდენიმე ფრაგმენტი):

აკაკის რომ ეს თვისება ენისა არ დავიწყებოდა, შესმენილის მოქცევას სულ ბოლოში არ მოინდომებდა და თავის პირველსავე ფრაზას არ დაიწყებდა, წინადადების იმისთანა წევრით (დედამიწის ზურგზედ), რომელსაც ისეთი მცირე მნიშვნელობა აქვს მსჯელობაში, რომ უიმისოდაც აზრი სრული გამოდის... სიტყვა "დედა-მიწის ზურგზედ" მის ფრაზაში ცოტათი აძლიერებს, საზღვრავს აზრსა და უგებს კითხვაზედ: სად არ მოიპოვება? განა ბევრი ფიქრი უნდა, რომ აზრი წინ უნდა უძლოდეს თავისს განსაზღვრულს, განმამდიერებელსა და არა უკანასკნელი უნდა უსწრებდეს პირველსა?

შესმენილით ფრაზის დაბოლოებას კეთილ-ხმოვანება მოითხოვსო, ბრძანებს აკაკი. კარგი, ვშინჯოთ. ავიღოთ ფრაზები: *აკაკი პოემას სწერს*, *აკაკი წერილს კითხულობს*. მოვაქციოთ ახლა ამ ორს წინადადებაში შესმენილი შუაში და შემავსებელი ბოლოში: *აკაკი სწერს პოემას*, *აკაკი კითხულობს წერილსა*. პირველ შემთხვევაში ფრაზები თავდება უხმო ასოებით, მეორეში - სრულხმოვანის ასოებით. აქ ბოლო სრულხმოვანია, იქ უხმო, ყრუ. რომელი უფრო კეთილ ხმიანია? რასაკვირველია, მეორე შენობის ფრაზები.

ამ დაკვირვების შემდგომ იკვეთება ზმნა-შემასმენლის ძირითადი ადგილი ქართულ მეტყველებაში:

ამ სახით, მოკლე წინადადებაში ქართველები შესმენილს ბოლოში ვაძლევთ ადგილსა არა კეთილ-ხმოვანებისათვის, არამედ ენის ბუნების მოთხოვნილებით. ხოლო ეს ბუნება ისეთი ვიწრო და ჯიუტი როდის არის, რომ იუაროს შესმენილის გადასმა შუაში და რადგანაც ამ გადასმას მოითხოვს აზრის სწრაფად გაგება და კეთილ-ხმოვანებაც, ამიტომ შემდეგში შეიძლება ჩვენის ენის კონსტრუქცია შეიცვალოს მოკლე ფრაზებშია და ამ ცვლილებით, მერწმუნეთ, არაფერი არ გაფუჭდება, როგორც არაფერი არ გაფუჭდა იმით, რომ რუსული ენა ბევრში ასცდა სლავიანურს კონსტრუქციას. ახლაც ამისთანა პროცესს ვხედავთ ჩვენს ენაში, ხშირად ლაპარაკშია და წერაშიაც, შესმენილს შუაში ვატანთ და მისს

შემავსებელს ბოლოში. რაც შეეხება დიდს, ვრცელს ფრაზებსა, წინედაც და ახლაც ჩვენი ენა შესმენილს ხმარობდა და ხმარობს შუა ადგილს, თანახმად სტილის ფილოსოფიის მოთხოვნისა“.

იაკობისეული დასკვნა სრულიად შეესაბამება იმ დროს დამკვიდრებულ საპოლემიკო სტილს და, ბუნებრივია, არცთუ დანდობილია:

ერთის სიტყვით, პირველი ფრაზა ჩვენის პოეტისა კოჭლობს სამის მხრივ: სიტყვების რიგი არეულია, კუდი თავად გარდაქცეულა, კეთილხმოვანება (დედამიწის ზურგზედ, ადამიანზედ) დარღვეულია და შეუსაბამოდ არის ნახმარი სიტყვა "ცხოველი", ნაცვლად სულიერისა, ან არსებისა...

ამავე წერილში წამოწეულია წინადადების წევრთა შეთანხმების საკითხი და აქაც ავტორი სრულიად კატეგორიულია:

ჩვენს აკაკის ჰგონია, რომ მეორე მისი ფრაზა: *"ადამიანს უკეთესი ცხოველი, ვირი და ძაღლი, ორივე ამოუჩემებია"*, ჩვენ დავიწყუნეთ ვითომც იმის გამო, რომ *"ამოუჩემებია"* არა მოგვწონდეს და *"ათვალწუნებას"* ვამჯობინებდით. არა, ბატონო, მიზეზი სრულიად სხვა გახლავთ. სიტყვები *"უკეთესი ცხოველი"* რამდენს სულიერს არსებას ეკუთვნის? ორსა: ვირსა და ძაღლსა. მაშასადამე, რომელი რიცხვის დაბოლოება უნდა ჰქონდეს? მრავლობითისა, ამას მოითხოვს ელემენტარული კანონი სიტყვების შეთანხმებისა. აკაკის ფრაზაში რა რიცხვით არიან ნახმარნი ეს სიტყვები? მხოლობითის რიცხვით... ამას გარდა, სიტყვების დალაგება არ ვარგა, მძიმეები შეუსაბამოდ არის ნახმარი, და გამოდის: *ადამიანს უკეთესი ცხოველი ორივე ამოუჩემებია*. უნდა ყოფილიყო: *ადამიანს ამოუჩემებია ვირი და ძაღლი, ორივე უკეთესნი ცხოველნი*...

ნორმატიული გრამატიკის საკითხები ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობაში არაერთი ასპექტით იჩენს თავს - ეს არის თავისთავადი საგრამატიკო მოსაზრებები თუ მწიგნობრული ქართულის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები. საკმაოდ კვალიფიციური მოსაზრებები აქვს გამოთქმული ავტორს არაერთ სხვა საკითხზე: სახელის ბრუნვათა რაოდენობა თუ ცალკეულ ბრუნვის ფორმათა მართლწერა. სწორი ანალიზისა და ენობრივი ინტუიციის ჩინებული ნიმუშია მესამე პირის მრავლობითის ის ფორმებიც (აკეთებდნენ, მოვიდნენ...), რომელთა სალიტერატურო არსებობის უფლებაც იაკობმა დაიცვა თავის ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში...

საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენს იაკობი ცალკეული სიტყვაწარმოების საკითხებს: თავის სიტყვას *"ჭკვიერი"* აკაკი შეცდომად არა სთვლის და ამართლებს ამგვარის მაგალითებით: **გონებიანი - გონიერი, ღონიანი - ღონიერი, გულისხმიანი - გულისხმიერი**. ეს გზა სწორედ ხრამზედ გადაგვჩენს. ჩვენ იძულებული შევიქმნებით კანონიერად ვალიაროთ (უკაცრავად "ადვიაროსთან") ორივე ფორმა შემდეგ მაგალითებში: ცხვირიანი - ცხვირიერი, თვალებიანი - თვალიერი, თმისანი - თმიერი, თავიანი - თავიერი, ტანიანი - ტანიერი, სვიანი - სვიერი, ქვიანი - ქვიერი და სხვანი და სხვანი. ამ გზით რომ იაროს ჩვენმა პოეტმა, ვის უცოდინარობასაც დაამტკიცებს? ნუ თუ ჩემსასა? არა მგონია.

ენისა და, შესაბამისად, ადამიანის აზროვნების განვითარებას დიდი მოღვაწე პიორდაპირ უკავშირებდა სათანადო ლექსიკის (ლექსიკონის) სიმდიდრეს: *"რამდენადაც ხალხი დაბლა დგას აზრებით და განვითარებით, იმდენად უფრო ლატაკია სიტყვებით, ფრაზებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს"* ("ივერია", N213, 1894). აი, ასეთი ზოგადი ხედვა არის საფუძველი პედაგოგიური მიზანდასახულებისა - გაიზარდოს აღსაზრდელთა ლექსიკური საგანძური.

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი საგანგებოდ ზრუნავდა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. უფრო მეტიც, იგი მიზანმიმართულად ცდილობდა, რაც შეიძლება ფართოდ აესახა ქართული ეთნოგრაფიული ერთეულების ლექსიკური საგანძური. სწორედ ამას ემსახურებოდა სინონიმის, მათ შორის, დიალექტურ სინონიმთა რეგულარული წარმოჩენა სასწავლო მასალებში. იაკობი მიუთითებს, რომ „დედა ენის“ ანბანში, „აკაკის დახმარებით“, გამოუტოვებია ყველა ის სიტყვა, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებიან... ვერ გამოუტოვებია, ანუ შეუნარჩუნებია მხოლოდ სიტყვა „თითა“... იმის გამო, რომ აქ ყოველი შემდეგი, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც მთავრდება წინა სიტყვა...

„რაც შეეხება დედა ენის მეორე ნაწილს, აქ ჩვენ თვით ტექსტში, აკაკისავე დახმარებით, ამიერს სიტყვებს გვერდში ამოვუყენეთ იმიერი სინონიმები. მაგალითად, **ფილთაქვა** ანუ **ქვასანაყი**, **ჩურჩხელა** ანუ **ჯანჯუხა**, **ლოქო** ანუ **ღლაღი**, **კორიანტელი** ანუ **ბდღვირი**, **ბაღლინჯო** ანუ **კედლისტილა**, **ხეკაკუნა** ანუ **კოდალა** და სხვანი“.

მიზანი გამოკვეთილია: „იმერი ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ ამიერ სინონიმებსა და ამერი მოსწავლენიც უნებლიეთ სწავლობენ კითხვის დროს იმიერ სინონიმებსა და ამ სახით ლექსიკონი სიტყვის ორივე მხარეს უმდიდრდება“.

ამგვარად, „დედაენაში“ ამგვარი სინონიმური წყვილები მიზანმიმართულად არის შემოტანილი: სადედებელი ანუ ხაში, ახალთესლი ანუ დიკა, ქერის პური ანუ ჯინჯილა, ნაქუჩი ანუ ნაგულა, თეფში ანუ საინი, ლოგინი ანუ ქვეშაგები, საჭრეთელი ანუ სატეხი, კომში ანუ ბია, მკვეხარა (ტრაბახა), ჩილიკა-

ჯოხი (რიკტაფელა, ჭაკუნა), ციგა - მარხილი, „ქოჩოჩი, რომელსაც გურულად კატარი ჰქვია“, „ამას ჰქვია ფოჩი, ზოგნი კი უღვამს ეძახიან“ და სხვ.

ასევე ზრუნავდა დიდი პედაგოგი ხალხის წიადიდან მომდინარე ლექსიკისა და მართებული ენობრივი ფორმების დასამკვიდრებლად. იგი ამ მიზნებისათვის იღებდა მდიდარ ხალხურ შემოქმედებასა და კლასიკურ მწერლობას და, როგორც ჩვენც გვქონდა შესაძლებლობა გვეჩვენებინა, თვით ამ ნაწარმოებებსაც ასწორებდა ენობრივად, როცა ამის საჭიროებას ენის სიწმინდის ინტერესები განაპირობებდა (მაგალითად, ვაჟას „არწივი“ და სხვ.)...

ამგვარად, იაკობი მხოლოდ ერთი რომელიმე საკითხით არ შემოფარგლავდა ენის სიწმინდეზე საუბარს; ასე ვთქვათ, სადავო მართლ "ვადიარო" - "ადვიარო" ფორმები არ იყო. იაკობ გოგებაშვილი ედავებოდა აკაკის არაერთი სხვა სიტყვის მართლწერაში, ჟურნალ "კვალის" თანამშრომლებს - იმერიზების ხმარებაში და სხვ. ამ წერილებში იგი გვევლინება როგორც საკმაოდ განსწავლული, მოაზროვნე მეცნიერი. სადავო საკითხები ზოგი გრამატიკას ეხება, ზოგი ფონეტიკას, ზოგი ლექსიკას, ყველაზე მეტი კი სტილისტიკიდანაა...

შეიძლება დავასკვნათ: იაკობ გოგებაშვილმა - ამ დიდმა მოღვაწემ - თავისი ენათმეცნიერული ცოდნა, თავისი პედაგოგიკური გამოცდილება ფართოდ გამოიყენა ქართული წერა-კითხვის სწავლების, ტექსტის ენობრივი ანალიზის, ელემენტარული წიგნიერების, გრამატიკის, მართლწერის, სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხების მეცნიერული კვლევისათვის - ქართული ენის შესწავლისა და სწავლების მეცნიერული საფუძვლების შესაქმნელად.

ლიტერატურა:

გ. გოგოლაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა. - ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბ., 2013.

ი. მეგრელიძე, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, თბ., 1973.

ივ. ქავთარაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, თბ., 1956.

შ. ძიდიგური, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა. - ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.

ზ. ჭუმბურიძე, მადლი "დედაენისა". - მადლი დედაენისა, თბ., 1982.

Avtandil Arabuli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

IAKOB GOGEBASHVILI ABOUT NORMATIVE REGULATION OF GEORGIAN LITERARY LANGUAGE RESUME

In the presented article is mainly outlined the fact that Iakob Gogebashvili widely used his linguistic knowledge and pedagogical experience not only in teaching Georgian educational language, but also in linguistic analyze of texts, elementary education, grammar, orthography, teaching stylistics and issues of speech development for scientific research, also for creating scientific basis of teaching.

ვიანორ ახალაია

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ოთარ ჩხეიძის პროზის ზოგი ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი

დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებთა ენის შესახებ ქართველ მეცნიერ-მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. მათ ახლა არ შეეხებოდა. ამასთანავე, მწერლის ენისა და სტილის ყოველმხრივი და საფუძვლიანი ანალიზი ჯერჯერობით არ ჩატარებულა. ეს მომავლის საქმეა. ჩვენ ამჟამად შევეცდებით წარმოვადგინოთ მისი პროზის ზოგი სტილისტიკური თავისებურება და წარმოვაჩინოთ ოთარ ჩხეიძის ენის მომხიბვლელობა.

გრამატიკული და სტილისტური ფორმები ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ საშუალებებთან ერთად ოთარ ჩხეიძესთან ფართოდ გამოიყენება, როგორც თავისებური ესთეტიკურ-სტილისტიკური ფუნქციის მქონე, ასეთია, მაგალითად, ემფატიკური ჲ.

როგორც ცნობილია, იგი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბრუნვის ნიშნის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს... ბოლოკიდურ -ა-ს დართვა ამჟამად - მეტწილ შემთხვევაში - უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურ ნორმას (1, 37). ძველ ქართულში კი -ა-ს ხმარებას მკაცრად განსაზღვრული, სისტემატიზებული ხასიათი ჰქონდა. ემფატიკური -ა (სახელი ემფატიკური მას ნ. მარმა უწოდა) დაერთოდა მხოლოდ საზოგადო სახელებს სამ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. თანამედროვე ქართული შეიძლება ვითარებით ბრუნვასაც დაერთოს. ახლა -ჲ-ს აღარა აქვს განსაზღვრების თვისება, ის ერთნაირად დაერთვის როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებსაც, რადგან თვითონ ენა აღარ ასხვავებს მას.

ოთარ ჩხეიძის თხზულებებში ემფატიკური -ა უმეტესად ავტორისეულ რემარკებში გვხვდება, მაგრამ იშვიათად მოქმედ პირთა მეტყველებაშიც არის წარმოდგენილი. ამასთანავე, მწერალი არ მისდევს სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ ემფატიკური -ა გამოყენების წესს, არამედ გარკვეულ კონტექსტში აქცევს და ამით თავისებურ ელფერს სძენს მას. ავტორის ამ მისწრაფებას გარკვეული სტილური ფუნქცია აკისრია - გააძლიეროს ენის ექსპრესული მხარე, უკეთ დაახასიათოს პერსონაჟები და სიტუაცია, უფრო დამაჯერებელი გახადოს გადმოცემული აზრი.

ამ მიზნით ოთარ ჩხეიძე იყენებს ხალხური მეტყველების, კერძოდ, ქართლური დიალექტის ენობრივ თუ ლექსიკურ თავისებურებებს. ისინი ბუნებრივად შეერწყა მწერლისეული მეტყველების ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ამ გამოთქმებს აქვთ სალიტერატურო მეტყველებისათვის უცხოობის ნიშანი. ეს ოთარ ჩხეიძის ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

წარმოვადგენთ ემფატიკური ჲ-ს ხმარების რამდენიმე ნიმუშს:

ჯიბეზე ორივე გაიკრავს ხელსა (არტ. გად. 51)

კარვები მაინც აუშლიათ ოპერის ბალშია (არტ. გად. 49)

ტაბლები ჩაუდგამთ დარბაზშია (თეთ. დათ. 343)

მაინც ჩაათავებს თავის სიტყვასა. ამასობაში მიუბრუნებენ უკვე მოძველებულ ლოზუნგებსა, უძრავობის დროინდელსა, მაშინდელი ბელადის გატყაპული სახითა რა თქმა უნდა, გადაკეცავენ, გადმოკეცავენ, შეუკრავენ ჯორჯოებსა და ფუმფულებს შორისა.

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილი საილუსტრაციო მაგალითებში და, უმთავრესად, სხვაგანაც ემფატიკური -ა წარმოდგენილია წინადადების ბოლო სიტყვაში. ამით თავიდან აცილებულია წინადადებების აზრობრივი დაუმთავრებლობის შთაბეჭდილება და მიღებულია ე. წ. ჩაკეტილი კონსტრუქციები. სავრცობი ამთავრებს და ხშავს კონსტრუქციას, წინადადების რკალის ერთგვარ შემკვრელად გვევლინება, ამასთანავე, ნაწარმოებს ორიგინალური სტილიზაციის ელფერს ანიჭებს.

პოეტური სინტაქსის ერთ-ერთ ხერხს, რომელიც აზუსტებს და აძლიერებს ჩვენს წარმოდგენას რომელიმე საგანზე, მოვლენაზე, მხატვრულ დეტალზე და სხვა, წარმოადგენს წინადადებაში სიტყვების, ცალკეული ფრაზებისა და თვით წინადადებების გამეორება. იგი მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაა. ვუწოდოთ მას პირობითად „გამეორების ექსპრესია“. ის არაა წმინდა ენობრივი მოვლენა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამ თავისებურებების გამოვლენა ენობრივი გამოყენების გზით ხდება, „გამეორების ექსპრესია“ ენობრივი სტილის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

„გამეორების ექსპრესია“ მწერლის თხრობის თავისებურებებს ემყარება და სხვა კომპონენტებთან ერთად ქმნის მის სტილს.

პოეტური სინტაქსის ეს ხერხი თხრობის ერთგვაროვან, უდისონანსო მანერას ეყრდნობა. მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს მკითხველის ყურადღების მოდუნება, რომ მკითხველმა ზუსტად იმას მიაქციოს ყურადღება, რაც ძირითადია ფრაზაში, ავტორი ერთსა და იმავე ფორმის განმეორებას მიმართავს. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი... გასამეორებელი ერთეულის არჩევანი წმინდა სუბიექტურია და სწორედ ამიტომ მწერლის თვისებები აზროვნებისა და, გარკვეულად, მისი „მწერლური ფსიქოლოგიის“ ახსნის გასაღებადაც იძლევა, რადგან „საგნების „შერჩევის“ დაჯგუფების პრინციპები, სახეთა გამოხატვის საშუალებები ატარებენ ავტორისეულ ინდივიდუალურობის კვალს.

მართებულად ამბობს ვინოგრადოვი: „ავტორის სახე“ იხსნება თხრობის ყველა ელემენტის შინაგან კავშირში, მის აზრობრივ მიმართულებაში, სახეობრივი განზოგადების დრამატულ ძალაში (2, 149). ერთი და იმავე ფორმის განმეორება მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით უცხო და მოულოდნელი არ არის ლიტერატურაში. პროზაში რიტმის-გარეგანი, ალქმის აქსესუარის გაძლიერების მიზნით შეიძლება მოხდეს შინაარსობრივად მსგავსი ლექსემების განმეორება, რადგან „მასალა სულაც არაა საწინააღმდეგო „ფორმისა“, ისიც „გაფორმებულია“, რამდენადაც არაკონსტრუქციული მასალა არ

არსებობს. მასალა ფორმაზე დამოკიდებული ელემენტია, რომელიც წინწამოწეულია კონსტრუქციების მეშვეობით. ასეთი წინწამოწეული კონსტრუქციული ფაქტორია ლექსში რიტმი, პროზაში - მასალა - სიტყვის რიტმული ერთეულები“ (3, 261). ამდენად, მასალის გამეორებას ერთი დანიშნულება აქვს - პროზაში რიტმული ელემენტების შემოტანა.

ეს ხერხი ტრადიციულია, კარგად ნაცნობი. ჯერ კიდევ სახარებაში ვხვდებით ამგვარი გამეორების კლასიკურ ნიმუშს:

„ნუ განსჯით და არ განისჯებით,
ნუ დაგმობთ და არ დაიგმობით,
მიუტევეთ და მოგეტევებათ“

(ლუკა, 1019)

მწერლის ინდივიდუალურობის წარმოსაჩენად „გამეორების ექსპრესიის“ განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ გამოვლინდება ამ პოეტური სინტაქსის განსხვავებული, თავისებური ფუნქცია. ოთარ ჩხეიძის პროზის ანალიზი გვიჩვენებს, ქართველ მწერალთაგან ყველაზე მეტად მასთან შეიძლება დაიძებნოს ამგვარი ფუნქციები. ეს ფუნქციები განსხვავებულია იმიტომ, თუ რა მეტყველების ნაწილის გამეორება ხდება, თუმცა სტილური ღირებულება ამგვარი „განმეორებადი ფორმებისა“ ყოველთვის ერთია - მკითხველის ყურადღების გამახვილება რაიმე ფაქტზე. გამეორება აძლიერებს წინადადების ემოციურ ძალას. პოეტური სინტაქსის ამ საშუალების გამოყენება უმეტესად ლოგიკური მხარის განსხვავებას ემსახურება. მას „გარკვეული ლოგიკური მახვილის ფუნქცია ეკისრება, იგი მსმენელის ყურადღებას აჩერებს და ამზადებს, გამოყოფს განსაკუთრებით მწვავე დრამატულ პუნქტს და ხელს უწყობს მოქმედების საერთო დამაბულობის გაძლიერებას, აძლიერებს აღწერითი ფაქტის დამარწმუნებლობის ძალას, გახაზავს გმირის რომელიმე თვისებას და შეხედულებას (4, 234).

განმეორებადი ელემენტები მეტყველების ნაწილების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დავალაგოთ. ესენია: ზმნური განმეორებები და ყველა სხვა მეტყველების ნაწილებისა.

ოთარ ჩხეიძის პროზაში სახელადი განმეორებით ფორმები ზოგჯერ მიმართვის ფორმებია, მისი დანიშნულება ისაა, მოსაუბრის ყურადღება მიიქციოს. ერთხელ დამახება მისთვის სრულიად საკმარისია. მეორედ და, მით უმეტეს, რამდენჯერმე მიმართვა მისამართი სახელების ისეთ სინონიმებს გვაძლევს, რომელიც მკითხველს უჩვეულოდ მიაჩნია. ი. არნოლდი შენიშნავდა, რომ ამგვარი მოვლენა სალაპარაკო სტილიდან მოდის და მას თავისი დანიშნულება აქვს: „სალაპარაკო სტილს, განსაკუთრებით კი ფამილარულ-სალაპარაკოს ახასიათებს „ემოციურად დომინირებული ელემენტის“ გამოყოფა (ბლუმფილდის ტერმინია) (5, 202). სინონიმური განმეორება სწორედ ამ ემოციურად დომინირებულ ელემენტს უსვამს ხაზს. როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმოზობრივად არავითარ დარღვევას ადგილი არა აქვს. ამიტომ ეს ლექსემები არ იწვევენ მკითხველის გაოცებას, არამედ ამახვილებენ ყურადღებას განმეორებად ელემენტებზე:

ენა!... ენაი!... სხვა ენის სახელმწიფო სხვისი იქნება.

თვალი გაახილეთ, ყური გამოიჩიჩქნეთ. ყური და თვალი

ყური და თვალი. ათასი ყური, ათასი თვალი

(თეთრ. დათ. 174)

შენ ფული ამოიღე... ფული. ფული. ფული.

(თეთრ. დათ. 174)

აქ წარმოდგენილ მაგალითებში განმეორებას აქვს თავისი სტილური დანიშნულება - მიმართვის ობიექტზე ყურადღების გამახვილება და პროზის რიტმის შენარჩუნება. ისინი ერთგვარად ამთლიანებენ და დამაჯერებელს ხდიან აზრს, ზრდიან მხატვრული სახის ემოციურობას.

უფრო რთული და მრავალფეროვანია ზმნური ფორმების გამეორების შემთხვევები და განსხვავებულია მისი სტილური ღირებულებაც. ზმნა-შემასმენელი თავისთავად დომინირებული ერთეულია - იგი წინადადების ბირთვია. მოქმედების ორჯერ და მეტად დასახელებით წინადადებას გაცილებით მეტი დინამიზმი ენიჭება.

იცის: რაც უნდა გაჯანჯლდეს საქმეი, ბოლოს უნდა ფულით დამთავრდეს, რაღა სხვის ხელში დამთავრდეს. ბარემ აქ დამთავრდეს.

(თეთ. დათ. 231)

ცაც იგლიჯება, იბდღვრნება, იფხრიწება და ყველა ერთად სადღაც იყრება, სადღაცა, სადღაცა, ჯერ მიუწვდომელ უძირობაში, ჯერ მიუწვდომელ უძირობაში, გონებისთვის მიუწვდომელში, ჯერ სახელიც რო არ დარქმევია, იყრება, ჰქრება.

(თეთ. დათ. 239)

მთელ ემოციურ ღირებულებას სწორედ ის ქმნის, რომ შემასმენელი, რომელიც ბირთვია წინადადებისა, ბოლოშია მოქცეული. ამდენად, აზრის ძალა და მისი დასასრული ერთდროულად გვეძლევა. ეს მოქმედების უწყვეტობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს.

ზმნური განმეორებული ფორმის ექსპრესიული ძალა, რა თქმა უნდა, გაიზარდა, თუმცა მეორედ მის ხმარებას არავითარი ფუნქციური დატვირთვა არა ჰქონია. მათი ემოციურად დომინირებულის როლს აძლიერებს ის, რომ ისინი სხვადასხვა წინადადების წევრები არიან.

ამდენად, ზმნური განმეორებადი ფორმების ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს ფრაზაში მათ მდებარეობასაც. საინტერესოა, როცა „განმეორების ექსპრესია“ მიღწეულია წყვილი ფორმების ურთიერთმიმდევრობით:

მოდითდა სიტყვა ახალი, დასავლეთის ცივილიზაცია
მოდითდა, სიტყვებით მოდითდა, მოდითდა და მოვიდა,
მოვიდა და შემოიჭრა, შემოიჭრა და დაეუფლა.

(თეთ. დათ. 172)

რომ ყოფილიყო მხოლოდ ასე: „დასავლეთის ცივილიზაცია ახალი სიტყვებით მოდიოდა“, აზრი, რა თქმა უნდა, იგივე იქნებოდა, ინფორმაციას მოქმედების შესახებ მივიღებდით, მაგრამ ვერ ვიგრძნობდით ამბის მთელ დრამატულობას. „მოდით“-ს ოთხჯერ, მოვიდას ორჯერ, შემოიჭრას ორჯერ გამეორება მიგვანიშნებს, რომ ამაში არის რაღაც არაჩვეულებრივი და ძალაუვნებურად გვამახვილებინებს ყურადღებას. მით უფრო, რომ ამ გამეორების წყალობით 4 მოქმედების ერთდროულობა გვეძლევა... ეს ფრაზას დინამიურს ხდის და ყურადღებას თავისთავად მბზავს. ამასთანავე, განმეორებული შემასმენელი ახალს წინადადების ბოლო ფრაზებში „და“ კავშირით უერთდება (მოდით და მოვიდა, მოვიდა და შემოიჭრა, შემოიჭრა და დაეუფლა) ეს მას უჩვეულო რიტმულობას ანიჭებს. დინამიზმი და რიტმულობა კი ეპიკური თხრობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

აქამდე განხილულ „განმეორების ექსპრესიის“ ნიმუშებს საერთო ჰქონდათ ის, რომ არავითარი ფორმოზრივი და შინაარსოზრივი განსხვავება მათ შორის არ იყო. მხოლოდ განაწილების მიხედვით განსხვავება აძლევდა მათ ფრაზის ემოციურად მეტ-ნაკლებად დამუხტვის უნარს. ამგვარი ფორმები გამოიყენებოდა არა სიმეტრიის დასამყარებლად, პირიქით, თხრობის რიტმის ასაჩქარებლად.

ორჯერ ერთი და იმავეს განმეორება რა ეფექტის მომცემია, უკვე ვნახეთ. ახლა საინტერესოა განვიხილოთ ისეთი ნიმუშები, როცა შემასმენელი ზუსტად იმეორებს შინაარსოზრივ ნიუანსს, მაგრამ აქვს განსხვავებული ფორმა. ენოზრივი მასალის იმ საშუალებიდან, რომელსაც ოთარ ჩხეიძე იყენებს მხატვრული სახის გამოსაძერწად, აღსანიშნავია სინონიმები. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას მწერალი სინონიმების ხმარების უბადლო ოსტატია. იგი გამოსახატავი საგნის ან მოვლენის, მისი თავისებურებების ზუსტად გადმოსაცემად, მისთვის გამომსახველობითი ძალისა და ემოციური იერის მისანიჭებლად იყენებს. ამ მიზნით მწერალი ირჩევს იმ საჭირო სიტყვებს, რომელსაც მოითხოვს კონტექსტი, რათა აზრი გადმოიცეს მკვეთრად და ზუსტად, თავიდან აიცილოს ერთნაირი სიტყვების გამეორება, ამით მთლიანად მწერლის შემოქმედება გარკვეულ სტილისტურ ელფერს იძენს.

ზმნური სინონიმური ფორმების განმეორების ნიმუშები, როცა შინაარსი ერთი და იგივეა, ხოლო ფორმა განსხვავებული:

და მაინც ქურდობამ, შესჭამა სახელმწიფო, მსოფლიოს რო აზანზარებდა, მექრთამეობამ შესჭამა, გამოხრა, გამოსრუტა, ჩააკნატუნა.

(თეთ. დათ. 232)

ემანჭებოდა, ექყანებოდა, ელრიჯებოდა, ეფშხალებოდა, ეჯაჯღუნებოდა, თვალსაც უკრავდა და ენასაც უყოფდა

(თეთ. დათ. 214)

... ჩიფჩიფებს, ბურტყუნებს ბაადური; ჰგონია, რო რიხით მოუწოდებს, მაგრამ არაო: ჩურჩულებს, დუდუნებს, ბურტყუნებს ბაადური.

(თეთ. დათ. 320)

ვგიჟრობთ, აქ წარმოდგენილი საილუსტრაციო მაგალითებიც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სინონიმური სიტყვები ხშირად ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს, ხატოვნად, სრულად და ნათლად წარმოგვიდგენენ სათქმელს. ყველაფერი ეს ისე ოსტატურად ჩაუქსოვია ფრაზაში, ისე მოხდენილად, ისე ლაზათიანად უთქვამს ოთარ ჩხეიძეს, როგორც ეს მხოლოდ დიდ მწერალს შეეძლო.

შემოკლებათა განმარტებანი:

თეთ. დათ. – „თეთრი დათვი“

არტ. გად. – „არტისტული გადატრიალება“

საილუსტრაციო მასალა:

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.

ო. ჩხეიძე, „თეთრი დათვი“, თბილისი, 1999.

ო. ჩხეიძე, „არტისტული გადატრიალება“, თბილისი, 2002.

ლიტერატურა:

1. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქემლ, 1, თბილისი 1950.
2. В.В. Виноградов, о языке художественной литературы, м., 1959.
3. Ю. Тынянов, Поэтика, история литературы, Кино, м., 1977.
4. ივ. ქავთარაძე, ილიას ქართული, ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1957.
5. И. В. Арнольд, Стилистика современного английского языка, Л., 1973.

Vianor Akhalaia

Gori State Teaching University

SOME LANGUAGE STYLISTIC CHARACTERISTICS OF OTAR CHKHEIDZE'S PROSE RESUME

Otar Chkheidze, by repetition of separate words and sentences, often uses poetic syntax which serves to maintain prose rhythm, expression, and increase emotionality of literal images.

Марианна Баласанян

Самцхе-Джавахетский Государственный Университет

«Русское слово» Якова Семёновича Гогобашвили

Яков Семёнович Гогобашвили - основоположник прогрессивной педагогики в Грузии, публицист, детский писатель. В 1861 окончил Тифлисскую духовную семинарию и в том же году поступил в Киевскую духовную академию, одновременно посещал лекции в Киевском университете. По состоянию здоровья вынужден был покинуть Академию и вернуться на родину. В 1864 Г. был назначен преподавателем Тифлисского духовного училища, а в 1868 - его инспектором. Он активно включился в национально-освободительное движение, возглавлявшееся И. Чавчавадзе и А. Церетели, и стал их ближайшим соратником. Большое влияние на Гогобашвили оказала русская революционно-демократическая литература (произведения В. Г. Белинского, А. И. Герцена, Н. А. Добролюбова, Н. Г. Чернышевского). Гогобашвили был просветителем-демократом, типичным шестидесятником. Он хорошо знал произведения классиков русской и западно-европейской прогрессивной педагогической мысли. Гогобашвили впервые в Грузии обосновал ряд проблем воспитания, образования и обучения. Он решительно боролся против жестокого режима в училище и иезуитских методов воспитания, доносов, физических наказаний. Прогрессивная, педагогическая деятельность Гогобашвили вызвала гонения со стороны администрации духовной семинарии, синода и царских чиновников, его обвиняли в распространении антиобществ, взглядов. В 1874 Г. был снят с должности как "политически неблагонадежный".

По инициативе Гогобашвили в 1879 было основано "Общество по распространению грамотности среди грузинского населения". Особенно велика заслуга Гогобашвили как автора учебников для народных школ. В 1865 выходит его первый букварь "Грузинская азбука" ("Картули эნიо анбани"), в 1868 - книга для чтения в старших классах нач. школы "Ключ к природе" ("Бунебис кари"), в 1876 - учебник родного языка "Родная речь" ("Дэда эна"), который переиздавался ежегодно до 1925. В 1872 было издано "Наставление о том, как должен вести работу преподаватель по азбуке и книге чтения" ("Даригеба масцавлеблиса, ту рогор унда цаикванос сцав-леба цера китхвиса картул анбанши"). По его учебникам несколько поколений груз. народа изучали родной яз. и родную страну.

Гогобашвили разоблачал русификаторскую политику царских чиновников. В то же время он, подчёркивая необходимость и важность изучения русского языка, писал: "Что касается в частности русского языка, то он для нас, грузин, имеет многообразное значение. ... это культурный язык, при содействии которого

мы усваиваем европейское образование; русский язык непременно станет одним из мировых языков; ...это язык того народа, с судьбами которого история и желание нашего народа соединили судьбы Грузии. Поэтому... мы, грузины, должны стараться вполне овладеть этим языком". В 1887 Гогобашвили выпустил учебник по рус. языку "Русское слово", который лёг в основу современного учебника русского языка (с 1945 является стабильным учебником в грузинской школе). Гогобашвили принадлежит также много работ по методике преподавания рус. языка в груз. школе. Им были написаны "Руководство для учителей и учительниц грузинских школ к преподаванию по книге «Русское слово» (1889), «Разбор учебных руководств по русскому языку» (1896), «О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения» (1902) и др. Гогобашвили указал пути сознательного, прочного и последовательного освоения учащихся знаний и навыков. Обучение, по мнению Гогобашвили должно строиться с учётом следующих требований: иметь развивающее и воспитывающее направление, базироваться на сознательном усвоении учащимися реальных знаний, быть связанным с жизнью и на этой основе готовить учащихся для активной деятельности на благо народа, учитывать возрастные, а также индивидуальные особенности учащихся. Ведущим принципом рационального обучения он считал сознательность. Важнейшее значение Гогобашвили придавал принципу наглядности в обучении русскому языку. Он считал, что не может быть сознательности, если обучение не пронизывает наглядность, "Итак, прежде предмет,- писал Г.,- потом его название; прежде зрительное впечатление, потом слуховое восприятие..." Наряду с другими дидактическими принципами, обеспечивающими усвоение детьми полноценных знаний, Гогобашвили важное значение придавал системе педагогических мер, способствующих овладению детьми прочными знаниями. Особенно выделял он сознательное повторение. Учебник "Русское слово" составлен по аналитико-синтетическому методу, который он впервые ввёл в Грузии. Порядок изучения букв установлен с учётом трудности самих букв. Весь материал для бесед, а также рассказы и стихи, помещённые в учебнике, взяты из окружающих детей явлений жизни и природы.

Гогобашвили - последователь К. Д. Ушинского. Ведущий принцип педагогического учения Гогобашвили является принцип народности, под которым он понимал воспитание, служащее интересам народа, защите его родного языка, поднятию его культуры. Основной целью воспитания он считал формирование всесторонне подготовленного гражданина - патриота, человека "нового типа" - "кто главной целью своей жизни считает счастье родной страны,.." (цит. по кн.: Лордкипанидзе Д., Выдающийся грузинский педагог Яков Гогобашвили, М., 1960, с. 13).

Литература:

1. Лордкипанидзе Д., Выдающийся грузинский педагог Яков Гогобашвили, М., 1960.
2. <http://pedagogic.ru/pedenc/item/f00/s00/e0000552/index.shtml>

Mariana Balasanyan *Samtskhe-Javakheti State Teaching University* **“RUSSIAN WORD” BY IAKOB GOGEBASHVILI** **RESUME**

Gogebashvili was an educator-democrat, typical representative of the sixtieth. He knew the works of Russian and Western European classics, their progressive pedagogical thoughts very well. The Russian revolutionary-democratic literature (works by V.G. Belinsky, A. I. Gertsen, N. A. Dobrolubov, N. G. Chernishevsky) had made a great influence on Gogebashvili. In 1887 he published the Russian language textbook “Russian Word,” which formed the basis of the modern Russian language textbook. The text book “RussianWord” was compiled by the analytic-synthetic method, which was first introduced in Georgia by Gogebashvili. The order of the letters to be studied was set by considering difficulties of the letters themselves. All the materials for conversation, as well as stories and poems, included in the textbook were taken from the children around, events of life and nature. Along with the other didactic principles ensuring getting proper knowledge by the children, Gogebashvili was attaching great importance to the system of pedagogical measures that helped children to get sound knowledge.

იაკობ გოგებაშვილი ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის შესახებ

ქართული ხალხური მუსიკა, როგორც ქართველი ერის უმდიდრესი შემოქმედება, ოდითგანვე ერის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. სიმღერა გახლდათ სწორედ ის ძალა, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა. ამიტომაც უფროსილდებოდა ქართველი კაცი თავის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ენას.

ქართული ხალხური სიმღერები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენს წინაპართა ადათებსა და ცხოვრების წესზე. ამდენად, ქართულ ხალხურ სიმღერას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. საქართველოში დღემდე შემორჩენილი უძველესი სარწმუნოების კვალი, რომელშიც ქართველთა მითოლოგიური წარმოდგენებია ასახული. ქართულ სოფელში დღესაც შეიძლება მოისმინოთ უძველესი შელოცვები, ამინდის ღვთაების საგალობლები, მზის სადიდებელი ჰიმნი, სამკურნალო სავედრებელნი და სხვა. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორ მღეროდნენ ჩვენი წინაპრები 2-3 ათასი წლის წინ.

აღსანიშნავია, რომ უძველესი სიმღერები მრავალხმიანია და გუნდურად სრულდება, რაც ქართული ხალხური მუსიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და გამორჩეული მხარეა. საუკუნეების მანძილზე ქართული ხალხური სიმღერა იხვეწებოდა და მდიდრდებოდა. „ჩაკრულოს“, „ლილეს“, „ჰასანბეგურას“, „მრავალქამიერის“, „იავნანას“ და კიდევ მრავალ უბრწყინვალეს სიმღერათა სამშობლო - საქართველო „მსოფლიო ხალხური მუსიკის სატახტო ქვეყნად იქცა“, ხოლო ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა მსოფლიო შედევრად აღიარეს. ქართველ ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს წინაპართა მიერ შექმნილი უძველესი და უმდიდრესი მუსიკალური კულტურით [11]

„სიმღერა... იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა... სიმღერა გულის-თქმაა...“ – წერდა ილია ჭავჭავაძე და მართლაც, სიმღერის, მუსიკის ზემოქმედების შესახებ მოზარდსა თუ ზრდასრულ ადამიანზე არაერთხელ აღნიშნულა ქართველ მოაზროვნეთა ნაწერებში.

ქართული ხალხური მუსიკისადმი სამეცნიერო ინტერესი ჯერ კიდევ XVII საუკუნის ქართველმა ენციკლოპედისტმა სულხან-საბა ორბელიანმა გამოიჩინა, რომელმაც ქართული სამუსიკო ტერმინების უმდიდრესი კრებული დაგვიტოვა. განსაკუთრებით გაცხოველდა ქართული მუსიკის ნიმუშთა შესწავლა-შეკრება XIX საუკუნეში. იქმნება ქართული სიმღერის პირველი ორგანიზებული გუნდები.

ამ მხრივ არც იაკობ გოგებაშვილი ყოფილა გამონაკლისი. შენიშნულია ხალხისაგან, რომ სამი მომკალი, აყოლით და ჰოოპუნათი მომუშავე, იმდენს გააკეთებს, რის გაკეთებაც ხუთს ცალ-ცალკე მუშას გაუძნელდება. რად? იმიტომ, რომ აყოლის დროს ადამიანის მოძრაობა მეორდება თითქმის თავისთავად. მხედველობას ეშველება სმენა და ორივე გრძნობანი შეერთებული ძალით ამოქმედებენ ადამიანის ასოებსა - საერთო მუშაობა, ერთს ყაიდაზე მომართული, აქეზებს, ამხნევებს მომუშავეთა, ერთობს მათ და დადლილობას გვიან ჰგვრის. ასე სასიკეთოდ მოქმედებს ტაქტი დიდებზეც და პატარებზედაც [8, 282] – წერდა ის თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში.

ი. გოგებაშვილის მრავალმხრივ ღვაწლზე არაერთგზის აღუნიშნავთ. ცალკე განხილვის ღირსია მისი დიდი დამსახურება ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის საქმეში. ი. გოგებაშვილი საფუძვლიანად, წინასწარგანჭვრეტით აგრძელებს სამოციანელთა საუკეთესო ხაზს „ბრძოლა ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო მომავლისთვის... მიაჩნია ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის განუყრელ ნაწილად, განათლების ფრონტი - ამ ფრონტის მოწინავე ფლანგად, და განათლების მუშაკთა რაზმი - საერთო არმიის უშიშარ ავანგარდად“ – წერდა გიორგი თავზიშვილი თავის გამოკვლევაში ი. გოგებაშვილის პედაგოგიკაზე [5, 38].

იაკობის აზრით, აღზრდას მრავალი მომენტი ახასიათებს, მრავალმხრივია მისი შინაარსი, მაგრამ ყოველი მისი მომენტი, ან მხარე შეიძლება განვითარების ოთხ ძირითად სახემდე დავიყვანოთ, ეს ძირითადი სახეებია - „გონებრივი, ზნეობრივი, **ესთეტიკური** და ფიზიკური განვითარება“ [5, 43] (ხაზი ჩვენია - ქ.ბ.) ჩვენი დაინტერესება ესთეტიკური განვითარების პროცესმა გამოიწვია, კერძოდ, იმის კვლევამ, როგორ ცდილობდა პედაგოგიკის მამამთავარი დაენახა მოზარდის მუსიკალურ განათლებაში მისი აღზრდის ჰარმონიულობისათვის საჭირო აუცილებლობა. ეს კი უპირველესად წარმოიჩინდა მის

საბავშვო მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?“ დიახაც ბავშვის პიროვნული ასპექტით ვითარდება ძალა მუსიკის ხელოვნებისა, რომელიც ძლიერია არა მარტო თავისი ბუნებრივი და სახის შინაარსით, არამედ - ფორმითაც. ამ მოთხრობაზე ბევრი თქმულა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, მაგრამ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მისი ფსიქოლოგიური ასპექტით კვლევას, რომლიდანაც საყურადღებოა ზოსიმე ხოჯავას ასეთი მინიშნება: მკვლევარი ჩერდება დ. უზნაძის განწყობის თეორიის მნიშვნელობაზე და ასკვნის, რომ მანამდე „იავნანას“ შორსწვდომი გავლენის დახასიათებით ი. გოგებაშვილმა ინტუიტიურად მიაგნო განწყობის დიდ როლს ადამიანის მოქმედებებში [5, 202]. ზ. ხოჯავას აზრით, ქეთოში ცვლილება მოიცავდა ბავშვის მთელ ბუნებას და თუ მანამდე მას ართობდნენ დედის სიმღერით, ანიჭებდნენ განუზომელ სიტკბოებას, შემდგომ ნაიბის ოჯახში, როდესაც მას აღარ ესმოდა ეს სიმღერა, თუმცა მტკივნეულად, მაგრამ მაინც გადაავიწყდა კიდეც, მაგრამ ეს ჰანგები, განცდები კი, რომელიც „მისი არსების იყო, ანუ რომელიც მისი ძალების გარკვეული მიმართულებით ამოქმედების განწყობას წარმოადგენდა და არა ცნობიერების კონკრეტულ შინაარსს, უკლებლივ დარჩა ქეთოში“ [5, 223]. შემდგომ უკვე მაისის მშვენიერი დილა, დედის უძლიერესი სურვილი, რაღაც გააკეთოს შვილის დასაბრუნებლად წინასწარ ამზადებს ამ განწყობას, ქეთოსთვის, რომლისგანაც ჩვეული სამყაროს დავიწყებას ითხოვენ და, უკვე „გაუცხოებულს“, მისთვის სთავაზობენ დედის მიერ ნამღერი ჰანგის მოსმენას, რომელიც „აღვიძებს, ხელახლა იწვევს მასში პირვანდელ მთლიან მდგომარეობას, როგორც საკუთარ ძალთა გარკვეული მიმართულებით ამოქმედების განწყობას, რის საფუძველზეც შემდეგ მოგონების კონკრეტული განცდებიც ჩნდებიან: „მისი ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოსუნთქვას, მაგრამ ზევიდან კეციკეცად აწვნენ სხვა წარმოდგენები და უშლიდნენ მაღლა ამოსვლას“ [2, 426]. აქ ერთია სიმღერის როლი, მაგრამ განა ყველა სიმღერისა? „იავნანაში“, რომელიც უძველესი საგალობელი იყო ნაყოფიერების ქალღმერთის დიდი დედა ნანასადმი, გენეტიკური კოდია ჩადებული, ქრისტიანობისშემდგომი პერიოდიდან მისი საბავშვო სიმღერების რიგში გადასვლამ, გააღვიძა ამ კოდის“ მოქმედება თოთო ბავშვობიდან. იაკობი ნათლად ხედავს ქეთოს სულიერ განწყობას, სიმღერის ძალას, ეს ხომ ერის გენეტიკური კოდის ზემოქმედებაა მის წარმომადგენლებზე. როგორ უნდა ჩაბეჭდილიყო მომავალი პედაგოგის მეხსიერებაში ის, ამაზე მისი ბიოგრაფიებიც მიგვანიშნებენ. ხალხური სიმღერისადმი იაკობის დამოკიდებულება კარგად ჩანს სოფრომ მაგალობლიშვილის მოგონებიდანაც: „იაკობი ცხოვრებაში მდებარე კაცი იყო ... უყვარდა სადილზე შექცევა, ლხინი, სიმღერა. ერთს ზაფხულს აგარაკად იყო სურამში; ვეწვიეთ მე და ვანო მაჩაბელიც, სურამში შეგვხვდა აკაკი და არისტო ქუთათელიძე. იაკობს ძალიან გაეხარდა, გაგვიმართა სადილი ფონას სადგურთან, მშვენიერს ჭალაში; ...სადილზე ბევრი ვილხინეთ, „მრავალ-ჟამიერს“, „კურდღელას“ და სხვა სიმღერებს თვით იაკობი იწყებდა და ჩვენ მოძახილს და ბანს ვეუბნებოდით“ [6, 191-192].

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკის როლს ბავშვის აღზრდაში. უფრო მეტიც, იგი საჭიროდ მიიჩნევდა მუსიკის სასწავლო პროცესში გამოყენებას. „ბავშვის გონება, დაღალული ვარჯიშობისაგან, ერთი-ორად-უფრო ჩქარა მოდის ღონეზედ სიმღერის ჟამსა, ვიდრე უბრალოდ დასვენების დროსა. საკმარისია პატარა ხანს შეაწყვეტინოთ შრომა დაღალულს კლასსა და სამ-ოთხ წამს ამღეროთ იგი, რომ ღონეზე ისევ მოვიდეს და მან ახალი ძალით და ხალისით გააგრძელოს ვარჯიშობა. ამიტომ ახლანდელი დროის სკოლა გამანათლებელ ქვეყნებში ყოვლად შეუძლებელია უსიმღეროდ“ [4, 382]

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობაში მნიშვნელოვან დიდაქტიკურ ფაქტად მიგვაჩნია ისიც, რომ ბავშვთა გულისა და სულის გაკეთილშობილებაში ზეპირსიტყვიერებას წიგნიერ გაცნობასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო მუსიკალური ჰანგებით აღქმა-გააზრება-დაამებასაც. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს „დედა ენის“ (1912 წ.) სახელმძღვანელოზე დართული „ქართული ხალხური სიმღერები – ბ. ბ. კარგარეთელის, ჩხიკვაძისა და არაყიშვილის მიერ“, ნოტებზე გადაღებული.

ამჟამად, დიდი პედაგოგი ამ დიდაქტიკური სიახლით, ბავშვთა მუსიკალურსა და ესთეტიკურ აღზრდას ემსახურებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლისათვის ქართული ხალხური სიმღერების გადაღების ინიციატორი თვით იაკობ გოგებაშვილი იყო. სწორედ მისი თხოვნითა და ხელშეწყობით გადაუღია ის პირველად მიხ. მაჭავარიანს [3, 181-185]. როგორც ჩანს, ეს ცნობილ პედაგოგს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით სჭირდებოდა. ამის შესახებ შენიშნავს მკვლევარი ვიქტორ ასათიანიც [1, 64-69]. იაკობ გოგებაშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ხალხური სიმღერების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მისივე სიტყვებს: „სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას, აჩვენებს ჰარმონიასა, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებას“ [3, 381]. იმავე წერილში ავტორი სიმღერის აღმზრდელობით ფუნქციაზე მსჯელობას კიდევ ერთხელ უბრუნდება: სიმღერას „სკოლის შრომაში შეაქვს სიხარულის

ელფერი, აღვივებს და აცოცხლებს სკოლის ცხოვრებას და მეტად უმსუბუქებს ბავშვებს იმ ტვირთსა, რომელსაც მათთვის შეადგენს სისტემატური გონებითი მუშაობა... სიმღერას იმისთანა მდგომარეობაში მოჰყავს ნერვების ცენტრები, რომ ასწრავებს სისხლის დენას ადამიანის ძარღვებსა და ტვინში, აჩქარებს ტვინის ნივთიერების განახლებას, აშორებს გონებას ყოველს შემაწუხებელს აზრსა და ზრუნვასა, შეჰყავს ადამიანი რაღაც სიამოვნების სფერაში, შლის მის გულსა, გონებას ამხნევებს და უხალისებს” [3, 382]. ზემოხსენებული საკითხი განხილული აქვთ პროფესორებს: ანტ. ხინთიბიძეს [9], თ. ჯაგოდნიშვილსა [10, 381-383] და არჩ. სპარსიაშვილს [7, 15].

ამრიგად, თამამად შეიძლება ვთქვათ იაკობ გოგებაშვილის საფუძვლიანი პედაგოგიური აზროვნებისა და მისივე ჯანსაღი დიდაქტიკური ალღოს წყალობით დავიწყებას გადაურჩა და მყარი დასაბამი მიეცა მუსიკალური ხელოვნებით ზეპირსიტყვიერი მასალების ბავშვთა გონებრივი და მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის მიზნობრივ გამოყენებას.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ვ., ი. გოგებაშვილის ესთეტიკურ-პედაგოგიური შეხედულებების ზოგიერთი საკითხისათვის, ჟ. „სკოლა და ცხოვრება”, 1990, №13.
2. გოგებაშვილი ი., საგანძური, თბ., 1982.
3. გოგებაშვილი ი., ვინ და როგორ გადაიღო პირველად ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები სახალხო სკოლებისათვის, რჩ. პედ. თხზ. თბ., 1977.
4. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, 1, თბ., 1952.
5. იაკობის სამრეკლო: წერილები, მოგონებები იაკობ გოგებაშვილზე (შემდგენელი), თბ., 1990.
6. მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, თბ., 1938.
7. სპარსიაშვილი არჩ., „ი. გოგებაშვილი და ხალხური შემოქმედება”, თბ., 1990.
8. ქართული ლიტერატურა, ავტ. კოლექტივი, თბ., 2013.
9. ხინთიბიძე ანტ., ქართული ხალხური და მეცნიერული პედაგოგიკის ურთიერთობის საკითხები (XIX), თბ., 1986.
10. ჯაგოდნიშვილი თ., „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია”, 2004.
11. <http://www.useug.com/music.html>

Ketevan Barbakadze

Gori State Teaching University

IAKOB GOGEBASHVILI ABOUT POPULARIZATION OF FOLK SONGS RESUME

The huge merit of Iakob Gogebashvili (1840-1912) has been mentioned many times. His great service for the popularization of folk songs needs to be discussed separately.

I. Gogebashvili perfectly and sufficiently continues the route, which the generation of 1860s has chosen. The sphere of our interest is exactly the process of aesthetical development, namely, how the pedagogics master tried to see the necessity of musical education of youth for his harmonic development. And this approach was first of all visible in his children's story "Iavnanam ra hqmna". ("What lullaby could do?")

The article shows the great merit of Iakob Gogebashvili for publicizing and popularizing folk songs. Their importance in aesthetical upbringing of the young generation is also emphasized in presented work.

მოსწავლეთა მოტივაცია, როგორც სასწავლო აქტივობა

ტერმინი „მოტივაცია“ პედაგოგიკაში მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობას, სწავლის მიმართ ინტერესსა და დადებით განწყობას აღნიშნავს. იგი ინდივიდუალურია, ამავე დროს არ არის თანდაყოლილი და უცვლელი. საკმაოდ დინამიურია და იცვლება ასაკთან სოციალური ფაქტორების ზეგავლენით.

არსებობს მოტივაციის ორი ფორმა – შინაგანი და გარეგანი. შინაგანი მოტივაცია – განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, შინაგანი ინტერესით, ხოლო გარეგანი მოტივაცია, როცა ადამიანის ქცევა განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით. გარეგანი ფაქტორებია სხვა პირის, მაგ., მასწავლებლის ან მშობლის მიერ შექება, წახალისება და სხვა.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. მოსწავლეებს, რომელთაც შინაგანი მოტივაცია აქვთ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის მაღალი უნარით, ისინი უფრო ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან.

გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეების მიზანია, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის (წახალისება, ჯილდო) მიღება. მათი მცდელობაა თავი აარიდონ რთულ დავალებებს. ხანგრძლივი დროით ამ მოტივაციის გამოყენება მნიშვნელოვნად აქვეითებს წარმატებების მიღწევას, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა, ერთ შემთხვევაში, მოსწავლის ქცევას წარმართავდეს გარეგანი ფაქტორი, მეორე შემთხვევაში კი – შინაგანი. ერთი და იგივე მოსწავლე სხვადასხვა დროსა და გარემოში შეიძლება იყოს ორიენტირებული ხან საკუთარ განვითარებაზე, ხან შესრულებაზე.

მოსწავლის სწავლისა და კოგნიტური განვითარების ხელის შესაწყობად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა წახალისოს, განამტკიცოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული ქცევა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც შეცდომა, წარუმატებლობა და სირთულე აღიქმება, როგორც მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანამედროვე ფაქტორები. მოტივაციის თემაზე ქართველი მეცნიერებიც მუშაობდნენ. მაგ., დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ „ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ, შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე შინაგანი მოტივაციის პირობებში“ [1. 103]. იგივე მოსაზრება ჰქონდა შ. ჩხარტიშვილსაც. თავის შრომებში ერთმანეთისაგან განასხვავებს შინაგან და გარეგან მოტივაციებს და აღნიშნავს, რომ „სწორედ ჰომოგენური“ (შინაგანი) მოტივაცია გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულებების შეგნებას. [2. 8].

უდიდესი გავლენა აქვს სასწავლო გარემოს რამდენიმე კომპონენტს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს კომპონენტებია: სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება – წახალისება და კონტროლის – პასუხისმგებლობის განაწილება.

სასწავლო აქტივობაში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობათა ერთობლიობა. ყოველი კონკრეტული სასწავლო აქტივობა მოსწავლისათვის საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების ერთგვარი საზომია. თუ მოსწავლე აქტივობას რთულად, დაუძლეველად მიიჩნევს, მაშინ ალბათობა დიდია იმისა, რომ მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და ინდიფერენტული გახდეს სწავლის მიმართ. შეიძლება მოტივაცია დაკარგონ იმ შემთხვევაშიც, როცა აქტივობა მარტივია, არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, უინტერესოა. ორივე შემთხვევა ნეგატიურად აისახება სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე.

როგორი უნდა იყოს დავალება, რომ მოსწავლე სიამოვნებით ერთვებოდეს მის შესრულებაში? მარტინი აღნიშნავდა, რომ „დავალება მოსწავლისათვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელია, თუ ის არის: 1. ორიგინალური და შემოქმედებითი; 2. მრავალფეროვანი, რაც უფრო განსხვავებულია ესა თუ ის აქტივობა მოსწავლისათვის უკვე კარგად ნაცნობისაგან, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი ინტერესით ჩაერთოს მის ჩართულობაში“ [3. 14].

გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისათვის ნათელი იყოს დავალების შესრულებაში ჩართვის აუცილებლობაც და შესრულების მიზანი. ამისათვის მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული აქტივობის დაკავშირება მოსწავლისათვის საინტერესო სფეროსთან.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის შეფასების პოლიტიკას. პოლიტიკაში იგულისხმება შეფასების სტანდარტები, კრიტერიუმები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების სიხშირე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შეფასების პოლიტიკის ობიექტურ მახასიათებლებზე, არამედ ამ მახასიათებლების ინტერპრეტაციაზე მოსწავლეების მიერ, იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად და ობიექტურად მიაჩნიათ მათ არსებული პოლიტიკა.

შეფასების სისტემის თავისებურებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსწავლეთა მოტივაცია არა მხოლოდ ხარისხობრივად, არამედ მიმართულების თვალსაზრისითაც. მასწავლებელი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს შეფასების სისტემის შემუშავებისას და მუდმივად უნდა აანალიზებდეს, თუ რა ტიპის ქცევას – შედეგებს წახალისებს მოსწავლეებში არსებული შეფასების სისტემით.

მოსწავლეთა მოტივაციაზე გავლენა აქვს იმასაც, თუ რას მიიჩნევენ ბავშვები შეფასების დანიშნულებად. ანდერმანი აღნიშნავს, რომ „შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ურთიერთ შედარებისათვის (ყველაზე წარმატებული მოსწავლის საჯაროდ გამოყოფა, საკლასო რეიტინგების შედგენა და ა.შ.) ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათ თვითშეფასებასა და ჩართულობაზე სასწავლო პროცესში“ [4. 35].

მაგალითად, თუ მოსწავლე რეიტინგის ბოლო ადგილზე მოხვდა, იგი დაკარგავს არა მხოლოდ ინტერესს სწავლის მიმართ, არამედ საკუთარი შესაძლებლობების რწმენასაც. შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია წახალისების პოლიტიკის საკითხის განხილვაც, მცირე წარმატებები შეიძლება გახდეს უფრო დიდი წარმატებების მიღწევის სტიმული.

ბოლო პერიოდში, სპეციალურ ლიტერატურაში მოსწავლის სწავლის მოტივაციის გაღვივების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიად განიხილება აკადემიური მიზნების მცირე „ქვემიზნებად დაყოფა“.

მარტივი მიზნების მიღწევა პროგრესის მიღწევის განცდას უჩენს მოსწავლეს. მცირე და მარტივი ქვემიზნების მიღწევის პირობებში იზრდება მოსწავლის დაინტერესება და მოტივაცია, დამოიღოს უფრო დიდი და რთული მიზნები.

მარტინი აღნიშნავდა, რომ „მოსწავლეებში წარმატების მიღწევის სტიმულირებისა და მოტივაციის გაღვივებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საგანგებოდ გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეების პროგრესზე, სისტემატურად მიაწოდოს მათ დადებითი უკუკავშირი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წახალისება და შექება ყოველთვის არ არის ეფექტური. თუ მოსწავლე ჩათვლის, რომ წახალისებისას მასწავლებელი არ იცავს სამართლიანობის პრინციპს, შესაძლებელია მან სწავლაზე აიცრუოს გული. პოპულარული არ უნდა გახდეს წახალისება მცირეოდენი წარმატებისათვის, ეს შეიძლება ნეგატიურადაც აისახოს მოსწავლის მოტივაციაზე“ [3. 14]. მაგალითად, თუ მოსწავლეს (დაწყებით კლასებში) აინტერესებს კითხვა და მისთვის ეს აქტივობა თავისთავად ღირებულია, ანუ ბავშვი შინაგანად არის მოტივირებული, მასწავლებლის მხრიდან ამ აქტივობის სისტემატური წახალისება მაღალი ნიშნით, საჯარო შექებით და ა.შ. შეძლება შინაგანი ინტერესის შესუსტების ან დაკარგვის წინაპირობა გახდეს.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვა-დაგეგმვაში. ტრადიციულად, მასწავლებელი სასწავლო პროცესის ძირითად მკონტროლებელ პირად გვევლინება. ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე, შეფასების სისტემაზე, განსახილავი საკითხების თანმიმდევრობაზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლა-განათლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკარგვას. რაკი მასწავლებელი თავის თავზე იღებს ყველაფრის პასუხისმგებლობას, მოსწავლეც ხდება პასიური და აღარ ზრუნავს აკადემიურ შედეგებზე.

მოსწავლეს არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი სწავლობს მასწავლებლისთვის და არა საკუთარი თავისთვის.

საჭიროა მასწავლებელმა ისეთი სასწავლო გარემო შექმნას, რომ მოსწავლეები ნაწილობრივ მაინც იყვნენ პასუხისმგებლები საკუთარ განათლებასა და განვითარებაზე. ამდენად გარემო, სადაც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად, სკოლის სრულფასოვან წევრებად გრძნობენ, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას.

მოტივაციის სტრატეგიები შეიძლება ავამაღლოთ:

- სასწავლო პროცესის გამდიდრებით, დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და ახალი სწავლების მეთოდების, სტრატეგიების გამოყენებით.
- მოსწავლეთა გააქტიურებით, რომელიც მოსწავლეთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ბავშვებისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის „გააქტიურება“ ბევრი სტრატეგიით შეიძლება, მაგალითად, დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა. ამისათვის მნიშვნელოვანია დროის სწორი შერჩევა.

ყველაზე ეფექტური სტრატეგიაც კი შეიძლება არ იყოს შედეგიანი, თუ კი მასწავლებელმა იგი დღის ბოლოს, დადლილ მოსწავლეებთან ან რაიმე სხვა შეუსაბამო დროს გამოიყენა.

- მოსწავლეთა ჩართვა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, ერთ-ერთი სახალისო და სასარგებლო აქტივობაა, რომელშიც მოსწავლეები შეიძლება იყვნენ ჩართულნი, აქ იგულისხმება მოსწავლეების ჩართვა სემესტრული ტესტების, კონკრეტულ თამაშთან დაკავშირებული კროსვორდების, სიტუაციური ამოცანების და სხვ. მომზადებაში.

- განსხვავებული სირთულის დავალებების აქტივობები, როცა ერთსა და იმავე საკითხზე – თემაზე განსხვავებული სირთულის ამოცანები, დავალებები და აქტივობებია მოფიქრებული. ეს შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობების და შესაფერისი დავალებების მიცემის გზით გავზარდოთ მათი მოტივაცია.

- „უნიშნო“ აქტივობები – ამგვარ დავალებებში მოსწავლეთა ყურადღება საბოლოო შედეგიდან უფრო პროცესზე გადაერთვება, მათთვის მნიშვნელოვანი იქნება არა იმდენად ნიშანი, არამედ პროგრესი და აქტიურობა.

- შეცდომები, როგორც სწავლის საუკეთესო საშუალება, მნიშვნელოვანია კლასში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებზე ნეგატიური შეფასების კრიტიკის ან შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. კოდუა აღნიშნავდა, რომ „დაშვებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება.“ [5. 60]. ზოგიერთი პედაგოგის აზრით, ეფექტურია მოსწავლეებისათვის საკუთარ ნაშრომში შეცდომების გასწორების შესაძლებლობის მიცემა, ვიდრე ამ შეცდომების წითელი კალმით მონიშვნა და შეფასების დაწერა.

- მოსწავლეთა გაკრიტიკება საჯაროდ ყოველად დაუშვებელია. საჯარო კრიტიკამ შეიძლება ძლიერი ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ზოგჯერ ყოველდღიურ ვითარებაში პედაგოგისათვის ეს შეუძლებელი ხდება საჯარო კრიტიკისაგან თავის შეკავება, მარამ ეს აქვეითებს ასევე მასწავლებლისადმი ნდობას და პატივისცემასაც.

- მიუკერძოებლობა – პედაგოგი უნდა იყოს მიუკერძოებელი. დაუშვებელია პიროვნული შეხედულებების და განწყობის გამოვლენა სასკოლო გარემოში. ეს ეხება როგორც ზოგადად ურთიერთობებს მოსწავლეებთან, ისე მათი შეფასებისა და წახალისების კონკრეტულ შემთხვევებს.

- ტესტირებისას სხვადასხვა ტიპის შეკითხვების გამოყენება ნამდვილად ეფექტურია სასწავლო პროცესში. ზოგიერთ მოსწავლეს წერის კარგი უნარი აქვს, ღია კითხვებს ადვილად სცემს პასუხს, ზოგს კი დახურული კითხვები მოსწონს. მასწავლებელმა უნდა შეუქმნას ცოდნისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის პირობები, რათა ინდივიდუალურმა თვისებებმა არ მოახდინოს ნეგატიური ზეგავლენა მოსწავლეთა ტესტირების შედეგებზე. კარგი იქნება, თუ დაცული იქნება ბალანსი ღია და დახურულ კითხვებს შორის.

ამდენად, საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლეებთან ურთიერთობაში უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის დამოკიდებულება, რწმენა, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და იყოს წარმატებული, თუმცა ამისათვის თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა და ყურადღება ესაჭიროება.

მასწავლებლის განწყობას მოსწავლის მიმართ ძალიან დიდი გავლენა აქვს მის განწყობაზე საკუთარი თავის მიმართ, მის თვითრწმენაზე და ზოგადად სწავლისადმი დამოკიდებულებაზე.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბ., 2003.
2. შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა, თბ., 1978.
3. Martin., A. & Dawson, M. (2009) Interpersonal relationships, motivation, egagement and achievement: yields for theory, current issues and educational practice, 2010.
4. Anderman, H., L. & Midgley, Motivation and Middle School Students, ERIC Digest, Retrived on December 1, 2010.
5. ნ. კოდუა, სოციოლოგია, II ნაკვ. თბ., 1999.

Tsira Bakradze
Gori State Teaching University
PUPILS' MOTIVATION, AS THE LEARNING ACTIVITY
RESUME

For raising the academic achievements, as well as a positive attitude towards learning and knowledge creation, it is important for teachers to care for its pupils' motivation.

Motivation is an internal state of the organism, which applies to the behavior of people in the desired direction. It is characterized by dynamics and depends on the individual and environmental factors.

Learning activities, evaluation of policies and responsibilities are the elements connected with the motivation.

The care of students' motivation should not be limited by specific classrooms. Motivated environment should be created throughout the school system.

Teachers should take care of the children's development in the inner motivation and in the formation of their oriental behavior. In this way, it is available to promote student success in school environments as well as in adults.

Strategies how to improve student's motivation:

- To Enrich the educational process;
- To make more active the students;
- To involve the students in checking the knowledge;
- Different tasks of activities;
- Activities without any "marks";
- Errors - the best way of learning;
- It is forbidden to criticize a student in publicity;
- Teacher's impartiality;
- Tests with different types of questions;
- The involving of the students in making the class decision;
- The individual approach to each student.

ლევან ბრეგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიყვარული და უკვდავება

(გრიგოლ ორბელიანთან გალაკტიონ ტაბიძის ერთი ინტერტექსტუალური შეხვედრის გამო)

რომანტიზმის პოეტური ტრადიციის, უწინარეს ყოვლისა კი ქართველი რომანტიკოსების, ზეგავლენა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, მეტადრე მის ადრეულ ლექსებზე, უდავოა. ქართველ რომანტიკოსთაგან გალაკტიონ ტაბიძის უდიდეს ინტერესს ნიკოლოზ ბარათაშვილი იწვევს. გალაკტიონის შემოქმედებაში უხვად მოიპოვება, და სათანადოდაც არის შესწავლილი, ინტერტექსტუალური მიმართებები „მერანის“ ავტორის თხზულებებთან.

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, მის შემოქმედებასთან გალაკტიონის მიმართებას „შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ერთადერთი ნაწარმოები, რომელსაც პოეტის გრ. ორბელიანთან მიმართებაზე მსჯელობისას იმოწმებენ, არის 1927 წელს გამოქვეყნებული ლექსი „ჩემო იარაღი“ (სიხარულიძე 2013: 134).

მით უფრო საგულისხმოა ერთ ინტერტექსტუალურ მიმართებაზე დაკვირვება, რომელიც შეინიშნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „უსიყვარულოდ“ (1914) და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ იმ მონაკვეთს შორის, რომელიც სიყვარულს ეძღვნება (ამ პარალელზე ჩემმა ქალიშვილმა, რუსუდან ბრეგაძემ, მიმითითა).

გრიგოლ ორბელიანი:

„მაშ სახე, სულის დამატკბობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორდების,
და სიყვარული, სულის მაშვენი, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,
თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგავდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?

უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!..“

(ორბელიანი 1959: 104)

(ხაზგასმები აქაც და ქვემოთაც ჩვენია. – ლ. ბ.).

გალაკტიონ ტაბიძე:

„და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით **უკვდავება**,
თვით **უკვდავებაც** არ არსებობს
უსიყვარულოდ!“

(ტაბიძე 1966ა: 174)

გრიგოლ ორბელიანის პოემის ამ ფრაგმენტის დარად, გალაკტიონის ეს ლექსიც სიყვარულის რომანტიკული კონცეფციის გამოხატულებაა.

სიყვარული რომანტიკოსთათვის არამარტო ადამიანის ცხოვრების, არამედ მთელი სამყაროს უმაღლესი ღირებულებაა. „მწერალი-რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებაში უმდეროდნენ სიყვარულს, კვლავ აცოცხლებდნენ ძველ წარმოდგენას მასზე, ვითარცა უნივერსალურ კოსმიურ ძალაზე, რომელიც აერთიანებს ადამიანსა და ბუნებას, იდეალსა და სინამდვილეს, სულიერებასა და მგრძნობელობას“ (შესტაკოვი: ინტ. 1).

გრიგოლ ორბელიანის პოემის ეს ნაწილი ზოგადად ქალ-ვაჟის სიყვარულის და კერძოდ „გულის სატრფოს“ მიმართ აღვლენილი სადღეგრძელოა. მხოლოდ ერთ ადგილას მიგვანიშნებს იგი იმ სიყვარულზე, რომელიც, „ვითარცა უნივერსალური კოსმიური ძალა“, სამყაროს მსჭვალავს: „მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნწელებათა, / ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!“ (ორბელიანი 1958: 103). კონტექსტი მიგვახვედრებს, რომ ვარდისა და ნიავის – ბუნების მოვლენათა – ურთიერთტრფობაზეა საუბარი.

გალაკტიონის ლექსი კი უკანასკნელი სიყვარულის აპოლოგიაა („მაგრამ სულ სხვაა სიყვარული / უკანასკნელი, / როგორც ყვავილი შემოდგომის / ხშირად პირველს სჯობს“. – ტაბიძე 1966: 173), მაგრამ იგი ყოვლისმომცველი სიყვარულის რომანტიზმისეული კონცეფციის დეკლარაციით იწყება: „უსიყვარულოდ / მზე არ სუფევს ცის კამარაზე, / სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება / სასიხარულოდ...“ (იქვე).

სიყვარულის უზენაესობის აღიარებისას ორივე პოეტი უკვდავებას იშველიებს – უსიყვარულოდ უკვდავებასაც კი არა აქვსო ფასი, აცხადებს გრიგოლ ორბელიანი; ხოლო გალაკტიონი სიყვარულის გარეშე ვერც სამყაროს მოიაზრებს და ვერც უკვდავებას (შდრ. გერმანელი პოეტის იოჰან ქრისტიან გიუნთერის [1695-1723] სტრიქონები: „ვისაც ჭეშმარიტი სიყვარული და სიბრძნე აკეთილშობილებს, / მხოლოდ ის არის უკვდავი [სიტყვასიტყვით: „მოკვდომისაგან თავისუფალი“ – „Wen wahre Lieb und Weisheit adeln, / Der ist allein vom Sterben frei“. – გიუნტერი ინტ. 2).

სიყვარულის ამ სადიდებელთა სათავე ახალ აღთქმაშია (პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 1, თავი 13).

„სადღეგრძელოს“ ავტორს უკვდავება სამოთხეში მოხვედრილი სულის მარადიულ არსებობად ესახება, რაზედაც მკაფიოდ მიგვანიშნებს სიტყვები „იმიერ სოფელი“ და „სასუფეველი“ ზემოთ ციტირებულ სტროფში („მამ სახე, სულის დამატკბობელი, **იმიერ სოფელს** არ განგვშორდების, [...] უსიყვარულოდ **სასუფეველი**, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!..“), ხოლო გალაკტიონი კი უკვდავებაში, როგორც ჩანს, **ამქვეყნიურ** უკვდავებას („და არ არსებობს **ქვეყანაზე** თვით უკვდავება... უსიყვარულოდ“), ანუ ხალხის ხსოვნაში უკვდავებას გულისხმობს, რაც პოეტისთვის დიდი შემოქმედებითი წარმატების მიღწევით არის შესაძლებელი (შდრ.: პლატონი „ნადიმში“ უკვდავების იმ ფორმას, რომელიც დიდი შემოქმედებითი წარმატების შედეგად ხალხის ხსოვნაში დარჩენით მიღწეულ უკვდავებას გულისხმობს, უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე შთამომავლობაში გაგრძელებულ გენეტიკურ უკვდავებას. – პლატონი 1964: 60-61). პოეტის სიტყვები: „და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“, ალბათ, ისე უნდა გავიგოთ, რომ დიდი შემოქმედებითი წარმატება, ამქვეყნიური უკვდავების გარანტი, უსიყვარულოდ ვერ მიიღწევა.

პოეტური დიდების გარეშე რომ მისთვის არაფერს, მათ შორის არანაირი სახის უკვდავებას, ფასი არ ჰქონდა, გალაკტიონმა აშკარად განაცხადა მოგვიანებით, 1922 წლით დათარიღებულ ლექსში „ცხოვრება ჩემი“:

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია.

იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე.

მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,

რომლის გარეშე – **უკვდავებაც** არაფერია“.

(ტაბიძე 1966ბ: 89)

ამ ლექსში თემატიზებულია პოეტის უკვდავების უძველესი მოტივი, რომელიც ჩვენთვის თვალმისაწვდომ წარსულში პლატონიდან იღებს სათავეს და შემდგომ ვის შემოქმედებაში აღარ იჩენს თავს, იქნება ეს ჰორაციუსი, პუშკინი („ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი“) თუ მრავალი სხვა.

დამოწმებანი:

გიუნთერი ინტ. 2: <http://books.google.ge/books?id=OGk6AAAAcAAJ&pg=PA18&lpg=>

ორბელიანი 1959: ორბელიანი, გრიგოლ. თხზულებათა სრული კრებული. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1959.

პლატონი 1964: პლატონი. ნადიმი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

სიხარულიძე 2013: სიხარულიძე, ნათია. ქართული რომანტიზმის პოეტური ტრადიცია და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. თბილისი: 2013. სადოქტორო დისერტაცია.

ტაბიძე 1966ა: ტაბიძე, გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ტაბიძე 1966ბ: ტაბიძე, გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

შესტაკოვი ინტ. 1: შესტაკოვი, ვ. პ. ეროსი და კულტურა: სიყვარულის ფილოსოფია და ევროპული ხელოვნება. რუს. ენაზე. <http://www.lyubi.ru/phil7.5.2.php>

Levan Bregadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

LOVE AND IMMORTALITY

(Owing to Galaktion Tabidze's intertextual concurrence with Grigol Orbeliani)

RESUME

The semantic and lexical concurrence, which may be noted between one place in Grigol Orbeliani's long poem "A Toast" and Galaktion Tabidze's poem entitled "Without Love" (1914), lets us suppose that as the intertext to this Galaktion Tabidze's early masterpiece served Grigol Orbeliani's above-mentioned work.

Both works are based on the romantic concept of love, as of a universal cosmic force, without which even the immortality has no value.

Although, in Grigol Orbeliani's imagining the immortality is an eternal existence of a soul in the paradise, and for Galaktion Tabidze the immortality is the surviving of a person in the decedents' memory, the guarantee for which is the person's great success in their creations.

თეა ბურჭულაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

წევრ-კავშირის რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევებისათვის მედიაში

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულიადაა აღნიშნული, რომ სინტაქსური პრობლემატიკა (წევრთა ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა წინადადებაში, მარტივ და რთულ წინადადებათა მონაცვლეობა და სხვ.) მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველებისა და წერის სტილის საკითხებთან. ამიტომაც ცალკეული სინტაქსური პრობლემების წინ წამოწევა აუცილებელი გახდა. ცოცხალ მეტყველებაში არსებულმა არაერთმა სინტაქსურმა თუ სტილისტიკურმა შეცდომა-უზუსტობამ თავი

იჩინა მასმედიაში და, მათ შორის, პრესაშიც. ჩვენი სტატია სწორედ ერთ-ერთ სინტაქსურ საკითხს, კერძოდ, ჰიპოტაქსურ წინადადებაში წევრ-კავშირის შემასმენელთან და სახელთან რიცხვში შეუთანხმებლობის გამოყენების შემთხვევებს ეხება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან. დამოკიდებული წინადადება მთავარზეა დაქვემდებარებული. ზოგადად, დაქვემდებარება კი სხვადასხვა საშუალებითა და ხერხით ხორციელდება - აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნული მახასიათებლებითაა გამოხატული, ზოგი კი შინაგანი ნიშნითაა წარმოდგენილი (კვაჭაძე 1996:383).

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარებისას გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ზმნიშედები და მიმართებითი ნაცვალსახელები. ამათგან მაქვემდებარებელი კავშირი დამოკიდებული წინადადების მთავართან მხოლოდ გადამმის, მისი დაქვემდებარების საშუალებაა, რადგან ის არ არის წინადადების წევრი. მიმართებითი სიტყვა კი წინადადების ერთ-ერთი წევრიცაა და ამავე დროს მაქვემდებარებელი კავშირის როლსაც ასრულებს, ე.ი., ის წევრ-კავშირია (კვაჭაძე 1996:384). მაგალითად: „**საცა** მუქარა და ხალხის სახელი არ გასჭრიდა, ახმახი ჯაყო გაბავშვდებოდა, გაკრავდებოდა და აცრემლდებოდა“ (ჯავახ.); „ისეთი რამე არის, **რაც** მე არ ვიცი?“ (გოთ.); „**ვისაც** შენი დალუპვა უნდა, ჯერ მე მომიღებს ბოლოს“ (ჭილ.); „ვაი მას, **ვისაც** ბუხრის წინ არაფერი აქვს მოსაგონებელი“ (ლეონ.); „იმის გაგება მაინც არ შეეძლო, **რაც** მის ქვეყანაში ხდებოდა“ (ჭილ.); „იქნებ ეს აღმოჩნდეს ერთადერთი ადამიანი, **რომელსაც** თავის სულსა და გულს გადაუშლის“ (ფანჯ.); „შენ ლერწმის ქოხთან ფუსფუსებ, დედა, **სადაც** რბის განგი დაუდეგარი“ (კალანდ.). დასახელებულ წინადადებებში **საცა**, **რაც**, **ვისაც**, **რომელსაც**, **სადაც** არა მხოლოდ დაქვემდებარების საშუალებებია, არამედ ისინი წინადადების წევრებიც არიან. პირველსა და ბოლო წინადადებაში **სადაც** ადგილის გარემოებაა და ამავე დროს კავშირის როლსაც ასრულებს. მეორე წინადადებაში **რაც** პირდაპირი დამატებაა, ხოლო მეხუთე წინადადებაში ის ქვემდებარეა. ქვემდებარეს გამოხატავს ასევე დასახელებულ წინადადებებში **ვისაც** მიმართებითი ნაცვალსახელი, ხოლო **რომელსაც** დაქვემდებარების საშუალების გარდა ირიბი დამატებაა.

ქართულში წევრ-კავშირისა თუ მიმართებითი სიტყვების შეთანხმება შემასმენელთან ან სახელთან თავისუფალი, ნებისმიერი არ არის. მათი მიმართება გარკვეულწილად ნორმატიულია:

1. მხოლოდობით რიცხვში დასმულ მისამართ სახელთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლოდობით რიცხვშია.
2. მრავლობით რიცხვში მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობითში უნდა შეეწყოს.
3. **რომელიც** წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ, როცა ასახსნელი წევრი მრავლობითშია, სულერთია, **-ებ** სუფიქსითაა ნაწარმოები ის, თუ **-ნ**, **-თ** ბოლოსართით, სულიერია თუ უსულო.
4. **რომელიც** მიმართებითი სიტყვა მრავლობით რიცხვში დგას მაშინ, როცა ის მიემართება მხოლოდობითში დასმულ ისეთ სახელს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი (ბევრი, მრავალი, ყველა, რამდენიმე...).
5. **რომელიც** წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში უნდა დაეწეროთ, როცა ასახსნელი წევრი ორ და მეტცნებიანია: დედ-მამა, და-მმა, ცოლ-შვილი...(თოფურია 2005: 107)
6. **რომელიც** მრავლობით რიცხვშია, როცა ის მიემართება შერწყმული წინადადების მხოლოდობითში დასმულ ერთგვარ წევრებს.
7. **ვინც**, **რაც** სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „გათიშულია“: ის რიცხვში უთანხმდება მთავარი წინადადების სასაზღვრ სიტყვას, ბრუნვაში კი ეთანხმება დამოკიდებული წინადადების შემასმენელს. როდესაც მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს ვითვალისწინებთ, მისი ბრუნვა არ შეიძლება გაუთვალისწინებელი იყოს, რადგან ამას უთუოდ მოითხოვს სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი ქვეწყობის ფარგლებში (ერთელიშვილი 1963: 240-241).
8. ზოგადად, **ვინ** ნაცვალსახელს მრავლობითის ფორმები არ გააჩნია, მაგრამ ის შინარსობრივად შეიძლება მრავალსაც გამოხატავდეს. ასეთ დროს ხშირია ზმნა-შემასმენლის აზრობრივი შეთანხმება ვინ ნაცვალსახელით გამოხატულ სუბიექტთან. ამგვარ შემთხვევაში, როგორც ეს მრავლობითის არმქონე სიტყვებს ახასიათებს, ზმნა მხოლოდობითი რიცხვის ფორმით (შეუთანხმებლად) უნდა იყოს წარმოდგენილი (არაბული 2001:164-165). ასეთივეა ნორმა **ვინც** წევრ-კავშირის შემთხვევაშიც.

ასეთია ზოგადი ნორმები მიმართებითი სიტყვებისა თუ წევრ-კავშირის რიცხვში შეთანხმების შესახებ. გამოვლინდა ის, რომ განსაკუთრებით არის აღრეული **ვინც** წევრ-კავშირისა და **რომელიც-რომლებიც/რომელმაც-რომელთაც** ფორმების რიცხვში შეუთანხმებლობის ნორმები, წესები. ეს ეხება

როგორც ტელევიზიის, ასევე ბეჭდური მედიის წარმომადგენლებს. ასეთივე ვითარებაა პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა გამოსვლებსა თუ მიმართვებშიც - არ ეწევა ანგარიში წევრ-კავშირის გრამატიკულ და შინაარსობრივ გამოხატულებას და ისე მკვიდრდება აქტიურად სასაუბრო ლექსიკასა თუ ნაწერებში. ჩვენ ასეთ რამდენიმე შემთხვევაზე გავამახვილებთ ყურადღებას მასმედიიდან. მაგალითად: „ისინი, **ვინც** ამ ცვლილებას ხმას არ **მისცემენ**, ფაქტობრივად დიქტატურის მხარდამჭერნი არიან“ (გაზ. „24 საათი“); „მათ დააკავეს **ორი მოქალაქე, რომელმაც** წერეთლის ქუჩაზე ჩხუბი ატეხეს“ (გაზ. „ახალი თაობა“); „ეს არის ის **დოკუმენტები, რომელიც** ყველამ უნდა ნახოს, უნდა გასაჯაროვდეს“ (გაზ. „რეზონანსი“); „სწორედ ამიტომ, დეკემბრის **მონაცემები, რომელიც** საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა 2013 წლის იანვარში გამოაქვეყნა, პანიკის საფუძველი შეიძლება გახდეს“ (გაზ. „24 საათი“); „დასაფასებელია ის **რეფორმები, რომლის** მეშვეობითაც ევროპა კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს“ (გაზ. „ახალი თაობა“); „ნუ ივიწყებთ იმათ, **ვინც** აგვისტოს ომში სამშობლოსთვის თავი **გასწირეს**“ (გაზ. „24 საათი“);

უნდა აღინიშნოს, რომ სწორი, ნორმატიული ფორმების გვერდით უმართებულო ვარიანტებიც მრავლად შეგვხვდა ბეჭდურ მედიაში. როგორც ჩანს, არაა გათვალისწინებული წევრ-კავშირის რიცხვში შეთანხმების სათანადო პრინციპები. წინადადებაში „ისინი, **ვინც** ამ ცვლილებას ხმას არ **მისცემენ**, ფაქტობრივად დიქტატურის მხარდამჭერნი არიან“, **ვინც** ფორმაში, რასაკვირველია, მრავლობითი რიცხვია ნაგულისხმევი, რამდენიმე პირს გულისხმობს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მასთან ზმნა-შემასმენელი ფორმობრივად მხოლოდობით რიცხვში უნდა შეეწყოს - ისინი, **ვინც** ამ ცვლილებას ხმას არ **მისცემს**, ფაქტობრივად დიქტატურის მხარდამჭერნი არიან. ასევე უნდა იყოს მსგავს წინადადებაშიც: „ნუ ივიწყებთ იმათ, **ვინც** აგვისტოს ომში სამშობლოსთვის თავი **გასწირეს**“. წინადადება ასე გაიმართება - „ნუ ივიწყებთ იმათ, **ვინც** აგვისტოს ომში სამშობლოსთვის თავი **გასწირა**“. რაც შეეხება წევრ-კავშირ **რომელიც/რომლებიც** რიცხვში შეთანხმებას, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში არასწორია. წინადადებაში „მათ დააკავეს **ორი მოქალაქე, რომელმაც** წერეთლის ქუჩაზე ჩხუბი ატეხეს“ **რომელიც** მიემართება ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელ სახელს, შესაბამისად, მრავლობით რიცხვში უნდა შევუთანხმოთ - „მათ დააკავეს **ორი მოქალაქე, რომელთაც** წერეთლის ქუჩაზე ჩხუბი ატეხეს“. რაც შეეხება ამ ტიპის წინადადებებს: „ეს არის ის **დოკუმენტები, რომელიც** ყველამ უნდა ნახოს, უნდა გასაჯაროვდეს“; სწორედ ამიტომ, დეკემბრის **მონაცემები, რომელიც** საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა 2013 წლის იანვარში გამოაქვეყნა, პანიკის საფუძველი შეიძლება გახდეს“; „დასაფასებელია ის **რეფორმები, რომლის** მეშვეობითაც ევროპა კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს“ **რომელიც** მიემართება მრავლობითი რიცხვით გამოხატულ სახელთან და ამიტომ შესაბამის რიცხვში უნდა შეიწყოს. ეს წინადადებები მართებული იქნება ასე: „ეს არის ის **დოკუმენტები, რომლებიც** ყველამ უნდა ნახოს, უნდა გასაჯაროვდეს“; „სწორედ ამიტომ, დეკემბრის **მონაცემები, რომლებიც** საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა 2013 წლის იანვარში გამოაქვეყნა, პანიკის საფუძველი შეიძლება გახდეს“; „დასაფასებელია ის **რეფორმები, რომელთა** მეშვეობითაც ევროპა კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს“. როგორც ჩანს, უმართებულო ფორმები ასეთ შემთხვევებში გამოწვეულია იმ ნორმის გათვალისწინებით, რომ უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელთან ზმნა-შემასმენელი მხოლოდობით რიცხვში შეეწყობა. ამის ანალოგიით მიმართებითი სიტყვებიც მხოლოდობით რიცხვშია შეთანხმებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ ასახსნელი სიტყვა მრავლობით რიცხვშია, მაშინ სულერთია, ის სულიერი იქნება თუ უსულო, **რომელიც** წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში შეეწყობა. რაც შეეხება ერთზე მეტი რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველ ასახსნელ სიტყვასთან წევრ-კავშირის მხოლოდობით რიცხვით გამოყენებას, ესეც იმ ანალოგიითაა განპირობებული, რომ ასეთი სიტყვები ზმნა-შემასმენელს მხოლოდობით რიცხვში შეიწყობენ: ორი კაცი მოვიდა; რამდენიმე მოსამართლე გამოცდაზე გავიდა, ყველა ამას ამბობდა და სხვ...თუმცა, ჰიპოტაქსური წყობის წინადადებაში ასეთ სიტყვებთან მართებულია **რომელიც** წევრ-კავშირის მრავლობით რიცხვში გამოყენება.

ვფიქრობთ, წინადადებათა სინტაქსური თვალსაზრისით მართებულად გამართვა წერისა და მეტყველების კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძირითადი ფაქტორია და ის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

წევრთა ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა წინადადებაში, სინტაქსური თუ მორფოლოგიური, ასევე სტილისტიკური პრობლემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველების საკითხებთან. ამ საკითხების ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის დაცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასმედია, მისი წარმომადგენლები, პოლიტიკოსები თუ საჯარო მოხელეები. ამიტომაც მათი მხრიდან უმართებულო და ქართულისათვის ხელოვნური ფორმების ნებსით თუ უნებლიეთ გავრცელება პირდაპირ უწყობს ხელს მათ დამკვიდრებას. შედეგად ფართო საზოგადოება ისე იღებს მსგავს ფორმებს, როგორც სწორსა და მისაღებს. ამიტომ საჭიროა მეტი სიფრთხილე და მზრუნველობა მშობლიური ენის მიმართ, რათა გავითვალისწინოთ ენის ნორმატიული წესები და დავიცვათ ქართული არასწორი ფორმებისაგან.

ლიტერატურა:

1. არაბული, 2004 - ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი
2. ერთელიშვილი, 1963 - ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, თბილისი
3. თოფურია, 2005 - ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი
4. კვაჭაძე, 1996 - თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეოთხე გამოცემა, თბილისი

Tea Burchuladze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics,
St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia*

CASES OF NUMBER NON COMBINATION OF MEMBER-CONJUNCTION IN MEDIA SUMMARY

In the Georgian Language the coordination of connectors or the relative words with the predicate or the parts of speech (such as adjective, noun, numeral and pronoun) is not free and flexible. In a way it is normative. In the Press we found a number of incorrect forms. As it seems the relevant principles of linking the connector with other members of the sentence according to singular or plural number is not considered.

The occurrences of incoordination with the number of the connector ვინც (who) and the forms რომელიც-რომლებიც/რომელმაც-რომელთაც (which) are very frequent. This applies to both television and the Press representatives. We have the same situation in the speeches of politicians and public figures. The grammatical and contextual expression of a connector is not considered and the incorrect forms is being set in the speech vocabulary and written texts.

We think that the correct syntax of sentences is one of the most important key factors in the writing and speaking culture and it should not be ignored.

გიორგი გოგებაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

„დედაენა“ – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

**

„დედაენას“ – საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს – 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

**

ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო – „დედაენა“ – იაკობ გოგებაშვილმა პირველად გამოიცა 1876 წელს; 1925 წელს განხორციელდა წიგნის 45-ე გამოცემა; 1925 წლიდან მოყოლებული გამოდის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი საანბანე სახელმძღვანელოები. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „დედაენა“ ფაქტობრივ გასცდა საავტორო სახელმძღვანელოს ფარგლებს და იქცა ზოგადსახალხო ფასეულობად. ი. გოგებაშვილის მიერ მიზნობრივად, ამ წიგნის სახელწოდებისათვის შექმნილი ტერმინი „დედაენა“ იქცა საანბანე სახელმძღვანელოსა (კერძოდ) და მშობლიური ენის (ზოგადად) საზოგადო სახელად. განუზომელია ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ი. გოგებაშვილის „დედაენისა“. დღიდან „დედაენის“ ეროვნულ სკოლაში დამკვიდრებისა, მისი მეშვეობით ათეულობით თაობა ეზიარა წერა-კითხვას, განათლებას; ჭეშმარიტებაა: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა. მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ (ვალერიან რამიშვილი). „დედაენას“ ქართველი კაცი აღიქვამს, როგორც

იარაღს ჩვენი ქართველობის დასაცავად, მას „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით აყენებენ: „თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა“ (დემნა შენგელაია). „დედაენა“ ფაქტობრივ იქცა სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა სახელმძღვანელოდ – წმინდა ქართულის ნიმუშად სრულიად საქართველოში. გამოსვლისთანავე „დედაენა“ დიმიტრი ყიფიანმა ასე შეაფასა: „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი“. აკაკი წერეთელმა თქვა: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რაც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე; იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას... მოგვიანებით გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა, რომ „დედაენა“ სახელმძღვანელო კი არა, უდიდესი პოემაა... საყოველთაოდ არის გაზიარებული გრიგოლ აბაშიძის აზრი: “შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“.

*

„დედაენის“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს – შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი უნიკალურია და ქართული ენის ბუნებაზე ზუსტად მისადაგებული.

იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ქართულ წერა-კითხვის თანდათანობით და ძალდაუტანებლად სწავლებას მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ.

უმთავრესი, რასაც ი. გოგებაშვილისეული მეთოდი ემყარება, ესაა პირველი საანბანე სიტყვა „ია“. ქართული ენის მდიდარი ლექსიკური ფონდიდან ამ სიტყვის პირველ გაკვეთილზე შემოტანა – ეს არის **უდიდესი აღმოჩენა, ეპოქალური მიგნება**. ი. გოგებაშვილამდე და შემდეგაც ორ ათეულამდე ქართულ ენის საანბანე სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა იყო. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს უპირატესობას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ პირველი გაკვეთილის თემა განსაზღვრავს.

უმთავრესი ღირსებანი ი. გოგებაშვილისეული მეთოდისა:

1. პირველი გაკვეთილი ქართული წერა-კითხვის სწავლებისა: „**ია. აი. აი ია**“.

ა) ორივე სიტყვა (**ია. აი**) უმარტივესი სტრუქტურისაა: შედგება ორი ხმოვანი ასოსაგან; წასაკითხად და გამოსათქმელად უადვილესია;

ბ) **ა** და **ი** ხმოვნები ქართულ ბგერათაგან გამოყენების სიხშირით სხვებს ბევრად აჭარბებს. სიტყვათა უდიდეს უმრავლესობაში ან ერთი ხმოვანია, ან – მეორე, ანდა – ორივე ერთად;

გ) სიტყვა (**ია**) შედგება ორი მარცვლისაგან (**ი-ა**). თითოეული მარცვალი ოდენხმოვნის შემცველია და იოლად წარმოსათქმელია;

დ) ორი ხმოვანი (**ა, ი**) ორ სიტყვას ქმნის (**აი, ია**) და ეს ორი სიტყვა ერთად ფრაზას შეადგენს: „**აი ია**“. ფრაზის აღქმა ბავშვისათვის გაცილებით იოლია და დასახსოვრებად ადვილი, ვიდრე ცალკე სიტყვებისა; „**ხალისსაც ძლიერ უმატებს გაკვეთილს ეს ფრაზა... ადამიანს ახალისებს არა განმარტოებული საგნები, არამედ მათი კავშირი... ენის სიცოცხლე იწყება ფრაზებიდან და რამდენადაც ადრე გადახვალთ ფრაზებზე, იმდენად უფრო უკეთესია. ამ საიდუმლოს – კითხვის მნიშვნელობას, მხოლოდ მაშინ იგებს და გრძნობს**“ (ი. გოგებაშვილი).

ე) ამ სიტყვით (**ია**) აღნიშნული საგანი ყველასათვის ნაცნობი და „საყვარელი ყვავილია, მეტადრე ბავშვებისათვის“ (ი. გოგებაშვილი);

ვ) ესთეტიკური თვალსაზრისით სიტყვაც და ამ სიტყვით აღნიშნული საგანიც ძლიერ მიმზიდველია;

ზ) ბავშვებისათვის საყვარელი არაერთი ლექსია შექმნილი „**ია**“-ზე;

თ) „**ია**“-ზე ასევე შექმნილია მრავალი სიმღერა. სიმღერა კი „სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას და აჩვენებს ჰარმონიას, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, აკეთილშობილებს მის ბუნებას“ (ი. გოგებაშვილი);

ი) **ია** იოლად დასახატი საგანია და ნახატს ადვილად ამოიცნობს ბავშვი, ანუ შესაბამისობა სიტყვასა და ნახატს შორის ნათელია. „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს. სურათის შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას – გარკვეულად, არასრულს სახეს საგნისას – სრულ სახედ“ (ი. გოგებაშვილი);

კ) წიგნთან შეუჩვეველ ბავშვს სანამ ჩვევაში გადაუვა კითხვის მიმართულება (მარცხნიდან მარჯვნივ), შეცდომის შემთხვევაშიც კი (ე. ი. თუ მარჯვნიდან წაიკითხავს), ტექსტი იგივეა: „აი ია“ პალინდრომია – მარცხნიდან და მარჯვნიდან ერთნაირად იკითხება.

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ასეთ დასაწყისს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის... რამდენადაც ჩვენ ვიცით, არცერთ ენაზე არ იწყება ასე სამაგალითოდ წერა-კითხვის სახელმძღვანელო და არ იწყება სწორედ იმის გამო, რომ არცერთი სხვა ენა არ აძლევს ამის ნებას იქაურ პედაგოგებსა... თუ სხვა ხალხების ანბანში ვერ იპოვნით ამისთანა სრულსა და მარტივს პირველს გაკვეთილსა, ეს წარმოსდგება ენათა თვისებისაგან, ნაკლულევეანებისაგან. სომეხთა პედაგოგებმა, მაგალითად, ბევრი ეძებეს თავის ენაში იმისთანა ფრიად მოხერხებული სიტყვა, როგორც ია, რათა მით დაეწყოთ თავიანთი ანბანი, მაგრამ ვერ იპოვეს“...

მეთოდის ავტორის აზრით: „პირველი გაკვეთილი „დედაენის“ ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასა სავსებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა...“ (ი. გოგებაშვილი)...

2. საანბანე სახელმძღვანელოს შედგების ი. გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, ყოველი ახალი საანბანე სიტყვა შერჩეული არის დიდი რუდუნებით; იგი არის ბავშვისათვის კარგად ნაცნობი საგნის აღმნიშვნელი; ესთეტიკურად მიმზიდველი; ამასთანავე იოლად დასახატავი (**„სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნონ ბავშვებმა, მერე მისი სახელი, რომელიც მისი გამოხატულების ქვეშ არის მიწერილი“** – ი. გოგებაშვილი). ყოველ მომდევნო გაკვეთილზე შემოტანილი ახალი ასო გრაფიკულად სიახლოვეს ავლენს წინა ასოსთან (ა, ი და თ...). საანბანე სიტყვა არის იოლად დასამარცვლი და ახალი ასო – მარცვლიდან მარტივად გამოსაყოფი (შედლებისდაგვარად საანბანე სიტყვაში თანხმოვანთ კომპლექსისგანაც არის არიდებული თავი). ამ პრინციპით აიგო „დედაენის“ მეორე და მომდევნო გაკვეთილები (თითი, საათი, თხა, თოხი, ხე, უთო, ძუა...).

3. საკითხავ ტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სიტყვათა შერჩევასა და მათი დალაგების პრინციპს. ყველა სიტყვა არის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გაზრდილი ბავშვისთვის ნაცნობი ან იოლად შესაგნობი. საამისოდ „დედაენის“ შემდგენელს (ი. გოგებაშვილს) ცნობილი მოღვაწეები უწევდნენ კონსულტაციებს; მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერტად დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ჰყავდა.

4. მეორე საანბანე გაკვეთილიდან მოყოლებული ყოველ ახალ გაკვეთილზე ხდება თითო ასოს გაცნობა. ძირითადი პრინციპი ასეთია: „ერთ გაკვეთილზე – ერთი სიმძლე“. ამიტომაც მეორე გაკვეთილად „თითი“ გამოიტანა; ესეც ძალიან საინტერესო მიგნებაა: **თ** მოხაზულობით ახლოსაა **ი** და **ა** ასოებთან; საგანი ძალიან ნაცნობია. **თ**-ს მიმატებით ნაცნობ ასოებთან (**ა**, **ი**) ოთხი ახალი სიტყვა იქმნება: **ა-თი, თი-თა, თა-თი, თი-თი**. სიტყვათა ასეთი დალაგებაც ძირითად პრინციპს მიესადაგება („ნაცნობიდან უცნობისაკენ“); „აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა“ (ი. გოგებაშვილი).

5. ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასოთა სწავლების თანამიმდევრობას. მაგალითად, „დედაენაში“ ჯერ **კ** (სოკო) ისწავლება, მერე – **ვ** (იხვი). ი. გოგებაშვილი განმარტავს: არ შეიძლება მათი ადგილების გაცვლა (თავის ოპონენტებს უხსნის), „ჯერ იმიტომ, რომ მასვე გაეზუტება გენეტური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს (იგულისხმება გრაფიკულად), მერმე იმიტომ, **კ** მკაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია **ვ**-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველს გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვილებს“. **სხვა შემთხვევაში: ხ უსწრებს ს-ს. თითქოს ს უფრო მარტივია ხ-ზე, მაგრამ: „ხ მარჯვნივ ნახევარ რგოლით თავდება; ასო ს-ს კი მარჯვნივ მრუდე რკალი აქვს, – და რადგან რგოლის წერა უფრო ადვილია მრუდე რკალზედ, ამიტომ ხ უფრო ადვილ საწერად უნდა ჩაითვალოს. ესეც რომ არ იყოს, ს-ს მეორე ადგილს ვერ მივსცემდით, რადგანაც იმისთანა ადვილ ასოსთან შეერთებით, როგორიც არის ე, თქვენ ვერ შეადგენთ რეალურის, დასახატავი საგნის სახელსა, ხ-ს ხმარებით კი სდება იმისთანა მარჯვე სიტყვა, როგორც ხე“** (ი. გოგებაშვილი).

ამ მეთოდის მიხედვით, ასოთა სწავლების თანამიმდევრობის მთავარი პრინციპი არის: ბგერათა გამოთქმის სიადვილე-სიმძლე (მარტივიდან რთულისაკენ); ბგერათა რაგვარობა; ბგერათა სინტაგმატური თვისებები; ბგერათა გამოყენების სიხშირე; რამდენად ცნობილი საგნის დასახელებაში შედის ესა თუ ის ბგერა და ეს საგანი დასახატავად რამდენად მოხერხებულია; როგორია ამ ბგერის შესაბამისი ასოს გრაფიკული მოხაზულობა, თუ „**რავდენს მასალას აძლევს სიტყვებისა და ფრაზების შესადგენად, რავდენად ადვილია საწერად და სხვანი**“ (ი. გოგებაშვილი)

6. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, საანბანე წიგნი უნდა იყოს „ენობრივი სახელმძღვანელო“. ეს სახელმძღვანელო ისე უნდა აიგოს, რომ არა მარტო შეასწავლოს, არამედ უნდა შეაყვაროს ბავშვს მშობლიური ენა. „აქ ყოველი ახალი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ გაკვეთილებში რამდენჯერმე, რათა ღრმად ჩაებეჭდოს ბავშვს მეხსიერებაში“. „სახელმძღვანელო უნდა იყოს უშეცდომო;“ უმნიშვნელო შეცდომა საანბანე სახელმძღვანელოსთვის არ არსებობს; „ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში“ (ი. გოგებაშვილი).

7. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ზოგადი პრინციპების მიხედვით, იგი უნდა გამოირჩეოდეს „წერის მასალის სიმდიდრით, ღირსებით; ელემენტარული იდეალების რაოდენობით... უნდა იყოს სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს იქითა და აქეთა საქართველოსას; საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად, უნდა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაერთიანებას“ (ი. გოგებაშვილი); არ უნდა იყოს მექანიკურად შედგენილი, ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის გონებრივ განვითარებას... იაკობ გოგებაშვილის თქმით, ასეთი მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო „წინ წასწევს ხალხის განათლებას“.

8. ი. გოგებაშვილის აზრით, საანბანე სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიგნის საერთო ტექნიკურ მხარეს: შრიფტების ზომას, შრიფტების მონაცვლეობას, ინტერვალსა და ასოსა და ასოს შორის, სიტყვასა და სიტყვას შორის, სტრიქონსა და სტრიქონს შორის; სათაურს, ქვესათაურსა და ტექსტს შორის. ეს აუცილებელია ბავშვის მხედველობის ჰიგიენის დასაცავად, მისი მხედველობის ორგანოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ნორმალური მხედველობის შენარჩუნებისათვის.

9. სწავლების პროცესში აუცილებელია საგანგებო ყურადღება მიექცეს წერის ტექნიკას, კალიგრაფიას, ასოების გამოყვანის პრინციპს; ტრადიციული „სწორე, პირდაპირი, მართებული“ წერის უპირატესობის დასაბუთებას „ირიბ, დახრილ“ წერასთან შედარებით. „ირიბული ხელის კითხვა ძნელია, მავნებელია მხედველობისთვის. პირდაპირი ხელის კითხვა ისეთივე ადვილია, როგორც ბეჭდურის“. აქ გასათვალისწინებელია ქართული ასოების გრაფიკული თავისებურებები (განსხვავებით ლათინურისაგან), და ისიც, რომ სწორე წერის დროს სხეული ნორმალურ მდგომარეობაშია, ირიბი წერის დროს კი – არაბუნებრივ მდგომარეობაში, რაც „მავნებელია სხეულისათვის, დამამახინჯებელია მეტ-ნაკლებობით, მეტადრე პატარაობის დროსა. როცა სხეული იზრდება და ძლიერ ეჭირვება ნორმალური მდგომარეობა“. და საერთოდ, „ესთეტიკურს მხარეს, სილამაზეს წერაში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს“; (ი. გოგებაშვილი).

10. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი ზნეობრივი პიროვნების აღზრდას ისახავს მიზნად; ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები უნდა იყოს დაცული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენისას, რადგანაც „ეთიკა, სპეტაკი ზნე სამირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა“ (ი. გოგებაშვილი).

11. ი. გოგებაშვილის აზრით, ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო „ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს საზოგადოდ“ (ი. გოგებაშვილი). ეროვნული სულის გაღვივება და განმტკიცება საანბანე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიაა.

საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული უნიკალური მეთოდი თანამედროვე პრაქტიკაში სრულად არ არის გამოყენებული, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ქართულ ეროვნულ სკოლას, ქართული განათლების სისტემას, ზოგადად, და მომავალი თაობის აღზრდის საქმეს, კერძოდ. მაგალითად: 2009 წელს ი. გოგებაშვილის „დედაენამ“ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და შევიდა სკოლაში, თუმცა 2011 წლის კონკურსის შედეგად ისევ სკოლის მიღმა აღმოჩნდა... „ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შედგენილ“ სასკოლო სახელმძღვანელოებში კი ი. გოგებაშვილის ბევრი პრინციპი უგულვებელყოფილია...

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო ქართული სკოლიდან იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილი საანბანე სახელმძღვანელოს განდევნის, თავად ამ მეთოდის მითვისებისა და დამახინჯების არაერთი მცდელობა. მაგალითად:

1. 2009 წელს განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა ოთხ სახელმძღვანელოს („დედაენას“!), რომლებიც პირველ გაკვეთილზე ა ასოს ასწავლიან შემდეგი სიტყვებით: ა) არწივი, ატამი, აფრა, აკვარიუმი (ავტორები ვ. როდონაია და სხვები); ბ) ატამი, ბაყაყი, ბალი (ბ. სულაკაური და სხვ.); გ) აფრა, ავაზა (ბ. სარია და სხვები); დ) პირველი გაკვეთილი იწყება ფრაზით „ეს მე ვარ“...

2. ი. გოგებაშვილის პრინციპით შედგენილ „დედაენას“ ავტორებად ეწერებიან „ახალი რედაქციის“ ავტორები (ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, ნ. მაღლაკელიძე და სხვ.)... „დედაენა“ საავტორო სახელწოდებაა საანბანე სახელმძღვანელოსი; ხდება მისი მითვისება...

3. „ახალ რედაქციებში“ ხდება ი. გოგებაშვილის მეთოდის დამახინჯება; ცვლილებები შედის ი. გოგებაშვილის პრინციპების გაუთვალისწინებლად...

საანბანე სახელმძღვანელოს – „დედაენის“ – შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადება ამგვარი ხელყოფისაგან დაიცავს აღნიშნულ მეთოდს და სიცოცხლისუნარიანობას შეუნარჩუნებს მას.

1876 წლიდან მოყოლებული, საანბანე სახელმძღვანელოს იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით შედგენილი „დედაენა“ ფაქტობრივად უალტერნატივო იყო. სხვა საანბანე სახელმძღვანელოები (იაკობის სიცოცხლეშიც და შემდეგაც 20-მდე ასეთი წიგნი იყო) მას კონკურენციას ვერ უწევდნენ.

1912 წელს იაკობ გოგებაშვილმა განახორციელა თავის სიცოცხლეში ბოლო, 33-ე გამოცემა „დედაენისა“; საერთო ტირაჟმა მილიონს მიაღწია. საქართველოსთვის ეს უპრეცედენტო მასშტაბია.

1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გაიმართა მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი. იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით შედგენილმა ქართულმა საანბანე სახელმძღვანელომ – „დედაენამ“ – პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა. ეს იყო, ფაქტობრივ, საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეული მეთოდის დიდი გამარჯვება და მსოფლიო აღიარება.

1976 წელს ი. გოგებაშვილის „დედაენას“ გადაუხადეს 100 წლის იუბილე. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ეს ერთადერთი შემთხვევაა საქართველოში, წიგნის იუბილე რომ აღინიშნა.

1981 წელს თბილისში დაიდგა „დედაენის“ ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი). ესაა ერთადერთი შემთხვევა საქართველოში, წიგნს რომ ძეგლი დაედგა.

ლიტერატურა:

ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

გ. გოგოლაშვილი, „დედაენა“ – ძეგლი სამარადისო, თბ., 2011.

გ. გოგოლაშვილი, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, თბ., 2012.

შ. გოზალიშვილი, ერის დიდი მოამაგე, თბ., 1990.

იაკობ გოგებაშვილი – ცხოვრებისა და შემოქმედების მატანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა, თბ., 2003.

იაკობის სამრეკლო, (წერილებისა და მოგონებების კრებული), თბ., 1990.

ი. გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენცია, 2008 წლის 27 ოქტომბერი, თემა: იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა; მასალები, თბ., 2008.

დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940.

დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1948.

რ. ჩხეიძე, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 2007.

Giorgi Gogolashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

“DEDA ENA” (MOTHER LANGUAGE) - INTANGIBLE CULTURAL HERITAGE MONUMENT RESUME

In 2013 “Deda Ena”, - Method of composing alphabet textbook after Iakob Gogebashvili, - was **awarded a status of intangible cultural heritage monument**. This is one more recognition of one of the greatest Georgian thinkers Iakob Gogebashvili, appreciation of his merits.

Gogebashvili's Method of composing alphabet textbook is unique, it precisely foresees the nature of Georgian language and can be considered as a merged unique example of the nature of Georgian language and teaching the alphabet.

იაკობ გოგებაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ

იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) მოღვაწეობა მომავალი ქართველის, როგორც ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდის, აღზრდა-გაცნობიერების საქმეში მშობლიური ქვეყნის ენის, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ისტორიის ცოდნის გარდა, მისი კაცობრიობის შემადგენელ ნაწილად აღქმასაც ემსახურებოდა. ჯერ კიდევ 1868 წელს „ბუნების კარის“ I გამოცემის წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი წერდა: „თქვენ, რაღა კითხვა უნდა, გასურთ, რომ სასწავლებელში თქვენმა შვილმა საზოგადო გეოგრაფია დაწვრილებით ისწავლოს. თუ ამ გულის წადილის სრული მოწვევა გინდათ, თქვენ ყმაწვილს თავისი სამშობლო ქვეყანა კარგად გააცანით. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ყმაწვილებს გაგიჟებით სურთ. ვინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არა აქვთ ამგვარი ბავშვების კითხვებიდან: ჩვენს იქით რა ქვეყანაა, ვინა სცხოვრობს იქა, როგორი ადგილია?“ (გოგებაშვილი, 1990).

„ბუნების კარის“ პირველი გამოცემიდან 41 წლისთავზე, 1909 წელს, მეთვრამეტე გამოცემას უკვე ერთვის ახალი განყოფილება – „კაცობრიობა“. „წიგნის ბოლოში საჭიროდ დავინახეთ ჩაგვეერთო სრულიად ახალი განყოფილება: „კაცობრიობა“. ამ განყოფილებაში აღწერილია უმთავრესად დაწინაურებული ქვეყნების მდგომარეობა, კონსტიტუციური მართვა-გამგეობა, ზნე-ჩვეულებანი მცხოვრებთა, და სხვანი“ – წერდა ავტორი (გოგებაშვილი, 1976). გამოცემას ახლდა საქართველოსა და ევროპის რუკა, ხოლო განყოფილებაში „კაცობრიობა“ ი. გოგებაშვილი მიმოიხილავდა 5 კონტინენტს: ევროპას, ამერიკასა და შეერთებულ შტატებს, აზიას, აფრიკასა და ავსტრალიას.

ი. გოგებაშვილის დაინტერესება ამერიკითა და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების წყობით, პოლიტიკით, ახალი არაა, „ბუნების კარის“ პირველ გამოცემამდე სრულიად ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილი აქვეყნებს თავის პირველ პუბლიცისტურ წერილს „ამერიკა“ („პოლიტიკური მიმოხილვა“). ეს ორი წერილი, ერთი პუბლიცისტური, მეორე ნარკვევი, დაწერილი მოზარდი თაობისათვის, გახდა ჩვენი შესწავლის საგანი. რამდენადაც ი. გოგებაშვილი მკაცრი ტონით მსჯელობს ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესში მომხდარ მოვლენებზე, მოზარდი თაობისათვის შექმნილ ნარკვევში ტონი შერბილებულია, სასაუბრო და გამოკვეთილია, როგორც მძიმე ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების შედეგები, ისე მასზე დამყარებული და განვითარებული ქვეყნის უპირატესობანი. ამდენად ჩვენი წერილი სწორედ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის კიდევ ერთი კუთხით, თავისუფლებისმოყვარე, ჰუმანისტის წარმოჩენაა, რომელიც მიზნად ისახავს ამ გრძნობის გაღვივებას „ბუნების კარის“ მკითხველ ახალგაზრდა თაობაში.

1863 წელს დაიხურა ახალი თაობის ორგანო „საქართველოს მოამბე“. ამას ერთგვარი მდუმარებაც მოჰყვა ქართული საზოგადოებრივი აზრისა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ჩანაფიქრს, პირველი რიგის ამოცანას, ახალი გაზეთის გამოცემას, გიორგი წერეთელმა განხორციელება უწია და 1866 წელს გამოდის გაზეთი „დროება“. „დროებამ“ განაგრძო „საქართველოს მოამბის“ აღებული კურსი. იგი თერგდალეულთა იდეური მრწამსის პროპაგანდისტი გახდა და, რამდენადაც მკაცრი ცენზურა ამის შესაძლებლობას იძლეოდა, „ერის განათლება-გათვითცნობიერების, მისი კონსოლიდაციის კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდა ხელი“. (სურგულაძე, 1973).

სწორედ „დროების“ ფურცლებზე 1866 წლის 29 აპრილს ქვეყნდება იაკობ გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტური წერილი „ამერიკა“ („პოლიტიკური მიმოხილვა“). ეს ხელმოუწერელი წერილი, შემდგომად, შეცვლილი სათაურით „ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის“ („პოლიტიკური მიმოხილვა“) და ვრცელი განმარტებით თავად ი. გოგებაშვილმა შეიტანა „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში, 1910 წელს. ჩვენთვის უცნობია, რა ინფორმაციას ეყრდნობოდა ი. გოგებაშვილი ამ წერილის შექმნისას. სავარაუდოდ, წერილში გაკვრით მინიშნებულ ვაშინგტონელი კორესპონდენტის წერილს ფრანგულ გაზეთში, მაგრამ აშკარაა, იგი კარგად იცნობდა შესასწავლ თემას. ავტორის შენიშვნებიც ჭეშმარიტი დემოკრატიის თვალსაზრისის მატარებელია და ნათლად გამოხატავს ამერიკის შეერთებულ შტატებიდან ასე შორს მდებარე, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული მცირე ქვეყნის, საქართველოს შვილის, მოწინავე თვალთახედვას.

ი. გოგებაშვილის ძირითადი მიზანაც თავისუფლებისმოყვარე ჰუმანისტის მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს: „მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მსვლელობას მარტივიდან რთულისაკენ, მონობიდან თავის უფლებისა და თანასწორობისაკენ, ბიწიერებიდან სათნოებისაკენ, უმეცრებიდან სიბრძნისაკენ, მხეცობიდან ადამიანობისაკენ. ტანჯვიდან ლხენისაკენ, ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ. ეს მსვლელობა უსრულიდან სრულისაკენ არის ფრიად ნელი, ხშირად ტორტმანებს, შეფერხდება ხოლმე, ხანაც კვალსაც აუქცევს; მაგრამ ამასთან იგი არის შეუპოვარი, და მიმართულების გზას ვერ დააკარგვინებს. სისრულე ადამიანშია, საზოგადოებისა და მთელის კაცობრიობისა და საყოველთაო ბედნიერება უთუოდ დამკვიდრდება ბოლოს და ბოლოს დედამიწაზედ, თუ რაიმე კოსმიურმა მსოფლიო მიზეზმა კაცობრიობას ბოლო არ მოუღო (იაკობის სამრეკლო, 1990). სწორედ მონობის ერთი პირველი გამოხატულება ბატონყმობა იყო და მისი გაუქმებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც ყოველგვარ მონობას უცხადებს პროტესტს ი. გოგებაშვილი.

ამისი მაგალითი ისევ და ისევ ამერიკაა, სადაც წინააღმდეგობაში მონობასა და თავისუფლებას შორის საღმა აზრმა გაიმარჯვა. ამიტომ იზიდავს ი. გოგებაშვილს სულ ერთი წლის წინ მომხდარი ფაქტი: ბრძოლა ამერიკის პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონსა და კონგრესს შორის.

1910 წლისათვის 1866 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი თითქოს უკვე თავის მწვავე, მამხილებელ მნიშვნელობას უნდა კარგავდეს, მაგრამ 50 წლის წინანდელი ამბავი გოგებაშვილს საჭიროდ მიაჩნია გააცნოს ქართველ მკითხველს, რათა დაარწმუნოს კიდევ ერთხელ საღი აზრის გამარჯვების აუცილებლობაში. ამიტომ უცვლის სახელს იგი წერილს და უკეთებს ვრცელ კომენტარს, რომელშიც მიმოხილულია შინაური ბრძოლის მიზეზები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავტორი აქ ერთგვარ ექსპოზიციას ქმნის, რომელშიც ხაზგასმულია, რამ გამოიწვია დაპირისპირება კონგრესსა და პრეზიდენტს შორის, რამდენად მნიშვნელოვანი იყო აქ კონგრესის გამარჯვება და მხოლოდ ამის შემდეგ „აცოცხლებს“ იგი ამ დებატებს, რომლებიც კონგრესში გაიმართა 1865 წელს.

წერილში ი. გოგებაშვილი არ იშურებს მკვეთრ საღებავებს მონობის უარყოფისათვის და მას უწოდებს „სენს შეერთებული შტატებისა“. სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევს ნიმუშად „თავისი პოლიტიკური ჭკუისა“. და, თუმცა ბრძოლას მონობის გაუქმებისათვის ბევრი წინააღმდეგობა მოჰყვა, „ამ ბრძოლიდან ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდნენ ძალზე შერყეულნი, მაგრამ მით უფრო სამომღვრებო არის მათი გასაოცარი მეცადინეობა და შეუპოვარი წადილი, რათა ყველა თავისი საზოგადოებრივი წყლულები განეკურნათ“. (გოგებაშვილი, 1989).

რესპუბლიკური პარტიის ინტერესებს პუბლიცისტი მკვეთრად უპირისპირებს ლინკოლნის მოკვლის შემდეგ ერთ-ერთი მშფოთვარე შტატის ყოფილ სენატორს, პრეზიდენტს ენდრიუ ჯონსონს, რომელიც ცდილობდა, რომ აღედგინა ბრძოლის დაწყებამდე არსებული მდგომარეობა: „... პრეზიდენტს მოუთმენლად უნდა, რომ, როგორც იყოს, ჩქარა აღადგინოს კავშირი (ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის - თ.გ.) უწინდელსავე ფორმაზედ შეუცვლელად, ესე იგი, სამხრეთს დაუბრუნოს სრული პოლიტიკური უფლება, გაათანასწოროს ჩრდილოეთთან, იმისი წარმომადგენლები კონგრესში შეუშვას და ამ სახით ზანგების საქმე ისევ პლანტატორებს ჩაუდოს ხელში. ვინც კი ამ პოლიტიკას ეწინააღმდეგება, პრეზიდენტს ჯონსონს თავის და მამულის მტრად მიაჩნია“. (გოგებაშვილი 1989).

აქვე ი. გოგებაშვილი გამოხატავს რესპუბლიკური პარტიის პოზიციასაც კონგრესში: „ამას განზრახვა აქვს, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს თავისი სამხრეთის მოწინააღმდეგენი, რომ იმათ ვეღარ შეიძლონ წარსულის შფოთისა და ბრძოლის განახლება“. (გოგებაშვილი, 1989). ეს კი იწვევს პრეზიდენტის განრისხებას რესპუბლიკურ პარტიაზე და მათ მამულისა და კავშირის აღდგენის მტრად მიიჩნევს. დასაბუთებისა და აზრის ნათელსაყოფად ი. გოგებაშვილი მკითხველს სთავაზობს ამონარიდებს ე. ჯონსონის გამოსვლებიდან ვაშინგტონის დღეობაზე, 22 თებერვალს და დეკუტატა პალატის წინაშე კონგრესის წევრის თ. სტიფენსის მოხსენებიდან.

პუბლიცისტი ცდილობს საზოგადოების მხრიდან განწყობილების გამომხატველი რემარკებიც არ გამოტოვოს ორივეს გამოსვლებიდან, რათა აშკარა გახადოს, ვის მხარეზეა, რა პოზიციას იზიარებს ხალხი. აქ მოჩანს პუბლიცისტის ღრმა დემოკრატიზმი და საკითხის სრულად გაშუქების მცდელობა.

ჯონსონის გამოსვლიდან ამონარიდები ცხადყოფს იმ ბრალდებას, რასაც იგი უყენებს რესპუბლიკურ პოზიციას. ამ შემთხვევაში დასაბუთებას მათი მოღალატეობრივი პარტიისა. ამ შემთხვევაში პრეზიდენტის განცხადება სამხრეთელების დაფარული მიზანსწრაფვის შენიღბვაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვითომდა მშვიდობის დამყარებისა და კონსტიტუციის დაცვის საბაბით. ამიტომ ჯონსონი პირველ ამოცანად აყენებს კავშირის აღდგენას, მეორედ, მონობის გაუქმებას. ხალხის დამოკიდებულება პრეზიდენტის გამოსვლისადმი (უწონებს ხალხი, ხალხი მხარს მოგვცემს და სხვ.) თითქოს გამოხატავს უმრავლესობის (ან იქნებ მხოლოდ სამხრეთელების) დადებით განწყობას ჯონსონის გამოსვლისადმი, მაგრამ მიუხედავად ჯონსონის ერთგვარი მზადყოფნისა, საზოგადოების ინტერესებისათვის მსხვერპლად შესაწირად, თ. სტიფენსის გამოსვლა, რომელიც, აბათილებს რა

ჯონსონის ბრალდებებს, თავად სპილენძის გოგრიანების (სამხრეთელების) მხრიდან მის შეურაცხყოფაზეც ამახვილებს ყურადღებას. ამით ერთგვარად ცდილობს ჯონსონი განაწყოს უარყოფითად მათ მიმართ. მეორე მხრივ, ასაბუთებს ჯონსონის შეხედულებათა არასწორ გეზს და უარყოფს მის მიერ „ვეტოს“ უფლებით სარგებლობას. აქ საზოგადოების მხრიდან შენიშვნებიც გამოკვეთილია (მომართა და სიცილი, ხარხარი).

პუბლიცისტი, ცდილობს რა გაანალიზოს შექმნილი სიტუაცია, კონგრესის მხარეზე თავისი თვალსაზრისით და ამას ასაბუთებს P.S.-ით, რომ კონგრესმა სძლია ჯონსონს, დაატოვებინა პოსტი და პრეზიდენტად აირჩია სამხრეთელებთან ბრძოლაში გამოჩენილი გენერალი გრანტი, ლინკოლნის პოლიტიკის მიმდევარი. „ზანგები განთავისუფლებული იქმნენ მონობისაგან და ყოველგვარი უფლებით გათანაწიორებული თეთრებთანა. მაშინ კონგრესმა მიიღო ფიცი კავშირის ერთობაზე სამხრეთელ შტატებსა და მათ ამორჩეულმა დეპუტატებმა წინანდელი ადგილი დაიჭირეს კონგრესში“. (გოგებაშვილი, 1989).

მოზარდთათვის დაწერილი ნარკვევი ამერიკასა და შეერთებულ შტატებზე ფაქტობრივად ორნაწილიანია. დასაწყისში მოთხრობილია ამერიკის აღმოჩენის მოკლე ისტორია და მისი გეოგრაფიული მდებარეობა. მეორე კი საკუთრივ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილს ეხება, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს. პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად უფრო გეოგრაფიული პირობების მიმოხილვას წარმოადგენს, ამერიკის შეერთებული შტატების აღწერისას ავტორი, ყურადღებას ამახვილებს რა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულ ნაირფეროვნებაზე, გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ „შესდგა ახალი ხალხი, რომელიც თავის თავს უწოდებს ამერიკელებს“ (გოგებაშვილი, 1976).

სახელმწიფო წყობის პრინციპების განმარტების, ანუ შემდეგ ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს პარლამენტის ანუ კონგრესისა და პრეზიდენტის ფუნქციებზე. მოზარდი კარგად იგებს, რომ პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატებისა არაა შეუზღუდავი მმართველი, იგი კონგრესის მიერ დამტკიცებული საერთო კანონების აღმასრულებელია და, როდესაც „ვადა გაუვა (4 წელი), „იგი ჰხდება უბრალო მოქალაქე“. (გოგებაშვილი, 1976).

მთავარი კი ისაა, რომ გოგებაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითით დაინახა პირველი ქვეყანა, სადაც „სრული თანასწორობა არსებობს“. „ყველა ამერიკელი მხოლოდ მოქალაქეა, მამულიშვილია, და თანასწორი უფლება აქვს სხვებთან, თუნდა სულ უბრალო მუშის შვილი იყოს“ (გოგებაშვილი, 1976). მოზარდისათვის სრულიად გასაგები ხდება თავისუფლებამოპოვებული ქვეყნის მოქალაქის პოზიცია, რომელიც ერთი საარჩევნო უფლებით სარგებლობს და, ამავდროულად განვითარებულია, ნასწავლი.

ამერიკის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ ყველანი გამოირჩევიან გარჯილობითა და მხნეობით. სწორედ ამიტომ, თანასწორობისა და შრომისმოყვარეობის, დემოკრატიული ხელისუფლების წყალობით ქვეყანა აყვავებულია, ძლიერი და მდიდარია, ისე რომ დიდ ბრიტანეთსაც უსწრებს.

ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს განათლებაზე და აღნიშნავს იმასაც, რომ „ყველა დედ-მამა კანონით ვალდებულია თავისი შვილები გაზარდოს სკოლაში უსათუოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმა გადახდება“. (გოგებაშვილი, 1976).

ი. გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტური წერილი და „ბუნების კარში“ მოთავსებული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიულად, ისე ქართველის თვალთა დანახული, „დედამიწის მეორე მხარეზე“ მდებარე წარმატებული ქვეყნის აღქმის თვალსაზრისით. აქ თავად ავტორი გვევლინება უკიდურესად მოწინავე მსოფლმხედველობითა და მიზანსწრაფულობით, მისი პატარა ქვეყანა და ერი ოდესმე ასეთ დონეს მიუახლოვდეს - ამას ავითარებს ი. გოგებაშვილი მოზარდი თაობის შემეცნებაშიც.

ლიტერატურა:

- გოგებაშვილი, 1989: გოგებაშვილი ი. „რჩეული თხზულებანი“, ტ. I თბილისი, „განათლება“, 1989, გვ. 62, 63, 70;
- გოგებაშვილი, 1990: გოგებაშვილი ი. „რჩეული თხზულებანი“, ტ. IV, თბილისი, „განათლება“, 1990, გვ. 58
- გოგებაშვილი, 1976: გოგებაშვილი ი. „ბუნების კარი“ მესამე და მეოთხე წლისათვის. (1912 წლის მიხედვით), თბილისი, „განათლება“, 1976, გვ. IV, 625, 626;
- იაკობის სამრეკლო, 1990: „იაკობის სამრეკლო“ (კრებული), თბილისი, „განათლება“, 1990, გვ. 486;
- სურგულაძე, 1973: სურგულაძე ა., „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973;

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
IAKOB GOGEBASHVILI ABOUT THE UNITED STATES OF AMERICA
RESUME

In the issue of April 29, 1866 of a newly founded Georgian newspaper “Droeba” the first publicist letter “America (Political Review)” by Iakob Gogebashvili (1840-1912) was published. At first this letter was published unsigned and I. Gogebashvili, himself edited it in the first volume of “Selected Pedagogical and Publicist works” in 1910 and so his being the author of the letter is undeniable. In the presented work the main idea and importance of the letter for the creative public of the world society and for Georgian readers is discussed.

In the publicist letter, young Iakob Gogebashvili on the basis of the materials of the press tries to express his attitude to the war between the South and the North of America, to the disagreement between the President and the Parliament and sympathizes with President Lincoln and his followers who were for making the Negroes free from slavery.

Iakob Gogebashvili considers abolishing human rights, their humiliation according to any sign as cruelty and unbearable injustice which must be opposed by the progressive powers of the world.

In the new part “Mankind” of the 18th edition of “Bunebis Kari” (“The Door of the Nature”) I. Gogebashvili edits an essay about the United States of America where he shows the country which gained freedom and the results of democracy.

თეიმურაზ დოიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოტირალ-მოცინარი სულხან-საბა

რუქასთან უშედეგო შეგონება-კამათით მოღლილი სედრაქი, „სიბრძნე სიცრუისას“ ფინალისაკენ, ყველა იგავს, რომელსაც, პირობითად, „მოტირალსა და მოცინარს“ უწოდებენ. ბრძენი ვეზირი ამის მერეც ერთვება პაექრობაში, მაგრამ დასახელებული პრიტკა ერთგვარად აჯამებს, განაზოგადებს ამ იდეა-პერსონაჟის რელიგიურ-ფილოსოფიურ და ეთიკურ მრწამსს. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ სულხან-საბას თხზულების ძირითადი ფილოსოფიური ხაზი, მისი არსებითი თავისებურებებით, ზოგადად წარმოდგენილია არაქში „მოტირალი და მოცინარი“ (ა. ფრანგიშვილი).

რას მოგვითხრობს მწერალი-მორალისტი ამ საკვანძო, ღრმააზროვან პრიტკაში?

მოტირალი და მოცინარი

ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულობით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახევდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა: ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო?

მან ეგრე თქვა: რა ვქმნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერმე მას მოცინარეს კაცს ჰკითხეს: შენ რა გაცინებსო?

მან ესრე თქვა: ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმნენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან მათი რა სარგებელია.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ სედრაქ-ვეზირის ნაამბობში ცხოვრებისადმი მიდგომის ორი თვალსაზრისია წარმოდგენილი, ურთიერთგანსხვავებული მსოფლხედვით და, აქედან გამომდინარე, ეთიკითაც.

მოტირალისა და მოცინარის იგავი გაანალიზებული აქვს ცნობილ ფსიქოლოგს – ალექსანდრე ფრანგიშვილს. „მოცინარის“ ფილოსოფია რეალისტური ფილოსოფიაა“, – წერს იგი, – ხოლო „მოტირალის“ ფილოსოფია – საწუთროს საქმეების დაგმოზა და საუკუნო სამსჯავროზე, იმქვეყნიურ ცხოვრებასა და ბედნიერებაზე ლოცვა“. მისივე კატეგორიული მტკიცებით, „სულხან-საბაგ თავის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ „მოცინარის“ თვალსაზრისზე დგას, ამ თვალსაზრისის იცავს და ავითარებს, „სიბრძნე სიცრუისა“ მხოლოდ „მოცინარის“ ფილოსოფიის საფუძველზე შეიძლება დადგენილიყო“.

როგორც ვხედავთ, ა. ფრანგიშვილი სულხან-საბას თხზულების საზრისს **მხოლოდ** „მოცინარის“ **რეალისტურ ფილოსოფიას** უკავშირებს. ვცადოთ გარკვევა, რა ობიექტური, აზრობრივი შინაარსი აქვს საბას იგავს, რამდენად სწორად კითხულობს მას მკვლევარი.

„მოტირალის“ მონოლოგის მიხედვით, არსებობს წარმავალი „ეს სოფელი“ და წარუვალა, „საუკუნო“ სამყოფელი, სადაც ადამიანი „მოკლე ცხოვრების“ შემდეგ გადაინაცვლებს და სამსჯავროს წინაშე წარდგება. „მოტირალის“ წამდაუწუმ ცრემლიანობის მიზეზი ისაა, რომ „ყოველთა კაცთა“ საუკუნო არსებობაც დავიწყებითა და სამსჯავროც, მხოლოდ „საწუთროს საქმეს შვრებიან“ და ამით ჯოჯოხეთს განიმზადებენ.

„მოცინარისთვისაც“ ეს სოფელი მოკლეა, მაგრამ მის სიტყვებში მინიმუმაც არაა საიქიო ცხოვრებასა და სასჯელზე – წუთისოფელი მისთვის ერთადერთი სინამდვილეა. ამიტომაც შეჰპარვია „მოცინარის“ კილოს გაოცების ელფერი, როდესაც უმზერს, გარდაუვალა გაქრობის მიუხედავად, მოკვდავნი მაინც უგუნურად და უზნეოდ რომ იქცევიან. მისი მხრით ყოველგვარი ცდა ადამიანთა ყოფაში მორალური რეგლამენტაციის შეტანისა უიმედო, ამოა გარჯა გამოდგა („გურჩიე, ვუქადაგე, ვერა დავაჯერებინე რა“).

„მოტირალსა“ და „მოცინარს“ ერთი რამ აქვთ საერთო – წუხილი კაცთა მოდგმის მდბალი არსებობის გამო. რელიგიური მსოფლგანცდის „მოტირალს“ მოსალოდნელი „საუკუნო სასჯელი“ ასევედიანებს, „მოცინარი“ კი არჩევანის წინაშე დგება: ან „მოტირალივით“ მოთქმით ტირილი – „ზრუნვა“ დაიწყოს, ან საკუთარი მოდუს ვივინდი ეძიოს... ტირილის ალტერნატივად იგი სიცილს ირჩევს, რადგან, მისივე განმარტებით, „მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან მათი (ადამიანების – თ. დ.) რა სარგებელია“.

ამრიგად, თუ „მოტირალის“ თვალსაზრისი გამოკვეთილად პესიმისტურია, „მოცინარის“ პოზიციას, ამის საპირისპიროდ, მიუხედავად „სრულობით“ სიცილისა, არ შეიძლება, ერთმნიშვნელოვნად ოპტიმისტური ეწოდოს – მისი სიცილი უფრო უსაზრისო არსებობის შემმეცნებელი ბრძენის თავდაცვითი რეაქციაა.

პრიტკას მოტირალსა და მოცინარზე, როგორც ვთქვით, ყველა ბრძენი სედრაქი, რომელიც თხზულებაში ორთოდოქსული თეიზმის ადეპტია (ამის შესახებ იხ. თ. დოიაშვილი. სულხან-საბას „დიალოგები“, კრებ. „სულხან-საბა – 350“, თბ., 2009), ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი „მოტირალის“ რელიგიურ კონცეფციას ემიჯნებოდეს და **მხოლოდ** „მოცინარის“ რეალისტურ ფილოსოფიას იზიარებდეს.

* * *

„მოტირალსა და მოცინარში“ სავარაუდოა არსებობა ერთი ალუზიისა, რომელიც ამ იგავ-არაკს განსაკუთრებულად გამოარჩევს. მხედველობაში მაქვს ანტიკურობიდან მომდინარე ტრადიცია, რომელიც დიალექტიკის მამამთავარ **ჰერაკლიტეს** „მოტირალ“, ხოლო სამყაროს ატომისტური კონცეფციის ავტორ **დემოკრიტეს** „მოცინარ“ ფილოსოფოსად მოიხსენიებს.

„ყოველთვის, როცა ჰერაკლიტე თავისი საცხოვრისიდან გამოდიოდა და გარშემო სულელურად მოარსებე, მოკვდავი ადამიანების სიმრავლეს ხედავდა, ცრემლოვდა, ყველა ებრალებოდა...“ – წერს სენეკა და განაგრძობს: – „ხოლო დემოკრიტე, როგორც გადმოგვცემენ, ხალხში, პირიქით, მხოლოდ მოცინარი გამოჩნდებოდა ხოლმე, იმდენად არასერიოზულად მიაჩნდა ყველაფერი ის, რასაც ადამიანები ასე სერიოზულად ეკიდებოდნენ“.

სულხან-საბას მკვლევართ (ა. ფრანგიშვილი, გ. გაჩეჩილაძე) აღნიშნული აქვთ ანტიკური ტრადიციის არსებობა, თუმცა მათ არ უცდიათ „მოტირალისა“ და „მოცინარის“ თვალსაზრისთა განხილვა ჰერაკლიტესა და დემოკრიტეს ფილოსოფიურ კონცეფციებთან მიმართებაში. არადა საბას „მოტირალი“, სენეკას ჰერაკლიტეს მსგავსად, „წამდაუწუმ“ ტირის, ხოლო „მოცინარი“ ამკარად ჩამოჰგავს სენეკასავე დემოკრიტეს – „სრულობით“ იცინის, „მოწყენილს ვერავინ ნახევდა“.

სენეკა ფილოსოფოსთა ემოციური რეაქციის მიზეზსაც მიგვანიშნებს – ერთის ტირილსა და მეორის სიცილს ადამიანთა მოდგმის უსაზრისო, სულელური ყოფა იწვევს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ „ტირილი“ და „სიცილი“ ოდენ ემოციური რეაქციის აღმნიშვნელი სიტყვები არაა, ისინი კონცეპტუალური პაროლეზია ჰერაკლიტეს და დემოკრიტეს ნააზრევია.

შესაძლებელია თუ არა შეხების წერტილების მიგნება, ერთი მხრით, „მოტირალის“ მსოფლალქმასა და ჰერაკლიტეს ფილოსოფიას, ხოლო, მეორე მხრით, „მოცინარის“ მსოფლალქმასა და დემოკრიტეს ფილოსოფიას შორის?

* * *

ფილოსოფიის ისტორიკოსები ჰერაკლიტეს ნააზრევში ერთხმად აღნიშნავენ ტრაგიკული პათოსის არსებობას: მარად ცვალებად სამყაროში, სადაც პირველელემენტი – ცეცხლი ინთება და ქრება, ქმნისა და განადგურების, დაპირისპირებულთა პერმანენტული ბრძოლის კოსმიური დრამა მიმდინარეობს. ადამიანიც ამ უწყვეტი, დრამატული პროცესის მონაწილეა – იბადება, რათა მოკვდეს, მიელტვის სიცოცხლეს და, მამასადამე, სიკვდილსაც (ფრაგ. 20). ჰერაკლიტე ჭკრეტს, შეიცნობს ყოფიერების ამ გარდაუვალ ტრაგიზმს და ამის შესაბამისად შეიმუშავებს ეთიკურ პრინციპებს.

ამჟვეყნად, ჰერაკლიტეს თანახმად, „ცუდი ბევრია, ხოლო კარგები – ცოტანი“ (ფრაგ. 104). ადამიანთა უმეტესობა გრძნობადი შთაბეჭდილებებითა და მზა შეხედულებებით ცხოვრობს, ჩლუნგია და ზარმაცი, თუმცა თავს ყოვლისშემძლედ რაცხს და ბრიყვულად მედიდურობს. ისინი სურვილებს მონებენ – ქონებას აგროვებენ, ფუფუნება და ვნებებით ტკბობა სწადიათ და ვერ ხვდებიან, რომ მხოლოდ მცირე, პატარა ნაწილაკები არიან უკიდევანო კოსმოსისა.

ამ სამზერიდან ამხელდა ჰერაკლიტე თანამემამულეებს – მშობლიური ეფესოს მკვიდრთ.

თუ გრძნობადი სურვილების აყოლა და ტკბობა სისულელე და ცოდვაა, რა ევალეა მედინ, წარმავალ სამყაროში მთარსებე ადამიანს?

უმალლესი მიზანი ადამიანისა, ჰერაკლიტეს მიხედვით, სამყაროს ზოგადი პრინციპის – **ლოგოსის** შეცნობა, მორჩილება და მსახურებაა. „არის ერთი სიბრძნე, – ამბობს იგი, – ცოდნა იმ გონებისა, რომლის მიერ წარიმართება ყოველი ყოვლით“ (ფრაგ. 41). საჭიროა იმის შეგნება, რომ ლოგოსი – მარადიული ცვალებადობა ბუნების კანონზომიერებაა, რომელიც სამყაროში აუცილებლობის სახით არსებობს.

მეტყველი სამყაროს ენა მხოლოდ რჩეულებს – ბრძენთ ესმით, უმრავლესობისთვის კი ლოგოსი (სამყაროს არსი, კოსმიური გონი) მიუწვდომელი რჩება. როდესაც ადამიანი ლოგოსს მოწყვეტილია, ის გრძნობადი აღქმის სივრცეში ცხოვრობს, წარმოსახულ-ილუზორული მიწიერი სინამდვილე მიაჩნია ერთადერთ რეალობად. ამიტომაც ლოგოსის ნაცვლად იგი საკუთარი, შეზღუდული გონების ხმას მიჰყვება და სურვილების ბადეში იხლართება. უზნეობის სათავე, როგორც ჰერაკლიტე ხატოვნად ამბობს, უმეცრებაშია, როცა ადამიანები, სახედრებივით, „ოქროს“ (ლოგოსს) „თივას“ (სურვილებს) ამჯობინებენ, ისე ცხოვრობენ, რომ ვერ ხვდებიან – ბედნიერება ლოგოსის შეცნობასა და გრძნობადი სურვილებისგან გათავისუფლებაშია.

ამრიგად, ჰერაკლიტეს პესიმიზმის – „მოტირალბობის“ მიზეზი ისაა, რომ ადამიანთა მოდგმა, ბრძენთა გამოკლებით, განზე გასდგომია უმთავრეს ეთიკურ მოვალეობას – ლოგოსის შეცნობას, საკუთარი შეზღუდული გონების კარნახით ცხოვრობს და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სულისა და იმჟვეყნიური არსებობის დამვიწყებელი, მარადიულ სასჯელს განიმზადებს.

ჰერაკლიტეს ეთიკური გრძნობა, სერგი დანელიას შეფასებით, „წმინდა სარწმუნოებრივი გრძნობაა“, „ჰერაკლიტე რელიგიურ გრძნობაში ხედავს უზენაეს კმაყოფილებას“.

რელიგიური ფესვები აქვს სულხან-საბას „მოტირალის“ ეთიკასაც. ადამიანებს, იგავის მიხედვით, დავიწყებით უზენაესი მსაჯული (ლოგოსი, ღმერთი) და საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრი, მხოლოდ გრძნობად არსებობას („საწუთროს საქმეს“) მისცემიან და ამით „ჯოჯოხეთს იშენებენ“. ქართველი მეიგავე ზოგადად მოხაზავს რელიგიურ კონცეფციას, არ აკონკრეტებს, ვინ არის მსაჯული, თუმცა საუკუნო სასჯელისა და ჯოჯოხეთის ხსენება, ინერციით, ქრისტიანული ესქატოლოგიისაკენ მიგვახედებს. სულხან-საბა, ჩემი აზრით, აქ საგანგებოდ არიდებს თავს **ღმერთის**, როგორც უზენაესი მსაჯულის, მოხსენიებას; თუ „მოტირალის“ პროტოტიპი ჰერაკლიტეა, ბერძენი მოაზროვნისთვის საბოლოო მსჯავრის დამდები ლოგოსია და არა – ღმერთი.

ჰერაკლიტე არ უარყოფდა ღმერთების არსებობას, თუმცა სამყარო რომელიმე ღმერთის კრეაციული აქტის შედეგად არ მიაჩნდა (ფრაგ. 30). იგი ბერძნებს მოუწოდებდა, პოლითეიზმის ნაცვლად ეცნოთ ლოგოსი – მარადიული ცეცხლი. „მარადიული ცეცხლი“ საკრალური მეტაფორაა გრძნობებით აღუქმელი, მხოლოდ გონებით მისაწვდომი სუბსტანციისა, რომელიც უმალლეს გონიერებას განასახიერებს, აქვს სიცოცხლე, ცნობიერება, ნება... ცეცხლი ანუ ლოგოსი ჰერაკლიტესთან, ფაქტიურად, ღმერთის ადგილს იკავებს; იგი განაგებს სამყაროს, ახორციელებს უზენაეს მართლმსაჯულებას და სჯის კიდეც შემცოდეთ. „ყველაფერს მხოლოდ ცეცხლი (ანუ ლოგოსი – თ. დ.) დასჯის“, – იკითხება ჰერაკლიტეს ერთ ფრაგმენტში.

სულხან-საბასთან „ჯოჯოხეთიც“ ზოგადი სახელია, რომელიც რელიგიური ცნობიერების ადამიანს სამარადისო სასჯელის ადგილს მიანიშნებს. ჯოჯოხეთი იგივე ანტიკური ტარტაროსია, ჰადესის უღრმესი წიაღი, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „ტარტაროზი – ყოველთა ჯოჯოხეთთა სახელი არს“. საკუთრივ კი, ეს არის „ჯოჯოხეთი უღრმესი და უფროსად სატანჯოვანი“, „საუკუნო ჯოჯოხეთი გამოუხსნელი“.

იგავის ავტორს ისე ოსტატურად შემოაქვს თხრობაში „საუკუნო სასჯელისა“ და „ჯოჯოხეთის“ ცნებები, რომ იგი წარმართი ფილოსოფოსის შეხედულებებსაც შეესაბამება და არც ქრისტიანული მსოფლმხედველობის დოგმებს ეწინააღმდეგება. სიკვდილი ფიზიკური, გარდაუვალი პროცესია, მას ვერავინ გაექცევა – ვერც სურვილებს ადევნებული შემცოდე და ვერც ლოგოსის შემმეცნებელი ბრძენი. განსხვავება იმაშია, რომ ცოდვილთა საიქიოში ცეცხლში ტანჯვა-წამება ელით (ფრ. 14), ხოლო ბრძენთ იმავე ცეცხლით განწმენდა და საუკუნო ნეტარება. ჰერაკლიტესა და ქრისტიანობის თვალსაზრისი ამ მხრივ მსგავსია. ისიც გავისხენოთ, რომ „ცეცხლი“ ლოგოსის საკრალური მეტაფორაცაა და მამა ღმერთისაც („შთანთქმელი ცეცხლია უფალი“ – მეორე სჯული 4:24), ხოლო აპოკალიფსის ცეცხლი ტარტაროსის (ჰადესის) ცეცხლს ეთანადება.

სულხან-საბას პრიტკაში განსაკუთრებით საგულისხმოა ერთი მომენტი – „მოტირალი“ კაცთა ყოველგვარ ქმედებაზე – **ავზეც და კარგზეც!** – ერთნაირად რეაგირებს ანუ წამდაუწუმ ტირის. ასეთი ნეგატიური რეაქცია „კარგზე“ (სიკეთეზე) ქრისტიანული ცნობიერებისა და ეთიკისათვის გაუგებარია, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის მადლის, სიკეთის, კარგის ქმნა საუკუნო ცხოვრების საწინდარია. იგავის ეს პასაჟი, ჩემი აზრით, გარკვეულობას შეიძენს, თუ ჰერაკლიტეს დიალექტიკას გავითვალისწინებთ.

სიკეთე-ბოროტება, ჰერაკლიტეს თანახმად, ორი მხარეა ერთი რეალობისა – კოსმოსისა. არსებობს მხოლოდ ზოგადი სიკეთე, რომელიც ლოგოსის კუთვნილებაა: ყველაფერი კეთილია, რადგან თავად ცვალებადობაა სიკეთე. „ღმერთისთვის (ლოგოსისთვის – თ. დ.) ყველაფერი კარგია და სამართლიანი, ადამიანებს კი ერთი ესახებათ უსამართლოდ, სხვა კი სამართლიანად“, – წერს ფილოსოფოსი (ფრაგ. 107). დიალექტიკურ აზროვნებაში სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება ქმნის გარკვეულობას, თითოეულს აძლევს აზრს, თორემ ცვლილების უწყვეტ პროცესში, როგორც ჰერაკლიტე იტყოდა, „კეთილი და ბოროტი ერთია“. ყოველთვის ერთი და იგივეა ჩვენში: სიცოცხლე და სიკვდილი, ახალგაზრდა და მოხუცი, რადგან ეს ცვალებადობის შემდეგ ისაა და პირიქით, ის ცვალებადობის შემდეგ ესაა, – განმარტავს ფილოსოფოსი (ფრაგ. 88).

„მოტირალის“ განურჩევლად ერთგვაროვანი ემოციური რეაქცია სიკეთეზეც და ბოროტებაზეც ლოგოსის შემმეცნებელი, ემპირიული სიკეთე-ბოროტების მიღმა მჭვრეტელი ბრძენის თვალთახედვაა, **ლოგიკური რეალობის** სამზერიდან აღქმული ჭეშმარიტებაა. ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებაში ბრძენი, რასაკვირველია, არ აიგივებს სიკეთეს და ბოროტებას, სამართლიანობასა და უსამართლობას ანუ ზნეობრივ ფასეულობებს, რისკენაც მუდმივად უნდა ისწრაფოდეს ადამიანი.

სულხან-საბა ორბელიანის ინტერპრეტაციაში ჰერაკლიტეს მოძღვრება მორგებული და მორიგებულია ქრისტიანობასთან, რაც სულაც არაა მოულოდნელი, რადგან ახალ რელიგიასთან ჰერაკლიტეს შეხედულებათა ადაპტაციის პროცესი ადრეულ ხანაშივე დაწყებულია. კლიმენტი ალექსანდრიელი (II ს.) ბერძენი ფილოსოფოსის ნააზრევში მონოთეიზმის სათავეს ხედავდა, ხოლო იპოლიტე (III ს.) უფრო შორს მიდიოდა – მონოთეისტურ იდეასთან ერთად ჰერაკლიტეს სულის აღდგომის იდეასაც უკავშირებდა (ფ. კესიდი).

ჰერაკლიტეს ფილოსოფიისა და ქრისტიანობის დაახლოების ისტორიული ტრადიცია, როგორც ჩანს, შესაძლებელს ხდიდა აპელირებას ძველ ანტიკურ, წარმართულ სიბრძნეზე, რომელიც სულხან-საბას მიერ გაიაზრებოდა, როგორც უზენაესი ჭეშმარიტების არქაული, წინარექრისტიანული ვერსია.

* * *

„მოტირალი“ ჰერაკლიტეს გვერდით, სენეკასთან ერთად, დემოკრიტეს „მოცინარად“ მოიხსენიებენ ჰორაციუსი, იუვენალი და ანტიკური ხანის სხვა ავტორებიც. ისინი, როგორც წესი, დემოკრიტეს სიცილს დამცინავ სიცილად აღიქვამენ, თუმცა ეს არაა სკეპტიკოსის გულგრილი რეაქცია მოკვდავთა ამაო არსებობაზე. „ადამიანებს ადამიანების უბედურების ჟამს სიცილი კი არ შეშვენით, არამედ თანაგრძნობა“, – ამბობდა დემოკრიტე (აფორ. 107; 146).

სულხან-საბას „მოცინარსა“ და დემოკრიტეს თუნდაც ეს სიცილით ვუალირებული, ჰუმანური სურვილი აერთიანებთ, მაგრამ მსგავსება მათ შორის, ვფიქრობ, უფრო ღრმაა.

„მოცინარის“ მონოლოგში, „მოტირალისაგან“ განსხვავებით, როგორც ითქვა, მინიშნებაც არაა საიქიო ცხოვრებასა და საუკუნო სასჯელზე – „მოცინარისათვის“ მხოლოდ წუთისოფელი,

მატერიალური ქვეყანა არსებობს. დემოკრიტეც არ იზიარებდა სულის უკვდავების იდეას. მისი აზრით, სული სხეულთან ერთად იღუპება – ჰაერში განიზნევა და, ამდენად, მოკვდავია, საიქიო ცხოვრება კი უმეცართა მიერ შეთხზული ზღაპარია (აფორ. 297). სამყაროს შექმნის აქტივ ღმერთების – ადამიანის მსგავსი მოკვდავი ბუმბერაზების – ჩაურევლად მოხდა, აუცილებლობის კანონის თანახმად.

„მოცინარის“ პროტესტს იგავში იწვევს ის, რომ ამ მოკლე წუთისოფელში „ყოველნი კაცი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ“. ეს გულისხმობს ისეთი ეთიკური ნორმის არსებობას, რომელიც „ავს“ უარყოფს და „კარგს“ მხარს უჭერს. საგანგაშო ისაა, რომ ადამიანთა მოდგმა ამ ნორმას საყოველთაოდ და მუდმივად არღვევს.

თანამოქალაქეთა ამაო ცხოვრების შემყურე დემოკრიტეც აბდერელებს იმას უქადაგებდა, რომ ადამიანმა ბოროტება არ უნდა ჩაიდინოს, სულში, როგორც კანონი, ისე უნდა ეწეროს: „ნუ იქმ ცუდსა საქმეს“, „ადამიანი ან კეთილი უნდა იყოს, ან ბაძავდეს კეთილს“ (აფორ. 39).

ბოროტების სათავედ დემოკრიტე არცოდნას თვლიდა. „ბოროტება სიკეთიდან წარმოიშობა, როცა ადამიანებმა არ იციან სიკეთის სწორად წარმართვა და მოხერხებულად გამოყენება“ (აფორ. 173). ამიტომაც, რომ დემოკრიტე და, მის კვალზე, „მოცინარიც“ გამოსავალს სწავლება-დამოდღვრაში, რჩევა-ქადაგებაში ხედავენ.

დემოკრიტეს ევდემონისტური ეთიკა, რომელიც ადამიანის ბუნებიდან ამოდიოდა, ჰერაკლიტესგან განსხვავებით, სიამოვნებისაკენ ლტოლვას სიკეთედ მიიჩნევდა, ოღონდ ზომიერების ფარგლებში. ზღვარგადასული ლტოლვა ვნებად გარდაიქმნება, რის შედეგადაც „უდროო სიამოვნებანი უსიამოვნებას ბადებენ“ (აფორ. 71), „ყოველგვარი უბედურება გადაჭარბებული ვნებების შედეგია“ (აფორ. 143).

დემოკრიტემ სიკეთის კრიტერიუმად შემოიტანა ზომიერების გრძნობა, ზომიერად კი ის ითვლება, რაც სასარგებლოა – **სასიამოვნო და კეთილია ის, რაც ზომიერი და სასარგებლოა.**

„მშვენიერია ზომიერება ყველგან. ზომაზე მეტი ან ნაკლები მე არ მომწონს“ (აფორ. 102), – წერდა დემოკრიტე და ადამიანებს მოუწოდებდა: – „ხელი აილე ყოველგვარ სიამოვნებაზე, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს“ (აფორ. 74).

ზომიერებისა და სარგებლიანობის კრიტერიუმების შემოტანით დემოკრიტეს ეთიკური კონცეფცია გასცდა ინსტინქტების სფეროს და გონებას, სიბრძნეს დაუკავშირდა. ბუნებრივი ლტოლვის შედეგებს გონება უნდა აკონტროლებდეს – გულადი კაცი ის კი არ არის, ვინც მტერს იმორჩილებს, არამედ ის, ვინც საკუთარ სურვილებს იოკებს. დემოკრიტეს მიხედვით, ადამიანური ბედნიერება ზღვარდაუდებელ გრძნობად სიამოვნებაში, ქონების დაგროვებასა და ფუფუნებაში არაა. სევდიანი ირონია ახლავს ფილოსოფოსის შეგონებას: „ბევრი ადამიანი ფუტკარს ჰგავს: ორივე აგროვებს, თითქოს მუდამ იცოცხლებს“.

ბედნიერება დემოკრიტესათვის „კარგი სული“ ანუ **ევთუმი**აა – „ბედნიერება სულში“, რასაც გონებით დასაზღვრული არსებობა გვანიჭებს. ამ დროს ადამიანს „არ აღელვებს არავითარი შიში, ცრუმორწმუნეობა ან რაიმე ტანჯვა“ (დოიგენე ლაერტელი).

ბოროტების ანუ ადამიანურ გადაცდენათა მიზეზი როგორც დემოკრიტეს, ისე სულხან-საბას „მოცინარისათვის“ უმეცრებაა, „უკეთესის არცოდნა“. ზნეობის წყარო, უმაღლესი სათნოება – გონიერებაა. ამას უქადაგებენ ისინი „ყოველთა კაცთა“, თუმცაღა ამაოდ!

... და მაინც, რატომ იცინიან ადამიანურ უგუნურებათა წინაშე უძლური, დამარცხებული „მოცინარი“ და მისი სავარაუდო პროტოტიპი დემოკრიტე?

„მოცინარი“ არაკის ბოლოს ამგვარად აჯამებს თავისი წარუმატებელი მცდელობის შედეგს და სიცილის მიზეზსაც განმარტავს: „ვერა დავაჯერე რა... მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას **მარგია** და ან მათი რა **სარგებელია**“.

„ზრუნვა“ ანუ ტირილი, როგორც უსარგებლო რამ, დემოკრიტეს თანახმად, ბოროტებაა, ამიტომ „მოცინარი“ უარს ამბობს ამაზე და, საბოლოოდ, ისიც, დემოკრიტეს მსგავსად, ამაოებას განრიდებული ბრძენის პოზიციას ირჩევს – დამარცხებული მორალისტი სიცილის ნიღაბს ირგებს. მაგრამ ეს არაა სულის იდეალური სიმშვიდე – ევთუმი, რადგან „მოცინარის“ სიცილს გამოუვალობის სევდა ახლავს. საბას „მოცინარი“ უფრო სტოიკოსს ემსგავსება, მისი ე.წ. სიმშვიდეც იმდენად გონების გზით მიღწეული დემოკრიტესეული ევთუმი არ არის, რამდენადაც არსებულთან შეგუება, არსებულისგან პიროვნული გამიჯვნა ანუ სტოიკოსთათვის ნიშანდობლივი **ატრაქსია**.

დემოკრიტეს ამგვარი სახეცვლილება საბასთან უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კლერიკალურ-საეკლესიო წრეებში მიუღებლად ითვლებოდა „ათეისტი“ დემოკრიტეს ხსენება. „მოცინარის“ სტოიკოს ბრძენთან დაახლოებით სულხან-საბამ ერთგვარად გაანეიტრალა ტაბუდადებულ ფილოსოფოსთან პირდაპირი ასოციაციის შესაძლებლობა. სტოიკოსად

გარდასახული „მოცინარი“ დემოკრიტე უხერხულობას აღარ ქმნიდა – სტოიციზმი ხომ ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო...

წარმოდგენილი ანალიზის შემდეგ, ვფიქრობ, დამაჯერებლობას იძენს აზრი, რომ სულხან-საბას იგავის პერსონაჟები – „მოტირალი“ და „მოცინარი“ კონცეპტუალურად ანტიკური ფილოსოფიის ორ კოლოსს – ჰერაკლიტესა და დემოკრიტეს უკავშირდებიან.

* * *

როგორ იკითხება ამგვარად გააზრებული „მოტირალი და მოცინარი“ იგავ-არაკთა წიგნის მთლიან კონტექსტში?

იგავები „სიბრძნე სიცრუისაში“, როგორც წესი, ზოგად თვალსაზრისთა სახეობრივი ილუსტრაციებია. ასეა ამ კერძო შემთხვევაშიც. ჯერ ლეონთან, შემდეგ კი ჯუმბერთან ცხარე კამათში ჩაბმულ რუქას ბრძენი სედრაქი მოტირალისა და მოცინარის იგავს უყვება. ამბის თხრობას უშუალოდ მოსდევს სედრაქის შემაჯამებელი სიტყვები: „მის მსგავსად, შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე, ჩემი ვერა მოგასმინე რა. ახლა მეც სიცილს ძალი მივეც“.

სრულიად ცხადია, ღია პარალელიზმის ხერხით („მის მსგავსად“) იგავში სახეობრივად გადმოცემული სედრაქის პოზიცია რუქას მიმართ. რუქასთან დამოკიდებულებაში სედრაქმა ორი სტადია განვლო – ურვის („მოტირალი“) და სიცილისა („მოცინარი“). ჯერ იყო გამოტირება „საუკუნო სასჯელის“ დამვიწყებელი სულისა, ხოლო შემდეგ – ცდა მხოლოდ საწუთროს წესს აყოლილი კაცის შეგონებისა. სამწუხაროდ, ყოველივე ამას გარჯით გულგატეხილი, დამარცხებული ბრძენის განდგომით და სიცილით („სიცილს ძალი მივეც“) დასრულდა.

თუ თხზულების მთლიან კონტექსტს მივმართავთ, დასაწყისში სედრაქი რუქას, მართლაც, მაღლის ქმნის ზნეობრივ ნორმას, ღვთისა და მისი განგების არსებობას შეახსენებს („მეფე ხორასანისა“), მერე კი განგებაზე თავისუფალი ნების დაქვემდებარებას განუმარტავს („ძუნწი დიდვაჭარი“). სედრაქი რუქას დინჯად მოაგონებს უპირველეს **რელიგიურ სიბრძნეს** – ღვთის შიშს და, მაშასადამე, საიქიო ცხოვრების არსებობას, სულზე ზრუნვის აუცილებლობას. ეს დაახლოებით ისაა, რისკენაც მოუწოდებს „მოტირალი“ (ჰერაკლიტე) ღმერთის (ლოგოსის) და „საუკუნო სასჯელის“ დამვიწყებელთ.

როცა „სიბრძნე სიცრუისაში“ განსჯა თანდათანობით საწუთისოფლო სივრცეში გადაინაცვლებს, რუქა ლეონთან პაექრობაში თავგამოდებით იცავს სიკეთის წილ ბოროტებით მიგების თეზას („კარგისთვის კარგი არასოდეს ქმნილა“), ანუ თეორიულად იცავს იმ თვალსაზრისს, რასაც იგავში პრაქტიკულად სჩადიან ამა სოფლის კაცი („ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ“). სედრაქი, ამჯერად უკვე „მოცინარის“ (დემოკრიტე) მსგავსად, **საერო სიბრძნის** პოზიციიდან არაერთგზის შეაგონებს რუქას, რომ „მართებული არ არის... კაცთათვის ავი და ბოროტის მთქმელი იყო, ყოველს კაცს სიყვარულს უნდა აჩვენებდე“, მაგრამ სეფეთუხუცესის მხრით სრულ შეუწყნარებლობას აწყდება.

„ვერა დავაჯერებინე რა“, – ჩივის „მოცინარი“.

„ჩემი ვერა მოგასმინე რა“, – მიმართავს სედრაქი რუქას.

„მოცინარისა“ და სედრაქის პოზიციები აქ იმდენად იდენტურია, რომ მათი ემოციური რეაქციები ლექსიკურ დონეზეც კი თანხვდება.

იგავისგან განსხვავებით, თხზულების მთლიან კონტექსტში, „მოტირალი“ და „მოცინარი“ ორ განსხვავებულ, ერთმანეთისგან გამიჯნულ თვალსაზრისს კი არ გამოხატავენ, რომელთაგან ერთს – „მოცინარის“ ე.წ. რეალისტურ ფილოსოფიას, როგორც გვარწმუნებენ, სულხან-საბა ორბელიანიც იზიარებს, არამედ ეს სედრაქის – ავტორის „ალტერ ეგოს“ – რუქასთან დამოკიდებულების ორი ასპექტია.

სულხან-საბას იგავურ-ფილოსოფიური განსჯანი „სიბრძნე სიცრუისაში“, მართალია, მოწყვეტილია კონკრეტულ დრო-სივრცეს და უნივერსალური ხასიათისაა, მაგრამ მაინც ატარებს ეპოქის – გვიანი რენესანსის ნიშნებს. სედრაქი, როგორც თეოლოგიური სიბრძნის სახე-სიმბოლო, „ორმაგი სიბრძნის“ კონცეფციის საფუძველზე ამხელს, დასტირის რუქას, როგორც ახალი, კრიზისული ეპოქის ადამიანს. უპირველეს ყოვლისა, იგი დასტირის რუქას ურწმუნობას, უფრო ზუსტად, პიროვნებაში რელიგიური ცნობიერების რღვევას (ჰერაკლიტეს ხაზი). ამის პარალელურად, უფალთან შეორგულებულ, სეკულარიზებულ საზოგადოებაში სედრაქი, როგორც შედეგს, საერო ეთიკური ნორმების – „საერო სიბრძნის“ სრულ უგულებელყოფასაც ხედავს, რაც მისი მწარე სიცილის მიზეზია (დემოკრიტეს ხაზი).

საზრისი, გამოხატული პრიტკაში „მოტირალი და მოცინარი“, რელიგიურ-თეოლოგიური ეთიკის მსჯავრია კრიზისული დროის ადამიანისადმი, რომელიც ღმერთსაც დაშორდა და ახალი,

სეკულარიზებული-ინდივიდუალისტური მორალის გავლენით სიკეთის უარყოფამდე მივიდა. საღმრთო და საერო სიბრძნის ერთდროულად უარყოფელთა ამგვარი კრიტიკა კონტრენესანსული, ბაროკული ეპოქის არსებითი ნიშანია.

Teimuraz Doiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

CRYING AND LAUGHING SULKHAN-SABA RESUME

“The crying man and the laughing man “ is Sulkhan Saba Orbeliani’s key parable. Due to the widespread view it expresses the main tendency of the composition moreover the point of view of the writer that is realized in “Laughing” realistic philosophy. (Academician Al. Prangishvili).

Wise Sedraki tells fable for analyzing from the orthodox bible, therefore it is logically hardly believable that author fully dissociates with the “Crying person’s” religious point of view and only agrees with “the laughing man’s” so called realistic position.

The paradigm heroes of “The laughing man” and “The crying man” are the illusions of the antique philosophy about “crying” Heraclius and “laughing” Democritus. Due to the results of our comparative analysis it is proved that there is a great connection between the thoughts, conceptions and the points of view of the main heroes.

In the whole context of the composition “the man who was crying” and “The man who was laughing they don’t describe two different points of view but this is the author’s “Alter Ego’s” two aspects of attitudes: One is that Sedrak mourns over Ruka as the new crisis, post renaissance period person. He also worries about his unbelief, about the ruins of religious point of view (according to Heraclites) and parallel to this he discloses full neglecting of the ethnic standards of secularized society, that becomes the cause of his bitter laughing. (According to Democrat)

The main idea described in the parable “The man who was crying and the man who was laughing” is religious theoretical discussion about the post renaissance person who parted from God and influenced by new secularized-individual moral came to the decision to neglect kindness.

თინათინ დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პედაგოგიკის ინსტიტუტი

ზნეობრივი აღზრდის პრობლემები უმაღლეს სკოლაში

„ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებით და მოკრძალებით, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზროვნებ მათზე, ესენია: ვარსკვლავიანი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში.“
კანტი, „პრაქტიკული გონების კრიტიკა“

ზნეობის ფენომენი კაცობრიობის მარადიული საფიქრალია. სხვადასხვა დროის ფილოსოფიური აზროვნება ამ ფენომენს განსხვავებული ასპექტითა და კუთხით განიხილავდა. ზნეობის ლათინური შესატყვის „მორალი“-ს ცნება ციცერონმა დაამკვიდრა, როდესაც მან გამოიყენა სიტყვათშეთანხმება “philosophia moralis” ეთიკის მნიშვნელობით. ლათინური „mos“ წეს-ჩვეულებას, ზნე-ჩვეულებას გულისხმობს. ასევე ჩვეულებას და ადათს აღნიშნავს ბერძნული „ethos“, საიდანაც შემდგომ ეთიკის ცნება დამკვიდრდა. ვიწრო გაგებით კი ეთიკა არის მოძღვრება **ზნეობრივის** შესახებ.

თანამედროვე გაგებით, მორალის ცნებით აღინიშნება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, საზოგადოების მიერ შემუშავებული ქცევის წესებისა და ნორმების სისტემა, რომელთა დაცვის მოთხოვნას საზოგადოება უყენებს თავის წევრებს. თავის მხრივ, ადამიანისათვის სუბიექტური კუთხით,

ეს არის პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ მის ყოფა-ქცევას და სოციალური ურთიერთობების თავისებურებებს. მაშასადამე, ზნეობრიობა, როგორც ადამიანის მახასიათებელი, მიუთითებს ადამიანის მიერ ამ ზემოხსენებული ქცევის წესებისა და ნორმების დაცვაზე. სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა თუ განსხვავებული პედაგოგიური კონცეფციების მიმდევართა შორის ექვს არასდროს იწვევდა ის ფაქტი, რომ საზოგადოების კეთილდღეობის ქვაკუთხედს სწორედ საზოგადოების ზნეობრიობა წარმოადგენს. ამიტომ მორალური აღზრდის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პიროვნების აღზრდის საერთო სისტემაში. პიროვნების ჰარმონიული ფორმირების პროცესში, ფიზიკური, გონებრივი, ესთეტიკური თუ შრომითი აღზრდის გვერდით, ადამიანის ზნეობრივ აღზრდას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეტიც, ზნეობრივი უნარ-ჩვევების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, აღზრდის სხვა მიზნების რეალიზაცია (ფიზიკური, გონებრივი, ესთეტიკური, შრომითი აღზრდა) და, მეორე მხრივ, პიროვნების ჰარმონიული თანაარსებობა საზოგადოებაში. „პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებში“ (ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი, თბილისი, 2013) ზნეობრივი აღზრდის ასეთ განმარტებას ვხვდებით: „ზნეობრივი აღზრდა არის ადამიანის პიროვნებად ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური პროცესი და ემსახურება მოზარდის მიერ საზოგადოების მიერ დადგენილი ნორმებისა და წესების ათვისებას და დაცვას. **მორალური ანუ ზნეობრივი აღზრდა** არის მიზანმიმართული, კანონზომიერი, რთული პროცესი ბავშვსა და მოზარდში ზნეობრივი ქცევის წესების ჩამოყალიბებისა, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზებულ გარემოში მასწავლებლის, აღმზრდელის ხელმძღვანელობით“. მაშასადამე, ზნეობრივი აღზრდის მიზანს წარმოადგენს ადამიანში ზნეობრივი ქცევის წესების, ზნეობრივი ჩვევების ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, ეტაპობრივად ხორციელდება. მორალური აღზრდის პარადიგმა მოიცავს მორალური შეგნების, მორალური შეგრძნების და მორალური ჩვევების (ქცევების) კომპონენტებს, მათ თანადროულ განვითარება-ჩამოყალიბებას. ხოლო ამ პროცესის წარმართველი არის აღმზრდელი, მასწავლებელი, რომელიც, უნდა ხელმძღვანელობდეს, ერთი მხრივ, საზოგადოების ზნეობრივი განვითარების დონისა და, მეორე მხრივ, ამ საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროების გათვალისწინებით. ძალიან რთულია ვისაუბროთ ერთ უნიკალურ ღირებულებათა სისტემაზე, რომელიც საერთო იქნება ყველა დროისა და საზოგადოებისათვის, რადგან ყოველი ცივილიზაციის ფარგლებში, კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ამგვარი სისტემა თავისებურ ცვლილებას განიცდის, თუმცა ანტიკურ, ჰუმანიზმის ეპოქისა და ახალი დროის ფილოსოფიაში ვხვდებით ტერმინს „სათნოება“, რომელიც აღნიშნავს დადებით მორალურ თავისებურებას. (ასეთია, მაგალითად: სიბრძნე, სიმამაცე, სამართლიანობა, ზომიერება და სხვა.) ამგვარი სათნოებანი წარმოადგენენ ერთგვარ ზნეობრივ ზეკატეგორიებს, რომლებიც შინაარსობრივად გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან საზოგადოების განვითარების კვალობაზე. (ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1968)

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა, თუ რა ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე ქართული სტუდენტური საზოგადოება ადამიანს (ვინაიდან სწორედ სტუდენტია მომავალი ქართული საზოგადოების შემქმნელი) და რა მორალურ ღირებულებებს ეფუძნება სააღმზრდელო პროცესი ჩვენს საზოგადოებაში. სააღმზრდელო პროცესის ხელმძღვანელი არის მასწავლებელი. აღზრდის სახელმწიფოებრივი ხასიათიდან გამომდინარე იგი უნდა ზრუნავდეს მომავალი თაობისათვის ზნეობრივ ღირებულებათა იმგვარი სისტემის ფორმირებაზე, რომელიც ჩვენი საზოგადოების პოზიტიური განვითარებისთვისაა აუცილებელი. შესაბამისად ჩვენთვის საინტერესოა, რა თავისებურებებს ავლენენ პედაგოგები სტუდენტებთან ურთიერთობის პროცესში.

ამდენად, ჩვენი **კვლევის მიზანი** იყო გაგვეგო, თუ როგორი იყო შესაბამისობა სტუდენტების დაკვეთებსა და პედაგოგების ზნეობრივი მახასიათებლებს შორის სასწავლო პროცესთან მიმართებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწავლება აღზრდის განუყოფელი ნაწილია, აღზრდის ძირითადი და წამყვანი გზაა. ამდენად, სწავლების პროცესი სტუდენტებში ღირებულებათა ფორმირების, ზნეობრივი აღზრდის პროცესსაც წარმოადგენს და იგი აღზრდის ზოგად მიზანთან შესაბამისობაში უნდა განვიხილოთ. ამასთან საინტერესოა, რამდენად არის ეს ზნეობრივი ღირებულებები სტუდენტების მოთხოვნასთან და მასწავლებლის პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისობაში.

კვლევის მეთოდს წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ, გამოკითხვა.

კვლევის პირველ, ძიებით ეტაპზე ღია კითხვარის საშუალებით გავარკვეეთ ახალგაზრდების, კერძოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების აზრი იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნებს უყენებენ ისინი თავიანთ პედაგოგებს. ასევე შევისწავლეთ „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“ (რომელიც ძალაში შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის ბრძანების საფუძველზე).

შემდგომში, **კვლევის მეორე ეტაპზე** შევქმენით საკვლევი ინსტრუმენტი, კერძოდ, **პედაგოგთა პროფესიული მახასიათებლების საკვლევი კითხვარი**, რომელიც მოიცავს ოცდასამ მახასიათებელსა და

სკალას ოთხი შესაძლო პასუხით: ყოველთვის - 4, ხშირად - 3, იშვიათად - 2 და არასოდეს - 1. რესპონდენტმა მოცემული სკალის გამოყენებით უნდა მიუთითოს, თუ რამდენად ხშირად იჩენს თავს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა ქცევაში ესა თუ ის მახასიათებელი. კითხვარში მოცემული მახასიათებლები დადგინდა სტუდენტთა წინასწარი გამოკითხვის შედეგებისა და „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ გამოყენებით. ქვემოთ წარმოდგენილია ზემოაღნიშნული კითხვარი.

პედაგოგთა პროფესიული მახასიათებლების საკვლევი კითხვარი

წინამდებარე კითხვარის მიზანია შეისწავლოს პედაგოგთა პროფესიული მახასიათებლები. კითხვარი განკუთვნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

ფაკულტეტი _____
 ასაკი _____
 სქესი _____

სტუდენტი ☐
 მაგისტრანტი ☐

გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილი სკალის გამოყენებით მიუთითოთ, თუ რამდენად ხშირად იჩენს თავს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა ქცევაში ესა თუ ის მახასიათებელი. მონიშნეთ ერთ პასუხი.

თქვენი პასუხების ანონიმურობა გარანტირებულია!
 მაღლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!


	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
ცოდნა საგანში	4	3	2	1
პატიოსნება	4	3	2	1
სიკეთე	4	3	2	1
სტუდენტის პატივისცემა	4	3	2	1
პროფესიული პასუხისმგებლობა	4	3	2	1
პატრიოტიზმი	4	3	2	1
ეთიკური ნორმების დაცვა	4	3	2	1
ზრდილობა	4	3	2	1
ტრადიციების პატივისცემა	4	3	2	1
სტუდენტთან მეგობრული დამოკიდებულება	4	3	2	1
თანაგრძნობა	4	3	2	1
ტოლერანტობა	4	3	2	1
საკუთარი საქმის სიყვარული	4	3	2	1
ჰუმანურობა	4	3	2	1
მოწესრიგებულობა	4	3	2	1
სამართლიანობა	4	3	2	1
კონონმორჩილება	4	3	2	1
უანგარობა	4	3	2	1
სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება	4	3	2	1
სტუდენტთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება	4	3	2	1
მოქალაქეობრიობა	4	3	2	1
თანადგომა	4	3	2	1
სტუდენტის სიყვარული	4	3	2	1

კვლევაში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. სულ გამოკითხულ იქნა 100 სტუდენტი, ამათგან 72 ბაკალავრიატის, ხოლო 28 მაგისტრატურის სტუდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობას ღებულობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 53 სტუდენტი და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 47 სტუდენტი. გამოკითხულთაგან 87 რესპონდენტი მდედრობითი სქესისაა, 13 მამრობითის. რესპონდენტთა ასაკი მერყეობს 19-დან 26 წლამდე (საშუალო ასაკი 23 წელი).

კვლევის შედეგები

კვლევის მონაცემები დამუშავდა SPSS სტატისტიკური პროგრამით. უპირველეს ყოვლისა დადგინდა სტუდენტთა მიერ პედაგოგთა პროფესიული მახასიათებლების გამოვლენის სიხშირის საშუალო მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 1.)

დიაგრამა1.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა „თანაგრძნობას“, ხოლო ყველაზე მაღალი ცოდნას საგანში. შედეგი სერიოზულად დამაფიქრებელია. ცხადია, ამ სტატიის ფორმატის პირობებში, ვერ ვისაუბრებთ თანამედროვე ქართული საზოგადოების ყველაზე მტკივნეული ფენომენის - „სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი“ -ის გამომწვევ მიზეზებზე (და არც გვაქვს ამის კომპეტენცია), მაგრამ, როცა მასწავლებელს, რომლის უპირველეს მოვალეობას ნორმალურ საზოგადოებაში სტუდენტის სიყვარული, მასზე ზრუნვა და მისი პრობლემების გათავისება წარმოადგენს, თანამედროვე ქართული საზოგადოების უმძიმესი ვითარების გათვალისწინებით, დაბალი აქვს სტუდენტისადმი თანაგრძნობის განცდა, ვფიქრობთ, ეს კარგს არაფერს მოგვითხნის და ამაზე უნდა დაფიქრდეს პედაგოგიური საზოგადოება. მასწავლებლის როლი ხომ განუსაზღვრელია მომავალი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

საინტერესო იყო ასევე განსხვავება, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა მონაცემებს შორის. ამისათვის გამოვიყენეთ t კრიტერიუმით საშუალო მაჩვენებლების შედარების მეთოდი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. (ცხრილი 1.)

ცხრილი 1.

<i>მახასიათებელი</i>	<i>ფაკულტეტი</i>	<i>საშუალო მაჩვენებელი</i>	<i>t</i>
ცოდნა საგანში	ჰუმანიტარული	3.59	3.79
	სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა	3.21	
პატრიოტიზმი	ჰუმანიტარული	3.13	3.13
	სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა	2.68	
ზრდილობა	ჰუმანიტარული	3.42	2.28
	სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა	3.17	
ტრადიციების პატივისცემა	ჰუმანიტარული	3.19	3.45
	სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა	2.76	
საქმის სიყვარული	ჰუმანიტარული	3.36	2.69
	სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა	3.02	
მოწესრიგებულობა	ჰუმანიტარული	3.25	3.64
	სოც.-პოლიტ. მეცნიერებათა	2.76	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები უფრო კმაყოფილნი არიან პედაგოგთა ცოდნით საგანში, ვიდრე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები. ისინი ასევე უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ სასწავლო პროცესში პედაგოგთა მიერ გამოქმედებულ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა პატრიოტიზმი, ზრდილობა, ტრადიციების პატივისცემა და მოწესრიგებულობა. დაბოლოს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს მეტად აქვთ იმის განცდა, რომ მათ პედაგოგებს უყვართ საკუთარი საქმე.

კვლევის შედეგების დამუშავებისას საყურადღებო აღმოჩნდა ასევე ის განსხვავება, რომელიც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების მონაცემებს შორის დაფიქსირდა. ამჯერადაც გამოვიყენეთ t კრიტერიუმით საშუალო მაჩვენებლების შედარების მეთოდი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. (ცხრილი 2.)

ცხრილი 2.

<i>მახასიათებელი</i>	<i>განათლების საფეხური</i>	<i>საშუალო მაჩვენებელი</i>	<i>t</i>
პატიოსნება	ბაკალავრიატის	3,19	-2,71
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,50	
სიკეთე	ბაკალავრიატის	2,72	-4,29
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,32	
სტუდენტთან მეგობრული დამოკიდებულება	ბაკალავრიატის	2,78	-3,34
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,25	
თანაგრძნობა	ბაკალავრიატის	2,59	-3,72
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,14	
ტოლერანტობა	ბაკალავრიატის	2,8	-2,73
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,21	
ჰუმანურობა	ბაკალავრიატის	2,92	-3,65
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,39	
სამართლიანობა	ბაკალავრიატის	2,8	-2,27
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,07	
სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება	ბაკალავრიატის	2,67	-3,25
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,1	
თანადგომა	ბაკალავრიატის	2,78	-3,67
	სტუდენტი მაგისტრანტი	3,28	

წინამდებარე ცხრილი გვიჩვენებს საერთო ტენდენციას, რომ ზოგადად მაგისტრატურის სტუდენტები უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ თავიანთ პედაგოგებს, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები. გამოიკვეთა რამოდენიმე მახასიათებელი, რომელიც უშუალოდ სტუდენტებისა და მათი პედაგოგების ურთიერთობის თავისებურებას ასახავს. კერძოდ, ეს მახასიათებლებია: სტუდენტთან მეგობრული დამოკიდებულება, თანაგრძნობა, სამართლიანობა, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება და თანადგომა. ამ თვალსაზრისით ბაკალავრიატის სტუდენტები მაგისტრანტებთან შედარებით უკმაყოფილებას გამოხატავენ. ვფიქრობთ, ფრიად საინტერესოა ამ ფაქტის მიზეზების დადგენა. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ბაკალავრიატის სტუდენტები ასევე მაგისტრატურის სტუდენტებთან შედარებით დაბალ შეფასებას აძლევენ პედაგოგთა ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა პატიოსნება, სიკეთე, ჰუმანურობა და ტოლერანტობა. ცხადია, რთულია ცალსახა პასუხის გაცემა შედეგების გამომწვევი მიზეზების შესახებ, ვინაიდან მათ მრავალი ფაქტორის კომპლექსური ზემოქმედება განაპირობებს, მაგრამ ამ მიზეზთა შორის უმთავრესი, ვფიქრობთ, ბაკალავრიატის სტუდენტთა სიმრავლეა, რომელიც ართულებს მასწავლებლის მიერ სტუდენტებთან კითხვარის ამ ნაწილში მითითებული ინდივიდუალურად მახასიათებლების გამოვლენას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ბაკალავრიატის სტუდენტს ესაჭიროება დახმარება და თანადგომა, ვინაიდან იგი შინაარსობრივად მისთვის სრულიად უცხო გარემოში და უჩვეულო აქტივობის წინაშე აღმოჩნდა და მის მომავალ წარმატებას ამ სფეროში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სწორი ორიენტაცია და სწავლების პროცესში მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება. კვლევის ეს მაჩვენებელი, ალბათ, უნდა გაითვალისწინოს უნივერსიტეტის აკადემიურმა მტატმა.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ასევე ის ფაქტი, რომ მამრობითი სქესისა და მდედრობითი სქესის სტუდენტების მონაცემებს შორის დაფიქსირდა ერთმანეთისაგან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავების მქონე მხოლოდ ორი მახასიათებელი: ტრადიციების პატივისცემა და სამართლიანობა. (ცხრილი 3)

ცხრილი 3.

მახასიათებელი	სქესი	საშუალო მაჩვენებელი	t
ტრადიციების პატივისცემა	მდედრობითი	3,05	2,33
	მამრობითი	2,61	
სამართლიანობა	მდედრობითი	2,83	-2,00
	მამრობითი	3,15	

აღმოჩნდა, რომ მდედრობითი და მამრობითი სქესის სტუდენტები განსხვავებული აზრისანი არიან იმის შესახებ, თუ რამდენად სცემენ პატივს მათი პედაგოგები ტრადიციებს. ამათგან მამრობითი სქესის სტუდენტები უფრო კრიტიკულნი არიან, ხოლო მდედრობითი სქესის სტუდენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ამ მახასიათებელს.

რაც შეეხება სამართლიანობას, ამ მხრივ მამრობითი სქესის სტუდენტები ფიქრობენ, რომ სამართლიანობის ხარისხი უფრო მაღალია.

დასკვნა. წარმოდგენილი კვლევის ფორმატი, ცხადია, არ იძლევა ობიექტური დასკვნების გამოტანის საშუალებას, ვინაიდან მასში გადმოცემულია მხოლოდ ორი ფაქტუალური სტუდენტთა წარმოდგენები მასწავლებელთა ქცევასთან და დამოკიდებულებებთან მიმართებით, მაგრამ, ვფიქრობთ, კვლევის შედეგები მეტნაკლები გადახრებით, მაინც წარმოაჩენს იმ ზოგად მახასიათებელს, რომელიც შეიმჩნევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლებში სტუდენტთა აღზრდის თვალსაზრისით. კერძოდ, წარმოდგენილი სკალის მიხედვით, კითხვარში მოცემულ ყველა მახასიათებელზე სტუდენტური აზრი მერყეობს სკალის 3-სა და 4 მაჩვენებელს შორის და არსად არ გვხვდება სკალის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 1, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თსუ-ის მასწავლებლები, სწავლების პროცესის ზნეობრივი მახასიათებლების მიხედვით, პრინციპში, აკმაყოფილებენ სტუდენტთა დაკვეთებს, თუმცა, სერიოზული დაფიქრება საჭირო მათი მხრიდან ზოგიერთ მახასიათებელზე. ჩვენს მიერ შემდგომში უფრო ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემები წარედგინება თსუ-ს აკადემიურ პერსონალს შესაბამისი რეგულაციების დაცვით.

ლიტერატურა:

1. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი.
http://www.tpdg.ge/uploads/pdf_documents/maszavleblis_eTikis%20kodeqsikodeqsi.pdf
2. ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ., 2013.
3. ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968.

Tinatin Dolidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Pedagogy

MORAL EDUCATION PROBLEMS IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

ABSTRACT

Thesis studies the problem of moral education in the field of higher education. In the frame of research, based on students' demand and teachers' code of ethics questionnaire were developed and 100 students were surveyed. Results were analyzed using statistical software SPSS. Based on the results, as a conclusion we can say that in Iv. Javakhishvili Tbilisi State University teachers, in frame of teaching process moral characteristic, in principle, satisfy students' needs, but, on the other hand, from students' point of view, teachers have to consider some features.

კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხები საქართველოში

2005 წელს ბერგენის სამიტზე საქართველო შეურთდა ბოლონიის პროცესებს. ბოლონიის პროცესმა საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში შემოიტანა შემდეგი ცვლილებები: სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), დიპლომის ახლებური დანართი (ევროპის საბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელი), სწავლების ყველა საფეხურზე სილაბუსებისა და კურიკულუმების თანამედროვე სახით შემოღება, შეფასების ერთიანი სისტემა და სხვ. არსებულ კონვენციებსა და დეკლარაციებში განათლების პოლიტიკა მიმართულია განათლების მიღების გზების გამარტივებისაკენ – სტუდენტებს მოპოვებული აღიარებადი კვალიფიკაციით შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში; ევროპის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად აირჩიოს უმაღლესი განათლების სისტემის საკუთარი ორგანიზაციული მოდელი.

თანამედროვე უნივერსიტეტის და, ზოგადად, ყველა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წინაშე დგას ამოცანა, მომზადდეს მაღალკვალიფიციური კადრი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დასაქმების ბაზარზე, სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება მოპოვებული ცოდნა გამოიყენოს საჭიროებისამებრ, დროისა და საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, მოტივირებული იყოს პროფესიულ ზრდაზე.

დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში კვლევა არ ჩატარებულა. ჩატარდა რამდენიმე კვლევა, რომელიც ძირითადად ეხებოდა თავად ბაზრის ინფრასტრუქტურისა და დასაქმებისადმი მზაობის შესწავლას. *პირველი კვლევა* ჩატარა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2008 წლის თებერვალში, თბილისში, რომელიც წარმოადგენდა 2007 წლის ივლისში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერთობლივად ორგანიზებული კვლევის გაგრძელებას. კვლევა შეეხო ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სფეროებს, როგორიცაა: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტურიზმი, მოსახლეობის მოგზაურობა, ნავსადგური. *მეორე კვლევა* „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა“ ჩატარდა 2008 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც მოიცავდა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ჯანდაცვის, საფთხაქო, საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. კვლევის მიზანი იყო სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა და იმ პროფესიების დადგენა, რომლებზეც მიმდინარე პერიოდში მოთხოვნა დაუკმაყოფილებელია და/ან უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სპეციალობის შესაბამისი პრობლემები, თუმცა დასასრულს აღინიშნა, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში მომუშავეთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას გეგმავენ საფინანსო ორგანიზაციების 44%, სამედიცინო დაწესებულებების 19%, აფთიაქების - 13%, კავშირგაბმულობის ორგანიზაციების 11% და სატრანსპორტო ორგანიზაციების 8%.

2008 წელს საქართველოში განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარდა უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგების კვლევა, რომლის მიზანი იყო ბოლონიის პროცესის წარმატების შეფასების ეროვნული ანგარიშის ფორმაში არსებული ინდიკატორების შესაბამისად (Bologna Process Template for National Reports, 2008; Stocktaking Report) ინსტიტუციურ დონეზე უმაღლესი განათლების რეფორმის აღწერა და უმაღლესი განათლების სფეროში ამ ეტაპზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. კვლევის ერთ-ერთი ქვეთავი ეხებოდა კურსდამთავრებულთა დასაქმებას და დამსაქმებელთა ურთიერთობას. 2008 წლის მონაცემებით, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვას უმაღლესი სასწავლებლების 60% აწარმოებდა, თუმცა თუ არა სრულად, ნაწილობრივ მაინც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასაქმების აღრიცხვა კერძო უმაღლეს სასწავლებლებში უფრო ხშირად ხორციელდებოდა, ვიდრე სახელმწიფო სასწავლებლებში.

2009 წელს ვარშავის უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი ბოლონიისა და უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტებისათვის „მომავლის კომპეტენციები“, სადაც მონაწილეობა ქართველმა

წარმომადგენლებმაც მიიღეს. სემინარის ძირითად გზავნილს წარმომადგენდა უნივერსიტეტების მიერ სტუდენტისთვის თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების და ცოდნის მიწოდების უზრუნველყოფა.

2011 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ეისითის“ მიერ (პროექტის კონსულტანტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი ქეთევან მარშავა) ჩატარდა უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა თსუ-ს ბრენდის ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრა, კვლევა მოიცავდა 6 კომპონენტს: სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პროფესორ-მასწავლებლებს, აბიტურიენტებს და მშობლებს, დამსაქმებლებს, საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს. კვლევის შედეგებით გამოკვეთილი რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. კვლევაში მითითებულია, რომ მომსახურების ხარისხის კვლევის რეგიონის დროს, რაიმე უბეში შეცდომა ან ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

შემდეგი კვლევა - „სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ“ ჩატარა კვლევითმა ჯგუფმა (ხელმძღვანელი ნ. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) 2011 წელს. კვლევაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე სამყაროში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები თვალყურს ადევნებენ საკუთარი სტუდენტების კარიერის განვითარებას, რა წარმატებებს აღწევნის ისინი შრომით ბაზარზე და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები რამდენად იყენებენ ამ მონაცემებს იმისათვის, რომ სამომავლოდ მოიზიდონ სტუდენტები. შესაბამისად, მათ აქვთ დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა. გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები დაინტერესებულნი არიან, რომ მათი სტუდენტები იყვნენ მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, ამიტომაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში არსებობს კარიერის სამსახურები, ან მსგავსი სახის სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციით, უტარებენ ტრეინინგებს ავტობიოგრაფიული მონაცემების შედგენის, გასაუბრების და სხვა მრავალი უნარის განვითარების მიზნით, აწყობენ მათ შეხვედრას დამსაქმებლებთან. მნიშვნელოვანია, რომ, კურიკულუმების შედგენისას, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ითვალისწინებენ დამსაქმებლებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს.

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო, გარკვევა, არსებობს თუ არა თანამედროვე სამყაროს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში გავრცელებული სტუდენტთა დასაქმების რომელიმე კომპონენტი საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში? თუ არსებობს, რამდენად მუშაობს ის? თუ არსებობს განსაკუთრებული სპეციფიკა ამ მხრივ საქართველოში? თუ არსებობს უნიფიცირებული, სტანდარტული მოდელი და თუ აქვს ადგილი განსხვავებულ მიდგომებს? როგორ ესმით საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებს სტუდენტთა დასაქმების კონცეფცია და კავშირების არსებობა შრომით ბაზართან?

ამ კვლევის პირველ ეტაპზე შერჩეული იქნა 10 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და თბილისის - რეგიონული უნივერსიტეტები. **მეორე ეტაპზე**, თითოეულ უნივერსიტეტში გამოიკითხა ადმინისტრაციის ორი წარმომადგენელი, ე. წ. ზედა რგოლის მენეჯერები: რექტორები, პრორექტორები, დეკანები, სამსახურების უფროსები. უნივერსიტეტებიდან სულ გამოიკითხა 20 რესპონდენტი. ასევე ინტერვიუები ჩატარდა დამსაქმებლების, ანუ მსხვილი ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებთან, სულ 12 ინტერვიუ. აგრეთვე, კვლევის ფარგლებში დამუშავდა შესაბამისი ლიტერატურა და დოკუმენტაცია; გამოყენებული იქნა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ამ მიმართულებით საქართველოში ჩატარებულ კვლევები.

მოვიტანთ ვრცელ ამონარიდს კვლევის შედეგებიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს კვლევა, არსებულ კვლევებთან შედარებით, ყველაზე ფართოდ აშუქებს აღნიშნულ საკითხს.

„მიღებული მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ

- კავშირი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის სუსტია, თუ არის, ძირითადად აგებულია პირად ურთიერთობებსა და კონტაქტებზე, ხშირად არც ერთი მხარე არ ენდობა და გაურბის ხელშეკრულების გაფორმებას;
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის სურვილი არ ჩანს. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს აქვს პრეტენზიები ერთმანეთთან, მაგრამ ამ პრეტენზიებს ერთმანეთს არ უზიარებენ, არ დგება დიალოგი. მაშინაც კი, როცა დამსაქმებელი აღმოაჩენს ნაკლოვანებებს და ხარვეზებს მომავალი კადრის მომზადებაში, არ ცდილობს მიმართოს სასწავლო დაწესებულებას სიტუაციის გამოსწორების მიზნით, ხოლო სასწავლო დაწესებულება თითქმის არ მიმართავს დამსაქმებელს მისი მოსაზრებების კურიკულუმში გათვალისწინების მიზნით;
- ასევე დამსაქმებლებს ხშირად არ ესმით კურიკულუმზე ერთობლივი მუშაობის საჭიროება და პოტენციალი;

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, როგორც მათი წარმომადგენლები ამბობენ, ყოველთვის ცდილობენ სწავლების პროცესში სტუდენტებს განუვითარონ როგორც კონკრეტული, დარგობრივი უნარები, ასევე ტრანსფერული უნარებიც. თუმცა, დამსაქმებლების კონსულტაციებს, როგორც შედეგებიდან გამოჩნდა, ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ და ეყრდნობიან ზოგად ცოდნას და თავიანთ წარმოდგენას, რა შეიძლება დასჭირდეს სტუდენტს მუშაობისას. ამ მდგომარეობის შედეგია ის, რომ დამსაქმებლები სხვა კომპეტენციებზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო უნივერსიტეტები - სხვა. ანუ, მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მიწოდებას. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისის რამდენიმე კერძო უმაღლეს სასწავლებელში;
- დამსაქმებლების პასიურობის ერთი მიზეზი ისაა, რომ მათ არ აქვთ სათანადოდ განვითარებული კადრების პოლიტიკა. პერსონალის მართვის სამსახურები და მათი თანამშრომლები შედარებით ახალია საქართველოში, ბევრ მათგანს აკლია სათანადო კვალიფიკაცია, თავად ბიზნეს ორგანიზაციების მმართველებსაც არ ესმით სათანადოდ ამ სამსახურის მნიშვნელობა და ხშირად ვერ უსახავენ მკაფიო ამოცანებს;
- დამსაქმებლების პასიურობის სხვა მიზეზი ისაა, რომ ისინი მაინც შოულობენ მათთვის დამაკმაყოფილებელ კადრს, ანუ, არსებობს, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც უმაღლესები, რომლებიც აწვდიან მათ სტუდენტებს, ესენია: თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. ამ უმაღლეს სასწავლებლებს აერთიანებთ ის, რომ ყველას აქვს კარიერის სამსახური, ანუ, კარგად ესმით მისი მნიშვნელობა;
- გამოვლინდა, რომ სტუდენტთა კარიერის სამსახურები ნაკლებადაა განვითარებული სახელმწიფო უნივერსიტეტებში და თუ, ერთი შეხედვით, ისინი მნიშვნელოვნად მიაჩნიათ უნივერსიტეტების მესვეურებს, მაინც უკანა პლანზე აყენებენ სხვა სამსახურებთან შედარებით;
- უნივერსიტეტებში სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობებისთვის ერთიანი, სტანდარტულ მოდელი არ არსებობს, თუმცა, ზოგადად, კმაყოფილებას გამოხატავენ ამ მხრივ არსებული მდგომარეობით და ამის დამადასტურებლად, როგორც წესი, მოჰყავთ დასაქმების სტატისტიკა/რაოდენობრივი მაჩვენებლები, თუმცა რამდენად ასახავს ეს მაჩვენებელი თვითონ სასწავლებლის რეალურ როლს, მის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგს ამ მიმართულებით, უცნობია. ამიტომ, საინტერესო იქნებოდა თვითონ სტუდენტებისგან გაგვეგო, რამდენად დაეხმარა მათ უნივერსიტეტი დასაქმებაში.“

თუ შევადარებთ 2008 და 2011 წლების კვლევების შედეგებს, დავინახავთ, რომ 2011 წლის კვლევის შედეგები გარკვეულწილად ეხმიანება 2008 წელს განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევას „უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები“. მაშინაც ითქვა, რომ კერძო სასწავლებლები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი სტუდენტების დასაქმების აღრიცხვით, რაც ამ კვლევაშიც გამოიკვეთა. კერძო სასწავლებლებში, ძირითადად, ჩამოყალიბებულია სტუდენტების კარიერის სამსახური და ისინი უფრო უწყობენ ხელს სტუდენტების დასაქმებას, ვიდრე ეს სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხდება. საინტერესოა ისიც, რომ მაშინაც და ახლაც **დამსაქმებლები ვერ ხედავენ განსხვავებას ბაკალავრისა და მაგისტრის კვალიფიკაციას შორის, ეს მხოლოდ ფორმალზად მიაჩნიათ.** სახელმწიფო უნივერსიტეტების მაგალითზე გამოიკვეთა, რომ **სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სფეროში პროგრესი არ შეინიშნება და ნაკლებად სრულდება რეკომენდაციები** - უნივერსიტეტების მიერ სტუდენტებისთვის თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების და ცოდნის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტებმა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ურჩიეს კურსდამთავრებულების პროფესიული განვითარების აღრიცხვა, დამსაქმებელთან ერთად პროგრამების შემუშავება, სტაჟირების/პრაქტიკის საკითხის მოგვარება, რაც მხოლოდ ნაწილობრივ, ან, საერთოდ, არ სრულდება.

წინამდებარე კვლევების შეჯერების შედეგად, ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც საჭიროებს კარგად შესწავლას, გაანალიზებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. კერძოდ, **რატომ ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხებზე მხოლოდ რამდენიმე კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება? რეალობაში მაგისტრის კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად უწევს კონკურენციას ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, თუმცა დამსაქმებელი პრაქტიკულად ვერ ანიჭებს რომელიმე მათგანს პრიორიტეტს, რატომ არ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე ზრუნვა?** ვფიქრობთ, ამ საკითხების კვლევა ძალზე საჭიროა, მით, უფრო, რომ სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების მიმართებით რაიმე კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული ჯერჯერობით არ არის.

2011 წლის კვლევის „სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ“ მონაცემების შედეგად, ასევე გამოიკვეთა შემდეგი საკითხები, რაც საჭიროებს ახალი კვლევის ჩატარებას:

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის კავშირი;
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მხრიდან კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხების წინა პლანზე წამოწევა;
- დამსაქმებლების პასიურობა - კურსდამთავრებულთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება დასაქმების ადგილების რაოდენობას;
- უნივერსიტეტებში სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობებისთვის ერთიანი, სტანდარტულ მოდელის არ არსებობა;
- კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), კურსდამთავრებულები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლები.

ასევე სამომავლო კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხები, რა არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ბაკალავრის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ეს ხდება მეცნიერებაში წინ სვლის სურვილით, თუ შრომის ბაზარზე უკეთ დასაქმების სურვილით, შესაბამისად, ჩვენს კვლევაში გათვალისწინებული იქნება ზემოთ მოყვანილი პრობლემები, საკითხები და კვლევაც ჩატარდება ამ მიმართულებით - სტუდენტები, კურსდამთავრებულები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო სფეროში (და ზოგადად) ჩატარებული კვლევების შედეგები და რეკომენდაციები, გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცე და, საერთოდ, საზოგადოება მიიღებს უამრავ კვლევას, შესაბამისი რეკომენდაციებით და იგივე პრობლემებს, იგივე მდგომარეობას. ბოლონიის დეკლარაციების მიხედვით, „უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებს (უსდ) განათლების ხარისხის მუდმივი განვითარებით საშუალება აქვს ფეხი აუწყოთ თანამედროვეობას, აქტიურად ჩაებან საერთო ევროპულ სივრცეში, გაეცნონ სიახლეებს განათლების სფეროში და საქართველოს თვითმყოფადობაზე მორგებით მოახდინონ ინოვაციების დანერგვა, შედეგად კი მიიღონ ყოველმხრივ წარმატებული საზოგადოება ქვეყნის მომავლისათვის“. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელია, სასწავლო პროცესი არ უნდა ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს და უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მიზნებს, რომელიც გულისხმობს თანამედროვე ცოდნის განვითარებასა და შენარჩუნებას; დასაქმების ბაზრისათვის მზადებას; დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისათვის მზადებას; პიროვნულ ზრდას. სამომავლო კვლევაც გაგრძელდება სწორედ ამ მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, ჰელსინკი, 2005.
2. ბოლონიის ძირითადი დოკუმენტები - http://www.tempus.ge/index.php?option=com_content&view=article&id=82&Itemid=79&lang=ka
3. http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1231224818_reforma.pdf
4. <http://www.gtu.ge/suss/fullNews.php?nid=854&>
5. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/TSU_Technical%20Report.pdf
6. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/TSU_ACT_final%20results_presentation_ed2.pdf

Pikria Vardosanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE EMPLOYMENT OF GRADUATES IN GEORGIA RESUME

Conference theme - "The Employment of Graduates in Georgia" – includes an analysis of graduates employment problems in Georgia since 2007. For democracy of education sector development indicators of the quality of education and transparency issues directly related to the institution of higher educational programs for formation of competitive specialists. The article discusses the results of these studies have identified the positive and negative aspects of the problems, which are not reviewed in surveys.

ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ბოლო დღეები ქართული ბელეტრისტიკის მაგალითზე - ისტორიული ფაქტი და ლიტერატურული ფიქცია

ზვიად გამსახურდია ერთ ესეში შენიშნავდა: „*ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითე* [გამსახურდია ზ., 1991:229]. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას აღსასრული, ცხოვრების ტრაგიკული ფინალი, მართლაც ზუსტი გასაღებია მისივე ცხოვრების გასაგებად. ჩვენი კვლევის მიზანზე ფინალია, როგორ დაასრულა ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა ზვიად გამსახურდიამ, უფრო ზუსტად, როგორ აისახა ეს ფინალი ქართულ ბელეტრისტიკაში. სოსო სიგუა ესეში „*დეცნილი ტრიუმფატორი*“ აღნიშნავს, რომ ყოველ მოღვაწეს თავისი ვატერლოო ელოდებაო. დღევანდელი კვლევის მიზანია ვაჩვენოთ როგორ აისახა ზვიად გამსახურდიას „ვატერლოო“ ბელეტრისტიკაში.

ზვიად გამსახურდია, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი ისეთივე მრავალმხრივი და არაერთგვაროვანია, როგორც თავად ისტორიული პირი. მისი გაპერსონაჟება ჯერ კიდევ მამამ - კონსტანტინე გამსახურდიამ დაიწყო, „*დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა*“ მკვეთრად ალეგორიული ხასიათის რომანია და არაა რთული ერთმორწმუნე, მეგობრად მოკიდებულ მტრის - ბიზანტიის ხატებაში მეზობელი სახელმწიფოს ამოცნობა, ასევე ფარული და ახდელი ბრძოლა, როგორც ამ მტრის, ისე ქვეყნის შიგნით სამეფო-სამთავროებსა და ხელისუფლებას დანატრებულთა შორის. ძალზე სიმბოლურია და, თუ წმინდა ფსიქოლოგიური მხრიდან შევხედავთ, ერთგვარი სცენარიცაა მამისგან შექმნილი, მეფე გიორგის სიკვდილის სცენა, რომელიც 50 წლის შემდეგ, თითქმის სიტყვა-სიტყვით აუხდა ზვიად გამსახურდიას, ისიც მეფე გიორგის მსგავსად, სასახლიდან, ქალაქიდან შორს, ტყეში, ყველასგან მიტოვებული და უცნაური სიკვდილით იღუპება, რომლის ნამდვილი მიზეზი ვერც მამინ და ვერც შემდეგ ზუსტად ვერავინ გაიგო. მეფე გიორგის სიკვდილის წინა მონოლოგიც არაა შორს ზვიად გამსახურდიას ბოლო დღეების ფინალისა.

ასევე წინასწარმეტყველურად და მკვეთრად სცენარის სახე აქვს ბავშვობის მეგობრის და ერთ დროს თანამებრძოლის, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში ზვიად გამსახურდიას სახებას. 1969 წლიდან დღემდე გურამ დოჩანაშვილი ზვიად გამსახურდიას თემას რამდენჯერმე მიუბრუნდა. ისინი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დამეგობრებდნენ, იქნენ თანამებრძოლებად და 1961 წელს შექმნა მოთხრობა „*მხიარული ბორცვი*“. შემდეგ კი, ბედისა თუ ერთმანეთის მიმართ მომეტებული მომთხოვნელობის გამო, მათი გზები გაიყარა და, სწორედ ამ დროს, 70-იან წლებში, შეიქმნა გურამ დოჩანაშვილის კიდევ ერთი შედეგური „*სამოსელი პირველი*“. 2010 წელს, მას შემდეგ, რაც სიყრმის მეგობარი უკვე აღარ იყო ამ ქვეყნად და ფასეულობებიც გადაფასდა, შექმნა რომანი „*რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება*“.

როგორც ვიცით, მოთხრობა „*მხიარული ბორცვის*“ მთავარ პერსონაჟს, განსაცდელში ჩავარდნილ მაჰმუდს სიმართლეს ტოვებს, იმ მოტივით, ჩემი იქ ყოფნა უფრო გაართულებდა საქმესო. მხიარული ბორცვიდან მეჩეთებიან ქალაქში მისული უცნაური სპარსი, „*შეეჭვებული სინდისი*“, „*უმიზეზო სიკეთე*“, სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო და ასეც მოხდა. მთავარ მოედანზე აღმართულ ჭოკზე მიაბეს მაჰმუდ აალი, შაჰმა და შაჰის მზაკვრული ჩანაფიქრით ყველამ, ვისაც შაჰი „*უყვარდა*“, ისარი სტყორცნა ჭოკზე მიკრულ მაჰმუდ აალის. სიმართლეს კი ერთი ნუგეში დარჩა – „*ჰაერში მოკვდა*“, რასაც როსტომ ჩხეიძე ასე განმარტავს: „*ჰაერში - ესეც ამაღლების გამჭვირვალე მეტაფორა, ზეცისაკენ სწრაფვი ნიშანდობლივი ხატი, რომლის შემოსაჭედადაც გურამ დოჩანაშვილი წმინდა სებასტიანეს აღსასრულის სურათსაც დაესესხებოდა - აბა, პირდაპირ ხომ არ გაიმეორებდა იესოს ჯვარცმის სცენას*“ [ჩხეიძე, 2011:49] ასე, ჯვარცმულ, დაისრულ, სიმართლისათვის და შეუპოვრობისათვის დაღუპულ გმირად დაგვიხატა დოჩანაშვილმა საკუთარი მეგობარი. მთავარ მოედანზე სამაგალითო დასჯაც წინასწარმეტყველებად გაისმა ჯერ კიდევ 1969 წელს შექმნილ მოთხრობაში. ზვიად გამსახურდიამ – პერსონაჟმაც აიძულა საზოგადოება დაენახა უმიზეზო სიკეთე, შეეჭვებული სინდისი და შემდეგ, თუნდაც ზღვარდაუდებელი ბრაზი და რისხვა მოჰყოლოდა ამას, მაგრამ ეს რისხვა თავად დაიტეხა და ამით მეჩეთებიანი ქალაქის გამოფხიზლება და ვარსკვლავებისათვისაც, შორეული, გამოუცნობი ციავის მიუხედავად, თავისი სახელის დარქმევა გახადა შესაძლებელი. გაძევებული სიმართლე კი, ისევ, ჭეშმარიტების ფეხქვეშ

გართხმული, ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას, იმას, რასაც წესით თვითონ უნდა აესრულებინა, მაგრამ ძალი არ შესწევს ასეთ უხამსობას წინ აღუდგეს. პასუხად კი ჭეშმარიტება მოისმინა: „საბრალო ნორჩი... ისიც იცოდე, ვინაა ბედნიერი... - ვინ? ვინც უყვართ, ვინ უყვართ? მაჰმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე“ [დოჩანაშვილი, 1971:251]. ასეთი სიკვდილი და ფინალი გურამ დოჩანაშვილმა მეგობარს ჯერ კიდევ ადრეულ ახალგაზრდობაში უწინასწარმეტყველა, შემდეგ კი, როგორც ვთქვით, შეიქმნა რომანი „სამოსელი პირველი“ აქაც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, მენდეს მასიელის სიკვდილი ყველაზე ბუნდოვანი და იდუმალეობითაა მოცული. მენდეს მასიელი აიყოლიებს გულმართალ ვაკეიროებს და იქმნება კანუდოსი, ოცნების დიდი ქალაქი, მაგრამ, როგორც კონსილიერომ იწინასწარმეტყველა, ბრძოლა გარდაუვალი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაშიც, როგორც „მხიარულ ბორცვში“, გურამ დოჩანაშვილმა უწინასწარმეტყველა მეგობარს, რა ელოდა, როგორც ხელისუფლებისაგან, ისე, კიდევ უფრო ამაზრზენი, ხელისუფლებისაგან ხელდასხმული ინტელიგენციისაგან. გრეგ რიკიო, მარშალის დაკვეთით, მიცვალებულთა გვამებს ისე აურია, თითქოს დიდ ტილოზე მუშაობდა და შემდეგ ეს სადიზმი კანუდოსელებსა და მენდეს მასიელს დააბრალეს.

„ყველა მიხვდა - კანუდოსი ძნელი ყოფილა“ [დოჩანაშვილი, 1990:556]. 1975 წლის გართულებული მდგომარეობის შემდეგ ტექსტში თავს იჩენს ერთგვარი უხერხულობა და უადგილობა მენდეს მასიელის პერსონაჟისა; გადამწყვეტი ბრძოლის წინ წინამძღოლი სრულიად მოულოდნელად იღუპება და განსაცდელის წინ მარტო ტოვებს კანუდოსის მკვიდრთ. როგორც ტექსტიდან ჩანს, კანუდოსი, ისევე როგორც ყველა ციხე-სიმაგრე, შიგნიდან გატყდა. ქართული ხასიათის უარყოფითი თვისებები გამოვლინდა პრუდენსიოს დაუდევარ, დაბოღმულ და გულგრილ საქციელში. კატინგა გაიზარა და ეს ბზარი გახდა მიზეზი მენდეს მასიელის დაღუპვისა „იქ, კანუდოსში, მენდეს მასიელმა ყელზე იტაცა ხელი, სულმთლად გადაფითრდა, ღონემიხდილი ჩაჯდა... კონსელიეროს ფრთხილად ამოუდეს ილიებში ხელი, მხარში შეუდგნენ“ [დოჩანაშვილი, 1990:635] (ასე ახდა 20 წლის შემდეგ მომავლადი ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ბოლო დღეები)... ბოლო მიმართვა ხალხისადმი ასე ჟღერს „ახლა კი ძმებო... ნუ გგონიათ, რომ ცუდ და უბედურ დროს დაიბადეთ. იქნება მართლა კარგი რამ იყო ის ოქროს ხანა... უბედნიერეს დროებაში ხართ გაჩენილი ყველანი - სიბინძურეში, ამადლებს საშუალება უფრო არსებობს, და, თქვენ ეს მოგვცათ“ [დოჩანაშვილი, 1990:637]. ყველაზე მოულოდნელი, მას შემდეგ, რაც კანუდოსელებმა პირობა დადეს, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ და გამარჯვებასაც მოიპოვებდნენ მენდეს მასიელს ერთი პასუხი აქვს „ღმერთმა დაგვიფაროს“... [638]

კიდევ ერთი შტრიხი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მენდეს მასიელის პროტოტიპი სწორედ ზვიად გამსახურდია და ეს თავებიც კონფლიქტის შემდეგ შეიქმნა: ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ხუთ დიდ კანუდოსელთა შორის, დიდებულ გმირების გვერდით არ მოიძებნა ადგილი იმ ადამიანისთვის, ვინც ეს ქალაქი დააარსა, მასიელი - მთავარი პერსონაჟი გაუჩინარდა... ის არ გახდა ღირსი გამბდარიყო დიდი კანუდოსელი, ასე გადაწყვიტა ავტორმა.

თავად ზვიად გამსახურდიამ კი 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ზღაპარში მოგვცა საკუთარი სიკვდილის სავარაუდო სცენარი, რომელიც რაღაცით ემსგავსება კიდევ მამის სცენარს. ზღაპარში „ლუქსლანდიური ამბავი“ - განმიგულას “თავი” ჭაბუკ ერიალენს თანამებრძოლად მოველინა. ურჩხულის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში ზურგიდან დაარტყა და განგმირა ერიალენი. ასევე საყურადღებოა ერიალენის სიზმარი, როცა უფსკრულში გადაჩეხილ ურჩხულს გადახედა, სიფრთხილე დაკარგა და თაბრუდახვეული თან გადაჰყვა. თანამებრძოლად მოველილი მტრის ხელით ურჩხულთან ბრძოლაში ფიზიკურად კი დაიღუპა ერიალენი, მაგრამ ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ მოქმედება გადავიდა სხვა განზომილებაში და ჭაბუკმა ერიალენმა უხილავი, მრავალწლიანი ბრძოლა განაგრძო ბოროტების წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ეს უხილავი ბრძოლაა, როდესაც ერიალენი თავად ჩადის ქვესკნელში და იქიდან, მიწის - სულის წიაღიდან ცდილობს ბოროტების ამოძირკვას “ზნელეთის გველეშაპმა იცოდა, რომ ერიალენი უეჭველად გამარჯვებული გამოვიდოდა ამ ფარული ბრძოლიდან, ამიტომ აჩქარებდა იგი ურჩხულს, განმიგულაც ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ წელში გაეწყიტა ლუქსლანდიელთა წინააღმდეგობა და ხალხი საბოლოოდ გაენადგურებინა, რათა გამარჯვებულ ჭაბუკს არც სამშობლო და არც ცოცხალი თანამემამულენი აღარ დახვედროდნენ მიწის ზედაპირზე”. თავგანწირვამ შედეგი გამოიღო, ლუქსლანდიის მკვიდრთ მიეცათ იმედი და ნელ-ნელა დაუბრუნდათ საკუთარი თავის რწმენა, მათ სძლიეს შიშს და შედეგილი სახეები ჩამოიბანეს. გმირელებს სჯეროდათ, რომ ერიალენი ცოცხალია, მის მიერ დაწყებული საქმე ცოცხალია და ამ ფარული ბრძოლის შედეგს რწმენით გაერთიანებული გმირელები კიდევ უფრო მძაფრად გრძნობდნენ. უდიდესი სიმბოლოა ჩადებული ზღაპრის ფინალშიც, როცა გამარჯვებული, მაგრამ მტერთან ბრძოლაში გაჭაღარავებული და მოხუცებული ერიალენის სინათლის დედოფალზე ქორწინების სცენაა აღწერილი. ხსენებულ ეპიზოდში ნაჩვენებია, როგორ იხრის ქედს გამარჯვებული ერიალენისა და ლუქსლანდიის

დედოფლის წინაშე როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი. ამით ზვიად გამსახურდია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მხოლოდ მსხვერპლისუნარიანობა და იდეისათვის თავგანწირვა მოაპოვებინებს ერს თავისუფლებას და თავისუფალ ერს კი აღმოსავლეთი და დასავლეთი თანაბრად ეთაყვანება.

ეს, რაც შეეხება წინასწარ მამის, მეგობრის და საკუთარი თავისთვის შექმნილ სავარაუდო სცენარებს. 90-იანი წლების მიწურულს ზვიად გამსახურდია მართლაც უცნაურ და გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა და პრეზიდენტის ეს სიკვდილი არ დარჩენილა ქართული ბელეტრისტიკის ყურადღების მიღმა.

ოთარ ჩხეიძემ რომანში „თეთრი დათვი“ ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ბოლო დღეები აღწერა. აქ ზვიად გამსახურდიას უკვე განწირულს, განდევნილს, ან, უფრო სწორად, უცხო ქვეყნის დევნილობიდან სამშობლოში დასასრულისთვის დაბრუნებულს ვხედავთ. შეციებული, მშვიერი, უძილო პრეზიდენტი, რომელიც აშკარად შეგუებულია საკუთარ ბედს, თუმცა არ კარგავს წონასწორობას. მანამდე იყო „ზეიმით და დიდებით“ დაბრუნება, ავტორი აღწერს საქართველოს განწყობას და ამ ფონზე ზვიად გამსახურდია, გამარჯვებული, ტრიუმფატორი, მაგრამ არსად ჩანს შურისძიება და ბოლმა განდევნილობის გამო „მიუტკეზბდა და შეივრდომებდა, დაამწყალობებდა თეატრის მოედანზე ყველას ერთადა, ცალ-ცალკე მიღებას ვერ აუდიოდა. შეიწყნარებდა [ჩხეიძე, 1999:181]. შეწყნარებების და მიტევების ფონზე შემოდის გამსახურდიას ანტითეზა - მეორე პერსონაჟი, რომელიც მზაკვრულ გეგმას ამზადებს: „ჯერ სადა ხართო, ჯერ კიდევ ბოლომდის ვერ გარკვეულხართო. კბილებში გამოსცრიდა: ჯერ არ დამდგარიყო დროი კამათისა, ანგარიშსწორების დროც არ დამდგარიყო [ჩხეიძე, 1999:181]. რომანის იმ მონაკვეთში, სადაც მთავარი პერსონაჟი ბაადურ რიკოთელი და ზვიად გამსახურდია ხვდებიან ერთმანეთს, ყველაზე სრულყოფილად დახასიათებული და ჩამოყალიბებული ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ-ეროვნულ-ზნეობრივი კრიტერიუმები. ხაფანგში მოქცეული პრეზიდენტი არსად ჩივის საკუთარ ბედს, ავტორმა მას სამშობლოს ჭირისუფლის მძიმე როლი დააკისრა: „სამშობლო“ ისიც იტყვის, თითქოს რო, აგერ რო: თვალწინ კუბოში უსვენიაო“ [ჩხეიძე, 1999:183]. ყველაზე დიდ იდეურ მოწინააღმდეგესაც კი პრეზიდენტი მშვიდად და შეხვედრის სურვილით იხსენებს, მასთან საუბარი და კამათი მოსდომებია, მერაბ მამარდაშვილთან კამათის განწყობაზეა წაღწევის ტყეში, მოწამლული, ფიზიკური და სულიერი ტკივილებით გატანჯული პრეზიდენტი. ბაადურ რიკოთელთან საუბრის ერთი ეპიზოდი შეიძლება მკითხველს ხელოვნური და გაზვიადებული ეჩვენოს; ეს სწორედ ის მონაკვეთია, სადაც განწირული პრეზიდენტი შტაინერსა და ფროიდის მოძღვრებაზე ესაუბრება მასთან მიყვანილ „ტყვეს“. მთავარი საფიქრალი ისევ სამშობლო და ის ხალხია, ვის წინაშეც ნებსით თუ უნებლიეთ უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ოთარ ჩხეიძე ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც ეხება იმ საკითხს, რომელსაც ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მითოლოგიზაციამდე მივყავართ: „თავი მოუკლავსო. ვითომცაო და ვითომცაო. ყველაფერი ვითომცაო. აღარც გამოაჩენდნენ, რო არ შეშინებულიყვნენ: მითოსში შევიდა სახელი მისი. ასე თვალდათვალ შეერწყა მითოსსა. შეშინდნენ“ [ჩხეიძე, 1999:363].

რომანში ზვიად გამსახურდია გარდა საუთარი გვარ-სახელისა, რუხი მგლის სიმბოლური სახითაც შემოდის, რაც მისი ერთგვარი ალტერ-ეგოა. თუმცა ტექსტში ზვიად გამსახურდია ჯოხარ დუდაეცს უწოდებს „რუხ მგელს“ – „დუდაევი კავკასიის ნაგაზია, - რუხი მგელია, რუხი მგელი!..“ [ჩხეიძე, 1999:187]. ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია ერთი იდეის, ერთი აზრის ორი განშტოებაა. ტექსტის მიხედვით, თეთრი დათვის ინიციატივით CHG სამიტზე შეგროვილ ჯორს, ცხენს, აქლემს, ვირს, თეთრ მელას სარკეში უჩვენეს, როგორ სამაგალითოდ დაისაჯა და გატყავდა რუხი მგელი ურჩობისთვის: „გაბრდღენილი მგელი გამოჩნდა სარკეში, აღარც რომ ბეწვი, აღარც რო ტყავი აღარ შერჩენოდა. ქარსა, ქარაშოტსა, ქარიშხალს შემოეგლიჯა. მდგარიყო ეგრე, არ გასცლოდა, მყუდრო არ ეძებნა, არ შეჰპუებოდა არც სხვა რამ უბედურებასა, ფეხი არ მოეცვალა ადგილიდანა. ძვალზე დასულიყო. სცვივოდა ნაფლეთნი უკანასკნელნი ხორცისაი. სისხლისაგან ჰო დაწრეტილიყო...“ [ჩხეიძე, 1999:403] რუხი მგლის აღწერაშიც ცნაურდება მისი იგივეობა ზვიად გამსახურდიასთან. მოწამლული პრეზიდენტი ასე ჰყავს დახატული: „პრეზიდენტი. გამხდარა. გამწვანებულა თითქოსაო. სიმაღლე არ აკლდა, აწოწილა თითქოს უფროო. ოღონდ ეტყობა რაღაცა მსჭვალავს: მოიხრება, გასწორდება, კიდევ, კიდევ. ნიკაპი ემტვრევა. კბილები ძაგძაგებს. თითქოს ელვააო“ [ჩხეიძე, 1999:183]. კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ რუხი მგელი ზვიად გამსახურდიას ალტერ-ეგოა, ესაა ეპიზოდი, როცა „თეთრ მელას“ (შევარდაძეს) თეთრი დათვის (რუსეთის) ერთ-ერთი დავალება ერთულა, დავალების არ შესრულება კი კარგს არაფერს უქადდა, მსგავსი სასჯელების ორგანიზატორი და აღმსრულებელი ხშირად თავად იყო და იცოდა, რაც ელოდა უარის შემთხვევაში: „თქვა მელმან: რაც რო მე ერთხელ მგელს დავმართე, ესენიც იმას დამმართებენო“ [ჩხეიძე, 1999:91]. ამ შემთხვევაში მგელი ჯოხარ დუდაევი ვერანაირად ვერ იქნება, თეთრ მელას - შევარდაძეს ხელი არ მიუწვდებოდა, რომ დუდაევისათვის რაიმე დაეშავებინა, გამსახურდია კი,

მისი „წყალობით“ ჯერ სამშობლოდან დევნილი გახდა, შემდეგ კი წალენჯიხის ტყეში ებრძოდა სიკვდილს. იგავის მიხედვით, გატყავებული მგელი თავისას არ იშლიდა და დათვის ყასიდ შეკითხვას, რატომ არ გაეცალე მანდაურობას, თავი რატომ არ გადაირჩინეო, რუხი მგელი გაოცებით პასუხობს: „ეს არის სამშობლო ჩემი, აქ დავიბადე და აქ უნდა მოგვედო“ [ჩხეიძე, 1999:403]. ჩნდება უნებლიე ალუზია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის გმირის, თარაშ ემხვარის ცნობილ ფრაზასთან „მე იმ გორისა ვარ, უკან დახევა რომ არ სჩვევიაო“ [გამსახურდია, 1958:724]

განვიხილავთ კიდევ ერთი მწერლის, დათო ტურაშვილის რომანს „იყო და არა იყო რა“, რომელიც დროის გადმოსახედიდან, უკვე XXI საუკუნიდან, სამოქალაქო და სამამულო ომებგამოვლილი და სამწუხარო გამოცდილებით დახუნძლული აანალიზებს გასულ საუკუნის მიწურულს, დათო ტურაშვილი რომანის ბოლო ეპიზოდში, სადაც ზვიად გამსახურდია ჩანს აღწერილი აქვს მისი სიცოცხლის ბოლო, ყველაზე ტრაგიკული და იდუმალი დღეები, უფრო სწორედ, ერთი ღამე, რომელსაც ავტორი სიმბოლურ დატვირთვასაც აძლევს, ესაა წალენჯიხის ტყეში, დეკემბრის ბოლოს, როგორ ებრძოდა საქართველოს პრეზიდენტი ჩირაღდნით ხელში სიბნელეს და ნადირს: „როდესაც რუსეთის არმიის ნაწილებმა დასავლეთ საქართველოში შესვლა დაიწყეს, ზვიად გამსახურდია მისმა თანმხლებმა პირებმა მთიან სამეგრელოში აიყვანეს. ერთი ღამე ტყეში გაატარეს, მაგრამ კარავში დაძინება შეუძლებელი გახდა, რადგან ტყეში მოშეიებული ნადირიც ბევრი იყო და პრეზიდენტი და მისი დაცვის წევრები მთელი ღამე აღმოდებული ჩირაღდნებით ცდილობდნენ მათ მოგერიებას... ვერც ამერიკელი და ევროპელი პრეზიდენტი ვერ წარმოიდგენდა მთიანი სამეგრელოს იმ ტყეს, სადაც მეოცე საუკუნის მათი კოლეგა ჩირაღდნით ხელში ებრძოდა ველურ სიბნელეს“.. [151]. გამსახურდიას სიკვდილის შეფასებისას კი დათო ტურაშვილი ასეთ დასკვნას აკეთებს, ზვიად გამსახურდიას სიკვდილით დამთავრდა ის ეპოქა, როდესაც ქვეყანამ მოიპოვა და შეძლო ეცხოვრა დამოუკიდებლად.

ზვიად გამსახურდია, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი გვხვდება ზვიად კვარაცხელიას მოთხრობებშიც. ახალი კრებული „ყიფლიბანდი“ გასული საუკუნის 90-იან წლების საქართველოს უმძიმეს პერიოდს ეხმიანება. კრებულის სათაურიც განწყობას გიქმნის, რომ აქ საუბარია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, საშიშობამდე სათუთ არსებაზე – ახალშობილზე, ამ შემთხვევაში ახალშობილ სახელმწიფოსა და თავისუფლებაზე. როგორ მოექცა საზოგადოება ჯერ კიდევ ყიფლიბანდაუზურავ ორგანიზმს, იგრძნობა თითოეულ მოთხრობაში. შევჩერდებით კრებულში შესულ მოთხრობაზე „მაგანა“. მაგანა მდინარეა წალენჯიხის რაიონში, რომელსაც სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2460 მ სიმაღლეზე, სიგრძე 34 კმ, აუზის ფართობი 141 კმ². ერთვის მდინარე ენგურს მარცხნიდან დაბა ჯვართან, საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მოთხრობაში მოქმედება იშლება სამეგრელოში, წალენჯიხის ერთ-ერთ სოფელში, აქაც ერთი რიგითი გლეხის თავს, რომელსაც მოულოდნელი სტუმრები ეწვევიან, დევნილი პრეზიდენტი და რამდენიმე მხლებელი. სიუჟეტის მოულოდნელი განვითარება თავდაყირა აყენებს გლეხის ცხოვრებას „სანთელივით კაცის“ სტუმრობა და შემდეგ მის დაღუპვაში სოფლის ეჭვი მოსვენებას არ აძლევს მასპინძელს და თვითგვემის უცნაურ ფორმას მიმართავს: ყოველ წელს, ნოემბრის თვეში გაყინულ მაგანაში შედის და ძალის გამოცლამდე ჩერდება, ამით „სანთელივით კაცის“ წინაშე თავისი წილი შეცდომის და დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობს, ის რომ მისი სახლიდან გასული სტუმარი მაგანას გადალახავს და მაინც შეიპყრობენ. მამის ნაჩუქარი „ტოზი“ კი, რომელიც უფროსმა ლეიტენანტმა წაართვა, უცნაურად უბრუნდება პატრონს. ამ ერთი პასაჟითაც ჩანს ავტორის დამოკიდებულება მოვლენებისადმი. დანაშაული დაუსჯელი არ რჩება. ყველაზე ტრაგიკული კი ისაა, რომ მამების ცოდვა-ბრალი მომავალ თაობებს გადაყვებათ და „მამისმკვლეელი თაობა“ ვერ შექმნის მომავალს.

ალბათ, ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ბოლო დღეების, ერთ-ერთი ყველაზე ემოციური და ამავე დროს ობიექტური შეფასება ეკუთვნის სოსო სიგუას, რომელიც სტატიაში „დევნილი ტრიუმფატორი“ გვიხატავს თითქმის იგივე სურათს, რაც ჯერ კიდევ მამის სცენარში მოიხაზა „ახლა კი მიდიოდა - ყველასაგან მიტოვებული და განწირული და ღამის სიბნელეში ქრებოდა ლანდი, დანგრეულ სამშობლოზე ჯავრით დაღეული. და ვინ იცის, როცა რევოლვერის ცივ ჩახმახს ეხებოდა მისი თითები, იქნებ ფიქრობდა კიდევ, რომ ქვეყნად არც ღმერთი არსებობს და არც ისტორიის სამართალი“. [სიგუა: 37]

ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზ., წერილები, ესეები, თბ., 1991, 572 გვ.
2. გამსახურდია კ., მთვარის მოტაცება, თბ., 1958, 740 გვ.
3. დოჩანაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1976, 454 გვ.
4. დოჩანაშვილი გ., სამოსელი პირველი, თბ., 1990, 718 გვ.
5. სიგუა ს., დევნილი ტრიუმფატორი, „მწერლის გაზეთი“, თბ., 2009, 522 გვ.
6. ტურაშვილი დ., იყო და არა იყო რა, თბ., 2012, 152 გვ.

7. ჩხეიძე ო., თეთრი დათვი, თბ., 1999, 454 გვ.
8. ჩხეიძე რ., აღსარება გურამ დოჩანაშვილისა, თბ., 2011, 270 გვ.
9. გამსახურდია ზ., ლექსლანდიური ამბავი, ჟურნალი „ქვაკუთხედი“, №7, 8, 9, 10, 2009.
10. კვარაცხელია ზ., ყიფლიბანდი, 2012.

Ana Imnadze

Gori State Teaching University

LAST DAYS OF GEORGIAN PRESIDENT ZVIAD GAMSAKHURDIA LIFE ON EXAMPLE OF GEORGIAN FICTION - HISTORICAL FACT AND LITERARY FICTION RESUME

Zviad Gamsakhurdia, as a literal character is as versatile and diverse, as a historical figure itself. Turning him to a literal character began his father Konstantin Gamsakhurdia in his novel *The Right Hand of Great Master Konstantin*.

We can say that ending of his life, the tragic finale is a real key to understand his life. The purpose of our research is also the finale, how Zviad Gamsakhurdia ended his life, his political career, more precisely, how this finale was reflected on Georgian belles-lettres. Soso Sigua in his essay *Triumph in Exile* indicates that each public figure is awaited by his/her own Waterloo. The purpose of present research is showing how Zviad Gamsakhurdia's Waterloo has been reflected on Georgian belles-lettres.

Several works are considered in the report: Novels *White Bear* by Otar Chkheidze, *The First Garment* and a short story *A Merry Hill* by Guram Dochanashvili, also my own fairy tale *A Luxland Story*, a short story *Magana* by Zviad Kvaratskhelia and a novel *Once Upon a Time* by Dato Turashvili.

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართლის მცხოვრებთა ყოფისა და შრომა-საქმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებებში

იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებებში ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შრომა-საქმიანობა, განათლება, კულტურა, ყოფა - ცხოვრების წესები და ზნე-ჩვეულებანი. ერთი კუთხის წარმომადგენელი ეცნობა მეორე კუთხის მცხოვრებთა საერთოსა და განსხვავებულ ბუნებას, ზნე-ჩვეულებასა და კულტურის დონეს. ასეთი მდიდარი მასალა ცოდნას აძლევს მკითხველსა და მოზარდ თაობას საქართველოს სხვადასხვა კუთხის, რაიონის ცხოვრების დეტალებზე, უცხოველებს ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას გაეცნოს თავისი სამშობლოს ყველა კუთხის თავისებურებას, გადაიღოს თავისი კუთხისათვის ზნე-ჩვეულების მისაბადი მაგალითები.

ამას ემატება ისიც, რომ „საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან გამოთქმანი, რომელნიც ზედ გამოჭრილნი არიან საგანზედ, აზრზე და რომელნიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენ კუთხეში. ლიტერატურული ენა უნდა გამდიდრდეს ხალხში გაბნეული ლექსიკური მარგალიტებით და ხელოვნურად შექმნილი სიტყვებით“. ეს კი საუკეთესო საშუალებაა დარგობრივი ლექსიკის შესასწავლად. „ლექსიკის შესწავლის ამ მეთოდს გარკვეული უპირატესობა აქვს. მეურნეობის ამა თუ იმ დარგის თანამიმდევრულად აღწერა მეტი სისრულით გამოავლენს ლექსიკას. დარგის აღწერისას ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა უფრო გასაგებია, ვიდრე ცალკე განმარტებისას იქნებოდა და ამგვარი აღწერა არც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არის ინტერესს მოკლებული“ (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 193).

ქართლის მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფისა და შრომა-საქმიანობის გაცნობა საინტერესო მასალას გვაძლევს ხვნა-თესვის, მეზღაღობის, საკვები პროდუქტების, მშენებლობისა და საეკლესიო იერარქიის ამსახველი ლექსიკის შესასწავლად, ონომასტიკის გასაცნობად.

იაკობ გოგებაშვილი ქართლს ასე წარმოგვიდგენს: „ქართლი ძევს კახეთსა და იმერეთს შუა და უჭირავს საქართველოს შუაგული. ქართლს ჩრდილოეთით საზღვრავს კავკასიონის ქედი,

აღმოსავლეთით - არაგვი და მტკვარი, სამხრეთით - სომხეთი და ოსმალეთი, დასავლეთით - ლიხისა, ანუ სურამის მთა“ თრიალეთის მთა ქართლს ორ ნაწილად ჰყოფს: ჩრდილოეთის მხრით საკუთრივ ქართლი ძვეს, სამხრეთით - ზემო ქართლი, ანუ ახალციხის მხარე და ჯავახეთი, წინა საუკუნეში საკუთრივ ქართლს ერქვა ქვემო ქართლი, ახალციხის მხარეს და ჯავახეთს ზემო ქართლი, ხან მესხეთი და საათაბაგო" (იაკობ გოგებაშვილი, 1982, გვ. 237).

ლექსიკური მარაგი, რომ ადვილად გასაგები ყოფილიყო ბავშვებისათვის, განმარტავს და სინონიმურ პარალელებს უძებნის დასავლურ დიალექტებში. სინონიმებს ასეთი ხერხით განმარტავდა: 1. იყენებდა ანუ კავშირს; 2. იძლეოდა გაშლილ განმარტებას.

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი ყურადღებას აქცევდა ამა თუ იმ სიტყვის სინონიმურ პარალელს და ტექსტშივე იძლეოდა სინონიმურ განმარტებას (შ. ძიძიგური, 1957, გვ. 86). აი, რას ამბობს იგი: „ამ ხერხის წყალობით იმერი ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ ამიერ სინონიმებსა და ამიერი მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს იმერ სინონიმებსა და ამ სახით ლექსიკონი სიტყვისა ორივე მხარეს უმდიდრდებათ“ (დროება, №245, 1909). აქვე ავტორი აღნიშნავს: თუ რომელიმე სინონიმი ასე განმარტებულ არ არის კონტექსტით, შეიძლება აზრის გაგება.

ხვნა-თესვის ლექსიკა: „ხვნა-თესვისათვის ქართლის ბუნება მშვენიერია. კახეთსავით აქაც მეტად ღონიერი ნიადაგია... ქართლს წყალი უხვად აქვს: ბოლოზე, ე. ი. სამხრეთის მხრით, თრიალეთის მთის ძირს მტკვარი ჩაუდის, კავკასიონის მთიდან გამომავალი მრავალი წყლები ძირს ჩამოდის და ქართლის ველს რწყავს და ანაყოფიერებს. ამათში უფრო შესანიშნავია სამი მდინარე: ლიახვი, ქსანი და არაგვი. ლიახვი ქართლის ველის დასავლეთ ნაწილს რწყავს, ქსანი შუაგულს, არაგვი-აღმოსავლეთის ნაწილს. ამისათვის ხვნა-თესვა ქართლში უფრო გავრცელებულია, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში“ (იაკობ გოგებაშვილი, 1982, გვ. 238).

მიწის ძირითადი სახნავი იარაღი არის გუთანა (დასავლეთ საქართველოში გამოიყენება კავი). გუთანში შებმული ხარ -კამეჩი გუთნეულია. ქართლში ითესება პური, ქერი, შვრია, ფეტვი.

პური და ხორბალი ერთი და იგივე ტერმინია, რომელიც ქართლში დასტურდება ორი მნიშვნელობით: პური: 1. ხორბალი; 2. ხორბლის ფეკილისაგან გამომცხვარი საკვები პროდუქტი. ამ მნიშვნელობით პური ქართლში დღესაც დასტურდება. დასახელებულია ხორბლის ორი ჯიშით: ბველთესლი (შდრ. აჭარ. ბველთესული: მ. კობერიძე, 2011, გვ. 75) და ახალ-თესლი ანუ დიკა. „ბველ-თესლის ყანა უფრო მსხვილია და მაღალი, მომრგვალო თავთავი ასხია, მოზრდილი მარცვალი მოჰყავს, გემრიელსა და გამძლე პურს იძლევა. დიკა კი უფრო წვრილი და დაბალი იზრდება, ნაკლები გამოსავალი იცის, თავთავი ბრტყელი აქვს, მარცვალი წვრილი ასხია, მორწყვა ძლიერ ესაჭიროება, ადვილად ხმება... ამიტომ შემძლებელი და გონიერი გლეხები დიკას იშვიათად სთესავენ. ღარიბი გლეხები კი იძულებულნი არიან დიკა მოიყვანონ, რადგანაც იგი სამი-ოთხი თვის განმავლობაში მოდის, ბველთესლის მოყვანა ითხოვს მთელს ათს თვესა“ (იაკობ გოგებაშვილი, 1982, გვ. 158).

ხორბლის „ფესვებზე ამოდის წვრილი, მრგვალი და სუფთა ღერო, რომელიც ზევით იბამს თავთავს და ეს თავთავი მოკლე ხნის განმავლობაში გაიცემა ხოლმე მარცვლით.... ხორბალს უყვარს ზომიერი სითბო, სწყენს სინესტე. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხორბალი ვერ ხეირობს დასავლეთ საქართველოში, სადაც შავი ზღვის სიახლოვის გამო, დიდი სინესტე ტრიალებს და ჭაობებიც ბლომად არის. აქ ხორბლის ყანას ხშირად გაუჩნდება ხოლმე მარცვლებში შავი ჭიები, რასაც ქართველები ოდეს ეძახიან. მსგავსი მნიშვნელობით ქართლში დღესაც გვხვდება ლექსიკური ერთეული აოდვა, რაც ყანის დაავადებაზე მიუთითებს. „ამის გამო დასავლეთ საქართველოში ხორბალს სთესენ მხოლოდ მაღლობ მთიან ადგილებში, სადაც ნაკლებად აქვს სინესტე მიწასაც და ჰაერსაც. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერი უხდება ხორბალს, რის გამოც აქ მინდვრები და ველები სავსეა ხორბლის ყანებით“ (იაკობ გოგებაშვილი, 1984, გვ. 158).

„დამწიფებულ ყანას მკიან ან თიბავენ ნამგლით ან ცელით, ხორბალს ინახავენ ან ორმოებში ან ბელლებში: ბზეს საბძლებში ჩაჰყრიან ხოლმე“. თითოეული შრომა-საქმიანობის დროს, რომელიც მიწის დამუშავებასა და მოსავლის აღებას უკავშირდება ავტორი გამოხატავს ტერმინებით: თიბვა-თიბათვეში (ივნისი), მკა-მკათათვეში (ივლისი), კალოზე პურის გალენვა-კალობა.

სიმინდი: „სიმინდი მოჰყავთ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. სიმინდი საქართველოში ორგვარია: ჩვენებური და ამერიკული. ჩვენებური სიმინდი წვრილია და დაბალი ტანისა: ამერიკულს სიმინდს კი მსხვილი და მაღალი ტანი აქვს. ჩვენებური სიმინდი იბამს ორ-სამ პატარა ტაროსა, ამერიკული კი ექვს-შვიდ ტაროსა“....

„ფოთლების ძირში ამოდის ტაროები, რომელსაც გარს ფუჩეჩი აკრავს. ფოთლებს ზევით სიმინდს ასხია ლამაზი ქოჭოჭი, რომელიც შედგება თავთავებისაგან და რომელსაც გურულად კატარი ჰქვია. სიმინდის ფოჩეჩი ანუ ულვაში“....

ფურცელი: „მთელი სახლობა მიადგება ხოლმე სიმინდსა და არჩევს: **ფურცისა და ტაროებს** ერთმანეთს აშორებენ, **ფურცის** ცალკე აგროვებენ და **ტაროებს** კიდევ-ცალკე. გაათავებენ თუ არა გარჩევას, **ფურცის** ინახავენ **საბძელში**, ან **ზვინებად** სდგამენ მაღალ ხეებზე, სადაც საქონელი ვერ შესწვდება. ტაროებს ჰყრიან **ძარში**, რომელსაც გურულად **ნალია** ჰქვია“ (იაკობ გოგებაშვილი, 1984, გვ. 159).

ჭირნახული - მოსავალი მარცვლეული. „მთელი სიმდიდრე ქართლელებისა **ჭირნახულში** მდგომარეობს. მკათათვეში კიდევ უფრო გაცოცხლებულია ქართლი. ამ დროს **ჭირნახული** შემოსულია და იმკება“ (259).

საკვები პროდუქტების ამსახველი ლექსიკა: პური, ქერის პური ანუ ჯინჯილი (ფშ., ქართ., **ჯინჯილა:** „ქერის პური“. ალ. ლლონტი, 1984, გვ. 778), რძის ნაწარმი ანუ ყველეური: „რადგანაც ქართლში შინაური პირუტყვის მოშენებას არ მისდევენ, ამიტომ ამას ემატება **უხორაგობაც**. ორი-სამი თვე გავა, რომ გლეხის სახლში **ხორცი და ყველეური** არ გაჩნდეს“ (240).

მევენახეობა//ვენახიანობა: „სოფლებში ყველა გლეხკაცსა აქვს თავისი **ვენახი**“. „გრილის ჰავის გამო ქართლში ყურმენი კარგად ვერ მწიფდება და ამიტომ ღვინო **მდარე** დგება“ (251). საბა: „დარე და მდარე-მცირედ მოკლებული“ (1991, გვ.191). **სიმდარე:** „ქართლური ღვინო ქართლშივე თუ გაიყიდება, თორემ სხვა ადგილებში ვერ წაიღება **სიმდარის** გამო“.

ქართლელთა შრომა - საქმიანობას ასახავს **ვაზის დამარხვა:** „**დამარხვა** იმაში მდგომარეობს, რომ ვაზებს შემოდგომაზე სარებს აცლიან, ძირს აწვენენ და ზედ მიწას აყრიან. თუ გლეხმა ვაზები დაანარჩუნა, ზამთარში დასძრავს და გახმება, მეტადრე თუ ცივი ზამთარია. გაზაფხულზე ვაზები ისევ უნდა ააყენოს, **გასხლას**, სარი შეუდგას **შეჰყელოს**“ (252).

მებაღეობა//ბაღოსნობა: „**დასავლეთისა და აღმოსავლეთის მეტად ქარი ძლიერი**

იცის, ასე რომ ხან ხეებს ძირიანად ჰგლეჯს, რასაკვირველია, **ჭირნახულისა და ბაღოსნობისათვის** ამგვარი ქარი მავნებელი უნდა იყოს“ (238).

მშენებლობის ლექსიკა:

მიწური სახლი: „ქართლელებს თხუნელასავით სახლები მიწაში ჰქონიათ გაკეთებული. მიწა ღრმად არის გათხრილი, სახლს მიწის კედლები აქვს შიგ მიწაში და ჭერი თითქმის თითქმის მიწის პირად ჰხურავს“ (240).

„ქართლელებს ყველას არა აქვს მიწური შენობა. თავადაზნაურობის გარდა, შემღებულს გლეხებსაც **ხისა და ქვიტკირის** სახლები უდგათ“ (240).

ბუხარი: „ცეცხლის ადგილი ან შუაზე არის ან კიდევ კუთხეში **ბუხარია** გაკეთებული“ (240).

საყდარი: „მცხეთის **საყდრის** აშენების დროს ეს ალვის ხე მოსჭრეს, მის ადგილას ააგეს **საყდარი** და დაარქვეს სვეტიცხოვლის ეკლესია“ (246).

საბძელი: „ბზეს საბძელში ჩაჰყრიან ხოლმე“ (152). **ბელელი:** „**ხორბალს** ინახავენ **ორმოებში ან ბელლებში**“ (152). **ბლომად** - „დიდი რაოდენობით, მრავლად, ჭარბად“ (ქეგლ, 2008, გვ. 1033).

დაავადების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქარები, ჭლექი, მჭვალი, საოფლე.

სახლობა-ოჯახის წევრები. თოფხანა-თოფ-იარაღისა და ტყვია წამლის შესანახი ადგილი. **ბლომად** - „დიდი რაოდენობით, მრავლად, ჭარბად“ (ქეგლ, 2008, გვ. 1033).

საეკლესიო იერარქიის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია:

კათალიკოსი: „კათალიკოსი განაგებდა და ჰმართავდა სრული შეუზღუდავი უფლებით ეკლესიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოსას“ (246). „ჩვენს იერარქიაში პირველი ადგილი ეკუთვნოდა კათალიკოსს, მეორე - მთავარ ეპისკოპოსსა სამეგრელოსას - ჰყონდიდელსა, მესამე - აწყვერის ანუ მესხეთის მიტროპოლიტსა და მეოთხე - სამთავროსა ანუ ქართლის მთავარეპისკოპოსსა“ (გვ. 248).

საინტერესო ტერმინებს წარმოადგენს: **მოლოზნები, კანკელი, ტრაპეზი.**

მკითხველი და მოზარდი თაობა ეთნოგრაფიული ნაწარმოებიდან ეცნობა ქართლის ონომასტიკას. შესაძლებელია გამოვეყოთ ასეთი მასალა:

ა) **ჰიდრონიმები - მდინარეთა სახელწოდებები:** მტკვარი, ლიახვი, ქსანი, არაგვი. „ქართლს წყალი უხვად აქვს: ბოლოზე, ე. ი. სამხრეთის მხრით, თრიალეთის მთის ძირს, მტკვარი ჩაუდის... ლიახვი ქართლის ველის დასავლეთ ნაწილს რწყავს, ქსანი შუაგულს, არაგვი - აღმოსავლეთის ნაწილს“ (გვ. 238).

ბ) **ტოპონიმები - ქალაქებისა და სოფლების სახელწოდებები:**

თბილისი - „მტკვრისა და ქალაქის შესართავთან. ათას ხუთასი წელიწადია, რაც თბილისი საქართველოს **თავ-ქალაქად** გამხდარა“ (გვ. 241).

გორი: „**გორი** ძვეს მტკვრის პირას იქ, სადაც ამ მდინარეს ლიახვი ერთვის“. აქვე დასახელებულია კვერნაკი, დაბა ცხინვალი, ტყვია (ქართველი მეფეების დროს თოფხანა იყო, თოფ-იარაღი და ტყვია - წამალი ინახებოდა“), ატენი („შუა საუკუნეებში იყო დიდი და უმაგრესი ციხე, ახლა დანგრეული“), კარაღეთი (უწინდელი ნაჰარმაგევი, სადაც თამარ მეფე და სხვა საქართველოს მეფეები დროს ატარებდნენ), ბორჯომი („შესანიშნავი სამკურნალო წყლებითა“), არზო (სადაც იმართება მარიამობისთვეში

წმინდა გიორგის სახელზე დღეობა-გერისტობა), ახალქალაქი, კავთისხევი, რუისი, დირბი, ქარელი, წილკანი, ნიქოზი, ურბნისი, სამთავისი, მეტეხი, უფლისციხე, მცხეთა, დუშეთი, მუხრანი, დაბა სურამი (გვ. 241-243).

სასწავლო დაწესებულებები: სამოსწავლო სემინარია, ქალების გიმნაზია, ვაჟების პროგიმნაზია, სამოქალაქო სასწავლებელი, სამრევლო სკოლა...

ამრიგად, ქართლის მცხოვრებთა ყოფისა და საქმიანობის ლექსიკაზე დაკვირვებიდან კარგად ჩანს, რა მრავალფეროვან სიტყვობრივ მარაგს იყენებდა იაკობ გოგებაშვილი მოსწავლისა და ნებისმიერი მკითხველისათვის დარგობრივი წესით და სისტემური თანამიმდევრობით სამეტყველო ცნობიერების გასამდიდრებლად.

ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, საგანძური, თბილისი, 1983.
2. გაზეთი „დროება“, № 25, 1909.
3. მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 2011.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I I, თბილისი, 2010.
6. ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
7. შ. ძიძიგური, მწერლის ენა, თბილისი, 1957.
8. ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.

Mariam Koberidze

Gori State Teaching University

THE KARTLI INHABITANTS' VOCABULARY DENOTING THEIR EVERYDAY LIFE AND WORK IN THE ETHNOGRAPHIC WORKS OF IAKOB GOGEBASHVILI RESUME

The ethnographic works of Iakob Gogebashvili describe the work, education, culture, rules and customs of the inhabitants of different regions.

The introduction of the Kartli inhabitants' ethnographic life gives us some interesting and considerable materials on the vocabulary regarding plowing and planting, food products, construction features and ecclesiastic hierarchy.

There are interesting lexical units to be studied, such as “gutani” (plough), “gutneuli” (the necessary equipment for plough), “dzveltesli”, “akhaltesli” or “dika” (wheat varieties), “tchirnakhuli” (cereals), “kveleuri” (dairy foods), “khoragi” (meat foods), “bagosnoba” (gardening), “venakhianoba” (viticulture), “mdare” (sour).

თამარ ლომთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კანონი სახელმწიფო ენის შესახებ - ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების გარანტი

საქართველო უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაა და, როგორც სხვა კულტურულ ერებისათვის, საქართველოსთვისაც ქართული სახელმწიფო ენის არსებობა უდიდესი მნიშვნელობის, ვალდებულებისა და მოვალეობის საგანია.

ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანი გახდა განსაკუთრებით დღეს, როცა ღია საინფორმაციო სივრცე, საკაცობრიო ცივილიზაციის ფართოდ განვითარება და მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ქართველი ერის სრულფასოვანი ინტეგრაცია, პირველ რიგში, სწორედ ქართული ენის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას მოითხოვს.

საქართველო მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა. მულტილინგვიზმი უხსოვარი დროიდან იყო დამახასიათებელი მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ეს თავისებურება უხერხულობის მომენტსაც ქმნიდა, ჩვენი წინაპრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველთვის ღირსეულად უმკლავდებოდნენ გამოწვევებს. მართლაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ერთიანი სახელმწიფოს არსებობის პირობებში ქართულის სახელმწიფოებრივი საკითხი ყოველთვის წინა პლანზე იყო წამოწეული (გავიხსენოთ ფარნავაზისა და გრიგოლ ხანძთელის ეპოქები).

ქართული ენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხაზგასმა იყო აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის „სამოციანელთა“ ქართული სალიტერატურო ენის „დემოკრატიზაციის“ კურსი, ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით ქართული ენის განვითარების, მისი პოლიფუნქციურობისა და მონოლითურობის სრულიად ახალი ეტაპის შექმნა (ა. არაბული, 2005, 31), გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის არსებობა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის, როგორც ქართველოლოგიის სამეცნიერო მიმართულების განვითარების მთავარი საყრდენის ფუნქციონირება და ა. შ.

ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია. ქართული ენა სახელმწიფო ენაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (აფხაზეთში ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს აფხაზურსაც). სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საზღვრებს ადგენს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (აგრეთვე სხვა კანონები). სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების გარანტი სახელმწიფო სისტემა და ხალხის, საზოგადოების ნებაა (ა. არაბული, 2005, გვ. 27).

თითქოს პარადოქსია, მაგრამ საქართველოში დღემდე არ არსებობს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, ამიტომაც სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება, შეიძლება ითქვას, ვერ ხერხდება. ამით, რა თქმა უნდა, იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ არა გვაქვს სხვა კანონებში გაფანტული ენობრივი ასპექტები ან არ მიმდინარეობს ქართველოლოგიის პრობლემების მეცნიერული კვლევა. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართველოლოგია ნამდვილად თანამედროვე მსოფლიო სამეცნიერო სივრცის განუყოფელი ნაწილია.

ძალზე მნიშვნელოვანია კანონებში „საჯარო სამსახურის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „მოქალაქეობის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, ასევე ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა თუ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, საქართველოს საარჩევნო კოდექსში და ა. შ ჩადებული სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებისაკენ მიმართული მუხლები, რომელთა მიხედვით საქართველოში სამართალ და ადმინისტრაციული წარმოება, განათლების ენა და ა.შ. არის ქართული. თუმცა, ვიმეორებთ, ენობრივი პოლიტიკის მარეგულირებელი ცალკე კანონები, რომლებიც ერთად მოიყრიდა თავს, როგორც კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, დღემდე არ არსებობს.

თითქოს რა უნდა უშლიდეს ხელს საკანონმდებლო აქტებში დადასტურებული ენობრივი მუხლების ფუნქციონირებას?

ფაქტი სახეზეა, დღეს ყველა აღნიშნავს და მიუთითებს მასმედიის ენობრივ შეცდომებზე, რომ კანონების ენა არ არის დახვეწილი, ქართულ ენაში უცხოური ტერმინები უაპელაციოდ შემოდის და ა.შ.

თუმცა პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა სახის ლექსიკონზე (ბეჭდურსა თუ ელექტრონულზე), ნორმირების საკითხებზე, იქმნება ახალი სახელმძღვანელოები ქართულის შემსწავლელთათვის (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული), იქმნება ელექტრონული მონაცემთა ბაზები და ა.შ. თუმცა ყველაფერი ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ერთეულების მიერ ჩატარებული სამუშაოები ვერ იქნება საკმარისი ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. აქ მთავარი სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების დამოკიდებულებაა.

ჩვენ თვალწინ გვაქვს ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი იმპულსია ერის კონსოლიდაცია ენობრივი პრობლემების გადასაჭრელად. ამიტომაც იყო, რომ სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებაზე ზრუნვა განსაკუთრებით 1978 წლიდან დაიწყო, როცა კრემლის მცდელობას წინ აღუდგა ქართველი ახალგაზრდობა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული ქართული ენის პრაქტიკული კურსი. გატარდა სხვა ღონისძიებებიც. დღეს ამ მხრივაც აუცილებელია ყურადღების გამახვილება, რადგან ინგლისურმა არ დაიკავოს რუსულის სოციოლინგვისტური ფუნქციები. ამიტომ სხვა უცხო ენათა ქართულთან მიმართების საკითხიც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ყურადღებასსაქცევი ასპექტია.

ენობრივი პოლიტიკის საკითხები განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ რანგში ავიდა და ზრუნვის საგანი გახდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც დაიწყო ქართული ენის სოციოლინგვისტური ფუნქციების გაფართოვება. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული, ძირითადად, 2 ასპექტზე იყო: სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერებასა და უმცირესობათა ენების ზრუნვაზე. მაგრამ დღეს მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა რომ აუცილებელია

განისაზღვროს ქართულის, როგორც უცხო ენის პოლიტიკა, რადგან საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა გარკვეულ დონეზე და მეორეც, უამრავი უცხოელი სტუდენტი ჩამოდის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად.

დღეს, 21-ე საუკუნეში, ყველაზე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული ენის ფუნქციონირებას ვირტუალურ სივრცეში, რომლის საფუძველი ქართული ენის ეროვნული კორპუსი უნდა გახდეს.

არსებული საკანონმდებლო ბაზებზე დაყრდნობითა და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი ენის შესახებ და ასევე შეიქმნას მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც მოახდენს მონიტორინგს, პასუხისმგებელი იქნება კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასა და სანქციების დაწესებაზე. ამის გარეშე, ამ ეტაპზე, ქართულის როგორც სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება ვერ მოხდება.

კანონში აუცილებლად უნდა მოხდეს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში გაფანტული ენობრივი ასპექტების თავმოყრა (მაგალითად, კანონი მოქალაქეობის შესახებ, განათლების შესახებ და ა. შ.), ახალი მნიშვნელოვანი პუნქტების დამატება, ხოლო სრულფასოვანი კანონის შექმნისა და მიღების შემდეგ აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციის ფორმირება, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უკვე კანონმდებლობით იზრუნებდა ქართული ენის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე.

ლიტერატურა:

ა. არაბული 2003 - ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2005

Tamar Lomtadze

Akaki Tsereteli State University

THE LAW ON STATE LANGUAGE – GUARANTEE OF PROPER FUNCTIONING OF GEORGIAN LANGUAGE RESUME

Georgia has faced to new problems in 21st century. That is why today, Due to globalization conditions, it is getting more urgent for government to pass a State Language Law in which should be collected linguistic aspects scattered in different legislative acts (e.g. Law about Citizenship, Education Law etc.), also should be added new significant points and it is very important to form appropriate institution which would warranty perfect functioning of language on entire territory of Georgia after creating and passing the new law.

ელგუჯა მაკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტექსტის ცნება ფოლკლორში

ტერმინი „ტექსტი“ და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა თანამედროვე ჰუმანიტარულ საზოგადოებო სივრცეში ცენტრალურ ადგილს იკავებს. მ. ბახტინის თქმით, „იქ, სადაც ადამიანს შეისწავლიან ტექსტს მიღმა და მისგან დამოუკიდებლად, უკვე აღარ გვაქვს საქმე ჰუმანიტარულ დისციპლინასთან“ (Бахтин, 1979: 281). ამიტომ არის აღნიშნული ტერმინი ასე ფართოდ გამოყენებული ლინგვისტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ესთეტიკაში, სემიოტიკაში, კულტუროლოგიაში, ფილოსოფიაში.

ტექსტის ცნების სწორ, შესაბამის განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფოლკლორში, რომელიც ზეპირი, ანონიმური კულტურის ტექსტების „ნაკრებს“ წარმოადგენს. ფოლკლორული ტექსტის, როგორც თვითგმარი ერთეულის, პოლიელემენტური კომპოზიციის აღწერა და შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ მიდგომათა მრავალმხრივობით (მაკარაძე, 2013:15). საგულისხმოა, რომ ბოლო დროს ცნების ფილოლოგიური გაგების გვერდით ადგილს იმკვიდრებს უფრო ფართო, სემიოტიკური და კულტუროლოგიური გაგება. თუმცა ფოლკლორული ტექსტისადმი

დღემდე დომინირებს მიდგომა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ლიტერატურული ტექსტოცენტრიზმი“, რაც კონკრეტული საკითხების კვლევის დროს სერიოზული შეცდომების წყაროა.

ფოლკლორული ტექსტის თავისებურებას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, რომელთა დიდი ნაწილი თავს იყრის ორ ჯგუფში:

1) ფოლკლორული ტექსტი, როგორც ზეპირი კულტურის ორგანული ნაწილი, ამ კულტურის სხვა შემადგენელ კომპონენტებთან მუდმივ „დიალოგში“ არსებობს. სწორედ აქ, კულტურათა ამ „ანსამბლში“, ყალიბდება ის, როგორც სინამდვილის შემეცნების მხატვრულ-სახეობრივი ფორმა. ყოფასთან, პრაქტიკასთან, ზეპირი კულტურის სხვადასხვა არტეფაქტთან კავშირი განსაზღვრავს ფოლკლორული ტექსტის სტრუქტურას, სტილს (სემანტიკა, სინტაქტიკა, პრაგმატიკა ...)

2) ფოლკლორული ტექსტი პირმშოა ზეპირი, კონტაქტური კომუნიკაციისა. აქ ტექსტის დაცვა და გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანთა უშუალო ურთიერთობის პირობებში – როდესაც ისინი პირისპირ დგანან და უშუალოდ მიმართავენ ერთმანეთს. შესაბამისად, ფოლკლორული პროცესი ბუნებრივი პროცესია და ამ თვალსაზრისით ემსგავსება ენის ქმნადობას ან ეთნოსის ცხოვრებას, საერთოდ, რადგან არის უპიროვნო და არაცნობიერი, არა აქვს დასაწყისი და დასასრული. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „რომელიმე ხალხური პოეტური ნაწარმოები, თუნდაც რიტუალური ტექსტი, შელოცვა თუ წყევლის ფორმულა, ისევე უავტოროდ იყოს შექმნილი, როგორც ენა, როგორც ასეთი, მის მთლიანობაში“ (კიკნაძე, 2006: 9) მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თავდაპირველი ავტორისა და მისი ტექსტის „მოხილვა“ მკვლევრისათვის მიუღწეველი იდეალია. „ხალხური ტექსტი მხოლოდ და მხოლოდ მისი რომელიმე ვარიანტის სახით არსებობს, ამათა მისი ინვარიანტული ანუ არქეტიპული, თუ „კანონიკური“ ტექსტის ძიება“ (კიკნაძე, 2006:10). ავტორობის არარსებობა, თავდაპირველი შეთხზვის აქტის პრინციპულად გამოტოვება ხსნის საკითხს ფოლკლორში საწყისი „ამოსავალი“ ტექსტის არსებობის შესახებ. ეს ჰიპოთეტური თავდაპირველი ავტორი და მისი ტექსტი გადის საკუთრივ ფოლკლორისტული კვლევის სფეროდან.

საზოგადოდ, ფოლკლორული ტექსტი რეალურად არსებობს მხოლოდ შესრულების პროცესში. საშემსრულებლო აქტებს შორის კი ესთეტიკური თუ სხვა სახის ინფორმაცია შენახულია შემსრულებლის მეხსიერებაში. ამიტომ ყოველი ახალი შესრულება ტექსტის ხელახლა აღდგენა-განახლებაა. აღდგენილი (განახლებული) ტექსტი კი მისი წინა ან მომდევნო რეალიზაციის მრავალ ვარიანტს შორის მხოლოდ ერთ-ერთია, რადგან ყოველი ახალი შესრულების დროს მეტ-ნაკლებად იცვლება ტექსტის მოცულობა, მისი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური შემადგენლობა, ზოგჯერ კონსტრუქციული ელემენტების თანმიმდევრობა (აქ ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ ხშირად მთქმელი დარწმუნებულია, რომ ზუსტად აღადგენს ადრე გაგონილ ტექსტს ან მის ცალკე ელემენტს). აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მისაღები უნდა იყოს ფოლკლორული ტექსტის ასეთი დეფინიცია: ის არის ტრადიციის ელემენტების მეტ-ნაკლებად მყარი კომბინაცია, რომელიც შესრულების დროს ხორციელდება.

ჩვეულებრივ, ფოლკლორული ტექსტის მაკონსტრუირებელი ელემენტები მეტწილად ტრადიციით შემოთავაზებული ასორტიმენტიდან აირჩევა, ხოლო შესრულებამდე ტექსტი არსებობს ტრადიციაში, უფრო მეტად, როგორც „ტექსტის იდეა“, უკეთ მისი აგების შესაძლებლობათა კონფიგურაცია. ყველაფერს, რის რეალიზებაც შესრულების დროს ხდება (ყანრული მოდელი, სიუჟეტური ჩარჩო, თემატური ბლოკები, სტილური კლიშეები), მეტწილად აქვს ტექსტამდელი სტატუსი. ისინი მიეკუთვნებიან მთლიანად ტრადიციას (ზოგადფოლკლორულს, ჟანრულს, ტექსტურს) და არა მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ ტექსტს, რომლის ტრანსლირება აქ და ამჟამად ხდება. ამიტომ ფოლკლორული ტექსტი გამოდის არა როგორც ინდივიდუალური ნიმუში, რომელიც დაზეპირებას ექვემდებარება, არამედ ტიპების, კლასების, საერთოდ, ტრადიციის რეპრეზენტაცია, მანიფესტაცია. მართალია ის აღმოცენდება წინმსწრებ წყაროზე, მაგრამ თავადაც და წყაროც მხოლოდ ვარიანტებს წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევისა და დაკვირვების საგანი უნდა გახდეს არა ერთი რომელიმე, მოცემულ შემთხვევაში ტრანსლირებული ტექსტი, არამედ ის, რასაც ტექსტამდელი სტატუსი აქვს, რაც ტრადიციაში არსებობს. ამ ამოცანის გადაჭრა ითხოვს არა მარტო სათანადო სამანიპულაციო სქემების შემუშავებას, არამედ გამართულ ტერმინოლოგიურ აპარატს. ამ პროცესის, ტრანსმისიის აქტის, აღწერისათვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ის ცნებები, რომლებსაც ლიტერატურული ტექსტის ანალიზის დროს გენეტიკური კრიტიკა მიმართავს: გენოტექსტი, ფენოტექსტი, ავანტექსტი (Антология 1999).

ი. კრისტევას მიხედვით, „ფენოტექსტი სტრუქტურირებული, გამზადებული სემიოლოგიური „პროდუქტია“ (ნაწარმოები, რ. ბარტის მიხედვით), ხოლო „გენოტექსტი“ არასტრუქტურირებული აზრების სიმრავლე, რომელიც სრულად არ ემთხვევა მისგანვე შობილ სტრუქტურებს.

ფოლკლორულ ტრადიციაში ხდება სინამდვილის შესახებ არსებული ინფორმაციის, „გენოტექსტის“ (თავისებური „კულტურული ტალახის“) გარდასახვა ფენოტექსტად, რეალურად არსებულ ზეპირ ტექსტად. რაც შეეხება ავანტექსტს, გენეტიკურ კრიტიკაში ამ ტერმინით აღნიშნავენ მასალათა ერთობლიობას (ხელნაწერები, თეზისები, შენიშვნები, გეგმა, სხვადასხვა რედაქცია), რომელიც წინ უსწრებს დასრულებულ ნაწარმოებს. შესაბამისად, ფოლკლორული ავანტექსტი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: ის არის ტრადიციის მენტალური მოცემულობა, რომელიც ტექსტის კოგნიტურ სივრცეში შემოდის.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი ცნებების სათანადოდ მომარჯვებით შესაძლებელია ფოლკლორული ტექსტის სპეციფიკის, ტრადიციის ზეპირი „დამაგრების“ საშუალებების, ფორმებისა და კანონების გამოვლენა და აღწერა.

ლიტერატურა:

1. **Бахтин, 1979:** Бахтин М. М., Эстетика словесного творчества, М.
2. **მაკარაძე, 2013 :** ე. მაკარაძე, ხალხური ლექსის თეორიის საკითხები, ბათუმი,
3. **კიკნაძე, 2006:** ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ.
4. **Антология, 1999:** Генетическая критика во Франции, Антология, М.

Elguja Makaradze
Batumi Shota Rustaveli State University
THE NOTION OF TEXTS IN FOLKLORE
RESUME

Proper use of the terms taken from the arsenal of genetic criticism, use of geno-text, pheno-text, avan-text is beneficial to describe peculiarities of folkloric texts, means of fixing oral traditions, forms and laws.

გიორგი მახარაშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველ მუჰაჯირთა ანდაზები

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე მრავალფეროვანი და მდიდარი სიტყვიერება შექმნა და ჩვენამდე მოიტანა. ხალხური ჯანსაღი ტრადიციები შემოგვინახა მასების ზეპირმა პოეტურმა შემოქმედებამ. მრავალრიცხოვან ჟანრებს შორისაა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრი - ანდაზა. ანდაზა ერის არსებობისა და აზროვნების გარკვეული მიკრომოდელია, იგი სინამდვილეს იმ პრიზმაში აღიქვამს, რომელიც თავსდება ეროვნული აზროვნების სისტემაში (შიოშვილი. 3. 1988).

ანდაზა ყველასათვის გასაგები, ერთი შეხედვით მარტივი და დახვეწილი ფორმის საკმაოდ რთული ფენომენია, რომელიც საუკუნეების მანძილზე პრაქტიკულად მყარი ვერბალური ფორმით ფიქსირდება ყველა ენაში და თავისი ფუნქციით მუდამ ეპასუხება მოცემული ცნობიერების მოთხოვნებს. ანდაზა საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა (თუმანიშვილი. 2007).

ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრით მდიდარია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხალხური სიტყვიერება. განსაკუთრებით მრავალფეროვანია აჭარაში ჩაწერილი ანდაზები. მათში გამოხატულია ის განცდები და ტკივილი, რაც ამ კუთხეში ისტორიული ბედუკუდმართობის ჟამს გადაიტანა. უნდა აღინიშნოს რომ ამ პოეტურმა, ფორმით მცირე, მაგრამ მრავლისმთქმელ ჟანრში ჩატეულია აჭარელთა ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი; სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა, ზნეობრივი კრედო, სტუმართმოყვარეობა და სხვა.

2012 წლის ივლისის თვეში თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ორდუს ვილაიეთში, ქართველ მუჰაჯირებთან, სამეცნიერო ექსპედიციის დროს, დავაფიქსირეთ ბევრი საინტერესო და

მრავლისმომცველი ანდაზა. მათში დიდი ხნის წინათ სამშობლოდან მოწყვეტილ ჩვენს თანამემამულეთ შემოუნახავთ ის მრავალფეროვანი ტრადიციები, რომლებიც მათ მამა-პაპას დიდ ქართველებში გამოუტარებიათ. „ათჯერ დაზომო, ერთჯერნა დაჭრა“, „ამოსულ თვარეს საღამოს დეეტყობა“, „მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათამაშო გახდება“, „რაცხას დათესავ, იმას მოჭრი“, „ძაღლს ძაღლის კბილი არ აწყენს“ და სხვა.

ქართველი მუჰაჯირების ზეპირსიტყვიერება მდიდარია საანდაზო სენტენციებით, რაც ჩვენებურთა მეტყველებას ამდიდრებს, ამშვენებს და ნათლად წარმოაჩენს ორ უმთავრეს, ჩვენთვის უაღრესად ღირებულსა და მნიშვნელოვან გარემოებას.

აჭარიდან თურქეთში მიგრირებული მოსახლეობის ზეპირმეტყველებაში ბოლო დრომდე ხმარებული ანდაზები გვაცნობენ ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრებას, მათ რწმენა-წარმოდგენებსა და სულიერ კულტურას;

„ჩვენებურთა“ ყოველდღიურ მეტყველებაში მრავლად გვხვდება ადამიანის ხასიათის თუ უხასიათობის გამომხატველი მოკლე ბრძნული გამონათქვამები. მაგალითად: „ჭინჭრის ძირ ჭინჭარი ამაუ“, „სხვის ვირზე რომ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“, „ვირ ყურ ხევენ და - ე რა ეხახუნებაო“.

მიუხედავად იმისა, რომ ორდუს ვილაიეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირები მრავალი წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ სამშობლოს, მაინც არ დაუკარგავთ ქართული ხალხური აზროვნებისათვის დამახასიათებელი გონებამახვილური გამონათქვამების ტრადიცია.

ქართველ მუჰაჯირთა შორის დამოწმებული ანდაზები დღემდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირებული ანდაზების ვარიანტები ან იდენტური ფორმულებია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული გენის, მისი სულიერების ერთ წიაღში განფენილობას.

ჩვენებურების საუბარში გვხვდება ზოგადქართული ხალხური სიტყვიერებაში კარგად ცნობილი ფორმულები, რომლებიც დღესაც მრავლადაა ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში. მაგალითად „ათჯერ დაზომო, ერთჯერნა დაჭრა“, „ამოსულ თვარეს საღამოს დეეტყობა“, „მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათამაშო გახდება“, „რაცხას დათესავ, იმას მოჭრი“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, შუშანა ფუტკარაძის მიერ „ჩვენებურების ქართულში“ მრავლადაა დაფიქსირებული ქართველ მუჰაჯირთა ანდაზები. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, სადაც კარგად ჩანს თუ რაოდენ სათუთად შემოუნახავთ საქართველოდან გაყოლილი და წლების მანძილზე სათუთად შემონახული სიბრძნე. შუახევის რაიონის სოფელ გოგინაურიდან მუჰაჯირად წასული დურსუნ ოზლი (გოგიტძე) თავის ნაამბობში გვამცნობს: „ჩვენა გურჯისტანის კარგობა, მისი დიდობა გვინდა, ის გვახარებს... თქვენი კარგობით ჩვენ გევხარებთ, ჩვენი კარგობით თქვენნა გეიხაროთ... ძმები უნდა ვიყოთ ერთმანებისა... ჩვენი ძველები იტყოდნენ: მეზობელო კარისაო, სინათლეხარ თვალისაო“ (ფუტკარაძე. 20. 1993)

ქართველ მუჰაჯირებთან, „ჩვენებურებთან“, ვაგრძელებთ სტუმრობას და მათთან ერთად დღეს შემორჩენილი ხალხური მარგალიტების მოძიებასა და შეკრებას. რაც დიდ იმედს გვაძლევს, რომ მომავალი ექსპედიციები კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მნიშვნელოვან მასალას მოგვცემს.

ლიტერატურა:

1. **თუმანიშვილი 2007:** **თუმანიშვილი ხათუნა** - „კერძო და უნივერსალური ანდაზის ჟანრში“, „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ მასალები, თბ.
2. **შიოშვილი 1988:** **შიოშვილი თინა** - ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები მცირე ჟანრის ქართულ პოეტურ ფოლკლორში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, IX, თბ.
3. **ფუტკარაძე 1993:** **ფუტკარაძე შუშანა** - ჩვენებურების ქართული, ბათ.

Giorgi Makharashvili
Batumi Shota Rustaveli State University
PROVERBS OF GEORGIAN MUHAJIR
RESUME

Georgian Muhajir speech is rich with proverbs, that enriches, adorns and clearly shows two very precious and important circumstances for us.

Proverbs identified among Georgian Muhajirs are variants and identical formulas of the proverbs found in different parts of Georgia up to day, that once more confirms Georgian gene spirituality.

ქართველ მუჰაჯირთა ეთნონიმიკა თურქეთში და ეთნონიმიკასთან დაკავშირებული ცნობიერება

ეროვნული ცნობიერებისა თუ ეთნიკური იდენტობის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა მათი აღმნიშვნელი უცხოური სახელებისა და თვითსახელწოდებების – ეთნონიმიკის დადგენას ენიჭება, მაგრამ ერის ეთნოგრაფიულ ჯგუფებად გრადაციის პირობებში ყურადღება არა მხოლოდ ზოგადეთნიკურ, არამედ ლოკალურ – სახეობო სახელწოდებებზეც უნდა გამახვილდეს. მაგალითად, არსებობს ეთნონიმი **ქართველი**, მაგრამ ტერმინ **ქართველი**-ს ფარგლებში შეიძლება, ასევე, არსებობდეს – **ლეჩხუმელი**, **რაჭველი**, **ქართლელი**, **კახელი**... ამდაგვარი ეთნონიმების მატარებლებში ორგანოზომილებიან ცნობიერებასთან გვაქვს საქმე – ერთდროულად ზოგადეროვნულთან და ლოკალურთან.

ქართული იდენტობისა და ეროვნული ცნობიერების ხარისხის განსაზღვრისათვის ყურადსადეგია თურქეთში მცხოვრები ქართველების, რომელთაც *მუჰაჯირებს* უწოდებენ, გარესახელწოდებების – ეგზოეთნონიმებისა და თვითსახელწოდებების – ენდოეთნონიმების შესწავლა. ტერმინი **მუჰაჯირი** (*Muhacir*), არსებული წყაროების თანახმად, მახლობელ აღმოსავლეთში გაჩნდა, როცა VII საუკუნეში სასულიერო ასპარეზზე მუჰამედი გამოჩნდა. 622 წელს (ჰიჯრა) მექაში დევნილი მუჰამედი იძულებული გახდა იასრიბში გადასულიყო. იმ დროს იასრიბი მექის მეტოქედ ითვლებოდა. მუჰამედის იასრიბში წასვლის შემდეგ დასახლებულ პუნქტს მედინა – ქალაქი ეწოდა. სწორედ 622 წლიდან დაიწყო მუჰამედის მოღვაწეობის მეორე პერიოდი. მექიდან იასრიბში გადმოსული მუჰამედის მიმდევრები *მუჰაჯირებად* აღინიშნენ (*ნარკვევები*..., 1957:56). სხვათაშორის, საინტერესოა, სამცხე-ჯავახეთიდან აჭარაში რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში ჩამოსახლებულ ოჯახებსაც *მუჰაჯირებს* რომ ეძახდნენ. ალბათ, ეს იმ დროის ანარეკლია, როცა აჭარა ოსმალთა მმართველობას ექვემდებარებოდა (ამის შესახებ დაწვრ. იხ. **მგელაძე**, 2013). სიტყვა **მუჰაჯირი** დანამდვილებით არაბული წარმომავლობისაა და ლექსიკოგრაფთა განსაზღვრებით ახალმოშენეს, გადმოსულს, გადმოსახლებულს (*თურქულ*... 2001:1002), ემიგრანტს (*Большой*... 1998:636) ნიშნავს.

ქართველი მუჰაჯირები რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში ოსმალეთის შავიზღვისპირა ზოლში რამდენჯერმე გადასახლდნენ (იხ. **მგელაძე**, 2013:153-170; **ვარდმანიძე**, 2001:37-48). ისინი ფაცას, ორდუს, სამსუნისა და სტამბულის, ასევე ეგეოსისის მიმართულებით განსახლდნენ და, საბოლოოდ, როგორც ზღვისპირეთებში, ისე მთისწინა ზოლებსა და მაღალთალმთიან რეგიონებშიც დამკვიდრდნენ. მათი ეთნონიმია **გურჯი**, ერთმანეთს კი – *ჩვენებურებს* ეძახიან. თურქეთში ჩვენებურების ერთი ნაწილი ავტოქტონური მოსახლეობაა, ხოლო ნაწილი რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან იძულებით გადაადგილებულთა შთამომავლებია. ბუნებრივია, ტერმინი **ჩვენებური** ადრეულ ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებული არ უნდა ყოფილიყო. ეს ცნება, რომელიც კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან – **ჩვენი** საგან (**ჩვენიანი** საგან) განვითარდა, მეტ-ნაკლები ეთნონიმური დატვირთვით, შედარებით გვიან გაჩნდა, დაახლოებით მაშინ, როცა ოსმალეთის სახელმწიფომ საქართველოს მიწა-წყლის სამხრეთი ნაწილი მიიტაცა და დაისაკუთრა. გვიანშუასაუკუნეებში ამ სიტყვით ოსმალეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ხეობათა მოსახლეობა ისე, როგორც მუჰაჯირებად წოდებული ქართველობა, აღინიშნა. ტერმინ *ჩვენებურებმა* განსაზღვრა თურქეთში მცხოვრები ქართველობის ერთობა, რითაც ხაზი გაესვა იმ ადამიანთა მთლიანობას, რომლებიც ერთმანეთთან საერთო გენეალოგიით, ცნობიერებით, ისტორიით, უფროს ზუსტად, საერთო ისტორიული მეხსიერებით, საერთო ბედ-იღბლის განცდით, ენითა და კულტურით იყვნენ დაკავშირებულნი.

ეთნონიმი **გურჯი** აღნიშნავს არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირს, არამედ ზოგადად ქართველს. ქართველთა ქვეყანასაც მეზობელი მუსლიმანური სამყარო *გურჯისტანს* ეძახის თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისათვის საქართველო არა მარტო გურჯისტანია, არამედ **მემლექეთი** (სათანადო საველე მასალები იხ. **ფუტყარაძე**, 1993; ამ თვალსაზრისით

საინტერესოა ტერმინი **დიდმემლეკეთი** – შდრ. **ფუტკარადე**, 2007:73) და **სამშობლო** (დედა-სამშობლო). სპეციალურ ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ თურქეთში არსებული ქართველობა თურქსა და ქართველს ისე, როგორც თურქეთსა და საქართველოს ცნობიერად ანსხვავებს. **ვათანი** – თურქეთია, რომელიც ასევე სამშობლოს ნიშნავს. ხოლო **სამშობლო** – **გურჯისტანი** (ლუტიძე, 2010:156). მსოფლიო ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი, როცა ამა თუ იმ ქვეყნის და ხალხის აღმნიშვნელი სახელი იმ სახელდებებს არ ემთხვეოდა, რომლებითაც მას მეზობელი ქვეყნები და ხალხები იცნობდა. საილუსტრაციოდ შორეულ პარალელებს რომ არ მივმართოთ საკმარისია სომხური ეთნონიმიკა დავასახელოთ. ქართველები მათ ძველი ტრადიციისამებრ *სომხებს*, ხოლო ქვეყანას *სომხეთს* ეძახის, ძველ წერილობით წყაროებში უახლოესი კულტურული წინაპრები *არმენების* სახელითაა მოხსენიებული, რომელიც სომხების აღსანიშნავად რუსებს და ევროპის ზოგიერთ ხალხს დღესაც შემორჩათ. თავად სომხები საკუთარ თავს სომეხს ან არმენს კი არ უწოდებს, არამედ **ჰაე**სა და **ჰაე**ს. ასევე უნდა ითქვას სიტყვა **გურჯი**ს მიმართაც. საკუთრივ ქართველები საქართველოში თავის აღსანიშნავად ტერმინ **გურჯს** კი არ იყენებენ, არამედ **ქართველს**. საქართველოში სიტყვა **გურჯი**ს მნიშვნელობა ყველას არ ესმის და მას არც ხმარობენ. **გურჯი** და **გურჯისტანი** ისეთი ეთნიკური და გეოგრაფიული ცნებებია, რომელთა ფონეტიკური და სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შესაძლოა წარსულის არაერთი საინტერესო ფურცელი გადაიშალოს. ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე ისე, როგორც შემდეგში არაერთი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ეთნოლოგი, სწავლობდა რა ქართულ ეთნონიმიკას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს სამი უმთავრესი სახელი ერქვა: ერთი, ეროვნული: ქართული, გარეშე ქვეყნებისათვის სრულიად უცნობი – **საქართველო** (**ქართლი**), რომელსაც სახელწოდება მისმა მცხოვრებლებმა – ქართველებმა მისცეს. მეორე, სომხური **ვირქ** (**ვრატცან**), რომლის მკვიდრნიც ახალი ქართულით **ვრატცად** იწოდებოდნენ (იხ. **ჯანაშია**, 1952:50-51). ეს ეთნონიმები პირდაპირ კავშირშია ფუძე - **ბერ**თან და **-ვერ**თან (ნ. მარი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე...). ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ბერძნული **ივერია** და ლათინური **იბერია** მათგან წარმოსდგა და მესამე **ვრჯან**ის (**vrkan**) გზით ახალი სპარსული **გურჯან**, **გურჯისტან** (**აბულაძე**, 1934:293-300; **წერეთელი**, 1993:94-95), არაბული და სირიული **გურჯან** (**gurzan** – შდრ. XII საუკუნის წყაროში **ქურჯი**ს) განვითარდა. არაბულ წყაროებში დადასტურებული **jurzan** (შდრ. **ჯურჯან**, იგივე **გურჯანი**) ეთნიკონია და როგორც ქვეყანას, ისე მის მოსახლეობას აღნიშნავს (იხ. **ჯაფარიძე**, 1993:122, 124; **წერეთელი**, 1993:146-152), რომლის მკვიდრნიც **გურჯებად** და **ჯურჯებად** იწოდებიან. აქედან უნდა იყოს წარმოქმნილი რუსული **გურდზი**, **გრუზი**, **გრუზია** (XVI საუკუნის რუსულ წყაროებში – **გურზა**) და ფრანგული **ჟეორჯი** (შდრ. იტალიურ **ჯორჯა**სა და ესპანურ – **ხეორხია**ს), რაც ლათინურიდან მომდინარე დასავლური **გეორგია**ს (**georgia**) უშუალო შესატყვისია. საქართველოს მსოფლიო დღესაც ამ სახელწოდებით იცნობს (იხ. **ბროსე**, 1895; შდრ. 1998:9). არაა გამორიცხული იგი მართლაც არაბული **ğurğ** ფორმიდან იყოს შეთვისებული (ნ. მარი) და მას **გეორგია**ს გარდა ზემოთ დასახელებული სხვა ეთნონიმებიც უკავშირდებოდეს (იხ. **ჯანაშია**, 1947:185, 22; შდრ. ქართულ **გორგ**ს, **გურგან**ს, **ჯურჯან**ს... და მგლის მნიშვნელობებთან კონტექსტირებულ მონათესავე სიტყვებს (დაწვრ. იხ. **ჩხეიძე**, 1993:113-114). თუ თანმიმდევრული ვიქნებით, დავინახავთ, რომ პლატონ იოსელიანი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც 1844 წელს შენიშნა რუსული ტერმინ **გრუზია**ს აღმოსავლური **გურჯი**, **ჯურჯი** და **გურჯისტან**ისაგან წარმოშობა. 1858 წელს ამ საკითხებს მარი ბროსე შეეხო, რომელმაც ეთნიკურ ტერმინთა კავშირურობითობა გაიზიარა, 1905 წელს კი ნ. მარი ამტკიცებდა, რომ აღმოსავლური **გურჯ** და **ჯურჯ** ფუძეებისაგან წარმოიქმნა რუსული **გრუზია** და ევროპული **გეორგია**. შემდეგში, 1928 წელს, ტერმინოლოგიური და სემანტიკურ-ფონეტიკური შესაბამისობები კიდევ უფრო დააზუსტა იუსტ. აბულაძემ, რომელიც, ასევე, ფიქრობდა, რომ რუსული **გრუზია** სპარსულ-არაბული და სირიული **გურჯ** და **გურჯი**ს ადეკვატური ფორმები იყო (**პაიჭაძე**, 1993:289-290). ამდენად, როგორც ვხედავთ, ქართული ეთნოსისა და ქართველების აღმნიშვნელი სახელწოდებები სხვადასხვა ენაზე გამოთქმულსა და გაფორმებულ ერთი სემანტიკური და ფონეტიკური ველის ცნებებს წარმოადგენს.

თურქეთში ქართველებს **გურჯუს** (**გურჯ**ს), ხოლო ქართველთა ქვეყანას **გურჯუსტან**ს (**გურჯისტან**ს) უწოდებენ. ეს პარალელური ფორმები ხმოვანთა ჰარმონიის საფუძველზეა განვითარებული (**აბულაძე**, 1993:255). სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ტერმინი **გურჯისტანი** ოსმალურ წერილობით წყაროებში პოლისემიური მნიშვნელობის მატარებელია და ეთნიკურ-გეოგრაფიული შინაარსითაა დატვირთული. ერთი მხრივ, იგი ქართული ტომებით დასახლებულ მთელ ტერიტორიას – სრულიად საქართველოს აღნიშნავს; მეორე მხრივ, საქართველოს ერთ ან რამდენიმე სამეფო-სამთავროს, შესაძლოა, ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფით დასახლებულ „ქვეყანას“ და მესამე მხრივ, იშვიათად, მაგრამ მაინც „ყოველი

საქართველოს“ გამომხატველ ტერმინადაც აღიქმება (აბულაძე, 1993:257). თურქეთში გურჯად მხოლოდ აჭარიდან და სამცხიდან მუჰაჯირად წასული ქართველების შთამომავლები კი არ აღინიშნებიან, არამედ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული სამხრეთ საქართველოს: შავშეთ-იმერხევის, კლარჯეთის, ტაოს აბორიგენული მოსახლეობაც, ისინი, ვინც წარმომავლობით საერთო ეთნიკურ ფესვებს ეკუთვნოდნენ. სხვათაშორის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თურქეთში გურჯად იწოდებიან როგორც ქართულ ენაზე მოლაპარაკე, ეროვნებით ქართველი მუსლიმანები, ისე საქართველოს მკვიდრი ქართველი ქრისტიანები და ქართველი მუსლიმანებიც, რაც მათ საერთო ეთნოსისადმი კუთვნილებას ადასტურებს. თურქეთში სიტყვა *გურჯა* ეროვნული ორგანიზმის ინტეგრაციული მნიშვნელობა შეინარჩუნა და სხვადასხვა რელიგიური ორიენტაციის – ქრისტიანებისა და ისლამის მიმდევრები ერთ ცნებაში მოაქცია მაშინ, როცა საკუთრივ საქართველოში წარსულში საპირისპირო მოვლენები განვითარდა: ქრისტიანი ქართველი მუსლიმან ქართველს *თათარს* ეძახდა, ხოლო მუსლიმანი ქრისტიანს – *ქართველს*, რომელშიც ეროვნება – „ნათესავით ქართველის“ ცნება კი არ იგულისხმებოდა, არამედ ზოგადად ქრისტიანი – **ურჯულო (გიაური*)**. ტიპოლოგიურ მსგავს ვითარებასთან გვექონდა საქმე სამცხეში კათოლიკე მესხების მაგალითზე, რომლებსაც მიუხედავად მათი ქართული წარმომავლობისა, კათოლიკური აღმსარებლობის გამო *ფრანგებად (ფრენგებად)* მიიჩნევდნენ.

ცნობილია, რომ ერის ფორმირებისა და ეთნიკური ევოლუციის პროცესში კულტურის როლი და გავლენები დიდი იყო, მაგრამ კულტურას თუ გააჩნდა ინტეგრაციის, ასევე, იმავდროულად, მას შეიძლება სეგრეგაციის ფუნქციაც ჰქონოდა (Мильников, 1975:42). ამიტომ, ზოგადეთნიკური კულტურის ფარგლებში ჩვენ შეიძლება იოლად აღმოვაჩინოთ ლოკალური კულტურები ანუ კულტურები, რომლებიც ზოგადეროვნული ფასეულობების გვერდით საკუთარი, მაგალითად, ქართულ ეთნოსში კულტურის სხვადასხვა სფეროსა (მატერიალური, სამეურნეო, სოციალური, სულიერი,...) და მეტყველებაშიც სახეობო – ადგილობრივი ტრადიციული თავისებურებებით ხასიათდებოდნენ. ასე მოხდა ქართველ მუჰაჯირებშიც, სადაც, თანდათანობით, ზოგადეთნიკური ცნობიერების გამომხატველი ეთნონიმი **გურჯი** ლოკალური ცნობიერების სახეობო ჯგუფების ამსახველ სახელწოდებებად დანაწილდა. მათ შორის, ძირითადად, აჭარის სხვადასხვა ხეობიდან ჩასახლებულები გამოიყოფიან. ესენია: **აჭარლები, ქობულეთელები (ჩურუქ-სუელეები), მაჭახლელები, ბათუმელები, შავშელები**, შესაძლოა **ჩაქელებიც**..., რაც ქართველ მუჰაჯირებში იმ პერიოდის ეთნოგრაფიული ცნობიერების ასახვაა, როცა აჭარიდან და მისი მიმდებარე სანახებიდან მათი ოსმალეთის შავიზღვისპირეთში ჩასახლება მოხდა (იხ. მგელაძე, ასკედ – ორდუსა და სამსუნის ვილაეთები, 2012). ამ ფაქტს ჩვენ იმდენად გავუსვით ხაზი, რამდენადაც სოციალური, სულიერი, მატერიალური და სამეურნეო კულტურის ამა თუ იმ ელემენტის კვლევის პროცესში შევძლოთ მათი სახეობო თავისებურებების უკეთ გააზრება და კულტურულ ფასეულობათა სფეროში მსგავსება-განსხვავების ისე, როგორც მათი არა მარტო ლოკალური, არამედ საერთო – ზოგადეთნიკური ნიშნების დადგენა. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე იყო ცდა თურქეთში ქართველთა განსახლების გეოგრაფიული მიჯნების განსაზღვრისათვის. მაგალითად, ინგა ლუტიძის სავსე მონაცემებით ჰაირეში ყველა ეთნიკური ქართველი მაჭახლიდანაა, მურათბეისა და ჰასანფაშაში – ჩაქვიდან, ჰილმიეში უმეტესობა შუახევის რაიონის სოფელ ჭვანადანაა, ყაზელეში ყველაზე მეტი ღორჯომიდანაა, ხოლო დანარჩენ სოფლებში შუახევიდან – სოფელ ნენიიდან, ნიგაზეულადან, ჭალიდან, ჭვანიდან, ფურტიოდან, ჩანჩხალოდან, ოლადაურიდან, ლომანაურიდან, ჯუმუშაურიდან, წაბლანადან, ბაბოშვილებიდან, რიყეთიდან, ტბეთიდან, დღვანადან, ბარათაულიდან, გოგამეებიდან, გოგინაურიდან, წაბნარეთიდან, შუბანიდან, გუნდაურიდან, კობალთიდან, მაწყვალთიდან, ქვახეთიდან, ხულოდან – სოფელ რიყეთიდან, ქედიდან – სოფელ ზუნდაგადან, გონიოდან (ლუტიძე, 2010:151-152).

ქართველების მიერ სხვებზე შერქმეული სახელების დატვირთვა კარგად ჩანს საქორწინო ბარიერებში, სადაც ეთნიკურ და რელიგიურ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგალითად, მუჰაჯირი ქართველები თვლიდნენ, რომ ცოლად არ შეირთავდნენ ან ქალს არ მიათხოვებდნენ *გიაურს* ზოგადად, ქრისტიანს, რადგან ისინი განსხვავებული აღმსარებლობის იყვნენ – რამდენიმე საუკუნის წინ სუნიტური მიმართულების ისლამი ჰქონდათ მიღებული და *ერმენს*, რომელთაც ასევე *სომეხს* ეძახდნენ. ისინი ქორწინებას თურქთაგან ერიდებოდნენ, რომელსაც **ბოლოკა**’ს, **კუდვანი**’ს და **კუდიანი**’ს (**კუდვიანი**’ს) სახელწოდებებით მოიხსენიებდნენ.

* არსებობს სავსე დაკვირვებები, რომლითაც ხანდაზმულ, ხანში შესულ ადამიანთა მონათხრობით ცდილობენ დაგვისაბუთონ, რომ თურქები, მიუხედავად მუსლიმანობისა, მათაც *გიაურებს* ეძახდნენ (ლუტიძე, 2010:153).

ნიშანდობლივია, რომ *კუდიანს* ქართულის არმცოდნე ლაზებსაც ემახდნენ (ცეცხლაძე, 2013:40). აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ თურქისათვის ქართველი მუჰაჯირი **ყოზახი** იყო, რაც თავად მუჰაჯირების განმარტებით „ჭახეს“ (არსებობს გამოთქმაც: „ჭახე ჩვენებურები“ – ცეცხლაძე, 2013:40) ნიშნავს, თუმცა სხვა განსაზღვრებით **ყაზახი** თურქულში გლესს აღნიშნავდა (აბულაძე, 1986:464). განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით კი – „მჭახე“ გამოითქმის როგორც **Ekşi, Kekre** (თურქულ... 2001:323), ხოლო გლესი – **Köylü** (Русско... 1972:351). დასაშვებია ვიფიქროთ, რომ საქართველოში ცნობილი **ყაზახი** თურქული **ყოზახი**-ს ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმა იყოს. ტერმინი **ყაზახი** (**ყამახი**) საქართველოშიც, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში – გურიაში იყო გავრცელებული და მამაკაცისადმი მიმართვის ფორმაში გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს ეთნონიმი **ყაზახი** ყაზახეთში და კაზაკი **ყირიმში**. თურქულში **ყაზახი** (**კაზაკი**) როგორც **Kazak** აღინიშნება და ისეთ ქმარს ნიშნავს, რომელიც ცოლზე ბატონობს – დესპოტი ქმარი (თურქულ... 2001:812).

ქართველ მუჰაჯირებში ბოლო პერიოდში ჩამოყალიბება დაიწყო ეთნონიმი – **ქართველი**, რომელიც ადრე ქართველი მუსლიმებისათვის მხოლოდ ქართველი ქრისტიანის მნიშვნელობას თუ შეიცავდა. ახლა მან უკვე ეროვნულობის აღნიშვნის ფუნქცია შეიძინა. ბუნებრივია, ასეთი ტრანსფორმაციები ბოლო პერიოდში თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელმა კომუნიკაციებმა და საინფორმაციო საშუალებათა ქსელის ხელმისაწვდომობამ განაპირობა, თუმცა არის ვარაუდი, რომ ეთნონიმ **ქართველი**-ს ხმარება იქ დაახლოებით ოცდაათი წლის დაიწყო, შესაბამისად, ისეთი ლექსიკური გამონათქვამებიც გაჩნდა, როგორებიცაა **ქართველი, გაწურული ქართველი, სუფთა ქართველი, ქართული, ზოგიერთ ადგილებში კი დასტურდება ტერმინი მუსლიმანი ქართველი**. თავად თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისათვის საქართველოში მცხოვრები თურქები **ქართველი გურჯები**-ა (ლუტიძე, 2010:153-154). **გურჯი** საგან განსხვავებით სიტყვათა ასეთი კომბინაცია თურქეთში შედარებით გვიან უნდა დამკვიდრებულიყო. ზოგიერთი ავტორის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეთნიკურად ქართველი თურქად მიიჩნეოდა თავს იმიტომ, რომ ებრძოლა ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის, გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. ი. ლუტიძის თანახმად, თანამედროვე თურქეთი მრავალეთნიკურია. იგი მრავალი ეთნოსის შერევის შედეგადაა წარმოქმნილი. მათ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თავს თურქად მიიჩნეოდა, რათა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის მუდმივი დამაბულობა თავიდან აეცილებინათ. საბოლოო ჯამში ავტორი ეთნიკურ ქართველებში სამ მიმართულებას გამოყოფს: 1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ხაზგასმით მიუთითებენ მათ ქართულ წარმომავლობაზე და ქართული ენის მნიშვნელობაზე; 2. ეთნიკური ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭება, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ **გურჯები (resp: ქართველები)** არიან; 3. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ასიმილირებულნი არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას. (ლუტიძე, 2010:150-153). ქართველი თურქეთში ეროვნული თვალსაზრისით გენეალოგიურად თავს თურქად არ თვლის. ეს ფაქტია. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ რელიგიის – ისლამის ფაქტორი ყველა მიმართულებისათვის განმსაზღვრელია, თუნდაც იქ პრიორიტეტული ქართული ენა იყოს. თუ მესამე მიმართულება თურქ ეთნოსშია შერწყმული, მაშინ არც მათი ცალკე გამოყოფა ღირს, რადგან ჯგუფთან მათი ქართველებისადმი მიკუთვნებულობის არცოდნის გამო სასურველი კუთხით საუბარსაც ვერ წარმართავ, მაგრამ ჩვენ თუ ვახერხებთ რაღაც ფორმით ამა თუ იმ ჯგუფის ეთნიკურობა დავადგინოთ, მაშინ ცხადია ამგვარი ინფორმაცია ასეთი ჯგუფისაგან უნდა მივიღოთ. მაშასადამე, საიდან ვიცით ჯგუფი ასიმილირებულია თუ არა? ჩვენ შევიტყვეთ მათი ქართველობის შესახებ ან ეს ფაქტი მათ გაგვიზიარეს. თუ ეს ასეა, მაშინ მათი ქართველობის შესახებ იქნებ არსებობს რომელიმე საკლასიფიკაციო ნიშანი – ენა, ცნობიერება, გადმოცემებით მიღებული ისტორიული მახსოვრობა... საერთოდ, თურქეთში ქართველი თუ ის რაღაც ნიშნით სხვებისაგან გამოყოფას ცდილობს, თავს თურქად, ბერძენად, სომეხად არ მიიჩნევს, მაგრამ იგი თვლის, რომ თურქეთის სახელმწიფოში ცხოვრობს და თურქეთის მოქალაქეა, უფრო ზუსტად, თურქეთი მისი სახელმწიფოა. თურქეთში რელიგიისა და საერთო სახელმწიფოებრივი – თურქული ენის ერთიანობამ სამოქალაქო ერთიანობის პანორამა და საერთო სახელმწიფოებრივი ერთობის განცდა ჩამოაყალიბა, თუმცა, ასევე, თურქეთში საკუთრივ ეთნიკური გრადაცია სახეზეა. ბოლო პერიოდის პუბლიკაციებში იყო კიდევ ერთი მცდელობა საველე წყაროების ნიადაგზე თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული იდენტობა განსაზღვრულიყო. ცალკეული ავტორის დაკვირვებით, თურქეთის ქართულ მოსახლეობაში შეიძლება შემდეგი ჯგუფები გამოიყოს: 1. ქართულენოვანი და ქართული ცნობიერების; 2. თურქულენოვანი და ქართული ცნობიერების; 3. გაორებული ცნობიერების. 4. ასიმილირებული ქართველები (ფუტკარაძე, 2007:73). როგორც ვხედავთ აქაც

ქართველთა ერთ-ერთი დაჯგუფების თურქული ეთნოსისადმი ორაზროვანი კუთვნილებაა ხაზგასმული – „თურქი ვარ, ჰამა გურჯი ვარ“. ამჯერადაც დაზუსტებაა საჭირო: რას გულისხმობს რესპონდენტი თურქსა და დასაკუთრივ გურჯში? არა მგონია ისინი ეთნიკურად ქართველობას და იმავდროულად თურქობასაც აღიარებდნენ. მაშ რა განსხვავებაა მესამე და მეოთხე ჯგუფს შორის? ისე, ბუნებრივია, ქართული ენა, ყოფითი კულტურა, ქცევის ტრადიციული ნორმები ყველაზე მეტად ისეთმა ოჯახებმა რომ შემოინახა, სადაც ქორწინება მონოეთნიკური – ეთნოენდოგამიური იყო.

ამრიგად, თურქეთში ქართველთა აღმნიშვნელი ეთნიკური თუ სხვა ტიპის სახელების შესწავლა, განსაკუთრებით, ეთნონიმიკა, მასთან დაკავშირებული ცნობიერებისა თუ ამა თუ იმ ჯგუფთან იდენტობის პრობლემათა ახსნა, ვფიქრობთ, სამომავლოდ უფრო ჩაღრმავებულად უნდა გაგრძელდეს, რითაც ისტორიული დინამიკის გათვალისწინების საფუძველზე არაერთ ბუნდოვან კითხვას პასუხი გაეცემა.

ლიტერატურა:

აბულაძე, 1934 – იუსტ. აბულაძე. ტერმინ *გურჯის* ეტიმოლოგიისათვის. – „აკად. ნ. მარისადმი მიძღვნილი კრებული, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლის შესრულების გამო“, თბილისი, 1934.

აბულაძე, 1993 – ც. აბულაძე. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში. – „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

Большой..., – 1998 Большой турецко-русский словарь, Москва, 1998.

ბროსე, 1895 – მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, ორ ნაწილად, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. დოღობერიძის მიერ, ტფილისი, 1895; შდრ. იგივე წიგნი, ბათუმი, 1895.

ვარდმანიძე, 2001 – ჯ. ვარდმანიძე. მუჰაჯირობა და ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში. – „კრებული“ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), I, ბათუმი, 2001.

თურქულ, 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი, 2001.

მგელაძე, 2013 – ვლ. მგელაძე. პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი ცნობები აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გახიზვნის მიზეზების შესახებ. – „კრებული“ (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), VII, ბათუმი, 2013.

მგელაძე, 2013 – ნ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში (ორდუსა და სამსუნის ვილაეთები). – „კრებული“ (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), VII, ბათუმი, 2013.

ნარკვევები..., 1957 – ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), ვალ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

პაიჭაძე, 1993 – გ. პაიჭაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში. – „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

ფუტყარაძე, 1993 – შ. ფუტყარაძე. ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

ფუტყარაძე, 2007 – თ. ფუტყარაძე. ქართული დიასპორა თურქეთში. – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“, I, ბათუმი, 2007.

ღუტიძე, 2010 – ი. ღუტიძე. მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები. – „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, XII, თბილისი, 2010.

ჩხეიძე, 1993 – თ. ჩხეიძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში. – „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

ცეცხლაძე, 2013 – ნ. ცეცხლაძე. ხატოვანი სიტყვა-თმანი ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლობის მეტყველებაში. – „მუჰაჯირები“ – პირველი სამეცნიერო კონფერენცია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), ბათუმი, 2013.

წერეთელი, 1993 – კ. წერეთელი. „ქართველებისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები არამეულსა და ებრაულში - „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

წერეთელი, 1993 – გ. წერეთელი. საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის. – „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

ჯანაშია, 1947 – ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი. – „ენიმკის მოამბე“, I, თბილისი, 1947.

ჯანაშია, 1952 – ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ. – „შრომები“, II, თბილისი, 1952.

ჯაფარიძე, 1993 – გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები - „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

Nugzar Mgeladze

Batumi Shota Rustaveli State University

ETHNONYMS OF GEORGIAN MUHAJIRS IN TURKEY AND CONSCIOUSNESS RELATED TO ETHNONYMS RESUME

The work concerns the ethnical names of the Georgians in Turkey, especially ethnonyms and the issues related to it. The etymological as well as semantic analysis of the terminologies are represented in the article.

ანა მესხი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ინგლისური და ქართული ენების დროთა სისტემების შეპირისპირებითი ტიპოლოგიისთვის (აწმყო დრო)

ნაშრომში განიხილება ინგლისური და ქართული ენების ზმნის უმთავრესი გრამატიკული კატეგორია – დრო, უფრო სწორედ, აწმყო დრო, რომელიც, ანალიზის ობიექტურობის თვალსაზრისით, ყველა სხვა გრამატიკულ კატეგორიასთან არსებული კავშირის გარეშე არის გაანალიზებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, ზმნის ისეთ მახასიათებლებს ეხება, როგორიცაა ასპექტი, გზისობა, გვარი და სხვა. აწმყო დროის ფორმების შესწავლა მისმა შუალედურმა ბუნებამაც განაპირობა. იგი წარსულსა და მომავალს შორის მდგომი რგოლია, რის გამოც, მჭიდროდ უკავშირდება როგორც ერთს, ისე მეორეს. გარკვეულწილად, გრამატიკული დროს ეს ხასიათი უნივერსალური დროს თვისებას აირეკლავს; კერძოდ, ყოველი მომავალი ქმედება *შეიძლება* განხორციელდეს აწმყოში, მაგრამ ყოველი აწმყოს ქმედება *აუცილებლად* ხდება წარსულის ფაქტი. აქედან გამომდინარე, როგორც ითქვა, ანალიზს მართლოდენ თხრობითი კილოს აწმყო დროს ფორმები ექვემდებარება.

კვლევის დაწყებამდე, მოკლედ მიმოვიხილოთ უნივერსალური და გრამატიკული დროები და მათშორისი კავშირები.

უნივერსალური და გრამატიკული დრო. გრამატიკულ კატეგორიებზე საუბრისას, უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, უნივერსალური და გრამატიკული დრო, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ურთიერთკავშირი და ამ კავშირების თავისებურებანი.


უნივერსალური დრო მატერიის, სიცოცხლის არსებობის ფუნდამენტურ თვისებათა რიცხვს განეკუთვნება. იგი მუდმივ ცვალებადობაშია, ისევე როგორც თვით მატერია, რომლის მოძრაობა-ქმედება „მონეტის მეორე მხარედ“ წარმოდგება. შესაბამისად, დროსა და მოქმედების განცალკევება ცოცხალი მატერიის და, მით უმეტეს, ადამიანთა არსებობისგან შეუძლებელია. აღნიშნული თვისებების ერთიანობა – **დრო + ქმედება** – ის ქვაკუთხედი, რომელიც *დროსა და მოძრაობის (= ქმედების) უნივერსალურ კატეგორიებს გრამატიკულ კატეგორიებად გარდაქმნის*.

შესაბამისად, დროის უნივერსალური და გრამატიკული კატეგორიები განსხვავებულ ფენომენებს წარმოადგენს და განსხვავებული სტრუქტურაციით ხასიათდება. მართლაც, უნივერსალური დრო, რომელიც სამ მოდიფიკაციაში (აწმყო, ნაწმყო, მყოფადი) არსებობს, მოქმედებისგან სრულიად დამოუკიდებელია, მაშინ, როდესაც, ქმედება ყოველთვის დროსთან არის შეწყვილებული და როგორც

აწმყო, ნამყო ან მყოფადი, სწორედ უნივერსალური დროს თვალსაზრისით განიხილება. ამიტომ, ფორმულაში – **დრო + ქმედება**, პირველი *დომინანტური* კომპონენტია, ხოლო მეორე კი *დამოკიდებული* წევრი. მოქმედების მეორადობა იმითაც მქლავდება, რომ მისთვის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც გრამატიკული კატეგორიების სახელითაა ცნობილი (გვარი, კონტაქტი, ასპექტი და სხვ.), ხელს ვერ უშლის უნივერსალური დროს გრამატიკული დროს მეშვეობით გამოხატვას. სხვაგვარად, მოქმედების განსხვავებული ბუნების მიუხედავად, იგი ყოველთვის ერთ-ერთი დროს – აწმყო, ნამყო, მყოფადი – კუთვნილებას წარმოადგენს.

ნათქვამიდან გამომდინარე, გრამატიკული დრო ორი კომპონენტის – უნივერსალური დროისა და მოქმედების ურთიერთდამოკიდებულების ასახვაა. აღწერილი რელაცია (მიმართება) სხვადასხვა ხალხისთვის შესაძლოა განსხვავებული იყოს, რაც ამა თუ იმ ერის კულტურული განვითარების შედეგად ყალიბდება. შემდგომი მსჯელობის მკაფიოებისა და სიმარტივისთვის გთავაზობთ უნივერსალური დროს წრიულ დიაგრამას სამი დროითი სეგმენტით (სურ. 1):

უნივერსალური დროს სამსეგმენტოანი სივრცე



სურ. 1

უნივერსალური დროსგან განსხვავებით, გრამატიკული დროები ენობრივი სისტემების მიკრო-სტრუქტურებია, რომლებსაც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გამოხატვის (წარმოების) საშუალებები გააჩნია. ბუნებრივია, რომ გრამატიკული დროების მიკრო-სისტემების შესაქმნელად, განსხვავებული ენები ენობრივი არსენალის განსხვავებულ ელემენტებს იყენებენ, რაც უნივერსალურ დროსა და მოქმედებას შორის არსებული კავშირების განსხვავებულ აღქმა-გადმოცემას განაპირობებს. შესაბამისად, ნებისმიერი ენის დროთა სისტემა განსხვავებული ბუნების მქონე ორ უნივერსალურ კატეგორიას – კოსმიურსა და ადამიანურს – აერთიანებს, რომელთაგან ერთი ადამიანთა კოლექტივისგან დამოუკიდებლად არსებობს, მეორე კი ერის კოლექტიურ გონშია გატარებული და სპეციფიკურ ურთიერთობათა ფორმულებში ჩამოყალიბებულიც. ამ ფორმულებში ასახული ურთიერთობები ყოველი კონკრეტული ერის ეროვნულ და/ან კულტურულ ცნობიერებას აირეკლავს. შეიძლება აპრიორი ვივარაუდოთ, რომ ზოგი ენის დროთა სისტემა რეალურად არსებულ ურთიერთობას (დრო + ქმედება) დაემთხვევა, ზოგისა კი არა. ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან დრო-ქმედებას შორის არსებული კავშირები კოლექტივის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგად მიღებული გამოცდილების განზოგადებული **ფსიქო-ლინგვისტური** ყალიბია, რომელზეც გრამატიკული დროს სისტემები აღმოცენდა.

აღნიშნული ფსიქო-ლინგვისტური ფორმულის დანახვა იოლი არ არის; იგი ენის სისტემის სიღრმეებში ძვეს და იქიდან არეგულირებს ენის ათვისებასა და სწორ მეტყველებას. **დრო + ქმედების** ფსიქო-ლინგვისტური მოდელის არსებობა, განსაკუთრებით უცხო, ჩვენს შემთხვევაში, ინგლისური ენის ათვისებისას ხდება საცნაური, როდესაც ორი განსხვავებული ენის დროთა სისტემა ერთმანეთს „ეჯახება“. იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ „ეჯახების“ ინტენსივობა, ანუ უცხო ენის ათვისებისას არსებული სირთულეები, დიდად იქნება განპირობებული მშობლიური და სამიზნე ენების ფსიქო-ლინგვისტურ ფორმულებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებებით.

ქვევით გთავაზობთ ქართული და ინგლისური ენების აწმყო დროს შეპირისპირებით ანალიზს, აღწერილი ფსიქო-ლინგვისტური მოდელის გამოყენებით.

ინგლისური ენის აწმყო დრო

ინგლისურ ენაში გრამატიკულ დროთა ოთხ ჯგუფს განასხვავებენ: განუსაზღვრელი (Indefinite), გაგრძელებითი (Continuous), სრული (Perfect) და სრული გაგრძელებითი (Perfect Continuous). თითოეულ ჯგუფში უნივერსალური დროის სამი ასპექტი გამოიყოფა: აწმყო, ნამყო და მყოფადი, რის გამოც,

ინგლისურ ენაში ოთხი აწმყო: აწმყო განუსაზღვრელი, აწმყო გაგრძელებითი, აწმყო სრული და აწმყო სრული გაგრძელებითი.*

აწმყო განუსაზღვრელი დრო ძველი ინგლისური ენის აწმყოდან მომდინარეობს. როგორც ადრე, ისე ახლაც, აწმყო განუსაზღვრელს მოქმედების გადმოცემა სამივე უნივერსალურ დროში ძალუძს – აწმყოში, მყოფადსა და ნამყოში.

აწმყო განუსაზღვრელი დროს ძირითადი ფუნქცია განმეორებადი და მუდმივი მოქმედების გადმოცემაა (Gordon, Krylova 1974: 12). განმეორებადი მოქმედება ტერმინატიულ,[†] ხოლო მუდმივი – დურატიულ[‡] ზმნებთან გვხვდება; მაგ. He usually calls me in the morning (იგი ჩვეულებრივ, დილაობით მირეკავს; განმეორებადი მოქმედება), He teaches maths at Tbilisi University (იგი თბილისის უნივერსიტეტში ასწავლის მათემატიკას; მუდმივი მოქმედება).

განმეორებადობა და მუდმივობა კონკრეტული მოქმედებების აბსტრაგირებული ფუნქციებია, რაც აწმყო განუსაზღვრელის ძირითად სფეროდ ზოგადი მოქმედების სემანტიკას დასაზღვრავს.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში აწმყო განუსაზღვრელის გამოყენება გარკვეულ ლინგვისტურ და ექსტრა-ლინგვისტურ პირობებზეა დამოკიდებული. ასეთია, მაგალითად, აწმყო გაგრძელებითი დროს განუსაზღვრელით ჩანაცვლება, რაც სამჯერ ხდება, მომავალი დროს ჩანაცვლება, რაც ორჯერ ხდება და წარსულის ჩანაცვლება, რაც ისტორიული, ანუ დრამატული აწმყოს შემთხვევაში გამოიყენება (Gordon, Krylova 1974: 12-28).

შესაბამისად, აწმყო განუსაზღვრელის გამოყენების შემთხვევები ორ – ძირითად და მეორად – ფუნქციად უნდა განვიხილოთ. ძირითადი განმეორებადი და მუდმივი, ანუ განზოგადებული მოქმედების გადმოცემაა, მაშინ, როდესაც, ყველა სხვა შემთხვევა გარკვეული გარემოებით არის განპირობებული: ზმნის სემანტიკით, წინადადების სტრუქტურით, მოლაპარაკის ინტენციით, სტილისტური მიზნით და სხვ. ამიტომ, თუ აწმყო განუსაზღვრელ დროს დრო + ქმედება ფორმულის კრილში განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე ახლოს დგას უნივერსალურ, აბსტრაქტულ აწმყოსთან, რის გამოც, ასეთივე განზოგადებული მოქმედება შეეფარდება. მეტიც, თვით ის ფაქტი, რომ აწმყო განუსაზღვრელს წარსულისა და მომავლის მოქმედებების გადმოცემაც ძალუძს, უნივერსალური აწმყოს ფლაქტუაციურ ბუნებას ირეკლავს – იყოს წარსულსა და მომავალს შორის გარდამავალი, ბუნდოვანი საზღვრების მქონე საფეხური. გრამატიკის დონეზე, აღწერილი კავშირები აწმყო განუსაზღვრელის შინაგან ბუნებასა და აწმყოს სხვა დამოუკიდებელ დროებთან (მომავალი განუსაზღვრელი, წარსული განუსაზღვრელი, აწმყო გაგრძელებითი) არსებულ კავშირებში გამოიხატება. ფსიქო-ლინგვისტური ფორმულის დრო + ქმედება თვალსაზრისით, აწმყო განუსაზღვრელის ორივე წევრი (დრო და ქმედება) ფორმულის წევრებთან 1 = 1 შესაბამისობაში შეიძლება ჩაითვალოს.

აწმყო გაგრძელებითი დროს სამი ფუნქციიდან – გამოხატოს მოქმედება საუბრის მომენტში, აწმყოს პერიოდში და ქვემდებარის დასახასიათებლად – ძირითადად პირველი, ხოლო მეორადად მეორე და მესამე ფუნქციები უნდა მივიჩნიოთ. პირველის დამახასიათებელი თვისება პროცესულობის, ანუ კონკრეტული მოქმედების აღნიშვნაა; მაგალითად, The children are plying in the park = ბავშვები პარკში თამაშობენ. Mother is speaking on the phone = დედა ტელეფონით საუბრობს და ა.შ.

მეორე და მესამე შემთხვევა, თავისი არსით, აწმყო განუსაზღვრელს უტოლდება, ვინაიდან, ფაქტობრივად, განმეორებით მოქმედებას გადმოსცემს. თვითონ განსაჯეთ: წინადადებაში She is writing her second book (იგი თავის მეორე წიგნს წერს) მოქმედება, არსებითად, განმეორებითია, ვინაიდან მსგავს წინადადებებში ქმედება საუბრისას კი არ ხდება, არამედ აწმყოს ყოველ განსაზღვრულ პერიოდში მეორდება. მეტიც, აწმყო გაგრძელებითი მხოლოდ იმიტომ კი არ არის გამოყენებული, რომ აწმყოს პერიოდი იგულისხმება, არამედ უფრო იმიტომ, რომ წიგნია წერის პროცესში, პროცესს კი გაგრძელებითი დროები გადმოსცემენ.

არსებითად, მესამე შემთხვევაც განმეორებით მოქმედებას გამოხატავს, თუმცა მეორე ფუნქციისგან განსხვავებით, იგი მნიშვნელოვან სტილისტურ დატვირთვას ატარებს და, როგორც წესი, უარყოფითს; მაგალითად, He is constantly grumbling = იგი სულ ბუზღუნებს და ა.შ. ამ და მსგავს შემთხვევებში დროს გაგება უკანა პლანზე გადადის; უმნიშვნელო ხდება მოქმედების განმეორებადობაც, რაც აწმყო განუსაზღვრელის ფუნქციაა; მნიშვნელობას ის მუდმივი უარყოფითი გრძნობა იძენს, რაც ამა თუ იმ მოქმედებას ახლავს თან. შესაბამისად, გაგრძელებითი დროს ფორმით ხაზი ესმება მოსაუბრის გრძნობით დამოკიდებულებას და არა თვით ქმედებას. აღსანიშნავია, რომ ძველ ინგლისურში გაგრძელებითი

* ასპექტის საკამათო გრამატიკული კატეგორია (Khaimovich, Rogovskaya 1967: 135-36) ნაშრომში არ განიხილება.


† ტერმინატიულია ზმნა, თუ მისი სემანტიკა მოქმედების დასრულებას შეიცავს.

‡ დურატიულია ზმნა, თუ მისი სემანტიკა მოქმედების გრძლიობას შეიცავს.

დროების ფორმულა *beon* + Participle II სწორედ პიროვნებისა თუ საგნის დასახასიათებლად გამოიყენებოდა (Rastorguyeva 1983: 271). ამრიგად, აწმყო გაგრძელებითის სამივე გამოყენება პროცესის გადმოცემაზეა ორიენტირებული – იქნება ეს თვით მოქმედება, როგორც პირველ და მეორე შემთხვევაში თუ მოსაუბრის გრძნობითი მხარე. თუ აწმყო განუსაზღვრელსა და აწმყო გაგრძელებითის ერთმანეთს ფსიქო-ლინგვისტური მოდელის კუთხით შევუდარებთ, მათ შორის განსხვავება მხოლოდ მეორე კომპონენტის მოქმედების რაგვარობაში იქნება. პირველში მოქმედება განზოგადებულია, მეორეში კი მიმდინარე და მაშასადამე, კონკრეტული, რაც თვით დროის დასახელებიდანაც ჩანს:

ცხრილი 1

განუსაზღვრელი და გაგრძელებითი აწმყოს ფსიქო-ლინგვისტური მოდელის სტრუქტურა




დავასკვნით, აწმყო განუსაზღვრელისა და აწმყო გაგრძელებითის შეპირისპირებისას, დრო ერთი და იგივეა, ფორმულის მეორე წევრი კი – მოქმედების მანერა – არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ მოდელის დომინანტიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აწმყო გაგრძელებითისთვის ფორმულის **დრო + ქმედება** წევრების პოზიცია საპირისპირო მიმდევრობით უნდა შეიცვალოს, ე.ი. **ქმედება + დრო**.

აწმყო სრული მეტად თავისებური დროა, ვინაიდან უნივერსალური აწმყოს ბუნდოვანი საზღვრები წარსულთან მიმართებაში ამ გრამატიკულ დროში „ოფიციალურად“ ჰპოვებს ასახვას. რამდენი სახეობაც არ უნდა გამოვყოთ (Gordon, Krylova 1974: 19-26), აწმყო სრული წარსულისა და აწმყოს დაკავშირებას ემსახურება. ეს უკანასკნელი ორი წევრის ერთობლიობას ეყრდნობა: ა) წარსული + აწმყო; ბ) მოქმედება + შედეგი. ცხადია, რომ ინგლისურ ენაში უნივერსალური აწმყოს კავშირი წარსულთან დროის ისეთი გრამატიკული კატეგორიის სახით ფორმდება, რომელიც მოქმედებას *შედეგის* კუთხით აკონკრეტებს; მაგალითად: *I have spoken to him and he still refuses to see you* = მე მას ვესაუბრე, მაგრამ მაინც უარს აცხადებს შენს ნახვაზე. *I have known him since childhood* = მე მას ბავშვობიდან ვიცნობ და სხვ. თუ აწმყო განუსაზღვრელსა და აწმყო სრულს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, მათ შორის განსხვავება დროში კი არ იქნება (დრო ორივე შემთხვევაში აწმყოა), არამედ კვლავ მოქმედების მანერაში, რომლისთვისაც შედეგობრიობა წამყვანი თვისებაა. ეს უკანასკნელი კი სრული ფორმების თავდაპირველ ფუნქციას წარმოადგენდა (Rastorguyeva 1983: 270). გამოდის, რომ გაგრძელებითის მსგავსად, აწმყო სრულისთვის წამყვანი კომპონენტი მოქმედების მანერაა და არა დრო, რის გამოც ფორმულა **დრო + ქმედება** კვლავ **ქმედება + დრო**-ით შეიცვლება:

ცხრილი 2

განუსაზღვრელი, გაგრძელებითი და სრული აწმყოს ფსიქო-ლინგვისტური მოდელის სტრუქტურა




ინგლისური ენის აწმყო დროთა სისტემის ორიენტაცია მოქმედების კონკრეტიკაზე (ზოგადი – პროცესი, ზოგადი – შედეგი) კიდევ უფრო ნათლად სრული გაგრძელებითი და კერძოდ, აწმყო სრული გაგრძელებითი დროს არსებობაში მჟღავნდება. ლოგიკურად, ეს დრო სრულიად ზედმეტი წარმონაქმნია, ვინაიდან, ერთი მხრივ, გვაქვს გაგრძელებითი და, მეორე მხრივ, სრული დროებიც, რომელთა მეშვეობითაც ნებისმიერი პროცესი + შედეგის კომბინირება იქნებოდა შესაძლებელი. ამის დასტურს, გარკვეულ შემთხვევებში, აწმყო სრულისა და აწმყო სრული გაგრძელებითის ურთიერთჩანაცვლებაც ადასტურებს. თვითონ განსაჯეთ: *I have been staying* here nearly a week = *I have stayed* here nearly a week = უკვე თითქმის ერთი კვირაა, რაც აქ ვარ. *You have been making* excuses for him all your life = *You have made* excuses for him all your life = შენ მის გამართლებას მთელი შენი სიცოცხლე ცდილობ.

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოქმედება ცოტა ხნის წინ მიმდინარეობდა (ე.წ. აწმყო სრული გაგრძელებითი II; Gordon, Krylova 1974: 27), აწმყო სრული გაგრძელებითის გამოყენება უფრო ზედმიწევნით აღწერს მოქმედების ბუნებას. წინადადებაში *What have you been doing?* = რას აკეთებდი? აქცენტი მოქმედების პროცესზე არის ორიენტირებული და შედეგზეც. სხვაგვარად, სრული გაგრძელებითი დროების წარმოქმნა მოქმედების მაქსიმალურად ზუსტი დახასიათების (ქვეცნობიერი?) სწრაფვით არის განპირობებული. ინგლისური ენის განვითარება აჩვენებს, რომ როგორც კი გამოიყოფა მოქმედების ახალი ასპექტი, იძებნება მისი გამოხატვის სპეციალური საშუალებაც, – იქმნება ახალი დრო, რასაც ადასტურებს გრამატიკული დროების (გაგრძელებითი, სრული, სრული გაგრძელებითი) გენეზისი თავისუფალი შესიტყვებებიდან (Rastorgueyva 1983: 267-74).

ამიტომ დავასკვნით, რომ ინგლისური ენის დროთა რთული სისტემა ენის შინაგანი ტენდენციის გამომჟღავნებაა, კონკრეტიზაციისა და დეტალიზაციისკენ სწრაფვა, რაც ენის ფსიქო-ლინგვისტური ფორმულაშიც დრო + ქმედება აისახა:

ცხრილი 3


განუსაზღვრელი, გაგრძელებითი, სრული და სრული გაგრძელებითი აწმყოს ფსიქო-ლინგვისტური მოდელის სტრუქტურა



შესაბამისად, ინგლისური ენის აწმყო დროების ძირითადი დამახასიათებელი თვისება მოქმედების რავგარობაშია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დროის მომენტს განსხვავებულად მიემართება. სქემატურად ეს ურთიერთმიმართება შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:


ცხრილი 4

ინგლისური აწმყოს დროთა მოქმედებისა და დროს მიმართება



ცხრილიდან ნათლად იკვეთება, რომ ინგლისური ენისთვის ძირითადი და დომინანტი ერთეული მოქმედების მანერაა, დრო მასზე დაქვემდებარებული წევრი. დროსა და მოქმედების აღწერილი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ფსიქო-ლინგვისტურმა ფორმულამაც უნდა ასახოს, რისთვისაც მისი წევრები ისე უნდა გადავადგილოთ, როგორც გაგრძელებითი და სრული დროების შემთხვევაში მოვიქცეთ. ამიტომ, **დრო + ქმედება** ინგლისური ენისთვის გვამღევს გამოსახულებას **ქმედება + დრო**. მოქმედების უპირატესობა დროზე იმითაც გამოიხატება, რომ ყოველი განსხვავებული მოქმედებისთვის (განმეორება, გრძლიობა, დასრულება) ენას მისი წარმოების განსხვავებული საშუალებები აქვს, რომელთაგან ქმედება სტაბილური კომპონენტია, დრო კი არა.

თუ ინგლისური ენის აწმყო დროს ყველა შემთხვევას უნივერსალური დროს სქემაში ჩავწერთ, აწმყოს სივრცე ოთხ სეგმენტად დაიყოფა, რითაც კვლავ გაესმის ხაზი იმ ფაქტს, რომ ინგლისური ენა *სიზუსტეზე, დეტალურობასა და კონკრეტიკაზე* ორიენტირებული სისტემაა. უნივერსალური და გრამატიკული აწმყო ინგლისურში



სურ. 2


ინგლისური ენის აწმყო დროს განხილვა ნათელს ჰყენს მის რთულ, სეგმენტირებულ, მაგრამ, ამავე დროს, ლოგიკურად სტრუქტურირებულ სისტემას, სადაც ყოველი სეგმენტი მოქმედების მაქსიმალური დახასიათება-კონკრეტიზაციისკენ მიისწრაფვის. მოყვანილ მსჯელობას, დიაგრამებსა და ცხრილებს ინგლისური ენის დროთა სისტემის სწავლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათი მეშვეობით ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ფსიქო-ლინგვისტური მოდელის გამოაშკარავება ხორციელდება. შედეგად, ინგლისური ენის დროთა სისტემა იძენს გამჭვირვალობასა და ლოგიკურობას, ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელი ხდება.

ქართული ზმნა

ზოგადი. „გრამატიკაში დრო ეწოდება ისეთ ფორმას ზმნისას, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უზნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან“ (შანიძე 1980: 198). მკვლევრის მიხედვით, დრო მხოლოდ სამი შეიძლება იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი, ხოლო იმ ენების შემთხვევაში, რომლებსაც ერთზე მეტი აწმყო, წარსული ან მომავალი აქვთ, ავტორის შეხედულებით, მაინც რომელიმე დროს (ეხლანდელს, წარსულს ან მომავალს) მიეკუთვნება (იქვე გვ. 199). ქართულში დროთა ფორმების კლასიფიკაცია განსხვავებულადაც ხდება. მაგალითად, ს. ხუნდაძე დროებს კილოების მიხედვით გამოყოფს: 5 დრო თხრობითში, 5 კავშირებითში და 1 პირობითში (ხუნდაძე 1904: 58-59). არნ. ჩიქობავა განასხვავებდა 1 აწმყოს, 1 მყოფადსა და 4 ნამყოს (ჩიქობავა 1953: 274).

დროთა დაჯგუფების მოყვანილი მაგალითები ნათლად აჩვენებს, რომ ქართულში გრამატიკული დროს საფუძველში არსებული ფსიქო-ლინგვისტური ფორმულა **დრო + ქმედება** პირველი წევრის – დროის პრიორიტეტით გაიგება, ე.ი. *ჯერ დრო* (აწმყო, ნამყო, მყოფადი), *შემდეგ მოქმედება*. როგორც ცნობილია, ქართულში უღლების ფორმები დროსა და კილოს კატეგორიებს ეყრდნობა, თუმცა, ხშირად, სხვა კატეგორიებიც არის ხოლმე მათთან შეწყვილებული (შანიძე 1980: 215). წინამდებარე კვლევისთვის ანალიზის საგანს მხოლოდ აწმყო, ანუ თხრობითი კილოს ერთი დრო წარმოადგენს: ვწერ, ვაშენებ, ვთარგმნი, ვკითხულობ და ა.შ. ქართული აწმყო სამ ფუნქციას ითავსებს: ა) ეხლანდელს: დედა საჭმელს ამზადებს; ბ) მომავალს: მომიტანე სტატია და ვთარგმნი; გ) დროს გაგება არა აქვს: „როცა საჭმელი მაქვს, ვჭამ“ (იქვე, გვ. 218), რომელსაც ჩვენ *ზოგადის* ტერმინით ვცვლით.

აწმყოს აღნიშნულ ფუნქციებს ენობრივი გამოხატვის ერთი ფორმა გააჩნია, რის გამოც, ქართული გრამატიკული აწმყო ერთი მთლიანი სიდიდეა. ეს არაორაზროვნად მიუთითებს იმაზე, რომ ფსიქო-ლინგვისტური ფორმულის თვალსაზრისით, ქართული გრამატიკული და უნივერსალური აწმყო ტოლფასი სიდიდეებია. იგივეს ადასტურებს ქართველი მკვლევრების შეხედულებებიც. შესაბამისად, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ფორმულაში **დრო + ქმედება** ქართულისთვის მთავარი დრო, ხოლო მასზე დამოკიდებული კომპონენტი მოქმედებაა:



ნათელია, რომ ქართული აწმყოს გრამატიკული დრო უნივერსალური დროისა და მოქმედების რეალურად არსებული ურთიერთობების ასახვაზე დამყარებული, რაც ენაში აბსტრაქციისკენ მიმართულ ტენდენციაზე მეტყველებს:

ცხრილი 6

ქართული აწმყოს ფსიქო-ლინგვისტური მოდელის სტრუქტურა



ქართულისთვის მოქმედების რაგვარობა მეორეხარისხოვანია, ვინაიდან იგი **დროს** ადეკვატური არეკვლისკენ ისწრაფვის. ამიტომ, ისევე, როგორც სამყაროში, ქართულშიც ერთი აწმყო დრო გვაქვს, რომელსაც ინგლისური 4 ძირითად და 10 მეორად ნაკვეთად „ჭრის“, რათა მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს მოქმედების მანერა. ა. შანიძე ბრძანებს: „ქართულში გვაქვს ასეთი ფორმები: ვწერდი, ვწერე, მიწერია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე ფუნქციით. მაგრამ ვამბობთ: დ რ ო ი ს თვალსაზრისით ესენი ყველა ერთიაო“ (შანიძე 1980: 202).

ინგლისური და ქართული აწმყოს შეპირისპირებითი ანალიზი

ინგლისური და ქართული ენების აწმყო დროს დახასიათების შემდეგ, ერთმანეთს შევუპირისპიროთ როგორც მათი რაოდენობრივი და ფუნქციური, ისე ფსიქო-ლინგვისტური (**დრო + ქმედება**) ასპექტები. ინგლისურ და ქართულ აწმყო დროებს შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავება აშკარაა – ინგლისურში ოთხი აწმყოა, ქართულში კი – ერთი, რაც მათ შორის არსებული თვისებრივი განსხვავების საფუძველია. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მათ შორის არსებულ მსგავსებებსაც, რომლებიც ინგლისური და ქართული ენების მასალის შეპირისპირებითი შესწავლის შემდეგ შემდეგნაირად გამოიყურება: ინგლისური ენის ოთხივე აწმყოს მიერ გადმოცემულ 13 ფუნქციას ქართულში სამი დრო გადმოსცემს: აწმყო, ნამყო და მყოფადი.* აქედან, ქართული აწმყო ინგლისურის 11, ხოლო მყოფადი და ნამყო – თითო-თითო მნიშვნელობას გვთავაზობს. ქართული მყოფადი სტრუქტურულად განპირობებულ ინგლისურ მყოფადს შეესაბამება; მაგ. *She won't go to bed until you come* = მანამ არ დაწვება, სანამ არ მოხვალ“. ნათელია, რომ ქართულში მოქმედებასა და დროს შორის არსებული ფორმალური და სემანტიკური ურთიერთობები დაცულია, ინგლისურში კი – არა. ინგლისურში მომავალი დრო ფორმალურად აწმყო დროთი არის ჩანაცვლებული.

იგივე ითქმის ქართულ ნამყოზეც, რომელიც აწმყო სრული დროს გადმოსაცემად გამოიყენება. ასეთი შესაბამისობის (აწმყო სრული = ნამყო) ძირები ძველ ინგლისურამდეც კი აღწევს, სადაც წარსული და სრული დროები სინონიმებად გამოიყენებოდა (Rastorguyeva 1983: 270). აწმყო სრული *I have asked him to dinner several times* ქართულად ნამყო დროით ითარგმნება: „სადილზე რამდენჯერმე დავპატიჟე“.

* ტერმინები „აწმყო“, „ნამყო“ და „მყოფადი“ მწკრივის აღსანიშნად, ხოლო „ეხლანდელი“, „მომავალი“ და „წარსული“ ქვეფუნქციების აღსანიშნად გამოიყენება.


დანარჩენი სამი ინგლისური აწმყო (განუსაზღვრელი, გაგრძელებითი, სრული გაგრძელებითი) ქართული აწმყოს მნიშვნელობებით გადმოიცემა. მათ შორის, აწმყო განუსაზღვრელის შვიდი ფუნქცია (განმეორებადი, მუდმივი ქმედება; მოქმედებათა ჯაჭვი; სემანტიკის გამო; პროცესი უმნიშვნელოა; სპეციფიკური კითხვები; პროგრამები განრიგები; ისტორიული წარსული), აწმყო გაგრძელებითის სამი (პროცესი; ქვემდებარის დახასიათება; დაგეგმილი ქმედება) და აწმყო სრული გაგრძელებითის ერთი ფუნქცია (პროცესი + შედეგი).*

საინტერესოა, რომ ძველ ინგლისურში გაგრძელებითი და განუსაზღვრელი დროები სინონიმებად იყო მიჩნეული (Rastorguyeva 1983: 272). ეს იმდენად არის მნიშვნელოვანი, რომ დღევანდელი ქართული დროები – აწმყო თუ ნამყო – ძველ ინგლისურში არსებული გაგრძელებითი და სრული დროების ანალოგიურად ფუნქციონირებენ. პარალელურად, ქართული აწმყოს სამი მნიშვნელობიდან ერთი – მომავალი – ინგლისური მომავალი განუსაზღვრელი დროთი გადმოიცემა. მეტიც, ისეთი წინადადებები, როგორიცაა „როცა საჭმელი მაქვს, ვჭამ“ (ა. შანიძის ტერმინოლოგიით „დროის გაგება არა აქვს“), ინგლისური პირობითი წინადადების ნულოვან ფორმას გამოხატავს (Gordon, Krylova 1974: 121).

ნათქვამი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

ცხრილი 8

დრო + ქმედება აწმყოში



ნათელია, რომ ქართული აწმყო ინგლისური ენის სამ განსხვავებულ აწმყოს (განუსაზღვრელი, გაგრძელებითი, სრული გაგრძელებითი) ფარავს.* ამიტომ, ქართული გრამატიკული აწმყოს ცნება უპირატესობას უნივერსალური დროს გადმოიცემას ანიჭებს, მაშინ, როდესაც ინგლისურში ეს ფუნქცია მოქმედების სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი.

ინგლისურ და ქართულ აწმყო დროებს შორის არსებული სირთულეები მხოლოდ განსხვავებული აწმყოს კატეგორიებით კი არ დაისაზღვრება, არამედ იმითაც, რომ ერთი ქართული გრამატიკული დრო

* *აწმყო განუსაზღვრელი*: My dog *barks* an awful lot = ჩემი ძაღლი ძალიან ბევრს ყეფს (ზოგადი მოქმედება); The phone *rings*. She *picks* it up and *listens* quietly = ტელეფონი რეკავს. იგი ყურმილს იღებს და მშვიდად უსმენს (მოქმედებათა ჯაჭვი); I quite understand what you *mean* = კარგად მესმის, რას გულისხმობ. კარგად მესმის, რას გულისხმობ (სემანტიკური შეზღუდვა); I refuse to listen to you. You *talk* such nonsense = მე შენ არ გისმენ, შენ ისეთ სისულელეს ლაპარაკობ (პროცესის უმნიშვნელობა); What *do* we *do* next? = შემდეგ რას ვაკეთებთ? (სპეციფიკური კითხვები); The game *starts* at 18:00 = თამაში 18:00 საათზე იწყება (პროგრამები განრიგები) და ა.შ.

აწმყო გაგრძელებითი: Are you *using* your calculator? = იყენებ შენს კალკულატორს? (პროცესი); He *is* constantly *smoking* = იგი სულ სიგარეტს ეწევა (ქვემდებარის დახასიათება); I *am meeting* Peter tonight = ამაღამ პეტრეს ვხვდები (დაგეგმილი ქმედება).

აწმყო სრული გაგრძელებითი: I *have been watering* my flowers since morning = ყვავილებს დილიდან ვრწყავ (პროცესი + შედეგი).

* სქემაში წყვეტილი ხაზი მიმართებების იოლი აღქმისთვის არის გამოყენებული.

(აწმყო) ინგლისური აწმყო 11 ფუნქციას შეესაბამება. ამგვარი ვითარება შეცდომების წარმოქმნის უშირო წყაროა, რომლის ეფექტური დაძლევისთვის ფსიქო-ლინგვისტური მოდელის შეტრიალებაა საჭირო.

ფსიქო-ლინგვისტურ ფორმულასთან მიმართებაში, ინგლისური და ქართული ენების დროსა და მოქმედების ზემომოყვანილი დიაგრამები მკაფიოდ გამოკვეთს ინგლისურისა და ქართული ენების პრიორიტეტებს. პირველი, რთული და კონკრეტიზაციისკენ მიმართული ტენდენციით ხასიათდება, მეორე – სიმარტივითა და აბსტრაქციით. მათ შორის ურთიერთობა განისაზღვრება ფორმულით $1 = n$ (მრავალი). ინგლისურში გრამატიკული დროის არჩევას მოქმედების მანერა განაპირობებს, ქართულში კი – დრო. აქედან გამომდინარე, ფსიქო-ლინგვისტურ ფორმულაში **დრო + ქმედება**, ქართველისთვის დრო წამყვანია და მოქმედება მასზე დამოკიდებული, ინგლისელისთვის კი პირიქით, მოქმედება წამყვანია, დრო კი მასზე დაქვემდებარებული წევრი. შესაბამისად, ქართულ გრამატიკულ აწმყოში შენარჩუნებულია უნივერსალური აწმყო გაგება, ინგლისურში კი – არა. საინტერესოა, რომ ძველ ინგლისურში მხოლოდ ერთი აწმყო არსებობდა. დანარჩენები საშუალო ინგლისურის პერიოდში (მე-11–მე-15 სს.) ჩამოყალიბდნენ. სხვაგვარად, ძველ ინგლისურში უნივერსალურ და გრამატიკულ დროებს შორის დამოკიდებულება ქართულის იდენტური იყო (დრო + ქმედება), თუმცა ენის განვითარების პროცესში ინგლისურმა მისთვის დამახასიათებელი დროს ფსიქო-ლინგვისტური მოდელი დაკარგა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დროთა გრამატიკულ კატეგორიად ჩამოყალიბების ზოგადი პრინციპი. არნ. ჩიქობავა ამბობს „დროის კატეგორია ზმნას იმთავითვე არ მოეპოვებოდა: ზმნის უღლილება მიუთითებდა არა იმაზე, თუ როდის მიმდინარეობს მოქმედება, არამედ იმაზე, თუ რა სახისა იყო ეს მოქმედება, როგორ წარმოებდა იგი: ე რ თ ბ ა შ ა დ თუ გ ა ნ გ რ ძ ბ ი თ, ე რ თ ხ ე ლ ჰქონდა ადგილი მას თუ მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს განმეორდა...“ (ჩიქობავა 1953: 275; ავტორის ხაზგასმა). თუ ქართულისა და ინგლისური ენების დროთა სისტემებს დროის კატეგორიის განვითარების კუთხით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ქართულში დროთა კონკრეტიკის ეტაპი გავლილი საფეხურია და დროების გრამატიკალიზაცია უნივერსალური დროის, ანუ აბსტრაგირების ხაზით წარმართა. ინგლისურში პროცესი შეზღუდულია. ძველ ინგლისურში ორი დროს (აწმყო, წარსული) არსებობა ნათლად მიუთითებს არსებული აბსტრაქციის დონეზე, მაშინ, როდესაც ენის განვითარებამ გრამატიკული დროების ჩამოყალიბება კონკრეტიზაციის კუთხით წაიყვანა, რამაც **დრო + ქმედების** თანმიმდევრობა ინგლისურში კარდინალურად შეცვალა. შედეგად, ინგლისურსა და ქართულ ენებში დროსა და ქმედებას შორის არსებული ურთიერთობის ხედვა საპირისპირო პრინციპებს დაემორჩილა; ამას ცალკეული დროების დანაწევრება და ოთხჯგუფიანი სისტემის ჩამოყალიბება მოჰყვა, რომელიც ქართველი სტუდენტებისთვის ძნელად გასაგები და შესაბამისად, შეცდომების „უშრეტი“ წყარო შეიქნა.

ამიტომ, ქართულ აუდიტორიაში ინგლისური ენის დროთა სისტემის სწავლებისას მასწავლებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ფსიქო-ლინგვისტური მოდელის (დრო + ქმედება) თავისებურებანი როგორც მშობლიურ, ისე სამიზნე ენაში; შედარების შედეგად გამოვლენილი განსხვავების საფუძველზე ზუსტად განსაზღვროს ასახსნელი მასალის რთული უბნები და მის ათვისებაში მოსალოდნელი სირთულეები. მეტიც, მასწავლებელს საშუალება ეძლევა წინასწარ შეარჩიოს ახსნის საუკეთესო სტრატეგია და გაგება-გამოყენებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები.

ბიბლიოგრაფია

1. შანიძე ა., 1980. *თხზულებანი თორმეტ ტომად, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, ტომი 3, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
2. ხუნდაძე ს., 1904. *ქართული გრამატიკა, ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა*, ქუთაისი.
3. ჩიქობავა არნ., 1953. *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი.
4. Gordon E. M., Krylova I. P., 1974. *A grammar of present-day English*, Higher School Publishing House, Moscow.
5. Khaimovich B. S., Rogovskaya B.I., 1987. *A course in English grammar*, Visshaia Shkola, Moscow.
6. Rastorguyeva T. A., 1983. *A History of English*, Vysshaia shkola, Moscow.

Anna Meskhi
Gori State Teaching University
TOWARDS CONTRASTIVE STUDY OF ENGLISH AND GEORGIAN TENSE SYSTEMS
(PRESENT TENSE)
RESUME

The central piece of the paper is the contrastive analysis of English and Georgian present tense systems. The method employed in the study required the inclusion of the concept of universal time which coupled with action builds a culturally approved psycho-linguistic formula of Time + Action. Time is a stable, independent, and therefore, a dominant member of the formula, while action is movable, changeable, and therefore, a dependent constituent of the pattern. The model lies at the foundation of grammatical tenses and determines a general tendency of tense formation. The latter is manifested in different preferences attached to its members by different languages. Georgian with its single present tense preserves the dominance of Time over Action and complies with the general Time + Action formula. Conversely, English, which distinguishes between four present tenses (Simple, Continuous, Perfect, Perfect Continuous) favors an opposite sequence of Action + Time. The shift demonstrates a tendency towards more concretization and accentuation of the manner of action in English. Consequently, the Georgian psycho-linguistic pattern of Time + Action is characterized by more abstractedness generality, while English tends towards more concreteness and segmentation. Opposite Time + Action and Action + Time patterns of Georgian and English present tenses are an inexhaustible source of mistake production for Georgian students of English. To remedy the situation and make EFL teaching more effective in a classroom of Georgian adult learners, teachers should sensitize their students to the major psycho-linguistic Time + Action and Action + Time mechanisms of the two languages, explain and thoroughly discuss their differences and similarities, and provide a number of diverse practical exercises.

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი და ქართული აფორისტული ნააზრევები

ქართული აფორისტული ნააზრევის შეკრება-გამომზეურება და გარკვეულ სისტემაში მოყვანა მჭიდროდ უკავშირდება იაკობ გოგებაშვილის სახელს.

დიდ პედაგოგს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ერის სულიერი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ბრძნული მეტყველება - აფორისტული ნააზრევი. ლაკონურად გამოთქმული აზრი საუკუნიდან საუკუნეს გასდევს და ერს აზროვნების უნარს უვითარებს, ღრმად აფიქრებს ცხოვრების ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე.

იაკობი გრძნობდა ბრძნული ნააზრევის მნიშვნელობას და ამიტომაც დიდი გულისყურით შეჰქონდა იგი თავის სახელმძღვანელოებში. „მე წინად მეგონა, რომ ანდაზები არ იზიდავდნენ ბავშვების გონებასა, რომ ბავშვი უფრო მათ, როგორც უფრო სერიოზულს ნაწილს ხალხის ფანტაზიის ნაწარმოებისას, მაგრამ როცა ბავშვთა ცხოვრებას დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ექვსი-შვიდი წლის ბავშვები ერთმანეთთან ბაასში, თამაშობაში, საუბარში თითქმის ისევე ხშირად ხმარობდნენ ხალხურ ანდაზებს, როგორც დიდები“. (1)

დიდი მამულიშვილის მოღვაწეობის ეს ჯერ კიდევ შეუსწავლელი სფერო კიდევ უფრო ამდიდრებს მის დამსახურებას მშობელი ერის წინაშე.

შეიძლება ითქვას, რომ იაკობმა, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოღვაწეთა შორის, დიდი ყურადღება დაუთმო როგორც ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ბრძნული გამონათქვამების, ისე ცალკეულ მწერალთა აფორისტული ნააზრევის შესწავლას. მან მიზნად დაისახა საზოგადოებისათვის ახლობელი გაეხადა ხალხური თუ ამა თუ იმ მწერლის ბრძნული გამონათქვამები, რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აფორისტულ ნააზრევს ყოველთვის განსაკუთრებული გავლენა შეუძლია იქონიოს საზოგადოებაზე.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მდიდარია აფორისტული ნააზრევით, მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევხებოდეთ, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ უყურებს საკუთრივ ანდაზას იაკობ გოგებაშვილი და ხედავს თუ არა ზღვარსა და განსხვავებას ანდაზასა და სხვა სახის ბრძნულ გამონათქვამებს შორის.

ჩვენში თუ საზღვარგარეთ გამოცემული ლექსიკონებისა თუ სპეციალური ცნობარების მიხედვით აფორიზმის მნიშვნელობა ძალზედ უახლოვდება ანდაზის არსს, მაგრამ მკვლევარები თანხმდებიან, რომ ანდაზას აფორიზმისაგან განასხვავებს ალეგორიულობა. (2)

როგორ ესმის ეს სახეობრივი კლასიფიკაცია იაკობ გოგებაშვილს? დიდი პედაგოგი ყველა სახის ბრძნულ გამონათქვამს „ანდაზას“ უწოდებს. ამიტომაც, რომ თავის „დედა-ენაში“ მას ანდაზებად შეაქვს როგორც საკუთრივ ანდაზები, ასევე შოთა რუსთაველისა და სხვა მწერალთა აფორიზმებიც. „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობისას იაკობი წერს: „მალე მოიფინა ქება რუსთაველისა და იმისი „ვეფხისტყაოსნისა“. საუბრისა და ბაასის დროს, დასამტკიცებლად თავისი აზრისა, ქართველებმა იწყეს მოყვანა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებისა სწორედ ისე, როგორც საღმრთო აზრების შესამოწმებლად დაბადებიდან მოჰყავდათ ტექსტები. ამის გამო ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ ანდაზად გადაიქცა“. (3)

ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი ყველა სახის ბრძნულ გამონათქვამს ასევე უწოდებდნენ ანდაზას.

ილიასთვის ანდაზაა როგორც ხალხური, ისე რუსთაველის, გურამიშვილისა და სხვათა ბრძნული გამონათქვამები. „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“, „ქილილა და დამანას“, და „დავითიანის“ ბრძნულ გამონათქვამებს ილიამ საერთო სათაური „საანდაზო ლექსები“ მოუძებნა.

ი. ჭავჭავაძისათვის, ი. გოგებაშვილის მსგავსად, ანდაზად აღიქმება „ვეფხისტყაოსნის“ ყველა სახის ბრძნული გამონათქვამი: „ვეფხისტყაოსანი... იმისთანა წიგნია, რომელიც გვასწავლის, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ეს ამისთანა ანდაზა ვერაფერი ჭაშნიკია ცრუ მეტყველისათვის“. (6)

ციტირებულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იაკობ გოგებაშვილმა, ილიას მსგავსად, ყველა სახის ბრძნულ გამონათქვამს მოუძებნა ერთი საერთო სახელი – ანდაზა.

მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა ზღვარი აფორიზმსა და ანდაზას შორის, არჩია ბრძნულ გამონათქვამთა გაერთიანება ანდაზის ცნებაში. ამით თავიდანვე განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება საზოგადოდ ბრძნული ნააზრევის მიმართ. იგი არ ეძებდა იმ განმასხვავებელ ნიშნებს, რაც ბრძნულ გამონათქვამთა შორის არსებობს. მან გააიოლა ბრძნულ გამონათქვამებთან მიმართების საკითხი და ყველა ასეთი გამონათქვამი ერთ ცნობილ ცნებაში მოაქცია.

აფორიზმს, ბრძნულ შეგონებას, იაკობი ზოგჯერ „სწავლასაც“ უწოდებს. სწორედ ამ სათაურით შეუტანია მას თავის „დედა ენაში“ დ. გურამიშვილის ცნობილი აფორიზმი: „ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების... სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

ტერმინი „სწავლა“ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ბრძნული გამონათქვამის სინონიმადაც მოიაზრება, ეს ტერმინი აფორიზმის მნიშვნელობითაცაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“. ამავე დროს, იგი მოძღვრება-დარიგების (შეგონების) გაგებასაც იძლევა. „მოახსენა ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს, გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

დიდ პედაგოგს ბრძნულ გამონათქვამთა ბეჭდვა-პოპულარიზაცია აუცილებელ და საშურ საქმედ მიაჩნდა. ამიტომაც მან ამ სახის გამონათქვამებს „დედა-ენის“ ფურცლებიდან გზა გაუხსნა ნორჩების გულებისაკენ. ამით დიდმა პედაგოგმა ნიადაგი მოამზადა აფორისტული მეტყველების ნიმუშების გავრცელებისათვის თავისი დროის საქართველოში.

„ივერიის“ ფურცლებიდან ილია სიამოვნებით ეხმიანებოდა და ახალისებდა მათ, ვინც რაიმეს აკეთებდა საზოგადოებაში აფორისტული მეტყველების პოპულარიზაციისათვის. ამის დასტურად გამოდგება „ივერიაში“ გამოქვეყნებული ცნობა: „კონფექტების და ხმელი ხილის მაღაზიის პატრონს ბ-ნ. იუზუაშვილს მეტად კარგი აზრი მოსვლია, რომ თავის კონფექტები გაუხვევია ისეთ ქალაქზე, რომელზედაც დაბეჭდილია სხვადასხვა ლექსები „ვეფხისტყაოსანისა“. ქართველი საზოგადოება ძალიან თურმე ყიდულობს ამ კონფექტებს და დიდის სიამოვნებით კითხულობს კონფექტის ქალაქებზე დაბეჭდილ რუსთაველის სხვადასხვა საანდაზო ლექსებსა“. (5)

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ყველა ეს ცდა მხოლოდ გარკვეულ ცდად რჩებოდა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ მაგალითთან, რომელიც დიდმა პედაგოგმა დატვირთა ბრძნული ნააზრევით.

„დედა-ენის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში დიდი პედაგოგი წერდა: „სასაუბროებს მოსდევნ ანდაზები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მათთანა. თითქმის ყველა ანდაზას აქვს ორი ჰაზრი: პირდაპირი და ზნეობითი. ზოგი ერთა ანდაზებისა ორივე ჰაზრი გასაგებია ბავშვებისათვის, ზოგისა კი მარტო პირდაპირი და ზნეობითი მნიშვნელობა კი მიუწვდომელია მათთვის. უკანასკნელ შემთხვევაში ზნეობით ჰაზრს სრულიადაც არ უნდა შეეხო მასწავლებელი.“ (6)

როგორც ირკვევა, „დედა-ენაში“ ანდაზების ჩართვას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. ამ საკითხებთან დაკავშირებით პრესაში გაჩნდა კრიტიკული წერილები (მხედველობაში გვაქვს „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილები), რის გამოც იაკობ გოგებაშვილი წერს: „დედა-ენის პირველი სამი გამოცემა ანდაზებს ამორებული იყო და მთელი ანბანი შესდგებოდა მხოლოდ უბრალო ფრაზებისაგან. მეოთხედ გამოცემის დროს კი ანბანის უკანასკნელ ნაწილში, როცა ბავშვს უკვე შესწავლილი აქვს ორი წილი ასოები, ჩვენ მოვაცქიეთ ზოგიერთა ქართული ანდაზა, უფრო ადვილი საკითხავად და გასაგებად. ჩვენ ეს ცვლილება მოვახდინეთ შემდეგი მოსაზრებით: ანდაზები არიან ხალხისაგან მოგონილი თავისი ბავშვობის, სიყმაწვილის დროსა, როდესაც შეჰქმნა მან ზღაპრები, არაკები, ლექსები, გამოცანები, ლეგენდები და სხვა ნაწარმოებნი თავისი ბუნებრივი ფანტაზიისა, გონებისა, როგორც ნაყოფი სიყმაწვილისა. ყველა ეს ნაწარმოები ჩინებულს მასალას წარმოადგენს ბავშვისათვის“. (7)

იაკობი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ანდაზებს როგორც პედაგოგიური, ისე გრამატიკული თვალსაზრისით „დედაენაში“ განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრებოდა. იგი წერდა: „ანდაზებს ზედგამოჭრილ და ძვირფას მასალად ჰხდის სწორედ ანბანისათვის ორი გარემოება, ჯერ ერთი ესა, რომ იგინი არიან გამოთქმულნი მშვენიერი უნაკლულო ხალხური ენით და როგორც ლექსიკონით, ისე სინტაქსით სამაგალითო საკითხავს წარმოადგენენ. მეორედ, ყველა ანდაზა შესდგება ერთი ან ორი წინადადებისაგან, რომლის წაკითხვა ბავშვს ისევე ეადვილება, როგორც უბრალო ფრაზისა. მაგრამ არა! უფრო მეტად ეადვილება, რადგანაც ბავშვს ანდაზა ბევრჯერ გაუგონია და ნახევრობით მაინც ნაცნობია მისი.“ (8)

უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, იაკობ გოგებაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა ანდაზის შინაგანი სტრუქტურა და მნიშვნელობა ენის განვითარებისათვის: „ფრიად მარტივნი ფორმით, ანდაზები მდიდარნი არიან შინაარსით და უდრიან მთელს მოთხრობებსა, იგავ-არაკებსა, ლაკონიზმი, რომელიც ასეთ პატივშია ყველა ხალხში და რუსთაველის ანდერძი: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, სავსებით არის განხორციელებული მათში. ანდაზა ერთსა და იმავე დროს იპყრობს ღირსებას მარჯვე ფრაზისას, კარგის მოთხრობისას და შინაარსიანი ლექსისას.“ (9)

იაკობ გოგებაშვილი ღრმად უკვირდებოდა რუსული სახელმძღვანელოების აგების პრინციპს, იქ განთავსებულ მასალას, სადაც ანდაზებს გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი.

ახალციხელ პედაგოგთან გამართულ პოლემიკაში იაკობი იშველიებს სწორედ ამ სახელმძღვანელოებს და წერს: „მივხედოთ სხვა ქვეყნის პედაგოგებს და ვნახოთ, რა აზრისანი არიან ისინი. უშინსკის „როდნოე სლოვო“-ს ანბანი თითქმის ერთი ორად პატარაა „დედა-ენის“ ანბანზე, მაგრამ იქაც კი მოიპოვება ანდაზები. ბუნაკოვის ანბანი, ძლიერ გავრცელებული რუსეთში, ბლომად შეიცავს ანდაზებსა. ახალი ანბანი პაულსონისა, რომელიც გამოვიდა ამ ორი წლის წინად, აგრეთვე აჭრელებულია ანდაზებითა. პავლენკოვის ახალი ანბანები – აბაზიანი და შაურიანი – რომელთაც ისე დიდი გასავალი აქვთ, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში თოთხმეტჯერ დაიბეჭდნენ, სულ სავსენი არიან ანდაზებითა. მთელი მეორე ნაწილი ამ ანბანისა უჭირავთ მხოლოდ რუსულს ანდაზებს და მათ შორის არცერთი უბრალო ფრაზა არ მოიპოვება. ამ ანდაზებში ურევია ბევრი რთული და ძნელი ანდაზა... ერთის სიტყვით, რამდენიც დრო გადის, იმდენს უფრო მეტს ალაგს იჭერენ ანდაზები რუსულს ანბანში და ჩვენ კი გვირჩევენ გვერდი ავუქციოთ მათ და დავადგეთ იმ გზას, რომელიც დავტოვეთ თხუთმეტის წლის წინად, და რომელსაც მხოლოდ ახლა სტოვებენ რუსის პედაგოგები“. (10)

შესაძლებელია დაბეჯითებით ითქვას, რომ ისევე როგორც ცოტა მოგვიანებით ილიას „ივერიაში“ ხალხის მასებში ფართოდ შეიტანა ქართული და უცხოური ბრძნული ნააზრევნი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის, იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედა-ენაში“ თავი მოუყარა არაერთ ბრძნულ გამონათქვამს, რათა ისევ ხალხისათვის დაებრუნებინა, როგორც აღზრდისა და ზნეობრივი ამაღლების საშუალება: „წიგნში ორგან-სამგან ჩართულნი არიან ანდაზები. მათი ჰაზრის ახსნა და მიხვედრება ყმაწვილებისა ძნელი არ არის მასწავლებლისათვის. იგინი ზეპირად უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა, რადგანაც ერთი მხრით ნამდვილი ცოცხალი ქართული ენა ამ ანდაზებში არის დარჩენილი, მეორე მხრით მათში არის გამოხატული ჩვენი ხალხის ჭკუა-გონება“. (11)

ანდაზების შეტანით „დედა-ენაში“ იაკობი მიუთითებდა ჩვენი ენის უმდიდრეს შესაძლებლობებზე. დიდ პედაგოგს სურდა, სწორედ ანდაზების საშუალებითაც ეგრძნოთ ნორჩებს ხალხის სიბრძნე და თავისი ენის მომხიბვლელობა. უფრო მეტიც, იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ბავშვებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ბრძნული გამონათქვამები, არამედ სენტენციური მოთხრობებიც.

როგორც ირკვევა, დიდი პედაგოგის ამ გადაწყვეტილებასაც არ შეხვდა ქართველი საზოგადოება ერთსულოვნად. მომხრეებთან ერთად იყვნენ მოწინააღმდეგეებიც. იაკობი იძულებული გახდა დროდადრო მიბრუნებოდა ამ საკითხებს და თავისი კომპეტენტური აზრი გამოეთქვა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი წერილი „უმცერების ამაყობა“, რომელშიც იაკობი წერს: „სენტენციური მოთხრობანი მხოლოდ მაშინ არიან მავნებელნი, როდესაც მათით მთელი წიგნია გავსებული, როგორც მაგალითად მაქსიმოვიჩისა და პაულოსონისა და როდესაც სენტენცია მიკონკილია ძალად მოგონილს შემთხვევაზედ, ძნელად შესაძლო ფაქტზე. თუ წიგნში რამოდენიმე სენტენციური მოთხრობაა მოქცეული და ეს მოთხრობანი მარჯვედ არიან შედგენილნი და ინტერესით სავსენი, მაშინ ამგვარი მოთხრობანი ნაკლულევანებად კი არ ითვლებიან, წიგნის ღირსებას შეადგენენ“. (12)

სენტენცია აფორისტული მეტყველების თითქმის ყველაზე გავრცელებული სახეობაა.

სენტენციებით მდიდარია ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ტერმინი „სენტენციური მოთხრობები“ პირველად იაკობ გოგებაშვილის ნააზრევში გვხვდება. დიდმა პედაგოგმა კარგად განჭვრიტა სიბრძნის დიდი აღმზრდელობითი მისია და რამდენიმე მისთვის მნიშვნელოვან აფორიზმზე ააგო, ან მათ მიუსადაგა პატარა მოთხრობები, რომელთაც აღმზრდელობითი და ზნეობრივ-მორალური ფუნქცია დააკისრა.

ასეთი მოთხრობების რიცხვი „დედა ენაში“ სულ ოცია. მათგან, როგორც იაკობი შენიშნავს, თორმეტიოდე მის კალამს ეკუთვნის.

პირველი ასეთი ნაწარმოები „დედაენაში“ არის „რწყილი და ჭიანჭველა“, რომელსაც ბოლოში მიწერილი აქვს ანდაზა: „ძმა მმისთვინა, ამ დღისთვინა“. ამ სახის მოთხრობებში იაკობი არცთუ იშვიათად ცვლიდა ანდაზას და მას ამა თუ იმ ტექსტს უსადაგებდა. ასე მოექცა იგი ზემოთ ციტირებულ ანდაზასაც. იაკობმა ცნობილი ხალხური სიბრძნე „ძმა მმისთვინაო, შავი დღისთვინაო“ ტექსტის შინაარს შეუსაბამა და ნაცვალსახელის შემოტანით მოზარდის ყურადღება კონკრეტულ ამბავზე გადაიტანა.

მეორე სენტენციური მოთხრობის სათაურია „ქოთანი და ქვაბი“, რომელიც საინტერესო სენტენციით მთავრდება: „ქოთანს ქვაბის ამხანაგობა არ გამოადგება“.

მოთხრობა „უშილო კაცი და ქვაბი“ მთავრდება ანდაზებით: „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“.

ცნობილ ანდაზაზე „ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო“ - არის აგებული მოთხრობა: „ბებერი და ქათამი“. სენტენციურ მოთხრობებში ასევე გამოყენებულია ანდაზები: „მომრევის მომრევი არ დაილევს“ („ორი ყვინჩილა“); „უჭკუო ადამიანს ცოტა გაუკვირდებაო“ („ბატი“); „ნუ დასცინი სხვასო, გადაგხდება თავსაო“ („გვრიტი და მტრედი“); „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდებაო“ („მწყერი და ღამურა“); „ავი ძალდი არც თვითონ სჭამს და არც სხვას აჭმევსო“ („ძალდი და ძროხა“); „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“ („მელია და წერო“); „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“ („კატა და ყურმენი“); „ძალა აღმართს ხნავს“ („ლომი, ვირი და მელია“); „ღვინო არსად იყო, ეშმაკები კი ტიკებს ალბობდნენო“ („ღარიბი გლეხი“); „პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულია“ („ყვავი და მელია“); „მეგობრის მოღალატე ეშმაკის კერძიაო“ („ორი მეგობარი და დათვი“); „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ ნახირო“ („არწივი და ყვავი“); „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ („ყვავი და ქოთანი“); „სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო“ („ბერი და დათვი“).

მოთხრობას „უსუნო ყვავილი“ იაკობმა დაურთო აფორიზმი „შავი თეთრთან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. დიდი პედაგოგი წერდა: „მოთხრობა ... შეიცავს ჯერ აღწერას საინტერესო შემთხვევისას და მერმე საღს სენტენციას, რომელიც პირ-და-პირ გამოდის შემთხვევიდან და რომელსაც შეუძლიან კეთილ ნაყოფიერი კვალი დასტოვოს ბავშვის გონებაში და მის ზნეობის დაუზიანებლობას დაეხმაროს“. (13) ეს პატარა მოთხრობა ბევრი რამითაა საინტერესო სწორედ პედაგოგიური თვალსაზრისით, მაგრამ კიდევ უფრო მეტ ღირებულებას მატებს ანდაზა, რომელიც მას ერთვის და ზუსტად გამოხატავს მის მიზანდასახულობას.

იაკობი, ამ შემთხვევაში, იძლევა საკუთარ რედაქციას გავრცელებული ანდაზისა „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. ვფიქრობთ, ამით მან განსაზღვრა ტექსტის პედაგოგიური ფუნქცია და ანდაზაც მის შესაბამისად შეცვალა, რადგან მოთხრობა ყვავილს ეხება, ხოლო ყვავილისთვის უპირველესი ნიშანი მისი ფერი და სუნია.

იგივე ფუნქცია დააკისრა იაკობმა მოთხრობას „მეფე და მისი ვაჟები“, რომლის შესახებაც იგი წერდა: „ძველთაგან ძველი მოთხრობა მეფე და იმისი ოც-და-ათი ვაჟი სენტენციურია, მაგრამ ერთს

საუკეთესო საკითხავად ითვლება ბავშვებისათვის, რადგანაც საღი სენტენცია საინტერესო შემთხვევიდან თავისთავადაც ისკვნება“. (14)

მნიშვნელოვანი ადგილი „დედაენაში“ ეთმობა თემებად დალაგებულ ანდაზებს (ბრძნულ გამონათქვამებს). იაკობი ანბანის შემდეგ პირველ საკითხავ წიგნს ფაქტობრივად იწყებს პატარა პატარა ამბებით თუ ლექსებით, რომლებიც სწავლას, სიბეჯითეს და სიზარმაცეს ეძღვნება („ზარმაცი და ბეჯითი“, „მოსიყვარულე ამხანაგი“, „ურიგო ამხანაგი“, „პატარა ქალის ნატვრა“, „სწავლაზედ ზარმაცი, ჭამაზედ მამაცი“, „ყაყაჩო და ყმაწვილი“, „ბავშვის სათვალეები“, „ბეჯითობა“, „ორი მზრუნველი ძმა“, „მოწვევა სწავლაზედ“). ამას წინ უძღვის დ. გურამიშვილის ორი ბრძნული გამონათქვამი, შემდეგ შეტანილია სასაუბრო სასწავლო ნივთების შესახებ, რაც მთავრდება, შეგონებით: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილის „დედაენა“ ოცდაოთხი რიგისაგან შედგება. აქედან ოცდასამი რიგი მთავრდება ანდაზებით, მას მოსდევს გამოცანები, სწრაფი გამონათქვამები.

თითქმის ყველა შემთხვევაში ანდაზებში შეტანილია ცნობილი ხალხური ბრძნული გამონათქვამები, მაგრამ ზოგჯერ იაკობს შეაქვს კლასიკური ნიმუშებიც, ასე მაგალითად, როდესაც მეორე რიგის შემდეგ შემოტანილია ანდაზები: „სურა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს“, „კოკა წყალზედ გატყდება, ხარი ქირაზედ მოკვდება“, იქვე იაკობს მოაქვს რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „კოკასა შიგანა რაცა დგას, იგივე წარმოდინდება“ (ყველგან დაცულია გოგებაშვილის სტილი), ისევე როგორც მეცხრამეტე რიგში თავისი ვარიანტით შეაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ასევე ცნობილი აფორიზმი „გველს სოროდან ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“.

ყველა ამ ბრძნული გამონათქვამის „დედა ენაში“ შეტანის მიზანი ნათელია. ისინი მოზარდის სულსა და გულში აყალიბებენ გარკვეულ ზნეობრივ მრწამსს.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, თუ როგორ იყენებდა დიდი პედაგოგი თავის ნაწარმოებში ამა თუ იმ ხალხურ თუ კლასიკურ გამონათქვამს და რა დატვირთვას აძლევდა მათ.

ანდაზების ერთი ნაწილი იაკობს გამოაქვს პუბლიცისტური წერილის ეპიგრაფად, რითაც თავიდანვე განსაზღვრავს სათქმელს და წერილის სულისკვეთებას. ასე მაგალითად, სტატიაში „უცნაური თავის გამართლება“ იაკობი ეპიგრაფად იყენებს ცნობილ ანდაზას „არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა“, რასაც კვლავ უბრუნდება წერილის ტექსტშიც: „დიაღ უცნაურს პროექტს ბ-ნის ივანე როსტომაშვილისას უფრო კიდე უცნაური გამართლება მოჰყვა, მაგრამ აქაც ცხადად გამართლდა ქართული ანდაზა „არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა““. (15)

ზოგჯერ იაკობი აგრძელებს ეპიგრაფში გამოტანილი ანდაზის აზრს. რეცენზიაში „სამეგრელოს საერო სკოლები“ ლუარსაბ ლოლუასი, გამოცემა სოსიკო მერკვილაძისა“ იაკობი ეპიგრაფად იყენებს ანდაზას: „ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასი კია“ და წერილს იწყებს შემდეგნაირად: „ეს ძველი ანდაზა სწორედ ზედგამოჭრილია ამ წიგნაკზე“. (16)

იაკობს განსაკუთრებით მოსწონს ხალხური ანდაზა „ჯერ ფონს იკითხვენ, მერე წყალში შევლენ“, რომელსაც სხვადასხვა დროს იყენებს ეპიგრაფად წერილებისა „ჯეჯილის ადვოკატს“ და „ერთი ბოროტი არაკის გამო“, ასევე ეპიგრაფად დიდ პედაგოგს გამოყენებული აქვს ანდაზები: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხე“ („ქართველთა ერის მოდგმის გაუმჯობესებაზე“), „ცრუს სიცრუის კარამდე სდიეო“, („ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის პედაგოგისა“).

იაკობი ერთგან რამდენადმე ცვლის ანდაზას „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშალაო“ და ასეთი ფორმით წარმოგიდგენს: „ერთი ალილუია ჩინებულ დეკანოზსაც შეცდებაო“ („ქართული დეფექტი“).

იაკობ გოგებაშვილი პუბლიცისტურ ნაწერებში თავისი თვალსაზრისის განსამტკიცებლად საკმაოდ ხშირად იყენებს ამა თუ იმ ანდაზას თუ კლასიკურ გამონათქვამს. უმრავლეს შემთხვევაში იგი ხაზგასმით აღნიშნავს ანდაზის სადაურობას და ხასიათს. ქართული ანდაზის გამოყენების შემთხვევაში ის პირდაპირ მიუთითებს: „ან ქართული ანდაზისა არ იყოს, „კვიცი გაეხედნა და მამიდაც ენახა“ (17), „მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „თუ კაცს არ უნდა, ქვას რიყეზედაც არ დაინახავსო.“ (18)

ამასთანავე არსებობს მარჯვე ანდაზები: „სამწუხაროდ ამ შემთხვევაში ჩვენზედ უკუღმა აღსრულდა ერთი მარჯვე ანდაზა და ჯერ-ჯერობით სპილოს რწყილი ვამოხინეთ“. (19) ასევე არსებობს „ბრძნული თქმულებები“ და „ძველი თქმულებები“. „ცუდია ის ჯარისკაცობა, რომელსაც არა აქვს იმედი გახდეს გენერლად, ამბობს ერთი ბრძნული თქმულება“. (20)

ქართული ანდაზების გარდა იაკობ გოგებაშვილი კარგად იცნობს რუსულ ბრძნულ ნააზრევს, ასევე იცნობს ის უცხოელ მწერალთა ბრძნულ გამონათქვამებს.

და მაინც, იაკობისათვის განსაკუთრებული მოვლენაა შოთა რუსთაველის ბრძნული ნააზრევი. იაკობი, ილიას, აკაკისა და ვაჟას მსგავსად, კარგად გრძნობდა რუსთაველის აფორისტული ნააზრევის უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ერის სულიერი ჩამოყალიბების საქმეში და ამიტომაც იყენებდა მათ თავის პუბლიცისტურ თუ სხვა სახის ნაწერებში. „დედაენაში“ იაკობი განსაკუთრებით გამოკვეთს აფორიზმებს: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია“, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, „სჯოხს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

იაკობს განსაკუთრებით მოსწონს ეს აფორიზმი და მას რამდენჯერმე იმეორებს: „თავად-აზნაურობა კი იმდენად რაცხდა თავის თავს თავისუფალს ამ ნაკლოვანებისაგან და იმდენად იმედი ჰქონდა თავისი პიროვნებითი ღირსებისა, რომ ვგონებთ თვითონვე გამოსთქვა ანდაზა: „თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“. როგორც ვხედავთ, აქ იაკობი ცვლის ზმნას „ვარგა“ ზმნით „არის“.

უნდა ითქვას, რომ ეს აფორიზმიც იმთავითვე იქცა აზრთა სხვადასხვაობის საგნად. იგი 1846 წელს გამოაქვეყნა დავით ჩუბინაშვილმა და ხალხური პოეზიის ნიმუშად მიიჩნია. 1860 წელს კი ეს ლექსი მან ეპიგრაფად წარუმძღვარა თავის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“.

აღნიშნულ აფორიზმს შოთა რუსთაველს ა კუთვნებდნენ: ნიკო მარი, ალ. ხახანაშვილი, ა. წერეთელი, მ. ჯანაშვილი, შემდგომ კი - ი. მეგრელიძე, ლ. მეტრეველი, ხოლო ი. გრიშაშვილსა და ალ. ბარამიძეს მიაჩნდათ, რომ ეს აფორიზმი ფოლკლორული წარმოშობისაა.

ციტირებულ აფორიზმს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა მკვლევარმა შერმადინ ონიანმა, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა, რომ აფორიზმი უნდა მივაკუთვნოთ შოთა რუსთაველს.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ჩანს, ტექსტზე დაკვირვებისა და მის ხელთ არსებული ლიტერატურის მეშვეობით მივიდა შესაბამის დასკვნამდე. იგი ერთგან წერს: „შოთა კი თავის ერთს განსაკუთრებულს პატარა ლექსში პიროვან ღირსებას ყველაფერზე მაღლა აყენებს და არაფრად აგდებს გვარიშვილობას“. (21)

ამის შემდეგ იაკობს მოაქვს ციტატა: „ათასად გვარი დაფასდა...“ ვფიქრობთ, ეს მომენტიც კარგად მეტყველებს გოგებაშვილის მეცნიერულ ალღოსა და განჭვრეტის უნარზე.

იაკობი დიდად აფასებდა მამათა თაობის ლიდერის გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას და მისი ბრძნული გამონათქვამები მოჰქონდა თავის ნაწერებში.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ იაკობ გოგებაშვილი, ილიასთან და აკაკისთან ერთად, გვევლინება როგორც ქართული აფორისტული მეტყველების მკვლევარი, რომელმაც დიდი გულისყურითა და მეცნიერული პასუხისმგებლობით შეისწავლა ქართული აფორისტული მეტყველების ნიმუშები, შემდგომ კი „დედა ენის“ ფურცლებიდან მათ გზა გაუკვლია ნორჩი მკითხველებისაკენ.

ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, IV, თბ., 1990, გვ. 465
2. ჟურნ. „მნათობი“, 1958, №5, გვ. 165-166
3. ი. გოგებაშვილი, „საგანძური“, თბ., 1983, გვ. 319-320
4. ი. ჭავჭავაძე, თსკ, VIII, თბ., 1957, გვ. 132
5. გაზ. „ივერია“, 1887, №79.
6. დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, გამოცემა პირველი, სურათებით, თბ., მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში, 1876, გვ. IV
7. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, IV, დასახ. გამოცემა, გვ. 465
8. იქვე, გვ. 466
9. იქვე, გვ. 467
10. იქვე
11. იქვე, გვ. 73
12. იქვე, გვ. 203-204
13. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, დასახ. გამოცემა, IV, გვ. 203
14. იქვე, გვ. 204
15. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, დასახ. გამოცემა, II, თბ., 1990, გვ. 118
16. იქვე, გვ. 486
17. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, დასახ. გამოცემა, I, თბ., 1989, გვ. 100

18. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, დასახ. გამოცემა, II, თბ., 1990, გვ. 30
19. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, დასახ. გამოცემა, I, გვ. 312
20. იქვე, გვ. 307
21. ი. გოგებაშვილი, საგანძური, დასახ. გამოცემა, გვ. 320

Murad Mtvarelidze
Gori State Teaching University
IAKOB GOGEBASHVILI AND GEORGIA APHORISTIC SAYINGS
RESUME

The research and revelation of aphoristic thinking is closely related to I. Gogebashvili in Georgia. He paid great attention to folk wisdom as well as the individual writers' aphoristic thoughts.

Like Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli, I. Gogebashvili doesn't classify wise sayings. He combines all kinds of wise sayings under the headline of "proverb".

Gogebashvili believed that these wise expressions should find the way to young generation, that's why along with proverbs themselves his "Deda ena" („Mother tongue") abounds with Georgian writers' aphorisms and wise sayings along with proverbs themselves.

Georgian writers' wise expressions make important part in I. Gogebashvili's scientific, literary and publicistic letters. Especially, he frequently used the aphorisms and sentential from Shota Rustaveli's "The knight in Panther's skin" („Vepkhistaosani"), as well as wise expressions of Gr. Orbeliani, Davit Guramishvili and Ilia Chavchavadze, and he reveals exceptional respects to Gospel's wisdom.

Actually, I. Gogebashvili was the first to introduce the genre of sentential stories in Georgian literature. In his "Deda ena" he included folk stories of this kind and specially created such compositions himself, in order to provide younger generation with spiritual sources values, and assist in better understanding of life.

So, Iakob Gogebashvili is a kind of promoter, editor and collector of aphoristic thinking who understood the importance of such expressions for development of Georgian society.

ნოდარ მირაზანაშვილი
 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ესთეტიკური აღზრდის ადგილი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის
 სისტემაში**

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს ახალი ადამიანის აღზრდას, ისეთი პიროვნების ფორმირებას, რომელიც არა მარტო შეესატყვისება მოწინავე მეცნიერებასა და ტექნიკას, არამედ თავადაც გამოდის ამ ტექნიკური პროგრესის მძლავრი „დამაჩქარებელი“.

აღზრდას ადამიანის ჩამოყალიბებაში ცენტრალური ადგილი უკავია. რა დიდიც არ უნდა იყოს სოციალური გარემოს ზეგავლენა მის განვითარებაზე, საზოგადოებას მაინც არ შეუძლია ენდოს ამ პროცესის სტიქიურ დინებას, იგი ისწრაფვის იმოქმედოს ადამიანზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაზე, უხელმძღვანელოს მის ფორმირებას, წარმართოს იგი თავისი ამოცანების შესატყვისად. ადამიანი პიროვნებად მხოლოდ საზოგადოებაში ყალიბდება. ამასთანავე, ადამიანი საზოგადოების უზრალო ნაყოფი კი არ არის, ის თავად ქმნის საზოგადოებას და მისი განვითარების ხელშემწყობი აქტიური ძალაა.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარების პრობლემა შორეულ წარსულში წარმოიშვა, მას საფუძვლად ცხოვრებისეული მოთხოვნები დაედო. პიროვნების ჩამოყალიბება და განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული საზოგადოების ორგანიზაციასთან.

პედაგოგიკის მეცნიერებაში სადღეისოდ საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, აღზრდის უზოგადესი მიზანი არის ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე ესთეტიკური აღზრდის მიზანია ამგვარი პიროვნების ფორმირების პროცესისათვის ხელის შეწყობა, შესაძლებლობის ფარგლებში მისი ორგანიზება და მართვა. აღნიშნული დებულება, ვფიქრობ, საკმაოდ არ უნდა იყოს, მაგრამ იგი აშკარად საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას ესთეტიკური აღზრდის არსის, მისი თავისებურებებისა და, საერთოდ ფუნქციონალური შინაარსის შესახებ. ამისათვის აუცილებელია აღზრდის ზოგადი პოზიციიდან დავაზუსტოდ ისეთი საკითხი, როგორიცაა ესთეტიკური აღზრდის ადგილი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის სისტემაში.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი არსებობს ადამიანის მრავალმხრივი განვითარების, პიროვნების ფორმირების საერთო კანონზომიერებათა თაობაზე. მკვლევართა აზრით თვითონ „ჰარმონიულობა“ გულისხმობს პიროვნების სხვადასხვა თვისების, წახნაგისა და მახასიათებლის ოპტიმალურ თანაფარდობას, მათ თანაარსებობას. ცხადია, ჰარმონიულობა პიროვნების ცნებასთან მიმართებაში იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ადამიანი წარმოვიდგინოთ სხვადასხვა მახასიათებლების, თავისებურებების მექანიკურ შენაერთად, მის ჯამად. დაკვირვება ადასტურებს, რომ ყოველ პიროვნებაში მახასიათებელთა რაღაც კომპლექსი მუდამ წამყვანი და ძირითადია, მაგრამ ეს თავისებურებანი ცალმხრივობის ეფექტს მაინც არ ქმნიან, რადგან თანაარსებობენ ინტელექტუალური, სულიერი და მორალური კულტურების სხვა აუცილებელ ელემენტებთან. საგულისხმოა, რომ ცნებები „მრავალმხრივი“ და „ჰარმონიული“ უთუოდ გულისხმობს ესთეტიკური ელემენტების არსებობას. ჰარმონიულობა ხომ წარმოდგენილია ზომიერების, მრავალმხრივი წესრიგიანობის, ფორმალური თუ შინაარსობრივი თანაბარზომიერების გარეშე. ეს მახასიათებელი ხომ სილამაზისა და მშვენიერების, უფრო ზუსტად, ესთეტიკურის აუცილებელი ატრიბუტია. შეუძლებელია ჰარმონიულად აღვიქვათ და ასეთად მივიჩნიოთ ნებისმიერი პიროვნება თუ მას სათანადო გონებრივ მაჩვენებელთან ერთად მაღალი სულიერი კულტურა არ აქვს. უფრო მეტი, ეს ორი მხარე პიროვნებაში წარმოდგენილი უნდა იყოს თანაბარზომიერად. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, რომელსაც სკოლა ზრდის, - აღნიშნავს ვ. სუხომლინსკი, - ეს, უპირველესად, არის გონებისა და ემოციების ერთობლიობა. რაც უფრო დიდ ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში ინტელექტი და ინტელექტუალური საქმიანობა, მით მეტად საჭირო ხდება ჰარმონიული განვითარების თვალსაზრისით გრძნობათა კულტურის მოწესრიგება. ემოციური უკულტურობა განათლებული ადამიანისათვის ისეთივე დიდი ნაკლია, როგორც ინტელექტუალური ჩამორჩენილობა. აქედან გამომდინარე სკოლამ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად სწორედ ემოციური კულტურის აღზრდის მიზანი უნდა დაისახოს. აღნიშნული ამოცანის დაძლევა, მისთვის თეორიულ-მეთოდური ბაზის შექმნა და პრაქტიკული რეალიზების გზების მოძიება არის სწორედ პედაგოგიკის მეცნიერებისა და სკოლის უშუალო მიზანი. (ვ. სუხომლინსკი, ჟურნალი „სახალხო განათლება“, მ., 1962 წ.)

პედაგოგიკასა და ესთეტიკაში ცნება „ესთეტიკური აღზრდის“ შემოტანა-დამკვიდრება დაკავშირებულია შილერის სახელთან, თავის ცნობილ ნაშრომში - „წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“. ფ. შილერი ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ინტელექტუალურ და გრძნობად სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობა ყველაზე უკეთ ხელოვნების საშუალებით შეიძლება დაიდლოს.

ხელოვნება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, ასახავს და აჩვენებს რა სამყაროს თავის მთლიანობაში, დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, ღრმა კვალს ტოვებს მის ცნობიერებაზე, გრძნობად-ემოციურ სამყაროზე. აქედან გამომდინარე, მეტად დიდია და შესამჩნევი ხელოვნების საადმზრდელო ზემოქმედების ძალა. იგი ზრდის და აყალიბებს ადამიანურ შესაძლებლობებს, გარკვეულ მიმართულებას აძლევს პიროვნული თავისებურებების ფორმირების პროცესს.

ხელოვნების ეს მაღალი დანიშნულება და საადმზრდელო ძალმოსილება კარგა ხანია შენიშნეს მოაზროვნე ადამიანებმა. ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ხელოვნების ემოციური სამყარო ადამიანზე ზემოქმედების უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავს. პლატონი არაერთგზის და ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ხელოვნებამ უნდა შექმნას პიროვნებაში ის სიმძიმე, რომელიც გადასწონის ფიზიკურ თუ სხვა სახის აქტივობის შედეგად შეძენილ თვისებებს, ამით კი ადამიანი გახდება ჰარმონიული, და, მამასადამე, უკეთესიც. ხელოვნების საშუალებით ადამიანის აღზრდა მიაჩნდა არისტოტელეს კათარზისის, ბიწიერებისაგან პიროვნების განწმენდის საუკეთესო საშუალებად. ბერძენმა ფილოსოფოსებმა მთელი რიგი ტრაქტატები შექმნეს, სადაც დაბეჯითებითაა მინიშნებული ხელოვნების, მათ შორის პოეზიის, მუსიკისა და მხატვრობის როლი ადამიანზე ზემოქმედების, საზოგადოების გაკეთილშობილებისა და უკეთესი იდეალების დამკვიდრების საქმეში.

განსაკუთრებულია ხელოვნებისადმი დამოკიდებულება აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში, როდესაც ადამიანი კვლავ მიუბრუნდა ჰარმონიულობის, სილამაზისა და მშვენიერების ანტიკურ იდეალებს. ხელოვნება აღნიშნულ ეპოქაში გახდა პიროვნების სრულქმნის, მისი ჰარმონიული განვითარების აუცილებელი პირობა. სწორედ აქედან მოკიდებული იწყება ზრუნვა გარკვეული პედაგოგიური სისტემების შექმნისათვის, რამაც თავისი გაგრძელება ჰპოვა მომდევნო საუკუნეებში და დღესაც გრძელდება.

განვლილი ისტორიული გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ, მიუხედავად ხელოვნების და საერთოდ მხატვრულ-ესთეტიკური მეთოდების გამოყენებით ადამიანის აღზრდის აუცილებლობის აღიარებისა, კაცობრიობამ ჯერჯერობით ვერ მონახა ჰარმონიული პიროვნების ფორმირების უნივერსალური გზა-საშუალებები. ამდენად ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე იგი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის რეალიზებისაკენ სწრაფვით კმაყოფილდება. ამასთან ცდილობს შეინარჩუნოს ის მუდმივი ორიენტირები, რომლებიც ყოველი ეპოქისათვის იყო და სამომავლოდაც დარჩება მისწრაფების საგნად. სწორედ ასეთთა რიგშია ისეთი პიროვნული მახასიათებელი, როგორიცაა მხატვრული გემოვნება, რომლის ფორმირებაშიც ხელოვნებას წამყვანი როლი ეკუთვნის. ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ესთეტიკური ღირებულებებისადმი ადამიანის გემოვნების მიმართების პრობლემა შედარებით სრულყოფილი სახით ყველაზე ადრე კანტთან დაისვა. თავდაპირველად იგი მიიჩნევდა, რომ გემოვნება ეს უაღრესად ინდივიდუალური გამოვლენის სფეროა, რამდენი კაციც არსებობს, გემოვნებაც იმდენია და ამიტომ ამ უსასრულო კერძო მოდიფიკაციების შესახებ მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება შეუძლებელიაო. რატომ მოსწონს ან არ მოსწონს ადამიანს ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები ამას ი. კანტის აზრით, მეცნიერება ვერასოდეს ახსნის და ამიტომ მეცნიერული შეხედულებანი გემოვნების შესახებ ვერ ჩამოყალიბდებაო. საბედნიეროდ, კანტმა მალე შეცვალა საკუთარი შეხედულება და შექმნა კიდეც ფილოსოფიურ-სისტემური თვალსაზრისი მშვენიერების შესახებ, აქ მან თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ესთეტიკის მეცნიერებამ შეიძლება მართლაც არ აგვიხსნას, თუ რატომ მოგვწონს ან არ მოგვწონს მხატვრული ქმნილება, მაგრამ იმის გაცნობიერება კი შეიძლება, თუ რა არის მშვენიერი და რა უნდა მოგვწონდეს. ამგვარი მეცნიერული თვალსაზრისი ი. კანტმა ჩამოაყალიბა „მსჯელობა უნარის კრიტიკაში“. ამავე ნაშრომში ი. კანტი საგანგებოდ მსჯელობს თავისი ცნობილი და საყვარელი აფორიზმის ირგვლივ, ესაა: „გენია უგემოვნებოდ, გემოვნება გენიის გარეშე“. კანტი მიიჩნევს, რომ „გენიოსს შეუძლია მოგვცეს მხოლოდ მდიდარი მასალა მშვენიერის ხელოვნებისათვის, მაგრამ მისი დამუშავება და ფორმა მოითხოვს სკოლის მიერ აღზრდილ ტალანტს, ხელოვნების ნაწარმოებს, რომ ესა თუ ის ფორმა მიეცეს, საჭიროა მხოლოდ გემოვნება, რომელსაც ხელოვანი, მას შემდეგ რაც გაივარჯიშა და განვითარა გემოვნება, შეუხამებს ნაწარმოებს...“ (კანტი ი, თხზ. ტ. IV, 1965) ჩვენ ცხადია არც საშუალება გვაქვს და ამის არც საჭიროება არსებობს საფუძვლიანად გავანალიზოთ გემოვნების კანტისეული რთული ფილოსოფიური კონცეფცია. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კანტის მიხედვით გემოვნება საყოველთაო ადამიანური უნარია, ფაქიზი და სრულყოფილი გემოვნება ამ უნარის განვითარების უშუალო შედეგს წარმოადგენს. თვით გენიოსმაც კი თავისი უაღრესად რაფინირებული გემოვნება სკოლიდან განსწავლა-ვარჯიშის პროცესიდან უნდა შეიძინოს.

ცნობილია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა სასკოლო „ესთეტიკური ციკლის“ საგანთა ერთერთი ძირითადი შემადგენელი დისციპლინებია. იგი დიდ როლს თამაშობს მოზარდი თაობის პიროვნულ თვისებათა ჩამოყალიბებაში და ამდენად მის სწორად სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეებს სკოლაში და სკოლის გარეთაც ხშირად უხდებათ სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან შეხვედრა. პრესა, ჟურნალები, დასურათებული წიგნები, მხატვართა შემოქმედების ამსახველი ალბომები, გამოფენები, მუზეუმები, კულტურის ცალკეული ძეგლები მოზარდებს გარკვეულ ესთეტიკურ ინფორმაციას აწოდებს და, ამავდროულად, ზემოქმედებასაც ახდენს მათ შეხედულებებზე, აღქმაზე, გემოვნებასა და, საერთოდ ესთეტიკურ დამოკიდებულებათა სისტემაზე. ხელოვნებასთან შეხვედრის ეს პროცესი, ცხადია, ორგანიზებული არ არის, რის გამოც მოზარდების მიერ მხატვრული ინფორმაციის დაგროვება ხშირად სტიქიურ ხასიათს ატარებს, რაც თავისებურ დაღს ასვამს მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური განვითარების საქმეს. მიზანდასახულად ვერ ვითარდება ხელოვნების ნაწარმოების აღქმის, მისი შეფასების უნარი, რაც თავის მხრივ, მხატვრული გემოვნების ფორმირების პროცესის შემაფერხებელი ხდება. ყოველივე ამას შედეგად ის მოსდევს, რომ მოსწავლეთათვის გაუცნობიერებელი და გაუგებარი ხდება ხელოვნების სოციალურ-ესთეტიკური ფუნქცია, ცალკეულ ნაწარმოებთა ფორმა-შინაარსის მთლიანობა, კომპოზიციისა და სტილის თავისებურებანი.

„ესთეტიკური დამოკიდებულება, - წერს ა. ბუროვი - არ შეიძლება არსებობდეს ესთეტიკური ობიექტის გარეშე. ეს უკანასკნელი არის მისი არსებობის აუცილებელი პირობა.“ (ა. ბუროვი, ესთეტიკა: პრობლემები და განსჯა, მ., 1975) იგივე შეიძლება გვეთქვას ესთეტიკური დამოკიდებულების სუბიექტზეც, რადგან ადამიანის, მისი ცნობიერების სტრუქტურების არსებობის პირობებში ესთეტიკურ

დამოკიდებულებაზე ლაპარაკიც კი არ წარმოიშობოდა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ესთეტიკური დამოკიდებულება, როგორც სინამდვილისადმი ადამიანის ემოციურ-ესთეტიკური ორიენტაციის გენერალური ფორმის ჩამოყალიბება, აუცილებლად საჭიროებს ესთეტიკური ცნობიერების განვითარებას. თავისი ხასიათით ეს უკანასკნელი რთული შინაარსობრივი სტრუქტურის მქონეა და საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი შემადგენელ ელემენტად გვევლინება.

სრულყოფილი ესთეტიკური ცნობიერების მქონე პიროვნების აღზრდა, რაც ესთეტიკური აღზრდის საბოლოო მიზანია, სკოლის კედლებში უმთავრესად ე. „ესთეტიკური ციკლის“ საგნების (მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება) სწავლების, აგრეთვე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში ხორციელდება. ორსავე შემთხვევაში საქმე ისევ და ისევ ხელოვნებასთან გვაქვს, თუმცა კლასგარეშე, უფრო მეტიც, სკოლისგარეშე მუშაობის პრაქტიკა, ბუნებასა და ცხოვრებისეული ურთიერთობის პროცესში არსებულ მშვენიერებასთან უშუალო შეხვედრასაც გულისხმობს. ამგვარი შეხვედრის უშუალო მიზანი არსებითად ემთხვევა ძირითადი სასკოლო სასწავლო დისციპლინების წინაშე დასახულ ამოცანებს, რაც იმით გამოიხატება, რომ მოზარდებს უნდა შეუძლებოდეს გარკვეული ცოდნა-წარმოდგენები სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების, ამ პროცესში ადამიანის ადგილის, მისი გარდამქმნელი მოღვაწეობის, მშვენიერების არსებობის ფორმისა და ხელოვნების განვითარების ისტორიულ კანონზომიერებათა შესახებ. ამის პარალელურად ვთვლით, რომ მოსწავლეს უნდა გამოუმუშავოთ გარკვეული ესთეტიკურ-ღირებულებათა ორიენტაცია, წაკითხულის, ნანახისა თუ მოსმენილის ირგვლივ. ამგვარი მუშაობის საბოლოო მიზანი კი იქნება, სინამდვილის მოვლენებისადმი ჭეშმარიტი ესთეტიკური მიმართების ჩამოყალიბება. ამრიგად, ხელოვნებასთან და, საზოგადოდ, მშვენიერებასთან შეხვედრით მათ უნდა განიცადონ ესთეტიკური სიამოვნება, მიიღონ გარკვეული მხატვრული განათლება, გაიფაქიზონ გრძნობადი სამყარო და დაეუფლონ სილამაზის შექმნის ოსტატობის რაღაც ელემენტებს. აქედან გამომდინარე, არსებული ტრადიციის ფარგლებში, ვფიქრობ, შეცდომა არ არის ზემოაღნიშნულ დისციპლინებში „ესთეტიკური განათლების კურსის“ ან „ესთეტიკური ციკლის საგნების“ ცნებების შენარჩუნება. (საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წ.წ.)

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხელოვნების ცალკეული დარგების განმავითარებელი და აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომაც, გავრცელებული ტენდენციის თანახმად, აღზრდილობის სასურველი დონის მისაღწევად სკოლის კედლებში მოსწავლეებს აძლევენ ცოდნას ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შესახებ იმ ვარაუდით, რომ მათ ესთეტიკურ ღირებულებათა მიმართ გარკვეული მისწრაფება გამოუმუშავდეთ. თავისთავად გზა, თითქოს, ოპტიმალური და ბუნებრივია. ამიტომ სკოლაც ერთგულად მისდევს მას, მაგრამ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებზე ელემენტარული დაკვირვებაც კი ნათელს ხდის, რომ გზის სისწორეც არსებითად არაფერს არ ნიშნავს, თუ მისი გავლის შინაარსი და მეთოდ-წესები სავსებით არ შეესატყვისება მიმართულების ხასიათს. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ სკოლის სასწავლო პროგრამით ნავარაუდევი თეორიულ-პრაქტიკული მასალის თუნდაც კარგად ცოდნაც ხშირად ესთეტიკური აღზრდილობის საყრდენად, გამოსადეგ ბაზასაც კი არ ქმნის. მეტიც, ზოგჯერ ხელოვნების სწავლების დროს დავიწყებულია ამ უკანასკნელის სპეციფიკური ბუნება. აქედან გამომდინარე, ესთეტიკურ აღზრდაში შენივთებულია პიროვნების რაციონალური, შემეცნებითი, მსოფლმხედველობრივი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საკუთრივ ესთეტიკური, გრძნობად-ემოციური მახასიათებლები. მათი თავმოყრა კი დიდადაა დამოკიდებული მოსწავლისათვის ხელოვნების სწორ მიწოდებაზე, მისი სპეციფიკის სახეობრივ-ემოციური ბუნებისა და ბავშვის ასაკობრივ თუ ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებაზე. ხელოვნების სწავლების პროცესი ლოგიკურად მხოლოდ მაშინ უკავშირდება აღზრდის ამოცანებს, როცა იგი წინ უსწრებს განვითარებას, უფრო სწორედ, ორიენტირებულია „განვითარების უახლოს ზონაზე“. როდესაც აღზრდა და განვითარება განიხილება როგორც ერთი პროცესის ორი მხარე, სადაც ბავშვი ვითარდება სწავლებისა და აღზრდის პროცესში. ტრადიციულად, პედაგოგიკა სწავლების პროცესს უმეტესწილად რაციონალურიდან, შემეცნებითი პლანის მოქმედებიდან იწყებს და ამ გზით მიისწრაფვის სააღმზრდელო ამოცანათა გადაჭრისაკენ, თუმცადა, არც თეორიულად და არც პრაქტიკულად გამორიცხული არ არის, შემეცნებითს წინ ემოციური პლანის ელემენტი უძღოდეს. შემთხვევით როდი შენიშნავდა ვ. სუხომლინსკი: „საიმედო ემოციური საფანლის გარეშე შეუძლებელია არა მარტო წარმატებით, არამედ საერთოდ ნორმალური სწავლებათ“ (ვ. სუხომლინსკი, მოქალაქის დაბადება, მ., 1971, გვ. 247, რუსული გამოცემა).

ესთეტიკური აღზრდის პრაქტიკულ სისტემაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ხელოვნების ყოველი დარგი ერთნაირ ზეგავლენას არ ახდენს მოზარდის გონებაზე. ამ მხრივ პრიორიტეტული მნიშვნელობა სკოლაში მხატვრულ ლიტერატურას ეკუთვნის. ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორც სიტყვიერი ხელოვნების ნიმუში, თავისი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი შესაძლებლობებით დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, უვითარებს მას ესთეტიკური აღქმის, შეფასებისა და

მსჯელობის უნარს. ჭეშმარიტი ესთეტიკური აღქმის მომენტი მოზარდებში მხოლოდ 12-13 წლიდან დგება. მანამდე ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი მისწრაფება, როგორც წესი, გადაფარულია მოვლენის საგნობრივ-შინაარსეული ინტერესებით. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეებზე დაკვირვების შესაძლებლობებიც.

ლიტერატურის სასკოლო კურსის სწავლების წინაშე თანამედროვე პირობებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ესთეტიკური ამოცანა დგას, კერძოდ:

1. მოსწავლეთა ფართო მხატვრულ-ესთეტიკური განათლება;
2. მხატვრული ინტერესების, მოთხოვნილებების და გემოვნების განვითარება;
3. ესთეტიკური აღქმის უნარის ფორმირება;
4. ესთეტიკური მსჯელობის უნარის განვითარება.

ცხადია, აღნიშნული პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბება ცალ-ცალკე არ მიმდინარეობს, ეს ერთი მთლიანი და უწყვეტი პროცესია.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, იძლევა იმის საფუძველს, რომ ითქვას:

მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პრობლემა უნდა წარმოდგენილი იქნეს ესთეტიკური აღზრდის მთლიან სისტემასთან მიმართებაში, რაც პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას და მისი ყველა არსებითი პარამეტრის გათვალისწინებას საჭიროებს;

ხელოვნების საშუალებით მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების ძირითად საშუალებას წარმოადგენს ხელოვნებაზე თეორიული მუშაობის სწორი ორგანიზაცია, გარკვეული მნიშვნელობა ამ პროცესისათვის აქვს პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ წამყვანი და ძირითადი მაინც ხელოვნების ნიმუშებთან თეორიული ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ესთეტიკური თვალსაწიერის გაფართოება, ცოდნის დაგროვება, ნაწარმოებთა ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარება, ემოციურ ესთეტიკური სამყაროს გამდიდრება;

მოზარდის მხატვრული გემოვნების განვითარების აუცილებელი პირობაა ხელოვნების ნიმუშებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების გაცნობიერება, ფიქსირებული განწყობის სახით, ჩამოყალიბებული შეხედულებათა სისტემების თანდათანობით შეცვლა, ცნობიერების ველში მათი შემოტანისა და მათზე სხვა ღირებულებათა გაბატონების გზით.

ლიტერატურა:

1. ვ. სუხომლინსკი, ეტიუდები აღზრდაზე, ჟურნალი „სახალხო განათლება“, მ., 1962, გვ. 42 (რუს. გამოცემა)
2. ი. კანტი, თხზ., ტ. IV, 1965, გვ. 325 (რუს. გამოცემა)
3. ა. ბუროვი, ესთეტიკა: პრობლემები და განსჯა, მ., 1975, გვ. 50 (რუს. გამოცემა)
4. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წ.წ.
5. ვ. სუხომლინსკი, მოქალაქის დაზადება, მ., 1971, გვ. 247 რუსული გამოცემა).

Nodar Mirazanashvili

Gori State Teaching University

THE PLACE OF ESTHETIC UPBRINGING IN EDUCATIONAL SYSTEM TO HARMONIOUSLY DEVELOP PERSON RESUME

Upbringing plays a central role in development of a human being. Whatever big an influence of the social environment on development of a person is, society cannot trust the spontaneous flow of this process. The goal of upbringing is to affect person, especially young generation, to lead the process of formation in compliance with its objectives.

Currently, it is well known in pedagogy that the scope of upbringing is to develop a harmonious person. Thus, the purpose of esthetic upbringing is to assist the process of formation of a person within its scope, as well as to systematize and manage it.

The specialized scientific literature gives variety of opinions on divers development of a person and general regulations on its formation. Some researchers claim that ‘harmony’ implies optimal correlation and co-existence of different traits, characteristics and other aspects of a person. Unquestionably, ‘harmony’ in case of a human being does not mean that a person can be considered as a mechanical unit, or sum, of characteristics or peculiarities.

The basic means of development of artistic taste in teenagers through the art is the correct systematization of the theoretical work, the practical work playing a certain role in it. However, the leading role is theoretical relation of a teenager with the examples of artistic works. In course of this process, esthetic vision of a teenager gets widely developed, knowledge accumulated, emotional and esthetic world enhanced through analysis and assessment of the art works.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და XIX საუკუნის ქუთაისი

ყვარელი, სხვიტორი, ჩარგალი... საქართველოს ამ უწმინდესს ადგილებს ამოსდგომია მხარში ოდესღაც პატარა სოფელი ვარიანიც. მას სახელი იაკობმა გაუთქვა – ახლა ყველა ქართველმა იცის, რომ „დედაენის“ უკვდავ ავტორს აქ დაერწა აკვანი, აქ ისმენდა მშობლიურ იავნანას, ხალხურ ლექსებსა და მომხიბლავ ზღაპრებს. აქ ყმაწვილობიდანვე ჩაენერგა უანგარო სიყვარული გამრჯე და შრომისმოყვარე, ნიჭიერი ქართველი ხალხისადმი, მისი მოზარდი თაობისადმი.

ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ ახლა 137 წლისაა, თვითონ იაკობი 173-ის იქნებოდა.... ჩვენს გულსა და ფიქრში კი ის თითქოს საქართველოსთან ერთად იშვა მარადიული და ამაყი სიცოცხლით, როგორც დედა ენა ან კარი ბუნებისა.

ი. გოგებაშვილის „დედა ენამ“ რკინის ქალამანი ჩაიცვა, მოიარა მთელი საქართველო, მისი მთა და ბარი, შეანათა ქოხშიც და სასახლეშიც. მისგან დანთებულმა ცეცხლმა გაათბო ჩვენი ქვეყანა, გასცილდა საქართველოს ფარგლებსა და ფერეიდანსა და ტაო-კლარჯეთის ქართველობასაც ეროვნული გულის სიმი შეურხია და მოეფერა.

ი. გოგებაშვილმა თავისი დიდი ქმნილებით და ხალხისადმი უანგარო სამსახურით სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართველი ხალხის იმ სახელოვან შვილთა შორის, რომელთაც თავდადებული სახალხო მოღვაწეობით უკვდავჰყეს სახელი და მარად უჭკნობი შარავანდედით შემოსეს იგი. იაკობის დევიზი იყო: „მე ყველაფერი ხალხმა მომცა და ისევ ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს“, ხალხის შვილი, „დაბადებიდან ხალხის კალთაში აღზრდილი“ იაკობი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მტკიცედ იცავს ამ დევიზს და მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტი მსახური იყო; მისი დიადი ქმნილებები დღესაც ხალხს ემსახურება, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა და მთელი მისი შემოქმედება არა მარტო წარსულს ეკუთვნის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მთელი ძალით განაგრძობს არსებობას ჩვენს თანადროულობაში, წარმატებით ემსახურება საქართველოს მოზარდი თაობის აღზრდას. სწორედ ამამია ი. გოგებაშვილის სიდიადე და მისი მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის ცხოველმყოფელობა და აქტუალობა.

თითქმის საუკუნე ნახევარია იზრდებოდა და იზრდება ჩვენი ყმაწვილკაცობა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსა და მოთხრობებზე, მისმა წიგნებმა ბევრი რამ გააკეთეს ქართული ეროვნული კულტურის დასაცავად.

ერის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც იგი არ გამოხმაურებოდა, იაკობი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურების – დიდი ილიასა და აკაკის – გვერდით იდგა მუდამ და თავისი მშობელი ხალხის ინტერესებით ცხოვრობდა.

აკაკი წერეთელმა ქართველთა დიდ განმანათლებელსა და პედაგოგს ასე მიმართა: „წარსულის შვილო, მომავლის მამავ და მყოფადის გადია, ძმაო იაკობ“. ამ სიტყვებით აკაკიმ შთამაგონებლად გამოკვეთა იაკობ გოგებაშვილის, როგორც ქართველი ერის დიდი მოამაგის, ნათელი სახე, მისი მოღვაწეობის მასშტაბები და მადლიც.

ი. გოგებაშვილი იმ კატეგორიის რჩეულია, ვინც უფრო მეტად მომავალს ეკუთვნის, მომავლით ცხოვრობს, ვისი იდეებიც მარადიულად უნათებენ გზას თაობებს და მომავალში იმარჯვებენ. ასეთ ადამიანებს დრო ვერ ერევა, ვერ აბერებს, ვერ კლავს.

პედაგოგიურ იდეებს საქართველოში ისევე გადგმული აქვს ფესვები შორეულ წარსულში, როგორც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, მის განათლებას. აქ საკმარისია დავასახელოთ უმაღლესი რიტორიკული სკოლის არსებობა მეოთხე საუკუნის კოლხიდაში, აკადემიები გელათში, გრემსა და იყალთოში, პედაგოგიური იდეების ფართოდ გავრცელება XII საუკუნის საქართველოში (შოთა რუსთაველი, იოანე პეტრიწი), შემდეგში სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, იოანე ბატონიშვილის და სხვათა პედაგოგიური შეხედულებანი და ა.შ., მაგრამ აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრობლემების მეცნიერული დასმა და თანმიმდევრული გადაწყვეტა იაკობ გოგებაშვილის ეკუთვნის.

„დედა ენა“ იყო XIX საუკუნის ქართული პედაგოგიკისა და ფილოლოგიის ძვირფასი მონაპოვარი, ერის საუნჯე, „ოქროს წიგნი“. იგი იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუვალი სიმაგრე, მისი გამარჯვების უძლიერესი იარაღი.

ყოველ დიდი წიგნს თავისი ბედი და თავგადასავალი აქვს, ხალხის ბედისა და თავგადასავალისაგან განუყოფელი. იგი საკუთარი ბიოგრაფიით შედის თითოეული ერისა და მთელი კაცობრიობის სულიერი მემკვიდრეობის საგანძურში.

როცა „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ ისტორიას ვეცნობით, განცვიფრებაში მოვყავართ იმ უდიდეს შრომატევად მუშაობას, რასაც ი. გოგებაშვილი ეწეოდა თავისი სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის ათეული წლების განმავლობაში.

იმ დროს, როცა საბავშვო ლექსები სანთლით საძებნი იყო, ამასთან ზოგი პოეტი იაკობს თხოვნაზე უპასუხებდა – „პოეტურ გუნებაზედ ვერ დავდექი და ამიტომ ვერც ერთი ლექსი ვერ გადავთარგმნე, ვერც დავწერე“, აკაკი წერეთელი მხარში ამოუდგა და მასთან ერთად იღწვოდა „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ შევსება-სრულყოფისათვის.

აკაკი თავისი მომხიბლავი ლექსებით ცდილობდა ქართველთა გულებში გაედვიძებინა სამშობლოს სიყვარული და პატრიოტული გრძნობა, ილია პუბლიცისტური წერილებითა და მხატვრული ნაწარმოებებით მოუწოდებდა ქართველებს ეროვნული თავისუფლებისაკენ, იაკობმა კი თავისი კალამი მოიმარჯვა ნორჩი თაობის პატრიოტულად აღზრდისათვის. იაკობმა, როგორც დიდმა პედაგოგმა, კარგად იცოდა, რომ თავისუფლებისათვის ამ ბრძოლაში მთავარი იყო ახალგაზრდობის პატრიოტულად აღზრდა და სასკოლო ასაკიდანვე მშობლიური ენისა და ლიტერატურული წარსულისადმი სიყვარულის ჩაფერფლილ გრძნობაზე ზემოქმედება პატრიოტული ლექსებითა და პროზით. მან სწორი გეზი აიღო და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება გადაიტანა მოზარდი თაობის სამყაროში.

დედაენა არის ძვირფასი საღარო, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე გონების, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა, რომელიც ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს გზნებით.

ქართულ საანბანო წიგნს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის ძირითადად დაკავშირებულია ქართული დამწერლობის მრავალსაუკუნოვან წარსულთან. თავი რომ დავანებოთ ხელნაწერ საანბანო წიგნებს, უკვე 1629 წელს საერთო შრიფტით რომში დაიბეჭდა ცნობილი ქართული საანბანო წიგნი „ანბანი იბერიელთა“, რომლის ავტორია ნ. ჩოლოყაშვილი, ხოლო, როცა იაკობის „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ გამოვიდა, ამ დროისათვის უკვე არსებობდა ათამდე სხვადასხვა საანბანო წიგნი: პლატონ იოსელიანის, ივანე კერესელიძის, დ. ფურცელაძის, ს. მდივანბეგოვის, პეტრე უმიკაშვილის და სხვა. ეს სახელმძღვანელოები შედგენილი იყო ასოთა შეერთების ანბანური მეთოდით, რაც სიმძნელეს ქმნიდა მშობლიური ენის ანბანის შესწავლაში.

ი. გოგებაშვილი შეეცადა, თავისი პირველი სახელმძღვანელო „ქართული ენის ანბანი“ ახალი მეთოდის გამოყენებით შეედგინა, ხოლო 1876 წელს გამოცემულმა „დედა ენამ“, აგებულმა ანალიზურ-სინთეზურ ბეგრითი მეთოდით, გაათავისუფლა ნორჩი თაობა ნამდვილი წამებისაგან. „დედა ენამ“ არა მარტო შეამოკლა ანბანის სწავლების დრო, არამედ, რაც მთავარია, სწავლა გახდა ადვილი, საფუძვლიანი, საინტერესო და მიმზიდველი, „დედა ენამ“ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა მშობლიური ენის შესწავლისა და სწავლების საქმეში.

სულმნათი აკაკი დედაენაში ხედავდა ხსნას: „დღეს სადღაა საქართველო და ქართველობა, ქუთაისში მეგრულის მეტი არა გაისმის რა, ტფილისში – სომხურისა და თათრულისა... მეტყვი, არ ვარგა სულით დაცემა... ბრძოლა, ბრძოლაა საჭირო! მაგრამ განა ცოტა გვიბრძოლია ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში და რა გამოვიდა? „ხმა უდაბნოსა შინა“, ერთადერთი საიმედო, დღემდის შენი დედა ენაა, მაგრამ რა, დღეს კი ვხედავ, რომ ამასაც ბოროტი ძალა ელობება წინ და ჩვენ კი გულგრილად შევყურებთ“.

გაზაფხულის პირველი მახარობელი ყვავილით – იით – დაიწყო იაკობ გოგებაშვილმა ნორჩი თაობის აღზრდა, რომ სულ ია-ვარდი ეთესა მის გზაზე.

„დედა ენის“ გამოსვლამ უდიდესი სიხარული გამოიწვია ქუთაისელი განათლებული საზოგადოების გულში. ერთადერთი ქუთაისი დარჩა იმ დროისათვის ნაციონალური ქალაქი, ეს იყო პატარა ქართული სამეფო, სადაც: „საუბედუროდ, განათლებულ ოჯახებშიც ქართულად, ველურთა ენაზე ლაპარაკობენ“ (ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 2.501).

1879 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი და ივანე მაჩაბელი, იბრუნეს, ქუთაისში გახსნილიყო წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლა, რომლის არსებობაშიც შეიძლება გამოვეყოთ ორი ეტაპი: დედაენამდელი და დედა ენის შემდგომდროინდელი ეტაპები. დედა ენის შემდგომდროინდელ პერიოდში ქართული ენის სწავლება ყოფნა-არყოფნის წინაშე იდგა. სასწავლებლის მმართველობის აზრით, ქართული ენა უნდა განდევნილიყო. მაგრამ ამ აზრს წინ აღუდგა ქართული ენისა

და ლიტერატურის მასწავლებელი ალექსი ჭიჭინაძე, რომლის დახასიათება მოითხოვა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. იაკობ გოგებაშვილმა პირად წერილში სილოვან ხუნდაძესთან მოიწონა ა. ჭიჭინაძის საქციელი და წერდა: „ღმერთმაც ქნას და არ დარჩეს იგი, როგორც უდაბნოში მყეფარი, ღმერთმაც ქნას და გვიმრავლოს მაგისტონა ქართველებმა“.

სათავადაზნაურო სასწავლებლის სასწავლო პროგრამა ქართულ ენაში 1880-1882 წლებისათვის შედგენილი იყო „დედა ენისაგან“. „ანბანის შემდეგ წაიკითხეს „დედა ენაში“ და შეისწავლეს შემდეგი ლექსები, სასაუბროები, გამოცანები:

I განყოფილება

1. სიმღერა
2. მოსიყვარულე ამხანაგი
3. პატარა ქალის ნატვრა
4. ყაყაჩო და ყმაწვილი
5. ბეჯითობა
6. მოწვევა სწავლაზედ
7. ამომავალი მზე
8. ყორანი
9. ვარდი ბულბულზედ
10. ლექსი ჯავახეთზე
11. მეცხვარე
12. ბერიკაცის ნატვრა
13. თხა
14. ღორი
15. ირემი
16. უთოროლა
17. კაი კაცი
18. გულადი
19. ხარი და გუთანა
20. ხარი

II განყოფილება:

„შენაერთი ლექსებისა და სტატიებისა შედგენილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისაგან“, მასწავლებელი სამსონ ყიფიანი“ (ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 3. 3389 გვ. 28).

1885 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წერდა მასწავლებელი ალექსი ჭიჭინაძე: „უმორჩილესდ გთხოვთ დაგვეხმაროთ ქართული ენის პროგრამა სითგან დავიწყოთ, დედაენიდან თუ ბუნების კარიდგან?“

ხოლო იაკობ გოგებაშვილის პასუხში ეწერა:

„1. პროგრამა ქართული ენისა უკან აქვს მოცემული რუსულსა, სამართალი კი ითხოვს, რომ ქართული სკოლის პროგრამებში ყოველივეს წინ უძღოდეს ქართულის პროგრამა.

2. დედა ენა სახელმძღვანელოდ არის დადებული, ამიტომ პროგრამაც მისგან უნდა შედგეს“ (ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 2, 3848, ბ.გ).

1886 წელს იაკობ გოგებაშვილი ჩამოდის ქუთაისში, ამოწმებს სასწავლო გეგმებს, ხოლო 1887 წელს თხოულობს ალექსი ჭიჭინაძისაგან, ქართულ წერას დაუთმოს მეტი საათი.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმაში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ;

1. Обучение чтения и письма по книги «деда ена» Я. Гогешавили, из кой изучаются статей и до 13 ряда упражнений.

2. избрания статей из «бунебис кари».

ამდენად, XIX საუკუნის 90-ანი წლების ქუთაისის საგანმანათლებლო სისტემა, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებისა და სახელმძღვანელოების მხარეს დადგა.

Manana Mikadze
Akaki Tsereteli State University
“DEDA ENA” BY IAKOB GOGEBASHVILI AND XIX CENTURY KUTAISI
RESUME

“Deda Ena” by Iakob Gogebashvili was a treasure of Georgian pedagogics and philology of 19th century. It was an unbreakable fortress and the strongest weapon for Georgian people for victory in national and liberation movement.

In 1879 literacy popularizing society session with attendance of Dimitry Kipiani, Ilia Tchavtchavadze, Niko Tskhvedadze, Iakob Gogebashvili and Ivane MAchabeli cared about establishing a literacy school in Kutaisi. During its existence we can outline two stages: before and after “Deda Ena”.

In 1885 Aleki Tchitchinadze, a teacher, was writing to literacy popularizing society: “Please help us, which should we start from: “Deda Ena” or “Bunebis Kari”?”

Iakob Gogebashvili replied: “1. Georgian language program is behind the Russian one, but legislation requires that in school programs everything should be proceeded by Georgian language.

2. “Deda Ena” is given as a manual and program should be composed from it”.

In 1887 Iakob Gogebashvili arrives in Kutaisi, checks curricula and requires from Aleksi Tchitchinadze to devote more hours to Georgian writing classes.

Thus, despite of barriers, Kutaisi educational system choose Iakob Gogebashvili’s doctrine in 1890s.

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა - საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების
სწავლების მაგალითზე**

თანამედროვე სკოლის ძირითად ამოცანად განისაზღვრა აქტიური, კრეატიული პიროვნების ფორმირება, რომელსაც აქვს თვითგანვითარებისა და თვითგანათლების, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, პირადი პასუხისმგებლობის, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების, თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის, ასევე სხვა უმნიშვნელოვანესი უნარები, რაც შესაძლებლობას მისცემდა მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, მუდმივად ცვალებად დემოკრატიულ გარემოსთან ადაპტაციაში, სრულყოფილი განვითარებისა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის მიღწევაში. სწორედ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა მისცემს შესაძლებლობას, გამოავლინონ დამოუკიდებელი და თანამშრომლობითი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, შეძენილი ცოდნის ტრანსფერის, საკუთარი და სხვისი საქმიანობის შეფასების, თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის და სხვა უმნიშვნელოვანესი უნარები.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა პირველად გამოიყენეს კანადელმა სპეციალისტებმა. დღეს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა აქტიურად გამოიყენება ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში. კვლევებით დასტურდება, რომ ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რაც დაეხმარებათ წარმატების მიღწევაში, რეალური ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში.

ტრადიციულ სასკოლო პრაქტიკაში პრობლემური სწავლების პრინციპი გამოიყენებოდა როგორც ძიების იმიტაცია, როდესაც მასწავლებელმა წინასწარ იცოდა მოსწავლეთა მიერ მისაღწევი შედეგი და მიზანმიმართულად მიჰყავდა სწორ პასუხამდე, ვერსიამდე, დასკვნებამდე.

პრობლემური სწავლება მოსწავლის დამოუკიდებლობის განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული მიდგომის ძირითად იდეას წარმოადგენს სასწავლო პროცესში შემეცნებითი სასწავლო ამოცანებისა და დავალებების გადაწყვეტა, რომლებიც მოსწავლეებს აქტიური შემეცნებლის როლში აყენებს, რამდენადაც იგი ვერ გადაწყვეტს პრობლემას მხოლოდ შეძენილი ცოდნის საფუძველზე.

თანამედროვე სასწავლო პროცესში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე დგება პრობლემის პირისპირ, არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად. ამ

პროცესში მოსწავლე აქტიურია და ეძებს საჭირო ინფორმაციას. მოსწავლის თვითშეფასების უნარ-ჩვევა მას ეხმარება ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში, რომელიც ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და ამ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა მიმდინარეობს ღია, პოზიტიურ სასწავლო გარემოში, სადაც მოსწავლე აქტიურია და საკუთარ თავზე ორიენტირებული, ხოლო მასწავლებელი - „ფასილიტატორის“ როლშია. საკლასო გარემოში პრობლემა უნდა იწვევდეს მოსწავლეების ინტერესს და სურვილს, რომ მართლაც მოუხდეთ ამ პრობლემის გადაჭრა. მასწავლებელმა პრობლემა უნდა წარმოადგინოს ისეთი კონტექსტით, რომ მოსწავლისათვის გახდეს საინტერესო. „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლე არის ჩართული აქტიურ სწავლაში, მუშაობს რეალური პრობლემების გადაჭრაზე, რის შედეგადაც სწავლა მისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში მოსწავლე იმუშავებს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომლებიც მას ეხმარება მოულოდნელი და არარეგულარული სიტუაციის ანალიზში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემის გადაჭრა ეფუძნებოდეს ნაკლებად სტრუქტურირებულ სიტუაციას, რომელიც მხოლოდ ერთი სწორი პასუხით არ შემოიფარგლება.“ (6:6) სწორედ ასეთ სიტუაციაში გამოთქვამს მოსწავლე დაინტერესებას, ავლენს ცნობისმოყვარეობას და ეძებს გზებს, როგორ გადაჭრას პრობლემური საკითხი, ანუ პრობლემის არსებობა განპირობებულია მოსწავლის მიერ კონკრეტული საკითხების გადაჭრისას წარმოქმნილი წინააღმდეგობით. დასმული პრობლემა უბიძგებს მოსწავლეებს მოიძიონ და შეიძინონ ახალი ცოდნა, რომელიც საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად. ერთადერთი სწორი პასუხის მოძებნის სანაცვლოდ მოსწავლე ახდენს დასმული პრობლემის ინტერპრეტირებას, აგროვებს საჭირო ინფორმაციას ეპოქის რეპრეზენტატულობის შესახებ, ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს /პირველადი და მეორადი წყაროები, რუკები, საბრძოლო სქემა, დიაგრამა, გენეალოგიური ტაბულა, ვიდეო და აუდიო მასალა და სხვ./, ანალიზზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, ჰიპოთეზას მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე ან პიროვნებებზე, არგუმენტირებული მსჯელობით აფიქსირებს პოზიტიურ ალტერნატიულ პოზიციებს, იღებს სწორ გადაწყვეტილებას, აფასებს და ადარებს შესაძლო შედეგებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, მსჯელობს არგუმენტირებულად და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს. ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესში ცოდნის შეძენა ხდება ევრისტიკულად.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლით იზრდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან მოსწავლე ახალ ცოდნას იძენს გამიზნულად. ეს ავითარებს ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს; ამგვარი სწავლისას ძალზე მცირეა სასკოლო ლექციის ტიპის გაკვეთილების რაოდენობა. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ და ითვისებენ ახალ ცოდნას, ხოლო მასწავლებლის როლი ძირითადად დაიყვანება ფასილიტატორის ფუნქციაზე. ამგვარი მიდგომისას აუცილებელია კურიკულუმში პრობლემების გააზრებულად შერჩევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების მიხედვით. მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს როგორც თითოეულ პრობლემას, ასევე ამ პრობლემების ურთიერთკავშირს და მათ თანამიმდევრობით შესწავლას. სწორედ მასწავლებლის შემოქმედებითობითი აქტივობით წინასწარ უნდა დაიგეგმოს და ისე წარიმართოს პრობლემური სიტუაცია, რომ მიწოდებული პრობლემური ამოცანა იყოს ერთგვარი გამოწვევა მოსწავლისათვის. ვიზიარებთ ნ. მაჭარაშვილის მოსაზრებას პრობლემური სწავლების საფუძველად პრობლემური კითხვების, ამოცანების, დავალებების და სიტუაციების შესახებ, (6:54) თუმცა არ გამოვრიცხავთ პრობლემური სავარჯიშოს აქტიურად გამოყენების ეფექტურობას საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სწავლებისას.

პრობლემური კითხვა არ უნდა ითვალისწინებს შეძენილი ცოდნის მხოლოდ გახსენებასა და გადმოცემას, მოსწავლე პასუხს დამოუკიდებლად მოიძიებს და იკვლევს, თუმცა მასწავლებელი წინასწარ ამზადებს პრობლემური სიტუაციის სცენარს, კითხვა-პასუხებს იმისდა მიხედვით, რა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევების ამოქმედებაზეა ორიენტირებული.

პრობლემური ამოცანა - სასწავლო მასალის ორგანიზაციის ფორმაა წინასწარ ცნობილი პირობითა და უცნობი მონაცემებით. ამ მონაცემების ძიება ითვალისწინებს აქტიურ სააზროვნო მოქმედებებს, ისტორიული ფაქტების ანალიზს, ისტორიული პროცესების წარმოშობის მიზეზებისა და მათი მიზეზშედეგობრივი კავშირების გარკვევას. ამგვარი ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სახით. მაგალითად, სიტყვიერი განსჯის, პრაქტიკული საქმიანობით ან სხვა ფორმით. ისტორიის სწავლების პროცესში მიწოდებული პრობლემური ამოცანა უნდა გახდეს ერთგვარი გამოწვევა მოსწავლისათვის. საერთაშორისო კვლევის ჩარჩოს მიხედვით, გამოიყოფა პრობლემური ამოცანების სამი ტიპი: 1) ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან; 2) ამოცანები, რომლებიც მოითხოვს სისტემის ანალიზს და მოდელირებას; 3) ამოცანები, რომლებიც უკავშირდება რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას.

ამრიგად, პრობლემური ამოცანის მიცემის დროს საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რამდენად შეესაბამება პრობლემური ამოცანა მოსწავლის უნარ-ჩვევებს და ასაკით განპირობებულ კოგნიტურ შესაძლებლობებს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების, არამედ მთელი კლასის მომზადების დონეს და შესაძლებლობებს. კლასის თითოეულ მოსწავლეს უნდა შეეძლოს ამ პრობლემის გარკვეულ დონეზე გაგება და ახლის შეძენა.

ისტორიის პრობლემური ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებით. პრობლემის გადაჭრის დროს მნიშვნელოვანია ორივე ტიპის აზროვნება. პირველად უნდა მოხდეს პრობლემის გაანალიზება; შემდეგ უნდა ჩამოვყალიბოთ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები; ბოლოს შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებით უნდა ამოვარჩიოთ და განვახორციელოთ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა და შევაფასოთ მისი ეფექტურობა. ეს პროცესი ავლენს ამ ორი სტრატეგიის მონაცვლეობას. პრაქტიკაში კი ორივე ტიპის აზროვნება ძირითადად ერთობლივად მოქმედებს და ხშირად რთულია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

პრობლემური დავალება - ითვალისწინებს კონკრეტულ მითითებებს მოსწავლეებისათვის დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, საბოლოო შედეგების მისაღებად. პრობლემური დავალებები სრულდება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზით, არგუმენტირებული მსჯელობით, ალტერნატიული გზების ძიებით, ჰიპოთეზის წარდგენით და სხვ. დავალებების ტიპები უნდა განისაზღვროს ასაკობრივი თავისებურებების, ეროვნული სასწავლო გეგმით და ისტ. ინტეგრაციის მეგზურით, განსაზღვრული მისაღწევი შედეგებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით.

პრობლემური სიტუაცია - ეს არის მოსწავლეებისათვის გონებრივი სირთულეების შექმნის მდგომარეობა, რაც გამოწვეულია მათ მიერ ათვისებული ცოდნისა და მოქმედების ხერხების უკმარისობით შემეცნებითი ამოცანის, დავალების ან სასწავლო პრობლემის გადასაჭრელად.

პრობლემური ტიპის ამოცანები, ზოგადად, შესაძლოა ეხებოდეს ისეთ სიტუაციებს, სადაც საჭიროა:

1. არჩევანის გაკეთება;
2. გადაწყვეტილების მიღება;
3. შედარება-შეპირისპირება;
4. დაკავშირება-კანონზომიერების აღმოჩენა;
5. შეუთავსებლობის აღმოფხვრა;
6. ობიექტებზე შეხედულების შეცვლა;
8. კვლევა-ძიება;
9. შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება, გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესი მოითხოვს არა მხოლოდ იმის ცოდნას, თუ რა პასუხი უნდა იპოვო, არამედ გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას პასუხის მოსაძებნად და სწორი სტრატეგიის შესარჩევად. მას შემდეგ, რაც პრობლემა ჩამოყალიბდება დგება დრო იდეებისა და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების. იდეების წარმოშობის გარემო კრიტიკისაგან შედარებით თავისუფალი უნდა იყოს. მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს წარმოდგენილი იდეების კრეატიული ასპექტების განსაზღვრა, მათი ხელის შეწყობა და მოსწავლეებს არაკრეატიული იდეების მიმართ ახალი მიდგომების გამომუშავება.

ამის შემდეგ დგება პრობლემის გადაჭრის ეტაპიც, სადაც ხდება საკუთრივ პრობლემის გადაჭრა, ანუ სწორი პასუხის პოვნა. ამისათვის კი მოსწავლემ უნდა გაიაროს ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპები, როგორიცაა:

1. პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა;
2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა;
3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მოზილიზება
4. შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება;
5. პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების და რესურსების შერჩევა;
6. შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს, შედეგების შემოწმებას და შეფასებას. რთული პრობლემის შემთხვევაში, შესაძლოა, მოსწავლემ პრობლემის გადაჭრის ყველა ეტაპები არ გაიაროს თანმიმდევრობით და საჭიროების შემთხვევაში დაუბრუნდეს წინა ეტაპს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სწავლებისათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია პრობლემის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს:

1. პრობლემის აღწერას, სადაც უნდა მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება-აღწერა იმ ისტორიული ვითარებისა, რომელიც იმ დროისთვის არსებობდა;
2. პრობლემის არსებობის მიზეზების განსაზღვრა, რამ წარმოშვა და რატომ არსებობს აღნიშნული პრობლემა და ამ პრობლემის გადაწყვეტის ვერსია;

3. პრობლემის სიმწვავე, მოსალოდნელი შედეგი და მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობა, ალტერნატიული გზები პრობლემის გადასაწყვეტად ისტორიული პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების და ტაქტიკის შერჩევის ობიექტურობა;

4. პრობლემის ანალიზის ბოლო ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს, ბრალეულობის საკითხი შექმნილი პრობლემის გამო ისტორიულ პიროვნების/ან პიროვნებების/ თუ ისტორიული რეალობის, რომელთა უპასუხისმგებლობით თუ სხვა მიზეზებით წარმოიშვა ესა თუ ის პრობლემა და როგორი უნდა იყოს გამოსავლის გზები და ვადები.

მე-11 კლასში თემის §36. „მანასკერტის ბრძოლის შემდეგ“ სწავლების მიზანია თუ რა ზეგავლენა მოახდინა საქართველოზე ბიზანტიის დამარცხებამ ამ ბრძოლაში. სახელმძღვანელოში შეტანილი წყაროებით აიხსნება მხოლოდ ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, ხარკის დადება და თურქთა ძალებით კახეთის ალების ბრძანების შესრულების სავალალო შედეგები საქართველოსათვის, მაგრამ ჩნდება პრობლემა რამდენად სწორ გადაწყვეტილებას იღებს მეფე გიორგი შექმნილ სიტუაციაში. რომელი ალტერნატიული გზა არსებობდა და რამდენად სწორი სტრატეგია და ტაქტიკა აირჩია ამ პრობლემის გადასაჭრელად. აუცილებელია როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროები, გიორგი მეორის მეფობის შეფასების მიზნით, რათა მოსწავლეებმა იკამათონ და იმსჯელონ, თვითონ რომელი ალტერნატიული გზით შეძლებდნენ მეფე გიორგისაგან განსხვავებით ქვეყანა მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან გამოეყვანათ. წყაროებზე მუშაობისთვის ეძლევათ პრობლემური დავალება კრიტიკული აზროვნებითი მიდგომებით: ა) წყაროების ავტორი მხოლოდ აღწერს ისტორიულ ფაქტს, თუ ნანახის ინტერპრეტაციასაც ახდენს; ბ) პირველადი და მეორადი წყაროების შედარება შეპირისპირებით რომელი ისტორიკოსის შეფასებაში აისახა პირველადი წყაროს გავლენა? გ) რომელი წყაროს ავტორია ტენდენციური, ახსნას ტენდენციურობის მიზეზები, დაასაბუთოს წყაროს სანდოობა, შეაფასოს მეფის გადაწყვეტილება აღნიშნული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით

წყარო №1 „...ხოლო მეფესა გიორგის მოეცენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხვასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოჭრდა მუნ დღეინდელად დღედმდე. ხოლო თვთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“. (8:322)

წყარო №2 „გიორგი მეორე მეტად რბილი და სუსტი ხასიათის კაცადა სჩანს. ამასთანავე მას ჰკლებია ის სიძინჯე და საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ბატონობისათვის აუცილებლად არის საჭირო...ვერც თავგასულ დიდგვარიან აზნაურებს უწევდა ღირსეულ წინააღმდეგობას, ვერც გათამამებულ გარეშე მტრებს იგერიებდა“ (11:159)

წყარო №3 „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის მიხედვით „წაუზუნა ბერძენთა ანაკოფია...ციხენი კლარჯეთისა შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა და შემდგომად ამისა მომადლა ღმერთმან, აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი და იოტნა თურქნი მის ქვეყანისანი“. (8:317)

წყარო №4 „ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“ (8:318)

აღნიშნულ წყაროთა შედარება-შეპირისპირებისას რადიკალური განსხვავებაა მეფე გიორგი II-ეს შეფასებაში, წყაროთა მეორე ნაწილი (№3, 4) გიორგი მეორის მეფობის წარმატებულ ბრძოლებსა და საგარეო პოლიტიკურ კურსზე აკეთებს აქცენტებს. ეს პრობლემური სიტუაცია მოითხოვს კომპლექსურ ანალიზს და ამ ისტორიული ვითარების ლოგიკის გასააზრებლად საჭიროა ინფორმაციის მოცულობის გაზრდა, რათა შემოქმედებითი აზროვნების ამოქმედებით სწორი არჩევანი და გადაწყვეტილება იქნას მიღებული, ამიტომ დამატებით შემოგვაქვს თურქი ისტორიკოსის მ. ინანჩის მოსაზრება, რომელსაც გიორგი II-ის გადასვლა აფხაზეთში პოლიტიკურ ნაბიჯად მიაჩნია და ასევე წყაროები:

წყარო №5 „სულთანმა ხარაჯის სანაცვლოდ ზედამარბეველთაგან კი გაათავისუფლა საქართველო, მაგრამ სულთნის მოლაშქრეები, რომლებიც საქართველოს მეფეს კახეთის აღებაში უნდა დახმარებოდნენ, ისედაც განადგურებულ ქვეყანას უფრო გააჩანაგებდნენ, ეს მომენტი გაითვალისწინა გიორგი II-ემ და ამიტომ აღარ მოინდომა თურქებთან ერთად კახეთის აღება“ (10:316-317)

წყარო №6 „იმდროინდელი საქართველო, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნები, განიცდიდნენ მწვავე კრიზისს, რომლიდან გამოსვლასაც გარკვეული პირობები და დრო სჭირდებოდა და რაგინდ დიდი მოღვაწეც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე (ამ შემთხვევაში გიორგი II), იგი ამას ვერ შეძლებდა.“ (5:70)

აღნიშნულ გაკვეთილზე პრობლემური ტიპის ამოცანები მოიცავს ისტორიულ სიტუაციებს, სადაც საჭიროა:

ა) მოსწავლეთა ერთი ჯგუფისაგან ისტორიული პროცესის კომპლექსური ანალიზი.

ბ) მეორენი - ავლენენ შემოქმედებით შესაძლებლობას ეძებენ, მსჯელობენ, კამათობენ რთული ისტორიული ვითარებიდან გამოსავლის ალტერნატიულ გზების გამო. აკეთებენ არჩევანს რამდენიმე ალტერნატივას შორის.

გ) მესამენი - პირველადი და მეორადი წყაროების შედარებისას გამოთქვამენ საკუთარ ჰიპოთეზას მეფე გიორგი მეორეზე შეხედულების შეცვლასთან დაკავშირებით, ახდენენ გამოთქმული ჰიპოთეზის გადასინჯვას.

დ) მეოთხე ჯგუფი - ისტორიულ წყაროთა შედარება-შეპირისპირებით მსჯელობს და გამოაქვთ დასკვნები „ისტორიული გარდაუვალობის“ და „შემთხვევითობის“ კონცეფციებზე, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

მე-10 კლასში წყაროთმცოდნეობის თეორიული საკითხების სწავლებისას, ხშირად პრობლემურ სიტუაციას ქმნის ისეთ წყაროებზე მუშაობა, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე, პიროვნებაზე, გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას. უცნობი ავტორი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე, ამბობს: „...ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილ - მოზარდი და ყუავილი ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა, ...ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანისა ნაყოფისა მოსვლისათვის, დაჭირვებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა ...ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუნოდის“. (8: 370)

იგივე მეფეზე ჟამთააღმწერელთან კვითხულობთ „...რამეთუ იყო ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თვითბუნება, ...ხოლო სმამან მღერასა და სილოდასა და ნაყოვანებამ სიბილწესა უმეტეს გადარია. განიშორა ვაზირნი სანატრელისა დედისანი, ...შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმურობითა და დედათა უწყესოთა თანა აღრევითა.“ (9:157)

შედარება-შეპირისპირებისას პრობლემური ტიპის ამოცანა ითვალისწინებს აქტიურ სააზროვნო მოქმედებებს, პრობლემის ჩამოყალიბების შემდეგ ინფორმაციის მოძიებას, შესაძლო ალტერნატივებს და გადაჭრის გზებს.

აქცენტებით შევახსენებთ, რომ მოვლენებთან სიახლოვე, როგორც დროში, ისე სივრცეში არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ უფრო საიმედოდ აისახა ესა თუ ის მოვლენა. ერთი და იგივე მოვლენების თვითმხილველთა შეფასებებიც კი შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ეძლევათ პრობლემური დავალებები გამოწვევისათვის. ისტორიული წყაროს შექმნის ეპოქა და არსებული ისტორიული გარემო, ავტორთა მედასეობა, მისი პოლიტიკური თუ რელიგიური ორიენტაცია, სოციალური სტატუსი, იყო თუ არა ავტორი მეფის თანამედროვე ან შეემლო თუ ჰქონდა პირადი ურთიერთობა მეფესთან; ავტორები რომელი ინფორმაციით სარგებლობდნენ. ამის შემდეგ პრობლემურ დავალებებზე ჯგუფები არგუმენტირებულად მსჯელობენ იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა მეფეზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა და იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტიკური ვითარების ანალიზის გათვალისწინებით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ მაღალ, არამედ დაწყებით კლასებშიც, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია განსხვავებული მოდელის შერჩევა დასმული შედარებით მარტივი პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად, რომლის დროსაც მოითხოვება აბსტრაქციის რაც შეიძლება დაბალი დონე.

მოსაზრებანი, რომ მცირეწლოვან ბავშვებს არ შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა, მცდარია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის გამოყენება შეიძლება ყველა ასაკში და განვითარების ყველა საფეხურზე. პრობლემური სიტუაციების წარმოქმნის მიზნით მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების აზროვნების შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე დასვას ისეთი კითხვები, რომლებიც გამოიწვევს შემდგომ დისკუსიას, საკითხის განხილვას და დაეხმარება მოსწავლეს პასუხის ძიებაში. ასეთი ტიპის შეკითხვები ხელს უწყობს აზროვნების და განსჯის უნარის განვითარებას, აადვილებს სწავლების პროცესს და ამძლავრებს მიღებული ცოდნის ხარისხს. ამ სტრატეგიით მეხუთე კლასში გაკვეთილის „რა როლს ასრულებდა შავი ზღვა საქართველოსთვის ძველად?“ მიზნის მისაღწევად სახელმძღვანელოსთან ერთად პრობლემური ამოცანის გადასაჭრელად უმჯობესია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბერძნული არქეოლოგიური და ეთნოლოგიური სამუზეუმო ექსპოზიციების ვიდეომასალებით გამდიდრება. მოსწავლეს მოეთხოვება მარტივი ანალიზის ჩატარება არა იმისათვის, რომ გააკეთოს არჩევანი რამდენიმე ალტერნატივას შორის, არამედ იმისთვის, რომ ამოხსნას ამოცანა და მიიღოს პასუხი კონკრეტულ საკითხზე, რა როლს ასრულებდა შავი ზღვა საქართველოსთვის ძველად, რაშიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პრეზენტაცია, სადაც გაეცნობიან „ოქრომრავალი კოლხეთის“ სამუზეუმო ექსპოზიციის მსოფლიო ტურნეს, ტიმ სევერინის მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ფრაგმენტებს უძველეს სამიმოსვლო გზებისა და ოქროს საწმისის ისტორიის შესახებ. ამგვარი საზროვნო აქტივობებით და ინტერესის გამოწვევით ადვილად გადაჭრიან

პრობლემურ სიტუაციას, გააკეთებენ სწორ არჩევანს თუ რამდენად სასარგებლო იყო ბერძნების მოგზაურობა საქართველოში. ჯგუფები გამოთქვამენ ჰიპოთეზას, იმსჯელებენ ნეგატიურ და პოზიტიურ მხარეებზე, არგონავტების მითის ნამდვილ და გამოგონილ ცნობებზე. მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას და საინტერესო ინფორმაციას, რომ სწორედ ეს უძველესი გზა დღესაც დასავლეთ ევროპასთან საქართველოს დამაკავშირებელი სტრატეგიული გზაა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგია აქტიურად გამოიყენება მსოფლიო კულტურის გაკვეთილებზე, სადაც მოსწავლე იკვლევს კულტურისა და ხელოვნების ნიმუშებს და განიხილავს შესაბამის ისტორიულ-რელიგიურ და კულტურულ კონტექსტში; ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშებს და მსჯელობს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე იკვლევს ხელოვნების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში; აგროვებს ინფორმაციას ცნობილ ხელოვნებათა შემოქმედებისა და მათი კონკრეტული ნამუშევრის შესახებ და იკვლევს ქართული კულტურის როლს მსოფლიო კულტურაში.

ამრიგად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არის აქტიური სწავლა, რომელიც მოსწავლეს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გააცნობიეროს და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის საკუთარი უნარი, დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში. ისინი ხდებიან მასწავლებლისგან დამოუკიდებელნი, ყალობებიდან დამოუკიდებელ შემმეცნებლებად, ანუ ისეთ პიროვნებად, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ უწყვეტი განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე და იყვნენ ეპოქის პოლიტიკური პროცესების შემფასებელნი და თავისუფალი შემომქმედნი.

ლიტერატურა:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2010.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011.
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008.
4. მაჭარაშვილი ნ., ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები და სტრატეგიები, თბ., 2012.
5. მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, 1990, გვ. 70
6. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2007.
7. ტიმ ვან გელდერი, რობერტ ბუსტრომი, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თბ., 2012.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
9. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
10. შენგელია ნ., სელჩუკები და საქართველო XII საუკუნეში, თბ., 1968.
11. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965.

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

PROBLEM BASED LEARNING – ON THE EXAMPLE OF SOCIAL SCIENCES RESUME

Problem based learning is a student-centered teaching strategy. This is a general approach which has been firstly used by the Canadian specialists of education. Currently, it is actively applied in the field of education in Georgia.

The researches testify that students gain considerable experience while studying the case via problem based learning method.

Problem based learning is an active learning empowering students to realize and determine their problem solving skills and become confident in their abilities. The students get independent from a teacher and develop independently conscious. Thus, they develop as individuals being able to gain education throughout their lives. Respectively, they become competent and creative evaluators of the historical processes.

პერსონაჟთა ხატვის პოეტიკა მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეების“ მიხედვით

თანამედროვე მწერლის, მსახიობის - მერაბ ელიოზიშვილის სახელი ორგანულად ესხეულა ცხინვალს. საკუთარი შემოქმედებით იგი ქართული მწერლობის ავანგარდის ბინადართა შორისაა. საკუთარ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული არაერთხელ იგონებდა მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილ საინტერესო მომენტებს.

„ეს მამა-პაპა, ეს ჩემი ცხინვალი, ის ჩემი ქვევრები, რომელთა ძირიც არა სჩანდა, რომ ჩავიხედავდი, კაცო, ის საგუშაგო კოშკი, წითლად რომ ანათებდა, შეშას რომ შემოულაგებდნენ, მოუკიდებდნენ... ნატანჯი კოშკი. წინ ეკლესია წმინდა ნიკოლოზისა. თხუთმეტი სული გადავასვენე ჩემს ეზოში იმიტომ, რომ იქ გათხარეს გაზისთვისა. ძვლები რომ დავინახე პაპაჩემის უმცროსი ძმისა, ჩექმები რომ ისევ შემორჩენოდა ოფიცერსა, მეფის გვარდიისა... მუშებს ხელით ჩავაყრევინე, ნიჩბები არ იხმართ-მეთქი. ჩემი ხეივნის ქვეშ არიან დასვენებულნი. ის ხეივანი გაჩეხილია, სახლი დამწვარი“ [1].

ბატონი მერაბისათვის ახლობელი და მშობლიური გახლდათ ყოველი გოჯი მიწა, დიდ წინაპართა ნაფეხურები და აკი ამ მონატრების ტკივილით გულდამძიმებული გახდა ზესთასოფლის ბინადარიც.

„როგორ მენატრება სამყურა და ძურწა, მატიტელა და ბალბა, ნაცარქათამა... ნაცარქათამას ისე ვეფერებოდით ხოლმე... როგორც აბრეშუმი, ისეთი ფოთოლი ჰქონდა, შევერცხლილი, იმას რო დათუთქავდნენ, მის ჭამას რა სჯობდა. მენატრება იონჯა და ჭანგა. ჭანგა იგი როგორი ბალახია? ჭანგამა თქვა, - ათი წელი ყვავის ბუდედ ვიყავი, ჩამოვვარდი და მაინც არ გავხმდით... მაგისნაირი უკვდავი არც ერთი ბალახი არ არის. თუ გაიზარდა, შეიძლება ქამრამდეც მოგწვდეს. ფესვს გაიღრმავებს და გაიღრმავებს. იგი, მაგის ამოძირკვას რამდენი ძალა უნდა? ირგვლივ უნდა მოუთხარო, მოუთხარო, აქეთ შემოუარო, იქით შეუარო... ამოიღებ და მაინც ვერ ამოიღებ. მიწის ნაკვეთი თუ ჭანგისანი შეგხვდებოდა, წელი უნდა მოგეწყვიტა გასასუფთავებლად... ნეტავი ეგეთი, ჭანგასავით ძალა ჰქონდეთ ქართველებს. დაცარიელდა სოფელი და ამოიკვეთა ფეხი მამა-პაპის დანატოვარში. რასაც იქ ვნახავდით, ასფალტზე როგორ ვნახავთ?“

ტოროლა იყო, თითქო ჩემი შუბლიდან აფრინდაო, თვალს ავაცოლებდი... ცაში გაქრებოდა. თუ გაუძლებდი იმ ადგილის ყურებას, ნელ-ნელა ჩამოვიდოდა და დაჯდებოდა, გაგოგმანდებოდა. ძალიან მეცოდებოდა ბავშვები, იმას რო აღარ ხედავენ... გული მტკივა, ჭანგასავით რო არ გავიდვით ფესვი ჩვენს მამულში“ [2].

მ. ელიოზიშვილის სამწერლო ტექნიკა უაღრესად თვითმყოფადი და ორიგინალურია. ლ. ბრეგაძის აზრით, მერაბ ელიოზიშვილი „ნამდვილი მწერალია“, ნამდვილი მწერალი კი უწინარეს ყოვლისა, თხრობის დიდოსტატია. ნამდვილი მწერალი ერთი ფრაზითაც შეიძლება გამოვიცნოთ... მერაბი მოგვითხრობს არაჩვეულებრივი ქართულით მხიარულ ამბებს, ნაღვლიან ამბებს, ნამდვილ ამბებს, მოგონილ ამბებს, კარგი მკითხველის ღირსი მწერალი, კარგი გამგონის ღირსი მესიტყვე, ხელოვანი თხემით ტერფამდე, კოლორიტული, შთამბეჭდავი, განუმეორებელი, სანდო და ძლიერი... [3].

მ. ელიოზიშვილის სტილი, მეტყველება-დახვეწილი, ძარღვიანი ქართულია. მკითხველს დიდი დრო არ სჭირდება ოსტატისეული მკაფიო სურათების მისაღებად და ძალდაუტანებლად, თვინიერად გადადის იმ პოზიციებზე, იმ შეხედულებებზე, რომლებსაც იგი იცავს. ამ შემთხვევაში მწერლის მიდგომა არისტოტელესეულია [4] - პრაქტიკული. საუბარი ეხება მკითხველის დამარწმუნებლობის მრავალფეროვან საშუალებათა სისტემას.

მოხდენილი და დახვეწილი გამოთქმების მრავალფეროვანი პალიტრის მომარჯვებით აზრი გაცილებით მისაწვდომი ხდება. მწერალს კარგად აქვს გაცნობიერებული არა მხოლოდ ის, რა უნდა თქვას, არამედ ისიც, როგორ უნდა თქვას სათქმელი.

„პოეტიკის“ გავლენა ეტყობოდათ მილტონსა და დრაიდენს. არისტოტელეს ეხება იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“. „პოეტიკამ“ უდიდესი გავლენა მოახდინა აგრეთვე ლესინგის, გოეთეს, შილერის ესთეტიკაზე. ძნელია ნახოთ ხელოვნების თეორიის სფეროში ისეთი ნაშრომი, რომელიც გვერდს უვლიდეს „პოეტიკას“ [5].

სწორად ბრძანებდა თავის ერთ-ერთ ნაშრომში გ. კიკნაძე: რაგვარ სტილთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, მასში ჩანს მეტყველის რაობა, რაც მის სიტყვიერ შესაძლებლობათა სახით, მისთვის

დამახასიათებელი მეტყველების სახით ვლინდება [6]. ეს სწორედ ის არეალია, სადაც მ. ელიოზიშვილმა საკუთარი, ორიგინალური სამყარო შექმნა.

მრავალფეროვანი და საინტერესოა მ. ელიოზიშვილის თხზულებების პერსონაჟთა პალიტრა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. მიგვაჩნია, რომ მწერლის პერსონაჟთა გალერეის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არიან „ბებერი მეზურნეები“. ეს იმ მოთხრობათაგანია, რომელშიც თვალსაჩინოა წარმოდგენილი მ. ელიოზიშვილის პერსონაჟთა ხატვის სამწერლო მეთოდიკა და რომელმაც დასაწყისშივე ხალხის აღიარება და სიყვარული მოუტანა ავტორს.

მოთხრობაში ძალზედ ახლოსაა ზღვარი სინამდვილესა და ილუზიას შორის. მედოლე თედო, მეზურნე ბუთხუზა და მეგარმონე სოსა პირისპირ დგანან მკითხველთან და ემოციურ ზეგავლენას ახდენენ მასზე.

„ბებერ მეზურნეებში“ განსაკუთრებული ადგილი უკავია პორტრეტს. პორტრეტის ცნების განმარტებისათვის უნდა ითქვას, რომ სხვა ხერხებთან შედარებით იგი განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის პერსონაჟს. იმავე დროს ბუნების სურათების და საყოფაცხოვრებო პირობების აღწერილობასთან ერთად ნაწარმოებს აძლევს განსაკუთრებულ სიძლიერეს და გამომსახველობას. მწერალი პორტრეტს მხოლოდ იმ მიზნით კი არ იძლევა, რომ გვიჩვენოს, თუ ვისთან გვაქვს საქმე, არამედ იმისთვისაც, რომ აღნიშნოს, თუ როგორია ამ გარეგნობის მქონე პერსონაჟის შინაგანი სამყარო. ე.ი. გარეგნული თვისებები დახმარებას გვიწევს ხასიათის გაგებაში. ამით აიხსნება ის, რომ მწერალი ხშირად პორტრეტში ისეთ დამახასიათებელ ნიშნებზე მიუთითებს, რომლებიც რაიმე მხრივ შეესატყვისება მოქმედი პირის სულიერ თვისებებს, ე.ი. ხელს გვიწყობს პერსონაჟის შესწავლაში [7].

დასახელებულ თხზულებაში, მწერლის თვალს ყურადღების მიღმა არ რჩება პერსონაჟთა გრძნობების, განცდების და ემოციების წარმოდგენა, დახასიათება და ანალიზი. ფსიქოლოგიურ თავისებურებათა წარმოჩენის გვერდით საგანგებო ადგილი ეთმობა გარეგნული იერ-სახის ჩვენებასაც. ოსტატის ფაქიზი ხელით და იშვიათი სინაზითაა ნაძერწი თითოეული გმირის ნაკვთი, ჟესტიკულაცია, მიმიკა. ყოველი ქმედება და მოძრაობა ახსნილია პერსონაჟის შინაგანი სამყაროს გარკვეულ თავისებურებათა ჩვენებით, სულიერი მიზეზების გამომწვევებით.

მერაბ ელიოზიშვილის ამ მოთხრობის პერსონაჟები მეტად ცხოვრებისეულნი და რეალურნი ჩანან. ისინი წარმოდგენილნი არიან არა იზოლირებულად, არამედ სხვა პერსონაჟებთან და ზოგადად გარესამყაროსთან ორგანულ კავშირში.

ამდენად, ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი მ. ელიოზიშვილის პერსონაჟთა ხატვის პოეტიკაში, სხვა მხატვრულ საშუალებათა გვერდით, უკავია პორტრეტს. წარმოდგენილ პორტრეტებს ახასიათებთ მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური ნიშნები, რაც ბუნებრივად, მწერლის ფართო შემოქმედებით ფანტაზიაზე და საფუძვლიან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მიუთითებს.

პორტრეტული ხატვის ტრადიციად ჩამოყალიბება XIX საუკუნის კლასიკური ევროპული პროზის წიაღშია საძიებელი. როგორც პროსპერ მერიმე აღნიშნავდა: „დღეს ეს არის მთავარი ხერხი რომანის მწერლისათვის“ [8].

ასევე დიდი ილიასთვისაც – მწერლობა მხატვრობაა, ხოლო მისი თემა ადამიანი. როგორც ზემოთ მივუთითეთ, მ. ელიოზიშვილი „ბებერ მეზურნეებში“ ზედმიწევნით გადის ამ გზას. პერსონაჟების დახასიათება მათი გამოჩენისთანავე იწყება, მოგვიანებით კი მწერალი თითო-ოროლა შტრიხს მატებს მათ პორტრეტებს უფრო მეტი სრულყოფისათვის.

„ეჰ, გულგაუტეხლები იყვნენ, თორემა! - ბუთხუზას რაღა ბუთხუზა დაემახებოდა. სადღა ჰქონდა კვერცხასმული ნაზუქივით დაბრაწულ-დატიკნული ლოყები. ლოყების მაგივრად ახლა გაცრეცილი ცარიელი ქისებიღა ჩამოჰკონწილებოდა და ეს ქისებიც სანახევროდ მაშინაც კი ვეღარ ებერებოდა, როცა ძველი საბერველივით დაქიაქებული ბუთხუზას ფილტვები მთელი მოდომებით აქშუტუნდებოდა ხელმე“ [9].

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პორტრეტული სრულყოფისათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებანი, როგორებიცაა: ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება, გარეგნობა, ჟესტი და ა.შ. უნდა იყოს მწერლის მიერ მკაცრად მოტივირებული და შესატყვისი პერსონაჟის შინაგან ბუნებასთან.

პერსონაჟის პორტრეტულ სრულყოფას რამდენადმე ხელს უწყობს გმირის ასაკობრივი დახასიათებაც. მხატვრულ დამწერლობით ძეგლებში ასაკზე მსჯელობას უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა და პორტრეტის ძერწვისას გარკვეულ როლს, ფუნქციას ასრულებს [10].

„ბებერ მეზურნეებში“ გარკვეული ადგილი ეთმობა პერსონაჟთა პორტრეტის ელემენტების გადმოცემას ორიგინალური მხატვრულობით: „ადარე მედოლე თედოს ეთქმოდა მეზურნეზე ბევრად უკეთესობა. ძველისძველი დოლი ერთი ოთხგან მაინც ჰქონდა გაზზარული და სანთელწასმული. თითები ჯანდაბას, თითების მაგივრად დოლის ჯოხებს უფრო ხმარობენ მედოლეები, მაგრამ იმ ოხერა ქარებს ისე

შეეკარ-შეებორკათ თედოს გამომშრალი სახსრები, რომ აწევ-დაწევაზე სათონე ფიჩხივით გაჰქონდათ ლაწალუწი.

მეგარმონე სოსა კიდევ ივარგებდა რამეთა, მაგრამ გარმონი ლამის თავისავე ხნისა ჰქონდა. საკერებელზე კიდევ საკერებელი ედო და კოწიწზე კიდევ კოწიწი. რკინეულობის ნაწილებიც ისე ჰქონდა დაკოწიწებულ-დამუწუკებული, თითქოს ეს არის „ბატონები“ იხადა სოსას გარმონმაო“ [11].

სხვა პორტრეტულ საშუალებათაგან გამოყენებულია - ჟესტი.

„თითო ჭიქის შემდეგ, როცა დანასკვული ძარღვები აქა-იქ მაინც გაეხსნებოდათ და შემთბარი სისხლი საფეთქლებში შეულიტინებდა, საიდანაც გაჩნდებოდა დაკოწიწებული გარმონი, ხანებზე სანთელწასმული ძველი დოლი, ყამიშმოცვეთილი ზურნა და თვალზე ცრემლმომდგარი გოლა „ტანიანანი - ტინიანანი“ ძახილით, სკამიდან წამოუდგომლად, სასროლი ბადის თრევით დაგრძელებული მკლავების ფართხუნსა და კანწიკუნწს მოჰყვებოდა“ [12].

მწერალი საკმაოდ მუწწია პერსონაჟთა ჩაცმულობის დახასიათებისას. თუმცა, რაც არის, იმ რამდენიმე სტრიქონიდანაც ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ჩაცმულობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პერსონაჟთა სოციალური წრის და ბუნების წარმოსადგენად.

„სამივენი ტანმორჩილები იყვნენ. სამთავეს ძველებური, გახუნებული „კარტუზები“ ეხურათ, მაზუთანთ კაკას ნაკერი ცხვირამოკრული ჩუსტები ეცვათ და ალაგ-ალაგ საკაზმავარდნილი წვრილი ქამრები ჰქონდათ შემოჭერილი ფერდაკარგულ სატინის ხალათებზე...“ [13].

გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა მ. ელიოზიშვილის მიერ პერსონაჟთა ასაკობრივი დახასიათება. პერსონაჟთა ასაკზე აქცენტი კეთდება მათი გამოჩენისთანავე. მწერალი არ აკონკრეტებს „ბებერ მეზურნეთა“ წლოვანებას, მაგრამ მკითხველისათვის გარკვეული ცნობების მიწვდით მას ყოველთვის ეძლევა შესაძლებლობა თავისთვის საინტერესო პერსონაჟის ხნოვანების დასადგენად.

„ერთიმეორის კარის მეზობლები იყვნენ ძველ უბანში. დილით პირველი ბუთხუზა გამოიტანდა ხოლმე თავის გასიპულ სამფეხასა, ბუთხუზას დანარჩენებიც ამოუსხდებოდნენ აქეთ-იქიდან. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ითბობდნენ ბებერ, დაქარიანებულ ძვლებსა, ძველის მოგონებაში ჩაფლულები. ცოტა ხნის შემდეგ იმათი მეორე ნახევრებიც გამოხუსხუსდებოდნენ, თითო-თითო თაბახ მწვანილს წინ დაიდგამდნენ და მუშტრის მოლოდინში თავ-თავიანთი კაცების მასლაათს უგდებდნენ ყურსა. შებინდებისას ისევ აკრეფდნენ მთელი დღის მზით ოდნავ გამთბარ ძვლებსა, შეჭამანდის ნარჩენს მიირთმევდნენ, ზედ თითო პიტნის ჩაისაც დააყოლებდნენ - მარგებელიაო, და მერე კი მძინარაანთ მიაკითხავდნენ. დალოცვილი რამაა ძილი სიბერეში...“ [14].

მ. ელიოზიშვილი შეგნებულად არ აკონკრეტებს პერსონაჟთა ასაკს. მკითხველს უამისოდაც ექმნება ზუსტი წარმოდგენა ამ საკითხზე და დაკონკრეტებაც არაა საჭირო. იგი მხოლოდ საშუალებაა დასრულებული მხატვრული სახის წარმოსადგენად.

პერსონაჟის გარეგნობის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ავტორი ხშირად მიმართავს შედარებას, საიდანაც იკვეთება მწერლის დამოკიდებულება ნაწარმოების მთავარი გმირისადმი და ამასთან, ხელი ეწყობა მკითხველის ფანტაზიის განვითარებას. მხატვრულ ნაწარმოებში შედარების ელემენტი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ემოციური მხარის გაძლიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, შემფასებლური კომპონენტის შემცველიცაა. შედარებათა სწორი გააზრება გარკვეულწილად განსაზღვრავს მწერლის მხატვრული აზროვნების სამყაროს.

„დროსტარების მეორე დილას ჩვეულებრივ გვიან გამოვიდოდნენ ხოლმე მზეზე გასახუხად თვალბეშუპებული და თავქვეშნადები ტანისამოსივით დაჰმუქნულები. დიდხანს და უსიტყვოდ ამოქნარებდნენ“ [15].

გარეგნობაზე საუბრისას მ. ელიოზიშვილი აქცენტს აკეთებს პერსონაჟზე ასაკის მატებით გამოწვეულ ცვლილებებზე. მიუხედავად ამისა, ეს ვერ ცვლის მათზე თავდაპირველად შექმნილ წარმოდგენას, უბრალოდ, კიდევ ერთხელ, ახალი კუთხიდან შეხედვით ცდილობს პირველადი წარმოდგენის შენარჩუნებას.

„მერე სოსას ამბავიც ვიკითხე, თურმე სოსა ყოველდღე დადის მუსიკალურ სკოლაში. სასულე საკრავების კლასში საათობით რჩება და ყურს უგდებს ბიჭების მეცადინეობას. მერე თვლელა მოერევა სავარძელზევე ჩაეძინა და სძინავს თურმე, სანამ მეცადინეობა არ დამთავრდება.“

ბიჭებს დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ნეტავ რასა ხედავს საწყალი სოსა სიზმარში, სხვას რასა, თუ არა ბუთხუზას, თედოსა და თავისთავს ძველი ზურნით, დაბზარული დოლითა და დაკოწიწებული გარმონით ხელში...“ [16].

ამგვარი მიდგომით მოთხრობის ბოლოს მკითხველის წარმოდგენაში მწერალი კიდევ ერთხელ აცოცხლებს ბებერ მეზურნეთა თავდაპირველ სახეებს.

სახის გამომეტყველების წარმოდგენისას მწერლისთვის მეორეხარისხოვანია პირისახის დეტალური აღწერა, ძირითადი ადგილი ეთმობა სახის გამომეტყველების ზოგადი შტრიხით მეტყველი სურათის შექმნას, რთულ ფსიქოლოგიურ განცდას.

„უცხად ერთ-ერთი მაღაზიიდან გამოსულ „კარტუზიან“ ბებერს მოვკარი თვალი. პატარა ბებრული ნაბიჯებით წაცანცარდა და იქვე შორიახლოს ჩამოჯდა დამხობილ თუნუქის ქილაზე. მეც მიუახლოვდი.

გამარჯობა, მია სოსა, როგორ ხართ-მეთქი. სოსამ დაჩამიჩებული სახე ასწია, დამაშტერდა...“ [17].

მ. ელიოზიშვილის დასახელებული მოთხრობის თითოეული პერსონაჟის ჟესტი და პოზა ფრთხილადაა შერჩეული. მოცემულ სიტუაციაში გმირთათვის შესაფერისი, ტიპური და დამახასიათებელია.

პორტრეტის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა ჟესტი და პოზაა წარმოადგენს პიროვნებას, მის გარეგნობას. ხშირად პოზა ჟესტის შედეგია. ის პერსონაჟისათვის გარეგნული გამომსახველობითი თავისებურებაა.

„საცოდავი ფორთხვა-სვენებით სოსამ კიბე აათავა და მეორე სართულის დერეფნის კართან შეჩერდა. „კარტუზი“ მოიხადა, ჯიბიდან ჩვარი ამოიღო, ცახცახით მიისვ-მოისვა შუბლსა და თავ-პირზე, სული მოითქვა, მერე ისევ დაიხურა „კარტუზი“, ისევ მოიხადა. რაღაც მოკრძალება და დაზნეულობა ეტყობოდა“ [18].

მოთხრობაში ჟესტი პიროვნებასთან შესატყვისობაშია. იგი გარკვეული მნიშვნელობის და ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელია. პერსონაჟის თითოეული მოძრაობაც კი მწერლის მახვილი ხედვის არეალშია მოქცეული.

წარმოდგენილი მოთხრობა კომპოზიციურად შეკრული ნაწარმოებია, თხრობის დინამიური განვითარებით. მ. ელიოზიშვილის მხატვრული ოსტატობის ორიგინალურობა ძირითადად პერსონაჟთა პორტრეტების ძერწვის მანერაში ვლინდება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ბებერ მეზურნეებში“ პორტრეტი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა პერსონაჟთა მხატვრული სახის შესაქმნელად.

მ. ელიოზიშვილის ფართო ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება განაპირობებს მდიდარი შემოქმედებითი მასალის დაგროვებას. მის მიერ ოსტატურადაა ნაძერწი მედოლე თედო, მეზურნე ბუთხუზა და მეგარმონე სოსას სახეები. პერსონაჟთა ხასიათები გახსნილია კარგად დაგეგმილ და მოფიქრებულ სიტუაციებში. ავტორის მიერ მომდგენილი კოლორიტული ნიშან-თვისებები შთამბეჭდავად ვლინდება პერსონაჟთა პორტრეტებში, ჟესტიკულაციაში, მოქმედებებსა და მეტყველებაში. მწერლის ორიენტირია გმირის ხასიათში ნიუანსებამდე წვდომა. ენა - ორიგინალური, ფერადი და მსუყეა. დინამიურად განვითარებულ მსჯელობაში წარმოდგენილი სურათები, მოქმედებანი გამდიდრებულია მხატვრული წარმოსახვით.

ამრიგად, მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობაში „ბებერი მეზურნეები“ ნათლად იკვეთება მწერლის მხატვრული ოსტატობა, პერსონაჟთა ძერწვის თავისებურებათა სიმრავლე, ხატვის ორიგინალურობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პორტრეტს. ვლინდება მჭიდრო კავშირი პერსონაჟის ხასიათთან. აქცენტირებულია, როგორც ადამიანის გარეგნული, ისე ფსიქოლოგიური დახასიათების შემოქმედებითი საშუალებანი, აქტიურადაა წარმოდგენილი ისეთი პორტრეტული საშუალებები, როგორებიცაა ჟესტი, მიმიკა, ჩაცმულობა, ემოცია და ა.შ.

მწერალს უნდა ჰქონდეს იდეა, მაგრამ იდეის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის გამარჯვებას. ილიას აზრით, საჭიროა ეს იდეა შეიჭრას ხალხში, მონახოს თავისი ადგილი, იქცეს რეალურ ძალად [19].

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მერაბ ელიოზიშვილის თხზულებები ღრმად გაითავისა ხალხმა, იქცა ანგარიშგასაწევ ძალად და საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი თანამედროვე ეროვნული მხატვრული ლიტერატურის ავანგარდში.

ლიტერატურა:

1. ლ. ჭილაძე, მე ნახევრად გაჭრილს ვგავარ, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2005, №3, გვ. 3;
2. ლ. ჯიყაშვილი, ვინ ვარ მე? ისევ ჯაჭვით მიბმული ძალღი ვარ!, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2005, 7-13/III, გვ. 16;
3. ლ. ბრეგაძე, ასე წერს, გაზ. „სიტყვა ქართული“, 1994, №8, გვ. 2;
4. არისტოტელი, პოეტიკა (წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარიები პროფ. ს. დანელიასი), თბილისი, 1944;
5. გ. ჯიბლაძე, მხატვრული შემოქმედების ნარკვევები, თბილისი, 1946, გვ. 191;
6. გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 32;
7. ო. დოლაბერიძე, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1957, გვ. 74;
8. პრ. მერიძე, შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა, (თარგმ. ა. ჭუმბაძისა), თბილისი, 1960, გვ. 84;
9. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 8;

10. ფ. ზანდუკელი, მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში, თბილისი, 1985, გვ. 59;
11. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 8;
12. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 9;
13. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 8;
14. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 9;
15. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 9;
16. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 16;
17. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 14;
18. მ. ელიოზიშვილი, ბებერი მეზურნეები, თბილისი, 1968, გვ. 15;
19. გ. ჯიბლაძე, მხატვრული შემოქმედების ნარკვევები, თბილისი, 1946, გვ. 204;

Aleksandre Mgebrishvili

Gori State Teaching University

POETICS OF DRAWING LITERARY CHARACTERS ACCORDING TO “THE OLD ZURNA PLAYERS” BY MERAB ELIOZISHVILI RESUME

The name of the contemporary writer and actor – Merab Eliozishvili has organically become related to the city of Tskhinvali. For his works he is among the avant-gardist Georgian writers.

The writing technique of M. Eliozishvili is highly characterful and original. His style and language is perfect Georgian. A reader does not need much time to get the clear images from the author and he or she moves off-handedly to those positions and views the writer maintains. In this case the writer’s method of approach is practical, like Aristotle’s. We mean the system of various means of reader’s persuasion.

With the help of graceful and exquisite expressions the concept is much more attainable. The writer knows not only what to say but how to say it.

The gamut of characters of Merab Eliozishvili’s works is also various and interesting. We think that one of the best representatives of writer’s characters is “The Old Zurna Players” (zurna – an oriental musical instrument). This is the story which clearly demonstrates the writing methods of drawing literary characters. The author also gained a wide recognition and people’s love after this story.

In the forenamed work the author gives equal attention to representation, definition and analyses of characters’ feelings and emotions. Besides presenting the psychological characteristics of the characters, special attention is given to the outward images. Every feature, gesticulation or body language, every action and movement of the characters are done by master’s rare handiness and delicacy.

The characters of this story seem very real and lifelike. They are not represented isolated but together with the other characters and generally, in communication with the outer world.

So, portrait occupies one of the special places in Merab Eliozishvili’s poetics. The presented portraits clearly express individuality which shows the author’s a wide range of creative imagination and his thorough life experience.

The presented story is compositionally cohesive work with dynamic development of narration. The originality of M. Eliozishvili’s artistic excellence is shown in creation of portraits of his literary characters. We can convincingly say that portrait is one of the main means of expressing artistic images in “The Old Zurna Players”.

Thus, the artistic excellence, multiplicity of peculiarities of characters’ modeling and originality of drawing of Merab Eliozishvili are clearly shown in his story “The Old Zurna Players”. Special emphasis is given to portrait and the close connection to the character’s nature is revealed there. The accent is not only on the outer image of the character but on its psychological features as well. Portrait techniques such as gesture, body language, clothes, emotion and others are widely represented there.

ქართველ მწერალთა ბრძოლა ორენოვნების ფსევდომეცნიერული თეორიის წინააღმდეგ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად გატარებული ანტიეროვნული პოლიტიკა, რომლის უმთავრეს მიზანს საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა რუსიფიკაცია წარმოადგენდა, ენობრივი თავისუფლების წინააღმდეგაც იყო მიმართული. იმპერიის უმაღლესი ხელისუფალნი თუმცა შენიღბულად, მაგრამ მაინც ცხადად და აშკარად, ცდილობდნენ არარუსულ ენათა გამოყენების არეალის შემცირებასა და უფლებრივი თვალსაზრისით საშინაო ენებამდე მათ ფაქტობრივ დაყვანას.

იმპერიული ხელისუფლების ამგვარი მმართველობითი პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა კომუნისტური პარტიის მიერ მიღებულ საპროგრამო დადგენილებებსა და დირექტიულ გადაწყვეტილებებში უკვე ოფიციალურად იყო დეკლარირებული, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა ერთობლივი თანაცხოვრებისა და ერთმანეთთან დაახლოების შედეგად ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა.

იმჟამინდელი რეალობის არსში გარკვეული მკითხველი, ვფიქრობ, ყოველგვარი არგუმენტების მოშველიების გარეშეც დამეთანხმება იმაში, რომ სიტყვები: საბჭოთა და რუსი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სინონიმური მნიშვნელობის მქონე ცნებებს წარმოადგენდა და საბჭოთა ხალხი ფაქტობრივად რუს ხალხთან გაიგივებული ცნება იყო. იმპერიული ხელისუფლების მესვეურები ამგვარი სიტყვიერი მანიპულირებით მათ მიერ მიზანმიმართულად გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკის შენიღბვას ცდილობდნენ.

ასეთ ვითარებაში არარუს ხალხთა ენობრივი დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, ახალი რეალური საშიშროების წინაშე დადგა, რასაც არარუს ხალხებს შორის მეტ-ნაკლები ძალით გამოხატული საპროტესტო რეაქცია მოჰყვა. კერძოდ, თუ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში შემავალ იმ რესპუბლიკათა მოსახლეობის დიდი ნაწილი, სადაც რუსიფიკაციას განსაკუთრებით დიდი მასშტაბები ჰქონდა შეძენილი (მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკები, ბელორუსია, უკრაინა), ამ მოვლენის მიმართ მაშინ ნაკლებად ოპოზიციურ დამოკიდებულებას იჩენდა, საქართველოს, სომხეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოსახლეობის უმეტესობა იმპერიული ხელისუფლების ამგვარ ქმედებას, რამდენადაც იმხანად არსებული ვითარება ამის შესაძლებლობას იძლეოდა, აშკარად დაუპირისპირდა.

ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მოსკოვი მაშინ საქართველოში წააწყდა და მშობლიური ენის აქტიურად დამცველის როლში საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში მდგარი მაღალჩინოსანი პარტიული მუშაკებიც კი გამოდიოდნენ. ნათქვამის დასტურად აქ იმხანად ფართოდ გახმაურებულ ერთ მოარულ ამბავს გავიხსენებ: შუა აზიის ერთ-ერთ ქალაქში გამართულ მწერალთა საკავშირო შეკრებაზე, სადაც ე. წ. საბჭოთა მწერლობის ორენოვნებასთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავდნენ, მოსკოველი ლიდერები და მათი სატელიტები იმის მოწოდებით გამოდიოდნენ, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მწერლებს გარდა მშობლიური ენისა, ნაწარმოებები რუსულ ენაზეც რომ ეწერათ.

ქართველ მწერალთაგან შეხვედრას საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი მდივანი ბესარიონ ჟღენტისც ესწრებოდა, რომელიც ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით შინაურებში თურმე ასეთ ამბავს ყვებოდა: შესვენების დროს მას ერთი შუაზიელი კოლეგა გასაუბრებია და უკითხავს, ბესარიონ დავიდოვიჩ, თქვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ძირითადად რომელ ენაზე მიმდინარეობსო. რა თქმა უნდა, ქართულადო! – უთქვამს ბატონ ბესოს. – როგორ ჩამორჩენილხართ, ჩვენთან უკვე ყველაფერი რუსულად ისწავლებაო, – სიამაყით აღუნიშნავს მოსაუბრეს. – ხედავთ, კაცო, რაში ხედავს ჩამორჩენილობას ეს ადამიანიო?! – ამბობდა თურმე ამ ამბით გაოცებული ბატონი ბესარიონი.

მშობლიურ ენათა დასაცავად ბ. ჟღენტს იმ შეხვედრაზე მგზნებარე სიტყვაც წარმოუთქვამს და ორენოვნების ფსევდომეცნიერული თეორია ამგვარად გაუკრიტიკებია: – ღმერთმა ნუ მოგვასწოროს იმ

დროს, როცა რუსი ადამიანი პუშკინის შემოქმედებას მშობლიურ რუსულ ენაზე ვეღარ წაიკითხავს! ასევე ღმერთმა ნუ მოასწროს ქართველი კაცი იმ დღეს, როცა იგი რუსთველისა თუ სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებას მშობლიური ქართული ენის ნაცვლად სხვა ენაზე დაუწყებს კითხვას!

წინამდებარე ნაშრომის დაწერის საფუძვლად ქცეული ორენოვნების ფსევდომეცნიერული თეორიის მიზანდასახულობაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ორიოდე სიტყვით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი უმთავრესი არსი. გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში ფართოდ აფიშირებული ამ ფსევდოთეორიის მიმდევარნი მოითხოვდნენ, არარუს მწერლებსა და მეცნიერებს თავიანთი ნაწარმოებები და ნაშრომები არა მარტო მშობლიურ ენაზე ეწერათ, არამედ რუსულადაც, რათა მათი ნააზრევნი შეუზღუდველად ყოფილიყო ხელმისაწვდომი მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველისათვის. მათი მტკიცებით, ამის გაკეთება პირველ ყოვლისა თავად არარუსი ხალხების კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაციისთვის იყო საჭირო და აუცილებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფსევდომეცნიერულმა თეორიამ მაშინ რეალური გავრცელება ხელისუფლებისათვის სასურველი მასშტაბებით ვერ შეძლო, მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ და არარუს მწერალთა არაერთმა წარმომადგენელმა მართლაც დაიწყო თავისი ნაწარმოებების რუსულ ენაზე წერა. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი ჩინგიზ აიტმატოვიც იყო, არა მარტო ყირგიზული ლიტერატურის დიდი წარმომადგენელი, არამედ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალიც.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის გაგრძელებამდე მკითხველის ყურადღება აქ ჩვენი დღევანდელი ყოფის ერთ უაღრესად მტკივნეულ პრობლემასაც მივნიშნავთ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ცენტრალური ხელისუფლების მაშინდელ მცდელობას, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში ისედაც ფართოდ დამკვიდრებული ორენოვნებისთვის მეტი მასშტაბები მიეცა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მკვეთრი საპროტესტო რეაქცია მოჰყვა.

ასეთივე წინააღმდეგობას წააწყდნენ ხელისუფლების მესვეურები გასული საუკუნის 70-იან წლებშიც, როცა დააპირეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში ცალკეული საგნების სწავლება რუსულ ენაზე განხორციელებულიყო. პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა მაშინ ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა გასწიეს, რომ მთავრობა იძულებული გახდა ამ განზრახვაზე ხელი აეღო.

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ დღესდღეობით ვითარება არსებითად იცვლება და იმას, რის გაკეთებასაც იმპერიის უმაღლესი ხელისუფალნი მაშინ ძალდატანებით ცდილობდნენ, დღეს უკვე თავად ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი სხვათა დაუძალებლად და საკუთარი ნება-სურვილით აკეთებს. კერძოდ, რუსულ ენას ჩანაცვლებული ინგლისური ენა ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში დღითიდღე იმდენად ფართოდ მკვიდრდება, რომ ქართულ ენას, ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რეალურად ემუქრება ე. წ. ღარიბი ნათესავის როლში გამოსვლა. მშობლიური ენის ლექსიკური ფონდიც მეტისმეტად დანაგვიანდა მასმედიის მეშვეობით გავრცელებული უცხოური (პირველ ყოვლისა ინგლისური) სიტყვა-გამოთქმებით; ახალგაზრდა მუსიკოსთა და მომღერალთა დიდი ნაწილი კი ქართულ სიმღერებს ინგლისურენოვანს არჩევს და ა. შ.

ერთი სიტყვით, თუ ესოდენ მასშტაბურად მიმდინარე ამ მოვლენის რეალურ შედეგებს დროულად არ გავაცნობიერებთ და კვლავაც ამ გზით გავაგრძელებთ სვლას, მაშინ ჩვენს ენას ჩვენ თვითონვე შევუკვეცავთ სამოქმედო არეალს და რეალურად შევქმნით ნიადაგს საოჯახო ენად მისი გადაქცევისთვის.

აქვე დაბეჯითებით იმასაც ვიტყვი, ჩემი ეს სიტყვები ვინმემ ისე არამც და არამც არ უნდა გაიგოს, თითქოს ამით ინგლისურის (საერთოდ, რომელიმე უცხო ენის) შესწავლის წინააღმდეგ გამოვდიოდე! რასაკვირველია, არა. დღევანდელ ვითარებაში ამგვარი რამის არა თუ გაკეთება, არამედ გაფიქრებაც კი უდიდესი შეცდომა და ყოვლად გაუმართლებელი ამბავი იქნებოდა. მსოფლიოში მოვლენები დღესდღეობით იმგვარად ვითარდება, რომ იზოლირებულად ცხოვრება ნებისმიერი ქვეყნისთვის დამღუპველია. გარესამყაროსთან კავშირ-ურთიერთობის შეუზღუდველად დასამყარებლად კი უცხო ენების (მათ შორის, პირველ ყოვლისა, ინგლისურის) ცოდნას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

თუმცა საკმაოდ არც ისაა, ეს ყველაფერი მშობლიური ენის უფლებათა შეზღუდვისა და ხელყოფის გზით არავითარ შემთხვევაში რომ არ უნდა მოხდეს.

ძირითადი საკითხიდან ამ პატარა გადახვევის შემდეგ კვლავ გავაგრძელოთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ე. წ. ორენოვნების ფსევდომეცნიერული თეორიის შესახებ მსჯელობა. იმის ილუზიის შესაქმნელად, აღნიშნული ინიციატივა თითქოსდა თავად ეროვნულ

უმცირესობათაგან რომ მოდიოდა და არა ცენტრალური ხელისუფლებისგან, ხსენებული “თეორიის” პროპაგანდისტთა როლში პირველ ყოვლისა სწორედ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები: აგაევი და ხანაზაროვი მოგვევლინენ. მაგალითად, ხ. ხანაზაროვი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მშობლიური ენისადმი გადამეტებული სიყვარული შესაძლოა თავისებურ ბარიერადაც კი ქვეულიყო ინტერნაციონალიზმის დამკვიდრების გზაზე (Теоретические вопросы социалистического интернационализма. Институт АН СССР, 1968, выпуск IV, стр. 44).

ხ. ხანაზაროვის მიერ გამოთქმული ეს ყოვლად უსაფუძვლო შეხედულება იმთავითვე გახდა მკაცრი კრიტიკის საგანი. მაგალითად, მოსკოვში მოღვაწე ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ გ. ლომიძემ, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეცნიერული ნააზრევია აშკარად იყო შებოჭილი საბჭოური იდეოლოგიური პრინციპებით, ხანაზაროვის აღნიშნულ მოსაზრებას ასეთი შეფასება მისცა: ხ. ხანაზაროვის “მსჯელობათა ლოგიკით ისე გამოდის, თითქოს მშობლიური ენისადმი სიყვარული ადამიანურ ურთიერთობათა უმაღლეს სულიერ სფეროში, ინტერნაციონალიზმის სფეროში შეღწევის ფსიქოლოგიურ ბარიერსაც კი წარმოადგენს. მშობლიური ენისადმი, ეროვნული მონაპოვრებისადმი სიყვარულის შენელებამ, ერის პირველსაფუძვლისადმი – ენისადმი ნეიტრალიტეტის გამომუშავებამ, ალბათ, ტრამპლინის როლი უნდა შეასრულოს ინტერნაციონალიზმის მწვერვალების გადალახვის საქმეში. დღესაც კი გვხვდებიან იმ თვალსაზრისის მომხრენი, რომლის მიხედვითაც საკუთარი ეროვნული დამწერლობის შეცვლა სხვა ხასიათის დამწერლობით, კერძოდ, რუსულით, თავისთავად უკვე მომწიფებული შეგნებული ინტერნაციონალიზმის აუცილებელი ნიშანია. ეს პრიმიტიული, ვულგარული წარმოდგენა ინტერნაციონალიზმზე” (გ. ლომიძე, საბჭოთა ლიტერატურის თეორიული პრობლემები, 1977 წ. გვ. 117).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ორენოვნების ზემოთ ხსენებული ფსევდომეცნიერული თეორიის, როგორც საბჭოთა ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმის, წინააღმდეგ იმთავითვე აღიმადღეს ხმა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა, მათ შორის მწერლებმაც. მაგალითად, 1971 წელს გამართულ ქართველ მწერალთა მეშვიდე ყრილობაზე გამოსვლისას ბ. ჟღენტმა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დროს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ყოველ ჭეშმარიტ მამულიშვილს აკისრია მშობლიური ენის დაცვის საქმეში. “თანამედროვე ქართული პოეზიის უპირველესი და ყველაზე კეთილშობილური ამოცანაა, – განაცხადა მან, – უკომპრომისო ბრძოლა მშობლიური ენის, ჩვენი დედაენის ამაღლებისა, გამდიდრებისა და გამშვენიერებისათვის. პოეტური შემოქმედების მაგალითზე განსაკუთრებული სიცხადით მტკიცდება ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი მხატვრული ღირებულებანი მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე, მშობლიური კულტურის წიაღში შეიძლება აღმოცენდეს. ჩვენ კვლავაც გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ეროვნული ენებისა და ეროვნულ კულტურათა გათქვეფრისა და ნიველირების ყალბ, ვულგარიზატორულ “თეორიებს” (ბ. ჟღენტი, მწერლობა და თანამედროვეობა, წიგნი პირველი, 1976 წ. გვ. 663).

ორენოვნების ფსევდომეცნიერული თეორია იმხანად შექმნილ პოეტურ ნაწარმოებებშიც იქცა მძაფრი კრიტიკული განსჯის საგნად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მუხრან მაჭავარიანის ლექსი “რაშია საქმე?” როგორც ლექსისთვის წამდგარებული ავტორისეული წინათქმიდან ვგებულობთ, ეს ნაწარმოები პოეტმა იმათ საპასუხოდ დაწერა, “ერთს ქადაგებს ვინცა ვინ ენას.” ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდების გახსენების საფუძველზე მ. მაჭავარიანი შემდეგნაირად გმობს და აკრიტიკებს ზემოთ ხსენებულ “თეორიას” (მ. მაჭავარიანი, ლექსები, 1976 წ. გვ. 108):

კი მაგრამ... ღმერთი აღარაა?! ბნელა?! –
ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი ჰგონია ენა?!
ვინმემ, არცაა გასაკვირი, – არც იცის იქნებ,
ქრისტეს შობამდე რომ შეიქმნა ქართული წიგნი.
არა! ეს ასე რომ არ იყოს, კიდევ – ხო, – მარა!
– ასე რომ არის?!
არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მე მგონი, ცოტა,
არც იმას, – წერდნენ რა ენაზე ვაჟა და შოთა!
კრწანისის მიწად, ასპინძის მიწად,
დიდგორის მიწად, მარაბდის მიწად, –
განა ქართველი არა ერთი იმიტომ იქცა, –
ქართულს ნატრობდეს დღეს ქართლი სიტყვას?”

ის ფაქტი, რომ ქართული ენის ხოტბა-განდიდების ტენდენცია და მისი უფლებების ხელმყოფთადმი უკომპრომისოდ კრიტიკული დამოკიდებულება მ. მაჭავარიანის საბჭოთა პერიოდის

შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად არის დამკვიდრებული, არსებითად განაპირობა იმჟამინდელი იმპერიული ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად გატარებულმა რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ. ამ თვალსაზრისის დასტურად მკითხველს აქ ფართოდ პოპულარულ იმ ლექსსაც შევახსენებ, რომელიც პოეტმა ქართული ენის არმცოდნე ბავშვებს მიუძღვნა.

როგორც ავტორი ამ ლექსისთვის წამდღვარებული წინათქმით გვამცნობს, მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში სტუმრობის დროს მას იქ ისეთი ქართველი ბავშვები უნახავს, რომელთაც სიტყვაც კი არ ცოდნიათ ქართული. სწორედ ამ ამბით უსაზღვროდ აღშფოთებულს დაუწერია მას ეს ლექსი, რომელშიც მშობლიური ენისადმი ამგვარი დამოკიდებულების სამწუხარო შედეგი ასეა დაგმოხილი:

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს.
ვინც არც იცის და არც უნდა იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად, არც სხვისი ესმის ქართული.
განა იმისთვის იბრძოდნენ წარსულში მამა-პაპანი, –
დღეს შვილმა აღარ იცოდეს სისხლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი ფერეიდანში ფანდურით;
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა, ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა როცა ამდენი ქართველი?!

მ. მაჭავარიანი გამონაკლისი არ ყოფილა და ქართული ენის უფლებათა დასაცავად და განსამტკიცებლად საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ყველა ჭეშმარიტი ქართველი მწერალი იბრძოდა და იღვწოდა მეტ-ნაკლები აქტიურობით.

როგორც ითქვა, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქართული ენის კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივ უფლებათა დამცველ პატრიოტებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ, რომელიც ფაქტობრივად საბჭოთა რეჟიმის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ვლინდებოდა მეტ-ნაკლები მასშტაბებით, განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. ეს იყო მძაფრად გამოხატული უკურეაქცია იმ ანტიეროვნული პოლიტიკისა, რომლის გატარებასაც ხელისუფლების მესვეურები იმპერიის სათავეში ნ. ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ ცდილობდნენ განახლებული ძალით.

საბჭოთა კავშირის ეს ახალი საკეთმპყრობელი ამ ანტიეროვნული პოლიტიკის შენიღბვას, მართალია, სტალინისა და მისი პიროვნების კულტად ქცევის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმით ცდილობდა, მაგრამ ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ბევრი სულ მალე დარწმუნდა იმაში, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ სტალინური დიქტატურის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული. სინამდვილეში მის უმთავრეს მიზანს იმპერიის ტახტზე ასული ახალი დიქტატორის უფლებათა განმტკიცება და არარუს ხალხთა ეროვნული სუვერენიტეტის კიდევ უფრო მეტად შეზღუდვა წარმოადგენდა.

იმჟამინდელი ვითარების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ ირავალი აბაშიძის მოგონების ერთი ფრაგმენტი მინდა დავიმოწმო, სადაც ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით პოეტი ასეთ რაიმეს იხსენებს: “გადაჭარბებულად და კვებით არ ვიტყვი, მაგრამ როგორც ჩანს, საჭიროა ერთხელ კიდევ ხმამაღლა ვთქვა – ჩვენ იმ წლებში ქართულ კულტურაში ზოგი რამ სასიკეთო ნამდვილად მოვასწარით (მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე პიროვნების კულტის გამომჟღავნების შემდეგ პირადად ჩემთვის ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა და მეც იქვე განვსაზღვრე ჩემი შემდგომი სიცოცხლის და შემოქმედების აზრი. დიახ, სწორედ იქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი პერიოდი, ახლებურად გააზრებული გზა, რომელსაც მე “რუსთაველის ნაკვალევზე” დავარქვი და საიტკენაც მე ჩემი პოეტური კალმით მოვუწოდე ჩემს მკითხველს და მთელ ჩემს ქვეყანასაც. ეს გახდა ჩემი ერთადერთი იდეური მრწამსიც, ჩემი პოლიტიკური პარტიაც). მოვასწარით სწორედ ქართული, დიდი ქართული საქმეების გაკეთება” (“მნათობი,” 1992 წ. №1, გვ. 133).

ვფიქრობ, დამოწმებულ ფრაგმენტში ირ. აბაშიძემ არა მარტო პირადად მისი შემდგომდროინდელი მოღვაწეობისთვის სტიმულის მიმცემი უმთავრესი ძალის არსი განსაზღვრა სავსებით სწორად და მართებულად, არამედ იმხანად მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა დიდი ნაწილისაც. თავად პოეტის თქმით, მისთვის პირველ ყოვლისა სწორედ ეს მოვლენა გამხდარა უმთავრესი შემოქმედებითი იმპულსი რუსთაველისადმი მიძღვნილი პოეტური ციკლების (“რუსთაველის ნაკვალევზე” და “პალესტინა, პალესტინა!”) შექმნისა.

არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ პალესტინური ციკლის აღმსარებლურ მონოლოგებში, რომელთაც გარდაცვალების წინ წარმოათქმევინებს ჩვენს დიდ წინაპარს პოეტი, ქართული ენისადმი აღვლენილ ხოტბასაც დაეთმო გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი. მშობლიური ენის ამ პოეტური აპოლოგიით ირ. აბაშიძემ კიდევ ერთხელ გამოხატა ის განსაკუთრებული სიყვარული, რაც ქართველი კაცის სულისა და გულის სისხლხორცეულ ნაწილადაა ქცეული. მაგალითად (ირ. აბაშიძე, რჩეული, 1989 წ. გვ. 189):

თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა, უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო...
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო,
ქვესკნელში მძვრომო, ცაში მჭვრეტელო,
ხან – ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო,
შენ აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის...
იბერის ენავ, ენავ თამარის...

მართალია, ქართული ენისადმი ამგვარი სიყვარულისა და სახოტბო დამოკიდებულების გამომხატველი ნაწარმოებები საანალიზო პერიოდში მოღვაწე სხვა მწერლებმაც საკმაოდ მრავლად შექმნეს, მაგრამ მათი კონკრეტული განხილვისაგან ამჯერად თავს შევიკავებ.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ნაწარმოებებში გამოვლენილი მძაფრად ემოციური პატრიოტული მუხტი, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, არსებითად განმსაზღვრელი კატალიზატორი გახდა საბჭოთა კავშირის იმპერიაში 1978 წლის 14 აპრილს მომხდარი უპრეცედენტოდ გრანდიოზული იმ მოვლენისა, რომლის დროსაც ქართული ენის კონსტიტუციურ უფლებათა დასაცავად ფაქტობრივად მთელი ქართველი ერი ამხედრდა. ამ საყოველთაო პროტესტს კი ის შედეგი მოჰყვა, რომ მოსკოვმა სასურველი მიზნის მიღწევა ვერ შეძლო და არა მარტო ქართულმა ენამ შეინარჩუნა კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება საკანონმდებლო დონეზე, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ენებმაც.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი., რჩეული, თბ., 1989.
2. აბაშიძე ი., ზარები ოცდაათიანი წლებიდან, იხ: ჟურნ. “მნათობი,” 1992, №1.
3. ლომიძე გ., საბჭოთა ლიტერატურის თეორიული პრობლემები, თბ., 1977.
4. მაჭავარიანი მ., ლექსები, თბ., 1976.
5. ჟღენტი ბ., მწერლობა და თანამედროვეობა, წიგნი პირველი, თბ., 1976.
6. Теоретические вопросы социалистического интернационализма, Институт АН СССР, 1968, выпуск IV.

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University

BATTLE OF GEORGIAN WRITERS AGAINST THE BILINGUAL PSEUDO-SCIENCE THEORY IN 60s AND 70s OF 20th CENTURY RESUME

In 60s and 70s of 20th century russification policy was intensified for non Russian citizens living in Soviet emperor. Soviet ideologists considered bilingual theory on the level of scientific theory. There were many important speeches against this pseudo scientific theory on different Soviet forums and in Soviet and republic press. Many interesting works were created to protect the mother language (by M. Matchavariani, I. Abashidze etc.). In these works strong spirit was displayed which appeared to be crucial to the way of successful completion of events in April, 1978.

ტოპონიმიკურ-ლინგვისტური ტერმინები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მიხედვით

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და გავრცელების სათავეში იდგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მათი თანამებრძოლები. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც თავისი სახელმძღვანელოებით უდიდესი როლი შეასრულა მშობლიური ენის გამდიდრება-განვითარების საქმეში. მან თავის სახელმძღვანელოებს ენციკლოპედიური ხასიათი მისცა, რითაც პატარა ქართველები ეცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას. ეს იყო რეალური მეთოდი, განათლება მშობლიურ ენაზე, რაც რუსიფიკატორების გაცოფებას იწვევდა.

ყოველივე ეს იყო სალიტერატურო ქართულის ფორმირების საქმე, დედაენის ეროვნული ძალა, რასაც იაკობი ეროვნების მთავარ ბურჯად მიიჩნევდა.

ი. გოგებაშვილი თავის საპოლემიკო წერილებში არაერთგზის გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ იჩაგრებოდა ქართული ენა: „ქართული ენა ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს, ამიტომ ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ღატაკი და დღენაკლულ არსებას მოგაგონებთ (ი. გოგებაშვილი, გვ. 361).

ამ მიზნით დიდი პედაგოგი ყოველთვის ცდილობდა მოზარდებისათვის მიეწოდებინა ფაქტები, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს უკავშირდებოდა. უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით მან მხატვრულ ფერებში მოგვცა ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი. ქართველი ხალხის ცხოვრების კრიტიკულ-რეალისტური ასახვა საფუძვლად დაედო იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მხატვრულ-ლიტერატურულ შემოქმედებას. ასეთი ტიპის ლიტერატურა რაიმე ფოტოფირი კი არ არის, არამედ უდიდესი ბრძოლის იარაღია, რომელმაც იდეური ზეგავლენა უნდა მოახდინოს და ხალხს უჩვენოს სახელმძღვანელო პრინციპები. იგი სამართლიანად აღნიშნავდა: „მე ვგონებ, რომ ჩემს გულისწადილს, მიზანს მივაღწიე, რამდენადაც ეს შეიძლებოდა და არაფერი ვსთქვი იმისთანა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტებს, ქართულს ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტულ შესაძლებლობას (თხზ. ტ. III).

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი მშობლიური ენის წინაშე იმაში გამოიხატება, რომ თავის სახელმძღვანელოებში გაშლილია ქართული ენა მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მომხიბლაობით.

მისი სახელმძღვანელოების მრავალფეროვანი შინაარსი განსაკუთრებით ფასეულია ჩვენი ენის მდიდარი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალის გამოსავლენად და შესათვისებლად.

ამჯერად შევჩერდებით დიდი პედაგოგის მნიშვნელოვანი შრომის განხილვაზე, რომლის სათაურია „ეთნოგრაფიული ნაწარმოებები, საქართველო და მისი ნაწილები“. აღნიშნული ნაშრომი მოთავსებულია მოზრდილ კრებულში სათაურით „საგანძური“. მეორე არის იაკობის „საბუნებისმეტყველო მოთხრობები“, წიგნი პირველი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ცნობილმა მეცნიერმა ვალერიან რამიშვილმა 1975 წელს.

გოგებაშვილის აღნიშნულ თხზულებებში ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული ტერმინები, ტოპონიმები ამ სახელწოდებებში ჩადებული შინაარსით. ეს კი გულისხმობს წარსულის სიღრმეში წვდომას. იაკობის მიერ მოთხრობილი ქართველთა ეთნო-ლინგვისტური სახელწოდებანი ობიექტურად არის გადმოცემული ჩვენი ხალხის, ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზი. იაკობის მიერ გადმოცემული ცნობები ზოგადი ხასიათისაა, რასაც თავის დროზე და ახლაც დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს იმიტომაც, რომ დედაენის ავტორის თხზულებანი უკვე უბრუნდება სკოლას, რაც ყველას გულს სიხარულით აღავსებს.

ჩვენ შევეცადეთ დინამიკაში წარმოგვეჩინა იაკობ გოგებაშვილის რამდენიმე ლინგვისტური ტერმინი.

„საგანძურის“ 261-ე გვერდზე მოთავსებულია სტატია სათაურით „ქართლი“. იაკობი წერს: „ლიხის მთიდან აღმოსავლეთისაკენ, არაგვამდე გაჭიმულია ერთი, ვეებერთელა გრძელი ველი, რომელიც სავსეა ქართლის სოფლებით. თრიალეთის მთა ქართლს ორ ნაწილად ჰყოფს: ჩრდილოეთის მხრივ საკუთრივ

ქართლი ძვეს, სამხრეთით ზემო ქართლი, ანუ ახალციხეს მხარე და ჯავახეთი. წინა საუკუნეებში საკუთრივ ქართლს ერქვა ქვემო ქართლი, ახალციხის მხარეს და ჯავახეთს - ზემო ქართლი, ხან მესხეთი და საათაბაგო.“

როგორც იაკობი აღნიშნავს, სახელწოდება ქართლი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხარეს ერქვა განსხვავებული მხარეების მიხედვით. იგი რთული სემანტიკის მქონეა, რომელსაც სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა. გამოიყენებოდა როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით. ასეთი დაყოფა განპირობებული იყო ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით.

ქრონიკაში „ყოველთა ქართველთა“ სახელმწიფოს სახელია ქართლი.

ლეონტი მროველის მიხედვით ქართველთა ეთნარქი, მამამთავარი იყო ქართლოსი, რომლისგანაც ქართველები წარმომავლობენ. ის შვილი იყო თარგამოსისა, რომელიც იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისა, ძისა ნოესი (ქვ. 1955.3).

თარგამოსმა გაუყო ქვეყანა თავის შთამომავალთ და ქართლოსს მისცა ქვეყანა და უწოდა ქართლი.

ლეონტის დროს კავკასიაში წინა პლანზე იდგნენ ქართველები, რომლებსაც პოლიტიკური სადავებები ხელში ეჭირათ.

ლეონტი წერს: „ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული (ქვ. 1955.16). ეთნოსის ძირითადი ნიშანი ენაა, რასაც ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს.

სიტყვა „ქართლის“ ეტიმოლოგიას მრავალი მკვლევარი შეეხო, მათ შორის: ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, აკ. შანიძე, გრ. რობაქიძე, შ. გაბისკირია.

გურამ ბედოშვილის ვარაუდით, ქართალიდან - ქართულია, ქართულისაგან - ქართლელი. ქართველი მიღებულია ქართლოსისაგან.

იაკობ გოგებაშვილმა „საგანძურის“ 277-ე გვერდზე ვრცლად დაახასიათა „იმერეთი“. იგი აღნიშნავს: იმერეთი ქართლიდან დასავლეთით ძვეს. იმერეთი ორ ნაწილად განიყოფება: ზემო იმერეთად და ქვემო იმერეთად. ქალაქ ქუთაისს ზემოთ აღმოსავლეთისაკენ სურამის მთამდე სულ ზემო იმერეთი ჰქვია, ქუთაისს ქვემოთ - დასავლეთ სამხრეთისაკენ ქვემო იმერეთს უწოდებენ. შემდეგ კი ამ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, მოსახლეობის საქმიანობა და მეფე სოლომონ მეორის ბრძოლებია რუსთა წინააღმდეგ აღწერილი.

ტოპონიმ „იმერეთის“ შესახებ საისტორიო მასალებში და მკვლევართა შრომებში თითქმის ერთსულოვნებაა და იგი განმარტებულია, როგორც ლიხის ქედის იმიერი მხარე ანუ „ქვეყანა“. ზედსართავ სახელს იმიერს უპირისპირდება ამიერი, რომელიც ლიხის ქედის აღმოსავლეთ მხარეს ნიშნავს.

საინგილოს შესახებ (გვ. 257) იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ქიზიყის პირდაპირ ალაზნის იქითა ნაპირს საინგილო ძვეს. ეს მხარე სპარსეთს დიდი ხანი ეჭირა და აქ მცხოვრებნი ქართველები გაამაჰმადიანა. ბოლო დროს ზევრი ქრისტიანობაზე მოიქცა, ორი ენა კარგად იციან ქართული და თათრული.“

დღევანდელი საინგილო აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული, იგი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ გამუდმებულმა ლეკიანობამ ამ მხარის პოლიტიკური დაცემა და ქართველობის ძალდატანებით გამაჰმადიანება გამოიწვია. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ კახეთში შეიქმნა ელისეს სასულთნო და საინგილოც თანდათან ჩამოაცილეს საქართველოს. ტერმინი „საინგილო“ მეცხრამეტე საუკუნეში დამკვიდრდა. გამაჰმადიანებულ ქართველს შეარქვეს თურქული ენის მიხედვით (ენგილარ), რაც ახლადმოქცეულს ნიშნავს, აქედან წარმოიშვა ინგილო და კუთხის სახელწოდება საინგილო.

ჯავახეთის შესახებ იაკობი წერს: აღმოსავლეთით ახალციხის მხარეს უძვეს ჯავახეთი. ამ ქვეყანას უჭირავს ახალციხის მხარეზე კიდევ უფრო მაღლობი და ტიტველი მინდვრები. აქაურ სოფლებში გლეხობა უმეტეს ნაწილად ქართველებისაგან შედგება.

ისტორიულად ჯავახეთი იყოფოდა ზემო და ქვემო ჯავახეთად. ჯავახეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში იყო. ტოპონიმი ჯავახეთი ეტიმოლოგიურად წარმომდგარია სატომო სახელისაგან „ჯავახი“. ლეონტი მროველის მიხედვით გეოგრაფიული სახელწოდება ჯავახეთი წარმომდგარია ლეგენდარული მცხეთოსის უმცროსი შვილის ჯავახოსის სახელის მიხედვით.

იაკობი აჭარას ისეთივე გულმოდგინებით ახასიათებს, როგორც სხვა კუთხეებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ეს კუთხე მაჰმადიანად არის მოქცეული.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს აჭარას: „ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთიდან და გამოსდის ზარზმა-აჭარას შორის მთასა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ამ წყლისკიდუხედ, ამ ხეობას საშუალებას არს მცირე ქალაქის მსგავსი დაბა ქედა. ხოლო მოერთვიან ამ

აჭარის მდინარეს, გურიის მთიდან აჭარას და ლიგანის ხევის შორის მთებიდან ხევნი და მათ ზედა არიან დაბნეები“... (ვახუშტი, 1997, 135).

მოსე ჯანაშვილის მიხედვით აჭარა სიტყვა წარმომავლობით „ჭა“ სიტყვისაგან მომდინარეობს.

სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ „მდინარე აჭყვას სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აჭ-ს, აქედან არის ნაწარმოები აჭ-არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისტემას - აჭარის ქედი - და თვით ოლქსაც. ცხადია აჭყვა ნიშნავს აჭის მდინარეს, ისევე როგორც სუფსა სუფსის მდინარეს“.

ი. სიხარულიძემ ტერმინი აჭარა „ჭ“ ძირამდე დაიყვანა და სემანტიკურად წყალი სიტყვას დაუკავშირა.

გ. ბედოშვილი სიტყვა „აჭარას“ წყლიანობასთან აკავშირებს და გამოყოფს „ჭარ“ ძირს, ასეთი ფორმით: ჭარი, ჭაროფი, ჭარები, ჭარო, ჭაობი, ჭანჭრობი, ჭოროფის სახით.

იაკობ გოგებაშვილი შავშეთს გეოგრაფიულად აჭარის სამხრეთით ათავსებს. იგი აღნიშნავს „კარჩხალის მთას, რომ გადახვალ ჩახვალ შავშეთში, რომელსაც აღმოსავლეთით უძევს არსიანის მთა. იგი მთიან-გორიანი ადგილია და ხეობები ვიწრო აქვს“...

შავშეთში X საუკუნეში დაარსდა ტბეთის საეპისკოპოსო, რომელიც იყო ამ მხარის მთავარი კულტურული ცენტრი. სახელწოდება შავშეთი ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტიდან მომდინარეობს, რომელიც ადრე მხარის ცენტრი იყო.

ჭანეთის შესახებ იაკობ გოგებაშვილი წერს: „ჭანეთი არის გრძელი და ვიწრო ქვეყანა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იგი გაჭიმულია ბათუმიდან ტრაპიზონამდე ას სამოცდაათი ვერსის მანძილზე, სიგანეზე კი მომწყვდეულია ჭანეთის ქედსა და შავ ზღვას შუა. უწინ თამარ მეფის დროს ეს ქვეყანა ტრაპიზონამდე ძველ საქართველოს ეკუთვნოდა და, ახლა იგი ოსმალის ხელშია. ჭანები ძმები არიან მეგრელებისა. ძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთსა ერსა და გაბმით ეჭირათ მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შავი ზღვისა. ჭანებს უცხოელნი ლაზებს ეძახიან და იმათს ქვეყანას ლაზისტანს.

სპეციალურ ლიტერატურაში ლაზები და ჭანები სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ტომებად არის მიჩნეული.

ტერმინი „ჭანის“ მაგივრად დღეს უფრო გვხვდება „ლაზი“, მაგრამ ჭანეთი დღემდეა შემონახული, როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული.

ჭანები თავიანთ თავს ლაზებს უწოდებენ. გამოდის, რომ ლაზი-ჭანი, ლაზური-ჭანური სინონიმური ტერმინებია. ეს რომ ასეა, ვახუშტიც აღნიშნავს თავის „აღწერაში“: ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთის იქით, არის ჭანეთი აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდით წადევნებით, გონიდან ტრაპიზონის საზღვრამდე“ (ვახუშტი, 1997, 143).

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ასევე განხილულია კახეთი, სამეგრელო, სამურზაყანო, დასახლებული პუნქტები, რომელთა განხილვა დღევანდელი პოზიციებიდან მნიშვნელოვანია ჩვენი მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობისათვის.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, საბუნებისმეტყველო მოთხრობები, წიგნი I, თბ., 1975, გვ. 184-189.
2. იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982 (მხატვრული ნაწარმოებები).
3. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი და იბერი, შრომები, ტ. III, 1959.
4. ს. ჯანაშია, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, შრომები, ტ. IV, 1967.
5. აკ. შანიძე, ქართველი ფუძის ეტიმოლოგიისათვის. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980.
6. რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2002.
7. შ. გაბისკირია, ქართველთა თვითსახელის, საქართველოსა და მისი დედაქალაქების ძველ სახელწოდებათა წინარე ქართული ენის ისტორიის საკითხისათვის. ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2003.
8. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001.
9. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
10. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959.
11. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.

Nikoloz Otinashvili
Gori State Teaching University
**TOPONYMIC-LINGUISTIC TERMS AFTER IAKOB GOGEBASHVILI'S
WORKS
RESUME**

Together with the Tergdaleulis, Iakob Gogebashvili made a great contribution in establishing the new Georgian literary language. He gave his text-books a kind of encyclopedic character by which our little Georgians got to know history, literature and ethnography of our country.

Iakob Gogebashvili mentioned about the exploitation of the Georgian language. For this purpose the great Pedagogue always tried to give as many facts as possible to children which were connected to historical facts of the Georgian people.

In his works he pays a great attention to the Geographical names – toponyms.

In the Georgian ethno-linguistic names told by him he gives the precise analysis of the terms.

The information given by him is of General character which has always had a great teaching educational meaning we tried to represent Iakob Gogebashvili's some geographical-linguistic terms in the book named „Sagandzuri“, p., 261 you can find an article by the title „Kartli“. The great public figure says that in the previous centuries, the name of Kartli was Kvemo Kartli, but the Iamakheta was called Zemo Kartli or Meskheta.

In the work „Kovelta Kartvelta“, the name of our country is represented as Kartli. According to Leonti Mkhvelidze, the leader of our country, in old times BC was Kartlos and the name of our country is formed from this name. There are various interpretation concerning the etymology of the Kartli and its origin. In G. Bedoshvili's opinion Kartala changed into Kartli, Kartli – Kartleli, so the word Kartveli was formed from Kartlos;

Iakob Gogebashvili described other parts of Georgia as well, such as Imereti, Saingilo, Javakheti, Ajara, Shavsheti, Chaneti.

Thus, we have represented the descriptions of some parts of Georgia and their etymologies.

სოსო სიგუა
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სიმონ ჩიქოვანი: აზრი და კონსტრუქცია

მიგაბარეთ შენ მთაწმინდის მიწას,
მოგაყარეთ შენ მარიკას ფერფლი.
მურმან ლებანიძე

პარნასი უკვე დაპყრობილი ჰქონდათ გალაკტიონს, იოსებ გრიშაშვილს, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, როცა პოეზიის სასახლეში გაისმა მკრეხელური მოწოდება:

„დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა
და დავადინოთ ცისფერი სისხლი“.

ეს სიმონ ჩიქოვანი იყო, ახალგაზრდა ავანგარდისტების ლიდერი.

მათ თავიანთ გაერთიანებას „H²SO⁴“ დაარქვეს, რომანტიკული „ცისფერი ყანწები“ ანტირომანტიკული გოგირდმჟავის ფორმულით შეცვალეს.

გოგირდმჟავით უნდა დაეშალათ და ამოეწვათ მელანქოლიური წარსული. ისინი მხოლოდ წინ იხედებოდნენ და მიაჩნდათ, რომ მომავალი ეკუთვნის ინდუსტრიას, სოციალიზმს, სსრკ-ს, ავანგარდისტულ ხელოვნებას.

ისინიც ქუთაისიდან წამოვიდნენ და წამოიღეს ყურმოკრული რუსული და იტალიური პაროლები.

სიმონ ჩიქოვანს ჯერ არც რომი ენახა, არც მოსკოვი, ახლად გასცდა აბაშისა და რიონის ნაპირებს, მაგრამ იტაცებდა მარინეტის იდეები, რომ წარსული სასაფლაოა, რომ მუზეუმები და მეგლები სულს ამძიმებენ და სუნთქვას ახშობენ.

პრაქტიკაში – ლექსებით, თეორიულად – ესეებით ებრძოდა და უარყოფდა დრამატიზმსა და ფსიქოლოგიზმს, რომანტიკასა და ესთეტიზმს, კლასიკასა და მოდერნიზმს (კერძოდ – გალაკტიონს, ტიციანს, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძეს, ლ. გუდიაშვილს).

ამიტომაც მის პირველ, ფუტურისტულ და კონსტრუქტივისტულ ლექსებში მელოდიკას ცვლის ხმაური, მთვარეს – ფაბრიკა, ვარდს – ოფლი, გულს – მოტორი, ადამიანს – მანქანა.

ჭაბუკი სიმონ ჩიქოვანი მოითხოვდა, რომ ჩექმით გაესრისათ ლირიკა, გაეთელათ წარსულის მეგლები, ბოლო რექვიემი წაეკითხათ რომანტიზმისათვის. თუმცა ვერც მთვარეს ელეოდა, ვერც ხარკამეჩს, ვერც ბარათაშვილის მერანს.

თუ სიმბოლისტი ესთეტი იყო, ფუტურისტი არლევინს ჰგავდა.

შემდეგ იტალიელი მარიონეტიდან ბალდათელი მაიაკოვსკისკენ გადაინაცვლა, რომელიც უკვე ბოლშევიკების ტრიბუნი გამხდარიყო და ფუტურისტულ რევოლუციას ოქტომბრის რევოლუციის ანალოგად მიიჩნევდა.

სიმონ ჩიქოვანიც ცდილობდა წითელი ხელისუფლების აგიტატორი ყოფილიყო, წერდა მძიმე, უხეშ და სალოზუნგო ლექსებს, შემოჰქონდა პროზაიზმები, ანტიპოეტური ლექსიკა, განადიდებდა ბოლშევიკურ აღმშენებლობას, ხუთწლედებს, პარტიასა და კომკავშირს, თუმცა არ ჰქონდა მაიაკოვსკისებური ტემპერამენტი და არც ტრიბუნი იყო.

შემდეგ მისთვის უფრო ახლობელი გახდა ბორის პასტერნაკი, მისი რაციონალური, ჰერეტიკი პოეზია. პასტერნაკიც ხომ ყოფილი ფუტურისტი იყო, მოაზროვნე და ერუდიტი, ვისაც ბუხარინი საბჭოთა პოეზიის მომავალს უკავშირებდა.

სიმონ ჩიქოვანიც ღრმა ერუდიტი იყო, რომელმაც მოიტანა პოეტისათვის ჭარბი ცოდნა.

ეს ერთი მხრივ ხელს უშლიდა, მეორე მხრივ კი ლექსს ავსებდა ინტელექტუალური განცდებით და იდეიდან გამოჰყავდა ლექსის კონსტრუქცია, დრამატული სიუჟეტი, აქცენტი გადაჰქონდა კომუნისტური იდეოლოგიიდან ჰუმანიტ ხელოვნებაზე.

მან, როგორც ავანგარდისტმა, სათავე დაუდო ანტიგალაკტიონურ ტენდენციას – მელოდიკის სანაცვლოდ წამოსწია რიტმი, სმენის სანაცვლოდ – ხედვა, მელანქოლიისა და ესთეტიზმის ადგილი კი ფიქრმა და განსჯამ დაიკავა.

სიჭაბუკის ავანგარდისტულ მაქსიმალიზმს დრო არღვევდა და შლიდა, გამოცდილება ტრადიციების მიწისაკენ ეწეოდა და პოეტიც უბრუნდებოდა სიჭაბუკეში შერისხულ რომანტიკას, გასრეხილ წარსულის ლანდებს. მაგრამ გრძნობას კლასიციზმის მსგავსად სიფრთხილით ამჯღავნებდა, რომლის აღქმას სჭირდება ცოდნა და გემოვნება:

„ტერფი დაგვრჩა ქვაზე ანაბეჭდი,
არმაზიდან ირმებივით ვყვიროდით“.

„ჩემი სული სილამაზით დაგიჭრია
და ალერსით წყლულზე ხელი გადამისვი“.

„დავიკარგენით ჩვენ სათითაოდ,
თითქოს დიკენსის ბავშვებს ვხლებოდით“.

„მე შექსპირივით მივენდობი მხოლოდ მონოლოგს,
ბავშვობის მხუილს, შემონახულს თავის ქალაში“.

სიმონ ჩიქოვანი „H²SO⁴“-ის პერიოდში ფუტურისტულ „ზაუმსა“ და „ორკესტრულ ლექსალობას“ იცავდა, აქცენტირებული ბგერებიდან გამოჰყავდა ახალი სიტყვები, თუმცა არც მაშინ, არც შემდეგ არ იყო სმენის პოეტი. ამიტომ სტრიქონებს შორის არსებობს ლოგიკური, მაგრამ არა იდუმალი, მელოდიური კავშირი, შესაბამისად – ჭირს მათი დახსოვნება, ასევე – მასებში გატანა.

ტერენტი გრანელის სტრიქონებიც ასევე გაურბიან ერთმანეთს. მაგრამ აერთებთ განწყობილება და მელოდიკა.

სიმონ ჩიქოვანი იცავდა სტროფებს შორის აზრის თანმიმდევრობას, განვითარების გრადაციას, როცა თანდათან ძლიერდება განწყობილება. სიმძიმე კი განარჩევა საზომების მკვეთრი რიტმით (მაგ., 4+4+2 ან 4+4+4), რიტმული ვარიაციებით.

ასე შეავსო ქართული პათეტიკა რაციონალური ხედვით, აღმაფრენა – ინტელექტუალური ჰერეტიკით, სასიმღერო ჰანგები – აზრის დინამიკით, მწიგნობრული ლექსიკითა და ასოციაციებით.

ამიტომ არის სიმონ ჩიქოვანის პოეზია არა განცდების უეცარი აფეთქება, არამედ – მათი დამორჩილება, რაც პასუხობს ინტელიგენტისა და ინტელექტუალის ფიქრებსა და ოცნებებს (მაგ., „მეთევზის სტუმრობა“, „თეიმურაზ პირველი“).

ადრე თუ ისტორიას ებრძოდა, 30-იანი წლებიდან წარსულში ჩაიძირა, იქ იპოვა თავისი სულის ნამდვილი ფესვები, სიჭაბუკეში რომსა და მოსკოვში რომ ეგულებოდა.

სწორედ მან დაწერა საქართველოს ისტორიაზე საუკეთესო ლექსები („არმაზის აჩრდილები“, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, „წიგნი ჟამთააღმწერლისა: გვანცა“, „წიგნი ჟამთააღმწერლისა: თათართა შემოსევა“, „ლოდინი ვსესვიატსკოეში“, „დავით გურამიშვილის გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო“, „გამოთხოვება და ომში წასვლა“).

მათში ინტელექტუალური დრამატიზმი პიკს აღწევს:

„ნიშთან დამდგარა ცხენი დარაჯად,
თათრის ფლოქვებმა მიწა დატორა,
მიწა მონუსხა თათრულ ხარაჯამ
და მონგოლური სუნთქვა დასტოვა“;
„შვიდი წელი მიუთვლია ლოდინს,
კიდევ ბევრი საფეთქელი გათეთრდება.
გრძელი ღამე დასრულდება როდის
და სამშობლოს მთაგორებზე გათენდება“.

აქეთვე მიჰყავდა იგი საბჭოთა რეგლამენტირებულ თემატიკას, ხელოვნების ცოდნას, ცხოვრების გაცნობას, მოგზაურობას სვანეთსა და ხევსურეთში, რაც შორეულ ჟამს აგონებდა, თუმცა ბოლშევიკური ცივილიზაციის ემისრად მიდიოდა იქ.

როცა კონიუქტურას იცილებდა, ფიქრში ისტორიის ლანდები სახლდებოდნენ (მაგ., „ვინა სთქვა“, „გაზაფხული“, „ჩემო მამულო“).

ამ ინტერნაციონალისტი პოეტის შთაგონება წარსულში გადატანილი ქართლის მწარე ბედი იყო, მაგრამ ეს ფაქტი არ გაცნობიერებულა, არ ქცეულა განსჯის საგნად.

სიმონ ჩიქოვანის პოეზია, საუკეთესო გამოვლინებებში, ელიტარული ბუნებისაა და განეკუთვნება თავის მიერვე უარყოფილ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“. ოღონდ ამ პრინციპს არღვევდა მრავალი სუსტი და უფერული ლექსი.

ისინი მიემართებოდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების ინტერესებს, მეორე მხრივ – ემყარებოდა ავტორის ფსიქიკისათვის უცხო მასალას.

იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე საუკეთესო მეხოტბეები იყვნენ. დითირამბი მათი სტიქიიდან მოდიოდა. ამიტომ იოლად და წარმატებით მოირგეს სტალინის თემა.

ერთმა სატრფოს სადიდებელი ჰიმნების ტროპიკა გადაიტანა ბელადზე (რომელსაც თავისი ლექსის უმაღლესობა უწოდა), მეორემ – მეომარ ზეკაცად და ქართველთა მხსნელად წარმოსახა.

სიმონ ჩიქოვანს ეს არ შეეძლო. მან ხოტბა განსჯით შებურა, ასე დაასაბუთა და გამოხატა ხელისუფლებისადმი თანადგომა. ზოგჯერ ეს კარგადაც გამოსდიოდა (მაგ., „ქართლის საღამოები“), მეტწილად კი მარცხით მთავრდებოდა (მაგ., როცა კოლმეურნის კალოს ირმებს ალექვინებდა, „მშრომელთა საქმეს“ ეხოტბებოდა ან აქებდა „კოლმეურნის შრომის ხვავს“).

მაშინ იგი წერდა იმაზე, რაც არ სჯეროდა, მაგრამ უნდოდა, რომ ეწამა. ხოლო სამშობლოს ტრაგედია, რომელსაც გულდაგულ მალავდა, მყისვე იჩენდა თავს, როცა სევდა და ვარამი ისტორიაში გადაჰქონდა.

მაშინ სიმართლეს ამბობდა, აღმოთქვამდა დღევანდელ სატანჯველსაც და ეს ძალას აძლევდა. შინაგანი ღელვა სტრიქონებს მელოდიურად აჟღერებდა და აცილებდა ხორკლსა და ბორკილს:

„ვინ გაგიმეტა ქალი მწყაზარი,
ვინ მოგაშორა მშობლიურ ფუძეს.
სამშობლოს ეშხით ლოყა დამწვარი
ვინ დაამგვანა გაცრეცილ ფურცელს“.
„იქნებ გავლით შემოვიდეს მწყემსი,
გომბორიდან ქარიშხალი მოჰყვებს“;
„ჭერი დაგვენგრა და წვიმაში შევრჩით კაემანს,
სამშობლოს დროშა არ შრიალებს, დაბლა დაემვა“.

ასევე ეძალეობდა გრძნობები, როცა იხსენებდა ადრე წასულ დას, მამას, დედას, როცა იხსენებდა კოლხურ ქარსა და წვიმას, ბავშვობის საგნებს (მაგ., „ნიჟარა“, „ნიჟარის საფერფლე“, „მოსაგონარი“, „დის დაკარგვა“, „დედაჩემი“), როცა წერდა ახლობლებსა და მეგობრებზე (მაგ., „უშანგი ჩხეიძის გახსენება“), სატრფოსა და მეუღლეზე (მაგ., „ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად“).

პოეტი რაზეც წერს კარგად, ის არის მისი ინდივიდუალობის გამოვლენა, ის აცოცხლებს შთამომავალთა მეხსიერებაში.

ხელოვანის ნამდვილ ინტერესებს სულს უდგამს არაცნობიერის საუფლო. ხოლო მხოლოდ გონებით განსაზღვრული პოეზია სხვის ფსიქიკაში ვერ შეაღწევს, სხვა ვერ აიყოლიებს, რაც უნდა ოსტატურად იყოს შეთხზული.

ასე რომ სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში, ისევე როგორც გალაკტიონთან, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ორი ფენა:

ერთი ნამდვილია, მეორე – ხელოვნური, ერთი ბუნებრივია, მეორე – გამოგონილი. მაგრამ ეს მეორე იცავდა პირველს, რათა შემოქმედს გზა გაეკაფა და ადგილი დაემკვიდრებინა. ამასთან ერთად – ეს ცნობიერისა და არაცნობიერის კონფლიქტსაც ნიშნავდა.

საშინელ დროში მან იცხოვრა ნამდვილი შემოქმედის ცხოვრებით.

იგი არ იყო ცხენოსანი, მონადირე და მოფარიკავე, როგორც ვაჟა-ფშაველა ან კონსტანტინე გამსახურდია, ორატორი როგორც გრიგოლ რობაქიძე, დეკლამატორი, როგორც იოსებ გრიშაშვილი, იოსებ ნონეშვილი ან მუხრან მაჭავარიანი, თამადა, როგორც პაოლო იაშვილი, ტიცთან ტაბიძე ან გიორგი ლეონიძე.

მისი სტიქია კაბინეტი, წიგნი და ხელოვანთა წრე იყო, ფიქრი, ოცნება და მსჯელობა პოეზიასა და მხატვრობაზე, სიყვარულსა და სიცოცხლეზე, ისტორიასა და უკვდავებაზე, ელიოტისა და პასტერნაკის მსგავსად.

მაგრამ არა მხოლოდ ერუდიტი, არა მხოლოდ ლექსის ოსტატი, არამედ დიპლომატიც იყო და შეედლო პოლიტიკურ პროცესებში ლავირება ინტელექტის ფრთებით შეემოსა.

ამიტომ იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სსრკ დეპუტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რუსი პოეტების მიერ აღიარებული, ამავე დროს – ნამდვილი სულიერების დამფასებელი და დამცველი, ახალი ტალანტების გზამკვლევი.

სიმონ ჩიქოვანი დიდად იყო პოპულარული 60–70-იან წლებში. ახალგაზრდები გალაკტიონთან ერთად მას შეუცვლელ ავტორიტეტად მიიჩნევდნენ, როგორც აზრის პრიმატის დამამკვიდრებელს, როგორც მსუბუქი ლირიკული ჰანგების უარყოფელს, რაც იყო რეაქცია გრიშაშვილისა და იოსებ ნონეშვილის მუსიკალური და არტისტული პოეზიის წინააღმდეგ.

მან მისცა საწყისი და სტიმული ოთარ ჭილაძის, ცნობიერებისა და ვერლიბრისტების პოეზიას. მაგრამ ბიოგრაფიულმა ფაქტორმაც თქვა თავისი სიტყვა:

ეს იყო პოეტის ცხოვრების დრამატული ფინალი, რაც მოჰყვა კოლეგების ინტრიგებსა და ხელისუფლების გულგრილობას.

ჩვენი საზოგადოება არ ღებულობს განებივრებულ, გალალეზულ, გახარებულ პოეტს. ალბათ იმიტომ, რომ ღრმად არის ჩამჯდარი ცნობიერებაში ქრისტეს

ჯვარცმის მისტერია და უნდათ, რომ ხელოვანიც ასევე გოლგოთის გზით მიდიოდეს თავისი ჯვარცმის ადგილისაკენ.

ბიოგრაფიაც შემოქმედების ნაწილია.

მკითხველი ეძებს იგივეობას ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის და როცა პოულობს – მაშინ ღებულობს მას, ღებულობს და თავად განასხვავებს ბუნებრივსა და იძულებითს, ნამდვილსა და ყალბს.

ხალხს უყვარს ტანჯული ხელოვანი, რაღაც სადისტური გრძნობით, რაც იწვევს სულის განწმენდას, სინანულს, თანალმობას.

არტისტი და ესთეტი ვერ შესძრავს მასებს თუ საბედისწერო ფინალი არ ახლავს, თუ მისი სიკვდილი არ იქნება გულის დამწყვეტი (გავიხსენოთ იოსებ გრიშაშვილის ან გრიგოლ რობაქიძის ბედი).

ამიტომ უსინათლო სიმონ ჩიქოვანი პოეზიის შუქურად დასახეს, ისევე როგორც ერთ დროს უფეხო რემბო – მეწინავედ.

„შენ კალმის წვერით ტანზე ამცერი,

სალამურივით ვერ დადაღული,

მოდო, მიკურთხე უცხო ნაწერი

და ამიხდინე სიზმრად ნახული“,

- მიმართავდა შოთა ნიშნიანიძე უფროს თანამოკალმეს, ისევე როგორც არაერთი რუსი თუ უკრაინელი პოეტი.

80-იან წლებში მობრუნდა ბუნებრივი გრძნობების ნაკადი. მიება, ექსპერიმენტი, აზრის პრიმატი, ინტელექტუალური სირთულე ინტერესს აღარ იწვევდა.

საზოგადოებას სხვა ტკივილი და ოცნება მოეძალა.

როცა 70 წლის სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას სადამო გაუმართეს, რუსთაველის თეატრი ხალხს ვერ იტევდა. მაგრამ 100 წლისთავი არც მწერალთა კავშირს გახსენებია, არც პრესას, არც რუს პოეტებს.

თაობები ტოვებენ სამზეოს და თან მიაქვთ თავიანთი ჩირაღდნები.

სიმონ ჩიქოვანი ჩრდილში მოექცა, ვინც 40 წელი ქართული სიტყვის ავანგარდში იდგა. მაგრამ თურმე ეს იმისი სიმპტომიც ყოფილა, რომ საერთოდ ლიტერატურა გადადიოდა მეორე პლანზე და მას მხოლოდ გამართობის ფუნქცია რჩებოდა.

ეს ფაქტი კი სულის კრიზისის გამოხატულება აღმოჩნდა.

ბოლოს სულის კრიზისი გადავიდა ნიჰილიზმსა და ცინიზმში, რაც მიმართულ იქნა ელიტარული ლიტერატურის, პატრიოტიკის, მშობლიური ენისა და მშობელი დედის წინააღმდეგ.

მართალია, ასეთ ნიჰილიზსა და ცინიზმს სიმონ ჩიქოვანის ფუტურისტული წარსულიც ჰკვებავს, მაგრამ დღეს ნაკლებად ახსოვთ თავიანთი შორეული პაპა.

ჩვენ კი ისევ გადავიკითხავთ ამ ახალი დროის ჟამთააღმწერელს, ხან აღზევებულს, ხან დამცირებულს, ვპოვებთ ისრებით დასერილ მიწას და ისევ გვეჩვენება, რომ წელმოხრილნი ურდოს მიდიან დავით ულუ და სარგის ჯაყელი.

Soso Sigua

Gori State Teaching University, Georgian Technical University

SIMON CHIKOVANI: AN IDEA AND CONSTRUCTION RESUME

Simon Chikovani was leader of Georgian Avant-gradism representatives - Futurists, Constructivists and Dadaists. These called their unification anti-romantic name - H2SO4. Later, poet has changed literary approaches, but still, the sens of avant-gradism, rationalism and logical construction was kept in his realistic poetry.

თამარ სიღამონიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ენიგმური გალაკტიონის ესთეტიკაში

გალაკტიონის ესთეტიკა ისეთივე რთული და ენიგმურია, როგორც მისი პოეზია.

ფრანც კავკა წერდა: „წერა თავისებური სულების შელოცვა... პოეზია გვაღვიძებს ჩვენ... პოეზია ლოცვას ჩამოჰგავს.“

გალაკტიონისთვის პოეზია სულიწმინდის მადლია.

ბიბლიის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი სულიწმინდის მადლია. „სულიწმინდა ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს...“ (გამსახურდია ზ., 1987:64).

გრიგოლ ნოსელს კი სული შთაგონებასთან აქვს გაიგივებული.

„პოეზია უპირველეს ყოვლისა,“ - აცხადებს პოეტთა მეფე და მისი სიტყვები მანიფესტივით ჟღერს რწმენის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე.

გალაკტიონი მკითხველის გაოცებას და აღტაცებას ყოველთვის ახერხებდა როგორც პირადი ცხოვრებით, ასევე უკვდავი შედეგების შექმნით. აბა, ყური მივუგდოთ:

„მაგრამ ელვარეს თეთრად თოლიებს

ფიქრებთან ერთად გააქვს თარეში

და ანძა ანძას გაიყოლიებს

ყველაფრის დამტევ სიმწუხარეში.“

გალაკტიონთან მწუხარება ყველაფრის დამტევია, იგი არ კონკრეტდება, არ ქუცმაცდება, მამლარია ყველაფრით და უხვი...

გასაოცარი სიახლეები მოიტანა ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა. მან მოახერხა „ცის და მიწის შეზავება“, ღმერთთან ხიდის გადება.

მან შექმნა ახალ მსოფლალქმასა და „რთული სისადავის“ ესთეტიკაზე დაფუძნებული არაერთი შედეგრი, შექმნა ის თვისებრივად ახალი პოეტიკა და სტილისტიკა, რომლის ზემოქმედებას ვერავინ ვერ ასცდა (დოიაშვილი 2002:15).

გ. ტაბიძის ლექსებსა, პოემებსა და წერილებში გაბნეული ესთეტიკური შეხედულებები ისევე გენიალურია, როგორც მისი ლირიკა, რომელშიც გალაკტიონმა თავისი შემოქმედებითი მეთოდებისა და პრინციპების ერთგვარი ახსნა მოგვცა. მტკივნეულ ძიებებს აყოლილი პოეტი გრძნობდა XX საუკუნის „ხმათა განახლებას.“

ჩვეულებრივი თვალისათვის უხილავი, საოცარი, აუხსნელი ჰანგები ისმის გალაკტიონის შედეგებში. იდუმალებისა და უთქმელობის ბურუსშია გახვეული ყველაფერი:

„...უნდობარ სულს თითქო კარი დარაზოდეს,
შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს,
არც მე გკითხავ არასოდეს.“

გალაკტიონის პოეზია ემოციური, მელოდიური და ინტელექტუალურია. შეუძლებელია მისი შემოქმედება რომელიმე ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის ჩარჩოში მოაქციო. ამის დასტურად მისივე ჩანაწერი მოვიხმოთ:

„მე ძლიერ მომწონს იაპონელი მხატვრების შემოქმედებითი პრინციპი. იმისათვის, რომ გვიჩვენონ მთა, ისინი არ ხატავენ მას მთლიანად, თავიდან ბოლომდე, არამედ რამდენიმე შტრიხით წარმოგვიდგენენ მთის ძირსა და მწვერვალს, დანარჩენი კი უნდა განჭვრიტოს თვითონ მაყურებელმა, მის გონებაში უნდა დასრულდეს სურათი. მეც ასე ვმუშაობ, ლექსში ყოველთვის მკითხველს ვუტოვებ სააზროვნოს, წარმოსადგენს. ასე რომ არ იყოს, მაშინ გვექნებოდა არა პოეტური ნაწარმოები, არამედ მხოლოდ გარითმული სტრიქონები“ (რადიანი შ., 1976:36).

როგორც გალაკტიონი წერს, ყველაფერი ოსტატობასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული, ან რაღაც „საიდუმლო წვეთებზე“, რაც ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებს ნამდვილ შედეგად აქცევს. ვინ იცის, რა წვეთებია ეს? ვერც იმაზე გეტყვით რამეს, თუ რა ქმნის მაღალი გემოვნების გაურკვეველ ფენომენს.

„სული დაეძებს შორეულ ხაზებს,“ - წერს გალაკტიონი და თუ პიკასოს ფერწერული გრაფიკის შედეგებს გაიხსენებთ მიხვდებით, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს. პიკასოს შემოქმედებითი ლაბორატორიიდან: „ჯერ სურათს წარმოვიდგენ, მერე კი ვაკლებ ყველაფერს, რაც ზედმეტია და რჩება მხოლოდ ხაზები“ (კვესელავა მ., 1977: 355).

გალაკტიონთან რა ხდება?

გენიოსმა პოეტმა შესანიშნავად შემოსაზღვრა პოეზიის ვირტუალური ტაძარი ზოგადი კონტურებით ლექსში „ნიკორწმინდა“, რომელიც კონკრეტულ-მატერიალური გააზრებისგან გრიგოლ რობაქიძემ იხსნა. „გალაკტიონს მოუვიდა უხეში ესთეტიკური ლაფსუსი თუ ქების ფარული საგანია რაღაც სხვა, თავისი არსით მუსიკის მონათესავე?“ - სვამს კითხვას როსტომ ჩხეიძე და ჩვენც ვიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ რას ამკობს სინამდვილეში ეს „ლექსი-ზმანება“. მივუყვებით სტატიას (ჩხეიძე რ., „გალაკტიონოლოგიის“ ორი გამოცხილი, ჟ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, №13, გვ. 42): „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ორპლანიანი ლექსია, ერთდროულად ორ შინაარსობრივ პლასტს მოიცავს: ხილვადს (ჩუქურთმებით შემკულ ტაძარს) და უხილავს - „შუქურთმებით“ ნაგებ, ხელთუქმნელ პოეზიას გალაკტიონისას.

აი, რაში ყოფილა საქმე!

„იმ რეჟიმის პირობებში ხომ შეშლილობის ტოლფასი იქნებოდა საკუთარ „ხელთუქმნელ ძეგლსა“ და სიდიადეზე ზვიადი საუბარი, და ამიტომაც მოარგო ჰორაციუსის ტრადიციას სიმბოლური ფორმა, რომელიც გარეგნულად მარადიულობის იდეას განადიდებდა, რეალურად კი შიფრი იყო იდუმალი“ (ჩხეიძე რ., დასახ. სტატია, გვ. 43).

გალაკტიონის ესთეტიკური ნააზრევი, ზოგადად, წილნაყარია ანტიკური და შუა საუკუნეების ესთეტიკასთან და მათ გავლენაზე პოეტის მსოფლალქმაზე. ავტორისეული ინტერპრეტაცია ანტიკური კულტურისა ხშირად მოდერნიზებულია და ახლებურად გააზრებული, რაც უფრო მეტი ინტერესით აღგვავსებს მისი პოეზიით აღტაცებულთ.

გალაკტიონს მკითხველი პრინციპულად ყოველთვის უგებს, ან გვსურს, რომ ვუგებდეთ... თუმცა რაღაც შესაცნობი კვლავ გვრჩება; თითქოს ვგრძნობთ იმ უხილავ ზღუდეს, მის პოეზიას გარს რომ ევლებს:

„ნუ დაღონდები, არსებობს მხარე,
სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის,
იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს-
ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის.
....იქ რუსთაველის დატრიალებს

შემოქმედების დიდი ნადიმი
და იქ რეკავდა უცნაურ გრძნებით
ბარათაშვილის მწუხარე სიმი.“

გალაკტიონის „მეოცნებე სულის“ უმაღლესი იდეალებია რუსთაველი და ბარათაშვილი. ამ უკანასკნელს მწუხარებაში უმეგობრდება კიდეც, თითქოს ფიცვერცხლნაჭამები ხდებიან ჩვენი პოეზიის ეს კორიფეები... და მათი მწუხარება ვნებიანი ხდება... ვნებიანი და არა უიმედო, პესიმისტური! სამართლიანად შენიშნავენ ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარები, რომ გ. ტაბიძის ლირიკაში სევდა-მწუხარების მოტივი არ არის მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების გამოძახილი, იგი ზოგადკაცობრიულია. მისი ლექსები არ ქადაგებენ აბსოლუტურ უიმედობას. ეს არც ახასიათებს გალაკტიონის პოეზიას: „მე ბრძოლა მსურს, დეე, მოვკვდე იქ, სადაც სჩქევს სისხლის ღვარი“ (1909), „სულ ერთი არის, კუბოს კარამდის უნდა იბრძოდეს ადამიანი“ (1909), „ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას, ბრძოლის ქუხილში მიილტვის სული“ (1910)...

რუსთაველი კი გალაკტიონს ბავშვი ახსოვს, ისინი თითქოს ერთი ეპოქის შვილები არიან. მარადიული არსებობა სულისა გულისხმობს მარადიულ ხსოვნასაც.

გალაკტიონის პოეტური სასწაულების ახსნა რთულია ერთი ადამიანის და ერთი სიცოცხლის გამოცდილების ფარგლებში. მხოლოდ გარდასხეულების იდეის მიხედვით თუ გაიგება გალაკტიონისეული ზოგი სახე და ლექსი (სორდია ლ., 2011:43).

„ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...
სად, როდის, რისთვის, არ ვიცი, არა!“

გალაკტიონს გამუდმებით ესმოდა „იდუმალთა ხმათ მწუხარება“, „ზექვეყნიური უკვდავი ხმები“, „სხვა გამოძახილი“, გრძნობდა „უკვდავების ყრუ ძახილს“, რომელიც მოუწოდებდა „დროთ საზღვარს იქით“.

ლექსში „თენდება, გათენდა“ კიდეც ერთხელ დამაჯერებლად გაკრთება შოთას სახება:

„მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად,
როგორც თეთრს შავში, ვარჩევ,
მე ის დრო რომ განმიახლოს,
როს ვიყავ ბავშვი!“

შუა საუკუნეების ქართული ჰუმანიზმის ისტორია შოთა რუსთაველით იწყება. განუსაზღვრელად დიდია მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრების ისტორიული მნიშვნელობა. ის მკვეთრად დაუპირისპირდა შუა საუკუნეების რელიგიურ-მისტიკურ დოგმებს. პოეზია მისთვის სიბრძნის ერთ-ერთი დარგია. შოთა რუსთაველი, მართალია, არისტოტელეს თვალსაზრისიდან გამოდის, მაგრამ იძლევა სრულიად ახალ თვალსაზრისს: პოეტი არა მარტო ასახავს (ბამავს), არამედ აზროვნებს კიდეც. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი პრინციპი შოთა რუსთაველს ორგანულად აქვს შერწყმული პოეზიის თავისებურებისა და საგნის უაღრესად პროგრესულ გაგებასთან.

ახალ ქართულ პოეზიაში არსებობს ორგვარი მწუხარების ცნობისა და გამიჯვნის ტრადიცია.

„მაგრამ, სულო, იგი ცრემლი არ სტიროდა ამ სოფელსა,
სახე შენი მოწყენილი არა ჰგავდა ხორციელსა“.

ნ. ბარათაშვილის ამ სიტყვებში მისი ესთეტიკური განცდაა გადმოცემული, რომელშიც სულიერი განცდა და სასულიერო ლიტერატურიდან მიღებული ცოდნა ესთეტიზებულია.

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“.

რომანტიკოსი პოეტი განასხვავებს მიწიერ და ზეციურ მშვენიერებას ანუ ესთეტიკურსა და რელიგიურს ერთმანეთისაგან.

მკვლევარები ქეთევან ბეზარაშვილი და თამარ ლომიძე საფუძვლიანად წარმოაჩენენ ამაღლებულისა და განსაცვიფრებლის ცნებებს ძველ ლიტერატურულ-თეორიულ ნააზრებში და გალაკტიონთან. სიმბოლისტურ-მოდერნისტული ესთეტიკის ღრმა ცოდნაზე დაფუძნებით დაასკვნა, რომ გალაკტიონი მიილტვის მშვენიერებისაკენ, დახვეწილი ფორმისკენ და შინაარსის ამაღლებულობისკენ. გ. ტაბიძე ჯერ კიდევ ძიების პროცესშია, როდესაც წერს:

„საღამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან
და გოცების მწუხარებას მასთან მიიტან“.

აქ „გოცების მწუხარება“ რელიგიური განცდაა და არა ესთეტიკური (საღამო, მწუხრი ბაღში შედის ეკლესიიდან და არა ბაღიდან ეკლესიაში). ამიტომ არის ეს განცდა მწუხარება და არა სიხარული. მაგრამ ეს მწუხარება ღვთაებრივი სიხარულის დასაწყისია, რომელიც არ არის ლექსში ცხადად გამოთქმული... გალაკტიონისეული გოცების მწუხარება მხოლოდ თეოლოგიური ინტერპრეტაციით თუ აიხსნება,

რადგან ანტიკურ თეორიაში გაცემას სიხარული მოაქვს უშუალოდ და არა მწუხარების გზით“ (ბეზარაშვილი, ლომიძე, 2010:31).

გალაკტიონოლოგიის მეექვსე წიგნში არა ერთი საინტერესო ნაშრომი იყრის თავს, რაც იმის დასტურია, რომ გალაკტიონოლოგიის საკითხები უფრო და უფრო აქტუალური ხდება, ინტერესი არ ნელდება, პირიქით, ის ზოგჯერ ცხარე კალაპოტშიც ინაცვლებს და ჭეშმარიტების სახელით უკან არაფერზე იხევს (იხ. ნინო დარბაისელის „Qui pro quo“).

ნათია სიხარულიძე კი ნაშრომში „მრავალსტილურობის პრობლემა გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების შემოქმედებაში“ შესანიშნავად შლის თემას. ლოგიკურ დასკვნებს გვთავაზობს, თუმცა მიმაჩნია, რომ სრულყოფილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ 1921-1922 წლებში გ. ტაბიძეს გაუნადგურებია ლექსების დიდძალი ხელნაწერი. ამ ფაქტთან დაკავშირებით პოეტის არქივში აღმოჩენილი ჩანაწერი გვამცნობს:

„რა დიდ და ღრმა მწუხარებას და მარტოობას განვიცდი. დავკარგე, გავანადგურე ყველაფერი, რაც მიწერია ბავშობიდანვე, სუყველაფერი... ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები... თქვენ, იდუმალებით სავსე ნაწყვეტებო, რომელთაც მოწიწებით გინახავდით მომავალი დიდი რომანების დასამუშავებლად... ვარ მარტო, სრულიად მარტო, რა დამიბრუნებს მას, რაც დაიკარგა!.. მომავალი?!“ რა იყო მიზეზი პოეტის ასეთი მოქმედებისა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ დაიკარგა შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ძვირფასი მასალა.

მოდერნისტული სინთეზის პერიოდად მეცნიერთა ნაწილი (თ. ჩხენკელი, აკაკი ხინთიბიძე) 1915-1928 წლებს მოიაზრებს. პოეტური აზროვნების სისტემა სიმბოლიზმზეა ორიენტირებული. ნათია სიხარულიძე მართებულად შენიშნავს, რომ გალაკტიონის ამ პერიოდის შემოქმედების სტილური მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას უმთავრესად ლექსების არაზუსტი დათარიღება განაპირობებს და სტილზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდში პოეტის ყურადღების ცენტრში მოქცეული არიან სიმბოლისტები (სიხარულიძე ნ., 2012:81).

განსხვავებულ პოზიციებზეა ირაკლი კენჭოშვილი, რომლისთვისაც ამ წლების შემოქმედება სხვადასხვა სტილური და ესთეტიკური სისტემიდან არის მიღებული. გიორგი მერკვილაძე კი სიმბოლისტური, რომანტიკული და რეალისტური სტილის ელემენტთა თანაარსებობაზე საუბრობს.

მრავალსტილურობის პრობლემასთან მიმართებით ჩვენ ვიზიარებთ ბატონ თეიმურაზ დოიაშვილის მოსაზრებას: „გარე სინამდვილის ელემენტების შემოჭრა 20-იანი წლების ლირიკაში, ცხადია, არ უნდა აღვიქვათ რეალიზმისკენ შემობრუნებად, რამდენადაც ეს ელემენტები გარდაქმნილია რომანტიკული მსოფლალქმის მიერ და მოქცეულია მოდერნისტულ პოეტურ სისტემაში“ (დოიაშვილი თ., 2004: 50).

ჭეშმარიტად ასეა და რაოდენ მნიშვნელოვანი, რომ კვლავ გალაკტიონის პოეზიის ღერძის ირგვლივ ვიწყებთ ბრუნვას და კვლავ გვიზიდავს მისი პოეტური ენის მრავალფეროვნება თუ იდუმალება, ვინ იცის, რომელ „იზმ“-თან წილნაყარი. იქნება ეს აბსტრაქტიზმის ტენდენცია, ლექსის მუსიკალური ჟღერადობისაკენ ლტოლვა, სიმბოლისტური შესიტყვებანი, განყენებულ სახელთა სიუხვე, ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა თუ ნაცნობი სიტყვების ხშირად გამოყენება - ყოველივე ეს უფრო მეტად აღაფრთოვანებს XXI საუკუნის მკითხველს და ქმნის იმ ესთეტიკას, რომელიც მხოლოდ გალაკტიონისთვისაა ნიშანდობლივი.

ლიტერატურა:

1. ბეზარაშვილი, ლომიძე, 2010: ბეზარაშვილი ქეთევან, ლომიძე თამარ, ამდლებულისა და განსაცვიფრებლის ცნებები ძველ ლიტერატურულ-თეორიულ ნააზრევში და გალაკტიონთან, ლექსმცოდნეობა III, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010, 31.
2. გამსახურდია ზ., 1987: გამსახურდია ზვიად, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, მაცნე, №4, 1987, 64.
3. დოიაშვილი 2002: დოიაშვილი თეიმურაზ, ოცნება გალაკტიონოლოგიაზე, გალაკტიონოლოგია, I, 2002, 15.
4. დოიაშვილი თ., 2004: დოიაშვილი თეიმურაზ, გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმა, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, III, 2004, 50.
5. კვესელავა მ., 1977: კვესელავა მიხეილ, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977, 355.
6. რადიანი შ., 1976: რადიანი შ., „ჩვენი გალაკტიონი“, მოგონებები, წერილები, თბ., 1976, 36.
7. სიხარულიძე ნ., 2012: სიხარულიძე ნათია, მრავალსტილურობის პრობლემა გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების შემოქმედებაში, გალაკტიონოლოგია, VI, 2012, 81.
8. სორდია ლ., 2011: სორდია ლუარა, გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, თბ., 2011, 43.
9. ჩხეიძე რ., 2006: ჩხეიძე როსტომ, „გალაკტიონოლოგიის“ ორი გამოცხადი, ჟ. „ჩვენი მწერლობა“, 2006, №13, 42-43.

Tamar Sidamonidze
Gori State Teaching University
ENIGMA IN GALAKTION'S AESTHETICS
RESUME

Mysterious, complex and enigmatic aesthetics of Galaktion's lyrics is discussed in this paper, which leads the reader to the admiration and astonishment.

The scattered aesthetic views in Galaktion's works are as great as his lyrics where he explained his creative methods and principles.

ბექა ტოლიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

აგრესიის გამოვლენის მიზეზები სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

აგრესია დესტრუქციული ქცევაა, რომელიც ფიზიკური ან მორალური ზიანის მომტანია ადამიანებისათვის და ეწინააღმდეგება იმ ნორმებსა და წესებს, რაც მიღებულია სოციალურ გარემოში.

აგრესიული ქცევა, საზოგადოდ, არ წარმოადგენს ადამიანისთვის არაბუნებრივ და ანომალიურ აქტივობას, იგი გენეტიკურად თანდაყოლილ და მიზანშეწონილ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს და თვითგადარჩენის ინსტიქტის აუცილებელი კომპონენტია. აგრესია სხვადასხვა ფორმით ორგანულად ჩართულია პიროვნების ქცევის საერთო სისტემაში და მისი გრძნობების სამყაროში. აგრესია წარმოგვიდგება, როგორც პიროვნული ინდივიდუალობისა და იგივეობის შენარჩუნების ერთ-ერთი ხერხი, თვითღირებულებების დაცვის, თვითდამკვიდრების მიღწევის საშუალება, ასევე ენერგეტიკული განმუხტვისა და დაძაბულობის მოხსნის საშუალება. აგრესია, საერთოდ, არის ადამიანის აქტივობის დესტრუქციული კომპონენტი და ამიტომ აუცილებელია შემოქმედებით საქმიანობაში. მის გარეშე წარმოუდგენელია პიროვნებისა და საზოგადოების პროგრესული განვითარება.

აგრესიული ქმედება ემოციის გამოვლენის ერთერთი ფორმაა, კერძოდ რისხვის ემოციისა, რომელიც ყველა ნორმალურ ადამიანს გააჩნია, მაგრამ თითოეული ადამიანის შემთხვევაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. ბავშვმა უფროსისაგან განსხვავებით არ იცის, თუ როგორ მოიქცეს სწორად, აღნიშნული ემოციური მდგომარეობის დროს და საჭიროა მას სწორი, მიზანმიმართული რჩევები მიეცეს უფროსის მხრიდან, რომ გამოიმუშაოს სათანადო უნარები აგრესიის შესაკავებლად.

ბავშვებში აგრესიული ქცევის მიზეზები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. აგრესიული თვისებების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ზოგიერთი სომატური ავადმყოფობა ან ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა. უდიდეს როლს თამაშობს ოჯახური აღზრდა და გარემო, მისი შემოქმედება იწყება ბავშვის მუცლად ყოფნის დროიდან. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ იმ შემთხვევებში, როცა ბავშვს ჩამოაცილებენ ძუძუს კვებას და მინიშუმამდე დაიყვანენ დედასთან მის ურთიერთობას, ასეთ ბავშვებში დიდია ალბათობა ეგოიზმის, ეჭვიანობის და აგრესიის ჩამოყალიბებისა. ბავშვის მომეტებული აგრესიის მიზეზი შეიძლება გახდეს დადებითი ემოციური კავშირების დარღვევა როგორც მშობლებსა და ბავშვს შორის, ასევე თავად მშობლებს შორისაც. როდესაც მშობლებს შორის მუდმივად უთანხმოება და კონფლიქტია, ბავშვი ცხოვრობს მუდმივი დაძაბულობით, არასტაბილურობით და ფსიქოლოგიური დისკომფორტით. აგრესიული რეაქციები შეიძლება გამოწვეული იყოს მშობლების მხრიდან არაკორექტული, უტაქტო კრიტიკით ან შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი შენიშვნებით. ბავშვის პიროვნების უპატივცემულობა წარმოშობს მასში ღრმა კომპლექსებს, რომლებიც საკუთარი თავის და შესაძლებლობების რწმენას უკარგავს.

ზღვარგადასული კონტროლის დაწესება ბავშვის ქმედებებზე არანაკლებ საზიანოა, ვიდრე სრული უკონტროლობა. ერთ-ერთი მიზეზი ბავშვის აგრესიულობისა შეიძლება იყოს მშობლების სიმკაცრე. მომთხოვნი, მკაცრი და ძალაუფლების მოყვარული მშობლები არ აძლევენ ბავშვს საშუალებას გამოავლინოს პირადი ინიციატივა, დასჯის მიზნით ამყოფებენ მორალურ იზოლაციაში და არ ავლენენ შვილის მიმართ სიყვარულს. ამდაგვარი აღზრდის შედეგი ისაა, რომ ბავშვში ჩნდება ფარული აგრესია

არსებული რეალობის მიმართ, იგი ცდილობს ქვეცნობიერის დონეზე დაიცვას თავისი პიროვნული „მე“ და დაცვის საშუალებად ის ირჩევს თავდასხმას სხვებზე. იგი სიფრთხილით ეკიდება ყველაფერს, რაც გარემოში ხდება და თავს იცავს მაშინაც, როცა ეს სრულებით არაა საჭირო.

2–6 წლამდე ბავშვებში აგრესიის გამოვლენის მიზეზი შეიძლება იყოს მათი ემოციური არასტაბილურობა. ამ ასაკის ბავშვების უმეტესობისათვის სწრაფი ემოციური ცვლილებებია დამახასიათებელი, ბავშვის განწყობა შეიძლება შეცვალოს დადებითობამ, უძილობამ ან დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნებმა. როდესაც აღნიშნულიდან გამომდინარე ვლინდება უარყოფითი ემოციები, უფროსები მას თვლიან მიუღებლად და ყველანაირად ცდილობენ აღკვეთონ იგი ოჯახში არსებული აღზრდის სტილის მიხედვით. შედეგად ბავშვის აგრესიის ობიექტი ხდება არა უფროსი, არამედ ყველაფერი, რაც მის ირგვლივაა – სათამაშოები, რომლებსაც ამტვრევს და ისვრის აქეთ-იქით, ან მცენარე, რომელსაც იგი ამტვრევს ფოთლებს და ყვავილებს, შეიძლება წყენა გადავიდეს შედარებით სუსტებზე – პატარა დაზე ან ძმაზე, ბებიაზე, რომელიც არ ზღუდავს მას. რაც უფრო მკაცრია სახლში დაწესებული ქცევის წესები ბავშვისათვის, მით უფრო აგრესიულია მისი ქცევა სახლს მიღმა ან მაშინ, როდესაც მშობლების ყურადღების არეალში არ არიან.

აგრესიულობის ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი შეიძლება იყოს ტემპერამენტის გარკვეული ტიპი. ყოველი ადამიანის შემთხვევაში დაბადებიდანვე არის განსაზღვრული ტემპერამენტის ოთხი ტიპიდან ერთ-ერთი. ტემპერამენტი განსაზღვრავს გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე ჩვენი რეაქციების სისწრაფეს და სიძლიერეს, ემოციის ხარისხს და ნერვულ აგზნებადობას. ტემპერამენტის ტიპის შეცვლა თითქმის შეუძლებელია, სამაგიეროდ მისი შესწავლით შესაძლებელია კონკრეტული ტიპის ძლიერი, დადებითი, სუსტი და უარყოფითი მხარეების გამოყენება.

მელანქოლიკები ყველაზე უფრო ნაკლებად მიდრეკილნი არიან აქტიური აგრესიისაკენ. ისინი ხშირად იმყოფებიან ნერვული აშლილობისა და ემოციური კრიზისის მდგომარეობაში, ნებისმიერი უმნიშვნელო წვრილმანიც საკმარისია მათთვის, რომ მდგომარეობიდან გამოვიდნენ და უარყოფითი კუთხით შეეცვალონ განწყობა. მელანქოლიკი ბავშვისათვის შეიძლება ნებისმიერი სიტუაცია გახდეს სტრესული, მაგალითად თამაშებიც კი რომლებიც დიდხანს გრძელდება და სირთულით გამოირჩევა, ამ დროს ისინი მალე იღლებიან და ითხოვენ შესვენებას. მელანქოლიკი ბავშვები გამოირჩევიან მომეტებული მგრძნობელობით, იოლია მათი განაწყენება, არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები, ხშირად ტირიან. მათი რეაქცია სტრესზე არის საკუთარ თავში ჩაკეტვა, განმარტოება. ამიტომ მათი შესაძლო აგრესიის ტიპი არის პასიური, როცა აგრესია მიმართულია არა სხვების, არამედ საკუთარი თავის მიმართ.

აქტიური აგრესიის ტიპით ასევე არ გამოირჩევიან ფლეგმატიკებიც. მათი ნერვული სისტემა საკმაოდ გაწონასწორებულია და მათი მდგომარეობიდან გამოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია. ისინი სერიოზულ პრობლემების შემთხვევებშიც სიმშვიდეს ინარჩუნებენ, კარგად უმკლავდებიან სიმძნელებს. ერთადერთი, რაც მათ უქმნის პრობლემებს, გარემოში მომხდარი ცვლილებების მიმართ რეაქციების დაბალი ტემპია. ფლეგმატიკის აგრესიული ქცევის გამოვლენას დიდი ძალისხმევა ესაჭიროება, იგი მხოლოდ უკიდურეს სიტუაციებში, აგრესიას – აგრესიით პასუხობს. მელანქოლიკებისაგან განსხვავებით ფლეგმატიკებს არ ახასიათებთ პასიური აგრესია.

შინაგანად არააგრესიული ბუნებით გამოირჩევიან სანგვინიკები, ისინი პრობლემებს და კონფლიქტურ სიტუაციებსაც კი მშვიდობიანი ფორმებით აგვარებენ, შესაბამისად არიან ოპტიმისტები, მხიარულები და კომუნიკაბელურები. სანგვინიკი ბავშვი აქტიურია, ესაჭიროება გარემოს შეცვლა, უცნობებთან ურთიერთობისას პრობლემები არ ექმნება. თუ სანგვინიკმა მოიწყინა, ის პასიური ხდება და კონცენტრირებას ვეღარ ახერხებს მის ირგვლივ არსებულ რეალობაზე. სტრესულ სიტუაციაში იგი თავს გააზრებულად და აქტიურად იცავს, ტიპიური სანგვინიკი კონფლიქტის დროს ჯერ დარწმუნდება იმაში, რომ მშვიდობიანი გზა არაეფექტურია და შემდგომ გადადის აგრესიაზე. აგრესიული ქცევა მისთვის იქნება გაცნობიერებული აუცილებლობა.

ბუნებრივი მიდრეკილება აქტიური აგრესიისადმი გააჩნიათ ქოლერიკებს. ამის მიზეზი არის მათი ემოციური და ნერვული გაუწონასწორებულობა. ისინი ზედმეტად ფეთქებადები და აგრესიულები არიან, მათი მოთმინებიდან გამოყვანა ძალიან იოლია. მომეტებული აგზნებადობა და საპასუხო რეაქციების სისწრაფე ქოლერიკ ბავშვებს უბიძგებს იქითკენ, რომ ჯერ გადადგან ნაბიჯი და შემდგომ დაფიქრდნენ, თუ როგორ ჯობდა მოქცეულიყვნენ. თუ რაიმე საქმიანობამ ისინი დააინტერესა და გაიტაცა, ამ საქმეს მონდომებით ასრულებენ, მაგრამ ხშირად იღლებიან და არ შეუძლიათ გააგრძელონ. აქედან გამომდინარეობს მათი ხშირი განწყობის ცვლა, ინტერესების მკვეთრი ცვლილება და მოუთმენლობა. ნერვული და ფიზიკური ძალების ვარდნას თან სდევს გაღიზიანებადობა, რის შემდგომაც ქოლერიკები ხშირად ერთვებიან კონფლიქტებში და ყველა ტემპერამენტის ტიპთან შედარებით ახასიათებთ ნერვული აშლილობები.

ბავშვის აგრესიულობა შეიძლება განპირობებული იყოს კვებით. დამტკიცებულია ურთიერთკავშირი შოკოლადის ზომაზე მეტად მიღებასა და ნერვოზულობას, აგზნებადობას და აგრესიას შორის. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა დაამტკიცა სისხლში ქოლესტერინის შემცველობის დონის და აგრესიის კავშირი. ქოლესტერინის დაბალი მაჩვენებელი სისხლში პასიური აგრესიის წყაროა, ხოლო მაღალი მაჩვენებელი აქტიურ აგრესიას უწყობს ხელს. ასევე ნეგატიურად მოქმედებს აგრესიულობაზე ტკბილი გაზიანი წყლები და საჭიროა ბავშვები შეიზღუდონ მათ მიღებაში, სასურველია, რომ სკოლის სასაბუთოებშიც აიკრძალოს აღნიშნული საკვების შეტანა.

სკოლამდელ ასაკში აგრესიის სხვადასხვა ფორმები დამახასიათებელია ბავშვების უმეტესობისათვის, მაგრამ ამ პერიოდშივე არის შესაძლებელი თავიდან ავიცილოთ აგრესიულობის ტრანსფორმაცია ბავშვის ხასიათის ძირითად თვისებად. აღზრდის პროცესში თუ მოხდა იმ სასიკეთო მომენტის ხელიდან გაშვება, რა დროსაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ქცევის ფორმირების კორექცია, შემდგომში ბავშვის განვითარებაში პრობლემები იჩენენ თავს, რომლებიც ხელს შეუშლიან მისი პიროვნების სრულფასოვან ფორმირებას და ინდივიდუალური პოტენციალის სრულად გამოვლენას. ბავშვებს ესაჭიროებათ აგრესიულობის კორექცია, რადგან იგი ამახინჯებს მათ წარმოდგენებს რეალობაზე და აიძულებს გარემოს მხოლოდ მტრული თვალით უყურონ.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე „ბავშვის ფსიქოლოგია“, თბ., 2003.
2. ი. იმედაძე, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბ., 2005.
3. Грэйс Крайг, «Психология Развития», Санкт-Петербург, 2000.

Beka Toliashvili

Gori State Teaching University

REASONS OF EXPRESSING AGGRESSION BY THE CHILDREN UNDER SCHOOL AGE RESUME

Nowadays its newsworthy problem to increase aggression tendency in children's behavior. The main reasons of formation aggression tendency starts at childhood. Its necessary to notice this problem first time, because this problem may cause for children to develop destructive behavior.

This paper describe particularities of specific behavior aggression and analyzed main reasons of development aggression of preschool children's character.

ნათელა ფარტენაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე მედიის ენის საკითხები

ყველა ქართველის მოვალეობაა სახელმწიფო ენაზე ზრუნვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის უკომპრომისო დაცვა. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში თვითნებაზეა მიშვებული მართლმეტყველებისა და სალიტერატურო ნორმათა დაცვის საკითხი. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მედიის ენა.

თანამედროვე მასმედიის ენა უმძიმეს შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე. ზოგჯერ ისეთ რამეს გაიგონებ, ისე წარბეზუხრელად გეტყვიან წარმოუდგენელ შეცდომებს, გიკვირს, როგორ შეიძლება ამ დონეზე მეტყველ ადამიანებს ეძლეოდეთ უფლება, რამდენიმე ასეულ ათას მაყურებელს, მსმენელს ელაპარაკონ.

ქართულ ტელევიზიებში სალიტერატურო ენის პრობლემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ენის დაბინძურებისა და უცხოენოვანი, ყოვლად უკონტროლო ლექსიკის შემოტანა-გავრცელების

თვალსაზრისით, განსაკუთრებით ცუდი ვითარებაა ელექტრონულ მედიაში. ბევრს სცოდავს ბეჭდური პრესაც.

ენის სიწმინდის დაცვის საკითხში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჟურნალისტებს. „**ჟურნალისტების მეტყველებას გადამდები ძალა აქვს და თუნდაც უნებლიე მიზამდის საფრთხეს ქმნის**“. ჟურნალისტების საუბარში არაერთი შეცდომა „იპარება“, როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტური. შეიძლება ითქვას, რომ მასმედიის წარმომადგენელთა მეტყველება ქართული სალიტერატურო ენის ფორმებისაგან განსხვავდება. ქართველმა ჟურნალისტებმა, თითქოს, „ახალი ენა“ შექმნეს. ბევრ მათგანს მაყურებელი უკვე შეეჩვია და ვეღარც კი ამჩნევს, მაგრამ ზოგიერთი აშკარად ჭრის ყურს. თქვენს ყურადღებას ამჯერად რამდენიმე მიმართულებით შევაჩერებთ. როგორიცაა ფრაზები: „სამი საქართველოს მოქალაქე“, „ხუთი ჟიურის წევრი“, „ორი დაცვის თანამშრომელი“ და ა. შ. ეს ის ფორმებია, რომლებიც ჟურნალისტებს ხშირად აყენებს კომიკურ სიტუაციაში. სამი მოქალაქეა და არა საქართველო, ხუთი წევრია და არა ჟიური... ასეთი გრამატიკული შეცდომა (მსაზღვრელის არასწორ ადგილზე ჩასმა) იწვევს ფაქტობრივ უზუსტობას და შინაარსობრივად აბსურდული ხდება წინადადება.

პრობლემა მრავლობით რიცხვში დასმულ უსულო საგნებთან შემასმენლის შეწყობის საკითხიც. როგორც წესი, ასეთ ქვემდებარეს შემასმენელი მხოლოდ რიცხვში შეეწყობა. არასწორია: „გამოკვლევები ადასტურებენ“, „ეს საკითხები ყურადღებას იმსახურებენ“, „საარჩევნო უბნები მზადყოფნაში არიან“ და ა. შ.

გავრცელებული შეცდომაა ასევე ზედმეტი ხმოვნის ჩასმა. მაგ.: **წარმოჩინდა** და **წარმოჩნდა**. თუ ზმნისწინ – წარ–ს შევცვლით სხვა ზმნისწინით, მივიღებთ „აღმოჩნდა“, „გაჩნდა“ და ა. შ. არცერთ მათგანში არაა „ი“ ხმოვანი, ანუ მისი ხმარება პირველ შემთხვევაშიც გაუმართლებელია. სწორი ფორმაა **წარმოჩნდა**. ასევეა **რამოდენიმესა** და **რამდენიმეს** შემთხვევაშიც. სწორი ფორმაა **რამდენიმე**, რადგან „მ“ არის დროთა განმავლობაში მიღებული „ო“ ხმოვნისგან (რაოდენი) და მისი დამატება აღარაა საჭირო.

განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა აღწერითი ფორმები. ისინი თითქმის ცვლიან ზმნის ორგანულ და აქტიურ ფორმებს, რაც ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას. აქ ვხდებით შემდეგ ფრაზებს: პრეზიდენტი **გადაყვანილ იქნა**; სპორტსმენები **ჩამოყვანილ იქნა**; შეხვედრა **გადადებულ იქნა** ხვალისთვის; მოლაპარაკება **ჩაშლილ იქნა**; სიტყვა **წარმოთქმულ იქნა**; საკითხი **განხილულ იქნა** პლენარულ სხდომაზე; აუდიტი **ჩატარებულ იქნა** საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და **გაცემულ იქნა** უპირობო დასკვნა, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის 29 აპრილით; ყველაფერი **გაწერილ იქნეს** დეტალურად; გერმანელი ჯარისკაცი და მეთაური თამარ მეფის ორდენით **იქნა დაჯილდოებული**; მწერლის მიერ **აღწერილ იქნა** გადატაკებული ხალხის ცხოვრება... ასევე: დასახულ იქნა; გათავისუფლებულ იქნა; გამომჟღავნებულ იქნა; შემოწმებულ იქნა; დასამარებულ იქნა; გაანალიზებულ იქნა; შესრულებულ იქნა; დაჯილდოებულ იქნა; წახალისებულ იქნა; დასმულ იქნა; მოქცეულ იქნა; განზოგადებულ იქნა; განხორციელებულ იქნა; გადაწეულ იქნა; გადაადგილებულ იქნა; ჩაწერილ იქნა; გარემონტებულ იქნა; დამუშავებულ იქნა; გაჩხრეკილ იქნა; დამლილ იქნა...

უნდა იყოს: გამომჟღავნდა–გამოამჟღავნეს; დასამარდა–დაასამარეს; წახალისდა–წახალისეს; დაჯილდოვდა–დააჯილდოეს; დაისვა–დასვეს; გაანალიზდა–გაანალიზეს; მიექცა–მიაქციეს; განზოგადდა–განზოგადეს; განხორციელდა–განხორციელეს; გადაიწია–გადასწიეს; გადაადგილდა–გადაადგილეს; ჩაიწერა–ჩაწერეს; გარემონტდა–გარემონტეს; დამუშავდა–დამუშავეს; გაიჩხრიკა–გაიჩხრიკეს; დაიშალა–დაშალეს...

დასახელებულ ფორმებში აღწერითი ვნებითი აქტიური მოქმედების აღსანიშნავად არის გამოყენებული. ისინი ვერ ჩაითვლებიან წყვეტილის ფორმებად და, ამდენად, უფრო არაბუნებრივად ჩანს: დაკავებულ იქნა, მოწვეულ იქნა, მოსმენილ იქნა და მისთანა. ამას აქტიური ფორმებით გამოყენება აჯობებდა: დააკავეს, მოიწვიეს, მოისმინეს და ა. შ.

პრესაში ვნებითის ფორმათა გახშირების მიზეზი ათასგვარი ცნობის, ინფორმაციის, დადგენილებისა თუ სხვა დოკუმენტების ენაში აღწერითი ფორმების აუცილებლობითაა გამოწვეული. თუ ასეთი დოკუმენტი არ გვაქვს, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია მათი გამოყენება.

მედიის ენაში ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ისეთი აღწერითი ფორმები, რომლებიც შედგება ზმნისა და საწყისისაგან ან მნიშვნელობით ახლოს მდგომი სახელისაგან. ასეთ შემთხვევაში ზმნა არ აღიქმება დამოუკიდებელ კომპონენტად, მნიშვნელობადაკარგულია და შინაარსის მატარებელი არის საწყისი. ასეთებია: **მოლოდინი აქვს** (ელოდება); საზოგადოებას დიდი **ინტერესი აქვს** (აინტერესებს) მომხდარისადმი; პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს წევრების **შეხვედრა მოხდა** (შეხვდნენ)...; რა **მოლოდინი გაქვთ** (რას ელოდებით) უმრავლესობისა და უმცირესობის შეხვედრის შემდეგ; უმცირესობას **შეხვედრა ჰქონდა** (შეხვდა) უმრავლესობის წარმომადგენლებთან...

მნიშვნელოვანია, რომ ერთი ენა მეორეზე გავლენას სხვადასხვა კუთხით ახდენს. ყველაზე სახიფათო ტენდენციად სიღრმისეული, სტრუქტურული გავლენა მიიჩნევა. სწორედ ასეთ კატეგორიას

მიეკუთვნება **კალკი**. დღეს მრავლადაა რუსული ენიდან შემოსული კალკები: (არ) მაწყობს (*не устраивает*) – ქართ. ხელს (არ) მამღლეს, „თელის“ ნაცვლად „მიაჩნის“ (*считает*), ადგილი აქვს (*имеет место*), მიმალვაშია (იმალება), გაყიდვაშია (იყიდება), მიმართულია ჯგუფებზე, საქმისადმი ერთგულება (საქმის ერთგულება) და ა. შ.

საყურადღებოა ასევე ერთგვარი მყარი სინტაქსური ფორმულები, რომლებიც კალკირების საფუძველზეა წარმოქმნილი. მათ ბირთვს ძირითადად რომელიმე კალკირებული შინაარსის ზმნა ან სახელზმნა წარმოადგენს. მაგ: წარმოება – თავისი მნიშვნელობით მატერიალური საგნების დამზადებას უკავშირდება, მაგრამ ბოლო დროს დამკვიდრდა ზოგადი მოქმედების გამოსახატავად – მოლაპარაკებას აწარმოებს, გამოძიებას აწარმოებს, მოსავლის აღებას აწარმოებს და სხვ. უფრო სწორი ფორმაა „მოსავალს იღებს“, „ესაუბრება“ და სხვ.

ჩატარება – გატარება ამ ზმნის ხმარებისას ვხვდებით ორგვარ შეცდომას.

ა) ანაცვლებს კანონიერ „კეთება, ხმარება, გამოყენებას“: საათს ატარებს (საათი უკეთია), სათვალეს ატარებს (სათვალეს ხმარობს) და ა. შ. ბ) ენაცვლება „გამართება, მოწყობას“ – საღამოს ატარებს [საღამოს მართავს (აწყობს)], კონკურსს ატარებს [კონკურსს მართავს (აწყობს)] და ა. შ.

შედგომა – არასწორია შეხვედრა შედგა (შეხვედრა გაიმართა), ვიზიტი არ შედგა (ვიზიტი არ გამოვიდა)...

მიცემა, მისცა – შეფასება მისცა (შეაფასა), დავალება მისცა (დაავალა).

განცდა, განიცდის – ფეხბურთელმა მარცხი განიცადა (დამარცხდა), გაჭირვებას განიცდის (მატერიალურად უჭირს)...

მიყენება – ტკივილი მიაყენა (ატკინა), ჭრილობა მიაყენა (დაჭრა)...

ასეთი მყარი სინტაქსური ფორმულები დღეს სტილისტურ შეცდომებად მიიჩნევა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი კალკირების შედეგად ყალიბდება.

სწორად, სწორედ – ჩვენი ხელისუფლება ხედავს, თუ როგორ სწორედ მიდის მუშაობა...

ამასთან, ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის გავრცელებული შეცდომები.

მოთხოვნა თუ მოთხოვნილება – ხშირად ამ ორ სიტყვას ერთმანეთში ურევენ. მაგ.: „აქციის მონაწილეებს სხვადასხვა მოთხოვნილებები აქვთ“. „მოთხოვნილება“ თითქმის იგივე მნიშვნელობისაა, რაც „საჭიროება“ და ცოცხალი ორგანიზმის შინაგან, მისივე ორგანიზმის მიერ ნაკარნახევ მდგომარეობას აღნიშნავს. **მოთხოვნა** კი ერთი პირის მიერ წაყენებული, ან თავს მოხვეული პრეტენზიაა მეორე პირის მიმართ.

(ორი დღის) წინ თუ უკან – წინა ვითარების გამოსახატავად ყოველთვის იხმარება „წინ“. მაგ.: ვამბობთ „წინა წელს“ და არა „უკანა წელს“... სწორი ფორმაა ორი დღის წინ, სამი წლის წინ და ა. შ.

განმავლობაში და მანძილზე – ჟურნალისტები (და არა მარტო ისინი) დროის მონაკვეთების აღნიშვნისას უმეტესად იყენებენ სიტყვას „მანძილზე“ (ორი საათის მანძილზე), რაც შეცდომაა. დროს მანძილი არ გააჩნია. მართებული ფორმაა „ორი საათის განმავლობაში“, „მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ და ა.შ.

შეიძლება და შესაძლოა – ამ ორი სიტყვის მნიშვნელობას ხშირად ურევენ ერთმანეთში. არასწორია „თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშალოს“... „შეიძლება“ ნიშნავს, რომ რაღაც ნებადართულია, არსებობს შესაბამისი უფლება. „შესაძლოა“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ალბათობაზეა საუბარი, ამიტომ სწორია: „თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშალოს“.

კლიშე კი – ეს არის ერთგვარი სამეტყველო სტერეოტიპი, მზამზარეული გამონათქვამი. მასში მოიაზრება სხვადასხვა ენობრივი ფორმულა, როგორც ერთსიტყვიანი, ისე რამდენიმესიტყვიანი ფრაზა. ზოგიერთ მათგანს იმდენად ხშირად იყენებენ ჟურნალისტები, რომ ლამის სავალდებულო ფორმულის სახე მიიღო: **საკითხის დასმა, პრობლემის გადაწყვეტა, პოზიციის დაფიქსირება, აღებული ვალდებულება, შემფოთებას გამოთქვამს, ხელს უწყობს და ა.შ.**

ზოგადად კლიშეების ასეთი დამკვიდრება და ჟურნალისტის მიერ მისი ხშირი გამოყენება სათანადო ლექსიკური მარაგის არქონაზე მიანიშნებს. ლექსიკური მარაგის არქონა კი, თავის მხრივ, ჟურნალისტის წიგნიერების დაბალ მაჩვენებელს უსვამს ხაზს. კლიშეებისა და შტამპების ასეთი სწრაფად და უმტკივნეულოდ დამკვიდრების უმთავრესი მიზეზი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინფორმაციის სწრაფი მიღება და გადამუშავებაა. ამიტომ მედიის ენა ამ კუთხითაც საგანგებო მეთვალყურეობას მოითხოვს.

21-ე საუკუნის დადგომასთან ერთად საქართველოს პოლიტიკური კურსი დასავლეთის მიმართულებით შეიცვალა. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ევროპიდან თუ ამერიკიდან

უამრავი უცხო ტერმინი შემოვიდა. რადიოსა თუ ტელევიზიიდან, გაზეთებიდან თუ ჟურნალებიდან, გვესმის და ვკითხულობთ არაქართულ სიტყვებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მას ჩვენი ყური და გონება ჩვეულებრივად აღიქვამს.

არ შეიძლება ენის ლექსიკური ერთეულებით „გამდიდრების“ თვითნებაზე მიშვება. არ შეიძლება უცხო ენიდან შემოვიდეს ისეთი სიტყვები, რომელთა შესატყვისებიც უკვე არსებობს ენაში და ხშირად უკეთაც გამოხატავს სათქმელის შინაარსს. მიუღებელია ენის დაბინძურება კალკებით, ვულგარიზმებით, ჟარგონებით, დიალექტიზმებით. მართალია, ამ უკანასკნელს ქართული მწერლობის კლასიკოსებიც იყენებდნენ პერსონაჟთა მეტყველებაში, მაგრამ იქაც კი დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ვფიქრობთ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჟურნალისტებში ასეთი „მრავალფეროვანი“ ენა განათლების დაბალ დონეზე უნდა მეტყველებდეს. ერთ-ერთმა პოპულარულმა ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ განაცხადა: „მაშინ, როდესაც მე ვმუშაობ, ვერ ვამჩნევ, თუ რას ვამბობ სწორად, და რას – არა.“ მაგრამ ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, რადგან ტელევიზიებს უამრავი მაყურებელი ჰყავს, ჟურნალისტების მეტყველება კი საზოგადოების ცნობიერებაზე აისახება.

თუ ყურადღებით მოვისმენთ, ერთი შეხედვით, ლამაზ და ჟღერად სიტყვებში ამოვიცნობთ ჟარგონებს, კალკებს და ა. შ. სამწუხაროა, მაგრამ ენაში უკვე ფეხი მოიკიდა დამახინჯებულმა მეტყველებამ. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი არსებობს.

ბარბარიზმი უცხო სიტყვების საჭიროების გარეშე გამოყენებაა. თანამედროვე მეტყველებაში მრავლადაა შემორჩენილი რუსული ბარბარიზმები, რაც ჩვენი საბჭოური წარსულის დამსახურებაა. ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში ხშირად ვხვდებით „აჯიმანიას“, „კაშნს“, „ბუკეტს“ და ა. შ. ყველა მათგანს აქვს ქართული შესატყვისი: „აზიდვა“, „შარფი“, „თაიგული“ და ა. შ. მაგრამ „რუსულ გადმონაშთებზე“ უარესი სხვა რამაა. „ბარბარიზმების პრობლემა“ უფრო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ერის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთქმედებების დროს. „სწორედ ასეთი ურთიერთობა ინგლისურთან მნიშვნელოვნად აზიანებს ქართულ ენას. არავინ დაობდა იმაზე, რომ რუსულიდან შემოსული „ტრენერი“ და „ტრენიროვკა“ ბარბარიზმი იყო. დღეს კი ინგლისურის გზით შემოსული იგივე სიტყვები (ტრენერი და ტრენინგი) უმტკივნეულოდ იმკვიდრებს ადგილს. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად ქართული ენა ყველაზე მეტად სწორედ ინგლისური ბარბარიზმებით ბინძურდება. ამ მხრივ კი ყველაზე მეტს სწორედ ჟურნალისტები და ის პოლიტიკოსები სცოდავენ, რომლებიც მუდმივად ჩანან ეკრანზე... ინგლისური სიტყვების აუცილებლობის გარეშე გამოყენებით ცდილობენ ხაზი გაუსვან თავიანთ განათლებულობას. რუსული ბარბარიზმები ახლა ყურს ჭრის და ადვილად ხვდებიან, რომ მისი გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ ინგლისურიდან შემოსული სიტყვები არ აღიქმება ბარბარიზმებად, პირიქით, თითქოს აუცილებლობაც კი გახდა მათი გამოყენება. ასეთი დამოკიდებულება შესაძლოა დამლუპველი აღმოჩნდეს ქართული ენისათვის, რადგან უცხოური სიტყვები შეუმჩნევლად ანაცვლებს ქართულს. აქ საუბარი არაა ინტერნაციონალურ სიტყვებზე (კომპიუტერი, პროცესორი და სხვ.), რომელთა შემოსვლა და დამკვიდრება ტექნოლოგიურმა თუ სხვა სახის ცვლილებებმა გამოიწვია. საქმე ეხება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად, **პრიორიტეტული** (უპირატესი), **კრეატიული** (შემოქმედებითი), **რეზულტატი** (შედეგი), **ივენტი** (ღონისძიება), **ექსპერიმენტი** (ცდა), **აუთლაინი** (მონახაზი), **მესიჯი** (შეტყობინება, გზავნილი), **რიმეიქი** (გადამუშავება), **მეილი** (ფოსტა), **ფეშენვიქი** (მოდის კვირეული), **ვიქენდი** (შაბათ-კვირა) და ა. შ. ქართველი ჟურნალისტები, როგორც წესი, უპირატესობას უცხოურ სიტყვებს ანიჭებენ. ამიტომ რიგითი მაყურებლისთვის, რომელსაც ხელში არ უჭირავს განმარტებითი ლექსიკონი, გაუგებარი რჩება, რის შესახებ საუბრობს ის.

დღეს ხშირად გამოიყენება შემდეგი სიტყვებიც: **PR (პიარი)** – პიარი ძალიან გავრცელებული სიტყვაა საქართველოში და საზოგადოებასთან ურთიერთობას გულისხმობს. მაგ.: დიდი კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი PR განყოფილება, ცდილობენ თვითონ მოამზადონ და გაავრცელონ ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

Show (შოუ) – ქართულ ტელევიზიებზე არ გადის გადაცემა. რომელთაც დაბოლოება „show“ არ ჰქონდეს („ნანუკა ჟორჯოლიანის შოუ“, „ვანო ჯავახიშვილის შოუ“, „ქლაბ შოუ“, „თქვენი შოუ“, „კაცების შოუ“, „დამის შოუ“ და ა.შ.). ქართულად რომ გადავთარგმნოთ, „შოუ“ ნიშნავს ჩვენებას.

Performance (პერფორმენს) – კიდევ ერთ სავალალო შემთხვევას ვხვდებით, საიდანაც, „რჩეული საზოგადოების“ წევრები, ამა თუ იმ თერმის მიერ შეკერილი ტანისამოსის ჩვენებას „არაჩვეულებრივ პერფორმენსს“ უწოდებენ, ანუ წარმოადგენას.

Creative (კრეატივი) – არის სიტყვა, რომელიც ასევე ხშირად ისმის ტელევიზიიდან. ამ სიტყვას, ძირითადად, ახალგაზრდებისა და ნიჭიერი ადამიანების მიმართ ხმარობენ. მაგ.: გადავწყვიტე შემოგთავაზოთ კრეატიული სარეკლამო იდეები, რომელთა მეშვეობით კომპანიებმა არაერთი მილიონი მოიპოვეს...

დასავლეთიდან შემოსული ბარბარიზმების გავრცელებას ხელს უწყობს სოციალური ქსელებიც. მაგალითად, Facebook-ის აქტიურმა მოხმარებამ გამოიწვია ახალი ტერმინების დამკვიდრება საზოგადოებაში: „დალაიქება“, „დაპოსტვა“, „დათაგვა“, „დაშეარება“... ისინი ჩვეულებრივი „ქართული“ სიტყვები გახდა და დროის მცირე მონაკვეთში მყარად მოიკიდა ფეხი. ყველა ბავშვის (და არამართ) მეტყველებაში ჩვეულ ფორმებად დამკვიდრდა.

აღნიშნული ბარბარიზმები ყოველ დღე გვესმის საუბრის დროს, რაც ქართული ენის სიწმინდეს ვნებს. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დავიცვათ მშობლიური ენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულმა შეიძლება დაკარგოს თავისი მშვენიერება. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ენის სიწმინდისთვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსი“. ამიტომ ყველა ქართველის მოვალეობაა იზრუნოს ენის სიწმინდისთვის, მიუხედავად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა. აუცილებელია მოსახლეობის ლექსიკის გაუმჯობესება. ჩვენი მეგობრების, სანაცნობო წრის მეტყველებიდან ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების ამოღება, რომლებიც ამახინჯებენ და აკნინებენ ქართულ ენას.

უცხოური სიტყვების შემოტანის, მათი ქართულ ენასთან შესაბამისობაში მოქცევისა და დამკვიდრების საკითხების გადასაჭრელად სხვადასხვა ორგანოები არსებობდა. ბოლოს იყო ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც 1998 წელს ჩამოყალიბდა და 2004 წელს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გააუქმეს. ის თვალყურს ადევნებდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებას, აკონტროლებდა ყველა უწყებაში სახელწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას. მსგავსი ორგანოები საქართველოში 1921 წლიდან ფუნქციონირებდა: ტერმინოლოგიათა შემუშავებელი სამეცნიერო საბჭო (1921 წ. ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი), სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია (1934 წ.), ნორმათა დამდგენი კომისია (1946 წ. ხელმძღვანელობდნენ ჯერ ს. ჯანაშია, შემდეგ – ა. შანიძე), სალიტერატურო ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისია (1953 წ.). წინა ხელისუფლება რატომღაც არ მიიჩნევდა საჭიროდ მსგავსი კომისიის არსებობას. არადა ყველაზე მეტად სწორედ ახლაა საჭირო მსგავსი ორგანოს არსებობა, რათა გაკონტროლდეს, თუ რა ისმის ყოველდღიურად ტელე ეთერიდან, რა იწერება ბეჭდვით მედიაში... მითუმეტეს, იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს უცხო ენების სწავლება და მსოფლიო მასშტაბითაც ერთეული ენები იწყებენ გაბატონებას.

თავის მხრივ, ჟურნალისტებმაც უნდა გაიაზრონ, რომ ქართული ენის ნორმების დაცვა აუცილებელია. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მათი საუბარი მაგალითი ხდება მაყურებლისა თუ მკითხველისათვის.

Natela Phartenadze
Batumi Shota Rustaveli State University
ISSUES OF CONTEMPORARY MEDIA LANGUAGE
RESUME

Modern media language has greatly influenced our society. Moreover, there are very bad manifestations in electronic media, TV and Press from the point of view of accepting and developing of completely uncontrolled foreign vocabulary and the pollution of language.

The peculiar responsibility for protection of language purity is carried by journalists. **“The journalist language has a great transferring power and it often causes a spontaneous imitation”**. Journalists frequently make unexpected mistakes, either gramatical or stylistic, use clishees and barbarisms. The most impressive mistakes are used in expressions.

After changing political course of Georgia towards the West, many new words influenced Georgian language from Europe or America. We hear and read nongeorgian words on TV, radio, in newspapers or magazines, but in most cases, our ear and consciousness perceive them in usual way. The examples of such words are: **პრიორიტეტული** (priority), **კრეატიული** (creative), **რეზულტატი** (result), **ივენტი** (event), **ექსპერიმენტი** (experiment), **აუთლაინი** (outline), **მესიჯი** (massage), **რიმეიქი** (remake), **მეილი** (mail), **ფეშენგიქი** (fashion week), **ვიქენდი** (weekend) and so on.

As we know, there were different organizations to solve the problems connecting with receiving, penetrating and usage of foreign words in Georgian language. Today they don't function, but it is important to restore them in order to be able to control everything what is heard on everyday TV, or what is written in printed press... And of course, the given issue is very actual, because the study of foreign languages in our country goes on in hasten rates, and the unique languages begin predominate over the other languages all over the world.

მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი
(წინასწარი მოხსენება)

I

საუბარს რამდენიმე ტერმინის დაზუსტებით დავიწყებთ; ტერმინებით, რომელიც მკვიდრდება ქართველოლოგიაში; მხედველობაში გვაქვს სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის აღმნიშვნელი ტერმინები. ჩვენეული აზრის დაფიქსირება იმიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ყოველდღიურად ვაწყდებით ტერმინოლოგიურ სიჭრელეს, რაც, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, გარკვეულ უხერხულობას ქმნის.

მივყვეთ მოვლენებს:

სამხრეთ საქართველოში, ჭოროხისა და მტკვრის ხეობებში, ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული „ქვეყანა“: სპერი (ისპირი), ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, მაჭახელი... (ჭოროხის ქვეყნები), კოლა, არტანუჯი, ერუშეთი... (მტკვრის ქვეყნები). სამწუხაროდ, დროთა სვლაში მტკვრის ზემო წელის მკვიდრმა მოსახლეობამ დაივიწყა მშობლიური ენა, ქართველი კაცის ნაკვალევი აქ უმეტესად ტოპონიმკას, გეოგრაფიულ სახელებს ზოგადად (ასევე ქართულ ლექსიკას, აქაურთა თურქულ მეტყველებაში შეხიზნულს) და ქართველთა ისტორიულ მეხსიერებას შემოუნახავს.

ქართული ისმის ჭოროხის რამდენიმე „ქვეყანაში“, ჯერ კიდევ შეგვიძლია ვისაუბროთ აქ გავრცელებულ დიალექტებზე და აღვადგინოთ ამ დიალექტთა (ზოგადად „ჭოროხის ქვეყნების“) ლინგვისტური პორტრეტი. არაერთხელ აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ მიუხედავად თურქულის (სახელმწიფო ენის) ძლიერი გავლენისა, თურქეთის საქართველოში გადარჩენილი ქართული კილოები ინარჩუნებენ სტრუქტურულ მთლიანობას. თუმცა, ახლა ეს არაა მთავარი... ახლა გვაინტერესებს „ჭოროხის ქვეყნებში“ გავრცელებული მეტყველების აღმნიშვნელი ტერმინები. აჭარული და იმერხეული სხვადასხვა დროს სხვადასხვა დიალექტთა ჯგუფში გაუერთიანებიათ, კერძოდ:

ა. *აჭარულსა და იმერხელს* უწოდებენ *ქართული ენის დიალექტთა სამხრულ-დასავლურ ჯგუფს* (მარტიროსოვი 1972, ფუტყარაძე 1995...).

ბ. *გურულს, აჭარულსა და იმერხელს* – დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტებს (ბ. ჯორბენაძე 1989).

რამდენადაც *აჭარული, შავშური, კლარჯული* და *ტაოური* ერთმანეთთან ახლოს დგანან, გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი აქვთ საერთო ლექსიკაშიც და, იმის გათვალისწინებითაც, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, გამოვყოფთ დიალექტთა ცალკე ჯგუფად და უწოდებთ *სამხრულ კილოებს/სამხრულ დიალექტებს* ან *სამხრულ მეტყველებას*. ვფიქრობთ, ეს ტერმინები კარგად ასახავს როგორც ახლანდელ, ისე ისტორიულ ვითარებას.

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას (1904 წლის ზაფხული) ნ. მარმა ადგილობრივთა მეტყველებას *იმერხელი კილო* უწოდა. თუ კარგად დავაკვირდებით მკვლევრის მოგზაურობის გეოგრაფიას, ეს არცაა გასაკვირი: მან ხომ სამხრეთ საქართველოს მხოლოდ ეს სექტორი მოიარა იმერხევისა (სხვა ტერმინით – ფაფართის) ხეობისა და მისი მიმდებარე კლარჯეთის სოფლები. ნ. მარმა ჩაიწერა მცირე მოცულობის ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ტექსტები; მას აქაური დიალექტი ან ფოლკლორი სპეციალურად არ უკვლევია, მისი მოგზაურობის მიზანი სხვა იყო – აინტერესებდა ამ კუთხეში გაბნეული მატერიალური კულტურის ძეგლები, უფრო – წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები; ეძებდა ხანძთასა და შატბერდს, წყაროსთავსა და მერეს, მიძნაძორსა და ჯმერკს... ზოგადად – გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევს. ამ მიზეზში მოიარა გიორგი მერჩულეს თხზულებაში აღწერილი ათორმეტი სავანის კუთხე, გააკეთა საინტერესო მინიშნებები აქაურ არქიტექტურაზე (შავშური ტიპის ეკლესია), ფოლკლორზე, ეთნოგრაფიულ ყოფაზე, მეტყველებაზე (დაწვრილებით იხ. ფაღავა, 2012: 7-99). ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ნ. მარის შემდეგ მხოლოდ წმ. ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სამეცნიერო მიზნით (1917 წელი), მაგრამ მასაც, როგორც ისტორიკოსს, უფრო მატერიალური კულტურის ძეგლები აინტერესებდა. შემდეგ შექმნილი ისტორიული ვითარების გამო ამ კუთხეში ქართველ მკვლევარს, ენათმეცნიერსა და ფოლკლორისტს მაინც (თორემ აქაური არქიტექტურის

შესასწავლად ჭოროხის ქვეყნებში იმოგზაურა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა გიორგი ჯობაძემ, სხვა უცხოელმა მკვლევრებმაც) არ უმოგზაურია. მეტი ფასი დაედო ნ. მარის ისედაც ძვირფას ჩანაწერებს. **იმერხელი კილო**, როგორც ტერმინი, დამკვიდრდა ქართველოლოგიაში ჭოროხის აუზის ქვემო წელში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების აღსანიშნავად (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961; მარტიროსოვი, 1972). ამავე დიალექტს ზოგიერთი მკვლევარი **კლარჯულსაც** უწოდებს (თოფურია, 1963; ჯორბენაძე, 1989). მამასადაძე, ერთი და იგივე დიალექტის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა ორი ტერმინი – **იმერხელი** და **კლარჯული**. ბარემ აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული ტერმინები ჩამოყალიბდა დიალექტის ადგილზე კვლევის გარეშე. როგორც ვთქვით, ნ. მარს (არც ექვთ. თაყაიშვილს) სპეციალურად არ უკვლევია იმერხელი კილო (ტერმინი ნ. მარისაა), სხვებს კიდევ ამ რეგიონში მუშაობის საშუალება არ ჰქონიათ. ასე იყო გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, ვიდრე ქართველ მკვლევარს მიეცა საშუალება, ემოგზაურა ამ კუთხეში და ჩაეწერა აქაურთა მეტყველების ნიმუშები, დაეწერა და დაესტამბა პირველი გამოკვლევები. პირველობა ამ საქმეში პროფესორ შუშანა ფუტყარაძეს ეკუთვნის. მკვლევარმა, მის მიერვე ჩაწერილ მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით, თურქეთის საქართველოში გავრცელებულ ქართულში გამოჰყო: **იმერხელი** (დატოვა ძალაში ნ. მარისეული ტერმინი, უკვე გაზიარებული ლინგვისტურ ქართველოლოგიაში, თუმცა ამ ტერმინით აღნიშნა მხოლოდ იმერხეველთა მეტყველება. ნ. მარისთვის ეს ტერმინი მთელი ამ კუთხის [შავშეთი, ზემო კლარჯეთის (იმხანად ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ისმოდა ქართული) მეტყველების აღმნიშვნელია], **ლივანური**, **მაჭახლური** და **ტაოს ქართული**, ცალკე განიხილა **მუჰაჯირთა მეტყველება** (იხ. ფუტყარაძე 1993; 1995). პროფ. შ. ფუტყარაძისეული ტერმინები იყო პირველადი კვლევის შედეგი, თუმცა ავტორი დღესაც მყარად დგას თავის შეხედულებაზე.

თანდათან ჭოროხის „ქვეყნების“ კომპლექსური კვლევა ინტენსიურ ხასიათს ღებულობს; იწერება არაერთი საყურადღებო გამოკვლევა, ისტორიული, გეოგრაფიული და ლინგვისტური ფაქტების გათვალისწინებით ზუსტდება უკვე არსებული ტერმინოლოგიაც, კერძოდ:

1. იმერხევი ისტორიული შავშეთის ქვეყნის ნაწილია, ერთი ხეობაა მხოლოდ. იმერხევი დაუპირისპირდა შავშეთს და სხვა ქვეყნად იქნა გააზრებული მხოლოდ იმიტომ, რომ შავშეთის დიდმა ნაწილმა, რომელსაც დღეს ზოგიერთი მკვლევარი შავშეთს უწოდებს და ცალკე მოიაზრებს, დაივიწყა ქართული ენა, „გათურქდა“, როგორც ადგილობრივები ამბობენ. ვიმეორებთ: ქართული ენის, როგორც ნაციონალური იდენტობის უპირველესი ნიშნით, დაუპირისპირდა იმერხევი დანარჩენ შავშეთს. ისტორიული შავშეთი გაიყო ორად – **მექართულე შავშეთი** (იმერხევი, უსტამისი...) და **მეთურქულე შავშეთი** (მშობლიურენადაკარგული ნაწილი შავშეთის ქვეყნისა). იმერხეველთა მეტყველებას უწოდეს **იმერხელი კილო** და ეს თითქმის ბუნებრივიცაა, თუმცა ვერ ასახავს რეალობას, რამდენადაც ქართული, იმერხევის გარდა, შავშეთის სხვა სოფლებშიც ისმის (მაგალითად – უსტამისი...), შესაბამისად, უფრო მოხერხებულად და მარჯვედ მიგვაჩნია ამ კუთხის მეტყველების აღსანიშნავად **შავშური კილო** (შდრ. შავშური ფოლკლორი, შავშური ყოფა და ა. შ.), **იმერხელით** კი უნდა აღინიშნოს მხოლოდ შავშურის ერთი კილოკავი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მეთურქულე შავშეთის მკვიდრთა თურქული მეტყველების ჯერ კიდევ აქტიური ლექსიკური ფენაა აქაური ქართული ტოპონიმია და ქართული ლექსიკა, რომელიც ცოცხლობს ადგილობრივთა მეხსიერებაში. მიგვაჩნია, რომ ისტორიულად შავშეთის ნაწილია მაჭახელიც (ზემო და ქვემო), სადაც კარგადაა შენახული ქართული ენა. ვფიქრობთ, **მაჭახლურის** ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფა ნაჩქარევია, ისიც იმერხელთან ერთად შავშურის ნაწილია. ამდენად, ერთ დროს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული შავშური დიალექტიდან ქართული გადარჩა იმერხევეში, შავშეთის ზოგიერთ სოფელში და მაჭახელში. გამომდინარე თქმულიდან, უნდა შევთანხმდეთ შესაბამის ტერმინებზე: **შავშური კილო/დიალექტი**, **იმერხელი კილოკავი**, **მაჭახლური კილოკავი**. ვიტყვით, რომ შავშური დიალექტის პირველადი პორტრეტი შექმნილია (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 2011: 219-301; 366-472). პირველადი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ საკვლევია მაჭახლური კილოკავი (ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, გვემუშავა ზემო მაჭახელში/თურქეთის მაჭახელში, ის დახურული ზონაა და სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლა შეუძლებელია), საბოლოოდ დასადგენია მისი დიალექტური სტატუსი.

2. პროფ. შ. ფუტყარაძე ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფს **ლივანურს**. ლივანა ისტორიული კლარჯეთის ნაწილია, ჭოროხის ქვემო წელი. კლარჯეთი ისტორიულად ვრცელი ქვეყანა იყო. მოიცავდა დღევანდელი არტანუჯის, ართვინისა და ბორჩხის ილჩეებს (რაიონებს). არტანუჯსა და ართვინში ქართული დაივიწყეს, „გათურქდნენ“, მაგრამ კლარჯეთის ამ ნაწილის თურქულ მეტყველებაში ჯერ კიდევ აქტიურია ქართული ტოპონიმია და აქაურთა თურქულ მეტყველებას შეფარებული ქართული სიტყვები. ქართული ისმის **მურღულისა** და **დევისქელის**

ხეობებში, ასევე – **ლივანაში** (ბორჩხის მიმდებარე სოფლებში მირვეთამდე). ტერმინი **ლივანური** სრულად ვერ ასახავს ვითარებას, უმჯობესია, კლარჯეთის „ქვეყნის“ მკვიდრთა მეტყველებას ვუწოდოთ **კლარჯულ კილო/დიალექტი**. სადღეისოდ პირობითად გამოვყოფთ კლარჯულის კილოკავებს: **ზემოკლარჯული** (მურღულისა და დევსქელის მკვიდრთა მეტყველება. მომავალმა კვლევამ შეიძლება დაგვაზუსტებინოს და ცალკე გამოგვაყოფინოს **კლარჯული კილოს მურღულური** და **დევსქელური კილოკავები**) და **ლივანური**.

ამჯერად დაბეჯითებით ვიტყვით: ისტორიული კლარჯეთის მეტყველების აღსანიშნავად უნდა ვიხმაროთ ტერმინი **კლარჯული კილო/დიალექტი**.

ცნობისათვის: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველოლოგიის ინსტიტუტის“ მეცნიერთა ჯგუფი შეუდგა სამეცნიერო პროექტის – „კლარჯეთი“ განხორციელებას. პროექტი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და მიზნად ისახავს კომპლექსური მონოგრაფიის – „კლარჯეთი“ (ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა) – შექმნას. ვფიქრობთ, პროექტის განხორციელებით შეიქმნება კლარჯეთის ქვეყნის ერთიანი სურათი.

3. **ტაოური კილო/დიალექტი** (შუშანა ფუტკარაძე უწოდებს **ტაოს ქართულს**) დღეს ისმის მხოლოდ ისტორიული ტაოს რამდენიმე სოფელში (ჭილათი, ელიასხევი, ქვაბაგი, ცუცეკარი... (იხ. ფაღვა... 2004). ერთ დროს ტაოს ვრცელ ქვეყანაში გავრცელებული დიალექტის „ნამსხვრევებიდა“ (ტერმინი შოთა ძიძიგურისაა. იხ.: ნიჟარაძე 1957, რედაქტორის წინასიტყვაობა) გადარჩა. ბუნებრივია, ძნელია (უფრო შეუძლებელიც) ტაოურის კილოკაურ შედგენილობაზე მსჯელობა, თუმცა ტაოურ დიალექტზე საუბარი შესაძლებელია; ჯერ კიდევ შეიძლება მისი სტრუქტურული მახასიათებლების დადგენა.

4. **აჭარული კილო/დიალექტი** – ისტორიული სამხრული მეტყველების კარგად გადარჩენილი მოწმე, შედარებით კარგად შესწავლილი ქართულ ენათმეცნიერებაში, თუმცა საკვლევი და დასაზუსტებელი ჯერ კიდევ ბევრია. კერძოდ, შესადგენია აჭარულის ვრცელი ლექსიკონი. არსებული ლექსიკონი ძირითადად ასახავს ზემოაჭარულ კილოკავს და უკვე ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ასევე, აჭარულის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მახასიათებლები მოითხოვს კვლევას, რამდენადაც არსებული გამოკვლევები უმეტესად ზემოაჭარულ მასალებს ეყრდნობა და არა მთლიანი აჭარულისას. ბარემ ვიტყვით, რომ აჭარული დიალექტის კვლევის ახალი ეტაპი დაიწყო მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდა აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება. ქართულ ენათმეცნიერებაში არის ცდა, ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოიყოს **ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება**, რაც, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, არასწორია რამდენიმე მიზეზის გამო: ა. მუჰაჯირთა მეტყველება არაა ერთიანი, რამდენადაც მუჰაჯირობა, როგორც პროცესი, შეეხო ჭოროხის ყველა „ქვეყანას“ (აჭარას, კლარჯეთს, ტაოს, სპერს, ასევე მტკვრის „ქვეყნებს“), შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში ვხვდებით ყველა დასახელებული რეგიონიდან გადასახლებულთა შთამომავლებს. ბ. მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება ერთიანიც რომ იყოს, მისი ცალკე დიალექტად გამოყოფა მაინც გაჭირდება, რამდენადაც ჭოროხის ქვეყნებიდან გადასახლებას მაქსიმუმ საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს. დროის ამ მონაკვეთში კი, ვფიქრობთ, შეუძლებელია ახალი დიალექტის ფორმირება. უცხო გარემოში (იზოლირებულ გარემოში) მუჰაჯირთა მეტყველებამ შემოინახა ბევრი ისეთი ნიშანი, ისტორიულად რომ იყო დამახასიათებელი სამხრული მეტყველებისათვის. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მუჰაჯირთა მეტყველება არის დამატებითი მასალა სამხრული კილოების შესასწავლად.

დაბოლოს, ყველა მონაცემის გათვალისწინებით, აჭარულ დიალექტში გამოვყოფთ კილოკავებს: **ზემოაჭარულს** (ხულოს, შუახევისა და ქედის, სხვაგვარად აჭარისწყლის ხეობის, აჭარის (ვიწრო გაგებით) მეტყველება), **ქვემოაჭარულს** (ბათუმის მკვიდრთა (ბათუმის მიმდებარე სოფლების) მეტყველება) და **ქობულეთურს** (ქობულეთის, ჩურუქსუს მკვიდრთა მეტყველება). ქვემოაჭარულის აღსანიშნავად ჯ. ნოღაიდელი იყენებდა ტერმინს **ქობულური** (იხ. ნოღაიდელი 1936:3; 1960:7). ეს უკანასკნელი ტერმინი არ დამკვიდრდა ქართულ ენათმეცნიერებაში.

* * *

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართველოლოგიის ინსტიტუტის“ მკვლევართა ჯგუფი მუშაობს სამეცნიერო პროექტზე - „მუჰაჯირები“. პროექტი ხორციელდება აჭარის არ მთავრობის დაფინანსებითა და მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში 2012 წლის ზაფხულში (3-24 ივლისი) მოეწყო პირველი კომპლექსური ექსპედიცია თურქეთის რესპუბლიკაში, ორდუს ილის (გუბერნიის) ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში.

ექსპედიციის გეოგრაფია ვრცელი იყო და მოიცავდა ორდუს ილის **უნიეს**, ჩაიბაშის, იქიზჩეს, კუმრუს, ყორღანის, ფაცას, ულიბეის ილჩეებს, რამდენიმე დღე ვიმუშავეთ **სამსუნის ილის** ილჩეების ქართველ მუჰაჯირთა სოფლებშიც.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი სიახლე იყო, რომ მუჰაჯირები ახალ საცხოვრისში მშობლიური რეგიონების (ზოგჯერ სოფლების) მიხედვით დასახლებულან და შეუქმნიათ „ქართული“ სოფლები. ორდუსა და სამსუნის მხარეში ქართველ მუჰაჯირთა ოთხი ნაკადი გაირჩევა: ა. **აჭარლები** (აჭარისწყლის ხეობიდან გადასახლებულნი), ბ. **ჩურუქსულები** (ქობულეთელები), გ. **მაჭახელები**, დ. **ბათუმელები** (ბათუმის მიმდებარე სოფლებიდან გადასახლებულნი). ოთხივე ნაკადი გაირჩევა ყოფით, ფოლკლორით, მეტყველებით, რაც მნიშვნელოვანია აჭარის ყოფისა და მეტყველების შესასწავლად. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა მნიშვნელოვანი წყაროა აჭარული დიალექტის, ფოლკლორისა და აჭარის ეთნოგრაფიის საკვლევად.

თავად მუჰაჯირთა შთამომავლები განარჩევენ ერთმანეთისაგან აჭარის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს: „**აჭარა სხვაა, ჩურუქსუ სხვა, მაჭახელი სხვა**“ – გვიხსნის ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალი. აქვე გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: დღესაც აჭარის მკვიდრთა შორის ასეთი დამოკიდებულება: ქობულეთელისათვის ყველა აჭარელია, გარდა ქობულეთელისა; ბათუმელისათვის აჭარელია აჭარისწყლის ხეობის (ხულო, შუახევი, ქედა) მკვიდრი; ბათუმელი ასევე გამოყოფს აჭარელს, ქობულეთელს (ქობლეთელს), მაჭახელს, ბათუმელს. ჩანს, ასეთი გაგება იყო მუჰაჯირობამდეც. ასეთი მენტალობით წავიდა მუჰაჯირი ემიგრაციაში, იგივე გადასცა შთამომავლობას.

საინტერესოა, როგორ აფასებენ ერთმანეთს მუჰაჯირთა შთამომავლები:

– „**ჩურუქსულებმა წმინდა ლაპარიკი იციან**“ (მაჭახელი);

– „**პაწაჲ ქიბარი არიან ჩურუქსულები, არ მოწონდებიან. ჩვენები უფრო მუსლიმანები არიან, იგინი – არა**“ (აჭარა);

– „**ჩურუქსულები ქიბარი არიან, კნაჭავენ, ქიბრობენ ჩურუქსულები**“ (ქობულეთელი).

თავად მუჰაჯირები მიგვანიშნებდნენ განსხვავებაზე აჭარის სხვადასხვა კუთხის მეტყველებაში:

– **ჩვენ ბაწარ ვიტყვით, აჭარლები თოკვო, თოკვი იტყვიან, ჩვენ თხილ ვიტყვით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ნიგოზი ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ვაშლ ვჩივით, იგინიც ვაშლს ჩივიან; იგინი ყოლიფერ კაკალი ჩივიან, სიმინდიც კაკალი ჩივიან...** – აგვიხსნა ჩათალფინარელმა ქობულეთელმა. საინტერესო დაკვირვება: **თოკვი** და **ბაწარი**, **კაკალი** და **ნიგოზი**, **კაკალი მარცვლის** მნიშვნელობით მართლაც იძლევა გარკვეულ ლექსიკურ სხვაობებს აჭარულის კილოკავებს შორის.

– **ჩემი ლაპარიკი ქობულეთური ლაპარიკია** – ხაზგასმით აღნიშნავს ჩურუქსუელი ქემალ ტაკიძე დიუფერიდან.

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაზე დაკვირვებამ გამოავლინა ქობულეთური მეტყველების ზოგიერთი თავისებურება, რაც სანდო მასალაა მის ცალკე კილოკავად გამოსაყოფად. ბუნებრივია, ერთ სტატიაში ქობულეთურის ყველა თავისებურებაზე საუბარი შეუძლებელია. ამჯერად მხოლოდ ჩამოთვლით დავცმაყოფილდებით:

ა. თვალშისაცემია უმლაუტის (პალატარული ხმოვნების) სიხშირე ქობულეთურში. ბუნებრივია, უმლაუტი მუჰაჯირთა მეტყველებაშიც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია: ჩვენ ყანიეფში **ბჸვრია** (ქილი); ვისაქმებთ **სხჸგან**, უქუმეთს **აქჸვროზა** მუუცემია; ორმაბათს **წახჸდოთ**და? **ჩამოვდოჸ**, აგინთან საქმე მაქ; ქალაქიდან რომ **წჸხვიდე**, ძალვან კაა... (მდრ. ფაღავა 2002).

ბ. ბუნებრივია **ჰხ** მონაცვლეობა: **ხელალი** და **ხერამი** იცით და...! (ღორი) ჩვენზე **ხერამია**, ჩვენში მუსლიმანია, **ხერამია**. **ჰხ** თანხმოვანთმონაცვლეობა ქობულეთურს განასხვავებს სხვა მომიჯნავე კილოკავებისაგან (ქვემოგურულისაგან და ქვემოაჭარულისაგან)... საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ხანმეტობა“ ქობულეთურის დამახასიათებელი მოვლენაა.

გ. **ვჸ**: აქა **აფსილია** ამფერი (მდრ. გურული **დაფსილი**, **დაფსება**)...

2. ა. ყურადღებას იქცევს ზმნური ფორმების **წევდოდეს**, **მუუყყანდეს**, **ამზობდეს**, **ლაპარაკობდეს** პოვნიერება ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში: აქა **ამზობდეს** სულ, **ლაპარიკობდეს** ბერები; სარფის კარის გასხნამდე **მოვდოდეს**, **მივდოდეს**, სარფი დაკილტულა, ველარ **გევდოდეს**; დაა ბევრი **იგოდეს**, **ნახვიდეს**.... მსგავსი ფორმები უცხოა თანამედროვე ქობულეთურისათვის, ზოგადად აჭარულისათვის. ჩანს, მოქმედების მრავალგზისობის აღსანიშნავად ანალოგიური წარმოება დამახასიათებელი იყო მუჰაჯირობამდე ქობულეთურისათვის. მოვლენა მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც.

ბ. იკარგება I სუბიექტური პირის ნიშანი: ჩვენ აქ მეზელულზე **ამიედით** (მდრ. ამოვედით); არის აქანაჲ დარჩენილი ჩვენებურაჲ: **მიალთ** (მდრ: მივალთ), **მუალთ** (მდრ. მოვალთ)...

გ. ობიექტური პირის პრეფიქსი ს- გვაქვს იქ, სადაც მოსალოდნელი არაა: ყინვა, იმას ექცევა, *სწევს*; აადა, აა ფულები *მივსვით* უნდა...

დ. თავისებურად იწარმოება ზმნის ობიექტური პირის ფორმები: *გიგნები* (მე), *უგნები* (შენ), *უგნება* (ის): მე რომ შენ *გიგნები*, ყველა სტორია; დისამიდეს ბუიშვილს *უგნებია*...

3. მუჰაჯირთა მეტყველებაში რამდენჯერმე დადასტურდა კითხვითი ა ნაწილაკი, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია: ახირზამანი რატომ ჩივიან, *იგია*?

4. ა. ქობულეთელ მუჰაჯირებთან ცოცხალია –*ფხე* სუფიქსი ქალის გვაროვნული კუთვნილების აღსანიშნავად: *კონწელიფხე, შაქარაფხე, ინაიფხე, გოგითიფხე, შავიფხე*... –ფხე უცხოა აჭარულის სხვა კილოკავებისათვის, დავიწყებას ეძლევა მისი ფუნქცია ქობულეთურშიც (იხ. ფაღავა, 2013; მგელაძე, ფაღავა, 1998).

ბ. შვილი ზოგჯერ აღნიშნავს *ვაჟს*: მე ვორი *შვილი* მყავს და ერთი გოგო; ჩემ ძმას ვორი *შვილი*, ერი გოგო ხავს... („შვილის” შესახებ იხ. ფაღავა 2009)

გ. „ქალი კაცის ბაბას ეტყვის *სიმაგრით*”.

სიმაგრი მამამთილის მნიშვნელობით მხოლოდ ქობულეთურში დასტურდება.

„დიდნენე... ზაბით-აღის *ქალი* იყო, მოწყობილის *ქალის* შვილი”. მოყვანილ წინადადებაში „ქალი” ორი განსხვავებული მნიშვნელობითაა ნახმარი: 1. ქალი = ცოლს; 2. ქალი=ქალს, ქალიშვილს: „მოწყობილის ქალის შვილი” ნიშნავს: მისი დედა იყო მოწყობილის ქალი (შვილი) (ვრცლად იხ. ფაღავა, 2013: 13-22).

დასკვნა:

ქართულ ენათმეცნიერებას ვთავაზობთ ტერმინებს:

ა. *სამხრული კილოები/დიალექტები* (აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური);

ბ. *სამხრული მეტყველება* – ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველება;

სამხრული კილოები/დიალექტები და *სამხრული მეტყველება* სინონიმური მცნებებია.

გ. *სამხრული კილოების/დიალექტების* აღსანიშნავად:

– *შავშური კილო/დიალექტი* კილოკავებით: *იმერხელი* და *მაჭახლური*;

– *კლარჯული კილო/დიალექტი* კილოკავებით: *ზემოკლარჯული* (მურღულისა და დევსქელის ხეობების მეტყველება) და *ლივანური*. კლარჯთა მეტყველების სათანადო შესწავლის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ კლარჯული დიალექტის *მურღულურ* და *დევსქელურ* კილოკავებზეც.

– *ტაოური დიალექტი/კილო*;

– *აჭარული კილო/დიალექტი* კილოკავებით: *ზემოაჭარული* (ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების, აჭარისწყლის ხეობის (აჭარის – ვიწრო გაგებით) მკვიდრთა მეტყველება), *ქვემოაჭარული* (ბათუმისა და მისი მიმდებარე სოფლების მკვიდრთა მეტყველება) და *ქობულეთური*.

– მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება არაა ცალკე დიალექტი. იგი მნიშვნელოვანი წყაროა:

ა. სამხრული დიალექტების შესასწავლად. საყურადღებოა იგი ისტორიული დიალექტოლოგიისთვისაც, რამდენადაც მას შემოუნახავს ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რაც დაუკარგავს სამხრულ მეტყველებას.

ბ. აჭარულის კილოკაური შედგენილობის დასადგენად.

ლიტერატურა:

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961: ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

თოფურია, 1963: ვარლამ თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქესს, III, თბ.

მარი, 2012: ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათ.

მარტიროსოვი 1972: არამ მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ.

მგელაძე, ფაღავა, 1998: ნუგზარ მგელაძე, მამია ფაღავა, ფხე/ხე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბსუ შრომები, ტ. II, ბათ.

ნიჟარაძე, 1957: შოთა ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ.

ნიჟარაძე, 1975: შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათ.

ნოღაიდელი, 1960: ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ.

ნოღაიდელი, 1936: ჯემალ ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათ.

ფაღავა, 2012: მამია ფაღავა, ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. გამოკვლევა წიგნზე: ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათ.

ფაღავა... 2004: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, ლილე თანდილაძე, რეზო დიასამიძე, ტაოური დიალექტის მასალები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, IV, ბათ.

ფაღავა, 2013: მამია ფაღავა, ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათ.

ფაღავა, 2009: მამია ფაღავა, მასალები „შვილის“ სემანტიკისათვის ქართველურ ენებში. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათ.

ფუტყარაძე, 1993: შუშანა ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ.

ფუტყარაძე, 1995: შუშანა ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ.

ცინცაძე, ფაღავა 1998: მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათ.

ცინცაძე, ფაღავა, 2011: მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, შავშური კილო. წიგნში: შავშეთი, ბათ.

Mamia Paghava

Batumi Shota Rustaveli State University

MUHAJIR'S SPEECH AND ISSUE OF AJARIAN DIALECT COMPOSITION RESUME

The article deals with the terms depicting the Samkhruli dialect which more clearly and precisely reflect the corresponding concepts:

a) **Samkhruli Kiloebi/dialektebi** (dialects) – Ajaruli, Shavshuri, Klarjuli, Taouri;

b) **Samkhruli Metkveleba** (speech) – the speech of the Chorokhi Gorge population;

Samkhruli Kiloebi/Dialektebi and **Samkhruli Metkveleba** are synonymous concepts.

c) For the depiction of **Samkhruli Kiloebi/dialektebi**:

- **Shavshuri kilo/dialekti** (dialect) with **Imerkheuli** and **Machakhluri** sub-dialects;

- **Klarjuli Kilo/dialekti** with subdialects: **Zemoklarjuli** (the speech of Murghuli and Devskeli Gorges) and **Livanuri**;

- **Taouri dialekti/kilo**;

- **Acharuli kilo/dialekti** with sub-dialects: **Zemoacharuli** (Khulo, Shuakhevi and Keda regions, speech of Acharistskali (Achara with narrow meaning) Gorge population, **Kvemoacharuli** (speech of Batumi and adjacent villages population) and **Kobulehuri**;

- The speech of the Muhajiri descendents is not a separate dialect.

The article also discusses some peculiarities of the **Kobulehuri** dialect.

ზაქარია ქიტიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

პედაგოგიკის ინსტიტუტი

პედაგოგიკური აზრის ისტორია და ქართული ლიტერატურა საქართველოში

ნებისმიერი ერის მეცნიერული აზრის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას მისი წერილობითი ძეგლების გაცნობა-ანალიზი წარმოადგენს. გამონაკლისი არც ქართული ლიტერატურის ამ ასპექტით დამუშავებაა. ჩვენი საკვლევი თემის მიზანიც სწორედ ამ კონტექსტს ერგება: ვცდილობთ ქართული ლიტერატურული ძეგლების ზოგადი ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ ჩვენი ხედვა პედაგოგიკური აზრის განვითარებისა. ცნობილია, რომ ქართული პედაგოგიკის ისტორია თავის დროზე სწორედ ამ მიდგომით არის დამუშავებული და წარმოდგენილი როგორც ფართო, ისე

პროფესიული საზოგადოებისათვის, მაგრამ, ვთვლით, რომ ეპოქა, რომლის პირმშოც გახდა დასახელებული ნაშრომი, საბჭოთა იდეოლოგიით იყო ნაკარნახევი და, შესაბამისად, ეს უკვე თავისთავად წარმოადგენს მრავალმხრივი მსჯელობის პირობას და გვადლევს საფუძველს, ეჭვის თვალთ შევხედოთ ამ ეპოქაში დასმულ, გააზრებულ და შეფასებულ საკითხებს, რადგან საბჭოთა ცენზურა და იდეოლოგიური ბრძოლის კონცეფცია ეყრდნობოდა მაშინდელ სახელმწიფო პოლიტიკას და, შესაბამისად, მეცნიერებაც ხისტი და, რაც მნიშვნელოვანია, სუბიექტური მახასიათებლებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ასე რომ, ცალსახაა ამ დიდი მოცულობის მასალის მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი რევიზიისა და შემდგომი მეცნიერული რეფლექსიის საჭიროება. აქვე გასათვალისწინებელია ზოგადად რეცეფციისა და გადმოცემის სუბიექტურობის საკითხიც, რაც, ვთვლით, გვადლევს საფუძველიან მიზეზს, თავიდან გადაიხედოს ქართული ლიტერატურისა და პედაგოგიკური მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხი.

საკვლევი ობიექტის ამ კონტექსტით დასმამ შეიძლება არაერთგვაროვანი დამოკიდებულება წარმოშვას პროფესიულ საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენ ქართული პედაგოგიკის ისტორიის ავთენტურობისა და ფაქტობრივ ინფორმაციასთან ადეკვატურობისათვის საჭიროდ ვთვლით პროფესიული საზოგადოების მიერ ამ მასშტაბური და რთული საკითხის გადახედვის აუცილებლობას. მსჯელობა რომ უფრო საგნობრივი გახდეს, მოვიტანთ ამონარიდს ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულის შესავალი ნაწილიდან: „იდეოლოგია სასულიერო მწერლობისა, მისი სარწმუნოებრივი ინტერესები და ფილოსოფია, მისი მისტიკურ-ასკეტიკური მსოფლმხედველობა და იდეალები, კლასობრივ წინააღმდეგობათა მორიგების სურვილი ჩვენთვის მიუღებელია,“ ალბათ, მკითხველისათვის ნათელია კონტექსტი, რომლითაც იყო ნაკარნახევი და განსაზღვრული ზემოაღნიშნული მსჯელობა - ნებისმიერი მეცნიერული პროდუქტი, რომელიც კონკრეტულ შაბლონურობასა და ჩარჩოებს ემორჩილება, რაც არ უნდა მეცნიერულად წონად ხასიათს ატარებდეს, მაინც ტოვებს სავსებით რეალურ შთაბეჭდილებას, რომ მისი შინაარსი ვერ იქნება სუბიექტურობისაგან დაცლილი. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს პროფესიული საზოგადოების მხრიდან ჩვენი მოსაზრების მიღების საჭიროებას.

ამ პრობლემაზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საწყის ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია, განვსაზღვროთ და სისტემაში მოვიყვანოთ ქართული ლიტერატურის ძეგლები, რომელთა ტექსტები ჩვენი შესწავლის უშუალო ობიექტს წარმოადგენენ. ცნობილია, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია შემდეგი სქემის მიხედვით იწერებოდა: ძველი ლიტერატურა (V – XVIII საუკუნეები), ახალი ლიტერატურა (XIX საუკუნე) და უახლესი (XX საუკუნე). ამგვარადვე ისწავლებოდა ქართული ლიტერატურა უკანასკნელ დრომდე საშუალო და უმაღლეს სკოლაში. ისტორიული პრინციპით დაყოფა, რომელიც ტრადიციულია ქართული ლიტერატურისათვის, რა თქმა უნდა, უნდა გულისხმობდეს ტიპოლოგიურ დაყოფასაც, რაც უნდა ითქვას, რომ პრობლემური საკითხია ამ დრომდე. აქამდე არსებულ ლიტერატურის ისტორიის აკადემიურ გამოცემებში გვხვდება ნაწარმოებთა ტიპობრივი აღრევის ფაქტები, რაც ისტორიზმის პრინციპის ამოსავალ დებულებად ქცევის კონტექსტით უნდა განისაზღვრებოდეს. აქვე საინტერესოა საერო ლიტერატურის ჟანრობრივი სქემატიზაციის საკითხიც, რაც ასევე შესწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს შემდგომი ეტაპისათვის. დაგვეთანხმებით, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მსჯელობის ამ მიმართულებით განვრცობა შორს წაგვიყვანს და, შესაბამისად, არც იქნება რელევანტური დასახულ მიზანთან და ამოცანებთან. ამიტომ, ვთვლით, ლიტერატურის ისტორიის კვლევა ამ კონტექსტში შემდგომი სამეცნიერო მუშაობის საგნად უნდა იქცეს.

საკითხის შესწავლის საწყის ეტაპზე თვალნათლივ ჩანს, რომ ორიენტაცია უნდა მოხდეს ფეოდალური ხანის მწერლობაზე. ფეოდალური ხანის მწერლობა არის ის მწერლობა, რომელსაც ჩვეულებრივ ძველ მწერლობას ვუწოდებთ და რომელიც, მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, მეცხრამეტე საუკუნემდე გრძელდება.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფისას ამოსავალ პრინციპებად იღებენ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუციას ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით ფეოდალური ფორმაციის განვითარების ეტაპებს, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ეს კი, თავისთავად, მასშტაბური ხედვის და სოციო-კულტურული ასპექტებით კვლევის საჭიროებას მოითხოვს აღნიშნული საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისაგან. შესაბამისად, ნათელია, რომ პედაგოგიკური მეცნიერება დამოუკიდებლად, სხვა მეცნიერებების მონაპოვრის გამოყენების გარეშე ვერ მოახერხებს აღზრდის, როგორც კვლევის დამოუკიდებელი ობიექტის არსის სრულყოფილად გააზრებას, თუ კი მას არ ექნება შესწავლილი, თუნდაც ლიტერატურის ისტორია. რადგან აღზრდის ფენომენს იგი იკვლევს და ახორციელებს სხვა მეცნიერებების დახმარებით, მათთან კავშირში, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აღზრდის პროცესი მიმდინარეობს არა იზოლირებულად, სხვა მოვლენებისგან განცალკევებით, არამედ ორგანულად არის დაკავშირებული სხვადასხვა მეცნიერების კვლევის სფეროებთან.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ოთხ პერიოდად იყოფა:

- 1) პირველი პერიოდი - ადრინდელი ფეოდალიზმის ხანა (დღიდან მწერლობის დაწყებისა მათე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე);
- 2) მეორე პერიოდი - განვითარებული ან პატრონჟურული ფეოდალიზმი, იგივე ფეოდალური მონარქიის ხანა (მათე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მეცამეტე საუკუნის ნახევრამდე);
- 3) მესამე პერიოდი - ფეოდალური მონარქიის დაცემის ხანა (მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთექვსმეტის დამდეგამდე);
- 4) მეოთხე პერიოდი - მოგვიანო ან ბატონჟურული ფეოდალიზმი, იგივე აღორძინების ხანა (მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე).

ეს მწერლობა შინაარსობრივად ორ მდიდარ და, მეცნიერული თვალსაზრისით, საინტერესო დარგს იძლევა: სასულიეროსა და საეროს. ქართული პედაგოგიკის ისტორიის გააზრების დასაწყისისათვის, აშკარაა, რომ სწორედ ლიტერატურის ისტორიის განვითარების პირველი პერიოდის - ადრინდელი ფეოდალიზმის ხანის სასულიერო ლიტერატურა უნდა იქნეს გაანალიზებული და შეფასებული ახლებურად, რათა კვლევის მეცნიერული წონა და სიზუსტე არ დაკნინდეს და არ მიეცეს მხოლოდ ზედაპირული, ინფორმაციის კონსტატირების ხასიათი.

მოგეხსენებათ, სასულიერო მწერლობა მეცხრამეტე საუკუნემდე ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკადს გვამლევს. თუმცა, აქვეა აღსანიშნავი, რომ როგორც ბატონი ზაზა შათირიშვილი აღნიშნავს, „ქართული ლიტერატურის სპეციფიკა ისაა, რომ მას XIX საუკუნემდე ქრისტიანული რელიგიური კანონისა და ისლამური (არაბულ-ირანული) ლიტერატურული კანონის შეხამება განსაზღვრავს.“ ეს მსჯელობა, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ სასულიერო მწერლობასაც შეეხება. მსგავსი მაგალითების მოხმობა, რომლებიც არაერთგვაროვან დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ ქართული სასულიერო ლიტერატურისადმი კიდევ შეიძლება. ეს არ წარმოადგენს თემიდან გადახვევას, პირიქით, ტექსტების დამუშავებისას მათი შინაარსისა და იდეის ინტერპრეტირებული აღქმა მოგვცემს საშუალებას უფრო ჯანსაღად შევხედოთ თავად ტექსტებს, რის შედეგადაც პედაგოგიკური ნააზრების პოსტულატების მიხედვით მათში გაცილებით საინტერესო, სიახლით განსაზღვრულ შედეგებს მოგვცემს. „ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურის შეფასებისას ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით უნდა ვხელმძღვანელობდეთ და ვზომავდეთ მას არა იმისდა მიხედვით, რამდენად მისაღები თუ მიუღებელია ის ჩვენთვის, არამედ რამდენად უპასუხებდა ის იმ დროის სოციალურ თუ ესთეტიკურ „დაკვეთას“ და რამდენად პროგრესული იყო იგი თავისი დროისათვის. ჩვენი დროის თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ ძველ სასულიერო მწერლობას, დავინახავთ, რომ ამ მწერლობას აინტერესებს ისეთი აქტუალური თემებიც, როგორიცაა პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ტომობრივ-ეროვნული მთლიანობა, მოძალადეთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ, სამშობლოს დაცვის მიზნით, თავდადებული ბრძოლა, გმირობა-მამაცობა, ცოდნა-განათლების შეძენის საჭიროება.“ საკითხის ამგვარად დასმა აშკარას ხდის პედაგოგიკის მეცნიერების მიერ ამ ტიპის ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობას, რადგან სასულიერო მწერლობა, თავისთავად, ერთგვარი პროპაგანდისტული, დიდაქტიკური მოტივით იწერებოდა და, შესაბამისად, ამ პერიოდის საქართველოში აღზრდის პროცესებიც ამგვარ ხასიათს იღებს. არახალია, რომ მას, გარდა ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების განვითარებისა, პირველ რიგში, იმ სოციო-კულტურული ბაზისის დაკვეთების შესაბამისი მოქალაქის აღზრდაც ევალებოდა. მწერლობა, რა თქმა უნდა, ცხოვრების გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, ის თავისებური რელიგიური სისტემა, რომელსაც ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობა ეწოდება, რომელიც აღბეჭდილია ქართულ ორიგინალურსა და ნათარგმნ სასულიერო-ლიტერატურულ ძეგლებში, ამ კულტურის ნაყოფს წარმოადგენდა. ამ მოცემულობებით იყო განსაზღვრული სწორედ აღზრდაც. **ქრისტიანული სათნოებებისა და ჰუმანიზმის იდეების მორჩილ, ცხოვრებაში პრაქტიკულ დონეზე ღირებულებათა მიმღებ და გამტარებელ სუბიექტთა საზოგადოების ჩამოყალიბება მიზანთა მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ იმდროინდელი სააღმზრდელო სისტემისა, რომელიც საკუთარ იდეოლოგიურ კონცეფციასა და მეთოდოლოგიურ აპარატს სწორედ წერილობით ძეგლებში განფენდა. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ვცადოთ, ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურის ზოგადი ანალიზის საფუძველზე ვისაუბროთ აღზრდის მეცნიერების იმ ძირითად მახასიათებლებზე, რომლებიც განსაზღვრავს პედაგოგიკურ მეცნიერულ აზრს.**

ცნობილია, რომ სასულიერო ლიტერატურა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებით იღებს სათავეს. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, ამ ლიტერატურას პირველ პერიოდში განსაზღვრავს მიმეზისის ცნება - იგი ხელს უწყობს სიტყვების მნიშვნელობის აღქმის არაპირდაპირ ხასიათს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა მისი მეორე უმთავრესი მნიშვნელობა, რასაც ბაძვა წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ნებისმიერი წამებათა და ცხოვრებათა ჟანრის ნაწარმოებში

ხდება მიზანმიმართულად. ეს კრისტეს მიზანმიმართულობა, რასაც ზერეალობის ასპექტი შემოაქვს. თითოეული გმირის თვითწრთობის ამოსავალი უფლის მიზანმიმართულობა, უფალთან მიმსგავსებაა. აღნიშნული მსჯელობა გვაძლევს საშუალებას გავავლოთ პარალელი აღზრდის პროცესის სპეციფიკურ მახასიათებელზე, როცა **აღსაზრდელობის სწავლება და, ზოგადად, შემეცნებითი აქტიურობა საწყის ეტაპზე სწორედ მიზანმიმართულობით, ქცევითა და მოქმედებითა ნაირგვარობის გამოვლინებით განისაზღვრება, რომელიც ავტორიტეტის - მშობლის, მასწავლებლის, მეგობრის და სხვა - თითქმის უპირობო ნდობითა და რწმენით არის განსაზღვრული.** ნაწარმოებებში ზნეობისა და სამართლის წყარო უალტერნატივოდ მონოთეისტური, ღმერთიდან მომდინარეა. სუბიექტის მიერ ნებისმიერი რეცეფციის აქტი დემიურგის კარნახით, მისი უალტერნატივო ნებით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, იმდროინდელი **აღზრდელობითი დამოკიდებულებები და გავლენები ერთპიროვნულად ქრისტიანულ სწავლებას უკავია.** ნათელია, რომ პედაგოგიკის ძირითადი პოსტულატები - აღზრდა, განათლება და სწავლება ცალსახად რელიგიურად იდეოლოგიზირებულია და ერთადერთი მისაბამი ჭეშმარიტების - მართლმადიდებლური ქრისტიანობის სწავლების შესატყვისია. აქვე ხაზგასასმელია ის მყარი მოცემულობაც, რომ თავად აგიოგრაფიული ნაწარმოებების არქიტექტონიკა და შინაარსობრივი ქარგა მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებს ემორჩილება და არ ითვალისწინებს ლიტერატურული ნაწარმოებში ასახული რეალობის ავტორისეულ თავისუფალ ინტერპრეტაციას.

სწავლების ამგვარ ხასიათს ამყარებს ისიც, რომ აღზრდელობითი ზეგავლენები, უმეტეს წილად, სწორედ ეკლესია-მონასტრებში არსებულ საგანმანათლებლო კერებში გადაეცემოდათ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შესამეცნებელი მასალის, ჩვენს შემთხვევაში ჰაგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების, როგორც აღზრდის სამსახურში ჩაყენებული ქრისტიანული იდეოლოგიის ძირითადი საყრდენის მნიშვნელობას.

მაშასადამე, ჩვენ მიერ განხილულ ლიტერატურის ისტორიის პირველ პერიოდში, ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მიხედვით, აღზრდას ჰქონდა რელიგიურად იდეოლოგიზირებული და ქრისტიანობის სწავლების შესატყვისი ხასიათი.

ლიტერატურა:

1. ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად; ტ I, გიორგი ლეონიძის რედაქტორობით; საქ. სსრ მეცნ. აკად., რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინ-ტი., თბ., 1960.
2. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012.
3. <http://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/12/%E1%83%96%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%A3/>

Zakaria Kitiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Pedagogy

HISTORY OF PEDAGOGICAL THOUGHT AND THE GEORGIAN LITERATURE IN GEORGIA RESUME

The aim of this article is to illustrate the necessity of new interpretation of the history of Georgian pedagogics on the basis of relationship between Georgian Literature and Georgian pedagogical thought. The author discusses a number of problems which will provide the professionals in this field with evidence for the necessity of revising Georgian pedagogical thought. The author also discusses specific characteristics of the periods of Georgian literature and the crucial issues in pedagogics which influence the development of pedagogics. The argument presented in this article aims to pose a problem and corresponding conclusions have been drawn.

იაკობ გოგებაშვილი – ისტორია და თანამედროვეობა

განუზომელია ქართველი კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის როლი კლასიკურ პედაგოგიკაში, მისი სწავლების იდეები ძალზედ ფუნდამენტალურია, სწავლების მიდგომები დღესაც მოთხოვნადი, აქტუალური და ანგარიშგასაწევია.

იაკობ გოგებაშვილმა საქართველოში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად შეგნებულობა, აქტიურობა, სისტემატურობა, თანამიმდევრულობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება დაასახელა. მას დედაენა მიაჩნდა ძვირფას იარაღად, „რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ... დედა ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან დაკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება... ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით. ყოველ ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა და სწორედ იმ გვარად, როგორც ბუღბუღს ჰყვება დაბადებიდანვე ბუღბუღის გალობის ნიჭი“, (1, გვ. 10) - წერდა იაკობ გოგებაშვილი. იაკობის შესანიშნავი მიდგომით, უცხოენის შესწავლა მშობლიური ენის შესწავლის შედეგად უნდა დაიწყოს, რათა ბავშვს შესაძლებლობა ჰქონდეს მშობლიური ენის საფუძველზე სხვა ენების სილამაზე, მისი ჟღერადობა, გრამატიკული წყობა და ჰეროვნება დაინახოს... დღემდე ამ საკითხის კვლევა ძირითადად ენის დაუფლების ელემენტარულ (დაწყებით, „გადარჩენის“) დონეზე შესწავლას ითვალისწინებდა. შესაბამისად, სწავლების მეთოდები ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგებოდა: ენის სტრუქტურის ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივი შერჩევა და მშობლიურ ენასთან შედარებითი ფორმების გამოყენება და სინთეზი. ამის შემდეგ შემსწავლელებს, რომლებმაც მშობლიური ენის გრამატიკის ფორმები კარგად აქვთ ათვისებული, დონიდან დონეზე „რბილად“ (უმტკივნეულოდ, იოლად გადასვლა გაცილებით ეფექტურად შეუძლიათ, ვიდრე მათ, ვისაც მშობლიური ენის გრამატიკა შესწავლილი არ აქვთ. ამდაგვარი სწავლებისას მშობლიური გრამატიკის შესწავლის დაწყებიდან ორი-სამი წლის შემდეგ ენის შემსწავლელს უცხო ენის შესწავლა გაცილებით ეფექტურად შეეძლება.

აღნიშნულიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ პრინციპული და აუცილებელი მოთხოვნა გოგებაშვილისა ჯერ ქართულის, მერე კი უცხო ენის სწავლებაში მდგომარეობს, როგორც დიდი კლასიკოსი აღნიშნავს და განმარტავს - ცნობილი ენა უნდა უკავადდეს, უნათებდეს გზას უცხო ენასა. ამ პრინციპის ამოსავალი წერტილი, სახელმძღვანელო დებულება კი იმაში მდგომარეობს, რომ უცხო ენის შესასწავლად საჭიროა შედარების მეთოდი, უცხო ენის თვისებებისა და აგებულების შედარება ქართული ენის თვისებებსა და აგებულებასთან. „ეს მეთოდი მაშინ არის გამოსაყენებელი, როდესაც ერთი შესადარებელი საგანი მაინც ბავშვისგან კარგად ცნობილია. თუ ორივე საგანი უცნობია, ბავშვი ვერ დასძლევს სიმჩნელს და ეს ჩინებული მეთოდი ფუჭად ჩაივლის... ისე მოაწყეთ საქმე, რომ დედა ენის გრამატიკის სწავლება უცხო ენის გრამატიკის სწავლებას წინ უსწრებდეს. ბავშვმა უცხო ენიდან ჯერ უნდა შეისწავლოს ის ფორმები, რომელნიც მის დედა ენასაც აქვს და მერე შეუდგეს იმ ფორმების შეთვისებასაც, რომელნიც შეადგენენ განსაკუთრებულ თვისებას უცხო ენისას“. (1, გვ. 24)

როგორც ვხედავთ, იაკობის მიდგომები სწავლების პროცესში ძალზე ფუნდამენტურია. თანამედროვე, ინოვაციური სწავლების დაგეგმვაში კი მნიშვნელოვანია მათი გააზრება და გამოყენება სწავლების ეფექტურობისათვის.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1989.
2. პიტერ ბრეტი, პასკალ მომპოინტ-გელარდი, მარია ელენა სალემა - „მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“, თბ., 2009.
3. Chomsky N., Aspects of the theory of syntax. USA. MIT Press. 2011.

Irma Kurdadze
Samtskhe-Javakheti State Teaching University
IAKOB GOGEBASHVILI – HISTORY AND MODERNITY
RESUME

The role of the Georgian classic, Iakob Gogebashvili, in the classical pedagogy is extremely important, his teaching ideas are very fundamental; his teaching approaches are required, actual and accountable nowadays as well. Iakob Gogebashvili was the first, who put forward preschool teaching ideas in Georgia and he named the following principles: consciousness, activity, coherence, availability and visualization as the teaching principles. He considered that a valuable tool was the mother language, “which is given by the nature and fully fits human spirit and body, his/her psychological and physiological structure... The mother language is not connected with the human creature by appearance, it does not look like the clothes which can be changed easily and safely... a child’s every thought, imagination, feeling, sense and spirit movement can only be expressed really and fully by the mother language. Everyone gets inclination and talent to study mother language easily and deeply by birth as well as a nightingale gets talent to chant by birth”, - Iakob Gogebashvili wrote.

შოთა ქურდაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ევროპული და მსოფლიო ხალხების ცოდნის შემოქმედებითი
გაცნობისა და განვითარების საკითხები ქართულ მწერლობაში**

ისტორიულად და ახლაც ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ქართველ ხალხს ჰქონია შესაძლებლობა სხვადასხვა ეპოქაში ევროპული და მსოფლიო ხალხების მეცნიერული ცოდნის მიზნობრივი გაცნობისა და შემოქმედებითად გამოყენებისა. ეს ცნობიერი პროცესი თითქმის ერთდროულად განვითარებულა იბერიასა და დასავლეთ საქართველოში.

ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში იმპერატორ ავგუსტუსს მოღვაწეობის შეჯამებისას დაუსახელებია რომსა და იბერიას შორის ურთიერთობის აღსანიშნავად ის ხალხებიც და მეფეებიც, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონებია... ეს ხალხებია ალბანელები, იბერიელები და მიდიელები. (1)

მთავარი ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე აღნიშნავს: „მეგობრობამ რომსა, იბერიას შორის, რომელიც გრძელდებოდა I-II საუკუნეთა განმავლობაში, გააძლიერა და განადიდა იბერია... ეკლესიის ორგანიზაციულად მოწყობის საქმეში ქართლის მეფეს კონსტანტინოპოლის იმპერატორი დაეხმარა. იქიდან შემოვიდა ქართლში, სხვათაშორის საკულტო ბერძნული სიტყვებიც - ეკლესია, დიაკვანი, ეპისკოპოსი, კათალიკოსი.“ (2)

შეიძლება ვთქვათ, რომ თავდაპირველად ქართველ სწავლულთა ევროპულ ცოდნასთან დამოკიდებულება არ ყოფილა ერთსახოვანი: ჩემი დაკვირვებით ამ ცნობიერ პროცესს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონია. პირველ ხანებში ჩვენს წინაპრებს ევროპული ცოდნის გაცნობა უფრო სურვილის დონეზე, იდეურ პლანში განუზრახავთ: ჩანს, მათი მიზანი ყოფილა ევროპელებს - ბერძნებს, რომაელებს . . . გაეგოთ, შეეტყვოთ აღმოსავლეთ სფეროში მცხოვრები ქართველი ხალხი როგორ იღწვოდა ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად. მე-8 საუკუნის აგიოგრაფიულ თხზულებაში „მარტვილობა აბოსი“ იოანე საბანისძე იშვიათი სიწრფელითა და მწერლისეული ხედვით გამჭვირვალედ გვაცნობს ქართველთა ბრძოლას არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. იგი თავის ნებისა და მსოფლგაგების წყაროდ ქრისტიანული სარწმუნოების ცოდნას მიიჩნევს, რომელიც შეუცვნია „...წიგნთაგან საწინააღმდეგეველთა და მოციქულთა ქადაგებისამებრ, - წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღვართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაჲ, რამეთუ უეჭუელ სარწმუნეობაჲ საუნჯე დიდი არს მორწმუნეთათვის“ (3)

ამ „უეჭუელ“ სარწმუნოებად იოანე ბერძნულ სარწმუნოებას მიიჩნევს: „...ჩუენცა შორიელთა ამათ მემკვიდრეთა“ არანაკლებ გვწამს და ვიცავთ ამ სარწმუნოებას“ და სიამაყით აცხადებს: „... არა თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა,

ვითამცა წამებს უფალი და იტყვის მოვიდოდინა აღმოსავლით და დასავლით ინაკ-იდგმიდენ წმიდათა აბრაჰამისათა, ისაკისათა და იაკობისათა“ (4) (იქვე)

ქართველთა დედა სარწმუნოების წარმომავლობის ამგვარ განსაზღვრას იქვე მოსდევს იოანე საბანისძის საამაყო სიტყვებიც: „აჰა ესეცა ქართლისა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თვთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთ და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად“. (5)

ვფიქრობთ, ევროპული და ქართული ცოდნის ურთიერთობის დინამიკის თვალსაზრისით ეს უტყუარი ცნობა შეიძლება ჩავთვალოთ ერთ-ერთ პირველ სურვილად, თუ ცდად, რაც შემდგომ სხვა შესაძლებლობითაც განვითარებულა, თუმცა ყოფილა არაერთი წინააღმდეგობაც, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქრისტიანული დოგმები. რასაც ადრინდელ ფეოდალურ საქართველოში პრინციპულად იცავდნენ ეკლესიის მამები.

ამ ფონზე, ჩემი აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასულიერო მამებს ყველას ერთნაირ დონეზე არ ესმოდა ბიბლიის მოძღვრების არსი. მართალია, ბიბლია რელიგიურ რწმენას უპირველეს დონეზე განიხილავდა, მაგრამ იგივე ბიბლიაში ისიც იყო ნათქვამი, რომ მორწმუნე ადამიანმა „კეთილი“ და „ბრძნული საქმეებით“ (მათ. 5,16,12,19) გამოიჩინონ თავიო. ამ მიზნის მისაღწევად, ეძლეოდათ მოძღვრება: „ითხოვეთ და მოგეცემათ: ეძიებდეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგიღებთ. ვინაიდან ყოველი, ვინც ითხოვს - ღებულობს, ვინც ეძებს - პოულობს, ვინც აკაკუნებს - გაიღება“ (მათ. 7,7,8).⁶

ღვთიური მოძღვრებით „სულიწმიდა ქრისტიანებს აძლევს ძალასა და ნიჭს, რაც აუცილებელია ღვთისმსახურებისათვის. „სიყვარულს, სიხარულს, მშვიდობას, სულგრძელობას, სახიერებას, სიკეთეს, ერთგულებას, სიმშვიდეს, თავშეკავებას“.⁷

ღვთიური მოძღვრების ეს საყურადღებო მოთხოვნა-მითითებანი დოგმატიკურ აზროვნებას ზღუდავს. რის გამოც შექმნილია დოგმატიკური სწავლების საწინააღმდეგოდ ამგვარი ტერმინები: „ბრიყვად სწავლება“, „ბოროტი სწავლება“, მასწავლებლები კი მოუნათლავთ „დრკუ განმსწავლელად“, „გვემით, წამებით მასწავლებლებად, ხოლო სწავლების შინაარსი დაუხასიათებიათ, უარყოფითი ტერმინებით: „მიმით“, „ზეპირად“, „ზუთხვით“, „გონებაუგონებელი“, „იძულებითი“ და სხვა ტერმინებით.⁸

დოგმატიკოსები იოლად არ თმობდნენ პოზიციებს. გიორგი მერჩულეს თხზულებაში „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისა“ ცოდნის მოყვარულებს მკაცრად აფრთხილებენ: „ნუ მრავალნი ჰმოდვრით, ძმანო და უკეთუ დუმილი ვერ ძაღედვას, არა არა თვით ქადაგებდეს აუწყო თავისსა ეპისკოფოსსა, და თუ ჯერ იყოს მან ასწაოს თვისითა სამწყსოსა, უკეთუ კვლა სილალით წარმდებოდეს ერის კაცი იგი და ერსა წესს დაუდებდეს ეგე ვითარი ნაცვლად შესასმენელისა, მაცილებელთა და წინააღმთა თანა დაისაჯოს დიდებით უფლისა მოსლვასა“. (9)

ეროვნული დოკუმენტური წყაროებით ირკვევა, რომ X-XI საუკუნეების ქართველ მთარგმნელებს, მეცნიერთ თუ პოეტებს დაინტერესებულ პიროვნებათა სულიერი ინტერესების გასავითარებლად, წინააღმდეგ დოგმატური აზროვნებისა, ორიგინალურსა თუ სათარგმნ მასალებში თავისუფალი დამოკიდებულება გამოუჩენიათ მორწმუნეთა სასარგებლო მასალების ქართულად გადმოღებაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მოგვაჩნია ექვთიმე ათონელის ბიბლიის ტექსტის შემოკლებული და ვრცლად გადმოღება. ეფრემ მცირე ექვთიმეს მთარგმნელობით მეთოდს ასე ახასიათებს: იგი „სიჩჩოებასა ჩუჴნისა ნათესავისა სძითა ზრდიდა და მხლითა, ხოლო აწ მის მიერ აღზრდილი მისითავე მადლითა მტკიცსა საზრდელისა მოქენე იქმნა... რამეთუ მაშინ ჩუჴნი ნათესავი ლიტონი იყო და ჩჴლ მისდადმდე: ამისთჳს რომელიმე თარგმანთაგანიცა წმიდისა სიტყვათა შინა განეზავა“. (10)

ექვთიმეს ამგვარ მიზნობრივ მთარგმნელობით შემოქმედებით მეთოდს აკად. კ. კეკელიძე დადებითად აფასებს და წერს: „ასეთი ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა: ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება. (11)

ქართველი ხალხის სულიერების დოგმატიკური ჩარჩოებისაგან გათავისუფლების ჯეროვანი სურვილი ჩანს იოანე ზოსიმეს მეცნიერულსა და პოეტურ მემკვიდრეობაში. მას, როგორც მკვლევარი პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, ძველი სასულიერო უცხოური საკითხავი ტექსტის სახელდება „ჟამნი“ შეუცვლია და უწოდებია ქართული „ჟამნი“, მეტიც: „...ტრადიციული ტექსტი იოანე ზოსიმეს არსებითად შეუცვლია, ნაწილი ფსალმუნთა გამოუტოვებია, ნაწილი შეუმოკლებია, და, რაც მთავრია, დაუმატებია ახალნი ფსალმუნნი (ხაზგასმა ჩემია შ. ქ.)

ვინაიდან ფსალმუნნი ჟამნი რელიგიური დანიშნულების საკითხავი თხზულება იყო, ცხადია. იოანე ზოსიმე არღვევდა საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციას. ამიტომ იგი დიპლომატიურად თავს

იმართლებს: აღიარებს თავის შეცდომას, ამბობს, ვსცდებოდით, მაგრამ საბოლოოდ მაინც თავის ტექსტს იცავს“.¹²

როგორც ვხედავთ, ძველი ქართული მწერლობის აღიარებული მკვლევარი პავლე ინგოროყვა, სრულად მართებულად იოანე ზოსიმეს ძველი ჟამნის ტექსტთან ახლებურ მიმართებას დიპლომატიურობით ხსნის... ეს პოზიცია გასაგებია, მაგრამ, რამდენადაც აქ გამჭვირვალედ ნაკლებად იკითხება მეცნიერ მთარგმნელის ახალი, გაბედული მოქმედება უცხოური ტექსტისადმი, და, მეორე მხრივ, შეუპოვარი პასუხისმგებლობაც, ამიტომ საჭიროდ ვთვლით დაინტერესებულ მკითხველს მთლიანად გავაცნოთ ზოსიმესეული სრულიად ახალი შემოქმედებითი მიმართება ევროპული ნააზრევისადმი:

„...ქრისტეს მოყვარენო მამანო და სანატრელნო და წმიდანო და ძმანო ჩემნო! პირველად შეგივრდებთ ყოველთა ვედრებითა... ესე ჟამნი - დიად მოშლილად არიან. დედად ნუვინ იმსახურებთ ნუცა მას და ნუცა რომელიცა ჩემი დამხრეკელი მოგუხუდეს, წმიდანო ღმერთისანო, რამთუ მიწყებით რეგუენი ვიყავ და სადაცა რამე ვპოე, ჩაურთი ჩემი გულით, და რეცა მიხარიან, და უფროესგან და დავაკელი მრავლგან ქუე დაუტევი, გინა შეუმატი უცებობითა დიად უგუნურებითა ჩემითა და უმოძღურობითა. ნათელნო და წმიდანო, დიად თავჯედი, თავმოთენე და ამპარტავანი - ვიყავ სიყრმით ჩემითგან, და ვერავის თავ უყავ მორჩილებით ერთსა მოძღუარსა, და არცა იყო ჩემ თანა ყოვლადე სიმდაბლჳ და მორჩილება არამედ ყოვლადე ნებასა ბოროტსა შედგომილ ვიყავ სიყრმით ჩემითგან, და დაილნიეს დღენი ჩემნი ამას უკეთურსა განგებასა ჩემსა შინა“ (გვ. 668). (ხაზგასმა ჩემია შ.ქ.) (13)

ამ ვრცელ ამონარიდში იოანე ზოსიმეს ევროპული ცოდნისადმი ახალი, ორიგინალური დამოკიდებულება ჩანს, რასაც გარკვეული მობოდიშებაც ახლავს... ვფიქრობ, პოეტისა და მეცნიერის სულისკვეთება უფრო მეტად მის სუბიექტურ აღიარებაში უნდა ვეძიოთ: „სადაც რამე ვპოე, ჩაურთი ჩემი გულით, და რეცა მიხარიან“ ხაზგასმა ჩემია შ.ქ.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს ვთქვათ, რომ X სა-ის ქართულ მწერლობაში გაბედულ მცდელობასთან გვექონია საქმე ევროპული თუ მსოფლიო ცოდნის შემოქმედებითი გაცნობა-ათვისებისა. სხვათაშორის ამ ფაქტს სპეციალურ ლიტერატურაში ქართული სასულიერო კულტურის ღირსებას მიიჩნევენ, (14) თუმცა ცნობილ ჰიმნოგრაფებთან რატომღაც იოანე ზოსიმეს არ მოიხსენებენ...

ჩემი აზრით, იოანე ზოსიმეს სულისკვეთების საფუძვლიანი გაგებისათვის, ზემოგანხილულ მასალასთან ერთად, ცნობილი ლექსი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა პოეტის მიერ გაგებული ევროპული და ქართული ცნობიერი მოცემულობათა პარალელების პოეტურად წარმოსაჩენად... ამ გაგებით საყურადღებოდ მიგვაჩნია „შემკული და კურთხეული“ ქართული ენის რელიგიურ-მისტიური გაგებაც, რაც ფართო ჭრილში გვაცნობს ავტორის მსოფლგაგებასა და მისტიურ-რელიგიურ ჭვრეტასაც.

ლიტერატურა:

1. გ. მელიქიშვილი, საქართველო I-III საუკუნეებში, საქ. ისტორიის ნარ. ტ. 1, 1970, გვ. 510.
2. მთავარი ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტ. ტ. 1, 1996, გვ. 2.
3. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 60.
4. იქვე.
5. იქვე.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1991, გვ. 5, 16.
7. იგივე, მათ. 7,7,8.
8. შ. ქურდაძე, დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური ეტიუდები, I. 2006, გვ. 210.
9. იგივე, გვ. 212.
10. რ. ბლეიკი, ეფრემ მცირეს ლიტერატურული მოღვაწეობიდან, „მიმომხილველი“, გვ. 169.
11. კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, „ლიტერატურული ძიებანი“ ტ. VII, 1951, გვ. 171.
12. პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, გვ. 367.
13. იქვე.
14. ირმა რატიანი, ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, 2012, გვ. 7-8.

Shota Kurdadze
Gori State Teaching University
**INTRODUCTION-ANALYSIS QUESTIONS OF GEORGIAN-EUROPEAN AND WORLD
KNOWLEDGE IN THE GEORGIAN WRITING
RESUME**

In my opinion this conscious process can be assumed with the various stages: a) the first stage - in VIII-X c.c. with ideological or desire point of view; b) the second stage - in XI-XII c.c. with higher scientific level; c) the third stage - with reflection of renaissance ideas in "The Knight in the Panther's Skin"; d) the fourth stage - from the second half of XIX century according to the opinions of Ilia Chavchavadze's team members, especially Iakob Gogebashvili and Vazha Pshavela; e) the fifth stage - in conditions of globalization with the protection of national identity mentality and consideration of creatively adoption of the world culture.

ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში

ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები ყოველი ენის ლექსიკური შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბუნებრივია, ასეა მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტშიც. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ლექსიკის ფიქსაციასა და ანალიზს დიდი ისტორია არა აქვს. XVII საუკუნის თურქ მოგზაურს ევლია ჩელების მეორე წიგნში შეტანილი აქვს რამდენიმე ათეული მეგრული სიტყვა, რომელთა შორის ფლორასთან დაკავშირებული ორი სიტყვაც არის (ჩელები 1971: 333). სხვადასხვა მცენარის რამდენიმე მეგრული სახელწოდება XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩაუწერია ი. გიულდენშტედტს (გიულდენშტედტი 1964: 309-310). ცალკეულ სიტყვებს შეიძლება წავაწყდეთ სხვა მოგზაურთა წიგნებშიც, მაგრამ მეგრული ფლორისტული ლექსიკის ზუსტი ჩანაწერები მხოლოდ XX-XXI საუკუნეებში გამოცემულ ლექსიკონებში გვაქვს (იგულისხმება ი. ყიფშიძის, პ. ჭარაიას, შ. ელიავას, ო. ქაჯაიას, ა. ქობალიას... ლექსიკონები). განსაკუთრებით გამოირჩევა ამ თვალსაზრისით ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონი“, რომელშიც ავტორი სათანადო ლექსიკას სისტემური სახით გვთავაზობს (მაყაშვილი 1961: 9-101, 155-162). ფლორასთან დაკავშირებული ქართველური ლექსიკის გარკვეული ნაწილის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, ბევრათშესატყვისობებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებსა და რიგ სხვა ნაშრომში (ა. ცაგარელი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, კ. ჰ. შმიდტი, გ. კლიმოვი, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი...), მაგრამ მეგრული ლექსიკის ეს სფერო მთლიანობაში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა (ვ. ჯანჯღავას მიერ 2011 წელს „არნოლდ ჩიქობავას საკითხავებზე“ წაკითხული მოხსენება ეხებოდა კერძო საკითხს, სახელდობრ, ცხოველთა ლექსიკის გამოყენებას ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში – ძირითადად ქართული ენის მასალაზე დამყარებით; იხ. ჯანჯღავა 2012: 97).

ამჯერად ჩვენი მიზანია ზოგადი სურათის წარმოსაჩენად წარმოვადგინოთ ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკის მოკლე ანალიზი. უფრო გამოწვლილვითი განხილვა ივარაუდება სამომავლოდ გათვალისწინებულ პუბლიკაციაში.

საანალიზო ლექსიკურ ჯგუფში გამოიყოფა საერთოქართველური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები (მათ შესახებ იხ. ჩიქობავა 1938; გამყრელიძე 1959; შმიდტი 1962; კლიმოვი 1964; მაჭავარიანი 1965; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 და სხვ.).

ა) ზოგადი სახელები

ჯა „ხე“, **ტყა** „ტყე“, **თასი** „თესლი“, **ფოსვი** „ფესვი“ **ცა** „ტოტი“, **ჯიკი** „ჯირკი“, **ცვანა** „ყანა“, **ჰყინტი** „ჰყინტი“ და სხვ.

ბ) კონკრეტულ მცენარეთა სახელწოდებანი

უმქური „ვამლი“, **სხული** „მსხალი“, **ჰუბური** „წაბლი“, **ჰყონი** „მუხა“, **თხომუ** „თხმელა“, **თხირი**

„თხილი“, ბერწული „ბროწეული“, ლული „ლეღვი“, წიფური „წიფელა“, ინჭირი „ანწლი“, ბინები „ვენახი“ და სხვ.

ბუნებრივია, გვაქვს ნასესხები ლექსემებიც: ბია „კომში“ (სპარს.), ალიჩა || ალ-ჩა „ალუჩა“ (სპარს.), ბაღ(ი/ე) „ბაღი“ (სპარს.), ვარდი „ვარდი“ (სპარს.), თუთუმი „თუთუნი“ (სპარს.), სობი/სორხი „ჭლაკვი“ (თურქ.-ირან.), ურნაბი „უნაბი“ (სპარს.-არაბ.), ხომა „ხურმა“ (სპარს.), ხაბურზაკი „საზამთრო“ (სპარს.) და სხვ. (ყიფშიძე 1914; ანდრონიკაშვილი 1996...).

ცალკე უნდა გამოვყოთ საკუთრივ მეგრული ლექსიკური ერთეულები, რომელთაც პარალელები სხვა ენებში თითქოს არ ეძებნება (იგულისხმება მატერიალური მხარე თუ მოტივაციის მომენტი): გიგი-ბი/გგგბი „სოჭი“, ბაწკარია „ორკბილა“ მაჰალურაია „მსუქანა“, მარულია „ლენქორანული ალბიცია“, მაღურზენე „მაღალი მოცვი“ ტყვატყვატია „ონტკოფა“, ტატალი „ვარდკაჭკაჭა“, ცე „თელა“, ბაცუ „ზღმარ-ტლი“, ქამენია „გვირილა“, ბული/ზურდი „ბყერა“, ლეყვი/ლიყვი „ფითრი“, მელიშია „მოცვი“ და სხვ.

განსახილველ ლექსიკაში სტრუქტურის მიხედვით გამოიყოფა: ერთფუძიანი სიტყვები, კომპოზიტები და შესიტყვებები.

ერთფუძიან სიტყვებად მივიჩნევთ ისეთებს (მათ შორის – დერივატებს), რომლებშიც მეგრულის მასალის საფუძველზე ჩატარებული ანალიზით ერთ ფუძეზე მეტი არ გამოიყოფა: ჩხვერი „ღომი“, ციმუა „მარწყვი“, ცერეცო „კამა“, კვადაცი(ა) „ქაცვი“, ბაჭა „მაღალი მოცვი“, ძილი „ჯაგრცხილა“, ჭვახა „ცირცელი“, ფა „ფოთოლი“, ხაია „ისლი“ და სხვ.

ბოტანიკურ ლექსიკაში საკმაოდ დიდია კომპოზიტების რიცხვი: ჯირჩე „უცუნა“, (ზედმიწ. „ძირთეთრი“), უშქურატამა „ვაშლატამა“ ია-ია „ია“, კატაურასკია „ყანის ნიორი“ (ზედმიწ. „პატარა პრასი“; კატა „პატარა“ – ქაჯაია 2002ა: 112), ჭყორტოტი „მწყერფხა“ (ჭყორი „მწყერი“ + ტოტი „ტორი“), მელიგურძენი „ჩიტავშლა“ (ზედმიწ. „მელას ყურძენი“), სუმესუჯა „სამყურა“ (სუმი „სამი“, სუჯი „ყური“), ღვინჯა-ღვინჯა „მაღლყურძენა“ (რედუპლიკაცია), ცვაღმითა „ტყის პიტნა“ (ზედმიწ. „ყველის პიტნა“) და სხვ.

მცენარეთა სახელებად ხშირად გამოყენებულია შესიტყვება: ჯოღორიშ ნინა „ფურისულა“ (ზედმიწ. „მაღლის ენა“), ჯოღორიშ მუსია „მაღლმაცვალა“ (ზედმიწ. „მაღლის მაცვალი“), ხოკორია კობეშია „ხოკერა გოგრა“, ჭითა ქუნცი „წითელი კუნელი“, ციმუაშ ოჭაჭალი „მარწყვა-ბალახა“ (ზედმიწ. „მარწყვის ასაცმელი“), კურდღელიშ ლებია „ცერცველა“ (ზედმიწ. „კურდღლის ლობიო“), შხურიშ ჭი „კატაბარდა“ (ზედმიწ. „ცხვრის ნაწლავი“), ქვიშა ბული „ალუბალი“ (ქვიშა < რუს. вишня + ბული „ბალი“), ტყარ სხული „პანტა“ (ზედმიწ. „ტყე მსხალი“), დიხაშ თხირი „მიწის თხილი“ და სხვ.

ტერმინოლოგიურ გამოთქმებში ფერის აღმნიშვნელი ოთხი ზედსართავი სახელია გამოყენებული: ჩე „თეთრი“, უჩა „შავი“, ჭითა „წითელი“ ყვინთელი „ყვითელი“.

ჩე : ჩე ჯა „ალვის ხე“ (ზედმიწ. „თეთრი ხე“), ჩე ტყა „ურო“ (ზედმიწ. „თეთრი ბალახი“), ჩე ჯუმენე „ნაცარქათამა“ (ზედმიწ. „თეთრი ჯიჯლაყა“),...

უჩა : უჩა კაკალი „სოინჯი“ (ზედმიწ. „შავი მარცვალი“), უჩა ტყა „მაღლყურძენა“ (ზედმიწ. „შავი ბალახი“), უჩა ქუნცი „შავი კუნელი“...

ჭითა : ჭითა ჭუჭელე „წითელი ჭინჭარი“, ჭითა ქუნცი „წითელი კუნელი“, ჭითა ჭიფე ლებია „საკადრისა“ (ზედმიწ. „წითელი წვრილი ლობიო“),...

ყვინთელი: ყვინთელი პირი (ზედმიწ. „ყვითელი ყვავილი“) || ყვინთელ კოჭა (ზედმიწ. „ყვითელი კოჭა“) „ხავერდა“...

დასტურდება ერთი და იმავე მცენარის აღმნიშვნელი ტერმინის ფონეტიკური ვარიანტები:

ინჭირი || ინჭერი || ინჭირია || ინჭილი || ინჭილია „ანწლი“

ბოდერია || ბოდორია „ბალბა“

ლეფონი || ლიფონი „ლაფანი“

მიგირონი || მიგირონა „ეკალნარი“

მაბჟალია || მავჟალია „რძიანა“

ინღვა || იმღვა „ჟოლო“

და სხვ.

საანალიზო ლექსიკურ ჯგუფში საკმაოდ გვაქვს სინონიმისა და პოლისემიის შემთხვევები.

ა) სინონიმია

1) ჭყერია || გვალაშ ბული || ბულიშ ცხიმური „არყი, არყის ხე“

2) მციგუა || ბამგარია || ბაკარია „ბირკა“

3) ჭკიდი || ჭკიდიშ ჭკიდი || ფატი „ფეტვი“

4) კარაკუნჩხა || ტყვარჩელია „ქართული ყოჩივარდა“

5) მაბურა || დიხაშ სურო || ბადადია „ხვართქლა“

6) დოლოკეტი || ლეჯიშ კეტი || ჯოლოკეტი „გლერტა“

7) ქუნცი || ხინჭკი || ეშმაკიშ მართახი „კუნელი“

და სხვ.

ბ) პოლისემია

- 1) ტყა „ტყე“ და „ბალახი“
- 2) ეშმაკიშ მართახი „ასკილი“ და „კუნელი“
- 3) ოღალარი „ხახია“ და „ხარისჩლიქა“
- 4) უჩა კაკალი „სოინჯი“ და „შავი კუნელი“
- 5) ქეროფე „თათაზო“ და „ნაცარქათამა“
- 6) ჭითა პირი „ასისთავა“ და „ხავერდა“
- 7) კუდაცია „ქაცვი“ და „რუსული ჭლაკვი“

და სხვ.

მცენარეთა სახელწოდებების გარდა, ფაუნასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ჯგუფში მოიაზრება, აგრეთვე, ზმნები, აგრეთვე, ტოპონიმები.

ა) ზმნები

- 1) ჩანს „ხარობს“ (მეგრ. ჩან-: ქართ. ცენ-)
- 2) თასუნს „თესავს“ (მეგრ. თას: ქართ. თეს-)
- 3) ფალუნს („აღმოცენდება, იფოთლება, ხარობს“)
- 4) პირანს „ყვავილობს“
- 5) ცონუნს „ამცნობს“ (მეგრ.ცონ-: ქართ. მცნ-)
- 6) ხომუ „ხმელი“ (მეგრ. ხომ-: ქართ. ჳმ-)
- 7) მონჭინდუ „მწიფდება“

და სხვ.

ბ) ტოპონიმები

- 1) სოფ. ჭყონი (მეგრ. ჭყონი „მუხა“)
- 2) სოფ. ტყაია (მეგრ. ტყა „ტყე“)
- 3) სოფ. ნაკიფუ (მეგრ. კიფი „კანაფი“)
- 4) სოფ. დიდი ნეძი (მეგრ. ნეძი „კაკალი“)
- 5) სოფ. ცაცხვი
- 6) თხომულონი „თხმელნარი“ (ჩხოროწყუს რ-ნი, ადგილის სახ.)
- 7) სოფ. ჭუბურხინჯი (გალის რ-ნი, მეგრ. ჭუბური „წაბლი“, ხინჯი „ხიდი“)

და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი დაკვირვება ემყარება ძირითადად ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ მოცემულ მასალას, აგრეთვე, ო. ქაჯაიასა და ა. ქობალიას ლექსიკონების მონაცემებს.

ჩვენ ამჟამინდელ ანალიზს, რასაკვირველია, სისრულის პრეტენზია არა აქვს. აქ შეზღუდული მასალის მოხმობით ის საკითხები დაისვა, რომლებიც მომავალში უფრო სრული განხილვის საგანი უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, თბილისი.

გამყრელიძე 1959 – თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

გიულდენშტედტი 1964 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

მაყაშვილი 1961 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), თბილისი.

მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია 2002ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ყიფშიძე 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914. – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994.

შმიდტი 1962 – K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der Südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden.

ჩელები 1971 – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ჯანჯღავა 2012 – ც. ჯანჯღავა, ცხოველთა სახელები ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში. – „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XXIII. მასალები, თბილისი.

Vazha Shengelia, Tsira Janjgava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
VOCABULARY DENOTES FLORA IN MEGRELIAN
RESUME

Like in other many languages and dialects, the lexical entries linked to flora, are a significant part of a vocabulary stock in the Megrelian dialect of the Megrelian-Laz language. In a vocabulary group under research there are Common Kartvelian, prop. Megrelian and borrowed words. The one-stem terms, composites and correspondences are also used. Numerous cases of synonymy and polysemy are attested in an analytical vocabulary, as well.

The paper represents a brief and general analysis of the Megrelian vocabulary denoting flora. The authors suppose to discuss the problem in detail in near future.

თინა შიოშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლარჯული შრომის ლექს-სიმღერები

საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უხვად დაუნჯებულ იდეურ-ესთეტიკურსა და ზნეობრივ ტრადიციებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია შრომითი ტრადიცია. ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთელს მანძილზე, ზნეობრივი წიაღსვლების ყველა ეტაპზე, შრომისმოყვარეობა უმაღლეს სათნოებად, ხოლო შრომისადმი დამოკიდებულების საკითხი ყოველგვარი სოციალური ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იყო და არის მიჩნეული. ჩვენში ყოველთვის იცოდნენ პატიოსანი შრომის ფასი და შეგნებული ჰქონდათ, რომ „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“ (კ. გამსახურდია, 1984: 129).

შრომისადმი ქართველი კაცის ისტორიული დამოკიდებულება შესანიშნავად აისახა ეროვნული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრში, განსაკუთრებით კი – შრომის პოეზიაში.

შრომის ლექს-სიმღერები ქართველთა (ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხის) ისტორიის ერთგვარი მატანია, რომელშიც თვალნათლივ არის არეკლილი საზოგადოების განვითარების, ადამიანთა უძველესი საწარმოო კოლექტიური ურთიერთობებისა და მათი შემეცნებითი ევოლუციის კვალი.

საქართველოში, როგორც რელიეფურად ნაირგვარ ქვეყანაში, ძველთაგანვე შრომის თითქმის ყველა სახეობაა ცნობილი; შესაბამისად, ქართული ზეპირსიტყვიერება შრომის ლექს-სიმღერათა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რამაც უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა ხალხური მხატვრული სიტყვიერების საერთო საგანძურში.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია შრომის ლექს-სიმღერებით, რომელთა ტრადიციებიც „ხანგრძლივი ისტორიული ყოფისა და შრომის პროცესში შემუშავდა“ (თ. ოქროშიძე, 1963: 9). ამ თვალსაზრისითაც, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ერთიანი ქართული სივრცის ნაწილი იყო დღეისათვის, სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სამშობლოს მოწყვეტილი უმშვენიერესი და უდიდესი ნაწილი – ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი – მესხეთი და მისი ისტორიული პროვინციები, რომელთა შორის კლარჯეთი ყოველთვის იყო მოწინავე თავისი კულტურული და სოციალური პოტენციალით, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 2007 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ამჟამად – ქართველოლოგიის ინსტიტუტის) მიერ კლარჯეთში მოწყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის დროს (ხელმძღვანელი პროფესორი მამია ფადავა). კლარჯეთის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერება ჩვენთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა როგორც ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, ისე ზოგადქართულ, განსაკუთრებით კი აჭარის, ფოლკლორთან ძირეული სიახლოვის თვალსაზრისით. ამჯერად განვიხილავთ კლარჯეთში ჩვენ მიერ დაფიქსირებულ ორ შრომის სიმღერას, რომელთა მაგალითზეც

ნათელი ხდება, რომ მიუხედავად უცხო ენობრივ-კულტურულ გარემოში საუკუნეობრივი ცხოვრებისა, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთა ზეპირპოეტური შემოქმედება ერთიანი, ზოგადქართული სივრცის ნაწილს წარმოადგენს.

2007 წლის 31 ივლისს კლარჯეთში, სოფელ ბუჯურში („აქანთაშქოი“) 70 წლის ქალბატონისაგან – ხატიჯე ილმაზისაგან ჩავიწერე სამკალი ლექს-სიმღერა, რომელიც მთქმელმა სიმღერით შეასრულა, თუმცა იქვე მიანიშნა, რომ ეს სიმღერა ინდივიდუალური შესრულებისა არ არის, კოლექტიურია: „– პური ჭრაში მღეროდნენ, ყანაში ნადი იყო. პური ჭრაში ვიმღერებდით“:

სოილე რუმინაანა,
სოილე რუმინაანა.
მოიდა პურის საჭარი,
მოიდა პურის საჭარი!
დევჭიროთ ორალეზი,
დევჭიროთ ორალეზი!
სოილე რუმინაანა,
სოილე რუმინაანა.
ჰაიდე, წევდეთ ყანაში,
ჰაიდე, წევდეთ ყანაში!
მოიდა პურის საჭარი,
მოიდა პურის საჭარი!
მოიდენ არხატაშეზი,
მოიდენ არხატაშეზი!
სოილე რუმინაანა,
სოილე რუმინაანა!

(თ. შიოშვილი, 2009: 53)

როგორც ლექს-სიმღერის ტექსტიდანაც ჩანს, კლარჯეთში მკას „პურის ჭრას“ უწოდებენ, მკის დროს კი – „პურის საჭარს“. სიმღერა, როგორც მთქმელმაც განმარტა, ნადურია, რაზედაც უნდა მიანიშნებდეს როგორც ფრაზათა განმეორება, რომლებიც ტრადიციულად ორი გუნდის (ორი ხმის) მიერ უნდა შესრულებულიყო, ასევე სიტყვები – „მოიდენ არხატაშეზი“ (მოვიდნენ ამხანაგები), რაც ნადის წევრების შეკრებაზე მიუთითებს.

კოლექტიური შრომა ძველთაგანვე იყო ცნობილი საქართველოში. მისი გავრცელებული სახეა „ნადი“, „მამითადი“, „მუშა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყანის მკაში კოლექტიური შრომის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა სწორედ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეშია დაფიქსირებული; ეს არის X საუკუნის ლიტერატურული ძეგლი – გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელშიც მოთხრობილია შემდეგი: გრიგოლის სამშოს წევრი ბერი ეპიფანე მივიდა დიდ ფეოდალთან – აბუსალადთან „ჟამსა მკისასა როჭიკისა თხოვად ხანძთისათვის“. აბუსალადმა უთხრა:

„ – ძმათა შენთა დღესა შინა ერთსა რაჲ მკონ, მიმიცემია“–ო.

ეპიფანემ შეკრიბა სამშოს წევრები – „ძმანი თჳსნი კეთილად მომკალნი“, მივიდნენ „გუნათლეს სიტყვსაებრ პირველთქუმულისა და იწყეს მკად კეთილსა ყანასა ვიდრე განზოგებადმდე დღისა მის ფრიადითა გულსმოდგინებითა“ (გ. მერჩულე, 1987: 594).

ძალზე გულმოდგინებით მუშაობდნენო ხანძთელი ბერები დადამებამდის, – გვაუწყებს გიორგი მერჩულე; იგი არსად იხსენიებს შრომის (სამკალ) სიმღერას (და ეს არც შედიოდა სასულიერო მწერლის ინტერესში), მაგრამ, მიუხედავად ამისა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა ჩვენთვის საინტერესოა როგორც არქაული სურათი კოლექტიური შრომის პროცესისა, სადაც ანალოგიურ შემთხვევაში ერისკაცთა შორის უსათუოდ შესრულებოდა სამკალი ლექს-სიმღერა; იქნებ ჩვენ მიერ ბუჯურში ჩაწერილი „პურის საჭარის“ წინამორბედი, მაგრამ, ალბათ, – უფრო მეტად შემკული ქართული ლექსიკით.

როგორც ცნობილია, ქართული ხალხური სამკალი ლექს-სიმღერები შესრულების თვალსაზრისით მუხლობრივია. ჩვენ მიერ კლარჯეთში დაფიქსირებული „პურის საჭარი“ სიმღერა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, კოლექტიური მკის დასაწყისში შესასრულებელია და მას უსათუოდ შრომის დაწყების მაორგანიზებელი ფუნქცია ექნებოდა; სწორედ ამაზე მიუთითებს სტრიქონები „მოიდა პურის საჭარი“ (მოვიდა მკის დრო), „დევჭიროთ ორალეზი“ (დავიჭიროთ ნამგლები), „მოიდენ არხატაშეზი“ (მოვიდნენ ამხანაგები, იგივე ნადის წევრები). მართალია, ლექს-სიმღერაში შესულია ცალკეული თურქული ლექსემები, მაგრამ ის მაინც ძვირფასია ჩვენთვის, როგორც ერთ-ერთი კლარჯული ნიმუში უძველესი ქართული სამკალი ლექს-სიმღერებისა, რომელიც ჩვენებურებმა შემოინახეს.

ჩვენში თიბვის დროს ტრადიციულად იმღერებოდა თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ლექსი „... ლექებმა რომ დამიჭირეს...“ („... სამი ქალი თივას თიბდა...“). ამ ლექსის თანახმად, მთიბელები ქალები არიან და ლექსის პათოსიც სწორედ ეს არის – მთქმელს უკვირს ცელიანი ქალების ხილვა. ლექსში აღწერილია მთიბელ ქალთა ცელების წკრიალი და ხმაშეწყობილი სიმღერა შრომის პროცესში.

ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთი გუდამაყრული ვარიანტი ამგვარია:

მე რომ ლექებმ დამიჭირეს,
დამდგომ იყო კათათვისა.
სამი მთა გადამავლივს,
სამივ კავკასიონისა.
ჩერქეზთ მინდორ გადმახედვს,
ნისლი იდგა შავი ზღვისა.
სამი ქალი თივას სთიბდა,
სამივ ჩერქეზთ ბატონისა.
სამთავ ეჭირა ცელები,
პირი ქონდა აღმასისა.
მარმარილოს სალესები,
იმით მოუწყობდეს პირსა.
სამნივ ისე დასმახოდნენ,
როგორც ანგელოზი ცისა.

(ქ.ხ.პ., X: 134-135)

მთქმელის შენიშვნით, ამ ლექსს მღერიან თიბვაში, ყანის მკაში ან ფერკისაში. იგი კოლექტიური შესრულებისაა და საქართველოს ყველა კუთხეში იმღერებოდა ნადის დროს (იქვე: 509).

ლექს-სიმღერის ვარიანტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უმეტეს ვარიანტებში უშუალოდ მთიბელი ქალების მწყობრი მუშაობის აღწერამდე გვეძლევა ცნობა იმის შესახებ, რომ მთქმელი, ანუ მხილველი ამ პროცესისა, დატყვევებულია ლექთა მიერ, მიჰყავთ (ალბათ, დაღესტანში), გადაატარეს „ასი მთა“ და სწორედ იქ, მთაში, ჩერქეზეთის მინდორში, იხილა მთიბელი ქალები; თუმცა, დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულ ზოგიერთ ვარიანტებში ფრაზა „ლექებმა რომ დამიჭირეს“ აღარ გვხვდება და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი, და ლექსი პირდაპირ იწყება ჩერქეზეთის მინდორის წარმოდგენით („გადვიხედე ჩერქეზ მინდორს“).

ამ სიმღერის არქაულობასა და ძველი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განფენილობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი ვარიანტი დავადასტურე კლარჯეთში მურდულის ხეობაში; 2007 წლის 1 აგვისტოს თავისოფელში („ბაშქოი“) 79 წლის ეზიზ ალა (სულეიმან) ბაიდინისაგან (კამკამიძე) ჩავიწერე ამ ლექსის ვარიანტი, რომლის დასაწყისიც ტრადიციული ქართული ფირალის ეპოსის ნიმუშია: ვინმე დათიკო „ტრაჟნიკებს“ შეუპყრიათ და მიჰყავთ“, გადაატარეს ასი მთა კავკასიონისა და იქ ნახა სწორედ ჩერქეზთა ბატონის მთიბელი ქალები. ლექსის მთლიანი სახე ასეთია:

„მშვიდობით დედავ, ცოლ-შვილო,
აღარ გყავთ შენი დათიკო!
შენ დაილოცე, ჭელიზე,
რომ გამიკეთე ვახშამი!
ძველის ღვინო ბევრი გქონდა,
ხმელი თხილი და ქათამი.
თქვენ-კი იცით, რა ვიქმოდით
მოწამლული თრალი კაცი, –
ერთი თოფი გავისროლე,
ტრაჟნიკ მივამტრიე ტრინკი.
ასი თა გადამატარეს,
თეზი კავკასიონისა.
ნისლი იდგა შავი ზღვისა.
სამი გოგო თივასა თიბდა,
სამთავ ჩერქეზ ბატონისა.
ხელში ეჭირნეს ცელები

პირების კალმასისა.“

მთქმელს ლექსი მამისაგან აქვს დასწავლილი, მამამისს კი – მისი წინაპრისაგან. ლექს-სიმღერის ეს ვარიანტი ჩვენთვის, ერთი მხრივ, საინტერესოა იმით, რომ კლარჯეთის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია ტრადიციული ხალხური ლექსი, რომელსაც ჩვენში მკისა და თიბვის დროს, აგრეთვე ფერხულებში, მღეროდნენ; მეორე მხრივ კი, ნიშანდობლივია, რომ ამ ლექსისათვის ზოგადქართულ ფოლკლორში დაფიქსირებული წინაპირობა (შეპყრობილი ადამიანი მიჰყავთ მთიანი გზით, სადაც გახდება თვითმხილველი მთიბელი ქალებისა) კლარჯეთშიც სახეზეა (უფრო მოზრდილი ფორმით), ოღონდაც ზოგადქართულ ვარიანტებში თავჩენილი ლექსების აგრესია აქ შეცვლილია რუსის („ტრაჟიკის“) აგრესიით, რაც, ჩვენი აზრით, ამ კუთხეში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ შემოდებული რუსული მმართველობის გამოძახილი უნდა იყოს.

ლექსის მრავალი ვარიანტია დაფიქსირებული აჭარის ზეპირსიტყვიერებაში (ნზიფა, საქმე №171: 74; საქმე №151: 58-59 და სხვა). მათი ნაწილისათვის დამახასიათებელია დასაწყისი „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, ნაწილი კი პირდაპირ იწყება ჩერქეზეთის მინდვრის ხილვით („გეგხედე ჩერქეზ მინდორში“), ზოგი ვარიანტით კი ეს უბრალოდ მინდორია. ერთ-ერთი სრულყოფილი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

„ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა.
ასი მთა გადამატარეს,
მთები კავკასიონისა.
გავხედე ჩერქეზ მინდორსა,
ნისლი იდგა შავი ზღვისა.
სამი ქალი თიბას თიბდენ,
სამივ ჩერქეზ ბატონისა.
ხელში ეჭირათ ცელები,
პირი ქონდა ალმასისა.
მარმარილოს სალესავით
იმით მოუწყობდენ პირსა.
სამნივ ისე დასძახოდენ,
როგორც ანგელოზი ცისა.
არ მენახა, გამიკვირდა
მუშაობა დიაცისა.“

(ნზიფა, საქმე №277: 17-18)

ამ „ლექს-საჩივრის“ ერთ-ერთი აჭარული ვარიანტის განხილვისას მკვლევარი ჯ. ნოღაიდელი წერდა: „როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს ლექს-საჩივარი შექმნილი უნდა იყოს კავკასიის მთის კალთებთან. საქართველოშიც გვხვდებოდა შემთხვევები, რომ ქალი გენახათ თესვაში, თოხნასა და მარგვლაში, მკასა და ტეხვაში, კრეფაში და სხვა, მაგრამ ცელვა ძირითადად მამაკაცების საქმეს წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომ გაჰყვრივებია მოტაცებულ ტყვეს, როცა ცელით მომუშავე ქალები დაუნახავს; თუმცა, აჭარის მთიან მხარეში სათიბავშიც მონაწილეობდნენ ქალები“ (ჯ. ნოღაიდელი, 1971: 106-107).

ჩვენ მიერ კლარჯეთში, თავისოფელში, ჩაწერილი შრომის ლექს-სიმღერა უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს აჭარულ ვარიანტებთან, რაც სრულიად ბუნებრივია მეზობელ კუთხეთა ზეპირსიტყვიერების ურთიერთობაში; ისიც საგულისხმოა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, საქართველოს ისტორიულ კუთხეთა შემოერთების შემდეგ, ინტენსიური მისვლა-მოსვლა იყო აჭარასა და კლარჯეთს შორის, რაც, ბუნებრივია, კულტურული დიალოგის საშუალებასაც იძლეოდა, მით უფრო – ყველაზე უფრო ქმედითი და პოპულარული ხალხური პოეზიის დონეზე.

ამრიგად, საქართველოს ისტორიულ კუთხეში – კლარჯეთში, ბოლო დრომდე შემორჩენილია კოლექტიური შრომის ძველი ქართული ტრადიცია – ნადი და ამ შრომითი თავშეყრის დროს სამღერი ლექსები, ანუ ნადურები, რომელთა სახელდებაცა და შესრულების წესიც ზოგადქართულის იდენტურია. ძირძველი ქართული რეგიონის – კლარჯეთის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაში სხვა ტრადიციულ ქართულ წეს-ჩვეულებათა და მათთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებასთან ერთად, შრომითი ტრადიციების შემონახვა განაპირობებს თურქულ გარემოცვაში მცხოვრები ჩვენებურების ეროვნული იერსახის შენარჩუნებას, რაც მათი იდენტობის ერთ-ერთი პირობაა.

ლიტერატურა:

1. აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969;
2. ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივის მასალები (ნბიფა);
3. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ამჟამად – ქართველოლოგიის ინსტიტუტის) 2007 წლის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის მასალები;
4. გამსახურდია კ., დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, თბ., 1984;
5. მერჩულე გ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ქართული მწერლობა“, ტ. I, თბ., 1987;
6. ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წ. I, ბათ., 1971;
7. ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963;
8. ქართული ხალხური პოეზია, ტ. X, თბ., 1983;
9. შიოშვილი თ., ქართული ხალხური ნადური ლექს-სიმღერები, – ჟ. „ფიროსმანი“, №8, სტამბოლი, 2009, გვ. 49-55;
10. მისივე, შრომის ზნეობრივი ასპექტი, – მონოგრაფიაში: „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, წ. I, ბათ., 2002, გვ. 290-434.

Tina Shioshvili

Batumi Shota Rustaveli University

THE KLARGIAN WORKING SONGS AND VERSES RESUME

Klargeti has been within the Turkish jurisdiction for centuries already. It made a great impact on the Georgian's, living in this old Georgian region, spiritual and material culture. In spite of this, the folklore, preserved to this day, testifies, that their character, customs and traditions have not been changed much.

The Klargian working songs and verses are example of this: Klargian cchveneburebi (Georgian, living in Klargeti) reserved the so called "Nadi" (collective work) and "Naduri" (songs of "Nadi").

ჰარუნ ჩიმქე

რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანებითი კილოს გამოხატვის თავისებურებანი ქართულსა და თურქულში

კილოს კატეგორია ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია როგორც ქართულში, ისევე სხვა ენაში. კილოთა რაოდენობა კი განსხვავებულია ყველა ენაში. ტრადიციული მოსაზრებების მიხედვით თანამედროვე ქართულში კილო ძირითადად ოთხია (თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი), თურქულში კი – ხუთი (თხრობითი, პირობითი, ბრძანებითი, ნატვრითი, აუცილებლობითი).

ამ თვალსაზრისით საინტერესო სახეს წარმოადგენს ბრძანებითი კილო, რასაც შევუპირისპირებ თურქულ მასალას.

ბრძანებითი კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შესასრულებლად წარმოგვიდგენს; ის გვიჩვენებს, რომ მოუბრის სურვილი უნდა იქნეს შესრულებული. უბრძანებენ მეორე პირს (ააშენე! ააშენეთ!), მესამე პირს (ააშენოს! ააშენონ!) და პირველ პირსაც, ოღონდ მრავლობით რიცხვში: ავაშენოთ! (მიძიგური, 1956: 100). ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს სურვილი შეიძლება გამოხატული იქნეს არა მარტო ბრძანებითის სახით, არამედ თხოვნისა, ხვეწნა-მუდარისა და წაქეზების სახითაც, მაგრამ გრამატიკაში ყველას ბრძანებითი ჰქვია, რადგანაც ფორმოზოგი განსხვავება მათ შორის არ არის: ააშენე! ააშენეთ! ააშენოს! ააშენონ! (შანიძე, 1973: 206). ბრძანებითის ფორმებს შეიძლება ჰქონდეს მეორე და მესამე პირის, პირველი პირის კი მარტოდენ მრავლობით რიცხვში (შანიძე, 1930: 126).

ბრძანებითში ვარჩევთ წართქმითსა და უკუთქმით ფორმებს: წართქმითია ფორმა, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას გულისხმობს: წადი! ააშენე! უკუთქმითია ფორმა, რომელიც

ზმნით აღნიშნული მოქმედების აკრძალვას წარმოადგენს. ამიტომ სხვასთან შეუპირისპირებლად აკრძალვითი ჰქვია. აკრძალვითის ფორმას ყოველთვის ახლავს ნაწილაკი ნუ ან არ: ნუ ააშენებთ! არ ააშენოთ! (შანიძე, 1973: 206-207)

უკუთქმით ბრძანებითს არ გააჩნია საკუთარი მწკრივი. საყურადღებოა, რომ ის წართქმითი ბრძანებითის მწკრივის კი არ სარგებლობს, არამედ სხვა კილოთაგან სესხულობს ფორმებს. ეს კილოებია: თხრობითი და კავშირებითი, მაგრამ ისე, რომ თხრობითთან ნუ ნაწილაკია საჭირო, კავშირებითთან – არ: ნუ გააკეთებ! არ გააკეთო! ნუ წახვალ! არ წახვიდე! (შანიძე, 1973: 207).

თანამედროვე ქართულში ბრძანებითს მორფოლოგიური გამოხატულება არა აქვს: იგი იყენებს თხრობითის ფორმებს. კერძოდ: არ ნაწილაკიანი ემყარება II კავშირებითს, ნუ ნაწილაკიანი – აწმყოსა და მყოფადს, წართქმითი ბრძანებითი II პირისათვის – წყვეტილს, I და III პირისათვის – II კავშირებითს. მაგრამ მათგან განსხვავდება ინტონაციით (კვაჭაძე, 1993: 211).

ჟ. ფეიქრიშვილი ბრძანებითის ფორმების გაანალიზებისას წერს, რომ წართქმით ბრძანებითს ძველ ქართულში საკუთარი ფორმა ჰქონდა, რითაც იგი მკვეთრად იყო გარჩეული თხრობითი კილოსაგან. წართქმით ბრძანებითს არ მოუდიოდა II სუბიექტური პირის ნიშანი, შესაბამის თხრობითს დაერთოდა. დღეს კი თხრობითი კილოს ფორმებთან II სუბიექტური პირის ნიშანი თითქმის აღარ იხმარება, ამიტომ გარეგნულად დაემთხვა თხრობითი და ბრძანებითი. მათი გარჩევისას ერთადერთი საშუალება მიმართვა დროში: წარსულის ფორმები თხრობითია, მომავლისა – ბრძანებითი (ფეიქრიშვილი, 1992: 139-140)

აღნიშნულთან დაკავშირებით მზია გიგაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს რომ I ბრძანებითის მწკრივი საანალიზო ძეგლთა ენაში იშვიათობას წარმოადგენს. ისევე, როგორც უწყვეტელსა და წყვეტილში, აქაც დასტურდება ფორმები მწკრივის ნიშნის გარეშე: ეძიებდ, მცევდ. -ოდ სავრცობიანი მოქმედებითი გვარის ზმნის რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა -ე მწკრივის ნიშნით: ვიტყვოდეთ, იტყვოდეცა, მეტყვოდე. -ოდ სავრცობით არის წარმოდგენილი ერთგან -დ სავრცობიანი ზმნა: განიხილვოდენ.

ასევე მის მიერ შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ ბრძანებითი კილოს გამოსახატავად ბრძანებითის მწკრივების ხმარება საანალიზო პერიოდში ძველის ინერციასდა წარმოადგენს. ბრძანებითი კილოს ფუნქციას უკვე თხრობითისა და კავშირებითი კილოს მწკრივები ასრულებენ (გიგაშვილი, 2012: 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების მიხედვით ბრძანებითი კილო გადმოგვცემს, რომ მთქმელს (I პირის) სურვილი უნდა იქნეს შესრულებული: *(გაკეთეთ! გააკეთეთ! გააკეთოს! გააკეთონ! გააკეთოთ!)*. გარდა აღნიშნული განმარტებისა II პირისადმი მიმართული ბრძანებითის ფორმა შეიძლება შინაარს-ინტონაციურად გამოხატავდეს:

თხოვნა-მუდარას (მიშველეთ!),

დალოცვას (კარგი კაცი გაიზარდე, შვილო),

დარიგებას (ფრთხილად იარე),

გამხნეებას (გამაგრდი, გული არ გაიტეხო),

მიმართვა-მოწოდებას (წინ, წინ, მედგრად შეგებრძოლოთ ჩარხუკუდმართ ამ ჩვენ დროს! - ი. ევდ.),

მიმართვა-ტრახას (ნუ შეიჭირვებ, ჩემსა მზესა, აწ ნახო ჭაბუკობა ჩუენიო - ამირ. 103, 3),

მუქარა-გაფრთხილებას (ესე მტკიცედ იცოდეთ!),

რჩევა-დარიგებას (თუ ესე არ იცოდეთ, ისევ სწეული რომლისა ხილთისაგან არის ავად, მაჯა უნახოთ და მით შეატყობთ! - იად. 53, 30),

დარიგება-გაფრთხილებას (თუარა და ეს იცოდეთ! - იად. 73, 21),

წყევლას (მის ვაჟთა თუ ქალთა უმზერდე კბენად - დავ. 242-434, გდ) და სხვა, მაგრამ ყველა ბრძანებითი კილოს ფორმაა, მათ შორის გრამატიკულად განსხვავება არ არის (კეკელია, შ., დავითიანი, აკ., 1981:180-181; <http://ka.wikipedia.org/wiki/კილო-ქართული> - ენა; თუშიშვილი, 2011: 109-117).

რაც შეეხება ბრძანებით კილოში დროის საკითხს, ამასთან დაკავშირებით აკ. შანიძე მიუთითებს, რომ დროის თვალსაზრისით შეიძლება იყოს მხოლოდ მომავალი (აკეთე! გააკეთე!). ახლანდელი და წარსული წართქმით ბრძანებითს აკლია. ახლანდელი დრო შეიძლება ჰქონდეს ნუ-იან აკრძალვით: ნუ აკეთებ! (შანიძე, 1973: 208).

მაღზე საინტერესოა ქართულის ბრძანებითი კილოს ფორმების თურქულად გადმოცემისას რა შემთხვევები იჩენს თავს.

ქართულისაგან განსხვავებით თურქულის ბრძანებით კილოს აქვს თავისი ნიშნები და აღნიშნული ნიშნებით ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ ბრძანებითის კილოს ფორმები სხვა კილოს ფორმებისაგან.

თანამედროვე თურქულში პირისა და რიცხვის გამოსახატად გამოიყენება სამი მორფოლოგიური საშუალება: 1. ყოფნის გამომხატველი ნაცვალსახელო სუფიქსები, 2. განუყოფელი კუთვნილებითის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები და ცალკე გამოყოფილია ბრძანებითი კილოს

გამომხატველი სუფიქსები. იმის გამო, რომ ბრძანებითი კილოს ნიშნები პირის ნიშნების ფუნქციასაც ასრულებენ, აღარ არის საჭირო პირის ნიშნების დართვა.

ბრძანებითი კილოს პირიანი ფორმა შედგება ზმნის ფუძის, სათანადო პირისა და რიცხვის ნიშნისა და დადებითად თუ უარყოფითად გამომხატველი ელემენტისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში ბრძანებითის ნიშნებთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. ჩვენ წარმოვადგენთ არსებულ სამ მოსაზრებას: (Zeynep Korkmaz, 2009: 571-572; M. Ergin, 2009: 283; ნ. ჯანაშია, ე. კვანტალიანი, 2009: 169).

რიცხვი	მოსაზრება I	მოსაზრება II	მოსაზრება III
მბ. რიცხ. I	-	-(y)AyIm – bak-ayım	-
მბ. რიცხ. II	- {Ø} – gel	- {Ø} – bak	- {Ø} – oyna
მბ. რიცხ. III	-sXn – gel- sin	-sXn – bak- sin	-sXn – oyna- sin
მრ. რიცხ. I	-	-(y)AlIm – bak- alım	-(y)AlIm – oyna- yalım
მრ. რიცხ. II	-(y)Xn, (y)XnXz – gel- in / gel- iniz	-(y)Xn, (y)XnXz – bak- ın / bak- ınız	-(y)Xn, (y)XnXz – oyna- yın / oyna- yınız
მრ. რიცხ. III	-sXnlAr – gel- sinler	-sXnlAr – bak- sinlar	-sXnlAr – oyna- sinlar

Gelmek - მოსვლა, Bakmak - შეხედვა, Oynamak – თამაში

უცხოელებისთვის გამჟღადებული თურქული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში ძირითადად გამოყენებულია I მოსაზრება, რადგან დანარჩენი მოსაზრებების მიხედვით მხოლოდობითისა და მრავლობითი რიცხვის პირველ პირებს ერთვის ნიშნები, რომელთაც ემთხვევა თურქულის ნატვრითი კილოს ნიშნებს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ უცხოელებისთვის გამჟღადებულ გრამატიკის წიგნებში არეულობის თავიდან ასაცილებლად არ შეუტანიათ აღნიშნული ნიშნები.

სალიტერატურო თურქულში ბრძანებითის ნიშნები იმავდროულად პირის ნიშნების ფუნქციასაც ასრულებს და ამიტომ ცალკე პირის ნიშნების დართვას არ მოითხოვს. გამოხატვისაა მრავლობითი რიცხვის მესამე პირი, რომელიც იმეორებს მხოლოდობითის ფორმას და დაირთავს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელს. მაგალითად, *yap-sın* - *გაკეთოს*, *yap-sınlar* - *გაკეთონ*. როგორც მაგალითშიც ვხედავთ მრავლობითი რიცხვის მესამე პირის საწარმოებლად გამოყენებულია მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირი და მასზე დართულია მრავლობითი რიცხვის მესამე პირი მაწარმოებელი სუფიქსი.

მხოლოდობითისა და მრავლობითის პირველ პირებს ბრძანებითის ფორმა მოეპოვება თუ არა ამასთან დაკავშირებით მეცნიერები დაობენ. თაჰსინ ბანგუოღლუს მიხედვით, პირველი პირის მიმართ ბრძანებითის ფორმის გამოყენება ყოველად შეუძლებელია, რადგან ადამიანის თავის თავზე ბრძანების მიცემა გამორიცხულია და ბრძანების ფორმების მაგივრად გამოიყენებს აუცილებლობითი კილოს (-**mali**, -**meli**) ნიშნებს (Banguoğlu, 2000: 473). საწინააღმდეგო მოსაზრებას ამბობს მუჰარემ ერგინი, რომელიც თავის ნაშრომში ხაზს უსვამს, რომ პირველი პირის თავის თავზე ბრძანების მიცემა შეუძლია და ამიტომ შესაბამისად პირველ პირს გააჩნია ბრძანებითი კილოს ნიშნები. მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის I პირი, საკუთარი ფორმის უქონლობის გამო ნატვრით კილოს ფორმებს იყენებს (Ergin, 2001: 310-313). აღნიშნულთან დაკავშირებით ზეინეფ ქორქმაზი მიუთითებს, რომ ძველ თურქულში მოეპოვებოდა პირველ პირს ბრძანებითის ნიშნები და შესაბამისად პირველ პირს შეუძლია თავის თავზე ბრძანების მიცემა (Korkmaz, 2003: 648-665). თანამედროვე თურქულში იქმნება ასეთი სურათი: *yap-ayım* - *გავაკეთო*, *yap* - *გაკე*, *yap-sın* - *გაკეთოს*, *yap-alım* - *გავაკეთოთ*, *yap-ın / yap-ınız* - *გაკეთეთ*, *yap-sınlar* - *გაკეთონ*.

თურქულ ენაში ბრძანებითი კილო გამოხატავს მხოლოდ ფორმას, რომელიც წარმოგვიდგენს მოქმედების ბრძანებითის სახით შესრულებას. ბრძანებით კილოს არ გააჩნია დრო, რადგან ბრძანებთ აღნიშნული მოქმედების დროით შეზღუდვა შეუძლებელია. მაგალითად, ხვალ დილით შევიდამდე მოდი; საბუთები, რომლებიც გადავუგზავნე მოაწესრიგოს (ქარააღაჩი, 2011: 121). საწინააღმდეგოს ამბობს მეცნიერთა გარკვეული ნაწილი. მათი აზრით, ბრძანებითი კილოს შინაარსში გაუჩინარებელი მომავალი დროის გაგებაა ჩადებული. ამის დასასაბუთებლად ამბობენ, რომ მომავალი დროის გამოყენებით შედგენილ ბრძანებითიანი წინადადებები დანარჩენი დროებისაგან განსხვავებით უფრო მაღლა დგას

ნათქვამის შესრულების თვალსაზრისით. ბანგუოლლუს მიხედვით, მომავალი დროის ფორმებს ბრძანებითი კილოს სემანტიკის გამოსახატავად შეიძლება მივმართოთ (Banguoğlu, 2007: 465).

როგორც ქართულში ასევე თურქულში ბრძანებითის ფორმებს ბრძანების გაგებასთან ერთად გამოხატავს მრავალ სხვა ფუნქციას: **ბრძანებას** “*Ateş! - ცეცხლი!*”, **თხოვნას** “*Lütfen tuzu uzatın! მარილი მომაწოდეთ, გეთაყვა!*”, **კეთილი სურვილებს** “*Geçmiş olsun! - გამოჯანმრთელობას გისურვებთ!*”, **რჩევა-დარიგებას** “*İlaçlarını düzenli olarak al! - წამლები დროულად მიიღე!*”, **გაფრთხილებას** “*Dikkatli ol! - ყურადღებით იყავი!*”, **შეთავაზებას** “*Haydi yüzmeye gidelim! - მოდი, ცურვაზე წავიდეთ!*”, **გამასპინძლებას** “*Bir dilim kek al! - ერთი ნაჭერი კეკსი აიღე!*”, **დაპატიჟებას** “*Gel ve bizimle öğle yemeği ye! - მოდი და სადილი ერთად მივირთვათ!*”, **ხვეწნას** “*İmdat! - მიშველეთ!*”, **დირექტივას** “*Sola dön! - მარცხნივ შეუხვიე!*”, **წყევლას** “*Allah kahretsin! - ღმერთმა დაგწყევლოს!*”, **მუქარას** “*Kıpırdama yoksa vururum! - არ გაინძრე, თორემ გესვრი!*”, **ნებართვას** “*A: Pencereyi açabilir miyim? B: Aç - ფანჯარა შეიძლება გავაღო? - გააღე!*”, **აკრძალვას** “*Çimden uzak durunuz! - ბალახებზე ნუ დააბიჯებთ!*”, **დაპირებას** “*Ödevini bitir, sana çikolata alayım - საშინაო დავალება შესრულე, შოკოლადს გიყიდი!*”, **დაუჯერებლობა** “*Üniversite sınavını kazanabildiğini söyleme! არ მითხრა, რომ ეროვნული გამოცდები ჩააბარე!*” (Dizdaroğlu 1976: 326-333; Şimşek, 1987: 227-229; Korkmaz, 2009: 672-673).

სალიტერატურო თურქულში თავაზიანობის გამოსახატავად გამოიყენა სიტყვა „Buyrun“, რომელიც ქართულად ერთი სიტყვით არ ითარგმნება. გააჩნია სიტუაციას. მაგალითად, თუ მაგიდასთან ხართ, ნიშნავს „მიირთვით!“, ან და თუ ვინმეს რაიმე უნდა მიაწოდოთ „ინებეთ!“, თუ ვინმეს დასაჯდომად ადგილი უნდა შესთავაზოთ „დაბრძანდით!“ და სხვ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თურქულის „Buyrun“ სიტყვა არის წამომწყები თავაზიანი მიმართვისა და პირდაპირი გაგებით ქართულად ამის შესატყვისი არ მოიძებნება. ამიტომ თურქული ენით დაინტერესებულმა პირმა აუცილებლად უნდა იცოდეს სიტყვა „Buyrun“ გამოყენების სიტუაციები. „Buyrun“ შეიძლება ნიშნავდეს: მობრძანდით, ბრძანეთ, გისმენთ, მიბრძანდით და სხვა.

ასევე თურქულისთვის დამახასიათებელია განუსაზღვრელი დრო, რომელიც გრამატიკული თვალსაზრისით ქართულში არ არის. თურქულში განუსაზღვრელი დროის კითხვითი ფორმის მხოლოდობითა და მრავლობითი რიცხვების II პირები ბრძანებითის ფორმების მაგივრად გამოიყენება, როგორც თავაზიანი მიმართვა. მაგალითად, „gel!“ ნიშნავს „მოდი“, მაგრამ გარკვეულ ფენებში ამის გამოყენება გამოიწვევს უხერხულობას და ხშირ შემთხვევაში მიმართავენ „gelir misin?“ ფორმას, რომელიც ითარგმნება ასე „მოხვალა?/ მობრძანდები?“. ნებისმიერი ზნნის ფორმასთან აღნიშნული ფორმის განხორციელება შესაძლებელია, რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. რა თქმა უნდა, აქაც ინტონაციას, უფროსობა-უმცროსობის სტატუსს, პატივისცემასა და სხვა ფაქტორებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. თუ ვინმე აღნიშნულ ფორმებს გაბრაზებული ტონით ამბობს, მაშინ ბრძანების გაგებას შეიცავს ან და თუ უბრალოდ რაღაცის შესასრულებლად დახმარების მიზნით მოგმართავს, მაშინ თხოვნა არის გათვალისწინებული.

ბრძანებითი კილოს მხოლოდ გრამატიკული კუთხით განხილვას არამართებულად მიიჩნევს გურქან დოღანი, რომელიც მიუთითებს, რომ ბრძანებითი კილოს სხვადასხვა სემანტიკური მხარეების გასარკვევად უნდა მივაქციოთ ყურადღება ნათქვამისა და რეაქციის სიზუსტეს (Doğan 1996:2). იმავე მოსაზრებას იზიარებს აჰმედ ქოჯამანი, რომელსაც მიაჩნია, რომ ნებისმიერი გრამატიკული კილო უნდა განიხილებოდეს ნათქვამის შინაარსის ფარგლებში და აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს პროცესში მონაწილეთა როლი, სტატუსი და სხვა ფაქტორები (1988:463-468).

ჩვენი აზრით, ბრძანებითი კილოს ფორმების გარკვევისათვის წამოწყებული არც ერთი მცდელობა არ უნდა შემოიფარგლოს მისი შინაარსის გამომხატველი ტერმინისათვის. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ბრძანებითის ფორმები არა მარტო აღნიშნავენ დირექტივას, რომელიც უყოყმანოდ უნდა შესრულდეს, არამედ სურვილს, თხოვნას, მუდარას, მუქარას, წყევლას და სხვას.

უცხო ენის შესწავლისას რასაკვირველია, კარგად უნდა ვიცოდეთ გრამატიკული წესები. ჩვენ მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა რომ უცხო ენის შესწავლისას არა მარტო გრამატიკა, არამედ გამოყენების ნიუანსები, სემანტიკაც უნდა ვისწავლოთ. თუ გვინდა სრულყოფილად ვიცოდეთ ენა, რომელსაც ვსწავლობთ, აბსოლუტურად ყველა დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ლიტერატურა:

1. გიგაშვილი, მ. (2012). მოქმედებითი გვარის ზმნათა მორფოლოგიის საკითხები, XIX საუკუნის I ნახევრის ძეგლთა ენის მიხედვით, თელავი: ავტორეფერატი.
2. თუშიშვილი, თ. (2011). ბრძანებითის იშვიათი ფორმები საშუალო პერიოდის ქართულში, საენათმეცნიერო მიგბანი XXXII, თბილისი: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება.
3. კეკელია, შ., დავითიანი, აკ., (1981). ქართული ენა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

4. კვაჭაძე, ლ. (1993). ქართული ენა, თბილისი: გამომცემლობა რუბიკონი ლიტ. რესპუბლიკური ცენტრი.
5. ფეიქრიშვილი, ჟ. (1992). ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი: გამომცემლობა „სერანგი“.
6. შანიძე, ა. (1930). ქართული გრამატიკა I მორფოლოგია, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
7. შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I მორფოლოგია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. მიდიგური, შ. (1956). ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
9. (http://ka.wikipedia.org/wiki/კილო-ქართული_ენა)
10. Banguoğlu, T. (2007). *Türkçenin Grameri*, Ankara: TDK
11. Dizdaroğlu, H. (1976). *Tümcebilgisi*. Ankara: Kalite Basımevi,
12. Doğan, G. (1996). Buyurmayan Buyrum Tümceleri. Ankara: Basılmamış makale, Hacettepe Üniversitesi,
13. Ergin, M. (2001). Türk Dil Bilgisi, İstanbul: Bayrak Basım/ Yayın/ Tanıtım.
14. Kocaman, A. (1988). Modality in the Turkish Discourse, *Studies on Turkish Linguistics*, Ankara: METU.
15. Korkmaz, Z. (2003). Türkiye Türkçesi Grameri (Şekil Bilgisi), Ankara: TDK.
16. Şimşek, R. (1987). *Örneklerle Türkçe Sözdizimi*. Trabzon: Kuzey Matbaası.

Harun Chimke

Recep Tayyip Erdogan State University of Rize, Turkey

PECULIARITIES IN EXPRESSION OF IMPERATIVE MOODS IN GEORGIAN AND TURKISH RESUME

Mood is one of the main categories in Georgian as well as in other languages such as Turkish but the number of moods varies from language to language, Georgian and Turkish included. According to the traditional linguistic point of view there are four basic moods in the Modern Georgian Language (Indicative Mood, Connective, Conditional Mood, Imperative), while there are five moods in Turkish (Indicative, Conditional Mood, Imperative, Conjunctive, Necessitative moods).

Imperative mood presents the type of action which is expressed by the verb; It shows that the intention of a narrator must be fulfilled. Imperative mood in Georgian has got two specific forms: forward directed and backward directed. Forward directed form implies the fulfillment of an action expressed by a verb: **წადი! ააშენე! (Go! Build!)**

The following can also be expressed by the means Imperative Moods variations: asking-begging, blessing, advise, encouragement, appeal, boasting, threat-warning, advice, advice-warning, cursing-damnation...

Expression of Georgian Imperative Mood forms in Turkish presents a very interesting process. Unlike Georgian, Imperative Mood in Turkish has its distinctive signs which give an opportunity to distinguish between an Imperative Moods forms and forms of other moods.

Like Georgian, forms of Turkish Imperative Mood also may express different functions: order, asking, wishing well, advice, warning, offering, entertaining, inviting, begging, directives, damnation, treating, permission, promise, non-believing...

There is an indefinite tense in Turkish which is not used in Georgian as a grammatical category. Singular and plural forms of a second person of an Indefinite Tense in Turkish is used as an imperative mood in form of a polite appeal. Example: „gel!“ means „come (here)!“, but in some cases this form can be understood in a wrong way and in such a case „gelir misin?“ form is being used which is translated as „can/would you please come?“.

Characteristics in expression of Imperative Moods in Georgian and Turkish cause some confusion in Georgian-Turkish linguistic interaction.

Keywords: *Imperative, Georgian, Turkish, Characteristics, Peculiarity.*

ისტორიის სწავლების ზოგიერთი საკითხი ბილინგვურ სკოლებში

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების მრავალსაუკუნოვან გზაზე გეოპოლიტიკური მახასიათებლებისა და ლიმოტროპული ზონების სიუხვის გამო საქართველოში ჩამოყალიბდა მულტიკულტურული საზოგადოება, რომლის ინტერესები საზოგადოებრივ ფორმაციებთან ერთად იცვლებოდა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, დღის წესრიგში დადგა აქ მაცხოვრებელი სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირების საკითხი. ამ პრობლემის მოგვარება, უპირველეს ყოვლისა, არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შაგრენის ტყავად გადაიქცა. სკოლაში არსებული საათების რაოდენობა არ იყო საკმარისი მოსწავლეებისათვის სახელმწიფო ენის სრულფასოვნად შესწავლისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კეთილი ნებით 2004 წელს რამდენიმე სკოლაში დაინერგა ბილინგვური სწავლების პრაქტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენდა არაქართულენოვან მოსწავლეებს სხვადასხვა საგნობრივ ბლოკებში საგნების ქართულ ენაზე სწავლით დახმარებოდა ქართული ენის უკეთ ათვისებაში. კომპეტენტური ორგანოების ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებების ხშირმა ცვლამ ბილინგვური სწავლების აქტივობა დღის წესრიგში დატოვა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. მიზეზი ფინანსების სიმცირესთან ერთად იყო რისკ-ფაქტორების არსებობა, რომლის გადაწყვეტის პასუხისმგებლობა სკოლების ადმინისტრაციამ თავიდან აირიდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ საპილოტე 40 სკოლიდან ბილინგვური სწავლების პრაქტიკა შეინარჩუნა რამდენიმე სკოლაში. ერთ-ერთი ასეთი სკოლა გახლდათ მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის საჯარო სკოლა, სადაც მომწიფა მუშაობამ 5 წლის განმავლობაში. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, გთავაზობთ ისტორიის საგნის სახელმწიფო ენასთან ინტეგრირებული სწავლების რამდენიმე თავისებურებას.

ბილინგვური სწავლების პროცესი თავისთავად ძალიან საინტერესოა და მოითხოვს პედაგოგისგან არა მხოლოდ მაღალ პროფესიონალიზმს, არამედ საქმისადმი კრეატიულ დამოკიდებულებას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი მომენტი პედაგოგების თანამშრომლობა ბილინგვური სწავლების პროცესში. არაქართულენოვან სკოლებში პედაგოგიური კოლექტივების ურთიერთთანამშრომლობისთვის, გამოცდილების გაზიარების, ერთმანეთისთვის დახმარების ხელის გაწოდების კარგ საშუალებას იძლევა ბილინგვური გაკვეთილი. პედაგოგები, რაც უფრო მეტად გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, მით მეტ შედეგს მოიტანს ბილინგვური სწავლება. თანამშრომლობა უნდა განიხილებოდეს, როგორც სოციალური მხარე, რომელიც მოსწავლეების ურთიერთკონტაქტს უზრუნველყოფს. ამ პროცესის მონაწილე მოსწავლე აქტიურდება, მატულობს მისი თვითშეგნება და თავდაჯერებულობა, იგი უკვე გარკვეული რისკ-ფაქტორების დასაძლევად მზადაა და კლასში დადებითი ემოციური ატმოსფერო ისადაგურებს.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობისას მოსწავლეებს უნდა ახსოვდეს, რომ სწავლების ინტეგრირებული ფორმა აგებს ხიდს მეორე ენის გაკვეთილებსა და საგნობრივ გაკვეთილებს შორის. ამის შედეგად მიღწევა ორი შედეგი: მეორე ენისა და სასწავლო საგნის შინაარსის ათვისება. სასწავლო საგნის გაკვეთილზე ხომ მოსწავლეები სასწავლო მასალას შემეცნების დონეზე ასწავლის, ხოლო მოსწავლის ენის ცოდნის დონის შესაბამისად ირჩევს საკომუნიკაციო აქტივობებს; ასე, რომ ენა იქცევა მასალის ათვისების საშუალებად, ინსტრუმენტად და არა სწავლების საგნად.

საგნის მოსწავლეებმა, რომელიც ატარებს ბილინგვურ გაკვეთილს, აუცილებლად უნდა განსაზღვროს საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებელი ფუნქციური ფრაზებისა თუ იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომლებსაც ყველაზე ხშირად გამოიყენებს კლასში. ამავე დროს საუკეთესო ეფექტს იძლევა მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობა, სხვადასხვა ინოვაციური და სიმულაციური თამაშობების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. ამის განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობებს იძლევა ისტორიის გაკვეთილი. მოსწავლეები შეიძლება ვირტუალურად ვამოგზაუროთ უძველეს ქვეყნებში, მოვიაროთ ეგვიპტე და ვნახოთ პირამიდები, დავტკბეთ ბაბილონის დაკიდებული ბაღების სილამაზით, ვიმოგზაუროთ შუასაუკუნეების ევროპაში, აღმოვაჩინოთ ახალი სამყარო – ამერიკა და ასე შემდეგ. თითოეული აქტივობა

კარგად უნდა იქნეს გააზრებული და მასში უნდა ჩავრთოთ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე, მივცეთ მათ თვითრეალიზების საშუალება. სწორედ ამიტომ გამოდის ბილინგვური გაკვეთილი ასე ხმაურიანი, მაგრამ ეს პოზიტიური ხმაურია, ამ დროს მოსწავლეების ყველა უნარი გააქტიურებულია და მოსწავლე კომფორტულად გრძნობს თავს კლასში. ასეთი გაკვეთილის დროს მოსწავლე არ იღლება, ცდილობს დამოუკიდებლად ან სხვების დახმარებით გაართვას თავი სამუშაოს.

მოსწავლეები ბილინგვური გაკვეთილის მსვლელობისას ხშირად უშვებენ ენობრივ შეცდომებს. მართალია, რეკომენდებული არ არის მოსწავლეებისათვის შეცდომებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ საკუთარმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ზოგჯერ თვითონ უნდა წარმოთქვას მასწავლებელმა სწორად ესა თუ ის ფრაზა და მოსწავლეების მიერ დაშვებული ყველა შეცდომის იგნორირება არ უნდა მოახდინოს. არც გადაჭარბებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლეების მიერ დაშვებულ ორთოგრაფიულ თუ სტილისტურ შეცდომებს.

ისტორიული მეცნიერებების სწავლება სკოლაში მოსწავლეს უყალიბებს სპეციფიკურ და ზოგად უნარებს და ზნეობრივ ღირებულებებს.

სპეციფიკური უნარები:

- დროსა და სივრცეში ორიენტირება
- ისტორიული ინტერპრეტაცია
- ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების გამოყენება
- დროსა და სივრცეში განაწილება
- პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა

ზოგადი უნარები:

- პრობლემის გააზრება და კავშირების დადგენა
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- შემოქმედებითი უნარი
- კომუნიკაცია
- კვლევა
- პრობლემის გადაჭრა
- მოდელირება
- სწავლის უნარი
- თანამშრომლობა

ზნეობრივი ღირებულებები:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა
- თანაგრძნობა და მზრუნველობა
- სამშობლოს სიყვარული
- პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე
- კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა
- თანასწორობა
- ტოლერანტობა
- სამართლიანობა და კანონების პატივისცემა

ზოგადად, საგნისა და ენის ინტეგრირებულ სწავლებისას უნდა გვახსოვდეს, რომ:

1. უპირველეს ყოვლისა, განისაზღვროს ამა თუ იმ თემაში წარმოდგენილი ცნებების, საკვანძო საკითხების ასპექტები, რას ფლობს და რას უნდა დაეუფლოს მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობისას;
2. გაკვეთილის პროცესში შესასწავლი საკითხების გვერდით მასწავლებელმა უნდა დააბალანსოს ენობრივი მასალის მიწოდება;
3. უნდა დაიგეგმოს, თუ რომელი აქტივობა წარიმართოს სახელმწიფო და რომელი – მშობლიურ ენაზე;
4. სათანადოდ უნდა შეირჩეს ორენოვანი თვალსაჩინოებები, ან ისეთი ვიზუალური მასალა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავააქტიუროთ მოსწავლის კოგნიტური უნარები;
5. საგნის სტანდარტის გათვალისწინებით განისაზღვროს საგნობრივი და ენობრივი მიზნები, სასწავლო აქტივობების ტიპები, ორენოვანი პროექტები და საკომუნიკაციო აქტივობები;
6. ენის სწავლების ხარჯზე არ დაზარალებს საგანი. ვეცადოთ, მოსწავლეს საგნის მაქსიმალური ცოდნა გადავცეთ, ხოლო სახელმწიფო ენით, შეძლებისდაგვარად, დავაბალანსოთ გაკვეთილი.

მასწავლებელმა სწორად უნდა მოახდინოს დროის განაწილება. პროპორციის შაბლონი არ არსებობს, ეს უნდა გვიჩვენოს საჭიროებამ და ამის საშუალება უნდა მოგვცეს აუდიტორიამ. ყოველი გაკვეთილის მომზადებისას უნდა მოხდეს პრიორიტეტების გამოყოფა:

- ათვისებული მასალის შინაარსთან დაკავშირებული მიზნები
- მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარება და სწავლების შესაძლებლობები

- მეორე ენის განვითარების შესწავლის შესაძლებლობა და კულტურულ გარემოში ინტეგრირება

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიის ინტეგრირებული გაკვეთილები არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების კარგ შედეგს მოგვცემს. მიუხედავად იმისა, რომ უფრო დამაჯერებელია საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ენის შესწავლის მეტი ეფექტი, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკის საგნების (ისტორია, გეოგრაფია) ბილინგვური სწავლება, იმის გამო, რომ შეიძლება უხვი თვალსაჩინოებების გამოყენება, სხვადასხვა აქტივობების ჩართვა, მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარება, საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი აუცილებლად გახდება ბილინგვური განათლების საყოველთაო დანერგვა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაცია და მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში წარმატებული ვერ იქნება კომუნიკაციის არარსებობის გარეშე. ბილინგვური განათლება მულტიკულტურულ საზოგადოებაში ბავშვის მომზადების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. იმდენად, რამდენადაც საქართველო მუდამ იყო მულტიეთნიკური ქვეყანა, დღითიდღე იზრდება მეორე ენის, ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფო ენის – ქართულის სწავლების საჭიროება. სახელმწიფო პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეთნიკურ უმცირესობებს შეასწავლოს სახელმწიფო ენა მათი მშობლიური ენის, კულტურისა და ტრადიციების პარალელურად.

გთავაზობთ ისტორიის ორი ინტეგრირებული გაკვეთილის სქემას, რომელიც შეიძლება გამოდგეს, როგორც მაგალითი სხვა გაკვეთილების დასაგეგმად:

გაკვეთილი – 1

ფარნავაზი - პირველი მეფე ქართლსა შინა (V კლასი)

გაკვეთილის მიზანი: (45 წთ.) მოსწავლეებისათვის ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აღნიშნული ისტორიული პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა, რუკაზე ორიენტირება

შედეგები და ინდიკატორები:

1. მოსწავლეს ესმის წელთაღრიცხვის სისტემა. აკავშირებს ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან:
 - ა. მონიშნავს დროის ხაზზე ფარნავაზის მეფობის ქრონოლოგიურ პერიოდს
 - ბ. განსაზღვრავს ფარნავაზის მეფობის ხანგრძლივობას
2. მოსწავლე ახდენს ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების ინტერპრეტაციას:
 - ა. მოძებნის რუკაზე საერისთავოებს
 - ბ. კონტურულ რუკაზე დაიტანს სასპასპეტოს (შიდა ქართლის) საზღვრებს

მეთოდი:

- ა. ტექსტის მიწოდება
- ბ. წყაროს გამოყენება პიროვნების და ისტორიული ეპოქის დასახასიათებლად
- გ. ჯგუფური მუშაობა
- დ. კლასის წინაშე პრეზენტაცია

რესურსი: დაფა, ცარცი, რუკა, კონტურული რუკა, ფერადი ფანქრები, ტექსტის ქსეროასლები

აქტივობა №1

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ურიგებს წინასწარ მომზადებულ ტექსტს. იგი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათი ამოცანაა მოცემულ ტექსტში მოძებნონ ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის შესახებ ცნობები.

აქტივობა №2

მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს წინასწარ დარიგებულ დროის ხაზზე მონიშნონ ფარნავაზის მეფობის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

ტექსტი:

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქართლის სამეფო. მისი პირველი მეფე იყო ფარნავაზი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს მმართველ ქუჯისთან ერთად დაამარცხა უცხოელი დამპყრობელი აზო. ფარნავაზმა ქართლის სამეფო დაჰყო რვა საერისთავოდ - არგვეთი, კახეთი, წუნდა, სამშვილდე, ხუნანი, ოძრხე, კლარჯეთი და ეგრისი და ერთ სასპასპეტოდ -

შიდა ქართლი. ფარნავაზის დროს დედაქალაქი იყო მცხეთა, მთავარი ციხე – არმაზის ციხე. ფარნავაზმა შექმნა ქართული დამწერლობა. ფარნავაზმა შექმნა ახალი რელიგია – არმაზის კულტი.

ლექსიკური ბანკი:

ჩამოყალიბდა, დაამარცხა, დამპყრობელი, დაჰყო, შექმნა

დავალება:

- მოსწავლეთა ჯგუფებს ეძლევათ დავალება, წარმოადგინონ ფარნავაზის შესახებ ტექსტიდან ამოწერილი ცნობები. ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთი მომხსენებელი წარმოადგენს პრეზენტაციას აღნიშნული თემის შესახებ.
- დროის ხაზზე მოძებნონ ფარნავაზის მეფობის ხანა

შეფასება: (10 ქულიანი სისტემა)

1. ჯგუფური მუშაობის შეფასება (ჯგუფური მუშაობის უნარი, ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღება – 0-1-2 ქულა)
2. ინდივიდუალური მუშაობის შეფასება (მასწავლებელი აფასებს თითოეულ სწორად გაცემული პასუხს – 0-1-2 ქულა)
3. პრეზენტაცია (მასწავლებელი აფასებს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების, აზრის გადმოცემის და სწორად მსჯელობის უნარს – 0-1-2 ქულა)
4. რუკაზე ორიენტაციის უნარი – 0-1-2 ქულა
5. კონტურულ რუკაზე მუშაობის უნარი – 0-1-2 ქულა

2. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული დაყოფა (2 გაკვეთილი) (VIII კლასი)

გაკვეთილის მიზანი: (90 წთ.)

1. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონების გაცნობა
2. მოსახლეობის ჩაცმულობის, საცხოვრებელი სახლის და ტრადიციების შესწავლა ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით

შედეგები და ინდიკატორები:

1. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონის ცნება
2. მოსწავლე ანსხვავებს ჩაცმულობას, საცხოვრებელ და სამეურნეო შენობებს ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონების მიხედვით
3. შეუძლია კონტურულ რუკაზე მუშაობა და რუკაზე ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონების საზღვრების განსაზღვრა

მეთოდი:

- ა. ტექსტის და სხვა მასალის მიწოდება
- ბ. ჯგუფური მუშაობა
- გ. კლასის წინაშე პრეზენტაცია
- დ. დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება

რესურსი: რუკა, ტექსტი, ეთნოგრაფიული სურათები (ჩაცმულობა და საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობების სურათები) საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, წებო, მაკრატელი

აქტივობა №1 მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და მოსწავლეებს ურიგებს ტექსტს, რუკას და ავალებს, განსაზღვროს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები

აქტივობა №2 მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს რუკას, ეთნოგრაფიულ სურათებს (ჩაცმულობა და საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობების სურათები) და ავალებს, ამოჭრილი სურათები დააწებონ ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების შესაბამისად (მაგ. აჭარული ჩაცმულობით დააწებონ აჭარის ადგილას, ოდა სახლი დასავლეთ საქართველოს და დარბაზი აღმოსავლეთ საქართველოში და ა.შ.)

აქტივობა №3 მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს კონტურულ რუკებს. ერთ ჯგუფს ურიგებს შენობა-ნაგებობების სურათებს (ოდა, დარბაზი, ნალია, საბძელი, ბეღელი...), მეორე ჯგუფს - ჩაცმულობის სურათებს, ხოლო მესამე ჯგუფს მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონების სახელებს. მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა შესძლონ აღნიშნული მასალა დააკრან კონტურულ რუკაზე და საერთო ჯამში კლასის მიერ წარმოადგინონ თითო ეგზემპლარი.

ტექსტი: საქართველო წარმოიქმნა ორი უძველესი სახელმწიფოებრივი ერთეულის - კოლხეთისა და იბერიის გაერთიანებით. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონები, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და რელიეფმა. დასავლეთში მდებარეობს აფხაზეთი, მას მოყვება სვანეთი, რაჭა და ლეჩხუმი, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო უკავია გურიას და აჭარას. აჭარიდან სამხრეთით მდებარეობდა ისტორიული პროვინციები ლაზეთი, კლარჯეთი, კოლა, არტანი, ტაო, შავშეთი (ეს ტერიტორიები ახლა თურქეთის შემადგენლობაშია). საქართველოს ცენტრალური ნაწილი უკავია ქართლს. მისგან დასავლეთით მდებარეობს იმერეთი, სამხრეთ-დასავლეთით კი სამცხე-ჯავახეთი. ქართლიდან აღმოსავლეთით მდებარეობს კახეთი და ჰერეთი (მისი ნაწილი -საინგილო, ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა), კახეთის მთიანეთი უკავია თუშ-ფშავ-ხევსურეთს. თითოეულ ამ რეგიონში ჩამოყალიბდა ჩამოყალიბების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის თავისებური სტილი, რაც გამოწვეული იყო იმ ისტორიული პროცესებით და გეოგრაფიული მდებარეობით, რომელშიც მოხდა აღნიშნული რაიონების საზღვრების ჩამოყალიბება. მათი მთლიანობა არის საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახე.

ლექსიკური ბანკი: წარმოიქმნა, ჩამოყალიბდა, უკავია, მდებარეობდა, გამოწვეული

დავალება: მოსწავლეთა ჯგუფებს ეძლევათ დავალება, ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთმა მომხსენებელმა წარმოადგინოს პრეზენტაცია აღნიშნული თემის შესახებ.

შეფასება: (10 ქულიანი სისტემა)

1. ჯგუფური მუშაობის შეფასება (ჯგუფური მუშაობის უნარი, ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღება – 0-1-2 ქულა)
2. ინდივიდუალური მუშაობის შეფასება (მასწავლებელი აფასებს თითოეულ სწორად გაცემული პასუხი – 0-1-2 ქულა)
3. პრეზენტაცია (მასწავლებელი აფასებს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების, აზრის გადმოცემის და სწორად მსჯელობის უნარს – 0-1-2 ქულა)
4. რუკაზე ორიენტაციის უნარი – 0-1-2 ქულა
5. კონტურულ რუკაზე მუშაობის უნარი – 0-1-2 ქულა

ლიტერატურა:

1. ბილინგვური განათლება, სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის, რედაქტორები: შ. ტაბატაძე და ქ. გოჩიტაშვილი, 2001.
2. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“, №4, 2010.
3. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით, პოლიტიკის დოკუმენტი, 2009.
4. ლ. ახვლედიანი, მ. ინასარიძე, ნ. შარაშენიძე, ვ. გაბუნია, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ისტორია, თბ., 2010.
5. მ. ინასარიძე, ნ. შარაშენიძე, გ. გახელაძე, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით სკოლაში, თბ., 2010.
6. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, 2008.
7. ლ. გრიგულე, მულტილინგვური სწავლების სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

Davit Chochishvili

Gori State Teaching University

SOME ISSUES OF HISTORY TEACHING IN BILINGUAL SCHOOLS RESUME

Bilingual education is approved and effectively used in many different countries of the modern world. Bilingual teaching has begun since 2004 in Georgia, first being established in four schools of several densely populated non-Georgian-speaking regions supported by the international organization “Simera”.

In our reality, the bilingual teaching asks more responsibility from school administrations than from the ordinary monolingual school administrations as the management and conducting of bilingual teaching requires overcoming all kinds of risks coming from students, parents and generally from the society. I have been engaged in these processes for

8 years, went through all the stages beginning from a primary school teacher to administrative manager or expert-trainer and more or less all the problems and positive effects connected to the bilingual teaching are known for me. This kind of teaching is a complex phenomenon, which together with the state language teaching helps us to bring up more active and modern citizens with more academic knowledge who will have equally realized the cultural and ethnic characteristics of both native and other nations in sub-cultural environment.

The engagement of social sciences in bilingual teaching process seems to cause a kind of logical disappointment among many skeptics. The argument is that such kind of teaching needs quite a lot of vocabulary. However, it must be mentioned that some phraseological clichés in exact and natural subjects elaborated during bilingual teaching give us less chance to conduct different kind of activities in classroom environment, to create a busy atmosphere or carry out simulations and interactive activities calculated on cognitive skills of a student, and maintain national identity of our students.

მალხაზ ჩოხარაძე, მანანა თავდგირიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომის თემა სოცრეალიზმის ეპოქაში და რეგიონული მწერლობის პატრიოტული ტენდენცია

ქართული კაზმულსიტყვაობის აღორძინება აჭარაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ნაშრომში XX საუკუნის I ნახევრის, უფრო 30-40-იანი წლების მწერლობას ვეხებით და თუ გავითვალისწინებთ რეგიონის ურთულეს ისტორიას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულმა თაობამ, მიუხედავად კომპრომისებისა, იდეოლოგიური წნეხისა და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრობლემისა, მნიშვნელოვანი ამაგი დასდო აჭარაში ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებას. ბედის ირონიით, ჯერ ოსმალთაგამოვლილ და მერე რუსეთის იმპერიის კლანჭებში მოქცეულ ამ უძველეს ქართულ მხარეში ეროვნული მწერლობისკენ მობრუნება სწორედ საბჭოთა ეპოქაში, კომუნისტური იდეოლოგიით, ყალბი ღირებულებებით გაჯერებულ, თავისუფლებაზეზღუდულ ეპოქაში მოხდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ეპოქის ძირითადი ნიშანი სოციალისტური რეალიზმის და პროლეტარული კულტურის ძალადობრივი დამკვიდრების პროცესი იყო, რომელიც წინააღმდეგობათა მძიმე, ხშირად მეტისმეტად ტრაგიკულ ჯაჭვს ქმნიდა.

ცნება „ომის თემა“ მეტად ზოგადია: ნაშრომში უფრო მეორე მსოფლიო ომის (საბჭოთა კავშირის სამამულო ომის) მხატვრულ ასახვასთან დაკავშირებულ ტენდენციებს ვეხებით და, შესაბამისად, ზოგიერთ ისეთ საკითხსაც, რომელიც ნებისმიერი რეჟიმის თუ იდეოლოგიის პირობებში იქნება საჭირობოროტო და მტკივნეული საქართველოსთვის.

ომის პერიოდში მთელი საბჭოთა კავშირი „საომარ რელსებზე“ იყო გადაწყობილი. შესაბამისად, მწერლობაც რომ სავსებით დაემორჩილა ომის კანონებს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, გასაკვირი არაა. ამ პროცესში, ბუნებრივია, ჩართული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია. თუმცა, გეგმები და მოწოდებები ლიტერატურული პროდუქციის ხარისხს ვერაფერს რგებდა და ომის თემაზე შექმნილ თხზულებათა შორის იშვიათად თუ გამოერეოდა რაიმე მხატვრული ღირსებით აღბეჭდილი ნაწარმოები. უმრავლესობა მათგან, რაც იბეჭდებოდა, შესაძლოა, იდეოლოგიურ შეკვეთას რამდენადმე აკმაყოფილებდა, მაგრამ მეტისმეტი უხეირობის გამო თვით შემკვეთებისთვის იყო გამაღიზიანებელი. ჩვენი მიზანი ამ ფსევდოლიტერატურის ანალიზი არ გახლავთ მაგრამ ომის თემაზე შექმნილ იდეოლოგიურ ლიტერატურაზე, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილ სქემებსა და სტანდარტებზე ვსაუბრობთ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფსევდოლიტერატურა ერთადერთი ხაზი როდი იყო ჩვენი მწერლობისა. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ყველაფერი იდეოლოგიის ჩარჩოში იყო მოქცეული. ომს ბევრი ტკივილი ახლავს და ეს ტკივილი ქართველმა ერმა ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ერების მსგავსად გადაიტანა. არაერთი მწერლის გულწრფელ სტრიქონებში აისახა ომის კომმარი, მსხვერპლი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიღო, გმირობა და მამაცობა, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა თუ შინ დარჩენილმა მოქალაქეებმა გადაიტანეს.

ქვემოთ ორიოდ სიტყვით შევხებით აჭარაში მოღვაწე მწერლების ომის თემატიკის ამ ნაწილს და ერთ, დიახაც საინტერესო, ტენდენციას მივაპყრობთ ყურადღებას, რომელიც მთელი ქართული მწერლობისთვის იყო დამახასიათებელი..

ნიშანდობლივია, რომ ხშირად ქართველი მწერლები „სამშობლოს“ ცნებაში გულისხმობდნენ არა მაინცდამაინც საბჭოთა კავშირს, არამედ უპირველესად საქართველოს და ამით იდეოლოგიურ სადარაჯოზე მდგარი კრიტიკის რისხვასაც იმსახურებდნენ. ანუ განწყობა „ჩემი სამშობლო საქართველოა“, მკაფიოდ ჩანს საომარ თემატიკაზე (და არა მხოლოდ ომის თემატიკაზე) შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციაში. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერლებმა დრო იხელთეს და „საბჭოთა პატრიოტიზმის“ საფარქვეშ ადადგინეს ტაბუდადებული ცნება სამშობლოსი, გზა გაუხსნეს სწორედ ნაციონალურ განწყობას: ომის პერიოდის „პროპაგანდისტული მანქანა“ გასაქანს აძლევდა პატრიოტულ გრძნობებს. ამის გარეშე ომის მოგება ძნელი იქნებოდა, თუ შეუძლებელი არა. შესაბამისად, „საბჭოთა პატრიოტიზმი“ და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ისე გადაეხლართა ერთმანეთს, გამიჯვნა გაძნელდა და მწერლებმაც თითქოს ისარგებლეს შექმნილი ვითარებით.

შალვა იოსელიანი, მაგალითად, უთუოდ ნიჭიერი პოეტი იყო, იგი 26 წლისა ფრონტზე დაიღუპა 1943 წელს. საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული ტენდენცია („ჩემი სამშობლო საქართველოა“) თვალსაჩინოა ომის თემაზე დაწერილ მის ლექსებში:

„ჩემს ვაჟკაცობას მოესწრო დედა,
მამულისათვის მზრდიდა მშობელი.
და მეც მოვდივარ მტერო ტიალო,
მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშხალი,
რომ შენს გულღვიძლში დავატრიალო
სააკადის და ერეკლეს ხმალი.“

განსაკუთრებით საგულისხმოა უკანასკნელი სტრიქონები. სააკადის და ერეკლეს ხმლის ხსენება „დიადი საბჭოეთის“ ადგილს აღარ ტოვებს და სამშობლოს სიყვარულის გრძნობაც აქ კონკრეტულ შინაარსს იძენს.

სააკაძე და ერეკლე, ასევე შოთა, თამარი ნახსენები არიან ნანა გვარიშვილის ლექსშიც:

„ქართლის გულიდან მოდის ფესვები,
ჩვენი მოდგმის და ჩვენი ნაყოფის,
ჯაბანს წყევლიან შოთას ლექსები,
დიდი თამარის ეშხით ნატრფობი,
შენ სააკადის მიწა გავალეხს,
წმინდა ქართული გული მფეთქავი
გმირ წინაპართა შთამომავალი, –
აჰკაფო მტერი ერეკლეს ხმალით!“ (გვარიშვილი, 1948:15).

მწერალთა გულისთქმა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა სამხრეთ საქართველოს - ჭოროხის და მტკვრის აუზის ქართული „ქვეყნების“ (თურქეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების) პრობლემებთან დაკავშირებულ თხზულებებში: მეორე მსოფლიო ომის გარკვეულ ეტაპზე ეს საკითხი კიდევ ერთხელ „გაცოცხლდა“ და ძალაუვნებურად გადაეხლართა ომის თემას თუ მსოფლიო პოლიტიკას.

როგორც ცნობილია, 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ ახალი, ბოლშევიკური იმპერიის ხელისუფალთა ნებითა და ძალით სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების უმეტესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. ქართველმა საზოგადოებამ, უფრო ზუსტად, ეროვნული ინტელიგენციის და პოლიტიკური სპექტრის ბოლშევიკურ საქართველოში შემორჩენილმა ნაწილმა, გაბრძოლებადა შეძლო.

სამხრეთ საქართველოს შესახებ წერა არავის აუკრძალავს, მაგრამ ეროვნული ტკივილის გამოხატვა პრინციპულად მიუღებელი იყო. „მძური კავშირის“ კოსმოპოლიტური პროპაგანდით გამსჭვალული იდეოლოგია უგულვებელყოფდა ეროვნულ ინტერესებს და მისწრაფებებს. ამიტომაც იყო, რომ პროლეტარული მწერლობა რადიკალურად გაემიჯნა პატრიოტულ თემატიკას.

მაგრამ სურვილი ერთია და შესაძლებლობა – მეორე. პროლეტარულ მწერლობას არც ნიჭი ეყო, არც ძალა, რომ წინ აღდგომოდა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს თემას, იგი ომამდეც იყო ქართველი მწერლების განსაკუთრებული ინტერესის საგანი. აჭარა კი თავად იყო მონაწილე ცხოველი ისტორიული პროცესებისა; სწორედ ამ რეგიონს შეეხო ყველაზე მწვავედ გაყოფა-განაწილების, გასხვისების ტრაგიკული მოვლენები. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, მოსკოვში, სტამბოლ-ანკარასა თუ ევროპაში მიღებული

გადაწყვეტილებების გამო რომ გადადიოდა ხელიდან ხელში. მრავალი მონაწილე ამ პროცესების ჯერაც ცოცხალი იყო და არც ეზოსა თუ ყანის ბოლოში გავლებული საზღვრების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი ნათესავების ტკივილს უჩანდა დაამების პირი. ამასთან ეს იყო რეგიონი, რომელმაც საუკუნეებს გამოატარა ქართული ენა, ცნობიერება, ზნეობა, ტრადიცია... მეორე მხრივ, კი გაცოცხლებული მხატვრული სიტყვა ახლდა იკრებდა ძალას, ახლდა ჩნდებოდა საუკუნეებით დაგუბებული სათქმელის გამოხატვის საშუალება და იმდენად ღრმა იყო ჭრილობა, იმდენად მაღალი ღირებულებისა იყო ეს თემა, რომ თვით სოციალისტური რეალიზმის პირობებში ფეხადგმულმა ადგილობრივმა მწერლობამაც კი არაერთხელ გადააბიჯა დამკვიდრებულ ზღვარს.

იდეოლოგიური მხარე ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს. ჩვენ უფრო ის ტკივილი, დაუძლეველი სევდა გვაღელვებს, ასე მკაფიოდ რომ გამოვლინდა მხატვრულ ლიტერატურაში და ამასთან ყურადღებას მივაპყრობთ ჯერაც შერჩენილ იმედსა და ბრძოლის ჟინზე:

„მთებო, ნისლებო, გასწიეთ,

მსურს კლარჯეთს, შავშეთს გავხედო,

ჩვენია, განა გავსწირეთ,

ვინ არის, მანდ რომ თავხედობს?!“ (ვარშანიძე 1950:23).

ჯერ კიდევ 1936 წელს წერდა ამას მამია ვარშანიძე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ომამდელ მხატვრულ ლიტერატურაში (შევნიშნავთ იმასაც, რომ მოცემული თემა უფრო ლირიკაში აისახა) სჭარბობს გულისტკივილი, ცრემლი და ვაება არსებული ვითარების გამო. იმედი ძმათა შეერთებისა ბჟუტავს მხოლოდ.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დადგა. მართალია, ომის მიწურულს თურქეთი ანტიფაშისტურ კოალიციას შეუერთდა, საბჭოთა კავშირი მას გერმანიის თანამზრახველად მიიჩნევდა. შესაბამისად, ომის შემდგომ მიზანშეწონილად ჩათვალა ანგარიშის გასწორება და საბაბს ეძებდა ამისათვის. ამიტომ საქართველოში გაჩნდა იმედი სამშობლოსგან მოგლეჯილი მიწების დაბრუნებისა, ისტორიულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. მითუმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი პირდაპირ მოითხოვდა არტაანის, ართვინისა (საქართველოსთვის) და ყარსის (სომხეთისათვის) ოლქების დათმობას. (სამუშია 2003:6).

1945 წლის დეკემბერში, როგორც საკავშირო, ასევე ადგილობრივ პრესაში, გამოქვეყნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. წერილის ავტორები ასაბუთებდნენ საქართველოს უფლებას თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე და დასკვნად, რომ ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი.

ეს ისტორია დღეს ცნობილია საზოგადოებისთვის და ამიტომ დეტალებს აღარ ჩავყვებით. ისიც გასაგებია, რომ წერილი ხელისუფლების ნებით და მითითებით მომზადდებოდა და გამოქვეყნდებოდა, მაგრამ არც ისაა საეჭვო, რომ ამ შემთხვევაში მიმთითებელთა ნება და ერის სულისკვეთება ერთმანეთს დაემთხვა. პარადოქსული ტრაგიზმი სიტუაციისა და ეპოქისა კი ის გახლდათ, რომ ეროვნული სატკივარისა და მისწრაფების გულწრფელი გამოხატვისთვის მაინცდამაინც კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დირექტივა გახდა აუცილებელი.

ბუნებრივია, რომ ამ ქვეყნისათვის საჭირობო პროცესში აქტიურად ჩაება ჩვენი მწერლობა. ომისშემდგომი ქართული ლიტერატურის ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ ამ თემამ შექმნა. ძველი თუ ახალი თაობის, პროლეტარული თუ აკადემიური წარსულის, დედაქალაქელის თუ პროვინციელის, ლამის ყველა მწერლის შემოქმედებაში გაიჟღერა სამხრეთ საქართველოს მოტივმა. ზოგან უფრო მგზნებარედ, ომახიანად, ზოგანაც მოკრძალებით, ფრთხილად, ბოლშევიკური იდეოლოგიის მომეტებული დოზით, მაგრამ მთავარ საკითხში გულწრფელი ერთსულოვნება სუფევდა – ყველა უსამართლობად მიიჩნევდა, რომ ეს მიწები საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. მწერლები თითქოს გააერთიანა საერთო მისწრაფებამ. ამ ნაკადის ნაწილი იყო ბათუმში მოღვაწე მწერლების შემოქმედებაც. მართალია, აჭარის მწერალთა ორგანიზაცია ხანიერი ტრადიციით ვერ დაიკვებინდა, მაგრამ წართმეული მიწა-მამულის სატკივარი, როგორც აღვნიშნეთ, აქ უფრო მძაფრად აღიქმებოდა და ნაყოფიერად აისახა კიდევ ეს სატკივარი მამია ვარშანიძის, გიორგი სალუქვაძის, ნესტორ მალაზონიას, პარმენ რურუას, ნანა გვარიშვილის, ფრიდონ ხალვაშის, კაპიტონ რუსიძის და სხვათა შემოქმედებაში.

თუ შევეცდებით არსებული ლიტერატურული მასალის ერთგვარ სისტემატიზაციას და განზოგადებას, განსაზღვრავს იმისას, თუ რა სულისკვეთებისა იყო ნებადართული პატრიოტიზმის ფარგლებში გამოქვეყნებული მხატვრული ქმნილებები, შესაძლებელია, ეს ნაწარმოებები თემის, ხედვის, კუთხის თუ მიზანდასახულობის შესაბამისად, რამდენიმე ჯგუფად დავყოთ.

უპირველეს და უმთავრეს მახასიათებლად ამ ლიტერატურული ნაკადისა უნდა ჩაითვალოს ქართველი ხალხის გულისტკივილის გამოხატვა – დაკარგულ-გაჩანაგებული ისტორიული ტერიტორიების გამო.

ხსენებული მოტივის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს წარსულის გააზრება. ტრაგიკული ისტორიული რეალობის ობიექტურად წარმოჩენის მცდელობანი. მეგრძოლი ათეიზმის ქვეყანაში დამთრგუნველი ათწლეულების შემდეგ, ქართველ მწერალს შესაძლებლობა მიეცა, ასე თუ ისე მიბრუნებოდა ისტორიის საჭირობოროტო საკითხებს, ეწერა და ესაუბრა ქართული ქრისტიანული კულტურის და ცივილიზაციის აკვანზე, გაბედულად ეხსენებინა მეფეები და ათაბაგები, მტბევრები და ოპიზრები, „ოშკის ზარები“ და „მესხეთის მთების დიდ ტაძრები“, „რუსთაველის და მერჩულეს მამული“ და „ხატები ფასის უთქმელი“.

აქ ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა კავშირი ათეისტური სახელმწიფო იყო, თანაც მეგრძოლი ათეიზმით გამსჭვალული. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ის ფაქტი იმსახურებს, რომ აჭარა სამუსლიმანო საქართველოს ნაწილი იყო, ზემოხსენებული მეგრძოლი ათეიზმის მიუხედავად, რწმენა ქართველი მუსლიმანისა ერთობ მტკიცე იყო. შესაბამისად, პირველი თაობის ადგილობრივ შემოქმედთა თხზულებებში „ოშკის ზარების“, „მესხეთის დიდი ტაძრების“, მტბევარების, ოპიზრების... ხსენება რეგიონის ისტორიის თუ აქაურთა სულის მოძრაობის ახალ ასპექტებზე მიანიშნებს...

ამხელა რეგიონის გაჩანაგება საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა. განა რომელი დამპყრობელი ყოფილა სიკეთის მომტანი, მაგრამ, მწერლების აზრით, ის ცოდვის კალო, რომელიც ოსმალებმა სამხრეთ საქართველოში დაატრიალეს, ენით აუწერელია:

„ჟლეტდნენ ბარელს და მთიელსაც
მხეცთა ველური ურდონი,
ჭოროხს სხვა ფერი მიეცა –
შიგ სისხლი იყო იმდენი“ (მალაზონია 1947:54).

აქ კიდევ ერთხელ ჩნდება ომის თემა, მაგრამ ამჯერად სხვა ტკივილისა: იმ ომების, რომლებიც მარცხით მთავრდებოდა ხოლმე და მოურჩენელ ჭრილობად აჩნდებოდა საქართველოს სხეულს.

ქართველი მწერლების მიერ დახატული სურათის მიხედვით, იქაურ ქართველთა თანადროული თაობაც დიდ გასაჭირშია. აქ, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სოციალიზმ-კაპიტალიზმის დაპირისპირება როდია არსებითი. ქართველი უბედურია უპირველესად იმიტომ, რომ მშობლის უბესაა მოწყვეტილი. შესაბამისად, გასაკვირი აღარაა, რომ პოეტების რწმენით, თურქეთელი ქართველიც მზადაა, დაუყოვნებლივ შეუერთდეს ბრძოლას ერთიანობისთვის:

„ძმა მმისთვინ, შავი დღისთვინა,
აბა ეს ხმალი რისთვინა,
ლაზური ხმალი კაშკაშა
ხელში აიღო ვაჟკაცმა“ (ვარშანიძე, 1950:27).

ცხადია, მთელი მასალის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ განსახილველ ლიტერატურულ პროდუქციაში თვალსაჩინოა ოცნება ისტორიულ საზღვრებში აღდგენილ-გაერთიანებულ საქართველოზე. ხალხის მისწრაფება, მწერალთა აზრით, შეუცვლელია: რუსთაველი და საქართველო, რუსთაველი და მესხეთი განუყოფელია და ამ მიწაზე „რუსთაველის სანთლის დანთების“ სურვილიც ბუნებრივია:

„იქ მტერს ვებრძოდით, მახსოვს, ხმალდახმალ,
იქ დუშმანს ვჩეხდით გულდაგულ ერთ დროს,
ო, როგორ მიწდა –
ამ მთის გადაღმაც

კვლავ რუსთაველის სახელი ენთოს!“ (მალაზონია 1947:55).

ეროვნული საკითხი ამ თხზულებებისთვის ძირითადია. ბუნებრივია ისიც, რომ ამ ნაწარმოებების ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა სისტემის აპოლოგია და სსრკ-თი სიამაყის გრძნობის გაღვივება იყო. ამიტომ გასაკვირი არაა, ერთი მხრივ, საბჭოთა სისტემის უპირატესობაზე ხაზგასმით მითითება და „ბელადომანია“. თანამედროვე მკითხველისათვის ზოგჯერ შესაძლოა, უჩვეულო იყოს შიშველი კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური რეალიზმის ის თვალსაჩინო ძარღვები, რომელიც თანმდევი ამ თუ სხვა ანალოგიური სულისკვეთების ნაწარმოებებისა. მაგრამ ვინც ასე თუ ისე იცნობს საბჭოთა ეპოქის ხასიათსა და მხატვრული ლიტერატურის იმჟამინდელ თავისებურებებს, ადვილად შეამჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც და საზოგადოდაც, მწერლობამ მოხერხებულად ისარგებლა ნებადართული პატრიოტიზმით, სადინარი მისცა წლობით

თუ საუკუნეობით სულში ნაგროვებ ტკივილს და ერთბაშად გაამჟღავნა გულისნადები. არაერთგზის მივუთითეთ, რომ ჟამთა ვითარების გამო მწერალთა შესაძლებლობები და თავისუფლების დიაპაზონი მეტად შეზღუდული იყო. ვერც იმას ვიტყვით, რომ თითქმის მხატვრულმა ლიტერატურამ რამდენადმე მაინც ამოწურა ეს თემა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოცემულ საკითხებს ამ მასშტაბით ქართული მწერლობა მანამდე არასდროს შეხებია.

გასაგებია, რომ საბჭოთა მთავრობა ამ უკიდურეს ქვეყნის ინტერესებიდან ამოდიოდა მხოლოდ და სამხრეთ საქართველოს საკითხები იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც სასარგებლო იქნებოდა სსრკ-სთვის. შესაბამისად, საბჭოთა პოლიტიკა არ ყოფილა თანმიმდევრული სამხრეთ საქართველოს მიმართ. კომუნისტურ პარტიას ქართველი ხალხის პატრიოტული მგზნებარება ჩირადაც არ უღირდა: 1953 წლის მაისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სომხეთის და საქართველოს მთავრობებმა უარი განაცხადეს თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ (საქართველოს ისტორია 2012:435) და ამით ქართველი ხალხის ოცნებასაც ბოლო მოეღო.

ლიტერატურა:

გვარიშვილი 1948: გვარიშვილი ნანა „ჩემო აჭარავ“, ბათუმი;

ვარშანიძე 1950: ვარშანიძე მ., „ჩემო სამშობლო“, ბათუმი.

მაღაზონია 1947: მაღაზონია ნ., „ქორწილი“ (ბალადა), გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 21 მარტი.

სამუშია 2003: „ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალ წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ)“, თბილისი.

„საქართველოს ისტორია“ 2012: საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტომი IV, ავტორები: ალ. ბენდიანაშვილი, ალ. დაუშვილი, მ. ნათელაძე, სარედაქციო კოლეგია: აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. მუსხელიშვილი, აკად. რ. მეტრეველი.

ჯანაშია, ბერძენიშვილი 1945: ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ., „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 14 დეკემბერი, 1945.

Malkhaz Chokharadze, Manana Tavdgiridze

Batumi Shota Rustaveli State University

WAR THEME IN THE EPOCH OF SOCIALIST REALISM AND PATRIOTIC TENDENCY OF REGIONAL LITERATURE RESUME

The paper deals with some peculiarities of Soviet propaganda on the basis of literary works of Ajara dedicated to the theme of World War II. Analyzed materials reveal that not all the works of the war period should be considered in the frames of the ideological literature. It is obvious that in the literary products of that period here and there national motives and approaches can be distinctly noticed.

მარინე ცერცვაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა - „ბურჯი ეროვნებისა“ - გამოირჩევა ბიოგრაფიულ რომანთა იმ სერიადი, როსტომ ჩხეიძემ გასულ საუკუნეში რომ დაიწყო და დღესაც აგრძელებს. ამ სერიიდან თითქმის ყველა რომანი „მიჩქმალული გმირის აპოლოგია“ [4, გვ. 75]. საზოგადოების ფართო ფენებისათვის უცნობია რომანის გმირის ცხოვრებისეული პერიპეტეიები, ავტორიც თავს არ ზოგავს მოიძიოს ახალი ფაქტები და სამუშეოზე გამოიტანოს. სწორედ ამგვარია ბიოგრაფიული რომანები პავლე ინგოროყვასა თუ ალექსანდრე ორბელიანზე, არჩილ ჯორჯაძესა თუ იასე

ფალავანდიშვილზე, მიხაკო წერეთელსა თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, ალექსანდრე ყაზბეგსა თუ ალექსანდრე ბატონიშვილზე... ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. „ბურჯი ეროვნებისა“ არ არის და ვერც იქნებოდა ამ ყაიდის ბიოგრაფიული რომანი. მწერალმა კარგად იცის, რომ უამრავი რამ დაწერილა ამ ბუმბერაზი ადამიანის შესახებ, ამდენად, ფართო საზოგადოებამაც კარგად იცის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ყველა ეტაპი და კარგადაც აცნობიერებს მის ღვაწლს. რაც შეეხება ბიოგრაფიული უცნობი დეტალების და ფაქტების გამოვლენას, როსტომ ჩხეიძე არც ახლა უღალატებს ტრადიციას, რაც კიდევ მეტ ინტერესს და ღირსებას შემატებს რომანს.

ისტორიკოსი ვაჟა ჩოჩია, მიმოიხილავს რა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს მიხაკო წერეთელზე, მიიჩნევს, რომ „ჩვეულებრივი რომანის დაწერა უფრო იოლია, ვიდრე ბიოგრაფიულის. პირველ შემთხვევაში გაჰყვები შენს ქარგას, თუ გინდა, გამოგონილ ეპიზოდებსაც ჩაურთავ, ბიოგრაფიულ რომანში კი... როგორ გინდა ამდენი ცხოვრებისეული დეტალის გათვალისწინება, ჩასმა სიუჟეტურ ქარგაში და ერთ მთლიანობად წარმოდგენა არა მხოლოდ გმირის ცხოვრებისა, არამედ საერთოდ იმ ეპოქისა, რომელშიც იგი მოღვაწეობდა. ეს დიდ ნიჭის, დიდი შრომის და მამულიშვილობის შედეგია. ჩანს გენეტიკურია ეს კოდი“ [3, გვ. 15]

რომანი 2005 წელს გამოვიდა. ბოლოს ასე აქვს მიწერილი - 2005 წ. სექტემბერი-დეკემბერი. ეს დრო, ალბათ, მხოლოდ ჩასაწერად, სისტემაში მოსაყვანად და წიგნის გამოსაცემად საჭირო, თორემ ის ზღვა მასალა, რაც ასე ლაღად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი სტილითაა გადმოცემული მკითხველისათვის, მწერლის თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. ასეც აღნიშნა კერძო საუბარში, „ნახევარი გვერდი რომ დაწერო, რამდენი კითხვა და შრომაა საჭირო“.

„ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის მე-2 ნომერში, ნანა გოგიასთან საუბარში, ამ მძიმე შრომაზე არაფერს ამბობს და შეკითხვაზე, „შეგიძლიათ გაიმეოროთ ბატონ ოთარ ჩხეიძესთან შეხუმრება „ვწერ რომანებს ხელდახელო“, პასუხობს იმას, რაც ისედაც ივარაუდება: „გარეგნულად მართლაც ხელდახელ იქმნებოდა, რაკილა უმეტესობა ორ-სამ თვეშია დაწერილი, თუმცა თვითთელი ეს ნიმუში დიდხანს მწიფდებოდა გონებაში, ვიდრე ფურცლებზე გადაინაცვლებდა. მართლა ხელდახელ არის თუ არა ვერ გეტყვით, ვწერ როგორც მეწერება, ეგაა და ეგ“ [2, გვ. 24].

მართლაც, წერს, როგორც ეწერება და თუ როგორ ეწერება, კარგად ჩანს.

ახლა რაც შეეხება გენეტიკურ კოდს (ვაჟა ჩოჩიას მიერ ხსენებულს), რომანის პირველი თავია - „ემღვნება ბიძაჩემს“; ეს თავი ბატონ ავთანდილ ჩხეიძეს ემღვნება, ჩხეიძეთა ტრაგიკული ბედის მქონე საგვარეულოს ერთ-ერთ ღირსეულ წევრს.

თუმცა რომანში აღნიშნულია რომ ბატონი ოთარ ჩხეიძე ხშირად ახსენებდა იაკობ გოგებაშვილს და არც მის სახლ-მუზეუმს აკლებდა მოვლა-პატრონობას, შვილებსაც ხომ ანდერძად დაუბარა იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის არ დავიწყება, „მაგრამ ბიძაჩემი?“ კითხულობს როსტომ ჩხეიძე; არადა ბიძის სახე მოდის ბავშვობიდან იაკობ გოგებაშვილის ხსენებისას. ჩამოთვლის რა იმ ღვაწლს, ბატონმა ავთანდილ ჩხეიძემ (წლების განმავლობაში გორის რაიონის განათლების ხელმძღვანელმა, ყველასათვის საყვარელმა, ამაგდარმა ადამიანმა) რომ დასდო დიდი იაკობის ხსოვნის უკვდავყოფას, ეს იყო იაკობის კარ-მიდამოს მოვლა-შენარჩუნება თუ მასზე დაწერილი სტატიები, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების შექმნა და სხვა ამიტომ, თუმცა დიდია მამის ნათელი ხსოვნის გავლენა, მაინც მოკლედ გვამცნობს - მამა ხშირად ახსენებდაო იაკობს; აი ბიძის, ავთანდილ ჩხეიძის, შესახებ დაწვრილებით ყვება და მის წუხილს, „ნეტა ადრე ყოფილიყო დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება, რომ იაკობის წინაშე ჩემი ვალი პირნათლად მომეხადაო“, ასე აფასებს - „ეცოტავებოდაო თავისი წვლილი.“ წვლილი კი მართლაც დიდი იყო და რაც როსტომ ჩხეიძეს ყველაზე შთამბეჭდავად მიაჩნია არის ის, რომ „შეუძლებელია ხანმოკლე საუბრის დროსაც იაკობის სახელი არ ეხსენებინა!.. რაღაცას აუცილებლად მოადევნებდა“ [1, გვ. 7]. ბავშვის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩენილა: „ზეპირად იცოდა მთელი პასაჟები იაკობის პუბლიცისტური და პედაგოგიური სტატიებიდან, გატაცებით წარმოთქვამდა“ [1, გვ. 7]. როსტომ ჩხეიძე ასე იგონებს: „ისტორიულ ეპიზოდებსაც, ძველ ამბებსაც იაკობის ისტორიული ნოველების სტილით გვიყვებოდაო“ [1, გვ. 6]. აკი სამ-ოთხ თვეში დაიწერაო რომანი. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის,“ და, თუმცა, ყველა ქართველი ბავშვი სწავლის პირველი დღიდანვე ეცნობა „დედა-ენას, მის ავტორს, იაკობ გოგებაშვილს, ეს სულ სხვა შთაბეჭდილებებია, სულში დაღეჟილი და საჭირო დროს სამზეოზე ამოტანილი.

ეს არის ბიოგრაფიული რომანი ორიგინალური ფორმით. ეს არის როსტომ ჩხეიძის თვალთ დანახული იაკობ გოგებაშვილი. რომანის დასაწყისი გვამცნობს, რომ თხრობისას ძირითადი ყურადღება იაკობ გოგებაშვილის არა პედაგოგიურ, არამედ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე იქნება გადატანილი. ხომ ამტკიცებდა კიდევ - „განათლება შეგვადებინებს სახელმწიფოებრიობის კარებსო“ და, თუმცა, ვერც ერთი მისი თანამოაზრე, ნიკო ნიკოლაძის გარდა, ვერ შეაბიჯებდა იმ აღთქმულ

მიწაზე, ყველა მათგანი, იაკობის მსგავსად, „ჰოი რა ჟინითა და სასოებით მისჩერებოდნენ ამ სახელმწიფოებრიობის კარს“ [1, გვ. 5].

პირველ თავში – „არჩევანი“ – განხილულია „სამება“ – გაბრიელ ქიქოძე – იაკობ გოგებაშვილი – ვასილ ბარნოვი. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებაში ეპოვნა იდეალი – გაბრიელ ქიქოძე, კაცი რომელიც წინ აღუდგა სემინარიაში გამეფებულ „გამომაცეცხებელ ზეპირობას, თვითონ ხსნიდა მთელი სიმარტივით „ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე“, და ბავშვებსაც ასევე ასწავლიდა მასალის სრულ შეთვისებამდე, იაკობ გოგებაშვილიც გულში ჩაითქვამდა „აი ვინ უნდა გავხდეთ“. სწავლება სწავლებად და როსტომ ჩხეიძე გაბრიელ ქიქოძეს მთავარ დამსახურებად იმას უთვლის, რომ „სულ მალე შეიქმნებოდა თვალნათლივი, თუ როგორ შემცირდებოდა ბავშვთა საიდუმლო ბიჭიერებანი, ასე რიგად გავრცელებულ დახურულ სასწავლებლებში“ [1, გვ. 32].

როსტომ ჩხეიძე თვალნათლივ ხედავს, როგორ დადის იაკობი სემინარიის კედლებში და დაიყოლებს ყმაწვილების აღტაცებულ მზერას. არც ეს ღვაწლი დაიკარგება უკვალოდ და ვასილ ბარნოვი, ლიტერატურულ ეთიკას რომ დაარღვევს, ასაძაღლებლად გაიმეტებს ყველა იმას, ვინც ასე უწყალოდ ასახიჩრებდა ყმაწვილების სულს, ოცდაათი წლის შემდეგაც იმავე სიძულვილით და ბრაზითაა სავსე, როცა მოთხრობა „ქოჩორა ხე“ დაიწერა. როსტომ ჩხეიძეს იმის გაფიქრებაც არ უნდა თუ რა ბედი ელოდა ვასილ ბარნოვს, იაკობი რომ არ მოვლინებოდა ნუგეზად არა მარტო მას, არამედ სემინარიის კედლებში ჩაკეტილ ყმაწვილებსაც.

როსტომ ჩხეიძის მიერ აღწერილი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზა მოკლებულია ქრონოლოგიურ სიზუსტეს. ნაშრომის სათაურად შეიძლება ნანა გოგიას ინტერვიუდან აღებული ფრაზა ყოფილიყო: „ბედისწერა – მკაცრი დრამატიზმით გაჟღენთილი“. როსტომ ჩხეიძე ფიქრობს, რომ ამ ფენომენს ყოველმხრივ და განუწყვეტლივ უნდა ვუტრიალოთ და მისი რაობისა და დანიშნულების ამოცნობა ვცადოთ ცალკეულ პიროვნებათა თუ ერის ხასიათში და, თუმცა ამ სიტყვებს სულ სხვა წიგნში შემავალი ხუთი მონოგრაფიის ჩამოთვლას მოაყოლებს, კარგად ჩანს, რომ ამ ფენომენის ამოცნობას ცდილობს ავტორი ყოველი ბიოგრაფიული რომანის წერისას.

როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, რომ დიდია იაკობის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი ქართველი ხალხისათვის, რომ გლოვობს მთელი საქართველო. სიცოცხლის ბოლო წლებში კი იაკობი აღარ ცდილობს „ბედის განაჩენთან შეჭიდებას“. ეს ცოტა უცნაურად სჩანს, თუ გავიხსენებთ ერთ ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან, სახუმაროდაც რომ გამხდარა: როგორ მიხტის იაკობი წვიმიან ამინდში, ერიდება გუბეებს და შეკითხვაზე, რა უცნაურად მიდიხარო, პასუხობს, რომ ემინია არ გაცვდეს და ადრე არ წავიდეს ამ ქვეყნიდან, რადგან ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს მოსაგვარებელი. ახლა კი: „რაც განუზრახა, რისთვისაც თავი გადაედო, კიდევ მოეთავებინა – სამირკველიც თავისი ხელით გაეჭრა და შენობაც სართულ–სართულ აეშენებინა, სკოლა გაექართულებინა, წარმოსახვითი სახელმწიფოსათვის ერთგული მეომარნი შეეგროვებინა და თავის ადგილას ჩაერიგებინა“. სწორედ ამიტომაც რომ „ვალმოხდილი სიმშვიდით შეადგენდა ანდერძსაც და უკანასკნელ განსასვენებელსაც შეიგულებდა“ [1, გვ. 70].

რომანის ავტორს ქართველი ხალხისათვის დიდ დანაკლისად მიაჩნია ის, რომ იაკობ გოგებაშვილმა ვერ მოიგალა მემუარების დასაწერად. დანაკლისად იმიტომ, რომ რაც დაწერა იმდენად შთამბეჭდავი და საინტერესო მასალებით იყო გაჯერებული, რომ დასანანია ამ კუთხით დაკარგული იაკობი. მაგრამ ადრეც აღვნიშნეთ, რომ მაღლიერი შთამომავლობა აღადგენდა მისი ცხოვრების ყველა წვრილმანს, რაც ავტორს გაეწირა, აღდგენილია მოგონებებით და საარქივო დოკუმენტებით. ამ რომანით როსტომ ჩხეიძემაც შეიტანა წვლილი იაკობის ცხოვრების სრული სურათის აღდგენაში.

ხომ იცის იაკობ გოგებაშვილმა, რომ დედაენა განუმეორებელია და არ შეიცვლება, მეფე ერეკლეს რომ გვეყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორიც მან დატოვა, მაინც ეჭვი არ ასვენებს: „ნეტავი ჩემი სახელმძღვანელოები იცოცხლებს თუ ჩაყლაპავენ“ [1, გვ. 32]. როსტომ ჩხეიძეს მთავარ სათქმელად ის მიაჩნია, რომ იაკობ გოგებაშვილმა: „კარგად იცოდა თავისუფალი ქვეყნის შესაფერისი სახელმძღვანელო რომ შექმნა, დამოუკიდებელ სახელმწიფოში რაზეც უნდა გაზრდილიყვნენ ყმაწვილები“ [1, გვ. 39]. ეს არის ბიოგრაფიული რომანის მთავარი სათქმელი, ამით იწყებს და ამით ამთავრებს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკებს. „და უხარია, რომ მოასწრო, მოასწრო და ამოთქვა მთავარი სათქმელი“, თუმცა „მიქელგაბრიელი რას დაგიდევთ ვალის მოხდის აუცილებლობას?!“

ეტყობა... ეტყობა მაინც დაგიდევს“ [1, გვ. 23].

ბიოგრაფიული რომანის გამოსვლის შემდეგ იწყება ხანგრძლივი ბრძოლა იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვისათვის. იმ დროს, როდესაც იაკობის წმინდანად შერაცხვას მხარს უჭერს ყველა - ერი და ბერი, საეკლესიო მსჯელობებში- „შეიმოსოს თუ არა იაკობ გოგებაშვილის სახემა

წმინდანის ნიშნით“, ერთადერთ დამაბრკოლებელ მიზეზად მის მიერ თვითმკვლელობის მცდელობა სახელდება. რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ სწორედ ამ ტრაგიკული ამბით იწყება, როცა ადიდებულ მტკვარს ორი მხრიდან ორი ადამიანი მოადგება, ერთი იხრჩობა, მეორე გადაარჩენს და ნაპირზე გამოყვანილ ადამიანში იაკობს ამოიცნობს. ამ დროს კი სემინარიელები მთელს ქალაქს მოსდებიან და ეძებენ კაცს, რომლის ზედამხედველად დანიშვნამ იდუმალი ნატვრა აუხდინა, მაგრამ ამოდ, ვერ იპოვნეს საყვარელ მასწავლებელს, რომელსაც განზრახ ამცირებდნენ, თუ გაუგებრობის ან დაუდევრობის ბრალი გახლდათ მისი დამცირება, ვერც თვითონ გაურკვევია და აღარც მოინდომებს, გადარჩენილი. ყველა ბიოგრაფოსი, და მათ შორის როსტომ ჩხეიძე, დიდ სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ დაიწყო ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, შემოგვრჩა ცალკეული ფრაგმენტები, ბოლოს კი: „იძუნწა და ისმის კითხვა რატო იძუნწა, რატო უფრო მეტი არ დაწერა იმ დალოცვილმა?“ [1, გვ. 56].

რაც შეეხება წმინდანად შერიცხვის რთულ და ხანგრძლივ პროცესს; როსტომ ჩხეიძე ჯერ თვითონ არ დაიშურებს შრომას იმისათვის, რომ ფართო საზოგადოებას გააცნოს და დაანახოს არსებული ზერელე გადაწყვეტილებები და შეფასებები. იმ დროს, როდესაც იაკობის წმინდანად შერაცხვა მსჯელობის საგანი გამხდარა, ისმის კითხვა: „კი მაგრამ, გვაქვს კი გულდასმით და ყოველმხრივ გამოძიებული ამ ეპიზოდის გარემოებანი?“ როსტომ ჩხეიძე ჯერ თვითონ აგვიხსნის საკითხს.... შემდეგ თეიმურაზ დოიაშვილსაც რომ დაიმოწმებს, გიორგი გოგებაშვილის სერიოზულ გამოკვლევასაც რომ დაბეჭდავს, ცდილობს საქართველოს საპატრიარქოს მიაწოდოს მეცნიერულად ყოველმხრივ გამოძიებული და დადასტურებული ახსნა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ამ დრამატული ეპიზოდისა, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის დიდებულების დადგენას, რათა იაკობ გოგებაშვილს ისევე მოეხსნას თვითმკვლელობის ცოდვა, როგორც გალაკტიონ ტაბიძეს, როცა თეიმურაზ დოიაშვილის თავგამოდებამ შესაფერისი განწყობილება გამოიწვია და: „მოხდა ამ ფაქტის ღრმა და მიუკერძოვებელი განსჯა“.

როსტომ ჩხეიძის მიზანიც ხომ ეს არის - „მეცნიერებისა და სარწმუნოების ურთიერთთანადგომა, ერთი მიზნისაკენ სვლა“.

ლიტერატურა:

1. როსტომ ჩხეიძე - „ბურჯი ეროვნებისა“, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 2007.
2. ჩვენი მწერლობა, №2, 2011.
3. ჩვენი მწერლობა, №8, 2012.
4. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებათა ანთომეული, ტ.7, თბ., 1983.
5. წერილები XX ს. ქართულ მწერლობაზე, შემდგენელი მარინე გიგაშვილი, თბ., 2006.

Marine Tsertsvadze

Gori State Teaching University

BIOGRAPHICAL NOVEL BY ROSTOM CHKHEIDZE “PILLAR OF NATIONALITY” RESUME

The life chronicle of Iakob Gogebashvili – “Pillar of Nationality” is distinguished among those series of biographical novels that was started and continued by Rostom Chkheidze. There is “an apology of a hidden hero” in almost all novels of this series. The life squabbles of the hero of the novel are unknown for the larger parts of the society. In addition, the author does his best to find new facts and show them to everybody. The biographical novels about Pavle Ingorokva, Aleksandre Orbeliani, Archil Jorjadze, Iase Palavandishvili, Mikhako Tsereteli, Kakutsa Cholokashvili, Aleksandre Kazbegi or Aleksandre Batonishvili are just like this. “Pillar of Nationality” is not and could not be such kind of biographical novel. The author knows quite well that a lot has been written about this great person, so the society knows very well all parts of Iakob Gogebashvili’s life and understands his contributions. As for showing the new details and facts, Rostom Chkheidze will not betray his traditions now as well, which will give more dignity and interest to his novel.

ზოგი რთული ზმნის, იდიომის და კომპოზიტის ურთიერთმიმართებისათვის

ანალიზური წარმოება გრამატიკის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო და რთული უბანია. ის მოიცავს რთულ ზმნებს, შედგენილ შემასმენელს, კაუზატივის აღწერით ფორმებს და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსაც: „ფრაზეოლოგიური გამოთქმებიც ზმნის აღწერით წარმოებაში შემოგვაქვს, რადგან ისინი გრამატიკულად აღწერით ფორმებს უტოლდება: ყურად-იღო, გულს-ედგა, თუალ-ახუნა, ადგილ-იპყრა...“ (ვაშაკიძე 1993:5).

მოკლედ, თ. ვაშაკიძე არ ეთანხმება იმ დებულებას, რომ ანალიზური წარმოება მხოლოდ ძირითადი და დამხმარე სიტყვების შეხამებაა, მასში შემოაქვს ყველა სახის პერიფრასტული კონსტრუქცია და ფრაზეოლოგიზმი.

რთული ზმნა ორი კომპონენტის – სახელისა და ზმნის ფუძეთა შერწყმით მიიღება. ის მარტო ქართულისთვის არაა დამახასიათებელი. იგი გვხვდება აფხაზურში, ბაცურში. თურქულში ზმნათა ძირითად მასას რთული ზმნები მოიცავენ.

რთული ზმნა ენის უძველეს ვითარებას ასახავს. ის უფრო ხშირად გამოიყენებოდა ძველ ქართულში, ახალში კი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: **უგულებელყო, უზრუნველყო, შეურაცხყო...** თანამედროვე ქართულში არ არის რთული ზმნა, ძველში რომ არ გვექნოდეს. მათ აკაკი შანიძე ძველის ნაშთებად მიიჩნევდა (შანიძე 1980: 496). მიაჩნიათ, რომ რთული ზმნები, რომელთა სახელადი ნაწილიც გაუფორმებელია, ბრუნვათა ჩამოყალიბებასაც უსწრებს წინ: „ყველა ზმნიანი კომპოზიტი უძველესი ვითარების მაუწყებელია. ისინი წარმოიშვნენ ქართული ენის განვითარების გარკვეულს, ადრინდელ ეტაპზე, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ბრუნვები. ამას მოწმობს ზმნიან კომპოზიტებში სახელადი ნაწილის ფუძის სახით ხმარება (მრეკლიშვილი 1957:176). ახალ ქართულში არ გავჩენილა რთული ზმნის არცერთი ფორმა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათი ჩამოყალიბება ადრეული ეტაპისთვისაა სავარაუდებელი.

თ. ვაშაკიძე გამოყოფს ანალიზური წარმოების ხუთ ძირითად ნიშანს: 1. დამოუკიდებელი და დამხმარე სიტყვების შეხამება; 2. პერიფრასტულობა; 3. ორგანული ვარიანტების არსებობა; 4. ერთგნებიანობა; 5. ფრაზეოლოგიურობა.

შესაძლოა, ხუთივე ნიშანი ერთდროულად არ ახასიათებდეს აღწერას, ზოგს ორი ნიშანი ახასიათებს, ზოგს – სამი.

იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმებია: 1. სემანტიკური მონოლითურობა; 2. სიტყვათა მუდმივი, განსაზღვრული რიგი; 3. რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა; 4. გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვა; 5. გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა. იდიომის გამოსაყოფად გადამწყვეტია შინაგანი ნიშნები: 1. შესაძლებლობა, მოინახოს მნიშვნელობის მქონე ერთსიტყვიანი გამოთქმა; 2. შემადგენელ ელემენტთა მნიშვნელობის დავიწყება. „იდიომა გრამატიკულად მსაზღვრელ-საზღვრულია, სინტაქსურად ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს, სემანტიკურად კი დაუშლელია“ (კიკნაძე 2002: 111). ამრიგად, იდიომა შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე დაუნაწევრებელი ერთეულია, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

გაიდიომების, იდიომატიზაციის სემანტიკური პროცესი მნიშვნელობათა ისეთი გარდაქმნაა, როდესაც არსებული საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელობები ქმნიან ფრაზის ან თუნდაც რთული სიტყვის ახალ მნიშვნელობას. ეს პროცესი ადვილი საჩვენებელია ფრაზეოლოგიაში. ასეთი სემანტიკური პროცესის შედეგად მიღებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს უწოდებენ იდიომებს.

იდიომატიზაცია ეხება კომპოზიტთა ერთ ნაწილსაც. ესენია: ქინძისთავი, თითისტარი, ქონდრისკაცი. მათ იდიომატური კომპოზიტები ეწოდება.

თუ დავაკვირდებით, რთული ზმნებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულებისთვის საერთო ნიშანია სემანტიკური დაუშლელია, მონოლითურობა, ზოგ მათგანს საერთო აქვს მეორე ნიშანიც – ორკომპონენტიანობა, ორივეში გვაქვს სახელი და ზმნა. რაც შეეხება კომპოზიტებს, მიმართებისთვის ვიღებთ მხოლოდ ერთგნებიან, მიმდებარე ფორმებს, რომელთა ერთი კომპონენტიც ნაზმნარი სახელი ანუ მიმდებარეა. ამრიგად, იმ ფორმებში, რომელთა შორის მიმართების დადგენასაც შევეცდებით, აუცილებლად უნდა იყოს ზმნა ან ნაზმნარი სახელი. თუ მეტაფორულობასაც აუცილებელ ნიშნად

მივიჩნევთ, მაშინ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ რთული ზმნებით, რომელთაც გადატანითი მნიშვნელობით ვიყენებთ.

ქართული ფრაზეოლოგიზმი ძირითადად ორკომპონენტია, ზმნა ბოლოშია. იგი ხშირად იზღუდება ფორმაწარმოებით. ზმნები განსაზღვრულ პირშია. ფრაზეოლოგიზმებს ხშირად უწოდებენ ფუნქციური ზმნის შესიტყვებას (Funktionsverben) (სტამბოლიშვილი 2011).

ერთგნებიანი კომპოზიტი ერთად იწერება, ფრაზეოლოგიზმი – ცალ-ცალკე, რთული ზმნა ძველ ქართულში იწერებოდა დეფისით. ფრაზეოლოგიზმი და რთული ზმნა აღწერითს წარმოებაში განიხილება, კომპოზიტი – ორგანულში. თუ ამ უკანასკნელთაგან მეტაფორული სემანტიკისას გამოვყოფთ, სამივე მათგანის საერთო ნიშანი იქნება ერთგნებთანობა და მეტაფორულობა.

რთულ ზმნათა ერთი ნაწილი მეტაფორულია. აღწერითი წარმოების კვლევისას მკვლევრებს არც ეს ფაქტი გამოჰპარვიათ, თუმცა მათ ასეთი კვალიფიკაცია ეძლევა: „ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გრამატიკულად აღწერით ფორმებს უტოლდება“ (ვაშაკიძე). ჩვენი თვალსაზრისით, უმჯობესი იქნება საკითხის შემდეგნაირი ფორმულირება: „მეტაფორული მნიშვნელობის აღწერითი ფორმები“ (კერძოდ, რთული ზმნები). ასეთებია: **ყურად-ღება, გულად-ღება, ნათელ-ღება, ნაცვალ-გება, ინაჟღება; გულს-დგმა, თუალ-ხუმა, გულს-დგინება...** დასახელებულ რთულ ზმნათაგან ზოგს მოეპოვება ორგანული ვარიანტი (ნათელ-ილო/მოინათლა, მიზეზ-იდგამს/ იმიზეზებს), ზოგს – არა.

რთული ზმნის შინაარსობრივი მხარე უცვლელია, ყოველთვისაა დაცული. ფორმოზრები ნიშნებიდან ოთხივე ერთად თითქმის არასდროს გვხვდება, ზოგიერთი ნიშანი არ გამოირიცხავს გამონაკლისს. მაგალითად, სახელადი ნაწილი იცვლება ბრუნვების მიხედვით, არც მესამე ნიშანია უგამონაკლისო. რაც შეეხება ზმნურ ნაწილს, იგი უზმნისწინო მაშინ არაა, როცა სახელადი ნაწილი ფორმაუცვლელი სიტყვაა.

თითოეულ მათგანზე ავტორი საგანგებოდ მსჯელობს: 1. **იღებს** მეშველზმნიანი ფორმები ფრაზეოლოგიური გამოთქმები ძველ ქართულშიც იყო, ეს ზმნა დამოუკიდებელიცაა, მაგრამ იდიომებშიც გვხვდება: **ყურად-იღებს, მასხრად იღებს, ეჭვს იღებს, სუნს იღებს, თავის თავზე იღებს, მუცლად იღო.** ეს ზმნა იცვლის პირს, რიცხვს, დრო-კილოთაც და ქცევასაც. მასთან სახელად ნაწილად შეიძლება ვითარებითი ბრუნვის ფორმაც იყოს: აჰა, ესერა, ქალწულმან **მუცლად-იღო...**

აგებს მეშველზმნიანი ფრაზეოლოგიური გამოთქმებია: **თუალ-აგნა, შურ-აგო, სიტყუა-გაგოს, კულად-ეგო, ნაცვალ-აგო, შურ-აგო, სიტყუა-ეგო...**

სხმა-ს ეკისრება **შობა, მოყვანა, მოგვრა, გონება, დგმა, ყოლა, სმა, დება, დანერგვა, დარგვა, აყვანა** შინაარსის გამოხატვა.

შვილ-ვისხენ – ვიშვილე, თავს-ისხმიდა – იტვირთავდა; ხელთ-ისხნა – შეეხო.

დგმა გვხვდება **ინაჟ, გულ, თავ, მიზეზ** ფორმებთან: თავ-ადგამ, გულს- მადგს. მოვიყვანთ მაგალითებს: „ვერ თავ-ადგამ საქმესა ამას“; „**ინაჟ-იდგმიდენ** ტაბლასა მას ზედა უფლისასა“; „აღშფოთდეს და მუცლისა ტკივილი **მიზეზ-იდგას** და თავი ილმოს“ (II. 5); „ჰეროდეს **გულს-ედგა** მისი და უნდა მოკლვად მისი“ (II I. 102).

დგინება წარმოშობით დამოუკიდებელი ზმნაა: „**გულს-ვიდგინე** ესე ყოველი (II I. 102).

გულს-დგინება მისწრაფება, მიდევნება, გულმოდგინებაა.

ხუმა ნაკლებად დასტურდება ძველ ქართულში: **თუალ-ხუმა დაკვირვება, პირფერობა, მიკერძოება.**

არა **თუალ-ვახუნე** კაცთა, ხოლო აწ არა თუ იცნა თავი შენი და თუ არა, შეინანო (II I. 183).

ყურად-იხუენით ნიშნავს: მოისმინეთ, გაიგონეთ, ყური მოყავით...

ცალკეულ იდიომთა, მიმღეობიან კომპოზიტთა და რთულ ზმნათა შორის იკვეთება გარკვეული მიმართება: ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:

ა) **არის კომპოზიტი, არის იდიომი:** გულის კლება, გულნაკლული; გულის დაწყვეტა/ გულდაწყვეტილი; ჯვარს აცვა/ჯვარცმული; თავს იდვა; თავდები; წილ-ხუდა/ წილხვდომილი;

ბ) **არის რთული ზმნა ან იდიომი, არაა კომპოზიტი;** ღირს-უჩნს- ღირსად მიაჩნია...

გ) **ძველ ქართულში იყო რთული ზმნა, ფრაზეოლოგიზმიც და კომპოზიტიც, დღეს არცერთი აღარ გვაქვს:** ზარ-განჯდა, ზარსა განჯდის, ზარგანჯდილი; ამბორს- უყო, ამბორისმყოფელი; გულის-წყება, გული განიწყო; გულწყებული; ადგილ-იპყრა, ადგილისმპყრობელი; თუალ-ხუმა, თუალუხუავი, თუალმოხუავი; კელის აპყრობა- კელისამპყრობელი (თანამედროვე ქართულში გვაქვს ხელაპყრობილი);

დ) **ძველ ქართულში იყო რთული ზმნა, დღეს მისი კომპონენტები წინადადების დამოუკიდებელი წევრებია** (განსაკუთრებით **ცემა** - ზმნურნაწილიანი): ადგილ-სცა> ადგილი სცა, პატივ-სცა>პატივი სცა, დრო-სცა> დრო მისცა, ნება-სცა> ნება მისცა...

ე) ძველ ქართულში იყო რთული ზმნა, დღეს გვაქვს მისი შესატყვისი კომპოზიტი ან ნასახელარი ზმნა: ამბორს- უყო, ეამბორა; ნათელ-იღო, მოინათლა; გულს-დგინება, გულმოდგინე; წილის-ყრა/ წილის-გდება/წილნაყარი, თანა-დება, თანამდებობა; მიზეზ-იდგა, მოიმიზეზა, კაც-კლა, კაცისმკვლეელი; ჯელ-იწიფა, ჯელმწიფე; თაყუანი სცა/თაყუანისმცემელი; ნუგეშინი სცა/ნუგეშისმცემელი, პატივის-ცემა, პატივისმცემელი, პატივცემული; ქვის დაკრება, დაქოლვა; პირის დაკრვა/ პირაკრული; შჯულ-დება/ შჯულმდებელი; სახელ-დება/ სახელდებული; ტყუე-ყოფა/ დატყვევება, ღალად-ყო/ მღალადებული, კმა-იყო/ კმაყოფილი; კმაყოფილ-ყო / დააკმაყოფილა, მძიმე-ჩინება/ ემძიმა...

თანამედროვე ქართულში რთულ ზმნასა და მის პარალელურ ორგანულ ფორმებს შორის სტილისტიკური განსხვავებაა: დრო-სცა>დრო მისცა//ადროვა, თაყვანი სცა//ეთაყვანა; სრულ- ყო/ დაასრულა ...

განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფრაზეოლოგიზმების, მიმღეობიანი კომპოზიტებისა და რთული ზმნების კვლევა, რომლებშიც ერთი და იგივე კომპონენტები გამოიყოფა და შესაბამისად, სემანტიკაც იდენტურია, ამასთან, გადატანითი. მათვე უკავშირდება ნასახელარი ზმნებიც: წილ-იგდეს> განიგდეს წილი> წილნაყარი, შურ-იძიეს> იძიეს შური> შურის მაძიებელი; თაყუანი-სცა> სცა თაყუანი > თაყუანისმცემელი; ნუგეშინი-სცა> სცა ნუგეში, ნუგეშისმცემელი, პატივ-სცა>პატივი სცა; პატივისმცემელი- პატივცემული...

საკითხის შესწავლა ნათელს მოჰყენს აღწერითი და ორგანული წარმოების ურთიერთმიმართებასაც.

ცალკე საკითხია რთული ზმნის, ფრაზეოლოგიზმის და კომპოზიტის შემდგომადობა-პირველადობის საკითხის კვლევა. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი: 1. მყარი შესიტყვებანი ზმნებთან შედარებით მეორეულია თუ 2. პირიქით, შესიტყვება პირველადია და ზმნა მისი შეკუმშული ფორმაა.

სადავო არ უნდა იყოს, რომ ჯერ გვქონდა სიტყვათა თავისუფალი შეხამებანი, რომელთაგან ზოგიერთი მყარი გახდა. იდიომატიზაცია ნათლად ჩანს ფრაზეოლოგიზმებში, რადგან მათ ერთ ნაწილს მოეპოვება ომონიმი თავისუფალი შესიტყვების სახითაც; ხელს გაუწოდებს, თავს მოაბამს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა... გვაქვს იდიომატური კომპოზიტებიც.

რთულ სიტყვებს ფრაზეოლოგიზმთაგან წარმოქმნილად მრავალი ავტორი მიიჩნევს (გინზბურგი, კლიმოვი, ჟირმუნსკი). ქართულშიც საგანგებოდ მსჯელობენ იმაზე, რომ „ემოციური და სხარტი სემანტიკის გამო იდიომებს აქვთ ტენდენცია, საფუძვლად დაედონ შესაბამისი სემანტიკის კომპოზიტური ერთეულების წარმოქმნას: გული ამოუჯდა/ გულამომოჯდარი; ხელი მოეცარა/ ხელმოცარული, თავი გადააკლა/ თავგადაკლული...“ (პაპიძე... 2012:142).

ფრაზეოლოგიზმთა და კომპოზიტთა გაიდომების პროცესი შეიძლება პარალელურადაც წარმოვიდგინოთ და ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც „მნიშვნელობისა გაიდომების პროცესი კომპოზიტებში, რომელიც ჩვენ ფრაზეოლოგიზმთა გაიდომების ანალოგიური პროცესის პარალელურად წარმოვიდგინეთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთო მნიშვნელობის შექმნის დროს რთულ სიტყვაში ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს შესიტყვებისგან დამოუკიდებლად“, – წერს ნ. შენგელაია (შენგელაია 1978:207).

„თვლიან, რომ მყარი შესიტყვებები ზმნებთან შედარებით მეორეულნი არიან და წარმოადგენენ თითქოსდა ზმნის გახლეჩას, თუმცა დასაშვებია პირუკუ მოვლენაც, როცა შესიტყვება პირველადია და ზმნა მისი შეკუმშული ფორმაა“ (ზურაბიშვილი 1981: 55).

ვ. მ. ჟირმუნსკი წერს, „ყოველი რთული სიტყვა ან წარსულში წარმოადგენდა სიტყვათშეხამებას, ან აგებულია წარსული სიტყვათშეხამების მოდელის მიხედვით“ (ჟირმუნსკი 1963: 29). „ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ კომპოზიტის აგებულების მოდელი ყოველთვის იმეორებს ელემენტთა მიმდევრობის მოდელს შესიტყვებაში, ან რომელიმე ადრინდელ ეტაპზე იყო მოცემული ენის სინტაქსური დონისთვის დამახასიათებელი“ (შენგელაია 1978: 207).

ვინაიდან რთული ზმნები უძველესია, შეიძლება დავუშვათ, რომ კომპოზიტები მათი კომპონენტების დამოუკიდებელ წევრებად დაშლისა და მეტაფორიზაციის შემდეგ უნდა იყოს წარმოქმნილი. შესაძლოა იდიომატიზაცია გაკომპოზიტებამდეც წარიმართა. ძველ ქართულში დასტურდება რთული ზმნის კომპონენტების წინადადების დამოუკიდებელ წევრებად ქცევის ნიმუშები: წილ-იგდეს – განიგდეს წილი; პირ-იხსნეს – პირი გაიხსნა; შურ-ვიძიო – ვიძიო შური, დრო-ყო – დროდ ვყავ (მოც. 25, 17); სიტყუა- უყოფს – სიტყუად ეყო (ბალავ. 44); სიტყუად ყო (მ. 25, 19); ბოროტსა უყოფდნენ (შეს. 15, 130); შურ-ვიძიო – ვიძიო შური (ბალავ. 47); წყალობა- უყო – ყო წყალობად (ლ. 10,37); წილ-იგდეს – განიგდეს წილი (მ. 19, 24); მუკლ-იდგა – დაიდგნა მუკლნი (მოც. 7, 60); ნათელ-იღეთ – ნათელი მოიღეთ (სინ. 61, 29; 64, 30).

უკანასკნელ მაგალითს, დადასტურებულს სინურ მრავალთავში, ი. იმნაიშვილი ასეთ კვალიფიკაციას აძლევს: „ეს უკვე აღარაა რთული ზმნა, აქ თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აქვს და იმას ასრულებს; სახელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს, ზმნა – ზმნისწინს“ (იმნაიშვილი ...1996: 531).

მოვიყვანო სათანადო მაგალითები: ერთისა და იმავე ძეგლის სხვადასხვა გამოცემასა თუ პარალელურ რედაქციებში ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება დეფისიანი და უდეფისო ფორმები: **ლხინება ჰყოს** აპრონ რქათა მისთა ზედა (გამ. 30, 40, O, CB); იმავე რედაქციაში, ოღონდ სხვა ადგილას გვაქვს **ლხინება-ჰყოს**: და **ლხინება-ჰყო** უფალმან ბოროტისა მისთვის ერისა, რომელ თქუა ყოფად მათა (გამ. 32, 14 O, CB). ანალოგიურია **დევნა უყოს** (ბალავ. 33); **დევნა-უყოს** იქვე, 66). შესაძლოა, აქ უბრალოდ ბეჭდური შეცდომა იყოს.

რედაქციული სხვაობა ჩანს მაგალითებში: **სათნო-იყავ** (**სათნო იყავ** AS) (შეს. 17, 1. O, CB); **ლოცვა-ყავთ** (**ლოცვა ყავთ** S) (გამ. 8, 8 AK).

შეინიშნება, რომ „გამოსლვათას“ O, B რედაქციაში დეფისიანი ფორმები ჭარბობს, AK- ში დეფისიანობა და უდეფისოც, S - ში მხოლოდ უდეფისოა, ე. ი. რთული ზმნის კომპონენტები წინადადების დამოუკიდებელი წევრებია.

ანალოგიური მაგალითი მრავლად მოიპოვება ძველი ქართული ენის ძეგლებში, ზოგჯერ ვერანაირ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, რადგან ისინი, შესაძლოა, ბეჭდური შეცდომა იყოს; ზოგჯერ კიდევ შეიძლება ვიმსჯელოთ რედაქციულ სხვაობაზე, თუმცა საანალიზო საკითხს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მაგალითები, სადაც რთული ზმნის კომპონენტები დამოუკიდებელიცაა და მათ ბრუნვის ნიშნებიც დაურთავთ:

და არცა ერთი რამ **დრომ ყვავ** (მოც. 5,17); და **სიტყუამ ეყო** მის თანა ცილობისთვის (ბალავ. 44, ა); და **სიტყუამ ეყო** მონათა მათ თანა (მ. 25, 19); **წყალობამ უყავთ** მათ, რამეთუ არა მოიყვანა კაცმან ცოლი თვისი ბრძოლასა მას შინა (მსაჯ. 21, 22 G); და **კეთილსა უყოფდა** ღმერთი ამქუემელთა (გამ. 2, 20 O, CB).

რადგან რთული ზმნის კომპონენტები დამოუკიდებელია, არც რიგს აქვს მნიშვნელობა: მსწრაფლ შურ ვიძიო (**ვიძიო შური** გ) (ბალ. 47, ა); **ყავ სიტყუამ** ესე, რომელსა გეტყვი შენ (მსაჯ. 11, 37 BDS). ხოლო მან თქუა, რომელმან **ყო წყალობამ** მის თანა (ლ. 10, 37); გარნა კაცთა მათ ნურას **უყოფთ ბოროტსა** (შეს. 19, 7 O).

რთული ზმნის ზმნურმა ნაწილმა დაირთო ზმნისწინი: და კუერთხსა ჩემსა **განიგდეს წილი** (ი, 19, 24 HIK, FG); და **იადგნა მუქლნი** და ჳმითა დიდითა თქუა: ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას (მოც. 7, 60); და კაცმან **მოსცა ადგილი** ბენიამენს (მსაჯ. 20, 36); და მიჰყედა მას და **ზარი განჯდა** (მოც. 10, 7); და **დასდვა სახელი**: სიმონს პეტრე (მრკ. 3, 16); **შჯული დადვეს**, რადთა და-თუ-ვინმე-ჰმარხოს იგი, სიკუდილით მოკუედინ (სინ. მრთ. 61, 12).

სახელისა და ზმნის დამოუკიდებლობა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მათ შორის ჩართული იქნება სხვა წევრი. **მიუგო** მათ სიტყუამ (მრკ. 14, 6); **ყავთ** მათთვის **სიტყუამ და ზრახვა** (მსაჯ. 20, 7 OBDS); **გემომ რამ იხილა...** (მ. 9, 1).

„შესაქმეს“ და „გამოსლვათას“ რედაქციების ამ კუთხით შესწავლამ გვიჩვენა, რომ X საუკუნის ხელნაწერებში რთული ზმნები დაშლილია დამოუკიდებელ წევრებად, XVII-XVIII საუკუნის ხელნაწერებში კი მათ ორგანული ფორმები ცვლის. ორგანულით შენაცვლების ტენდენცია განსაკუთრებით თვალში საცემია **ყოფა** ზმნურნაწილიან ფორმებში, აქვე გასათვალისწინებელია ბერძნულ ტექსტთან მიმართება.

კომპოზიტად ქცევის პირობა კი უნდა ყოფილიყო ორივე წევრის ფუძის სახით წარმოდგენა. გავიხსენოთ ისიც, რომ ზოგი ზმნა აწმყოს წყებაში კომპოზიტს ვერ ქმნის. ე. ი. ისინი მაშინდელია, როცა არც აწმყოს მწკრივები არსებობდა და არც ბრუნვები.

სახელ-მდებენ (სინ. მრთ. 150, 1); **სახელ-ედების** (იქვე, 48, 1); **სახელ-სდებდით** (იქვე, 53, 38); **სახელდებული** (იქვე, 83, 26); **ქველსა იქმოდა - ქველმოქმედი**; **გულის-კლება** (სინ. მრთ. 50, 35; 246, 35); **გულკლებულად** (იქვე, 187, 32); **ზარის-განჯდანი** (სინ. მრთ. 109, 15) **ზარ-განჯილი** (იქვე, 110, 17); **შურს-აგებდით - შურისმგებელი**; **შჯული დადვეს - შჯულისმდებელი**. ამნაირი მაგალითი სხვაც ბევრია: **ამბორს-უყო - ეამბორა ნუგეშინის-სცა- ანუგეშა...**

„რთული ზმნისა და კომპოზიტა აღრევა განსაკუთრებით ქართულისთვისაა დამახასიათებელი, რადგან ქართულში იდიომებისგან რთული სიტყვების წარმოქმნის უფრო ფართო შესაძლებლობები არსებობს, ვიდრე გერმანულში“, – წერს ნ. სტამბოლიშვილი (სტამბოლიშვილი 2001: 411). ამ მოსაზრებაში ჩვენთვის საინტერესო პროცესი აღრევად კვალიფიცირდება, მაგრამ ის კი ნამდვილად ჩანს, რომ კომპოზიტი იდიომისგან მიღებულად მიიჩნევა.

საყურადღებოა ისიც, იშვიათ შემთხვევაში ზმნას აღწერითი ფორმა გვიანაც უჩნდება. აქ საკვლევი რედაქციული სხვაობა, თარგმნის წყაროსთან მიმართება და ცალკეული ზმნები, რადგან მოვლენა სწორხაზოვანი ვერ იქნება. წინამდებარე მოხსენება ოდენ დასმას საკითხისა, აუცილებელია მისი შესწავლა სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში; საინტერესოა აღწერითი და ორგანული წარმოების ურთიერთმიმართების, ასევე იდიომატიზაციის თავდაპირველობა-მეორეულობის თუ მისი ქრონოლოგიის კვლევა, რომლებიც სამომავლო საქმეა.

ლიტერატურა:

1. **Гинзбург 1967:** Гинзбург Е.А. Синтаксическая типология сложных слов_ внутренний синтаксис предложений: „Проблемы структурной лингвистики“.
2. **ვაშაკიძე 1993:** ვაშაკიძე თ., ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში. თბ.;
3. **ზურაბიშვილი 1981:** ზურაბიშვილი თ., შემასმენლის ერთი სახეობის გამოყენების საკითხები თანამედროვე ქართული პრესის ენაში. ქსკს წიგნი 1981- 4. თბ.;
4. **იმნაიშვილი... 1996:** იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში. მგ.;
5. **კიკნაძე 2002:** კიკნაძე ი., იდიომატა გრამატიკული აგებულებისათვის, ბსუ კვლევითი ცენტრის კრებული II. ბათუმი;
6. **Климов 1961:** Климов Г. А. Об атрибутивном комплексе в картвельских языках „Вопросы изучения иберийско-кавказских языков. Москва;
7. **მრევლიშვილი 1957:** მრევლიშვილი მ., კომპოზიტები ქართულ ენაში თსუ შრ. 67.
8. **პაპიძე... 2012:** პაპიძე ა., აშაძე მ., იდიომებისა და მათგან მიღებული კომპოზიტების ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთმიმართების ზოგი საკითხისათვის
9. **სტამბოლიშვილი 2001:** სტამბოლიშვილი ნ., გერმანული იდიომატიკა და მათი სწავლების საფუძვლები, ბათუმი.;
10. **Жирмунский 1963:** Жирмунский В. М. О границах слова: „Морфологическая структура слова в языках различных типов“ Москва-Ленинград;
11. **შენგელაია 1978:** შენგელაია ნ., რთული სიტყვები ძველ ინგლისურში. თსუ შრ. 200. თბ.

Nana Tsetskhladze

Batumi Shota Rustaveli State University

TOWARDS UNDERSTANDING OF INTERRELATION BETWEEN SOME COMPOUND VERBS, IDIOMS AND COMPOSITES RESUME

Analytical derivation comprises compound verbs, compound predicates and descriptive forms of causatives. Phraseological units are also considered within this group.

Compound verbs show the old development of language. There is an opinion that compound verbs with unformed nominal parts existed in language before the cases were formed. At the same time no forms of compound verbs appeared in language. Idioms are phraseological units and are results of idiomatisation. Idiomatisation also refers to part of composites. Verbs or verbal forms can always be singled out in analytical forms. Their metaphoric character is also their common feature.

Compound verbs of metaphoric character in special literature are classified in the following way: “Phraseological units, which are identified with descriptive forms”. The article represents an attempt to define correctness of the question, that it is better to formulate the question in the following way: descriptive forms of metaphoric character.

The special relation can be observed between certain idioms, participle composites and compound verbs. It is especially interesting to research forms in which the same components can be singled out. Several cases can be underlined in the available material:

- a) **there are composites, there are idioms;**
- b) **there are compound verbs or idioms, there are no composites;**
- c) **there were compound verbs, phraseological units in old Georgian, but there are not any of them now;**
- d) **there were compound verbs in old Georgian, but now their components are independent parts of the sentence;**
- e) **there were compound verbs in old English but there are corresponding composites or nominal verbs now.**

The studies of this question will clear the interrelation between descriptive and organic derivation.

The editorial differences, relation to the source of translation and specifics of certain verbs are to be considered here, as the phenomenon will not be simple and rectilinear. The present report is just raising this question, it is necessary to study it from synchronic and diachronic points of view; the research of primary and secondary character of idiomatisation is also interesting.

გიორგი ცოცანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ქართული სახალხო მეტყველების ნაირსახეობათა ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრისათვის

ქართველი ერი, იგივე ქართული ეთნოსი, წარმოადგენს კავკასიის მოსახლეობის ერთი ნაწილის მთლიანობას, რომელიც ამ რეგიონის სხვა ავტოქტონური ხალხებისაგან იმით გამოირჩევა, რომ აქვს სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი, დოკუმენტურად დადასტურებული ისტორია, რომლის ასაკიც განისაზღვრება მინიმუმ 23 ასწლეულით, ხოლო ჰიპოთეტურობის დონეზე შეიძლება რამდენიმე ათასწლეულსაც აღწევდეს.

ასეა თუ ისე, სადღეისოდ ქართულ ეთნოსს აქვს ეთნიკური მთლიანობის სრულიად ჩამოყალიბებული ხასიათი, რაც ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული: ესენია, ერთი მხრივ, ენა, ეთნიკური მთლიანობის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი და, მეორე მხრივ, თვითმყოფადი კულტურა, თავისი უშუალო დაკვირვებისთვის ისეთი თვალსაჩინო ელემენტებით, როგორცაა: დასახლების ორიგინალური ფორმები და ხალხური არქიტექტურა, მიწათსარგებლობის წესები და ხალხური აგროკულტურა, ხალხური ხელოსნობა და გამოყენებითი ხელოვნება, ლიტერატურა და ფოლკლორი, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნება, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი და სხვანი. იგულისხმება, რომ ქართველი ხალხის ამ ორიგინალური იერ-სახის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა მის ორიგინალურ საარსებო გეოგრაფიულ გარემოსთან ხანგრძლივი კავშირის პირობებში.

ქართული ეთნოსის შიგნით მისი ეთნოგრაფიული ერთიანობის ფონზე გამოიყოფა სუბეთნიკური ჯგუფები, რომელთაც ახასიათებს ერთურთისგან ვარიანტულად განსხვავებული ეთნოკულტურული ნიშნები, რომელთა წყალობით წარმოდგება თითოეული მათგანის ეთნოგრაფიული თავისებურებანი. ამ ჯგუფებს აქვთ თითოეულის საკუთარი საცხოვრებელი ადგილები, რომლებიც საქართველოს ლანდშაფტურ პირობებში ერთიმეორისაგან გამოყოფილია გეოგრაფიული საზღვრებით. ამ ადგილებს ეთნოლოგები ეთნოგრაფიულ კუთხეებს უწოდებენ. ასეთი ეთნოგრაფიული კუთხეები ქართული ეთნოსის განსახლების ტერიტორიაზე სადღეისოდ ცხრამეტია. ამათგან 15 – ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი – საქართველოს ტერიტორიაზე, ოთხი კი – საინგილო, ფერეიდანი, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი – სხვადასხვა დროს სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო სახელმწიფოთა – აზერბაიჯანის, სპარსეთის, თურქეთის – ტერიტორიებზე აღმოჩნდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს და ვითარდება საერთოქართული ეთნოკულტურული და ენობრივი ორგანიზმისაგან მოწყვეტით. ამისდა მიუხედავად, ეს ადგილებიც, იქაური მოსახლეობის ეთნიკური თვითშეგნებისა და ენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხეებად განიხილება.

საბოლოო ჯამში, საერთო ქართული ეთნოკულტურა წარმოგვიდგება როგორც დანაწევრებული მთლიანობა, რომელიც 19 ერთეულისგან შედგება და რომელთაგან თითოეული განთავსებულია ერთი ეთნოგრაფიული კუთხის ტერიტორიაზე. ეს სუბეთნიკური ერთეულები ნაწილობრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამავე დროს წარმოადგენენ ერთიანი ეთნოგრაფიული კულტურის შემადგენელ ნაწილებს.

ამ ფონზე იკვეთება საერთოსახალხო ქართული ენის ადგილობრივ ენობრივ სახესხვაობებად დანაწევრებისა და ამ სახესხვაობათა ადგილობრივ სუბკულტურულ ერთეულებთან კავშირის საინტერესო სურათი.

ქართული საერთო სახალხო ენას, როგორც ყველა ცივილიზებული ხალხების ენებს, აქვს არსებობის ორი ძირითადი ფორმა – ენის ლიტერატურული ფორმა და სახალხო მეტყველება.

ლიტერატურული ენა წარმოადგენს ენის სახელმწიფოებრივი გამოყენების ფორმას. იგი მთლიანია, მონოლითურია, ნორმირებულია და მას დაუბრკოლებლად იყენებს მთელი ქართველი ხალხი, მისი ყველა სოციალური თუ ტერიტორიული ჯგუფი საზოგადოებრივი ყოფიერების ნებისმიერ სფეროში.

რაც შეეხება სახალხო მეტყველებას, იგი სუბკულტურული ერთეულების ანალოგიურად, გავრცელებულია ქართული ეთნოსით დასახლებულ მთელ ტერიტორიაზე და ყოველი ეთნოგრაფიული კუთხე თუ სოციალური ჯგუფი საუბრობს ქართული სახალხო მეტყველების ერთ რომელიმე ნაირსახეობაზე: კა-

ხეთის მოსახლეობა მეტყველებს კახურ დიალექტზე, ქართლის მცხოვრებნი – ქართლურზე, იმერეთისა – იმერულზე, ხევსურეთისა – ხევსურულზე და ა. შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული სახალხო მეტყველება იყოფა 19 ადგილობრივ ნაირსახეობად. ესენია: ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხევეური, მთიულური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფერეიდნული, იმერხელი ანუ კლარჯული. სოციალური თვალსაზრისით, ე.ი. ენის მომხმარებლის ფაქტორის გათვალისწინებით, მეტყველების ეს ნაირსახეობები განიხილება როგორც საერთო-ხალხური ქართული ენის სოციალური დიალექტები. მაშასადამე, საერთო-სახალხო ქართული ენა შედგება სალიტერატურო ქართულისა და ქართული სახალხო მეტყველების 19 სოციალური დიალექტისაგან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ეთნოკულტურა და ქართული სახალხო მეტყველება ერთმანეთის იზომორფულ სტრუქტურებს წარმოადგენენ.

ქართული სახალხო მეტყველების დიფერენციაციის სრულიად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება იმ შემთხვევაში, თუ ამოსავლად ავიღებთ არა სოციალურ, არამედ წმინდა ლინგვისტურ ფაქტორებს.

ლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეთნოსი მეტყველებს სამ ურთიერთმონათესავე ენაზე: ქართულ, სვანურ და ზანურ ენებზე. ამგვარად გამოდის, რომ სვანური და ზანური მეტყველებები, რომლებიც დიალექტებია მათი სოციალური ფუნქციონირების მიხედვით, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენს და ქართულ ენასთან ერთად ქმნიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ, ანუ იგივე სამხრულ-კავკასიურ განშტოებას.

ამ სამი ენის დამოუკიდებელი სტატუსი განისაზღვრება იმით, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავის-თავადი ორიგინალური ლექსიკური ფონდი, ურთიერთგანსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები და, ასევე, ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები. ყველაზე თვალსაჩინო და უშუალო დაკვირვებისათვის ადვილად დასანახი ამ ლინგვისტური კრიტერიუმებიდან, ლექსიკაა. ადვილად დავინახავთ ამ ენათა ლექსიკის თავისთავადობასა და ორიგინალურობას, თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ მათი ძირითადი ლექსიკური ფონდების სიტყვებს


ქართული	ზანური	სვანური
თავი	დუდი	თხვიმ
ცხვირი	ჩხვინჯი	ნესტვ
ფეხი	კუჩხე	ჭიშხ
კბილი	კიბირი	შდიქ
კაცი	კოჩი	ჭ შ
თვალი	თოლი	ბ რკ
მთვარე	თუთა	დომდილ
ბუზი	ჭანჯი	მერ
ძაღლი	ჯოღორი	ჟელვ

ასეთია ამ ენების ლექსიკურ ფონდებს შორის შესატყვისობები. საერთოა ლექსიკის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიღებულია ურთიერთსესხების გზით ან მომდინარეობს რაიმე საერთო წყაროდან. ამგვარ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა დიდი არაა.

ასევე თვალსაჩინოა ამ ენათა ფონოლოგიურ სისტემებს შორის განსხვავებები როგორც პარადიგმატულ, ასევე სინტაგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, ქართული ენის ვოკალურ სისტემაში ხმოვან ფონემათა პარადიგმატული მიმართებების საფუძველს ორი დიფერენციალური ნიშანი – ლოკალური ნიშანი და აწეულობის ნიშანი – წარმოადგენს, რის შედეგადაც მიიღება ხმოვანთა ხუთწევრიანი ე. წ. სამკუთხა სისტემა; ზანურ ენაში ამ ორ ნიშანს ემატება კიდევ ერთი – პალატარულობის ნიშანი, რის შედეგადაც ხუთწევრიანის მაგივრად ვიღებთ ექვსწევრიან სისტემას. სვანურ ენაში ხმოვან ფონემათა კორელაციური მიმართებები რთულდება იმით, რომ ხმოვან ფონემათა რეალიზაციის დიფერენციალურ ნიშნებს ემატება პალატალიზაციისა და სიგრძითი ნიშნები, რის შედეგადაც ხმოვან ფონემათა რაოდენობა 18-მდე აღწევს და წარმოიქმნება მიმართებათა ერთობ რთული სისტემა.

ვოკალურ სისტემებთან ერთად ორიგინალურნი არიან ამ ენათა კონსონანტური სისტემებიც, მორფოლოგიური დონის გრამატიკული სისტემები და სინტაქსური კონსტრუქციებიც. აქედან გამომდინარე, ვლინდება ამ ენების თვითმყოფადობის ყველა ნიშნები, რისი წყალობითაც ქართულიც, სვანურიც და ზანურიც წარმოადგენენ ენობრივი და არა დიალექტური სტატუსის მქონე ლინგვისტურ ერთეულებს.

თავის მხრივ თითოეული ეს ენა ნაწევრდება უფრო წვრილ ერთეულებად, რომელთაც აქვთ იდენტური ლექსიკური შედგენილობა და მხოლოდ ნაწილობრივ, ელემენტებით განსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები. ისინი წარმოადგენენ ლინგვისტური თვალსაზრისით დიალექტებს. ასეთი დიალექტები ქართული ენის შემადგენლობაში 16-ია, სვანურში – 4, ზანურში – 2.



შიც, გამოჩნდებოდა ხოლმე ფაქტები აჭარული მეტყველების ენად მოხსენიებისა. ასეთ შემთხვევებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვქონდა არა შემთხვევით შეცდომებთან, არამედ აჭარელთა შორის სეპარატისტული განწყობილებების ჩანერგვის მცდელობასთან. საბედნიეროდ, ეს ცდები წარმატებით არასოდეს დამთავრებულა.

წარმატების მეტი იმედი ჰქონდათ სეპარატიზმის გამღვივებლებს სამეგრელოში, სადაც ხალხური მეტყველება, სოციალური სტატუსის მიხედვით დიალექტი, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენას წარმოადგენს, მეგრელები მოიხსენიებოდა როგორც მეგრელი ერი. ამასთან არ ეწეოდა ანგარიში არც ეროვნულ თვითშეგნებას და არც ეთნიკურ კულტურას, რომელიც წარმოადგენს ქართული ერთიანი ეთნოკულტურის განუყოფელ ნაწილს. საბედნიეროდ, დღემდის ყოველი ამგვარი ცდები წარუმატებლობისთვისაა განწირული.

რაც შეეხება საქართველოს ნამდვილ კონფლიქტურ ზონებს, იქ, როგორც აჩვენა ბოლო დროის სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა, მოქმედებს არა ენობრივი და ეთნოკულტურული, არამედ სრულიად სხვა რიგის ფაქტორები, რაც, ბუნებრივია, ჩვენი მსჯელობის ობიექტი ვერ იქნება.

Giorgi Tsotsanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

**FOR DEFINING THE VARIETY OF LINGUISTIC STATUS
OF THE GEORGIAN PUBLIC SPEECH
RESUME**

Georgian ethnic culture and Georgian folk speech are each other's isomorphic structures.

Georgian folk speech is divided into 19 local varieties. From the social point, or from the point of foreseeing language factor, these varieties of speech are considered as general folk Georgian social dialects.

Not by social, but by foreseeing linguistic factor, Georgian ethnic talks about three relative languages – Georgian, Svanian and Zanian. Thus, Svanian, Megrelian and Tchanian speeches are dialects after their social functioning, but according to the linguistic point, they are languages.

ნელი ჭამპურიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“

მოზარდებში პატრიოტული აღზრდის პრინციპების შემოქმედებითი განხორციელება მოგვცა იაკობ გოგებაშვილმა თავის ისტორიულ მოთხრობებში. საბავშვო მოთხრობებში ისტორიული თემატიკის გამოყენების მთავარ პრინციპებზე თეორიული მსჯელობა შეადგენს იაკობ გოგებაშვილის კრიტიკული წერილების ერთ-ერთ ნაწილს. 1897 წელს გაზეთ ივერიაში №61 და №62 გამოქვეყნდა წერილი „უძლური ბოროტება“. ეს წერილი პასუხია გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი რეცენზიისა, რომელიც მიემდგნა ი. გოგებაშვილის მოთხრობას „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ („კვალი“, 1897 წ. №28, გვ. 535-437). აღნიშნულ მოთხრობაში გამოყენებული ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თხზულებებში ისტორიზმის გამოყენების სპეციფიკა და მათი აღმზრდელობითი ფუნქცია. ავტორი აღნიშნავს, რომ მან თავის მიზანს მიაღწია, რამდენადაც შეძლო ამ პატარა მოთხრობით, რადგანაც აღნიშნული მოთხრობის სიუჟეტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფაქტებს, ზნე-ჩვეულებებს, ხალხის ფსიქოლოგიასა და ისტორიულ პირთა მოქმედებებს. სწორედ სინამდვილის ამ სახით წარმოდგენით, მწერალმა თავის ისტორიულ მოთხრობებში აღმზრდელობით-პედაგოგიური მიმართულება განავითარა. „...მოვახერხე მოთხრობისათვის მიმეცა აღმზრდელობითი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ხალხს აწინდელ მდგომარეობაში“. [1, 210]

ისტორიული მოთხრობების დიდი აღმზრდელობითი დანიშნულების გამო მწერალი უღრმავდება „ქართლის ცხოვრებას“ და საქართველოს ისტორიის არაერთ ეპიზოდს მხატვრულად წარმოგვიდგენს. ი. გოგებაშვილმა „ქართლის ცხოვრების“ საგმირო ეპიზოდები, ერთგვარად „სულის ქურაში“ გატარებით გადაამუშავა და ჩვენი ბავშვობის ცხოვრების ნაწილად აქცია ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის, იოთამ ზედგენიძისა და სამასი თავდადებული ქართველის გმირობა. მწერლის ისტორიული მოთხრობების წყაროს წარმოადგენს ქართული საისტორიო მწერლობა: „მეფეთა ცხოვრება“, „ქამთააღმწერელის ისტორია“ და „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ნათელმა ფურცლებმა შემოინახა სული საქართველოს გმირული წარსულისა.

ერეკლე მეფისადმი ღრმა სიყვარული, მეფის გამჭირაობითა და კაცთმოყვარეობით აღსავსე ბუნება ი. გოგებაშვილმა განსაკუთრებული სისადავით გადმოგვცა მოთხრობაში „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“.

აღნიშნული მოთხრობა ცალკე გამოცემად გამოვიდა 1897 წელს (დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელშიც“, 1897, №169).

ი. გოგებაშვილის ამ მოთხრობის გამო მკაცრი კრიტიკით აღსავსე რეცენზია მოათავსა გ. წერეთელმა ჟურნალ „კვალში“. თავის ვრცელ რეცენზიაში გ. წერეთელი ამ მოთხრობის თემასა და შინაარსს შეუძლებლად აღიარებდა (ჟურნალი „კვალი“, 1897, №28 გვ. 456-458). ი. გოგებაშვილმა ვრცელ წერილში „უძლური ბოროტება“ (პასუხად „კვალის“ რედაქციას) დასაბუთებული პასუხი გასცა მისი მოთხრობის არაობიექტურად შემფასებელს. ამ წერილში ი. გოგებაშვილი ასაბუთებდა, რომ მოთხრობაში „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ნამდვილი ისტორიული ფაქტია აღწერილი, არავითარი არარეალური, შეუძლებელი მასში არ არის. ი. გოგებაშვილი, რასაკვირველია, არც უარყოფდა, რომ მისი მოთხრობა გარკვეულწილად მიზნობრივია, ტენდენციურიც. იგი წერს: „დიაღ, ჩემი მოთხრობა განსაზღვრული მიზნით არის დაწერილი; მაგრამ ამ მიზანს არავითარი მსგავსება არა აქვს წერეთლისებურ ჰეროსტატულს ტენდენციასთანა. იგი აგრეთვე არ ეკუთვნის იმგვარ ნაწარმოებთა, რომელნიც არიან ნაყოფნი სუბიექტური კაპრიზისა, გუნებრიობისა და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ აერთებთ“. [2, 208] ამ მოთხრობის დანიშნულება, მისი ძირითადი ტენდენცია, ი. გოგებაშვილის აზრით, ის არის, რომ ერთხელ კიდევ განუმტკიცოს მკითხველებს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ ინგილოები ქართველი ქრისტიანები არიან და ღრმად ჩაუნერგოს მათ სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის კეთილშობილური გრძნობა ამ ძირითადი იდეის ხალხში მასობრივად დანერგვისათვის. „ლიტერატურულს წერილს ვამჯობინე ბელეტრისტული ფორმა, რადგან ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ეადვილება ხალხს, ბევრად უფრო ცოცხლად და ძლიერად მოქმედებს მასზედ და დიდს ხანს რჩება მისს გონებასა და სახსოვარში“, [2, 210] - წერს ი. გოგებაშვილი.

აქედან ჩანს, რომ ი. გოგებაშვილისათვის მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ, საბავშვო მხატვრული ლიტერატურა, ის უმნიშვნელოვანესი იარაღია, რომელმაც თავისი იდეური ზეგავლენით სწორი მიმართულება უნდა მისცეს საზოგადოების განვითარებას, „უჩვენოს სახელმძღვანელო პრინციპები“.

თვით ი. გოგებაშვილს თავის საბავშვო მოთხრობებში არასოდეს უღალატნია ამ ძირითადი პრინციპებისათვის. როგორც უკვე ვთქვით, საბავშვო მოთხრობებში განხორციელებული მისი ძირითადი პრინციპები არ მოიცავენ ისეთ სიუჟეტებს „...რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტებს, ქართულ ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტულ შესაძლებლობას და ფსიქოლოგიას ხალხისას და მოქმედის პირობისას“. [2, 210]

მწერალი პრინციპულად აყენებს საკითხს, რომ განსაკუთრებული სიზუსტით, მიზანდასახულად, თვალნათლივ იქნეს გადმოცემული ისტორიული ამბები და ლეგენდები. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი იაკობ გოგებაშვილმა თვალნათლივ წარმოაჩინა წერილში, რომელიც მიემდვნა საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ პირველი ნომრის მიმოხილვას. „ისტორიული გმირების მოქმედება, თითოეული ნაბიჯი მათი ცხოვრებისა მაღალი მორალური საქციელია, სწორედ მათი გაცნობით უნდა მიეცეს დასაწყისი პატრიოტიზმის აღზრდას“, - მართებულად აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი. საქართველოს ისტორია სავსეა ლეგენდად ქცეული ამბებით. მწერალს უნდა შეეძლოს მიაწოდოს ეს ცნობები გარკვეული აღმზრდელობითი დანიშნულებით. აღნიშნულ წერილში ი. გოგებაშვილი სასტიკად აკრიტიკებდა ერთ-ერთი ლეგენდის ავტორს და ასეთ შეფასებას აძლევდა მას: „წარმოდგინეთ ისტორიული (?) ჭორების ნაფლეთები, უნიჭოდ მოგონილნი, კიდევ უფრო უნიჭოდ გამეორებულნი, უხეიროდ ერთმანეთზედ მიბმულნი, მოკლებულნი მარილს, კავშირს, აზროვნებას, სიმართლეს და ყოველს ღირსებას გონების ნაწარმოებისას და თქვენ შეადგენთ უტყუარს აზრს ამ ლეგენდაზედ. არც ერთს სტრიქონს, არც ერთს წინადადებას არ აზის ბეჭედი ცოტაოდნათ გახსნილის, განვითარებულის გონებისა. ისტორიული გმირები აქ ისე მოქმედებენ, თითქო უბრალო მოხეტიალენი იყვნენ, გზასა და კვალს დაბნეულნი“. [1, 338] მკაცრი კრიტიკის ფონზე, იქვე გამოსავალსაც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორიული

ნაწარმოებები: „ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, უკრიტიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა“. [1, 341]

ი. გოგებაშვილი დასაბუთებულად გადმოგვცემს, რომ მოთხრობას „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ისტორიული თქმულება დასდებია საფუძვლად. ეს თქმულება გავრცელებული ყოფილა ქიზიყში. გარდა ამისა, იგი, როგორც მომხდარი ფაქტი, ი. გოგებაშვილის თქმით, მოჰყავს ალექსანდრე ორბელიანს ერთ თავის წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაბეჭდილია. ეს ამბავი ალ. ორბელიანს დედისაგან, თეკლა ბატონიშვილისაგან, მოუსმენია. გარკვეული მიზნით ი. გოგებაშვილს თქმულების სიუჟეტი საინგილოში გადააქვს. აღნიშნულ მიზანს თვით ი. გოგებაშვილი შემდეგნაირად გვისაბუთებს ზემოთ აღნიშნულ კრიტიკულ წერილში „უძლური ბოროტება“. „მოთხრობაში მე მსურდა, თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა-მალა მელღარებინა მათი ნამდვილი ქართველობა, ღვიძლი ძმობა ქართველებთან, სიყვარული საქართველოსი და ერთგულება საერთო მეფისადმი“. [2, 210]

მწერალი ხალხის აზრს, მის გენიას ცხოვრების სკოლად მიიჩნევს. „ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა“, [2, 202] - ამბობს ი. გოგებაშვილი.

ცხოვრების ამ სკოლაში აღიზარდა ინგილო გოგონა თავისი გამორჩეული თვისებებით, სწორედ ხალხის წიაღში იჩენს თავს მთელი სიცხადით ჭეშმარიტი გრძნობები და გმირული შემართებანი ერისშვილებისა. 12 წლის ინგილო ქალი უშიშრად გადმოაყრის თავზე ქლიავის ნაყოფს სპარსელად მიჩნეულ მეფეს. ინგილო გოგონას ბავშვობიდან შეუსისხლხორცებია მტრის სიძულვილი. გამბედაობა მას, როგორც მწერალი ამბობს, ჟანა დარკის სადარ გმირობას ჩაადენინებს. ერეკლე მეფე ხალხის დიდი მოყვარული იყო და ხალხის აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. გოგონას საქციელი მეფემ ერთგვარ ჭკუის დარიგებად მიიღო და მხიარულად შესძახა: „ყოჩაღ ქალო! სრულიად მართალი ხარ. ... კარგი, ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლით. ბარაქალა შენს ქართველ ქალობას!“ [3, 385] და გამხიარულებულმა უხვდაც დაასაჩუქრა. არაქრისტიანულად შემოსილი ქართველთა მეფე გრძნობს, რომ ხალხისგან კრიტიკას იმსახურებს. მტრის სიძულვილი განსაკუთრებით იგრძნობა სარწმუნოებრივ ასპექტში.

ინგილო გოგონა სწორედ სპარსულმა სამოსმა განაწყო მტრულად. პატარა გოგონაში ეროვნულობისა და სარწმუნოების ერთიანობა ხალხის გენიის მეშვეობით შერწყმულა და შესისხლხორცებულა. გრძნობს მეფე ხალხის გენიის ამ დიდ ძალას და საჭირო შენიშვნად მიიჩნევს ქლიავის გადმოყრის შემთხვევას. სწორედ ამიტომაც იმსჯელება გოგონას მიმართ მეფე განსაკუთრებული პატივისცემით. პატრიოტი, ზნემაღალი ქართველი მეფისთვის სამოსელიც კი მართლმადიდებლური შინაარსით უნდა იტვირთებოდეს - ასეთია ქართველი ხალხისთვის მეფის იდეალი.

ერეკლე მეფე თავისი გულუხვობითაც გამოირჩეოდა. იგი გულუხვად ასაჩუქრებდა გმირობითა და საქციელით გამორჩეულ ადამიანებს, სანაცვლოდ კი ერთგულებასა და სიყვარულს იძიდა. კაცთმოყვარეობით გამორჩეული მეფე რამდენიმე წლის შემდეგაც საქორწინო საჩუქარს უგზავნის ინგილო გოგონას. ინგილო ხალხი საკუთარ საჩუქრად მიიჩნევს მეფის ძღვენს. მეფე გაცემულ სიკეთეს. სიკეთითვე იძიდა, ინგილო ვაჟკაცები ყოველთვის მის გვერდით იბრძოდნენ, მისთვის თავს წირავდნენ.

ხალხში წიაღში გამორჩეულად აღზრდილმა ინგილო ქალმა შვილებიც გმირებად დაზარდა. მისი ვაჟკაცები მეფეს ბრძოლაში გვერდიდან არ სცილდებოდნენ, მათ თავი გაწირეს მეფისა და სამშობლოსათვის. ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული შვილების შესახებ, მიუხედავად უმწარესი მწუხარებისა, დედა სიამაყით ამბობს: „ვმადლობ, მხურვალედ ვმადლობ უფალსა, რომ მან ღირსად ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სახელოვანი მამულიშვილებისა“. ინგილო დედის მიზანი შვილების აღზრდისა ერთადერთია - მათი მამულიშვილებად და გმირ-პატრიოტებად აღზრდა. მწერალი ინგილო ქალის გამორჩეულ პატრიოტიზმს საინგილოს ავბედითი ისტორიით ხსნის. საინგილოს ხშირად თავს ესხმოდნენ და ამ ბრძოლაში ურიცხვი მტრის წინააღმდეგ ქალი და კაცი მხარდამხარ იბრძოდა. მწერალი დაბეჯითებით განგვიმარტავს: „საინგილო, როგორც განაპირა კუთხე საქართველოსი, ხშირად იყო ბრძოლის თეატრად. ... თავის სიკვდილად მიაჩნდა მოსწყვეტოდნენ საქართველოს და გადაბირებულიყვნენ“. [2, 201]

ასეთი გმირული სულისკვეთების მქონე ადამიანთა დიდი გალერეა დაგვიხატა დიდმა იაკობმა ისტორიულ მოთხრობებში, რომელთა ჭეშმარიტი მამულიშვილობა იწვევს ბავშვთა ზნეობრივი გრძნობების აღზრდას. იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები მორალურ-დიდაქტიკური ხასიათის მასალაზეა აგებული. მისი ნაწარმოებების სტრუქტურა, ლიტერატურული კომპოზიცია ნათელი და მკაფიოა, ცხოველმყოფელია მათი იდეური სამყარო.

ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ., ტ. I, თბ., 1989.
2. ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ., ტ. II, თბ., 1990.
3. ი. გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982.

Neli Champuridze
Gori State Teaching University
“KING IRAKLI AND THE INGILO WOMAN” BY JACOB GOGEBASHVILI
RESUME

The theoretical discussion about using historical topics in children's stories is part of Jacob Gogebashvili's critical letters. In 1897 the “Iveria” published an article(issues #61, 62) “Incapacitated Evil”. This letter is a response to the review of the story “King Irakli and the Ingilo Woman” published in the “Kvali”. On the bases of the analysis of historical facts in the above-mentioned story, the usage of historical specificity and its educational function is formulated in literary works. The author notes that he so far managed to reach his goal by this little narrative as the plot does not contradict the Georgian historical facts, customs, psychology of people and the action of historical figures. By presenting this reality the author developed pedagogical and educational directions.

როინ ჭიკაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგრამატიკო თვალსაწიერი იაკობ გოგებაშვილისა

ნაწილი I

იაკობ გოგებაშვილი მარტივი წინადადების წევრთა შედგენილობის შესახებ

ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი არა მხოლოდ „დედა ენის“ განუმეორებელი სახელმძღვანელოს შექმნაში, არამედ ქართული სალიტერატურო ენის მსახურებაში. „იაკობ გოგებაშვილმა, თავისი სახელმძღვანელოების წყალობით, პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება“ (გოგოლაშვილი, 2012, გვ. 10). ამასთანავე, ქართული ენის გრამატიკული სისტემის კვლევისას იაკობ გოგებაშვილი უმთავრესად მართებულ პოზიციას დგას, „პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების შემუშავება-დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით“ (ჭიკაძე, 2005, გვ. 95). სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული მის წერილებში: „საგრამატიკო ბაასი“, „მეორე საგრამატიკო ბაასი“, „საგრამატიკო შენიშვნა“, „პასუხი „კვალის“ რაზმსა“, „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“...

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრამატიკას, როგორც მეცნიერებას. მას გადაუდებლად მიაჩნდა ენის უტყუარ კანონებზე დაფუძნებული გრამატიკის შექმნა და წუხდა, რომ „ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული“-ო (გოგებაშვილი, 1954, გვ. 89). იგი „უგრამატიკო გრამატიკას“ უწოდებს მშობლიურ ენას მოწყვეტილი მშრალი გრამატიკული წესების დასწავლას. მისი აზრით, „გრამატიკა გრამატიკა უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისას“ (იქვე, გვ. 90).

გოგებაშვილმა თავს იდგა ეს უადრესად საპასუხისმგებლო მძიმე ტვირთი და „ენის უტყუარს კანონებზე“ დაყრდნობით შეადგინა „**მოკლე გრამატიკა ქართული ენისა**“, რომლის დაუსრულებელი ხელნაწერია შემონახული. ეს სახელმძღვანელო, მსგავსად „დედა ენისა“, მკაცრად ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა აგებული და შედგება ორი განყოფილებისაგან: განხილვა მარტივი წინადადებისა და განხილვა სიტყვებისა.

ამჯერად განვიხილავთ გოგებაშვილისეულ თვალსაზრისს მარტივი წინადადების შედგენილობის თაობაზე.

იაკობ გოგებაშვილის მართებული დაკვირვებით წინადადებაში წევრებისა და სიტყვების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინაიდან მან იცის, რომ ყველა სიტყვა წევრი არ არის. მისი განმარტებით, წინადადებაში გვაქვს **მნიშვნელობითი** და **დამხმარე** სიტყვები; **მნიშვნელობითია** ის სატყვა, რომელიც თავისი ფუნქციით **წევრია** და წინადადების გარეშე აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა; **დამხმარეა** ის სიტყვები, რომლებიც ეხმარებიან სხვა სიტყვებს აზრის გამოხატვაში, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და არც წევრები არიან წინადადებისა (მანამ, თორემ, და, აღარ...) (გოგებაშვილი, 1962, გვ. 398). გოგებაშვილი აქვე გამოყოფს ისეთ სიტყვებს, რომლებსაც, მართალია, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ მაინც წინადადების წევრები არიან; ასეთებად მას მიაჩნია ნაცვალსახელები: ის, იგი, მან...

საინტერესოა წინადადების წევრთა გოგებაშვილისეული კლასიფიკაცია, რის მიხედვითაც წინადადების წევრები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: პირველი ხარისხის წევრები - **ქვემდებარე** და **შემასმენელი**, მეორე ხარისხის წევრები - **გამმარტავი სიტყვები**, რომელშიც იგულისხმება **შემავესებელი სიტყვები** და **განმავითარებელი სიტყვები**.

შემავესებელ სიტყვებში გოგებაშვილი მოიაზრებს ყველა სახის დამატებას - პირმიმართსაც და უბრალოსაც, განმავითარებელ სიტყვაში კი - ოდენ განსაზღვრებას. მეორე ხარისხის წევრებიდან ცალკე გამოყოფს **გარემოებით სიტყვებს**, რომლებიც, მისი აზრით, „არ არის არც განმავითარებელი და არც შემავესებელი“ (გოგებაშვილი, 1962, გვ. 383).

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისით, მარტივი წინადადების შედგენილობა ასეთია:

პირველი ხარისხის წევრები: **ქვემდებარე** და **შემასმენელი**;

მეორე ხარისხის წევრები - **გამმარტავი სიტყვები**:

ა) **შემავესებელი სიტყვა** (პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატება);

ბ) **განმავითარებელი სიტყვა** (განსაზღვრება);

გ) **გარემოებითი სიტყვანი** (დროისა, ადგილისა, მიზეზისა, მიზნისა, მოქმედებისა ანუ მდგომარეობისა).

მართალია, გოგებაშვილმა უბრალო დამატება პირმიმართ დამატებას გაუტოლა, მაგრამ ეს განაპირობა მისი დროის საგრამატიკო წინარემენიერულმა დონემ.

ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გოგებაშვილი გრძნობს დამატება-ობიექტების მორფოლოგიურ და სინტაქსურ ძალას, რითაც თითქმის ქვემდებარეს უტოლებს (იხ. წერილები: „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ“, „ორი აზროვანი კილო ჩვენს პრესაში“...).

იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი წინადადების წევრთა შედგენილობის თაობაზე არსებითად მართებულია, ვინაიდან, მისი აზრით, წინადადების სისრულე-უსრულობას განაპირობებს მთავარი წევრები, ხოლო გავრცობა-გაუვრცობლობას - არამთავარი წევრები. იაკობი განმარტავს: „იმ წინადადებას, რომელშიც არის ქვემდებარე და შემასმენელი, ეწოდება სრული წინადადება“; „იმ წინადადებას, რომელსაც აკლია ან ქვემდებარე და ან შემასმენელი, ჰქვია უსრული წინადადება“ (გოგებაშვილი, 1962, გვ. 386). აქედან გამომდინარე, „რომელ წინადადებაშიც მარტო ქვემდებარე და შემასმენელია, იმას ჰქვია მოკლე წინადადება“ (ე.ი. გაუვრცობელი. რ. ჯ.), „რომელი წინადადებაც გამმართავ სიტყვებსაც იპყრობს, იმას უწოდებენ ვრცელ წინადადებას“ (ე.ი. გავრცობილს. რ. ჯ.) (იქვე, გვ. 380).

მით უფრო მნიშვნელოვანია გოგებაშვილის ეს პოზიცია, რამდენადაც თანამედროვე ენათმეცნიერებაშიც კი ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, ავ. დავითიანი...).

ამრიგად, მარტივი წინადადების შედგენილობის კვლევისას იაკობ გოგებაშვილი არსებითად მართებულ პოზიციაზე დგას, პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით.

ლიტერატურა:

1. **ი. გოგებაშვილი**, „საგრამატიკო ბაასი“, თხზულებანი, ტ.2, თბილისი, 1954.
2. **ი. გოგებაშვილი**, ბურჯი ეროვნებისა, თხზულებანი, ტ.2, თბილისი, 1954.
3. **ი. გოგებაშვილი**, მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1962.
4. **გ. გოგოლაშვილი**, ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012.
5. **რ. ჭიკაძე**, სინტაქსის საკითხები იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ ნააზრევში, თესაუ შრომები, N2 (18), 2005.

Roin Chikadze
Iakob Gogebashvili Telavi State University
IAKOB GOGEBASHVILI'S GRAMMATIC POINT OF VIEW
PART I
IAKOB GOGEBASHVILI ABOUT MEMBERS OF THE SIMPLE SENTENCE STRUCTURE
RESUME

Iakob Gogebashvili was the prominent representative of the national-liberation movement, the great teacher, educator and public figure of the sixties of the nineteenth century. He aimed to establish native language in studying process, also to protect purity of the Georgian language and promote study-investigation of its grammatical structure. He dedicated a lot of special articles, letters and books. One of the handwritten guidebook is preserved – “Brief Grammatik of Georgian Language”, the first section “A simple review of the proposal”.

In this section Gogebashvili discusses composition of the simple sentence and generally he makes accurate analysis, though his grammatical ideas were not be expended beyond linguistic thinking level of his epoch.

Iakob Gogebashvili has mainly correct position on reviewing a simple sentence. The point is that he is fundamentally contrary to the research of grammatical system of the Georgian language according to the structure of foreign languages. He requires establishing internal laws of language which would be based on nature and character of the native language.

ქეთევან ჭკუასელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პედაგოგიკის ინსტიტუტი

პედაგოგიკის მეცნიერება და განათლების რეფორმა საქართველოში - საკითხის დასმისთვის

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ძვრები სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს განათლების პროცესებს. საჭირო გახდა ისეთი ადამიანის მომზადება, რომელიც გაუმკლავდება სწრაფად მზარდი ეკონომიკის მოთხოვნებს, ექნება მრავალმხრივი უნარები და შეძლებს საკუთარი ცოდნის ადაპტირებას არსებული რეალობის დაკვეთების შესაბამისად. მაშასადამე, ძირეულად შეიცვალა განათლების ვექტორი და მან, ცოდნასთან ერთად, სერიოზული ორიენტაცია ცხოვრებისათვის საჭირო საბაზო უნარების განვითარებაზე აიღო. სწავლის შედეგისადმი ამგვარი მოთხოვნები, ბუნებრივად იწვევს პედაგოგიკის მეცნიერების ახლებურად გააზრების საჭიროებას, ძირეული ტრადიციული ხაზის შენარჩუნებასა და მის გამდიდრებას ინოვაციური ხედვებითა და მიდგომებით, სხვადასხვა მეცნიერის მონაპოვრების მიზანმიმართული გაზიარებით. სწორედ ამ მოვლენებისა გამო, თანამედროვე მსოფლიოში სერიოზული ყურადღება ექცევა განათლების პროცესებს, განათლებისა და სწავლების თეორიის - დიდაქტიკის - მიზნებისა და ამოცანების დახვეწას, სწავლების თანამედროვე თეორიებისა და ტექნოლოგიების შემუშავებას. ეს ყოველივე, ნათელია, განათლების ხარისხზე, განათლების საბაზრო დაკვეთაზე და მოსწავლეზე ორიენტირებულობითაა ნაკარნახევი. ამ მასშტაბური გადასინჯვის, გადაფასების პროცესში, პროცესმა აბსოლუტურად ნოვაციური ხასიათი შეიძინა და პედაგოგიკის მეცნიერებას სავსებით გადახალისებული შინაარსი და, ამავდროულად, ტერმინოლოგიური ბაზა შესთავაზა.

მსოფლიოში მიმდინარე განათლების ტენდენციებს არც საქართველო გამოკლებია, და მოყოლებული 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა სივრციდან გამოსვლის შემდეგ, ჩვენი ქვეყანაც აქტიურად ჩაერთო რეფორმირების პროცესში. აქვე, ორიოდ სიტყვით, ხაზი უნდა გაუვსვდეს საქართველოში ამ მიმართებით შექმნილ ვითარებას.

ცნობილია, რომ ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებლად იაკობ გოგებაშვილი ითვლება. ეს მეცნიერება საქართველოში თითქმის ას ორმოცდაათ წელს ითვლის. მის სათავედ, თამამად შეიძლება ჩაითვალოს მე-19 საუკუნის სამოციანი წლები, როდესაც ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თაოსნობითა და ქართველი ინტელიგენციის თანადგომით, შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. საზოგადოების წევრებმა უდიდესი ძალისხმევით ფასად

საფუძველი ჩაუყარეს ქართულ პედაგოგიკურ პერიოდულ პრესას, სადაც, უმდიდრესი პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზისა და იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პედაგოგიკური ძვრების განხილვის პოზიციებიდან, გაახმოვანეს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ყველა ძირეული საკითხი. ამავე პერიოდს ემთხვევა ილია ჭავჭავაძის მიერ პედაგოგიკის პირველი ქართული სახელმძღვანელოს გამოცემა. პედაგოგიკის სასწავლო კურსი საქართველოში პირველად 1865 წელს შემოიტანა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა. კურსს კითხულობდნენ ბესარიონ დოღობერიძე და შემდგომ, 1897 წლამდე, ნიკო ცხვედამე.

მას შემდეგ არა ერთი სახელოვანი მოღვაწე და მეცნიერი აღუზრდია ამ სკოლას, რომელმაც, მიუხედავად საბჭოთა რეჟიმისა, სერიოზული კვალი დატოვა ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ჩამოყალიბებაზე. მეცნიერების სისტემურობაზე, უპირველეს ყოვლისა, მისი გამართული მეცნიერული ტერმინოლოგიური აპარატი მეტყველებს, რომელიც, ცხადია, მეცნიერების ცნებითი კატეგორიების სიღრმისეული და ადეკვატური განსაზღვრების მაჩვენებელია. საქართველოში ნებისმიერი მეცნიერების და, მათ შორის, პედაგოგიკის მეცნიერების ტერმინოლოგიური და ცნებითი კატეგორიები, ფაქტობრივად, რუსული ენის ზეგავლენით შექმნილ ხელოვნურ და, ზოგ შემთხვევაში, კალკირებულ ხასიათსაც კი ატარებდა, მაგრამ ამის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებას, მართალია, საბჭოთა თარგზე მორგებული, მაგრამ მაინც **საკუთარი მეცნიერული ტერმინოლოგია, და, მაშასადამე, მეცნიერული ცნებითი კატეგორიები გააჩნდა**, რაც ქართველ მეცნიერთა სერიოზული ძალისხმევის შედეგი იყო.

საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოში სხვადასხვა დარგში დაიწყო საკუთრივ ქართული სახელმწიფოსათვის მისაღები სისტემების და, მათ შორის, განათლების სისტემის შექმნა. მაგრამ ქართველ ხალხს დამოუკიდებელი ცხოვრების გამოცდილება, სამწუხაროდ, არ გააჩნდა და ქვეყანა უმძიმესმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოში დონორი ორგანიზაციების შემოსვლა, რომლებმაც ქვეყანა რეალურად გამოიყვანეს უმძიმესი კრიზისიდან, მაგრამ, ამავე დროს, შემოიტანეს ახალი, მანამდე უცნობი, ქართული კულტურისაგან სრულიად განსხვავებული კულტურა, რომლის ადაპტირება ქართულ ეთნოფენომენტთან, სამწუხაროდ, არავის უცდია. ამ პროცესმა, ფაქტობრივად, შეცვალა ქართული მეცნიერული აზროვნების წესი, ქართული მეცნიერულ-ტერმინოლოგიური აპარატი ჩაანაცვლა უცხოურით, და, რაც ყველაზე მთავარია, ეს ტერმინოლოგია შეიქმნა არასპეციალისტი, პროფესიულ სფეროში გაუთვინცობიერებული, მხოლოდ უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდა თაობის მიერ, რომელთაც გამოცდილება თარგმანის სფეროშიც კი არ გააჩნდათ. მეცნიერების ტერმინოლოგიური აპარატი სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერული ცნებები და კატეგორიები. მაშასადამე, როდესაც ტერმინოლოგიაზე ვსაუბრობთ, ფაქტობრივად, მეცნიერების შინაარსზე ვამახვილებთ ყურადღებას. უცხოური ტერმინოლოგიის შემოტანამ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში რეალურად შემოიტანა სხვა ქვეყნების საჭიროებები და პრობლემები განათლებისა და აღზრდის პროცესში და არავინ დაფიქრებულა საკუთრივ საქართველოს პრობლემებზე ამ მიმართებით, პედაგოგიკური მეცნიერებისა და პედაგოგიური პრაქტიკის მიზანმიმართულ, ქართულ ფსიქო-გენეტიკურ თავისებურებებთან შესატყვის განვითარებაზე. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა, მაგ., „გონებრივი იერიში“, „კრეატიული აზროვნება“, „სწავლების სტრატეგიები“, „განათლების მენეჯმენტი“, „მასწავლებელი ფასილიტატორი“, „ტრენინგი“, „სერტიფიცირება“ და სხვ. ბუნებრივია, ყოველივე ამას მოჰყვებოდა შედეგი და მოჰყვა კიდევ - ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართული მეცნიერებისა და ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის, ქართული საგანმანათლებლო სივრცის არამეცნიერულობა და არააკადემიურობა. ქართული საგანმანათლებლო სივრცე სრულად დაიპყრო უცხოურმა პედაგოგიურმა ტერმინოლოგიამ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ მომხდარა მისი შესატყვისობა არა თუ ქართულ სოციალურ სინამდვილესთან, არამედ არ მომხდარა ამ ტერმინთა ქართული მეცნიერული შესატყვისი ტერმინების დადგენაც კი. *ხშირია, როდესაც ქართულ საგანმანათლებლო წერით და ზეპირ მეტყველებაში იდენტური შინაარსის შემცველი ტერმინებით სხვადასხვა ცნების განსაზღვრება ხდება, ან ტოლფასოვანი მეცნიერული შინაარსის ტერმინები განსხვავებული დეფინიციითაა მოხსენებული ერთი და იმავე დოკუმენტის ფარგლებში, არ არსებობს მეცნიერთა ერთიანი შეჯერებული აზრი სამეცნიერო კვლევების თუ პუბლიკაციების დროს გამოყენებული ტერმინების შესახებ, ხშირია უცხოური ტერმინების კალკირება, მაშინ, როდესაც არსებობს მისი ქართული შესატყვისობები.* საგანმანათლებლო სივრციდან კი, ბუნებრივია, პედაგოგიკურ ცნებათა და ტერმინთა აუარებელი რაოდენობა, სპონტანურად, ყოველგვარი მეცნიერული გააზრებისა და შეფასების გარეშე შემოვიდა და დამკვიდრდა პედაგოგიკურ მეცნიერებაში. ხაზგასმითაა აღსანიშნავი ერთი უმთავრესი დეტალიც - აღნიშნულმა ცვლილებებმა არსებული სისტემის მოდელის გადაწყობაც მოითხოვა, რაც საკანონმდებლო ნორმატიკის ცვლილებებსა და, ზოგ შემთხვევაში, ახლიდან შემუშავებას მოითხოვდა. საკანონმდებლო ბაზის შექმნისას, ახლებურ მოდელზე გადასვლისას,

რა თქმა უნდა, საჭირო გახდა შესაფერი, ინოვაციური ტერმინოლოგიური ბაზის შექმნაც, რათა მისი შინაარსი რელევანტური ყოფილიყო უცხოურ დოკუმენტთა ენისა. მაგრამ განათლების სისტემის მმართველი ოფიციალის მიერ ამ ტიპის ლექსიკური და შინაარსობრივი ბაზის განხილვისა და ქართული რეალობის შესატყვისი ბაზის შექმნის საკითხი არც კი დასმულა და ეს მეცნიერულად შეუფასებელი შინაარსობრივ-ტერმინოლოგიური ბაზა, დაჩქარებული წესით, პირდაპირ იქნა ჩატანილი საკანონმდებლო დონეზე, რაც, დაგვეთანხმებით, ოფიციალის მიერ გადადგმული დაუფიქრებელი და არააკადემიური ნაბიჯი იყო. ამ პროცესის დაჩქარებული წესით გავლამ პროფესიულ საზოგადოებას არ დაუტოვა საშუალება არათუ ამ ტერმინთა მეცნიერული შინაარსის გააზრებისა, არამედ ოდენ ლექსიკურ დონეზე განხილვისაც კი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის შედეგად აღზრდისა და სწავლების საფუძვლად, მათ შემსწავლელ მეცნიერებად, ნაცვლად პედაგოგიკისა, ფსიქოლოგიური თეორიები იქნა აღიარებული. არავინ დავობს იმ საკითხზე, რომ პედაგოგიკის მეცნიერება ბავშვის აღზრდის პროცესში ეყრდნობა ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ანატომიის და სხვა მეცნიერებების მონაპოვრებს, მაგრამ ყველა ამ მეცნიერებას საკუთარი კვლევის საგანი გააჩნია და ვერც ერთი მათგანი ვერ შეასრულებს თავად პედაგოგიკის მეცნიერების ფუნქციებს. სწორედ პედაგოგიკის მეცნიერებამ, მისი მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვიტოს, როდის, რომელ სიტუაციაში და როგორ გამოიყენოს ამა თუ იმ მეცნიერების მონაპოვარი და არა რომელიმე სხვა მეცნიერებამ, თუნდაც პედაგოგიკისათვის ისეთმა მნიშვნელოვანმა მეცნიერებამ, როგორიცაა ფსიქოლოგია. რჩება შთაბეჭდილება, რომ რეფორმის მესვეურები არ დაფიქრებულან ამ საკითხებზე და მხოლოდ მათთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურით სარგებლობდნენ. სამწუხაროდ, ამ ვითარებას მხოლოდ რეფორმას ვერ დააბრალე. თავად პედაგოგიკის მეცნიერებაც ვერ იდგა სათანადო დონეზე, არ აწარმოებდა სერიოზულ მეცნიერულ კვლევებს, შორს იდგა პრაქტიკისაგან და, ბუნებრივია, მას ვერ ექნებოდა სერიოზული პრეტენზიები ამ პროცესების მიმართ.

რა თქმა უნდა, ახალი, საბჭოთა სივრცისაგან სრულიად განსხვავებული, ხედვები და მიმართებები ცალსახად საჭირო და დროული იყო პედაგოგიკის მეცნიერებისა და, შესაბამისად, განათლების სისტემისათვის, მაგრამ მათმა სპონტანურმა და სწრაფად, გაუაზრებლად დამკვიდრების ხასიათმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი გარკვეული ნეგატიური შედეგიც მოიტანა - სისტემამ განსაკუთრებული კონტროლის, მეცნიერული შესწავლის გარეშე მიიღო საზღვარგარეთული გამოცდილება. სიახლე გაუაზრებლად, ქართულ ეთნო-კულტურულ რეალობასთან ადაპტირებისა და შესაბამისობის გათვალისწინების გარეშე შეეხო როგორც განათლების შინაარსობრივ მხარეს, ისე მის ფორმატიკასაც. უცხოური გამოცდილების ამ ფორმით გადმოტანა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ცხადია, ვერ განსაზღვრავდა განათლების ხარისხის ზრდას და ასეც მოხდა. საერთაშორისო კვლევების შედეგად, წერა-კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგანთა ცოდნის დონის მიხედვით, საქართველოს მოსწავლეები მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილებზე იმყოფებიან. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ განათლების რეფორმა, რომელსაც ქართული საზოგადოება, და განსაკუთრებით პროფესიული საზოგადოება ასე ელოდა, თავის უდიდეს ნაწილში მარცხით დამთავრდა. მიზეზები, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ უპირველესი, ალბათ, ის არის, რომ იგი არ ემყარებოდა მეცნიერულ პედაგოგიკურ კვლევას, არ ითვალისწინებდა ამჟამინდელ ქართულ სოციალურ სინამდვილეს და ქართულ კულტურულ-გენეტიკურ თავისებურებებს.

განათლების სამინისტრომ განათლების რეფორმა თითქმის სისტემური ცვლილებებით დაიწყო - განათლების კანონიდან, განათლების ეროვნული მიზნებიდან, სასწავლო გეგმიდან და ბოლოს, სახელმძღვანელოთი დამთავრებული, მაგრამ არც ერთი ეს დოკუმენტი არ იყო გათვლილი ქართული სკოლის და ქართული სახელმწიფოს განვითარების საჭიროებებზე. არავის გაუთვალისწინებია ის გარდამავალი ეტაპი, რომელიც უნდა გაეწეო ქართულ, და ფაქტობრივად საბჭოურ, საგანმანათლებლო სისტემას იმისათვის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით დაეკავებინა ღირსეული ადგილი მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში და, ამასთან ერთად, ისე, რომ არ დაეკარგა საკუთარი ღირებულებები და ტრადიციები. განათლების რეფორმა, ფაქტობრივად, ჩატარდა უცხოური კანონების, სასწავლო დოკუმენტაციების და სწავლების ტექნოლოგიების ფორსირებული, ფასადური გადმოტანით საგანმანათლებლო სივრცეში, რაც, ბუნებრივია, არ და ვერ მიიღო ქართულმა საზოგადოებამ და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართული სკოლა საერთოდ დაიშალა. ეს პროცესი კი, ბუნებრივია, პირდაპირ მოქმედებს უმაღლეს სკოლაში სწავლების ხარისხზე, და საბოლოოდ, ქვეყნისათვის პროფესიონალი კადრის მომზადებაზე.

დღეს საქართველოს განათლების სისტემა კვლავ ახალი რეფორმის წინაშე დგას. იქმნება მასწავლებლის სტანდარტის ახალი ვარიანტი, სკოლის მართვის ახალი მოდელი და სხვა დოკუმენტები. მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კვლავ არსად ფიგურირებს პედაგოგიკის მეცნიერება. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს კვლავ ფსიქოლოგების ჯგუფი ქმნის და არავინ დაფიქრებულა იმ

ფაქტზე, რომ მასწავლებელს პედაგოგი ჰქვია და მოთხოვნები პედაგოგისადმი, უპირველესად, პედაგოგიკის სპეციალისტმა, ადამიანმა, რომელსაც აქვს გაკვეთილის ჩატარების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, უნდა შეიმუშაოს, და მასწავლებლის სტანდარტის შემქმნელ ჯგუფში, თუნდაც ამ მიდგომის გამო, ერთი ადამიანი მაინც უნდა მოიაზრებოდეს პედაგოგიკის სფეროდან. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ამგვარი ნაბიჯები ვერაფრით შეუწყობს ხელს საქართველოში პედაგოგის პროფესიისადმი მოტივაციის აღდგენას, ამ პროფესიის პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნული აშკარად მოითხოვს ქართული პედაგოგიკური პროფესიული საზოგადოების მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას. ამდენად, პედაგოგიკური მეცნიერების წინაშე გარდუვალად დადგა საკითხი განათლების სფეროში არსებული პრობლემების მეცნიერული შესწავლისა და ანალიზისა, განათლების სფეროსადმი სისტემური და მეცნიერული მიდგომისა და იმ კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრისა, რომელიც თანადათანობითი, რუდუნებითი მეცადინეობითა და ძალისხმევით გამოასწორებს არსებულ ვითარებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ლიტერატურა:

1. თ. კარანაძე, განათლების რეფორმა, პედაგოგიკა, ჩვენ და სამინისტრო, მოამბე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, 2012, გვ. 177-181
2. რ. ბალანჩივაძე, რეფორმა და პიროვნების ფორმირების პრობლემა, მოამბე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, 2012, გვ. 182-188
3. საერთაშორისო კვლევების ანგარიშები - მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, წიგნიერება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2013.

Ketevan Chkuaseli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Pedagogy

THE ISSUE OF PEDAGOGY AND EDUCATION REFORM IN GEORGIA RESUME

The article is an attempt to analyze the reasons of failure and lack of success of the educational reform of 2004-2012 in Georgia. In the writer's opinion, the main causes of carrying out the reform at low quality should be identified in the following areas:

- Ignoring the data of the pedagogical science by the reformers;
- Not envisaging the transition stage in the reform process and carrying out the reform in an accelerated manner;
- Not taking into consideration national and psycho-genetic peculiarities as well as needs of the Georgian society and carrying over foreign documents to the Georgian educational space without respective adaptation.

The author sees the way out of the given situation in studying and analyzing the existing problems scientifically and carrying out the reform process based on the data of pedagogical sciences.

იოსებ ჭუმბურიძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დედაენა და „დედაენები“

ყოველთვის, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძის ერთი სტატია მახსენდება – პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუში. სტატიას „ჩვენი საუნჯე“ ჰქვია.

„ჩემს ოჯახში, – წერს ნ. დუმბაძე, – ერთი უძვირფასესი წიგნი-რელიკვია ინახებოდა. ეს წიგნი გოგებაშვილის „დედაენა“ გახლდათ, „დედაენა“, რომლითაც ჩემი დედა სწავლობდა... იგი შელოცვილი აკვანივით გადადიოდა თაობიდან თაობაში და ისე იყო გაცრეცილი, ფურცელ-ფურცელ დაშლილი და ათასჯერ დაკაბადონებული, რომ ძალაუნებურად მოითხოვდა უაღრესად სათუთ და სათნო მოპყრობას. სწორედ ეს „დედაენა“ წავილე თან, 1968 წელს ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად თურქეთში რომ გავემგზავრე...“

ქ. ბურსაში მწერალს შეხვდება ერთი შავთვალწარბა ბიჭი, რომელსაც თარჯიმნის საშუალებით გაესაუბრება.

– გურჯი ვარო, – ეტყვის ბიჭი.

– ქართული რატომ არ იცი? – უსაყვედურებს მწერალი.

“ნენეი მომიკვდა” – ამ ორ სიტყვას ბიჭი უკვე ქართულად წარმოსთქვამს.

გულაჩუყებული მწერალი ბიჭს სასტუმროში წაიყვანს, იმ სანუკვარ „დედა ენას“ აჩუქებს და ეტყვის: „შენია, წაილე, ოღონდ ისწავლე“.

„თავი დამიქნია, გამიღიმა და წაიღო. წაიღო და ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს ჩემი დედა ვაჩუქე და ის მისი მკვდარი დედა გავუცოცხლე“.

უამრავი აღმატებული ეპითეტი და შეფასება თქმულა და დაწერილა „დედა ენაზე“ (ბატონმა გიორგი გოგოლაშვილმა მათ თავი მოუყარა და „დედაენის“ აპოლოგია უწოდა), მაგრამ, ეს, ალბათ, მაინც გამორჩეულად ამაღელვებელია.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ფასი ყოველთვის იცოდნენ, მაგრამ მას ასევე ყოველთვის ებრძოდნენ.

საუბედუროდ, ეს ბრძოლა ჩვენს დროშიც გრძელდება.

ამ ბრძოლის შედეგი კი შემაშფოთებელია: იაკობის „დედა ენა“, ფაქტობრივად, გაძევებულია ქართული სკოლიდან.

დღეს არცთუ იშვიათად მოკრავთ ყურს მკრეხელურ აზრს იმის შესახებ, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მოძველდა და კომპიუტერისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქას აღარ შეეფერება. ამ უგუნური აზრის გამომთქმელთ „ავიწყდებათ, რომ კომპიუტერს არ აქვს ყველაზე მთავარი – სული და მით უმეტეს ეროვნება. იაკობის „დედა ენა“ ჩვენს ყმაწვილებს სწორედ სული და ეროვნება უნდა შეუნარჩუნოს.

და აქ კიდევ ერთი ფრაგმენტი უნდა მოვიხმო ნოდარ დუმბაძის ზემოხსენებული სტატიიდან.

„აუწონელი და ფასდაუდებელი განძი დევს „დედაენაში“ – ამ პატარა წიგნში, მაგრამ გასაოცარი ეს კი არ არის, გასაოცარი ის გახლავთ, რომ ამ საგანძურს, წინააღმდეგ მსოფლიოში არსებული ყველა კანონისა, მსოფლიოში ყველაზე უმარტივესი, ყველასათვის ხელმისაწვდომი, სულ ორი ხმოვანისაგან შემდგარი და ჩამოსხმული ულამაზესი ოქროს გასაღები ადევს – ია.“

ამ გასაღებით ყველას შეუძლია ისარგებლოს...

აკი აწერია კიდევაც თავფურცელზე:

აი ია...

მობრძანდით, აიღეთ, გახსენით ეს სიბრძნის საღარო და იგი თქვენია“.

საუბედუროდ, დღეს ამ გასაღებით სარგებლობა ყველას არ შეუძლია. მაგალითად, იმ პირველკლასელებს, რომელთა სკოლების მესვეურები მათთვის იმ „დედაენას“ აირჩევენ, ოთხი ავტორი რომ ჰყავს: **გ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე და ქ. თოფაძე.**

მის თავფურცელზე ისინი **იას** ვერ ნახავენ. მათი „დედაენა“ „არწივით“ დაიწყება. ნახატს შეხედავენ, მაგრამ სიტყვას ვერ წაიკითხავენ, რადგან ხუთ ასო-ბგერას ერთდროულად ვერ ისწავლიან.

წლების წინათ ეს „დედაენა“ კიდევ უარესი იყო. „აკვარიუმით“ იწყებოდა. ჩვენი ბრძოლის შედეგად, „აკვარიუმი“ მეორე ადგილზე გადასწიეს. მესამე სიტყვა „აქლემია“, მეოთხე – „იხვი“, „ია“-ს კი მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგო.

ამ გაუკეთესებულ „დედაენაშიც“ კი ნახატზე, რომელიც ქართული ანბანის პირველ ასოს ახლავს, კვლავ **აკვარიუმი**ა გამოსახული.

ეს „დედაენა“ იმდენად შორსაა ნამდვილი „დედა ენისაგან“, რომ ესეც კი ვერ მიუთითეს:

„იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“.

აქ ნახავთ ტექსტს, რომელსაც „იაკობის სტუმარი ჰქვია“ (გვ. 132).

წიგნის ბოლოში მითითებულია, რომ „სარჩევში ავტორების დაუსახელებლად წარმოდგენილი ტექსტები ეკუთვნით სახელმძღვანელოს შემდგენლებს“ (აქ ერთი წინააღმდეგობაა: თუ შემდგენლები არიან, მათი სახელ-გვარები ავტორებად რატომ აწერია სახელმძღვანელოს?).

ეს ტექსტიც ხელმოუწერელია.

შინაარსი ასეთია: პატარა ქრისტიანე დედას იაკობ გოგებაშვილთან მიჰყავს სტუმრად.

„ლექსი თუ იცი? – ჰკითხა მან გოგონას.

ქრისტიანე სხაპასხუპით ჩაარაკრაკა ლექსები.

აი, ყოჩაღ! შეაქო იაკობმა ქრისტიანე და სახეზე ღიმილი გადაეფინა“.

მოთხრობას (ვუწოდოთ ასე!) ბოლოში დართული აქვს შეკითხვები. ერთ-ერთი ასეთია:

„ვინ შეუდგინა ქართველებს პირველი დედაენა?“

აი, სად გაიყიდნენ და გაიშიფრნენ ავტორები:
 თურმე, იაკობს პირველი დედაენა შეუდგენია.
 მომდევნოები კი მათ შეუდგინეს პატარებს.
 ეს იგივეა, ასეთი კითხვა რომ დავსვათ:
 ვინ დაუწერა ქართველებს პირველი „ვეფხისტყაოსანი“?
 „დედაენა“ ერთია და ის მხოლოდ იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის.
 მისი მითვისება დანაშაულია.

დღეს ჩვენს სკოლებში პირველკლასელთა სახელმძღვანელოდ სამი „დედაენა“ გრიფირებული: ერთ მათგანზე უკვე ვსაუბრობდით. მეორეა **ნინო გორდელაძისა და გვანცა ჩხენკელის** „დედა ენა“ (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მესამე კი „დედაენა“, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შეადგინეს **ნათელა მაღლაკელიძემ და ელენე მაღლაკელიძემ**.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გაითვალისწინა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების კონფერენციაზე, მათ შორის ჩემს მოხსენებაში წარმოდგენილი მწვავე კრიტიკა და ახალი გრიფირების მოსაპოვებლად საგრძნობლად გაუმჯობესებული „დედაენა“ წარადგინა.

მასში აღარ გვხვდება ადრინდელი კურიოზული – ტექსტები ვარდებზე, შადრევნებსა და თვითმფრინავებზე, ყმაწვილებს აღარც ც. ხოცუაშვილის ლექსებს ასწავლიან. საანბანე გაკვეთილებიც, ძირითადად, იაკობის „დედაენას“ მისდევს.

იგივე შეიძლება ითქვას მაღლაკელიძეების მიერ შედგენილ „დედაენაზე“.

მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

არავისა აქვს უფლება, იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო მიისაკუთროს!

რაც მთავარია, სკოლაში უნდა დაბრუნდეს არა გოგებაშვილის მიხედვით თუნდაც კეთილსინდისიერად შედგენილი სახელმძღვანელო, არამედ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“ – იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

ვინაიდან, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მრავალწლიანი ძალისხმევით შედეგად, „დედა ენას“ ანუ ქართულ ენაზე საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, თამამად შეგვიძლია დავსვათ საკითხი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, როგორც გამონაკლისი, გამოცხადდეს უალტერნატივო სახელმძღვანელოდ.

უხერხულია, იაკობ გოგებაშვილს ვინმე თავს უტოლებდეს, უფრო მეტიც, მისგან განსხვავებით, თავს დედაენის არათუ შემდგენლად, ავტორად აცხადებდეს.

ეს მკრეხელობა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს.

Ioseb Chumburidze

David Aghmashenebeli University of Georgia

“DEDA ENA” (“MOTHER LANGUAGE”) AND MULTIPLE “DEDA ENA” RESUME

Nowadays, in Georgian elementary schools three textbook are approved for the first grade students:

1. Nino Gordeladze, Gvantsa Chkhenkeli, “Deda Ena” (“Mother Language”) after Iakob Gogebashvili;
2. Natela Maghlakelidze and Elene Maghlakelidze composed “Deda Ena” after Iakob Gogebashvili;
3. V. Rodonaia, M. Mirianashvili, L. Vashakidze, K. Topadze – “Deda Ena”;

The third textbook is so far from a real “Deda Ena”, that the authors even could not indicate that it was composed after Iakob Gogebashvili. This version of “Deda Ena” begins with “Artsivi” (eagle) instead of “Ai Ia” (“this is a violet”), several years ago, it used to begin with “Aquarium”. Now “aquarium” is on the second place, the third word is “Aklemi” (“camel”), the forth is “Ikhvi” (duck) and “Ia” (violet) is only on the fifth place.

By the afford of Iakob Gogebashvili society “Deda Ena” above mentioned for the first time, looks much better, published by Bakur Sulakauri Publishing House. At a glance we cannot have serious complaints against “Deda Ena” by Maghlakelidzes, but the problem still remains.

This problem includes two aspects:

1. No one has rights to violate the copyright and declare him/herself the author of “Deda Ena” by Iakob Gogebashvili;
2. Most importantly, “Deda Ena” composed by Iakob Gogebashvili should be returned to schools and not “Deda Ena” after him.

ზმნისწინი, როგორც ზმნის სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი

ცნობილია, რომ ზმნისწინი პოლიფუნქციური მონაცემია. იგი აღნიშნავს მიმართულებას, გამოხატავს გეზსა და ორიენტაციას, აწარმოებს მომავალ დროს, სრულ ასპექტს, ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას. ზოგჯერ ზმნისწინი რამდენიმე ფუნქციას ასრულებს ერთდროულად: გამოხატავს გეზს, ორიენტაციას, მომავალ დროსა და სრულ ასპექტს (*შევა, მიცურდება, გადმოიტანს...*).

ზმნისწინის ფუნქციებიდან პირველადია მიმართულების აღნიშვნა, რომელსაც უკავშირდება გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა; დასრულებული სახით მოქმედების გამოხატვა და მომავალი დროის წარმოება კი ზმნისწინის შედარებით ახალი ფუნქციებია. რაც შეეხება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას, ეს ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ფუნქციაა.

ზმნების დიდ ნაწილში ზმნისწინების დართვით ფუძისეული შინაარსი იცვლება ან განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსს იძენს. იმდენად მრავალფეროვანია ეს ნიუანსები, რომ მათი სრულად წარმოჩენა თითქმის შეუძლებელია.

ზოგჯერ სხვადასხვა ზმნისწინის დართვით საპირისპირო მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებს ვიღებთ: მიართვა – წაართვა, წააგო – მოიგო, გაიყარნენ – შეიყარნენ. . .

განსხვავებული ლექსიკური ერთეულები გვაქვს, როდესაც ზოგ ზმნურ ფუძესთან გვხვდება ზმნისწინი როგორც ძველი ფორმით, ისე გამარტივებული სახით: განადიდა – გაადიდა, განაწყო – გააწყო, აღდგა – ადგა... “ის, რომ ზმნისწინის ფონეტიკური ვარიანტები მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქციით გამოიყენება, ქართულისათვის დამახასიათებელი უნიკალური მოვლენაა, რომლითაც ენა გარკვეულ ეკონომიურობას აღწევს: მინიმალური ფორმობრივი საშუალებებით მოცემულია მაქსიმალური ფონეტიკური გამომსახველობა” (ბ. ჯორბენაძე, 1985, 90).

ზმნისწინის დართვით გამოიხატება აგრეთვე მრავალ ობიექტზე სათითაოდ შესრულებული მოქმედება (თითოობის და- ზმნისწინით: დათალა ფიცრები, დააცხო ხაჭაპურები. . .); სუბიექტის სიმრავლე (დაიზარდნენ, დამღნენ...); რაიმე საგნის ირგვლივ, გარშემო მიმდინარე მოქმედება (შემოაკურა, შემოღობა, შემოახია...); მოქმედების ნაკლები ინტენსივობით შესრულება, “სიცოცხვე-სიმცირე” (მოიზარმაცებს, მოისულულებს, წაითამაშებს, წაიტირებს, შეთვრა, შემსუბუქდა...). მკვლევართა აზრით, ზმნისწინს უკავშირდება ასევე უნებლიე მოქმედების გამოხატვა ზმნაში (ა. ფოცხიშვილი, 1969, 153) და ზმნის პირიანობის ცვლა (თ. მახარობლიძე, 2009, 124).

ზოგადად, ზმნისწინების შერჩევის საკითხი დამოკიდებულია როგორც ზმნის, ისე ზმნისწინის სემანტიკაზე, გარკვეული თვალსაზრისით, კონტექსტზეც და კონკრეტული შემთხვევები ხშირად ცალკე მსჯელობას მოითხოვს.

განვიხილავთ ზოგ ასეთ შემთხვევას. კერძოდ, ზოგჯერ ზმნის ფუძით გამოხატულია გარკვეული ხმიანობა, მაგრამ ზმნისწინის დართვით ზმნა მოძრაობის სემანტიკასაც იძენს: დაბზუის (მოძრაობს და ბზუის, მოძრაობისას ბზუილის ხმას გამოსცემს), მილაპარაკობს (ლაპარაკით მიდის), მიიმღერის (მიდის და თან მღერის), მიჩხრიალებს (ჩხრიალით მიდის, მიედინება), მირახრახებს (რახრახით მიდის) და სხვ. ასეთი ზმნები მხოლოდ ზმნისწინის მეშვეობით გამოხატავენ სივრცეში გადაადგილების შინაარსს.

ხმიანობის გამოხატველი ზმნების გარდა ზმნისწინების მეშვეობით მოძრაობის, გადაადგილების სემანტიკა წარმოჩნდება ნასახელარ ზმნეშიც. ასეთი ფორმები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება დიალექტებში. მოვიყვანთ ზოგ მაგალითს:

“ამირან, დევი ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა” (ჩასაუბრობენ – საუბრით მიდიან თავდადმართში, ხალხური შემოქმედება, I);

“გადმოეშველა მეცხვარე, ეჭირა შინდის კავიო” (გადმოეშველა – გადმოვიდა და მიეშველა, სამცხ., შ. ძიბიგური, 1974);

“შე ჩემიდან ამოვჭაჭვავ, შენ – შენიდან” (ამოვჭაჭვავ – მუჭით ამოვიღებ, ზემოქარ., შ. ფუტყარაძე, 1993);

“სუ იქ ამოხროვდებიან სუყველანი” (ამოხროვდებიან – ხროვად, გუნდად ამოვლენ, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006);

“გამოჩოჩდებოდა კარებზე, გამომზიგულდებოდა, ითბობდა ბებერ ძვლესა” (გამომზიგულდებოდა – მზეზე გამოვიდოდა, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006.);

“ნახირი რო ჩამაივლის, სუ ჩვენ კარებზე მოჯოგდებიან ხომე” (მოჯოგდებიან – მოგროვდებიან ბევრნი, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006);

“მაყვალს წავეტოტე ღობეზედა” (წავეტოტე – წავეწვდი, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006);

“წამოუთაროვე, კუთხე-კუნჭული არ დამიტოვებია და სად გაქრა ის დანა, ვერ გავიგე” (წამოუთაროვე – დავუარე, დავებნე, ქართლ. მ. მესხიშვილი, 2006);

“იქით გადაამკლავა და ალიბუხარი ჩამოკრიფა” (გადაამკლავა – მკლავი გადასწია, ქართლ., მ. მესხიშვილი, 2006).

ეს ფორმები, რომლებიც თავისთავად საინტერესოა წარმოების თვალსაზრისით, ჩვენთვის ამჯერად იმით არის საყურადღებო, რომ სივრცეში გადაადგილების შინაარსს მათ ზმნისწინი ანიჭებს.

სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება ზოგი ისეთი ფორმა, რომლებშიც ზმნისწინი ზმნის სემანტიკის განმსაზღვრელია. მაგ., ჩაარჭო ზმნის საპირისპირო შინაარსის გამომხატველია ზმნა ამოაძრო, რომლის ნაცვლად სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება ლურსმანი (ნემსი) ამოარჭო. არჭობს ნიშნავს, რომ მაგარ, მკვრივ, მყარ რამეში ამაგრებს, სვამს რაიმეს. ამდენად, ამო- ზმნისწინი ამ ძირთან არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ზმნისწინის სემანტიკამ დაჩრდილა ფუძის სემანტიკა და ამოაძრო, ამოგლიჯა შინაარსის გადმოსაცემად შეგვხვდა ამოარჭო.

მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც: “ზავშვობა ყოფილა, რაც ყოფილა, იქიდან რაც ისწავლე, მერე გადასწავლა ძნელია” (ა. მორჩილაძე, 2012, 22);

თერაპიის მიზანია დასწავლილის გადასწავლა (სასაუბრო მეტყველებიდან);

გამიჭირდა გადასწავლა (სასაუბრო მეტყველებიდან).

დასწავლის საპირისპირო შინაარსის გამომხატველია გადავიწყება. სწორედ ეს ზმნა უნდა ყოფილიყო გამოყენებული მოყვანილ წინადადებებში, მაგრამ გვაქვს გადასწავლა, რომელშიც ზმნისწინი ხდება ზმნის შინაარსის განმსაზღვრელი, ფუძის სემანტიკა კი ამისდაშესაბამისად იცვლება.

ზოგი ზმნის სემანტიკა გამორიცხავს ამო- ზმნისწინის დართვას, მაგრამ ზოგჯერ სასაუბრო მეტყველებაში ამ ზმნებთანაც გვხვდება იგი: ისე შემეშინდა, რომ ის ხაჭაპური კინაღამ სულმოთლად ამოყვალა (ა. მორჩილაძე, 2012, 218).

იონა ვეშაპმა გადაყლაპა და მერე ამოყლაპა (სასაუბრო მეტყველებიდან).

ეს ფორმები კარგად გამოხატავს იმის საპირისპირო შინაარსს, რაც ჩაყლაპვა ზმნას აქვს: ყელში საჭმლის, სასმლის ერთგზის ჩაშვება. ამოყლაპვა ფორმას იმიტომ “ქმნის” მთქმელი, რომ ამ ფორმაში გამოხატულია ერთბაშად შეჭმულის ერთბაშად ამოღება. აქაც, როგორც წინა მაგალითში, შეიძლება ითქვას, ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს ამო- ზმნისწინი, რომელიც გამოხატავს ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას.

წარმოდგენილი შემთხვევები, ვფიქრობთ, კარგად გვიჩვენებს, რომ ზმნისწინი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის გადმოცემაში და მისმა დართვამ შეიძლება ფუძისეული სემანტიკის გადააზრებაც გამოიწვიოს.

ლიტერატურა:

ბ. ჯორბენაძე, 1985 – ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985;

ა. ფოცხიშვილი, 1969 – ა. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, თბილისის უნივერსიტეტი – გიორგი ახვლედიანს, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის 80 წლისთავისადმი, თბ. 1969;

თ. მახაროზლიძე, 2009 – თ. მახაროზლიძე, ლინგვისტური წერილები, თბ., 2009;

შ. ძიძიგური, 1974 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ., 1974;

მ. მესხიშვილი, 2006 – მ. მესხიშვილი, ქართული ლექსიკონი (მასალები), თბ., 2006;

შ. ფუტყარაძე, 1993 – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993;

ა. მორჩილაძე, 2012 – ა. მორჩილაძე, “ობოლე”, თბ., 2012.

Nino Chumburidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics
PRE-VERBS AND THE LEXICAL MEANING OF A VERBS IN GEORGIAN
RESUME

In the Georgian language a pre-verb is multifunctional. One of its oldest, key functions is the change of the lexical meaning of a verb. By adding different preverbs, the majority of verbs changes the main meaning or gets new semantic characteristics.

The paper deals with the facts when the pre-verbs have a special function and define the lexical meaning of a verb.

მზია ხახუტაიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„დედაბრულის“ გრაფიკული თავისებურებანი

ქალის ხელით გადაწერილ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია „დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები. „დედაბრული ხელის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი ინფორმაციაა. აღნიშნული დამწერლობის გრაფიკული და ლინგვისტური თავისებურებები საგანგებოდ არავის უკვლევია, თუმცა მისი აუცილებლობის შესახებ არაერთგან საუბრობენ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ხელნაწერის შესახებ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ვკითხულობთ: „მეტად თავისებური („აჭარული“) მხედრულით“, აჭარული („დედაბრული“) ხელით შესრულებული (ქხა 1948: 198-199). ტერმინი „დედაბრული ხელი“ „წერილობით პირველად დააფიქსირა აკადემიკოსმა სიმ. ჯანაშიამ, გამიფრული ტექსტები ტაბულებითურთ 1949 წელს გამოსცა თ. ხაჟომიამ (სილოგავა 2008: 138).

„დედაბრული ხელი“ ჭეშმარიტად ორიგინალური დამწერლობის სახეა. იმას, რომ „დედაბრული ხელით“ წერა აქტიურად გამოიყენებოდა ქობულეთ-აჭარაში, ადასტურებს პირადი წერილები და ბოლო დროს ქობულეთში აღმოჩენილი უნიკალური ავგაროზის ტექსტი. არსებულმა ხელნაწერებმა საშუალება მოგვცა დამწერლობის ამ სპეციფიკური სახის, „დედაბრული ხელის“, გრაფიკულ თავისებურებებზე გვესაუბრა. ჩვენს ხელთ არსებული ტექსტების გრაფიკული მახასიათებლების კვლევა, ვფიქრობთ, საინტერესოა პალეოგრაფიისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში „დედაბრულის“ შესახებ შემდეგი ინფორმაციაა: „დედაბრული ხელი“ ნიმუშია ქართული დამწერლობისა, რომელიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში, უმთავრესად ქალებში (ბერძენიშვილი... 1948: 324); თ. სახოკია აღნიშნავს: „აჭარელ მანდილოსნებს შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა“ (სახოკია 1950: 245); აჭარისა და ოსმალის მაჰმადიან ქართველობაში უკანასკნელ დრომდე დაცული ქართული დამწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო „დედაბრული ხელის“ სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ (ახვლედიანი 1978: 231). დიმიტრი ბაქრაძისა და ალ. ფრენკელის ცნობით, ქართული წერა კარგად იცოდნენ ბეგებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა (ფრენკელი 1879: 41)

საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ ოსმალთა ბატონობას საქართველოს ძირძველ კუთხეში, აჭარაში, სავალალო შედეგები მოჰყვა. „აქ არ არის სახალხო სკოლები, წიგნიერება დაცემულია, საკუთარი ლიტერატურის რაიმე ნიშანიც კი არ არსებობს. მხარეში წერა-კითხვის მცოდნე ცოტაა“ (ფრენკელი 2012: 120,129). მიუხედავად ამისა, ოსმალთა ბატონობის პირობებში ქართული ენის მაღლი არ მოშლილა საქართველოს ძირძველ კუთხეში – აჭარაში. მტარვალთა სამასწლიანი ბატონობის მიუხედავად, აქ არასოდეს ჩამკვდარა ქართული სიტყვა. მეტიც, შეიქმნა დამწერლობის თავისებური სახე – „დედაბრული ხელი“. ქართული სულის, სიტყვის გადასარჩენად მოსახლეობამ დაიწყო თითო-ოროლა შემორჩენილი ქართული წიგნის გადაწერა-გამრავლება. ქართული ენა დაიცვეს „ხანუმებმა“ - მუსლიმანმა ქალბატონებმა. ამავე ხანუმების წყალობით არ მოიშპო ქართული წერა. ცნობილია, რომ ჩვენი კულტურის დაცვის მოვალეობა ქართველმა ქალმა ბევრი ხიფათის დროს იკისრა და შეასრულა

კიდევ. დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენით ვაჟებში თითქოს ნელდებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი. ეროვნულ თვითშეგნებას, მშობლიურ ენასა და მწიგნობრობას ძირითადად, ინახავდნენ ქალები (ხახუტაიშვილი 2011: 281).




ცხადია, რომ „დედაბრული ხელით“ წერის აუცილებლობა შეაპირობა იმ ისტორიულმა რეალობამ, რომელიც ოსმალთა ბატონობამ მოიტანა აჭარაში. დასახელებული ავთენტური მასალა, ვფიქრობთ, საყურადღებოა „დედაბრული ხელის“, კალიგრაფიის ამ ნიმუშის შექმნის აუცილებლობის თვალსაზრისით. უკიდურესად რთულ პირობებში მხოლოდ გასაიდუმლოება თუ შეადლებინებდა აჭარელ ქალს მისთვის საინტერესო, მახლობელი წიგნები გადაეწერა.

„დედაბრული ხელი“ ორიგინალური მხედრულია, თუმცა ზოგჯერ მხედრულისაგან საკმაოდ განსხვავებულიც. აღნიშნული წერის თავისებურებებზე საუბრობს ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძე: „მათი თავისებურება ის არის, რომ ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად არის შეცვლილი ან დამახინჯებულია, გარდა ამისა სიტყვებში თანხმოვნებს შორის მეტწილად ჩართულია სრულად არასაჭირო ხმოვანი ი“ (ბაქრაძე: 1987: 73). დიმიტრი ბაქრაძე თან ურთავს „დედაბრული ხელით“ შესრულებული წერის ნიმუშს. ავტორი რუსული ვერსიის დანართში წერს: Три первые строки письма адчарской женщины, со вставочною буквою і при каждой буквѣ слова (ბაქრაძე, 1987).

აღსანიშნავია, რომ „დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტების გრაფიკულ სპეციფიკას ქმნის მოდიფიცირებული გრაფემები და წერის მანერა - უინტერვალო, უპუნქტუაციო წერა. დამწერლობის ეს სახე, მიუხედავად მხედრულთან მსგავსებისა, გრაფიკული მახასიათებლების, მისი საიდუმლოების პრინციპების თავისებურებებით განსხვავებული, თავისთავადი და გარკვეულწილად ორიგინალური დამწერლობის ნიმუში აღმოჩნდა.




ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცავში ინახება 1962 წელს შესრულებული, სოფ. ჭახათში მცხოვრები, 105 წლის ხომწეთ ბაჟუნაიშვილისა და ხინოს მკვიდრ, 80 წლის, ფატყუმე მიქელაძის მიერ შესრულებული „დედაბრული ხელის“ გრაფემათა ნიმუშები, რომელთაც შეგვაძლებინეს დამწერლობის ამ თავისებური სახის სიღრმისეული გრაფიკული ანალიზი. „დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტების კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H1258ა (ავგაროზი) და H 1258ბ (პირადი წერილი) ხელნაწერები, ასევე ბოლო დროს ქობულეთში აღმოჩენილი საკმაოდ დიდი მოცულობის ავგაროზის ტექსტი.

თ. ხაჟომიამ 1949 წელს სტატიაში „ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე“ (ხაჟომია 1949: 87-97) წარმოადგინა „დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტები, მათი მხედრული ვერსიები და ტაბულები. სტატიაში საუბარია დამწერლობის ამ სახის გრაფიკულ თავისებურებებზე. ამ უკანასკნელზე საუბრისას მეცნიერი აცხადებს: „ამოშიფრვის შემდეგ ირკვევა ქართულ მხედრულ ასოთა მოხაზულობა, ხოლო რიგ შემთხვევაში ჩანს ნუსხურ ასოთა ზოგიერთი შტრიხიც“ (ხაჟომია 1949: 87). ამ ტიპის გრაფემებს მიაკუთვნებს **ბ**, **ი** და **ფ** ასოებს. რაშიც მკვლევარს ვერ დავეთანხმებით, რადგან „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ტექსტებში სამივე მათგანი გრაფიკულად ახლოს დგას მხედრულთან.












მხედრული	ბ	ი	ფ
დედაბრული ხელი			

მკვლევარი **ა**, **ბ**, **ი**, **კ**, **ფ**, **ყ**, **ც** გრაფემებს ასევე ნუსხურ ტრადიციებს უკავშირებს და ხელის გარდამავლობაზე საუბრობს. ვფიქრობთ, „დედაბრულში“ აღნიშნული გრაფემები შესაბამისი მხედრულის მოდიფიცირებული ასო-ნიშნებია.

აღსანიშნავია, რომ თუ მხედრულში ნატიფი წრეებია, „დედაბრულში“ ასოთა გარკვეული ჯგუფები: **ა**, **ჰ**, **ო** მხოლოდ კუთხოვანი შტრიხებითაა წარმოდგენილი.






მხედრული	ა	ჰ	ო
დედაბრული ხელი			

„მხედრული“ ანბანის 33 ასო-ნიშნისაგან „დედაბრულში“ ცამეტს (ა, დ, ჩ, უ, მ, ი, თ, ლ, შ, ვ, ზ, გ, ე) შენარჩუნებული აქვს ძირითადი ფორმა. თორმეტი გრაფემის ზ, კ, ფ, პ, ჟ, რ, ჯ, ტ, ღ, ც, ძ, ყ მოხაზულობა არ იმეორებს მხედრულ პროტოტიპებს.

მხედრული	დედაბრული (ბაჟუნაიშვილი)	დედაბრული (მიქელაძე)	სხვა ხელნაწერები
ტ			
რ			
ზ			
კ			
ჯ			
პ			

ფ			
ქ		-----	
ძ			
ც			
ყ			
ღ			

წ, ნ, ხ, ქ, ჭ გრაფიკული ფორმები ასახავს სათანადო მხედრული ასოების მოხაზულობას გართულებულს „დედაბრულში“ (გარკვეული დამატებითი ხაზებით).

მხედრული	წ	ნ	ხ	ქ	ჭ
დედაბრული ხელი					

გრაფემათა ურთიერთმიმართებით ირკვევა, რომ „დედაბრული“ დამწერლობის გრაფიკულ ნიშანთა შედგენა-შეთხზვისას საფუძვლად მხედრულია აღებული. შეიძლება ითქვას, რომ მხედრული ანბანის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული დაწერილობა საკმაოდ ორიგინალურია. მხედრულის ტიპის დამწერლობის გრაფიკულ მახასიათებლებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ რიგი გრაფემები მსგავსებას ავლენს მხედრული დამწერლობის ცალკეულ გრაფიკულ სიმბოლოებთან, ნაწილი კი სრულებით შორდება შესაბამის გრაფემებს. ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერთაგან კერძო წერილები მეტად კუთხოვანი, ლურსმულისებრია და შესაბამისად ძნელად ამოსაკითხი. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ ტიპის ხელნაწერებში (პირადი წერილები) ხმოვანთმეტობა პრინციპულადაა დაცული(შესუ კარუქა ყოფუნასუ თუ შეგუვატუყოზეფუ, შენ იცი და შენმა ქალობამუ, დიჭელაუ; შესუ ძუმისულებუსუ თუ იკითუხაუ კაქა არიანუ). იგივე შეიძლება ითქვას H1258 ა ხელნაწერზე, რომელიც

ავგაროზია (დომერუთო, ჩემო, სადაცუ იხუსენებოდესუ სახელი წუმდაო; იესოსუ ქურისუტისაითა ზეცადა...).

დღეისათვის არსებული მასალისა და თ. ხაჟომიას მიერ წარმოდგენილი ტაბულებითა და ხელნაწერთა ნიმუშების შედარებით ირკვევა, რომ ქობულეთ-აჭარაში გავრცელებული წერის მანერა - „დედაბრული ხელი“ აშკარად განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული, ერთგვარად მსგავსი „ჰაზხელად“ - ცუდი კალიგრაფიით ნაწერისაგან. ამ სხვაობას ერთი შეხედვით კარგად ხედავდნენ და აღნიშნავდნენ კიდევ ცნობილი მკვლევრები (ნ. ბერძენიშვილი, დ. ბაქრაძე, თ. სახოკია). უმნიშვნელო გრაფიკული მსგავსების მიუხედავად, მკვლევრის მიერ „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებად (ხელნაწერები: Qd 3580, Qd 3351, Qd 3578, რომლებიც ისტორიული საბუთები და ნასყიდობის დოკუმენტებია - გურიაში შესრულებული) მიჩნეული ტექსტები მეტად ახლოა მხედრულთან, ვიდრე „ქობულურ-აჭარული წერილები“ (როგორც მას დ. ბაქრაძე უწოდებს) თუ ავგაროზის ტექსტები. ამიტომაც, უპრიანია ამ ტიპის ტექსტებს ეწოდოს „აჭარული დედაბრული ხელით“, უფრო ზუსტად, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი უწოდებს მას (ქსა 1948: 198). ამასთან, „აჭარული დედაბრული ხელის“, დამწერლობის ამ თავისებური სახის სპეციფიკა, გარდა გრაფიკული თავისებურებისა, ისაა, რომ ამ ტიპის ტექსტებში სიტყვებს შორის ინტერვალი არაა, ასევე არაა არანაირი პუნქტუაციური ნიშანი და მათთვის დამახასიათებელია **ა**, **ი**, და **უ** ასოთმეტობა. სწორედ დასახელებული ნიშნების ერთობლიობაა, რომლებიც „ქობულურ-აჭარულ დედაბრულს“ თვითმყოფადს ხდის. იგივე ნიშნები განაპირობებს ამგვარი ტექსტების წაკითხვის სირთულეს.

აღსანიშნავია, რომ „აჭარული დედაბრული“ ფენომენია იმ თვალსაზრისით, თუკი გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ რეალობას, რომელშიც იგი შეიქმნა. იგი ორიგინალური დამწერლობის ნიმუშია, მცოვანი ქალების, ხანუმების, მიერ შექმნილი. ქალები მას ფარული მიმოწერისთვის იყენებდნენ და ეს ინფორმაცია დღესაც დაცულია ქობულეთის სოფლებში. ამ ტიპის წერილებს გზავნიდნენ მუჰაჯირები თურქეთიდან. იმას, რომ „დედაბრული ხელი“ აქტიურად გამოიყენებოდა ქობულეთ-აჭარაში, ადასტურებს ავგაროზის ტექსტები, ასევე ხელრთვები არაბულით შედგენილ ნასყიდობის დოკუმენტებზე და ასევე თურქეთის ქალაქ ფაცაში ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების საცხოვრისში, ბუხრის სარტყელზე ნაპოვნი წარწერა.

ლიტერატურა:

1. **ახვლედიანი 1978:** ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი
2. **ბაქრაძე 1987:** ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი
3. **ბერძენიშვილი... 1948:** ბერძენიშვილი ნიკო, ჯავახიშვილი ივანე, ჯანაშია სიმონ, საქართველოს ისტორია. ნაწილი I. სახელგამი, თბილისი
4. **სახოკია 1950:** სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი
5. **სილოგავა 2008:** სილოგავა ვ., ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი
6. **სურმანიძე 1996:** ქართული კარაბადინი. გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი
7. **ფრენკელი 2012:** ფრენკელი ალ., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბ.
8. **ქსა 1951:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H – კოლექცია, ტ. 2, თბილისი
9. **ხაჟომია 1949:** ხაჟომია თ., ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე, „მიმომხილველი“, I, თბ.
10. **ხახუტაიშვილი 2011:** ხახუტაიშვილი მ., ქართველი მუჰაჯირი დედები, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში, ბათუმი

Mzia Khakhutaishvili
Batumi Shota Rustaveli State University
GRAPHIC FEATURES OF 'OLD WOMAN HANDWRITING' MANUSCRIPT
RESUME

Among woman's hand –copied manuscripts, - manuscripts made by old women are notable. Little information is available about 'old woman handwriting' in the scientific literature. Studying graphical and linguistic characteristics of above mentioned manuscript is important for the Paleography as well as the Historical Dialectology.

'Old woman handwriting' was intensively used in Kobuleti- Ajara, which is confirmed by the personal letters, and by the manuscript containing the text of the amulet. Which recently has been discovered in Kobuleti.

It should be noted that, 'handmade woman's texts' create a graphical specification through modified letters writing style – writing without spacing and punctuation. This type of writing despite of resemblance with the Military writing has been found as the original writing sample with it's graphical characteristics, secret of features and inclusiveness.

According to the relationship between letters, it is ascertained that writing up graphical symbols of 'old woman handwriting' is based on Military writing. We could say that, alphabetic scripts received by the modification of the military writing is quite original. It is notable that, letters reveals similarities to the certain graphical symbols of the Military writing. Among available manuscripts for as, private letters are provincial and not able, therefore it is difficult to read. We should note that, excessiveness of vowel sound in private writings is principally preserved. The same can be said about the manuscript H1258 a- kept in the National Centre of Manuscripts, which is an amulet. We think that, widespread writing style in Kobuleti - Ajara should be called as 'Kobuleti- Ajarian old woman handwriting' - this is a very original writing sample.

მარინე ხიხაძე, ირმა ხუნდაძე
შპს „ივერიონი“

იაკობ გოგებაშვილი - დედაენის პრობლემა გუმინ და დღეს

ჯერ კიდევ წინა საუკუნეში იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულობის ენათა დასსა. ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენის მეტყველთა - რაში მდგომარეობს ღირსება ენისა და ისინი დაგისახელებენ: სიმარტივეს ბრუნვისას, გრამატიკული სქესის არ ქონვას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევას, ხმოვანს დაბოლოებას სიტყვისას, ხმაასამაღლებელი დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზედ, მრავალფეროვნებას და მოქნილობას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას... ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა...“

დიაღ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა... ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება... ლინგვისტი, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლიდა ქართულ ენას, იტყოდა თითქმის იმასვე, რაც სთქვა გამოჩენილმა სწავლულმა უსლარმა ქართულს ენაზედ, რომელიც მან აღიარა თითქმის უუსრულებლად ანბანად ყველა ანბანთა შორის.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? - სვამს კითხვას ერის სახელოვანი წინაპარი იაკობ გოგებაშვილი. კითხვას, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც საუკუნის წინ, რადგან მშობლიურ ქართულ ენას 21-ე საუკუნეშიც საფრთხე ემუქრება. ორი საუკუნის განმავლობაში რუსული ძალადობდა ქართულზე, ახლა კი - ინგლისური. ქართული მასმედია - პრესა, რადიო, ტელევიზია წაღეკა უცხო სიტყვათა ნიაღვარმა, თვალშისაცემია ქვეყანაში აბრეშუნი ინგლისურენოვანი წარწერები, მაღალი ტრიბუნიდან უცხო სიტყვებით თავის მოწონება, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ ნაცვლად ბავშვთა ინგლისურად წვრთნა კომპიუტერით. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უცხო ენათა შესწავლა აქტუალურია და მის გარეშე ძნელია სრულყოფილი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება, მაგრამ, როგორც ქართველთა უპირველესი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი იტყოდა: „აქსიომად არის

ადიარებული, რომ ბავშვმა მას უკან იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“... გვახსენდება უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვები სკოლის დირექტორებსა და მოადგილეებთან შეხვედრაზე და მისი თხოვნა ჩვენთან: ჯერ მძლავრად დააყენეთ ქართულ ფესვებზე ბავშვები, გაუმყარეთ საძირკველი მშობლიურ ენასა და მიწასთან და შემდეგ შეასწავლეთ უცხო ენებიო.

ჩვენ რას ვაკეთებთ? ლამის დაბადების წუთიდან ვცდილობთ ბავშვს ინგლისური ჩავუნერგოთ, შევავაროთ და ავამეტყველოთ იმ ენაზე, რომელიც მისი მშობლიური, წინაპრების ენა არ არის. დედაენა გარეგნობით როდია დაკავშირებული ადამიანის არსებასთან. იგი არაა ტანისამოსი, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზე, მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზე. ყოველ ადამიანს თან ჰყვება დაბადებიდან მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმგვარად, როგორც ბულბულს ჰყვება ნიჭი დაბადებიდან გალობისა... ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ხატავს სინამდვილითა და სისრულით.

იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად დაუღალავად იბრძოდა, რომ ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენაზე ესწავლათ დაწყებით კლასებში მაინც, ისინი უცხო ენების წინააღმდეგნი როდი იყვნენ, პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ მშობლიური ენის კარგად და ძირფესვიანად შესწავლა მყარი საფუძველი იყო რუსული და სხვა ევროპული ენების დაუფლებისათვის. თუ ილიასა და იაკობ გოგებაშვილს ბრძოლა უწევდათ რეჟიმთან, რუსულ პოლიტიკასთან, ახლა მშობელი ნებაყოფლობით აბარებს შვილს უცხოენოვან სკოლაში უკეთესი განათლებისა და პერსპექტიული მომავლის იმედით, ავიწყდება რა, რომ: „(ბავშვის) პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშობელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათს აღზრდაში მეტნაკლებობით უარყოფილია დედაენა, ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა, - რომ ისინი, ვინც ამ გამაცხოვრებელს ძალას მხარს უქცევენ, თავისავე ხელით უთხრიან სამარესა თავისი შვილების ჯეროვანს განვითარებას, ნათელს მომავალს, მათს სანატრელ ბედსა და ჰბედებიან ნამდვილნი დამნაშავენი მათ წინაშე...“

იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად თვლიდა, რომ მშობელი, რომელიც შვილს დედაენას ამორებს და უცხო ენას ასწავლის პატარაობისას, ხელიდან აცლის თავის პირმშოს „ერთადერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარავის დროსა, მისი ბუნების შესაბამის იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა“.

იაკობ გოგებაშვილის ჩივილი, წვრთნა არა მხოლოდ ბავშვებისა, არამედ მშობლებისაც იმდენად აქტუალურია დღეს, რომ შეიძლება იფიქროს კაცმა, აგერ ახლა დაწერა ქართველთა უპირველესმა პედაგოგმა ეს წერილიო... მშობელთა ამგვარი დამოკიდებულება ქართული ენისადმი სახელმწიფო პოლიტიკის ბრალიცაა.

ბატონი ლევან ღვინჯილია ერთ-ერთ ინტერვიუში 2012 წლის 14 აპრილს კითხვაზე, რა ადგილი აქვს ქართულ ენას საზოგადოებისა და ხელისუფლებისათვის, აღნიშნავს: „დღეს ქვეყნის ხელისუფლების, მმართველი ელიტის მხრიდან სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი არის მთლიანად იგნორირებული, რადგან ყველა ინსტიტუციონალური წარმონაქმნი, რაც „ვარდების რევოლუციამდე“ არსებობდა საქართველოში, გააუქმეს.. სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი პარლამენტში, პრეზიდენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის მსგავსი ინსტიტუტიც, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ყოველთვის არსებობდა საქართველოში სხვადასხვა ფორმით... კომისია არსებობდა დამოუკიდებლობის პერიოდში, ჯერ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაუქმდა. მასთან ერთად ლიკვიდირებულ იქნა ენის სახელმწიფო პალატაც, რომელიც შეიქმნა 1997 წელს და 2004 წლის ოქტომბერში შეწყვიტა არსებობა.“

ამ ინტერვიუდანაც ნათლად ჩანს, რამდენად გლობალური და აქტუალურია დღესაც ის პრობლემა, რომელზეც იაკობ გოგებაშვილი წერდა. სახელმწიფო პოლიტიკა და მიდგომა ამგვარი საკითხებისადმი მკაფიოდ აისახება ერის სულსა და გულზე, მის აზროვნებასა და ფსიქიკაზე და უკარგავს მას მთავარს - ეროვნულსა და თვითმყოფადს. სწორედ ამიტომ აიმაღლეს ხმა საქართველოში რუსული ენის გაბატონების პოლიტიკით შემფოთებულმა ქართველმა მამულიშვილებმა: გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, ნიკო მარმა, იაკობ გოგებაშვილმა. მაშინ დამპყრობლებს ებრძოდნენ დიდი მამულიშვილები, ახლა რა გვჭირს? ახლა ხომ თავად ვართ ბატონ-პატრონი ჩვენი მამულისა და ენისა? სანამ დროა, ყურად ვიღოთ იაკობ გოგებაშვილის გაფრთხილება: „წარმოიდგინეთ, რომ უცხო ენაზედ საუბრობს და დედა ენა

დავიწყებია არა კერძო პირსა, არამედ მთელს ხალხსა, რას ემგვანება იგი? არსებათა ხროვას, რომელნიც მხოლოდ ნახევრობით არიან მეტყველნი და სრულ ადამიანებად არ ჩაითვლებიან...“ დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახებში სრულიად და სავსებით... დიად, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, - ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისანი... ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულის ხდაა...”

ლიტერატურა:

იაკობ გოგებაშვილი - „ბურჯი ეროვნებისა“; რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად; 1989 წ.
ლორთქიფანიძე დ., დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (დაბადებიდან 120 წლისთავის გამო), თბ., 1960;
ლალი ზირაქიშვილი - სტატია „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“;
For.ge; http://www.for.ge/view.php?for_id=11000&cat=3

Marine Khikhadze, Irma Khundadze

Ltd “Iverioni”

IAKOBI GOGEBASHVILI –THE PROBLEM OF NATIVE LANGUAGE YESTERDAY AND TODAY RESUME

Last century Georgian nation faced the problem of preservation of Georgian language and originality. Georgian patriots and public figures among them I. Gogebashvili fought tirelessly for that at least the children of primary schools could study Georgian language. In their opinion awareness and improving their skills could only be possible in their native language. He did all that was possible and worked hard at it but unfortunately nowadays Georgian nation faces the problem again. The difference today is that Russian has been replaced with English.

It is necessary to change political and public opinion about the question for Georgian language could bring back its title and respect.

გიორგი ხორბალაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების პოეტური ენის ზოგიერთი ასპექტი

ნებისმიერი მწერლის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესია მისი ენის კვლევის პრობლემა. რადგან, ხშირ შემთხვევაში, მწერლის შემოქმედებით წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი წერის მანერა და მისი თხრობის სტილის თავისებურებანი. კვლევისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ზოგიერთი ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურების სტილისტური ფუნქციის გამოვლენა მწერლის ნაწარმოებებში.

გოდერძი ჩოხელი გამორჩეული მხატვრული ენის მქონე მწერალია, მისი შემოქმედება ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით უდაოდ განსაკუთრებულია ქართულ ლიტერატურაში, ამიტომ საინტერესო იქნება მწერლის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურების გამოკვეთა, მით უფრო, რომ საქმე ერთდროულად ეხება პროზასა და პოეზიას. მისი პროზის სტილი უფრო პოეტურია, ვიდრე პროზაული (ამ ცნების ტრადიციული მნიშვნელობით). იგი თავს არიდებს დაწვრილებით აღწერას, საგანთან პროზაულ ახლოს მისვლას და ხშირად მოვლენების პოეტური მჭკრეტელის პოზიციით კმაყოფილდება. ეს პოეტური ხერხი გოდერძი ჩოხელთან სისტემად იქცევა და მისი პროზაული ნაწარმოებების ერთი ნაწილი ზოგჯერ რიტმული პროზით, აშკარად გამოხატული თეთრი ლექსით არის დაწერილი. „ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს პოეზიის პოეტიკა, მაგრამ იშვიათია პროზის პოეტიკა. არადა პოეტიკა ხომ მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურას სწავლობს. მხატვრული ნაწარმოები კი მხოლოდ მხატვრული ლექსი როდია. თუმცა სწორედ პოეტური ნაწარმოების აგების ხერხებსა და

მეთოდებს გვასწავლის არისტოტელესა და პორაციუსის ნორმატიული პოეტური ტრაქტატები“ (წოწორია, 2012: 140)

გიორგი გოგოლაშვილი ნაშრომში - „გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა“, იმდენად განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულებას ქართული ენისა და „დედა ენისადმი“, რომ სწორედ ამ დამოკიდებულებაში ხედავს მისი, როგორც მწერლის, შემოქმედებითი წარმატების უმთავრეს ძალას: „ჩვენი ღრმა რწმენით, XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მწერალთა შორის გოდერძი ჩოხელი ის მწერალია, რომელიც სრულად შეგნებულად უდგება ენობრივ საკითხებს; ქართულ ენაზე ფიქრი მუდამ თან სდევს მის შემოქმედებას; გოდერძი ჩოხელისათვის დიდად პრინციპულია მწერლის დამოკიდებულება ენობრივი ფენომენისადმი. თავის თაობაში ის ერთ-ერთია (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ერთადერთია), რომელიც ღირსეულად აგრძელებს იმ ტრადიციას, რომლის თაობაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

გოდერძი ჩოხელის აზრით, „მწერალი უნდა ცდილობდეს სანთელივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმოზნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონამორჩილია დედა ენის, მაშინ დედა ენაც ლოცულობს შვილისათვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში.“

...გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, გამარჯვება დიდად განაპირობა დედაენისადმი სწორედ მისმა ასეთმა მიდგომამ.“ (გოგოლაშვილი, 2012: 7)

მშობლიური ენისადმი ასეთი, განსაკუთრებულად ფაქიზი და მოკრძალებული მიდგომა გოდერძი ჩოხელისთვის, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, გუდამაყრის ხეობიდან და ჩოხის წმინდა გიორგისგან იღებს დასაბამს. „...ამბობენ, წერს გოდერძი ჩოხელი, როდესაც წმინდა გიორგი ნაწილებად დაიშალა, ჩოხელებს ერგოთ სალოცავად ენა და მათი წმინდა გიორგი არის ენა, ამიტომაც არის ძალიან ძლიერი სალოცავი და ჩოხელი რასაც იტყვის, მისი ლოცვაც და წყევლაც სრულდებაო. მე მინდა რასაც მე ვერ ვიტყვი და ვერ გამოვთქვავ სიტყვით, ჩემი სალოცავი წმინდა გიორგი ხომ ენაა. და აი, იმან დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო“ („კარიბჭე“, 2011: 62).

საინტერესოა, რომ გოდერძი ჩოხელის საბავშვო მოთხრობების განხილვისას, გიორგი ალიბეგაშვილი პარალელს ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროსთან ავლებს და არა ვაჟას პროზასთან. „გოდერძი ჩოხელის საბავშვო მოთხრობებზე საუბრისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო. ესეც ერთგვარი ქვეტექსტური წაკითხვის გზაა გოდერძი ჩოხელის პოეტიკის ჩასაწვდომად...“ (ალიბეგაშვილი, 2012: 26). ეს იმიტომ, რომ გოდერძი ჩოხელი სულით არის პოეტი და მისი პროზის ერთგვარი განსაკუთრებული ნიშან-თვისებაც სწორედ პოეტურობაა. პროზის პოეტურობა კი მუდმივ ფონად გასდევს მის ალალ-მართალ სიტყვას და ვლინდება ყველა ნიუანსსა და განცდაში. „გოდერძი ჩოხელის პროზა პოეტურია. ...როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, რიტმისა და რითმის გარეშე მოდის ირაციონალი და მთავარიც ეს არის. მწერალი ცდილობს უხილავის მოხელთებას და რომანის მთელ მხატვრულ სისტემას ამ ძიებას უსადაგებს.“ (ჯალიაშვილი, 2006: 26)

გოდერძი ჩოხელის ლექსიკა ნასაზრდოებია ძირძველი ქართული სიტყვებით. მან მრავალ მივიწყებულ სიტყვას ჩაჰბერა სული, დღის სინათლეზე გამოიტანა „ენის საღაროდან“ და გაამდიდრა საკუთარი შემოქმედებაც და ქართული ლიტერატურაც. აკაკი ბრძანებდა: „ქართული ენა ინახება მდებრიო ხალხში. იქ არის ენის საღარო. ბევრი სიტყვაა დარჩენილი ხალხში, რომელიც ჩვენ არ ვიცით, კაბინეტში მოგონილს სიტყვებს ყოველთვის სჯობია ის ბუნებრივი ქართული სიტყვები, რაც ხალხში მოიძებნება. ამიტომ საჭიროა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრება, რომელიც აგვაცილებს თავიდან კაბინეტში მოგონილს უხერხულ სიტყვებს. ზეპირსიტყვიერების შეკრება იქნება პირველი ნაბიჯი ლექსიკონის შედგენისათვის“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, IV, 1974: 141)

გოდერძი ჩოხელის წერის მანერასა და სტილს მნიშვნელოვნად განაპირობებს გუდამაყრის ხეობასა და მის სოფელში - ჩოხში გავრცელებული დიალექტი.

„ახალმა ეპოქამ, დიალექტთა საზღვრების მოშლამ და საერთოდ, კუთხური ეთნოგრაფიული და სამეტყველო თავისთავადობის პერმანენტულმა ნიველირებამ, როგორც ჩანს, გააჩინა სრულად ახალი, თავისუფალი დამოკიდებულება დიალექტიზმებისადმი. ის, რისი მოძალეზაც საფრთხედ აღიქმებოდა, გადასარჩენი და დასაცავი აღმოჩნდა. ის, რაც სალიტერატურო ენისათვის არცთუ სასურველი დანალექი იყო, ერთგვარ ეგზოტიკურ სამკაულად იქცა. ურბანიზაციის წიაღში გაჩნდა გარკვეული სნობისტური დამოკიდებულებაც ყოველგვარი კუთხურის მიმართ.

...გოდერძი ჩოხელის ერთგვარი თავისუფალი დამოკიდებულება დიალექტიზმისადმი: იგი არც საგანგებოდ ცდილობს მეტყველების დიალექტურობა შეინარჩუნოს და არც იმის მცდელობას ამჟღავნებს, რომ თავი აარიდოს მათს გამოყენებას. ბუნებრიობას ამ შემთხვევაში არა მიზანმიმართული ძალისხმევა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინდივიდუალური ესთეტიკური ინტუიცია განაპირობებს. ცალკეული

პერსონაჟების მეტყველებაც ამ თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. რაც მთავარია, ამ მხრივ მკვეთრი ზღვარი არ არის გავლებული მწერლისა და პერსონაჟის მეტყველებას შორის“ (არაბული, 2012: 33-34)

გოდერძი ჩოხელი შესანიშნავად ახერხებს გამოყენებული დიალექტური ფორმების ისეთ დინამიკაში მოყვანას, ისეთ შეთავსებას სალიტერატურო ენასთან, რომ მისი ენა პოეტურობის განცდას კიდევ უფრო მძაფრად იძენს.

მწერალი იყენებს ფერთა ხატვისათვის ორიგინალურ შედარებებს და ამით კიდევ უფრო ქმნის განუმეორებლობის განცდას: „რძისფერი სიმყუდროვე“, „შემომგლისფერებული მიდამო“, „პეპელაის ფერი სამოსელი“... აშ, და სხვა მსგავსი ფორმების გამოყენებით აღწევს ავტორი ენის ექსპრესიულობის მაქსიმუმს და პროზაშიც კი, პოეტური ენის შემოტანას შემოქმედებაში.

„გ. ჩოხელის დღევანდელი სალიტერატურო ქართული უშუალო გაგრძელებაა ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებისა, რომელთა მიხედვითაც მწერლის ენა სრულიად გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის, მაგრამ, ამავე დროს, ფონეტიკურად განსაკუთრებით თავისუფალი უნდა იყოს ენობრივი ნორმების შეგნებულად და უხეშად დარღვევისაგან, რაც, სამწუხაროდ, ხშირად გვხვდება ამ ბოლო ხანებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ჩოხელის ენა არის თანამედროვეულად განვითარებული მწერლის ენა“ (წიკლაური, 2006: 88). გოდერძი ჩოხელის პოეტურ ენას განსაკუთრებით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ხალხური თქმები, იდიომები, ლოცვისა და წყევლის ფორმულები, მათი ჩართვით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ბუნებრივად აქსოვს თხრობაში: „ღმერთო, მაღალო, შეიწყნარე ამ მიწაზე ყოველივე სახელი ჩვენი და უადგილოდ ნუ დასვამ წერტილს და მოგვივლენ განსაცდელს,“; „ერთ კვირას არ გიგლოვებენ, იქნებ არც მოვლენ მკვდარზედა, სახელსაც არ დაგაწერენ, ცივი სამარის ქვაზედა“; ამ საკითხთან დაკავშირებით მრავლისმეტყველი იქნება, თუ დავიმოწმებთ სტრიქონებს ლექსიდან „ობლობა“: „ვახ, დედის ერთაისასა, ბრალია, უძმოდ მოკვდება, ვერც და იტირებს, ვერც რძალი, არც სხვა ვინმ დაუღონდება. წავა, უცრემლოდ ჩაივლის, დედის ძვლებს ჩაუსწორდება, სამარის მარტობასა უბეში ჩაუგორდება“ და ა.შ.

მწერლის პოეტური ენის ერთ-ერთი სტილური ნიშანია სიტყვათა საყოველთაოდ ცნობილი სემანტიკური კავშირის მოშლა და მეტაფორული გააზრების საფუძველზე განსაკუთრებული ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზების შექმნა, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე, მაგალითად: „მთვარის მიერ დათოვლილი დილის ძილში ჩადირული დედამიწა,“ „შემოდგომის ფერწასულ ძაფზე ყვითელი მძივივით ასხმული მზიანი დღეები,“ „აფეთქებული გაზაფხული“, „შემოდგომის ყვითელი ფერხული“... - ეს ის სურათებია, რომელსაც მხოლოდ გოდერძი ჩოხელის პოეტური ენა თუ აღწერს, მხოლოდ მისი თვალთა თუ დაინახავ. ამ სიტყვათა მეშვეობით სრულიად განსხვავებულად ტრანსფორმირდება მკითხველის თვალში სამყარო.

ვაჟა ბრძანებდა: „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, მწერლის სულია. ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები, თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავს წინათ, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის. ამ განსაკუთრებულს დაღს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰხდის მას ადვილ საცნობლად? ეს გახლავთ „ენა“, რაშიაც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლა-დიდება. ფესვები მწერლის ენისა. სტილისა, იქ არის ჩაწმახული. მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებათა, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინცა და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურად უნდა ესვას“. (ვაჟა-ფშაველა, 1964: 294) სწორედაც, რომ თავისებურად ასვია ბეჭედი გოდერძი ჩოხელის ენას და თუმცა ბევრი ვისაუბრეთ მის მიერ დიალექტისა და გუდამაყრის ხეობისთვის დამახასიათებელი მეტყველების გამოყენების შესახებ, მაგრამ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გოდერძი ჩოხელის წმინდა სალიტერატურო ენით, დიალექტურ ფორმათა გამოყენების გარეშე დაწერილი ნაწარმოებებიც ასევე ინდივიდუალური ნიშნითაა აღბეჭდილი და უძლიერესი ემოციური მუხტით დატვირთული. „გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები დიალექტიზმებით გაჯერებული ან, მით უმეტეს, გადატვირთული ნამდვილად არ არის. მას აქვს მთელი რიგი მოთხრობებისა, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენითაა დაწერილი და საერთოდ არ შეიცავენ კუთხურ ლექსიკას, ზოგიერთ მოთხრობაში კი, პირიქით, გვხვდება მეტად საინტერესო დიალექტიზმები და თანაც საკმაო რაოდენობით“ (წიკლაური, 2006: 96). ესე იგი, გოდერძი ჩოხელის ენობრივი სტილის თავისებურება და ლაზათი გუდამაყრული დიალექტისა და სიღრმისეულად გათავისებული სალიტერატურო ენის სინთეზია, რაც ცალკეულ ლექსთა წიაღშიც გამოვლინდა და მთელი მისი შემოქმედების ვრცელ არეალშიც. ავტორი ერთნაირი ოსტატობით იყენებს როგორც ამ სინთეზის ერთობლიობას, ისე მასში

შემაჯალ თითოეულ კომპონენტს და გვთავაზობს განსაკუთრებული სტილით ნასაზრდოებ შემოქმედებას. მას განსაკუთრებულად ფაქიზი დამოკიდებულება აქვს დიალექტიზმებისა თუ მივიწყებული სიტყვების მოძიებისა და გაცოცხლების საკითხთან მიმართებაში, რაც ერთგვარი არქაიზაციით შეფერილს ხდის მის სტილს.

ძირძველი ქართული სიტყვის, ტრადიციული ქართული ენისა და ადათისადმი დამოკიდებულება და დაფარული სევდა გამოსჭვივის მოთხრობაში „სიყვარულის ცეცხლი“, სადაც გოდერძი ჩოხელი წერს: „როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება. მერე კი სულ ნაგზევი ხდება და ემატება იმ სიტყვებს, როგორიცაა: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიტყვა შეემატოს ამ სიტყვებს. ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოშერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა - სიყვარული!“ (ჩოხელი, 2008: 37) სიტყვის ძალა უმნიშვნელოვანესია პოეტისათვის, მას გათავისებული აქვს, რომ მხოლოდ მონათხრობი ამბავი არ კმარა სულში მოძალებული განცდების ლექსში განსავრცობად, ამისთვის სწორედ ენისა და სიტყვის ძალაა აუცილებელი, თვითმყოფადი სტილის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია პროზაშიც და პოეზიაშიც და ამას მხოლოდ მცდელობა და მეცადინეობა ვერ შეავსებს, თანდაყოლილი ნიჭიერებაა საჭირო, რომელიც გოდერძი ჩოხელს უდავოდ უხვად უბოძა უფალმა. ამიტომაც, რომ გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, რაც ძირითადად მისი პოეტური ენის წყალობით მიიღწევა.

ლიტერატურა:

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, IV, 1974: ქართული ლიტერატურის ისტორია, IV ტომი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974.
2. განმარტებითი ლექსიკონი, 1990: ქართული ენის ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი პირველი, თბ., 1990.
3. ენციკლოპედია, 2008: ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.
4. წიკლაური 2006: წიკლაური მაია, „გოდერძი ჩოხელი, ერისა და მთის შვილი“, თბ., 2006.
5. ვაჟა-ფშაველა, 1964: ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, ტ. IX, 1964.
6. ჩოხელი 2008: ჩოხელი გოდერძი, თხზ. ტ. I II, თბ., 2008 .
7. ჯალიაშვილი, 2006: ჯალიაშვილი მაია, „სიცოცხლის საიდუმლო“, თბილისი, 2006.
8. გოგოლაშვილი, 2012: გოგოლაშვილი გიორგი, „გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2012.
9. ალიბეგაშვილი, 2012: ალიბეგაშვილი გიორგი „გოდერძი ჩოხელის საბავშვო მოთხრობების ქვეტექსტი“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2012.
10. არაბული, 2012: არაბული ავთანდილ, „კუთხური მეტყველებისადმი დამოკიდებულების ახალი ეტაპი და გოდერძი ჩოხელის პროზა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2012.
11. წოწორია, 2012: წოწორია თამარელა, „თევზის წერილები და წერილი ნაძვებს-პოეტიკა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2012.

Giorgi Khorbaladze

Gori State Teaching University

SOME ASPECTS OF POETICAL LANGUAGE OF GODERDZI CHOKHELI'S CREATIVE WORKS RESUME

Goderdzi Chokheli is a writer with an outstanding artistic diction. His works stylistically is undoubtedly significant in Georgian literature; therefore it will be interesting to show some characteristics of writer's language and style, especially when it refers to both prose and poetry. The style of his prose is much more poetical than prosaic (in traditional meaning of this concept). Chokheli avoids featuring subjects in prosaic way and he often has a position of poetic observer. The word power is so important for the poet. He knows that only narrating of a story is not enough, the emotions existing in soul should be spread in a poem. That is why the word and language power is so essential. Forming original style in prose and poetry is very important. And it cannot be filled only with effort and training, it needs natural endowments. Goderdzi Chokheli abounds it from God and therefore his work is so individual, which is mainly achieved by his poetic diction.

**სახელები დავით ბატონიშვილის გრამატიკაში
(პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის მიხედვით)**

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში 26 ქართული ხელნაწერი ინახება. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, ამ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც ჩვენთვის. აქ დაცულია რამოდენიმე იშვიათი ხელნაწერი. მათ შორისაა დავით ბატონიშვილის მიერ 1790 წელს ქალაქ თბილისში შედგენილი „მცირე ღრამმატიკა“. პრაქტიკული დანიშნულების ეს წიგნი მრავალმხრივ არის საყურადღებო: 1. ხელნაწერი მე-18 საუკუნის დასასრულს ეკუთვნის. ეს ის პერიოდია, როცა საფუძველი ეყრება ქართული გრამატიკული ლიტერატურის შექმნას. 2. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ბრძანებს, ეს „ერთი საუკეთესო ეგზემპლარია დავით ბატონიშვილის ღრამატიკისა, თვით დავითისავე ნაქონი“. [5:284] ასევე „ქართულსა ენასა შ ა ურჩეულესად“ მიუჩნევია ეს გრამატიკა თეიმურაზ პირველს, რასაც წიგნის პირველ გვერდზე მისივე ხელით გაკეთებული წარწერა გვამცნობს.* 3. არა ერთი ფაქტორი ადასტურებს, რომ პარიზში დაცული ხელნაწერი ავტოგრაფი უნდა იყოს [7:309; 6:275] 4. ამ გრამატიკამ, პარიზში დაცულ სხვა ხელნაწერებთან ერთად დიდი სამსახური გაუწია მარი ბროსეს ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლაში.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფილიალში დაცული ამ გრამატიკის ვიდუფირების მოპოვების შემდეგ ჩვენ მასზე მუშაობის საშუალება მოგვეცა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხიც განვიხილეთ. ამჯერად, ჩვენი შრომა ეხება სახელებს დავით ბატონიშვილის გრამატიკაში. იმ მოტივით, რომ სახელი სიტყვის (ანუ წინადადების) ძველი ნაწილია, დავითი ჯეროვნად რაცხს განმარტოს, თუ „რაჲ არს სახელი“ და ასეთ განმარტებას გვაძლევს: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რლიცა არსებასა საქმისასა დაჰნიშნავს უპიროდ და უჟამოდ“.

სახელის ეს დეფინიცია ანტონ I-ის გრამატიკაში მოცემულ განსაზღვრას იმეორებს, მაგრამ მასში სიახლეცაა, კერძოდ კი ის, რომ დავითი მას უმატებს საგულისხმო სიტყვებს: „უპიროდ და უჟამოდ“, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ სახელს არც პირის და არც დროის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა არ შეუძლია.

დავითი შემდგომი მსჯელობით ცდილობს გაარკვიოს, თუ რა „დაჰსდჳა სახედ ნათესავად და განყოფილებად ფილოსოფოსმან“. და განიხილავს, რა მსგავსება თუ განსხვავებაა სახელსა და სხვა მეტყველების ნაწილებს შორის. იგი აღნიშნავს, რომ ნაცვალსახელსა და სახელს (ანუ არსებით სახელს) ის განასხვავებს, რომ „ესე უპირო არს და იგი პიროვან“. სახელი და ზმნა კი განსხვავდებიან „იმით, ვდ სახელი ჰნიშნავს არსებასა და ზმნა არსებისა ქმნათა და ვნებათა“. ასევე საყურადღებოა ავტორის აზრი სახელსა და მიმღეობას შორის არსებულ განსხვავებაზე: ვდ დაღათუ იგიცა სახელისამებრ არს, ად ეგ უჟამო არს, და იგი ჟამოვან“.

ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებს დავით ბატონიშვილი „უნიშნოთ“ უწოდებს და ასეთებად მიიჩნევს თანდებულს, ზმნიზედას, შორისდებულსა და კავშირს. ვფიქრობთ, რომ საინტერესო კუთხითაა დანახული „უნიშნოთ“ და სახელებს შორის განსხვავება: „ვდ სახელი თვთ თავადსა არსებასა ჰნიშნავს, ხ იგინი არათუ არსებასა, ად არსებისა გარემოთა“. ამის შემდეგ ავტორი მსჯელობს იმის შესახებ, რომ სახელი „იწჳალების“ (იყოფა) არსებითად და ზედმესრულად (ზედსართავად). არსებითი სახელი შეიძლება იყოს ზოგებითი (საზოგადო), კერძოობითი (საკუთარი) და შემკრებლობითი (კრებითი). ხოლო ზედმესრული „იწჳალების“ სამად: დადებითად, მსგავსებითად და აღრობითად. არსებითი სახელის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ წინადადებაში ის დამოუკიდებელია და დამოუკიდებლად არსებულ საგანს აღნიშნავს. „სახელი არსებითი არს რლიც თავით თვით მდგმოებდეს სიტყჳასა შა და ზრახჳასა“. მაგალითებად დასახელებულია: ქალაქი, პეტრე, კრებული და სხვა. ხოლო ზედმესრული სახელი არის „არა თვით თვით მდგომარე ად მოსრული არსებასა ზა. ეს განსაზღვრება ზედსართავი სახელის იმ თვისებას გახაზავს, რომ მას არ აქვს დამოუკიდებლად არსებობის უნარი, არამედ დაერთვის არსებით სახელს. მაგალითებად დასახელებულია თეთრი, შავი, გრძელი, მოკლე და სხვა. ავტორი აქვე გვაწვდის

* პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში დაცული ეგზემპლარის შესახებ ვსაუბრობთ ამ ხელნაწერის ჩვენ მიერ მოპოვებულ ქსეროასლზე დაყრდნობით.

მის მიერ გამოყოფილ არსებით სახელთა ჯგუფების განმარტებას. ტერმინ ზოგებითი ქვეშ ავტორი რომ საზოგადო სახელს გულისხმობს, ნათლად ჩანს მისი განმარტებიდან: ეს ის სახელებია „რწლიცა ჰნიშნვიდეს ყოვლობითსა არსებასა რაჲვსა“. მაგალითად: კაც, ცხენ, სახლ, ქალაქ, მდინარე... ავტორი აქვე დაამატებს, რომ „კაც, ლექსი ესე, არა თუ მხოლოდ სახელი არს ერთისა კაცისა, ანდ ყთა კაცთა“. კერძოობით დავითი საკუთარ სახელებს უწოდებს, „რწლიცა ერთსა განუჭრელსა და განუკუჭმელსა საქმესა ჰნიშნვიდეს“. მაგალითად: პეტრე, ეფრათი, მცხეთა. ავტორი აქვე განმარტავს, რომ „პეტრე ლექსი ესე არს სახელი ერთისა კაცისა და ეფრათ ლექსი ესე არს სახელი ერთისა მდინარისა“.

შემკრებლობით სახელებად დავითი მიიჩნევს სახელებს, „რწლიცა მრავალსა საქმესა შეკრებით შეერთებულსა ვა ერთსა რაჲმესა ჰნიშნვიდეს“ და მაგალითებად მოხმობილი აქვს თეატრი, ხვავი... ავტორი განმარტავს დადებით, შემსგავსებით და აღრობით ზედსართავ სახელთა რაობას და შესაბამის მაგალითებსაც ასახელებს. დადებითად მიიჩნევს იმ ზედსართავებს, რომლებიც არიან „მნიშნჴელი ნივთისა მარტივად ვითარებისა ანუ რაოდენობის“ მაგალითად: კეთილი, ბოროტი, გრძელი და სხვ. ხოლო შემსგავსებითი „არს მნიშნველი ნივთისა ვითარებისა შემსგავსებითა მეორესა ნივთისათა“. მაგალითად: კეთილებრი, ბოროტებრი, გრძელებრი და სხვ. აღრობითი ზედსართავი კი განმარტებულია ასე: „სახელი არს აღმატებითად მნიშნველი ვითარებისა ერთისა ნივთისა სხჴათაგან ნივთთა აღრად ანუ დარედ“. (ანუ ზედსართავი სახელის ეს ფორმა საგანის ვითარებას, მეორე საგანთან შედარებით, აღმატებითად აღნიშნავს.) მაგალითად: უკეთილესი ანუ ყოვლადკეთილი, უბოროტესი ანუ ყოვლად ბოროტი.

დავით ბატონიშვილი ასახელებს სახელის ხუთ მდედარს, ანუ კატეგორიას. ესენია: 1. ნათესავი (სქესი), 2. ნაკჴითი (ფუძის აგებულება). 3. სახე (ფუძე) 4. რიცხვი და 5. ბრუნვა. თითოეული მდედარი განხილულია ცალ-ცალკე. დავითი გამოყოფს ოთხი სახის ნათესავს ანუ სქესს: მამრობითი, მდედრობითი, უმეშჴობითი. ზოგებითი და აქვეა განმარტებული, თუ რას გულისხმობს თითოეული მათგანი: თუ სიტყვა მამრობითი სქესის არსების გამომხატველია, მაგალითად: წული, მამაჲ, ითქმის მამრად, ხოლო თუ მდედრობითი სქესის - მდედრად. მაგალითად: ქალწულა, დედა. ის სიტყვები კი, რომლებიც არც ერთ სქესს არ გამოხატავენ, უმეშჴობითი, ანუ საშუალო სქესი ეწოდებათ. მაგალითად: ძელი, ქჴაჲ, მაგრამ ზოგადად სახელმა შეიძლება მდედრობითი სქესის საგანიც გამოხატოს და მამრობითიც, მაგალითად: შვლი, ნუკრი, ლეკვი და სხვა და მათ ზოგებითს (ანუ საზოგადოს) უწოდებს დავითი. რა თქმა უნდა, სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია არასწორადაა გამოყოფილი, მაგრამ ამ მსჯელობიდან იკვეთება ის, რომ ქართულში სქესის განმსაზღვრელი სიტყვის დაბოლოება არ არის.

ნაკვეთის ანუ ფუძის აგებულების მიხედვით დავით ბატონიშვილის გრამატიკაში მისი სამი სახეობაა გამოყოფილი: მარტივი, რომელიც არ უკავშირდება „სხვსა თანა სახელისა, ითქმის მარტივად“, მაგალითად: კაც, სიკჴდილი, ეკლესია; ჰრთული, „ოდეს იგი იყოს შეერთებული სხსა თანა სახელისა, ითქმის ჰრთულ“. მაგალითად: კაცთ-მოყჴარე, სიკჴდილის-თანამდებ, მეფის-მსახურ და ზედჴრთული, სადაც სამი ან მეტი ფუძეა შეერთებული. მაგალითად: მწყემს-კეთილ-მოძღჴარ, ღის მეტყჴმელ-ქადაგ...

ნაკვეთის შემდეგ დახასიათებულია ფუძე და ორი სახის ფუძეა გამოყოფილი: პირველ-სახე და სხმით-გარდასლუთი. ავტორის განმარტებიდან ირკვევა, რომ პირველ-სახეში იგი ძირს, ხოლო სხმით-გარდასლუთში ნაწარმოებ ფუძეს გულისხმობს. შესაბამისად დასახელებულია მაგალითები: კეისარ-კეისრობითი, ეპისკოპოს-საეპისკოპოსო, ანგელოს-ანგელოსებაჲ და სხვა. სხმით-გარდასლუთის მაწარმოებლად მიჩნეულია ხმა, ანუ მარცვალი. ეს არის მნიშვნელობის მცვლელი ანუ „სხმით-გარდასლუთად მაკეთნი მარცვალნი, რომელნიც უნიშნობენ“, ე.ი. არიან დამოუკიდებელი მნიშვნელობის არ მქონენი და მათი დართვა მნიშვნელობას უცვლის მარტივ სახელს. დასახელებულია აფიქსების დართვით წარმოქმნილ სახელთა თვრამეტი ჯგუფი: 1. „მოგებითი“ (კუთვნილებითი) მაწარმოებლები: **ითი, სა და ო;** (თაფლი საუფლო; სახე სახითი). (აქვეა ნახსენები ტერმინი მრჩობლ-სხმით- გარდასლუთი, (ანუ ორმაგად ნაწარმოები სახელები) და რაკი ნათესავობა და არსება სხმით-გარდასლუთნი არიან, ნათესავობითი და არსებითი მრჩობლ-სხმით-გარდასლუთ ფორმებად უნდა მივიჩნიოთო.) 2. „უაღრესობითი“ (აღმატებითი) მაწარმოებელი პრეფიქსები **უ, უუ და სუფიქსი ესი.** (მცირე, უმცირესი, უუმცირესი). 3. „კნინობითი“, მაწარმოებელი: **აკი, კი, გი და ალი.** (მარცვალი, მარცჴალაკი, ციალი). 4. „ნათესავობითი“, (ქონებისა), მაწარმოებელი: **იანი, ოვანი, ევანი, ითი, ელი, ული, ური,** (ბაგრატოვანი, სხეულევანი, ორბელითი, მცხეთელი, ტფილისური...) 5. „შემცჴმლობითი“, მაწარმოებელი: **ეთი, მ, ივ, სი;** (სპარსეთი, მგრგულივ). 6. „არსებითი“, მაწარმოებელი: **ოვანი, იერი, იელი, ეული** (მიზეზოვანი, ხორციელი, ასეული). 7. „თან-შეყოფითი“, მაწარმოებელი: **იანი, ოვანი, ვილი, ული;** (ზეთიანი, ფეროვანი, შებურვილი). 8. „სახელ-ზმნა-სხმითი“, მაწარმოებელი: **იერი, იარე, ილი, ელი, რე, ული, მ, ლი, რი, ლე, ობა, ნა;** (შჴწნიერი, მშობიარე, წუხვილი, ფიცხელი, ყვარეული). 9. „ქონებითი“, მაწარმოებელი **იანი, იანი, ოსანი, ვლი, ური, ევანი;** (შარავანდოვანი, გურგვინიანი, მშვილდოსანი, მეგზაური, სხეულევანი.) 10. „აღმატებითი“, მაწარმოებელი: **ეზა, ობა, სი;** (ხატეზა, აობა, სიმართლე.) 11. „მდედრობითი“,

მაწარმოებელი: ა და ნა; (უფალა, თავადინა) ავტორი ფიქრობს, რომ მამრობითის საწარმოებლად ოს-ს ბერძნულიდან ვსესხულობთ და ამის მაგალითად დასახელებულია მატეოს. ხშირად კი მდებრობითის მაწარმოებელსაც ბერძნულიდან ვსესხულობთ. მაგალითად: ანასტასია და პელაგია. 12. „მფარველობითი“ მაწარმოებელი მე და მ. (მემტილე, მფარავი). 13. „შემსგავსებითი“, მაწარმოებელი: შესა, სა. (შესაბამ, საკადრ) 14. „უღლვითი“, მაწარმოებელი: მე, მ და ე. (მემგზავე, მხარე). 15. „იგივეობითი“, მაწარმოებელი: ვე, ცა, ც. (კაცივე, ცხოველიცა, არსებაც). (ავტორის აზრით ეს ნაწილაკები „სხმით-გარდასლუკისაც“ არიან და თანდებულად და „ზმნისადმი ზედ-დადებულად (ე.ი. ზმნიზედად) გამოიყენებიან. 16. „წესებითი“, მაწარმოებელი: მე, ე (მეორე, მესამე). 17. „შედგომობითი“, მაწარმოებელი: ანე, ანი; (ქრისტეანე, ვასილიანი). 18. „უკუთქმითი“, მაწარმოებელი: უ, ი, ო; (უსმი, უმკაცრო, უთქვი).

დავითი მოკლედ მსჯელობს სახელის ერთ-ერთ მდევარზე, რიცხვის გრამატიკულ კატეგორიაზე და ორ რიცხვს - მხოლოობითსა და მრავლობითს - გამოყოფს და განმარტავს, რომ მხოლოობითად ითქმის სახელი, რომელიც ერთ საგანს აღნიშნავს: მომღწარი, მღწდელი, დიაკონი და მრავლობითია იმ შემთხვევაში. როცა ერთი და იგივე სახელი მრავალს აღნიშნავს: მღწდელნი, დიაკონნი.

ამის შემდეგ გრამატიკაში იწყება მსჯელობა ბრუნვათა რაობის შესახებ და განმარტებულია, რომ სახელის ბრუნვა* არის ერთი და იმავე სახელის „გარემოლება“ ანუ ფორმაცვალება. დავითი რვა ბრუნვას გამოყოფს და ახდენს ბრუნვათა ფუნქციისა და ბრუნვის ნიშნების განხილვას, ამასთან მსჯელობს ცალკეული ბრუნვის თავისებურებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხისადმი ასეთი მეთოდით მიდგომა წინა გრამატიკებისგან განსხვავებული და მომდევნო გრამატიკოსთა მიერ გაზიარებული სიახლეა, რაც დავითის მიგნება და დამოუკიდებელი მსჯელობის შედეგია და ამ შემთხვევაში, გრამატიკის ავტორის სწორ ენობრივ ალლოზე მეტყველებს.

გამოყოფილ ბრუნვათა დასახელება და თანმიმდევრობა ასეთია: წრფელობითი, ნათესავობითი, მიცემითი, შემასმენელობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი. ბრუნვათა დასახელების შემდგომ მოცემულია საზოგადო (ჯწარი), საკუთარ (მარიამ) და 2 ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელის (არსება) ბრუნების პარადიგმები მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში.

უხმოთა ასოზე დაბოლოებულ, (ანუ თანხმოვანფუძიან) სახელებთან დაკავშირებით გრამატიკაში განმარტებულია, რომ ყველა სახელი, საკუთარი თუ საზოგადო, ნათესავობითში მიიღებს დაბოლოებას ისი და ისა. 2 ხმოვანით ფუძე-დაბოლოებულ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით კი შენიშნავს, რომ ბოლოკიდური 2 საზოგადო სახელებთან „ისპობა“, ე.ი. იკვეცება და ნათესავობითში დაერთვის ისა და ს, ხოლო ამავე ხმოვანით დაბოლოებული სათვითო (ანუ საკუთარი) სახელები არ იკვეცენ ბოლოკიდურ ხმოვანს და მიიღებენ სი-დაბოლოებას. მაგალითად: წინასი, მაკრინესი...

ვითარება იმავენაირადაა აღწერილი ე ხმოვანით დაბოლოებულ სახელებთან და სანიმუშოდ დასახელებულია საზოგადო სახელი-მზისა და სათვითო-იოანესი.

ი ხმოვანით დაბოლოებულ საზოგადო სახელებთან დაკავშირებით, გრამატიკის ავტორი გვამცნობს, რომ ამ სიტყვების შუა ხმოვნები ნათესავობით ბრუნვაში ზოგჯერ განიცდიან მერყეობას „ჰსპობითა ასოთა ამათ ე, ა“. ამ მსჯელობიდან და დასახელებული მაგალითებიდან (ნათელი, ნათლისა) ირკვევა, რომ დავითი კუმშვაზე საუბრობს, ხოლო ი ხმოვანით დაბოლოებულ სათვითო სახელებზე ამბობს, რომ „ურყევად და უსპობად“ მიიღებენ ნათესავობითი ბრუნვის ნიშნებს: ირაკლი-ირაკლისა.

ო ხმოვანით ფუძე დაბოლოებული არც საზოგადო და არც სათვითო სახელები არ განიცდიან „ბრუნვათა შინა მერყეობასა ჰსპობითსა“ (ე.ი. არ მოიკვეცენ ბოლოკიდურ ხმოვანს) და საზოგადო სახელები მიიღებენ დაბოლოებას ისა, სა: ოქრო-ოქროსა, ხოლო სათვითო სახელები - სი: აბო - აბოსი.

ანალოგიურადაა აღწერილი ვითარება უ ხმოვანით დაბოლოებულ სახელთაბრუნებასთან დაკავშირებით და საზოგადო სახელთაგან დასახელებულია მაგალითები: კუ-კჟესა, ბრჯგუ-ბრჯგუსა, ხოლო სათვითო სახელთაგან ელიუ-ელიუსი.

გრამატიკაში ცალკე თავი ეთმობა „კერძობით“ , ანუ თავისებურ სახელთა ბრუნებას და ამ სახელებს ავტორი თავისებურად მიიჩნევს იმის გამო, რომ ისინი არცერთი სხვა სახელის მსგავსად არ იბრუნვიან და ამასთან, მათ აკლიათ წოდებითი ბრუნვა. ნიმუშად მოცემულია „რომელიმე“-ს ბუნების პარადიგმა. აქვე საუბარი რთულ „ანუ სხვა თანამოკიდულ“ კერძობით სახელებზე და მაგალითებად დასახელებული არარომელიმე, არავინ, სხარომელიმე, ზოგივინმე და სხვა. ასევე კერძობით სახელებადაა მიჩნეული რაამე, რომელიმე და ვინმე. და აღნიშნულია, რომ რაამე იხმარება „უცხოველოთა ზედა“ (ე.ი. უსულს საგნების აღნიშვნელია) მაგალითად: ქაა რაამე, ძელი რაამე, ხოლო რომელიმე და

* ეს ტერმინი ანტონის მიერ ზუსტი თარგმანია სომხური სიტყვისა, რაც გარშემო დატრიალებას, ბრუნებას ნიშნავს.

ვინმე „დაიდებთან ცხოველთა ზედა“ (ე.ი. სულიერ არსებათა აღსანიშნავად გამოიყენება), მაგალითად: კაცი ვინმე, რომელიმე სიბრძნისმოყვარე და სხვა.

დავით ბატონიშვილი წრფელობით ბრუნვაზე მსჯელობისას მას სახელობითთან აიგივებს, რაც მის მიერ დასმულ კითხვაშიც ჩანს: „რასათუც წოდებულ წრფელობითი, ანუ სახელობითი?“ ამ საკითხისადმი ანალოგიურია მიდგომა ანტონის გრამატიკაშიც. ამ ორი ტერმინის ერთი და იმავე ბრუნვის აღსანიშნავად ხმარება ე. ბაბუნაშვილის აზრით [2:85] მხითარის გრამატიკიდან მოდის და ბერძნული და ლათინური გრამატიკების გავლენას მიეწერება. იგივე ახსნა ექნება ამ მოვლენას დავითის გრამატიკაშიც. დავითი ამ ბრუნვის მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნიშნებს - **ნი, ები, ზბ** ჩამოთვლის მაგალითების დასახელებით: ბუნებანი, ნათესავები, ზღუჭბ... დავითი ახსენებს ორნაირ წრფელობითს: ერთი, რომელიც დამოუკიდებლად, უშუალოდ არსებულ საგანს აღნიშნავს და მეორე, როცა ამ ბრუნვაში წარმოდგენილი სახელი ქუჭ-მდებარეა, მათი ერთმანეთისაგან გასარჩევად ამ უკანასკნელისთვის მახვილის შემოღებას მოითხოვს.

ნათესაობით ბრუნვაზე მსჯელობისას ჩამოთვლილია მისი როგორც მხოლოდობითი - **ისი, ისა, სა, ჟსა, ჯსა, ს და სი**, ისე მრავლობითი რიცხვის ნიშნები: **თა, თ, ებისა, ების, ებთა, ებთ**.

დავითი იზიარებს ანტონის გრამატიკაში გამოთქმულ აზრს მოთხრობითი ბრუნვის წარმომავლობის შესახებ და წერს, რომ „არსებითისა ნაცვალსახელისა პირ მესამე მოთხრობითად ბრუნვილი“... არს მოტანილი და დადებული სახელსა ზედა“, მაგალითად: დავითმან, სადაც დავით არსებითი სახელია, ხოლო **მან** მესამე პირის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა.

გრამატიკის ეს თავი ბოლოვდება არსებითი და ზედსართავი სახელების გარჩევის ნიმუშით მდევართა (ანუ გრამატიკულ კატეგორიათა) - ნათესავის ნაკვეთის, სახის, რიცხვის და ბრუნვის მიხედვით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამმატიკა“ წინამავალ გრამატიკათაგან არაფრით გამოირჩევა [9:37] და უკან გადადგმული ნაბიჯია ანტონის გრამატიკასთან მიმართებით [7:231]. მართალია, დავითი უმთავრესად ანტონის გრამატიკას ეყრდნობა, მაგრამ ამაში, ვფიქრობთ, უჩვეულო არაფერია, რადგან ყველა გრამატიკოსი იყენებს წინა გრამატიკებს, ხოლო XVIII-XIX საუკუნეების ქართველ გრამატიკოსთა უდიდესი ნაწილი ძირითადად სწორედ ანტონის გრამატიკას ემყარება. რაც შეეხება დავით ბატონიშვილს, ბრმად არ მისდევს მას და რიგ საკითხებთან დაკავშირებით თავის შეხედულებისამებრ მსჯელობს ქართული ენის თავისებურებათა გათვალისწინებით. გრამატიკიდან ჩანს, რომ სახელთა განხილვას ახლავს ნაკლოვანებები, მაგრამ ის, რომ საკითხთა მთელ წყებას დავითის ორიგინალური მსჯელობის კვალი ატყვია, უთუოდ წინადადებული ნაბიჯია ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებისათვის. კერძოდ, მონაკვეთში, რომელიც სახელებს ეძღვნება, საინტერესოა დავითის მსჯელობა სახელების სხვა მეტყველების ნაწილებისაგან განსხვავების დასადგენად, არაერთი საყურადღებო ნიუანსია დავითის მიერ რიგი ცნებების განმარტებაში, მეთოდურად გამართლებულია ახლებური მიდგომა ცალკეულ ბრუნვათა ფუნქციების და ნიშნების განხილვისას, ასევე განსხვავდება იგი წინამორბედ გრამატიკათაგან მასალის გადმოცემის სიმარტივითა და ლაკონურობით.

ლიტერატურა:

1. ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, რაფ. ერისთავის წინასიტყვაობით, ტფ., 1885.
2. ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული ღრამატიკის საკითხები, თბ. 1970.
3. ბაბუნაშვილი ე., უთურგაძე თ., ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991.
4. ბატონიშვილი დ., „მცირე ღრამმატიკა“, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ნუსხა.
5. თაყაიშვილი ექ., დაბრუნება (ემიგრანტული ნაშრომები) თბ., 1991.
6. პრ. გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012.
7. ფოცხიშვილი ალ., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
8. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972.
9. Цагарели А. Л., О грамматической литературе грузинского языка, С.П., 1872.

Elene Khojevanishvili
Gori State Teaching University
NOMINATIVES IN “BRIEF GRAMMAR” BY DAVIT BATONISHVILI
(after the manuscript Preserved at Paris National Library)
RESUME

Introducing “Brief Grammar” by Davit Batonishvili preserved at the Department of Manuscripts at the National Library in Paris, asserts that Davit mainly relies on the grammar by Anton Catholikos. It is not unusual as a great number of Georgian grammarians of the XVIII-XIX centuries shared Antony’s grammar. Though, Davit Batonishvili was not a blind follower of the catholikosi’s work and had his own opinions about certain items due to the peculiarities of the Georgian language. For example, nominatives are not fully discussed in Davit’s grammar but the influence of his original argumentation on the items is quite obvious and it should be regarded as significant progress in the development of the Georgian grammatical thinking. An important model is one of the paragraphs dedicated to the nominatives. Davit’s argumentation is unique for establishing the difference between nominatives and other parts of speech. Lots of considerable details are mentioned in the definitions of some concepts. There is a new methodically acceptable approach to the functions and symbols of each cases.

Davit Batonishvili’s “Brief Grammar” is different from the previous ones with its simple and laconic narration.